

**მოხი
ქართული
სამედიცინო
ხელნაწერი**

XVI–XVIII სს.

თბილისი
2009

**ტექსტის გამოსაცემად მომზადება,
კომენტარები, ლექსიკონი, საძიებელი**

ნანი ხელაია
ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი

რედაქტორები

რამაზ შინბელია
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარიამ ჯიქია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები

მისქილ ქავთარია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევაზ ბაბნიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ISBN 978-9941-0-1874-9

ინფორმაციამ ტრადიციული მედიცინის (ტმ) შესახებ მოაღწია უმნიშვნელოვანესი წყაროს მეშვეობით – წერილობითი ძეგლების გზით. ძველი სამედიცინო ხელნაწერები გვევლინება თავისი ეპოქის მეცნიერულ მედიცინად, რომელმაც გაუძლო მრავალ საუკუნეს და მიხნეულია ე.წ. „დადასტურებულ მედიცინად“ ("Evidence Based Medicine"). მათ უმეტესად ჰყავთ ავტორები. ბევრი ქვეყანა, რომელთაც არ აქვთ ძველი სამედიცინო ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნები, მიმართავენ ე.წ. „ხალხურ მკურნალებს“, ან კიდევ იყენებენ ხალხის მესხიერებაში შემორჩენილ სამკურნალო მეთოდებსა და საშუალებებს.

ტმ-ში შემონახულია ცოდნისა და სიბრძნის ამოუწურავი საიდუმლო ცოცხალი სამყაროს შესახებ. სწორედ ამიტომაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო), გაეროს სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა უამრავი პროგრამული დოკუმენტი ტმ-ის შესასწავლად. აუცილებელი გახდა წარსულის მიღწევების არა მარტო ისტორიული კუთხით შეფასება, არამედ მოძიებული მასალების შესწავლა პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

საქართველოს ტმ მოიცავს უძველეს მეცნიერულ მედიცინას. ამ ფენომენის კულტურული და პრაქტიკული მნიშვნელობის შესწავლა დაიწყო ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში კავკასიის სამეცნიერო საზოგადოების მიერ, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობის ცენტრი იყო საქართველოს დედაქალაქი – თბილისი. ეს საქმე დიდი წარმატებით გააგრძელეს XX ს. ქართველმა დეალოზოგმა მეცნიერებმა: ლ. კოტეტიშვილმა, მ. სააკაშვილმა, მ. შენგელიამ, ც. ჩხეიძემ, ა. გელაშვილმა, ბ. რაჭველიშვილმა, ლ. ჭეიშვილმა და სხვ. (სააკაშვილი, გელაშვილი, 1956, 1958; შენგელია, 1980).

ქართული სამედიცინო შინაარსის ხელნაწერთაგან შესწავლილი და გამოქვეყნებულია ლ. კოტეტიშვილის მიერ X ს. ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (ქანანელი, 1940), XIII ს. ხოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოდ“ (ყოფილი, 1936), XVI ს. დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდი“ (ბაგრატიონი, 1938), ჯერ მ. სააკაშვილისა და ი. აბულაძის (ფანასკერტელი, 1950), ხოლო შემდეგ მ. შენგელიას მიერ (ფანასკერტელ-ციციშვილი, 1959,

1978) იქნა გამოქვეყნებული XV ს. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“. ეს ძეგლები გვევლინებიან თავისი დროის შედევრებად. ისინი საინტერესოა არიან როგორც კულტუროლოგიური ფენომენი, პრაქტიკული თვალსაზრისით კი აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც განპირობებულია: ა) ანატომიურ-ფიზიოლოგიური ცოდნის მაღალი დონით, ბ) დაავადებათა კლინიკური სურათის აღწერის სისრულით, გ) დახვეწილი და ზუსტი რეცეპტურით, დ) სამკურნალო მცენარეთა გამოყენების ფართო სპექტრით, მათ შორის ენდემური სახეობების, ე) ცხოველური და მინერალური წარმოშობის მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) მეცნიერთა ჯგუფის მიერ რ. შენგელიას ხელმძღვანელობით რუბრიკით „ქართული სამედიცინო საუნჯე“, განახლებით გამოქვეყნებულ იქნა X ს. ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ (ტომი I), რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. კუხიანიძემ, ხოლო ლექსიკონი გადაამუშავა ნ. ხელიამ (ქანანელი, 1977; ხელია, 2000). მათივე ინიციატივით განახლებული გამოცემისათვის მომზადებულია XIII ს. ხოჯა ყოფილის „წიგნი სააქიმოდ“ (ტომი II). რ. სურმანიძის მიერ გამოცემულ იქნა ჯერ მცირე კარაბადინი, ხოლო შემდეგ ქართული კარაბადინები (სურმანიძე, 1974, 1996).

1975–1980 წწ. ჩვენ მიერ მ. შენგელიას ხელმძღვანელობით აღინუსხა 500-ზე მეტი ქართული სამედიცინო ხელნაწერი (ქსხ), რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (347), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ ისტორიულ არქივში (35), გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში (21), მ. შენგელიას სახ. ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში (8), საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (2), ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (3), ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (18), გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (7), გ. ჩუბინაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (11), ი. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში (11), ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (7), სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (3), ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში (1), ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში (2), ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (4), წინანდლის აღ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (1), სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (30) და სალტიკოვ-შჩედრინის სახ.

ბიბლიოთეკაში (18). მათ შედგენილი აქვთ უნიკალური, აღწერილობითი ხასიათის კატალოგი, სადაც ტექნიკური მონაცემების გარდა არის ინფორმაცია შინაარსის, კერძოდ, მოწოდებულია, დაავადებათა საძიებელი (Хелაია, Дзадзამია, 1977). ქს თავისი შინაარსის, არქიტექტონიკის და ტიპოლოგიის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგნაირად: 1. ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატები; 2. საექიმო წიგნები – სახელმძღვანელოები; 3. სამკურნალო წიგნები – კარაბადინები, რომლებიც შეიცავენ სამედიცინო რეკომენდაციებს და რეცეპტებს; 4. კრებულები, რომლებიც შეიცავენ სამედიცინო შინაარსის სტატიებს, პარაგრაფებსა და ფრაგმენტებს; 5. კრებულები, რომლებიც შეიცავენ ვეტერინარულ სტატიებსა და პარაგრაფებს; 6. მოკლე ცნობარები, ე.წ. ჯიბის კარაბადინები; 7. სამედიცინო შინაარსის ფრაგმენტები; 8. ლექსიკონები; 9. ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ სამედიცინო შელოცვებსა და მაგიურ რიტუალებს (შენგელია, 1980; Shengelia, Khelaia, 2006).

დასახელებული ხელნაწერების მიხედვით შესწავლილია მედიცინის ისეთი დარგების განვითარების ისტორია, როგორცაა: ნევროლოგია, ოფთალმოლოგია, გინეკოლოგია, კარდიოლოგია, ქირურგია, გასტროენტეროლოგია, სტომატოლოგია, ფთიზიატრია, გერონტოლოგია, გერიატრია, კოსმეტოლოგია და სხვა. ამ მასალების გამოყენების შედეგად დაცული იქნა 15 დისერტაცია და გამოქვეყნდა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

ჩატარებულია აგრეთვე კვლევები ბუნებრივ სამკურნალო საშუალებათა (ბსს) დასახელებების იდენტიფიცირების მიზნით, დადგენილია მათი თანამედროვე დასახელება, გაშიფრულია უძველესი რეცეპტები და შეფასებულია მათი მნიშვნელობა თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებლად (ხელაია, შენგელია, 1997).

ქსს-ში მოხსენიებულ ბსს-თა აპრიორული შეფასებისა და შესწავლისათვის რ. შენგელიას მიერ შექმნილია სპეციალური კომპიუტერული პროგრამა – Remedies Estimating Program, რომლის დახმარებით დგინდება ზოგადად ბსს-თა და კონკრეტული დაავადებების მიმართ მათი ე.წ. „სანდოობის კოეფიციენტი“ (შენგელია, 1997; Shengelia, Khelaia, 2006).

ქსს-ში მოცემული მასალის გამოყენებით ჩვენ მიერ განხორციელებულ იქნა რამდენიმე პროექტი: „საქართველოს ტმ-ში გამოყენებულ ბსს-თა კარტოგრაფირება“ (1993–1995); „ტრადიციული მედიცინის საინფორმაციო ბაზა და ანალიზი“ (1997–1998); „სიცოცხლის გახანგრძლივება და მისი

ხარისხის გაუმჯობესება კავკასიური დღეგრძელობის და საქართველოს ტმ-ის საფუძველზე“ (2004–2007); ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „ეთნოსამედიცინო ტერმინოლოგიური თეზაურუსი“ (2009–2010).

1998–2004 წწ. ჩვენ მიერ შეიქმნა ქსს-თა უნიკალური აღწერილობითი ხასიათის კატალოგის ელექტრონული ვერსია, სადაც, ტექნიკური მონაცემების გარდა, არის ინფორმაცია მათი შინაარსის შესახებ. კერძოდ, მოწოდებულია დაავადებათა საძიებელი, რაც ხელს შეუწყობს მედიცინის სხვადასხვა დარგის მკვლევარებს, მათთვის საინტერესო მასალის მიზანმიმართულ ძიებასა და კვლევას. ქსს-თა მოძიება უნდა გაგრძელდეს როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. შესასწავლია საქართველოს საპატრიარქოს არქივები და ფონდები, სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ნიმუშები. ცნობილია, რომ 1980 წლის შემდეგ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებს შეემატა ბევრი ქსს. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ ქართულ ენაზე შედგენილი აღწერილობითი კატალოგის ელექტრონული ვერსია არასრულია, ამიტომაც კვლევა ჯერ არაა დასრულებული და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ბევრი საინტერესო მასალა იქნება გამოვლენილი და შესწავლილი.

1980–1984 წწ. ქსს-თაგან ჩვენ მიერ შერჩეული და შესწავლილ იქნა ორიგინალური ნიმუშები: XVI–XVII სს. „კარაბადინი კარგი და მარგებელი“ (ხელნაწერთა ეროვნული ფონდი H-414), „საეჭიმო წიგნი“ (ხელნაწერთა ეროვნული ფონდი H-916), XVII ს. „აბრამ მწერლის კარაბადინი“ (ხელნაწერთა ეროვნული ფონდი H-3045), XVIII ს. „აზრუმელის ცნობარი“ (მ. შენგელიას სახ. ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი ფ. 46 №6).

ამ ხელნაწერებში მოყვანილ დაავადებათა სამკურნალოდ გამოყენებულ მცენარეებზე ჩვენ მიერ მომზადდა სადისერტაციო ნაშრომი ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „მცენარეები XVI ს. II ნახ. და XVIII ს. ქართულ ხელნაწერებში“ (Хелани, 1985). კვლევა წარმართეთ ფარმაკოლინგვისტიკური მეთოდით, კერძოდ, ტაქსონომიური და ეთნობოტანიკური ანალიზით. მოვახდინეთ იდენტიფიცირება და დავადგინეთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერებში და ეთნოგრაფიულ მასალებში მოყვანილია მთელ რიგ მცენარეთა უცხოური და ქართული სინონიმური დასახელებები, რომლებიც პრაქტიკულად შეესაბამება ერთსა და იმავე სახეობას. ბოტანიკურ-სისტემატიკური გამოკვლევის საფუძველზე შევადგინეთ მცენარეთა სახეობების კატალოგი, რომელშიც გათვალისწინებულია მათი თანამედროვე ბინარული ნომენკლატურა, უახლესი ტაქსონომია, გავრცელების არეალი, რესურსები,

ეთნობოტანიკური, ეკოტოპოლოგიური და ფარმაკოგნოსტური მონაცემები. შესწავლილ მცენარეთა უმეტესობა საქართველოს ველურად მოზარდი ფლორის წარმომადგენელია, მათ შორის აღინიშნება ზოგიერთი ენდემები, ასევე კულტივირებული და ინტროდუცირებული სახეობები (ხელაია, შენგელია, 1997, გვ. 171-174).

ჩვენ მიერ მოკვლეული შევუდარეთ ადრეულ, კერძოდ X-XVI სს. ხელნაწერების მიხედვით ნ. წუწუნავას მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს (წუწუნავა, 1966). ინფორმაციათა შეჯერებამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

- X-XVIII სს. ქართულ სამედიცინო ხელნაწერ ძეგლებში მოყვანილ მცენარეთა სია მოიცავს 335-ზე მეტ ტაქსონს, რომელთაგან 250 სახეობის შესახებ არსებული ინფორმაციის კონსტატაციას აქვს ადგილი, ხოლო 74 სახეობის და 11 გვარის შესახებ ჩვენ მიერ პირველადაა გამოყოფილი ის მასალა, რომელიც არ არის მოყვანილი X-XVI სს. ხელნაწერებში და საშუალებას გვაძლევს მეცნიერებაში სამკურნალო მცენარეთა შესახებ შემოვიტანოთ ახალი ფაქტები.
- 74 სახეობიდან და 11 გვარიდან 22 სახეობა და 4 გვარი ოფიცინალური მცენარეებია (Государственная фармакопея СССР, 1968), რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა როგორც მეცნიერულ, ასევე ხალხურ მედიცინაში იგივე ან სხვა დანიშნულებით (Neubauer, Klimes, Cerns, 1986; National Formulary of Unani Medicine, 1982; Shengelia, Wirth. Volk ohne Krankheit, 1992). 35 სახეობა და 5 გვარი კი გამოიყენება მხოლოდ ხალხურ მედიცინაში იგივე ან სხვა დანიშნულებით (Macdonald, 1974; Neubauer, Klimes, Cerns, 1986). 17 სახეობა და 2 რიგი არ გამოიყენება არც მეცნიერულ და არც ხალხურ მედიცინაში.
- ქართული კლასიკური სამედიცინო ძეგლების ფურცლებზე მოხსენიებულ მცენარეთა 70% გვხვდება ეთნოგრაფიულ მასალებში. თანხედენის ასეთი მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ხელნაწერთა ავტორების ან შემდგენლების მიერ მოწოდებული რეცეპტები დაფუძნებული იყო როგორც საკუთარ გამოცდილებაზე, ასევე ხალხური მედიცინის მონაცემებზე.
- უპრიანი იქნება ადვადგინოთ სათანადო შემოწმების შედეგად დაუმსახურებლად მივიწვებული, მაგრამ მნიშვნელოვან მცენარეთა გამოყენება, რომელთა შესახებ გვამცნობს შესწავლილი ხელნაწერები და ხალხური მედიცინის მასალები, და გამოვეყთ ახალი ობიექტები, რომლებიც

სასურველია რომ მეცნიერულად შესწავლილ იქნენ მომავალში (ხელაია, შენგელია, 1997, გვ. 171–174).

ამჟამად მიმდინარეობს ქს-ში მოყვანილ სამკურნალო მცენარეთა მიმართ „სანდრობის კოეფიციენტის“ დადგენა.

წინასწარი მოკვლევით უნდა დაჯგუფდეს მცენარეები შემდეგი პრინციპით:

- ის სამკურნალო მცენარეები, რომელთა გამოყენება სავსებით შესაძლებელია, ოღონდ მათ ეფექტურობაზე თვით დამამზადებელი მკურნალი აგებს პასუხს მორალურად, პრაქტიკულად და იურიდიულად.
- ის სამკურნალო მცენარეები, რომელთა გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს შესაბამისი ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული გამოკვლევები და დადასტურება მათი მინიმალური ეფექტურობისა მაინც და უვნებლობის შესახებ.
- ის მცენარეები, რომელთა მიმართ შესაძლოა დაისვას საკითხი მათი აკრძალვის შესახებ (ხელაია, შენგელია, 1997, გვ. 171–174).

ძველი რეცეპტურის გაშიფვრისას აღმოჩნდა, რომ რთულ ნაკრებებში არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მოქმედების ინგრედიენტები იყო გამოყენებული. მრავალკომპონენტური საშუალებათა ურთიერთშესაბამისობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ასეთ რთულ ნაკრებში შესული იყო ისეთი საშუალებები, რომელთაც ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ სინერგიზმი, რითაც ძლიერდებოდა წამლის მოქმედება, ან პირიქით, ანტაგონისტურ მოქმედებას ამჟღავნებდნენ, რაც წამლის მოქმედების ეფექტს ასუსტებდა, ან საერთოდ თრგუნავდა, ზოგჯერ საშუალებები ერთმანეთის მიმართ ტოლერანტულ თვისებებსაც ამჟღავნებდნენ. დღეს ჩვენი მოსახლეობის ნაწილი მიმართავს ბსს-ით მკურნალობას და ამდენად საშურია კვლევა ამ მიმართულებით გადრმავედეს და მოხდეს ისეთი ნაკრებების შერჩევა, რომლებსაც ექნებათ კონკრეტულ შემთხვევებში უსაფრთხო და ეფექტური მოქმედება.

ამჟამად ქვეყნდება აღნიშნულ ხელნაწერთა ტექსტები კომენტარებითა და ერთიანი ლექსიკონით, რომლებიც შევლენ „ქართული სამედიცინო საუნჯის“ ტომეულებში ერთ-ერთ წიგნად სათაურით „ოთხი ქართული სამედიცინო ხელნაწერი (XVI–XVIII სს.)“

ამ ხელნაწერთა დასახელება პირობითია და მეტად ხელსაყრელია მათ წარმოსადგენად. ამგვარი ქმედება ნაკარნახევია როგორც მათი შინაარსით, არქიტექტონიკით და ტიპოლოგიით, ასევე ტექსტში მოყვანილი ანდერძით და მინაწერით. XVI–XVII საუკუნეების ხელნაწერის მხედრული მინაწერი

(H-414, 95 r) ადასტურებს მის სასარგებლო ხასიათს, რის გამოც მას პირობითად ეუწოდეთ „კარაბადინი კარგი და მარგებელი“, ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით კი მივაკუთვნეთ ხელნაწერთა მესამე კატეგორიას; ხელნაწერები – XVII საუკუნის „აბრამ მწერლის კარაბადინი“ და XVIII საუკუნის „აზრუმელის ცნობარი“ ასე დავასათაურეთ იმ მიძღვნისა თუ ანდერძის გამო, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან სახელები „აბრამი“ (H-916, 26 r) და „აზრუმელი“ (ფ. 46, №6, 65r-v), „აბრამ მწერლის კარაბადინი“ მივაკუთვნეთ მეოთხე ტიპს, ხოლო „აზრუმელის ცნობარი“ – მეშვიდეს; ხელნაწერები „საექიმო წიგნი“ (H-3045) და „გულინოზას ცხენის საკურნებელის“ ფრაგმენტები (H-414) ამგვარად დავასათაურეთ მათი ტექსტის შინაარსის მიხედვით. „საექიმო წიგნი“ მივაკუთვნეთ სასწავლო სახელმძღვანელოებს ანუ მეორე ტიპს, ხოლო „ცხენის საკურნებელი“, ვეტერინარული ხასიათის გამო, მესუთეს.

ხელნაწერთა ნუსხური ტექსტები გადმოვწერეთ თანამედროვე მხედრული ანბანით, სტილი გაემართეთ, თუმცა შევეუნარჩუნეთ ორიგინალის სტრუქტურა; ტექსტი გაბმულად დავბეჭდეთ; თანამედროვე ნორმების შესაბამისად გაემართეთ პუნქტუაცია; შევასწოროთ უნებლიე შეცდომები: ასოს კლება, ასოთა ან სიტყვათა გამეორება, ე.წ. კალმის შეცდომები და სხვა მისთანანი. ქარაგმიანი სიტყვები გავხსენით, შენიშვნები სქოლიოშია ჩატანილი. თითოეულ ხელნაწერს დავუთმეთ დაავადებათა საძიებელი, ხოლო ყველას შევეუდგინეთ ერთიანი ლექსიკონი.

„კარაბადინი კარგი და მარგებელი“

„კარაბადინი კარგი და მარგებელი“ დაცულია საქართველოს აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II ფონდი 414, ტ. 1, გვ. 309–310 1946), შეიცავს 95 ფურცელს, 18სმ×13,3სმ, დაწერილია ქაღალდზე, აქვს ტყავადაკრული ხის ყდა, ყდის შიგნით გაკრულია ყვავილებიანი ქსოვილი. ხელნაწერი ერთ დროს დაშლილი ყოფილა, დღეს აღდგენილია, აკინძულია. ტექსტი თავნაკლულია, დაწერილია ნუსხა-ხუცურით, ლამაზად, სხვადასხვა ხელით, სათაურები გამოყოფილია სინგურით და იწყება ასომთავრულით, არ არის დაცული პუნქტუაცია და აბზაცები, პაგინაცია თანამედროვეა, ზოგიერთი გვერდების აშიებზე გაკეთებულია მინაწერები.

ხელნაწერი ძირითადად დათარიღებულია პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, რომლებიც XVI საუკუნის ბოლოსათვის და XVII საუკუნის დასაწყისისათვისაა დამახასიათებელი (აგრეთვე წიგნის ბოლოში მოთავსებული მხედრული მინაწერებით, რომლებიც პალეოგრაფიული ნიშნებით XVII საუკუნისაა, რაც ნამდვილად დასტურდება მასში მოყვანილი ცნობებით).

პირველი მინაწერი ასეთია: „ქრისტე ღმერთო აცხოვნე ფატაქე მოსე და ყოვლად წმინდაო ღ(ვ)თის მშობელო მეუფეჲ – აფხაზეთისა კ(ათალიკო)ზი ეფთვიმი, ან მისი დამწერი სერაპიონ ჩიჯავაძე – კარგად ამყოფე“ (H-414, 94v-95r). აქ მოხსენებული ვინმე ფატაქე მოსე და სერაპიონ ჩიჯავაძე ისტორიულად უცნობი პირებია, შესაძლოა ისინი ოდესღაც ხელნაწერის მფლობელები იყვნენ. რაც შეეხება ეფთვიმეს, მის შესახებ ცნობებს ვპოულობთ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა სიაში, საიდანაც ირკვევა, რომ ეფთვიმე საყვარელიძე აფხაზეთში კათალიკოსობდა 1669–1673 წლებში (ლომინაძე, 1954, გვ. 129–143).

მეორე მინაწერი შემდეგი შინაარსისაა: „ევედემონ წყალობითა ღ(ვ)თისითა აფხაზეთისა კათალიკოსი მოგახსენებ: მესტუმრენ ჩვენ, მაგიერად ჩვენსა, დიდად იმედად ღ(ვ)თის წყალობად, მისარჩელ მისახედავსა, ბედნიერსა და ღ(ვ)თისაგან ბედნიერად დაბადებულსა, სახელოვანსა და სახელგანთქმულსა, მრავალჯერ გამარჯვებულსა, ბატონსა დადიანსა ლეონს წინაშე მრავალსა ლოცვა კურთხევასა და ნახვისა ნატვრისაცა ვიკადრებ“ (H-414, 95 v). დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა სიიდან ვგებულობთ, რომ ევედემონ საყვარელიძე, რომელსაც სტუმრად წვევია სახელოვანი და სახელგანთქმული ბატონი დადიანი ლეონ და რომელიც, ცხადია, უნდა ყოფილიყო მისი თანამედროვე, აფხაზეთში კათალიკოსობდა 1666–1669 წლებში.

ამ პერიოდში, ე.ი. XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს მთავარნი იყვნენ „ხელმწიფეთ-ხელმწიფის“ ეპითეტით ცნობილი ბატონი დადიანი ლეონ მანუჩარის ძე (1634–1642 მთავრად ყოფნის წლები) და მისი ძმისწული ლეონ დადიანი (1661–1680 მთავრად ყოფნის წლები). მიუხედავად იმისა, რომ ძმისწული ლეონ დადიანის მთავრად ყოფნის წლები ემთხვევა ევედემონ და ეფთვიმე საყვარელიძეების აფხაზეთში კათალიკოსობის წლებს, ჩვენი აზრით, მინაწერში უფროსი ლეონ დადიანი უნდა იყოს მოხსენებული. ამის ფიქრის საშუალება მოგვცა მასზედ ეფთვიმე საყვარელიძეზე არსებული ცნობების შეჯერების შედეგებმა. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან („დასავლეთ

საქართველოს საეკლესიო საბუთები“, 1921, წიგნი 1) ვგებულობთ, რომ ლეონ დადიანმა, თავის ბიძა გიორგი ლიპარტელიანთან ერთად ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას და კათალიკოს ეფთვიმს დაუდგინა გადასახადი.

გამოდის, რომ ლეონ დადიანი არა მარტო ევდემონ საყვარელიძის, არამედ ეფთვიმე საყვარელიძის თანამედროვე ყოფილა, რასაც მოწმობს „ქრთამის გამოღების წიგნი კათალიკოს ეფთვიმე საყვარელიძისა ლეონ დადიანისა და გიორგი ლიპარტელიანისადმი“ („ქართული სამართლის ძეგლები“, 1970, გვ. 394). აქ მოცემულია ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის კათალიკოსმა ეფთვიმე საყვარელიძის ძემან გამოუღო ქრთამი ლეონ დადიანს და გიორგი ლიპარტელიანს, მას მერე, რაც მათ ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირეს ჭაღა, მონასტერი და დიდი მამული.

ზემოხსენებული მხედრული მინაწერების განხილვის შედეგად, რომლებიც თარიღდებიან XVII საუკუნის 70-იანი წლებით, კიდევ ერთხელ გვეძლევა საშუალება ვთქვათ, რომ აღნიშნული ხელნაწერი მიეკუთვნება XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისს, ე.ი. ხელნაწერი შედარებით უფრო ადრინდელია, ვიდრე მის ბოლო ფურცელზე მოთავსებული მხედრული მინაწერები.

ხელნაწერის შესწავლის მიზნით ტექსტი გადმოვწერეთ თანამედროვე ქართულ დამწერლობაზე – მხედრულზე. შინაარსობრივი ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ იგი შედგება 3 ნაწილისაგან. პირველი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ხელნაწერის ძირითად ნაწილს, შეიცავს სამედიცინო შინაარსის ტექსტს (H-414, 1r-77v), მეორე ნაწილში ძირითადად მოცემულია რელიგიური შინაარსის ტექსტი, კერძოდ, ქრისტიანული ლოცვა-კურთხევა (H-414, 80r-90v), მესამე ნაწილი კი წარმოადგენს „გულინოზას ცხენთა საკურნებელის“ ფრაგმენტებს, რომელიც დღემდე ცნობილ ვეტერინარულ ძეგლებს შორის ყველაზე ადრეულია (H-414, 78r-v; 91r-94v).

ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ ხელნაწერის პირველ ნაწილზე, რომელიც იწყება შემდეგნაირად: „...მრთელსა კაცისგ(ა)ნ ზაფხულის აღებად არა კამს და უფროსდა, ხ(ოლო) მოყმეთგ(ა)ნ მაისითგ(ა)ნ ვ(იდრ)ე ენკენიადმდე“ (H-414, 1r); წყდება მოწამლულისათვის რეცეპტის აღწერით (H-414, 77v). მასში მოყვანილია 500-მდე სხვადასხვა დაავადება.

ზოგიერთი დაავადება მოკლედ და ლაკონურად არის აღწერილი, ზოგჯერ დაავადება მხოლოდ დასახელებულია და კონკრეტულად არის მოყვანილი მისი მკურნალობა, ზოგიერთი კი ვრცლად არის განხილული, აღნიშნულია მისი გამომწვევი მიზეზები, სიმპტომები, დიფერენციული

დიაგნოსტიკა და სხვა. ავტორს ავადმყოფის გამოკვლევისათვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა სადიაგნოზო საშუალებები, დაავადებათა გამოცნობის ხერხები. ავადმყოფთა ობიექტური გასინჯვის მეთოდები, მათ შორის სხეულის ხელის ნაბანი წყლის გასინჯვა, არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სხეულის გამოკითხვას-ანამნეზს. აღსანიშნავია, რომ თითოეული დაავადების სამკურნალოდ რამდენიმე განსხვავებული მეთოდი მოწოდებული, რომლებშიც გამოყენებულია ბუნებრივი სამკურნალწამლო საშუალებები: 277 მცენარეული, 262 ცხოველური და 66 მინერალური სამყაროდან

ხელნაწერი დასათაურებულია ჩვენ მიერ ტექსტის ბოლოში არსებული მხედრული ერთი მინაწერის მიხედვით: „კარაბადინი კარგი და მარგებელი, წამლებით სავსე და რა მკურნებელი“ (H-414, 95r) (ხელაია, 1978; Хелая, 1987).

„გულინოზას ცხენთა საკურნებელის“ ფრაგმენტი

„გულინოზას ცხენთა საკურნებელის“ ფრაგმენტი „კარაბადინი კარგი და მარგებელი“ მესამე ნაწილია. ის ერთ-ერთი ადრეული ვეტერინარული ხელნაწერია ამგვარი შინაარსის ძეგლთა შორის.


საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ წიგნთსაცავებში გამოვლენილ იქნა 47 ზოოვეტერინარული ხელნაწერი, მათგან 30 დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, 5 – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, 3 – სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, 2 – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ ისტორიულ არქივში, 2 – თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, 2 – საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, 1 – სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში, 1 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და 1 – სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

47 ხელნაწერიდან ცხენის კარაბადინია 35, ძაღლისა – 1, ფრინველისა – 9 და სავეტერინარო რეცეპტურის – 2 ხელნაწერი.

ცხენის კარაბადინებიდან უცნობი ავტორის მიერ ხუცურით დაწერილი კარაბადინია 1, ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კარაბადინია 20, იონანე ოსეს ძის მიერ შედგენილი კარაბადინია 7, ბაგრატ ბაგრატიონის მიერ

შედგენილი სამკურნალო წიგნია 5 და უცნობი ავტორის მიერ შედგენილი ცხენის კარაბადინია 2.

ძაღლის კარაბადინი იონანე ბაგრატიონს ეკუთვნის, უცნობი ავტორის მიერ შედგენილი ფრინველის კარაბადინის 9 ნუსხა და სავეტერინარო რეცეპტურის 2 ნუსხა ეკუთვნის ბაგრატ ბაგრატიონს (კაპანაძე, 1997, გვ. 167).



ცხენთა ვეტერინარული ხასიათის ხელნაწერთა შორის ყველაზე პოპულარული და საინტერესოა ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი ნაშრომი „ცხენთა ცნობისა და აქიმობის“, რომელიც დათარიღებულია 1707–1714 წ.წ. და 1816 წელს ბაგრატ ბატონიშვილის (ბაგრატიონი) მიერ დაწერილი „ცხენთა კარაბადინი“. ეს უკანასკნელი სტამბურადაა გამოქვეყნებული 1818 წელს, მოსკოვში, გ. ფირალიშვილის რედაქციით. საქართველოში არსებული ვეტერინარულ ძეგლთაგან მხოლოდ ეს ორი ხელნაწერია შესწავლილი. მათში განხილულია ცხენის თითქმის ყველა ცნობილი დაავადება და მათი მკურნალობის მეთოდები.

ჩვენი გამოკვლევების თანახმად, საქართველოში ვეტერინარიის შესახებ სრული და დამოუკიდებელი სახით შემორჩენილია XVIII-XIX საუკუნეების ხელნაწერები. უფრო ადრეული ხელნაწერები გვხვდება მხოლოდ ფრაგმენტების სახით, რომლებიც განთავსებული იყო კარაბადინებსა თუ საექიმო კრებულებში. ეს არაა გასაკვირი, რადგან იმ დროს ვეტერინარია არ ითვლებოდა დამოუკიდებელ მეცნიერებად, ხოლო სამედიცინო შინაარსის ხელნაწერთა ავტორები კი კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული ვეტერინარიის ცალკეულ საკითხებში.

ერთ-ერთ ასეთ ფრაგმენტად გვევლინება „გულინოზას ცხენთა საკურნებელის“ ფრაგმენტები, რომელიც XVI-XVII საუკუნეების „კარაბადინი კარგი და მარგებელის“ მესამე ნაწილია (H-414, 78r-v, 91r-94v), ავტორი ან გადამწერი ვინმე „გულინოზა“, დაწერილია ნუსხა-ხუცურით, სიტყვების საწყისი ასოები ასომთავრულით. ამ ფრაგმენტში აღწერილია ცხენთა 43 სახის დაავადება და მათი მკურნალობის მეთოდები. დაავადებები წარმოდგენილია მოკლედ, თითოეულ დაავადებაზე მკურნალობის რამდენიმე წესია მოწოდებული, რისთვისაც გამოყენებულია 15 მცენარე, 25 ცხოველური და 15 მინერალური წარმოშობის სამკურნალო საშუალება. მთელი რიგი დაავადებების სამკურნალოდ მოწოდებული სხვადასხვა მანიპულაციები მითითებულია ცხენის სხეულის რომელ ადგილზე უნდა ჩატარდეს ისინი და რამდენჯერ, ზოგჯერ გრაფიკულადაცაა გამოხატული დასერვის (დაშაშერის) და მოწვის (დაშანთვის) პროცედურები.

ფრაგმენტი იწყება: „გულინოზას ცხენთა საკურნებელი, ცხენი რ(ომელი) გიყუარდეს, მოიღე ღორის პოხლი, ახალი ჩხინკელი გაზაფხულისა და თეთრი ღვინთა შეაზავე, და ცოტა საბრი ურთე, და პირსა ჩაასხი და ს(ა)მსა წელსა ს(ა)ლმობ(ა)ე არა წაეკიდოს“ (H-414, 78r).

მთავრდება: „თუ ცხენსა მუკლის თ(ა)ვი გაუსივდეს. იქით აქათ ორი შანთი დაავლე, მერმე გარდა გ(ა)რდმო გარდაავლე, ასრე რომე დამინიშნავს, მერმე რომე უკანეთ კუნთსა ღარი ჩასდევს ორგნითვე თითო შანთი ჩაავლე, ასრე რომ შანთის წუერი შეეც“ (H-414, 94r). (ხელია, 1976).

„აბრამ მწერლის კარაბადინი“

„აბრამ მწერლის კარაბადინი“ დაცულია საქართველოს აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ცნობილია, რომ იგი

შეწირულია პლატონ იოსელიანის ქვრივის, ანა ნიკოლოზის ასულის მიერ. გადამწერი აბრამი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი 916, ტ. 2, გვ. 288–289, 1951).

ამ წიგნს იხსენიებს ქართულ სამედიცინო ხელნაწერთა გამოჩენილი მკვლევარი და მეცნიერი, ექიმი ლადო კოტეტიშვილი. იგი თვლის, რომ ამ ხელნაწერის დედანი ბევრად უფრო ძველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიტყვა „კარაბადინს“ და ქრისტიანულ ლოცვებს, რომლებიც მოკვიანებითაა შეტანილი. მისი აზრით, ეს წიგნი გადადის წარმართულ ხანაში და შესანიშნავი დასტურია სატაძრო მედიცინის, ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ზოგიერთი ლოცვის და შელოცვის მაგალითები. წიგნს კი ათარიღებს XIV საუკუნით (ყოფილი, 1936). ლ. კოტეტიშვილი აბრამს თვლის ავტორად. იგი წერს, რომ „არის კიდევ მესამე მწერლის, აბრამის კარაბადინი, დაწერილი აგრეთვე ნუსხურით, მაგრამ ის საექიმო წიგნებს ვერ მიეკუთვნება, თუმცა მასში ძვირფასი საექიმო ცნობებია განლაგებული (ქანანელი, 1940).

ხელნაწერი შედგება 3 ნაწილისაგან, შეიცავს 82 ფურცელს, 20სმ×14სმ, დაწერილია ქაღალდზე, ნუსხა-ხუცურით, აკინძულია, ყდა არ აქვს, თავბოლონაკლულია. ქაღალდის და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღებულია XVII საუკუნით (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. 2, 1951). სათაურები და ყოველი წინადადების საწყისი ასოები სინგურით და ასომთავრულით არის დაწერილი, ცალკეული ფურცლები ორნამენტირებულია. ბოლო ფურცლებზე მხედრულით მიწერილია რამდენიმე ფრაზა, აშიებზე მიწერილია ზოგიერთი რეცეპტი. ხელნაწერის მეორე ნაწილის ბოლოში მიწერილია: „ამ წიგნის ფურცლები ოთხმოცდახუთი არის“ (H-916, 26v), აქედან გამომდის, რომ ხელნაწერს აკლია 8 ფურცელი.

კარაბადინის ავტორის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან მას არ აქვს თავფურცელი, სადაც, როგორც წესი, მითითებულია ავტორის ვინაობა. მეორე ნაწილის ბოლო აბზაცში, იმავე ხელით, რომლითაც მთელი ხელნაწერია დაწერილი, მოთავსებულია ანდერძი: „გათ(ა)ვდა კარაბადინი, ამის მწერელსა მოძღუა(რ)ს აბრამს, შეუნდნეს ა(მ)ინ ღ(მერთმა)ნ. ვინცა გამიჯს(ე)ნოთ, თქ(უე)ნცა შეგინდეს, ღ(მერთმა)ნ, ა(მ)ინ“ (H-414, 25v). აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ აბრამი ან ავტორი-შემდგენელია, ან გადამწერი. რაც შეეხება მის საქმიანობას, იგი მოძღვარია. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შედგენილი აღწერილობის მიხედვით აბრამი „გადამწერია“ (ქართულ ხელნაწერთა

აღწერილობა, H ფონდი, ტ. 2, 1951), ლ. კოტეტიშვილი აბრამს იხსენიებს როგორც „მწერალს“ (კოტეტიშვილი ლ., 1936). სულხან-საბა ორბელიანი XVII საუკუნის „სიტყვის კონაში“ (1919) სიტყვა „მწერელს“, „მწერალს“ განმარტავს როგორც „მხატვარ-კალიგრაფს“. გამოდის, რომ აბრამი გადამწერია და არა ავტორი-შემდგენელი. გარდა ამისა, მეორე ნაწილის ბოლოში არის მხედრული მინაწერი: „ესე წიგნი ციქურის ნაობ(!) დიაკუნისა არის, ვინაცა, რამაც კაცმან მოიპაროს ანუ წა(ა)რთოს, ისიმც შაიშლება თავის რჯულიდამ...“ (H-414, 26v). გამოდის, რომ წიგნის მფლობელი ვინმე დიაკვანია. ვარაუდი იმის შესახებ, რომ აბრამი წიგნის მფლობელი შეიძლება იყოს და ამიტომ არის მოხსენიებული მისი სახელი, გამორიცხულია. ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მხოლოდ ავტორს-შემდგენელს, უფრო კი გადამწერს შეეძლო ძირითად ტექსტში ანდერძის ჩართვა, რასაც ადგილი აქვს აღნიშნულ ხელნაწერში. აქედან გამომდინარე, აბრამი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გადამწერად, ამიტომაც ამ ხელნაწერს პირობითად ვუწოდეთ „აბრამ მწერლის კარაბადინი“.

კარაბადინის პირველ ნაწილში (H-414, 1r-7v) მოყვანილია ასტროლოგიური ცნობები. აღწერილია წელიწადის ყველა დრო, მითითებულია თუ როგორი ამინდი იქნება მთელი წლის მანძილზე, როგორი მოსავალი იქნება წელიწადის სხვადასხვა დროს მთაში, ზეგანზე, მინდვრებში, როდის იქნება მზის და მთვარის დაბნელება, რა სისშირით იქნება სიკვდილიანობა და ავადობა მოსახლეობაში, შინაურ ცხოველებსა და მწერებში (ფუტკრები). ამ ნაწილში მოყვანილია „კალანდრა მართალი და ჭეშმარიტი თქმული ეზრა წინასწარმეტყველის მიერ“, რომელშიც მოცემულია პროგნოზი ამინდის, მოსავლის, ავადობის, სიკვდილიანობის შესახებ მთელი წლის მანძილზე, იმის გათვალისწინებით, თუ კვირის რომელ დღეს იწყება იანვარი (აღწერილია კვირის შედივე დღე).

კარაბადინის მეორე ნაწილს (H-414, 8r-26r) წარმოადგენს „კარაბადინი მართალი და ჭეშმარიტი“. ეს ნაწილი შეიცავს სამედიცინო ხასიათის ტექსტს, რომელიც იწყება ასე: „რ(ომე)ლსა მუცელი ქართა ებერებოდეს, თაფლი და თეთრი თუთ(ა)დ სამსა დღესა უზმასა ასუ და ერგოს“ (H-414, 8r). მთავრდება ზემოთ მოყვანილი ანდერძით (H-414, 25v). ხელნაწერის ამ ნაწილში მოყვანილია 108 დაავადების დასახელება, არ არის მითითებული დაავადებათა გამომწვევი მიზეზები, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, სიმპტომები, მოკლე და კონკრეტულად არის მოწოდებული მკურნალობის

მეთოდები. სამკურნალო საშუალებებიდან გამოყენებულია 72 მცენარე, 43 ცხოველური და 16 მინერალური საშუალებები.

კარაბადინის მესამე ნაწილში (H-414, 27r-82v) მოყვანილია ქრისტიანული ლოცვები და დაავადებათა საწინააღმდეგო შელოცვები, რომლებიც ისტორიულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით არ არიან მოკლებული მეცნიერულ ინტერესს.

რაც შეეხება ლაღო კოტეტიშვილის ვარაუდს აღნიშნული ხელნაწერის დედნის არსებობის შესახებ, ჯერჯერობით არ დასტურდება, რადგან ჩვენ დღეისათვის ის ვერ მოვიძიეთ. კარაბადინის ტექსტის ღრმად შესწავლამ და მისმა შედარებამ სხვა, ამავე პერიოდის და უფრო ადრეული ხელნაწერების ტექსტებთან გვიჩვენა, რომ „აბრამ მწერლის კარაბადინი“ ორიგინალური ქართული ძეგლია (Хелани, 1976).

„საექიმო წიგნი“

„საექიმო წიგნი“ დაცულია საქართველოს აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი— 3045, ტ. 6, გვ. 352–353, 1953). შეიცავს 221 ფურცელს, 21სმ×16,5სმ, დაწერილია ქალაღზე, აქვს ხის ტყავადაკრული ყდა, რომლის შიდა მხარეზე მიკრულია XVIII საუკუნით დათარიღებული, ნუსხურით დაწერილი ფურცლები. თავბოლონაკლულია, დაწერილია მხედრულით, სათაურები და წინადადებათა საწყისი ასოები სინგურით. პუნქტუაცია და აბზაცები არ არის დაცული. ავტორი უცნობია. პალეოგრაფიული ნიშნებით და ქალაღის მიხედვით „საექიმო წიგნი“ დათარიღებულია XVIII საუკუნით (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. 6, 1953).

იწყება: „...სატკივარი იყოს, მას წამალი უნდა იყო... წერილისა წამლებისა... გასახსნელი წამლები გამოიღებს სველსა...“ (H-3045, 9r).

წყდება: „ხასიათი იორდასალებისა, როდისაცა კაცმა ჭამოს. შეიღს მარტს მოთხრილი დანაყე, წყლითა შეზიღე, მრავალსა ჭირსა დასჭრის და ერგების. მუავესა და მარილიანსა ეკრძალოს, ვინცა ჭამოს გულმტკივანმან ერგოს, რომელმანცა ჭამოს მოწამლვისგან ნუ ეშინიან მას დღესა, და თუ მთვრალმან სჭამოს მოამხიზლებს, თუ ნიადაგ სჭამოს უგანგებოთ არ მოკვდეს, სადა აკმიონ ეშმაკნი იოტებს, თუ მოკვდეს ენა ჩაჭრით ის

ამოავდებს, ვისაც მკლავსა ებას მაცთური ვერა მიეხალოს, თუ თესლი მისი ღვინითა... (H-3045, 221v).

აღნიშნული ხელნაწერის შედგენისას ავტორს უსარგებლია მანამდე არსებული ქართული და უცხოური კლასიკური სამედიცინო ძეგლებით, რაზეც მიუთითებს მედიცინის ზოგადი საკითხების შემცველი ზოგიერთი ფრაგმენტის შინაარსობრივი თანხვედრა. ეს ფრაგმენტები შეიცავს საყოველთაოდ აღიარებულ ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ცნობებს, პიეიენისა და დიეტის ძირითად საკითხებს, ავადმყოფის ობიექტური გამოკვლევის ხერხებს, დიფერენციულ დიაგნოსტიკას და სხვა.

ხელნაწერში დიდი ყურადღება ეთმობა ე.წ. „მაჯის ცნობას“, ავადმყოფის შარდისა და განავლის გამოკვლევას, სნეულის გამოკითხვას (ანამნეზი), ორგანიზმზე კლიმატური ფაქტორების გავლენას და სხვა.

ხელნაწერში ვხვდებით აგრეთვე ძველი ბერძნული, რომაული და აღმოსავლეთის ქვეყნების მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელთა იდეებს; ესენია: პიპოკრატე (459–377 ძვ. წ. აღ-ით), რომლის ჰუმორულ-პათოლოგიურ თეორიას დიდი მნიშვნელობა აქვს დღესაც. აღნიშნულ წიგნში ის „ბაგრატ აქიმად“ და „ბაღრატ აქიმად“ იხსენიება, კლაუდიუს გალეოსი (131–203) – „ჯვალინოზ აქიმად“ და „დიდ განილიედ“, აბუ ბაქარ მუჰამედ იბნ ზაქარია არ-რაზი ანუ რაზესი (923) – „მაჰმუდ ზაქარიას ძედ“ და „მუჰამედ ზაქარიას შვილად“, ისაკ ბენ სოლეიმანი ისრაელიდან (940) – „ისაკ აქიმად“, ხოლო აბუ ალი იბნ სინა ანუ ავიცენა „სინა აქიმად“ და „სინაის ძედ“ (980–1037).

ძველი ქართველი მკურნალების შეხედულებების საფუძველი პიპოკრატეს ჰუმორულ-პათოლოგიურ თეორიაა, რამაც ასახვა პოვა ჩვენ მიერ შესწავლილ „საექიმო წიგნში“.

ხელნაწერში ზოგიერთი დაავადების და სამკურნალწამლო საშუალების სპარსულ-არაბულ-თურქულ-სომხური ტერმინები ქართული ტრანსკრიპციითაა წარმოდგენილი, რომელიც ზოგჯერ თარგმნილი და განმარტებულია ავტორის მიერ ქართული შესატყვისებით. ამაზე მიუთითებს ხელნაწერებში მოყვანილი რამდენიმე ციტატა: „სხვა ამას გარეთისა სხვა გვარისა გველებისა ნიშანი და წამლები, რომ დაგვიწერია, არ რიგ ქვეყანასა არა ზის და თუ დაგეჭიროს იმათი წამლები და ნიშნები დიდსა კარაბადინსა ჰკითხეთ (H-3045, 172v), ან კიდევ „სხვა რაც ღვინოსა რგება აქვს და ან წყენა შეუძლია, ის ყველა დიდსა კარაბადინშიდან სწერია“ (H-3045, 184r).

როგორც ჩანს, ავტორს ხელთ ჰქონია რომელიღაც „დიდი კარაბადინი“, რომლითაც უსარგებლია. საჭიროდ არ მიუჩნევია გველების დახასიათება და ღვინის ნიშან-თვისებების აღნიშვნა, რადგან არსებობდა სათანადო ლიტერატურა, სადაც ვრცლად იყო მოთხრობილი ამის შესახებ, რომელზეც ავტორი მიუთითებს მკითხველს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია თუ რომელ სამკურნალო ძეგლს გულისხმობდა ავტორი „დიდ კარაბადინში“. ცხადია, ის ძლიერ პოპულარული და ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო XVIII ს. მცხოვრები დაინტერესებული მკითხველისათვის. ამიტომ საჭიროდ მივიჩნეთ გამოსაკვლევი სამედიცინო წიგნი ტექსტოლოგიურად შეგვედარებინა გამოცემულ ძეგლებთან. შედარებამ ცხადყო, რომ ყველაზე მეტი მსგავსება შეინიშნება „უსწორო კარაბადინთან“ (X ს.), რამაც გვაფიქრებინა აღნიშნული ხელნაწერი მის ერთ-ერთ ვარიანტად ჩაგვეთვადა. დასაშვებია აგრეთვე, რომ ავტორი „დიდ კარაბადინში“ სწორედ „უსწორო კარაბადინს“ გულისხმობდა.

„საექიმო წიგნის“ ავტორი წერს: „ხასიათი ღომისა მოგახსენოთ. გრილი არის, ადრე მთიდნობის და გუნება მჭურვალესა კაცსა კარგად მოუკლების, ასრე რომე სამჯერ, ოთხჯერ გარეცხონ, ასრე რომე გათეთრდეს კარგათ, შუშება და ზელა უნდა, სამჯერ უნდა დაზელა, მეოთხეზელა დაიზილოს და გარდმოდგას, ასრე უნდა შექნან და არას ავადმყოფსა არ დაეჭირვის. თუ მწვედ აცხელებდეს, ფუშრუკად რომ შექნა და ისრე აჭამო ისი სჯობს. ღომი ღიდსა კარაბადინშიგან არა ეწერა, რომე იმ ქვეყანას ღომი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ შეგვიმატებია, თუ შექნა, შიგან ყველი გაურიო და ერთად შექნა უფრო გემრიელი იქნების და გუნება მჭურვალესა კაცსა კარგათ მოუკლების“ (H-3045, 204r-204v). მოყვანილი ციტატა ამტკიცებს, რომ „დიდი კარაბადინი“ არ შეიძლება ჩაითვალოს ქართულ წყაროდ, რადგან იმ ქვეყანაში, სადაც ეს „დიდი კარაბადინი“ დაიწერა, ღომი არ იზრდება და ავტორის მიერ არის დამატებული. ღომი საქართველოში ენდემურია და საკმაოდ კარგად არის დასავლეთ საქართველოში გაერცელებული როგორც ველურად მოზარდი, ასევე კულტივირებული. „უსწორო კარაბადინი“ რომ ქართული ძეგლია, ეს ეჭვს არ იწვევს. ამიტომ ის ფრაზა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც „დიდი კარაბადინი“ დაიწერა, „ღომი არ ყოფილა“, არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ქართულ ძეგლს და არც „უსწორო კარაბადინს“, მითუმეტეს რომ ამ უკანასკნელში ღომი როგორც მცენარე, ან საკვები საშუალება არ მოიხსენიება (ქანანელი, 1940, 1977). შეიძლება ვიფიქროთ, რომ „საექიმო წიგნის“ ავტორი „დიდი კარაბადინის“

ქვეშ გულისხმობდა რამდენიმე წყაროს, მათ შორის შესაძლოა „უსწორო კარაბადინსაც“, რომელიც შესაძლოა ერთად იყვნენ აკინძულნი, ან გაერთიანებული რაიმე სხვა გზით. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ „საექიმო წიგნის“ ავტორი არა მხოლოდ სარგებლობდა მის ხელთ არსებული ლიტერატურით, არამედ მას კრიტიკულად უდგებოდა და შექპონდა თავისი დაკვირვებები და დამატებები.

XVIII ს. სამედიცინო ხელნაწერის მნიშვნელობა და ღირსება, ძირითადად, განისაზღვრება იმ ორიგინალური ნაწილით, რომელიც შეიცავს 400-მდე სხვადასხვა სახის დაავადების მკურნალობის მრავალ მეთოდს, რთული შედგენილობის სამკურნალო საშუალებებით.

„საექიმო წიგნში“ რთული რეცეპტების ნაკრებებში წარმოდგენილია 317 მცენარე, ამასთან ზოგიერთზე მითითებულია, თუ რომელი დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოიყენება, დეტალურადაა დახასიათებული მათი მოქმედების მექანიზმი. დიდი ყურადღება ეთმობა 285 დასახელების ცხოველური და 107 – მინერალური წარმოშობის სამკურნალო საშუალებებს.

აღსანიშნავია, რომ დღემდე შესწავლილ და გამოცემულ ქართულ სამედიცინო ძეგლებში დაავადება „ყვაილი“ და მისი მკურნალობა ასე ფართოდ არსად არის წარმოდგენილი. ამდენად, იგი ძალიან საინტერესოა. მასში მითითებულია ამ დაავადების გამომწვევი მიზეზები, სიმპტომები და მიმდინარეობა. აღწერილია ყვაილის სხვადასხვა ფორმები: შავი, წითელი და იისფერი. შესაძლოა ავტორი მათ ასხეავებს მხოლოდ დაავადების სიმძიმის მიხედვით.

XVIII ს. სამედიცინო ხელნაწერი შინაარსობრივი შესწავლის შედეგად მივაკუთვნეთ „საექიმო წიგნის“ კატეგორიას და ამიტომაც პირობითად ვუწოდეთ ეს დასახელება (ხელაია, 1983; Хелая, 1988).

„აზრუმელის ცნობარი“

„აზრუმელის ცნობარი“ დაცულია მ. შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში (ფონდი 26, №6). შეიცავს 55 ფურცელს, 11სმ×10,5სმ, დაწერილია ქაღალდზე, აკინძულია, აქვს სანიშნე ზონარი, არ აქვს ყდა, თავბოლონაკულია, ბოლო ფურცლები დაზიანებულია, დაწერილია მხედრულით, სათაურები გამოყოფილია სინგურით, სიტყვები გამოყოფილია ორი წერტილით, პუნქტუაცია და აბზაცები არ არის

დაცული, პალეოგრაფიული ნიშნებისა და ქაღალდის მიხედვით დათარიღებულია XVIII საუკუნით. შეწირულია ალექო ხელაიას ოჯახიდან.

როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერი თავბოლონაკლულია, ამიტომ ავტორ-შემდგენელის ან გადამწერის სახელი, რომელიც როგორც წესი, თავსა ან, ბოლოშია მოხსენიებული, ვერ დავადგინეთ. ხელნაწერის ტექსტში ვკითხულობთ: „...ესე საშანაო წიგნი მოგეც მე მიყარელიტ, შენ იშხნელი(ს) შვილის ქალს, ან(ა) ხანუმს, ასრე რომე არც გეშინოდეს და არც ჩემიანობისაგან. ჩვენი სახელი ეს არის, ათირმანი, მათირმანი, შათირმანი, ათირმან, მათირმან, შათირმან, მიყარელიტ აზრუმელი, ტყაოსანო, შუბოსანო, წითლოსანო...“ (ფ. 46 № 54r). ამ ციტატის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ვინმე აზრუმელი წიგნის მფლობელია და იგი უძღვის მას იშხნელის ქალიშვილს – ანას. ამ შემთხვევაში ჩუქების შესახებ წარწერა უნდა ყოფილიყო ხელნაწერის თავში, ან ბოლოში, ან კიდევ აშიაზე. ვინაიდან ხელნაწერი თავბოლონაკლულია, აშეებზე კი წარწერები არ ჩანს, ჩვენი აზრით, ტექსტში მოყვანილი სიტყვები ეკუთვნის გადამწერს და მხოლოდ მას. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნა, ძირითად ტექსტში მიძღვის ან ანდერძის ჩართვა დამახასიათებელია მხოლოდ გადამწერთათვის.

„აზრუმელის ცნობარი“ შეიცავს სამედიცინო შინაარსის ტექსტს, რომელიც იწყება ღვიძლის დაავადების საწინააღმდეგო შელოცვით: „...და ნურცა ადამიანის მუცელშიდა წ(ა)ვიდა დ(ე)და მარიამ დაჯდა სიონის კარსა, იქმოდა წ(ა)მალსა, წ(ა)მლის წ(ა)მალსა, შვიდფერსა თავის საღმობისასა, გადი და გაიარე ღვიძლსა ... (ფ. 46, №6, 1r) და წყდება რეკმატიული დაავადების საწინააღმდეგოდ მოწოდებული მკურნალობის მეთოდის აღწერით: „ქარისთვინ... თონე გაახურვოს, ზედ ჩელტი წაიდგას, ბევრი ანწლი წავოს, ჩაწვეს, ზედაც დაიყაროს, კარგა დაიხუროს, ნუ შეიცვიებს, თუ მოშივდეს, შიდ ჭამოს საჭმელი, მალე ნუ ადგება, იმიდგან რომ ამოვიდეს ქვეშაგებში ჩაწვეს, ორსა სამს დღეს კარში ნუ გავა, ქარი არ ეცეს მისთვისეე მოარჩენს ფილენჯს... (ფ. 46, №6, 56v).

„აზრუმელის ცნობარში“ მოყვანილია 62 სახის დაავადება. მასში მოკლედ და კონკრეტულად არის მოცემული დაავადების დასახელება. მკურნალობის მეთოდები. გამომწვევი მიზეზები, სიმპტომები და დიფერენციალური დიაგნოსტიკა არ არის მოყვანილი. მასში საინტერესოაა აღწერილი დაავადებათა მკურნალობის მეთოდები, რომლებშიც გამოყენებულია 141 დასახელების მცენარე, რომელთა ქართული სინონიმური დასახელებები უმეტესად დასავლეთ

საქართველოსთვის, კერძოდ კი, გურიის რეგიონისთვის არის დამახასიათებელი, 69 ცხოველური და 43 მინერალური წარმოშობის სამკურნალო საშუალებები. ცნობარში წარმოდგენილია 21 დაავადების საწინააღმდეგოდ შელოცვები და მაგიური რიტუალები, რომლებსაც აქვთ როგორც ისტორიული, ასევე პროფილაქტიკური მნიშვნელობა, განსაკუთრებით ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში, როგორც ერთგვარი ფსიქოთერაპიული ზემოქმედების მომხდენი.

მცირე ფორმატისაა და მოწოდებული ინფორმაციის ლაკონურობის გამო ხელნაწერი მივაკუთვნეთ ე.წ. ჯიბის კარაბადინების – მოკლე ცნობარების კატეგორიას და შევეურჩიეთ დასათაურება – „აზრუმელის ცნობარი“ (ხელაია, 1975; Хелаиа, 1986).

ოთხი სამედიცინო ხელნაწერის (XVI–XVIII სს.) დამახასიათებელი თავისებურებები

აღნიშნული ხელნაწერები პირველად ჩვენ მიერაა შესწავლილი, რაშიც გამოიყენეთ კვლევის თანამედროვე მეთოდები.

ტექსტების შედარებითი ანალიზის შედეგად გახდა შესაძლებელი მეტნაკლებად დამახასიათებელი საერთო თავისებურებების გამოყოფა. ხელნაწერებში ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებიდან უხვადაა წარმოდგენილი მცენარეული სამყარო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ცნობილია თანამედროვე მეცნიერული მედიცინისთვის და გამოიყენება პრაქტიკაში. მათგან ზოგიერთი მცენარე მიჩნეულია ოფიცინალურადაც, ნაწილი მცენარეებისა მხოლოდ ხალხური მედიცინისთვისაა ცნობილი და შინაგან მკურნალობაში გამოიყენება. მათ შორის შეიძლება გამოიყოს მცენარეთა რამდენიმე ჯგუფი: **პირველი** – რომლებიც თანამედროვე მედიცინასა და ხალხურ მედიცინაში გამოიყენება იგივე დაავადების დროს და იგივე დანიშნულებით; **მეორე** – რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დაავადების დროს და სხვადასხვა დანიშნულებით; **მესამე** – რომელთა სამკურნალო თვისებები არაა ცნობილი არც თანამედროვე მეცნიერულ, არც ხალხურ მედიცინაში, რომელთა შესახებ ვერ მოვიძიეთ ინფორმაცია თანამედროვე ფარმაკოტოტანიკურ ლიტერატურაში. უდაოა, რომ ისინი ხასიათდებიან სამკურნალო თვისებებით, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ არაერთხელ იხსენიებიან ჩვენ მიერ შესწავლილ სამედიცინო შინაარსის

ხელნაწერ ძეგლებში. სწორედ ამით არის განპირობებული ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი მათ მიმართ.

წამლების დასამზადებლად რეკომენდებულია ისეთი მეთოდები, როგორცაა: დუღილი (ხარშვა), ნაყენის დამზადება, დაღობვა, დასველება, გაწურვა, დაფხევა, გაცრა, გაშრობა, დაქუცმაცება, დანაყვა, დაგაღვა, შერევა, შეზავება და სხვა. თითქმის ყველა ეს მეთოდი დღესაც გამოიყენება წამლის დამზადების ტექნოლოგიაში.

წამლის დამზადებისას მთელ რიგ რეცეპტებში მკაცრადაა განსაზღვრული ინგრედიენტთა რაოდენობრივი შესაბამისობა. საზომ ერთეულებად წარმოდგენილია: **დრამი**, რომელიც შეესაბამება ბერძნულ დრამას და არაბულ დირჰემს, საორიენტაციოდ 3,186 გ; **დანგი** – არაბულ დანაკს – 0,531 გ; **მიტყალი** – მისკალს – 4,250 გ; **უნცია** – უკიას – 25,500 გ (Ибн Сина, 1982).

ფარმაცოლოგიურ საშუალებათა ძირითად ფორმებად იმ დროისათვის ითვლებოდა შემდეგი სახელწოდების რთული ნაერთები. ამათგან მთავარ ფორმებს წარმოადგენს მაჯუნები, გუარიშნი და იარაჯი. ამ სამი ფორმის ურთიერთისაგან განსხვავება ვერ ხერხდება.

თითქმის ყველა მაჯუნში მედიკამენტები შეხველილია თაფლში, ალბათ, თხელი „ფაფის“ სახით, რათა ისინი „შეისმონ“ შიგნით მიღების დროს.

მაჯუნთა კატეგორიას მიეკუთვნებთ თრიაყებიც, თუმცა მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესები განსხვავდება ერთმანეთისაგან, თრიაყი, თერია, ანუ თერიაყი საბასაც აქვს განმარტებული: „თერიაყი – სამსალის მკურნებელი“. სამსალა კი, მისივე განმარტებით, „მომაკუდინებელი“ წამალია.

მატბუხი უდავოდ გამონახარშია. მატბუხები ორგვარია – „გასახსნელნი“ (საფალარათონი) და „არა გასახსნელნი“.

მარცვლები ანუ **აბები**. აღებული სამკურნალწამლო საშუალებანი უნდა დაინაყოს კარგად, გაიცრას, შემდეგ უნდა შეიზილოს კამის, კალნაბის ან ნელთბილი წყლით, გაკეთდეს („დაქნა“) მუხუდოს ზომის მარცვლებად, გახმეს ჩრდილში, მარცვლები მზადდება შიგნით მისაღებად.

ლუოკნი სალოკელი წამლები. „თაფლითა შეზილნე“. თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წამლების „ლოკვით“ მიღებას, ამის დადგენა არ ხერხდება.

კვერები – „აკრასთასა“, ანუ „კუერნი შესაქმელნი“ – ცალკე ფორმას წარმოადგენს მარცვლებისაგან, აბებისაგან განსხვავებულს გარეგანი

ფორმისა და სიდიდის გარდა. სხვა განსხვავება მათ შორის არ უნდა იყოს. მათი შემზადების წესი ერთი და იგივეა.

გარე შესაცხებელი – ლდიმედი, ანუ ლდიმედი. ეს წამლები კეთდება წყალში (ვარდის წყალი, კალნაბის წყალი და სხვ.), ზეთებში (ვარდის ზეთი, ნარდის ზეთი და სხვ.), ან თაფლში.

ტლე. გარეგანად სახმარი წამლის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც ადგილობრივ ხმარობენ სიმხურვალისა და საერთო მაღალი ტემპერატურის დროსაც.

სიქანქუბინი მზადდება ღვინოში (ან ძმარში). ძმარში ამყოფებენ ერთი დღე-ღამე, შემდეგ ადუღებენ, „ვირემ წავიდეს მესამედი“. შემდეგ კი უნდა გადაიწუროს. ნაწურს ურთავენ 8 ლიტრ პერულმოსდილ თაფლს, კვლავ ადუღებენ, „ვირემ შესქელდეს“. თაფლის ნაცვლად ხშირად ხმარობენ შაქარს. სიქანქუბინები შიგნით მისაღები წამლებია.

შარბათი ხილეულისაგან მზადდება, გარჩეულ, დანაყილ ხილს გამოსწურავენ წვეს, რომელსაც ჩაუმატებენ სასურველ სამკურნალო საშუალებაში და ადუღებენ შესქელებამდე, ხშირ შემთხვევაში ურევენ შაქარს, თაფლს.

მწნილნი, გამოზრდილნი. ხილი ან რომელიმე სხვა სამკურნალო საშუალება ჯერ უნდა დააღებო მარილწყლითა, ხოლო შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში შეინახო შაქარში ან თაფლში.

ხელნაწერებში ზუსტად არის მითითებული წამლის დოზა და მისი მიღების დრო (უზმოსა თუ ჭამის შემდეგ, დღის რომელ მონაკვეთში). აღწერილია ისეთი მანიპულაციები, როგორცაა სისხლის გამოშვება, ძარღვის გახსნის თუ დახურვის სახით; ჩაწვეთება ცხვირში, ყურში, თვალში, საფენების დადება, ნახვევის გაკეთება, მაღამოს წამა, შეყრჩოლების სხვადასხვა სახე, შებოღება, მოწვა, აბაზანის მიღება, სამკურნალო წყლისა და ორთქლის აბაზანები, ოყნები, კოტოშების მოკიდება, წურბელების გამოყენება, ფუტკრის ნესტრით მოქმედება, სანთლების, პატრუქების, კათეტერის, ტამპონებისა და კომპრესების გაკეთება და სხვა.

ხელნაწერთა ტექსტში გვხვდება სპარსული, არაბული, თურქული, ბერძნული, სომხური ტერმინები, რომელთა განმარტებისა და დაზუსტებისათვის მივმართეთ შესაბამისი დარგის ექსპერტებს: ირანისტებს ([ალ. გვახარია], მ. ჩიქობავა), სემიტოლოგებს ([ნ. წაქაძე], ლ. სამყურაშვილი), თურქოლოგებს (გ. თუშმალიშვილი, მ. ჯიქია), ბერძნული (ნ. მახარაძე) და სომხური (რ. გიორგაძე) ენების სპეციალისტებს.

ბოტანიკოსებს (რ. გაგნიძე, ჯ. ჩიკვაიძე), ფარმაკოგნოსტებს ([ლ. ერისთავი]) და ფარმაკოქიმიკოსებს ([მ. ჯანელიძე], თ. ქორქაშვილი), რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ დახმარებისათვის.

კონსულტაციების შედეგად და სპეციალური ლიტერატურის დახმარებით ლექსიკონში განმარტეთ ტერმინები ქართულ, რუსულ და ლათინურ ენებზე. მცენარეთა დასახელებების იდენტიფიცირებისას განვსაზღვრეთ მათი ქართული სინონიმური დასახელებები, დავადგინეთ მათი უახლესი ბინარული ნომენკლატურა, დავაზუსტეთ ცხოველური და მინერალური წარმოშობის საშუალებათა დასახელებები და დავადგინეთ შესაბამისი თანამედროვე განმარტებები.

ზოგიერთი სიტყვები, რომელთა ახსნა ვერ მოხერხდა ვერც ლექსიკონებით, ვერც კონტექსტით, ჩვენ მაინც შევიტანეთ ლექსიკონში და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ტექსტიდან ამ უცნობი სიტყვის შემცველი ციტატიც მიგვეწერა, რაც დაახლოებით მაინც შეგვიქმნის წარმოდგენას სიტყვის რაობაზე.

(1r). ... მრთელსა კაცისგ(ა)ნ ზაფხულის აღებად არა ჰამს და უფროსდა, ხ(ოლო) მოყმეთგ(ა)ნ მაისითგ(ა)ნ ვ(იდრ)ე ენკენიადმდე.

და თუ გუშლმ(ა)ნ უკბინოს, ანუ სნებ(ა)დ რამე ძნელი ეცეს. ვითა ზემოთ წერილ არს მცირედ აიღონ და სხუაებრ ჩუღნი ყ(ოვლა)დ ნუ დაეახლებიან. ვინცა მოწამლული არ იყოს მეტადლა მკურვალე არს და საკრძაღავი.

ამიერითგან იწყოს თუთუქლმ(ა)ნ სენმ(ა)ნ მითხრობად წამალი თ(ვ)სი. თუ შესუას დიაცმ(ა)ნ, რად იბანოს, მ(ა)ს უკანის ნაღველი დათუსა ხუადისა ცერცვსა ოდენი, შობოს ყრმა ვული და გ(ა)აკმოს დედ(ა)კ(ა)ცმ(ა)ნ ყუჭრი თავსა, და შესუას, მისგ(ა)ნ **შეუსწრაფოს უძლებობასა.**

თუ გ(ა)აკმო ნაღველი გრძობისა და იოლოს, მით ერგოს **თეთრსა თ(უა)ლის(ა)სა.**

ცმელი ქათმისა თუ იცხოს, **თ(უა)ლსა ღრუბლოვანსა** ერგოს.

ყ(ოვე)ლი მუცლიერი ქურცინისა თუ დაწუა ც(ე)ცხლითა და ასუა მისისა ნაცრისგ(ა)ნ მითკალისა ოდენი ძმრითა ძუჭლითა.

გ(ითარცა) ჯერ ერგოს მარჩობელსა. მოიღე სკინტლი ტრედისა და შერთე ბალარჯისა ფქვ(ი)ლსა, თ(თუეს)ა გადგინე წყლითა, ვ(ითარ) შეიქმნას ვითა სახურეცელი და შეგბოლე ძმრითა, და თაფლითა, და შემოსდევე მედგარსა, და **ღორთელსა, და სიმსივნეთა მაგართა გ(ა)ნკვსნის,** და **ღორთელსა გამოიხუამს, და გ(ა)ნკურნებს.**

(1v). **თუ ზურგისა და ბეჭთა იყოს ტეხად.** ფიცხლისა ღუნისად თხლე და ქრთ(ი)ლისა ფქვ(ი)ლი ერთად გაცარ, და ნელთბილი ზ(ე)და დასდევე.

ქარისათუს. მამაცისა ბამბალითისა თესლი გარ(ე)ცხ(ე)¹ მაგრად, ტაფასა შ(ინ)ა დაბურე ვ(იდრ)ე არა გაწითლდეს და დაწუას² უკრძალე, დანაყე მაგრად და სელისა თესლი მონაყე, და სწორად შეაზავე, და პასმაგითა კ(ე)ლი აუვსე. დილადა და მწუხრი უკუიყაროს და თაფლისა წყლითა ჩეილარდაროს და ჩარღუნას.

ესე თ(უა)ლთათუს. თ(უა)ლთა რ(ომელ)სა ნათელი მოაკლდეს. ნედლი ქონდარი მონაყე, გამოწურე, ჭურჭელსა ჩაასხი და თაფლი უმგბარი ურთე. რად ზომი მართებდეს, თ(უა)ლთა ურთე და დასდევე. **ვის თ(უა)ლთა ღრუბელი ედებოდეს.** ირმის ღართხი მონაყე, კმელი დასდევე. **თ(უა)ლთა მოკლებისათუს.** დედ(ა)კ(ა)ცსა რ(ომელ)სა პ(ირვე)ლი ყრმ(ა)დ ესუას, მ(ა)ს სძე მოუწველე და ნიორი ოთხად გაკუჭთე, და თ(უა)ლთა უწუჭთე.

¹ ტექსტშია „გარცხი“.

² ტექსტშია „დაიწუას“.

თ(უა)ლთა, რ(ომელ)სა ხედვად აკლდეს. კაკაბისა ნაღველი, თაფლი და ზეთი ბერძული, და კამისა წუწნი შეაზავე, და თ(უა)ლთა უწთვე, და არწივისა ნაღველი დასდევ. **მისთვსვე.** მელისა ნაღველი, თაფლი უზგბარი შეზილვე. დაწოლისა ქ(ამს)ა თ(უა)ლთა იცხოს. **თ(უა)ლთა, ვის თეთრი იყოს ბუგრისაგ(ან).** ხავარტისა, სკინტლი, მოლი, ძაღლისა ენად, ვირის (2r).

ყუ(მ)რას ძირი, ესე ყ(ოვე)ლი მონაყე, მწუარსა ახალსა შეკარ, წყლითა უწთვე. **თ(უა)ლთა გ(ან)ათლებისათვს.** მამლისა თეთრისა ნაღველი და კალნაბისა წუ(ე)ნი შეკრიბე და მით შეზილვე, და ორი კოვზი შეასხურე და შინაცა შთაუსხი. **თ(უა)ლთათვს.** ამარტა, მური, მურდისა ყუავლი მოგალე და სცხე. **თ(უა)ლთა თეთრისათვს.** თევზისა და ვერძისა ნაღველი დედაკ(ა)ცისა სძითა გადგინე და ჩაუდევ. **თ(უა)ლთა ტკივილისათვს.** ხაჭო თ(უა)ლთა სუწლითურთ დასდევ ზ(ედ)ა ერთჯერ, შუდი მარცუალი, სპანძლისა თესლი-ცოცხალი თ(უა)ლთა შთაუდევ და დააძინე, და ტკივილი დაცხროს. **ვგრეთვე** ყრმისა წულისა ფსელი და მცირედი ღვინო უწთვე სამსა დილასა. **კურმუხისა** ძირი დასდევ ქედსა, ძუწლი ღვინო-ტკივილი და კუმრცხის გ(უ)ლი, და ნიგუზის ზეთი ნელტფილად დასდევ, ესე **თ(უა)ლთა³ მომზირალსა ერგების.** **თ(უა)ლთა, რ(ომელ)სა წყალი მოსდიოდეს.** იისა ძირი და ნერგმანისა ძირი, ძმრისა ბეე გა(ა)კმე და მოგალე, მცირედ უსხი. **თ(უა)ლთა ტკივილი დაუცხრეს და სისხლი, რ(ომელი იყოს – დაუჭნეს.** უკ(ეთუ კ(უალ)ად გაუცივდეს, დედაკ(ა)ცისა სძე ნელ თბილ(ი) ჰყავ და ბანბითა სდევ. **თ(უა)ლთა, რ(ომელ)თა სისხლი იყოს.** ბროწეული დაწვ და პილპილი, და უცეცხლო თაფლი დასდევ ზ(ედ)ა ერთჯერ. ბროწეულისა ქერქი მკუმრად (2v) შექენ და თ(უა)ლთა უბერე ერთჯერ. ღორისა ნაღველი და თაფლი უცეცხლო დასდევ თ(უა)ლთა. **თ(უა)ლთა თეთრისათვს.** მელის ყუწრი გამოიხუწნ საფსმურითურთ, გ(ა)აკმე და მკუმრად შექემენ, თ(უა)ლთა უბერე. **მისთვს.** კაკაბისა ნაღველი უწუწთვე. **თ(უა)ლთა, რ(ომელ)თა ღრუბელი მოედებოდის.** ხენჭეკი, რ(ომელ) არს ტბასა ლოფოთქინაი – ასი, გინა ქერქი ძუწლი დაწვ, წურილად მოგალე და გაცარ, და მტუწრი მისი თ(უა)ლთა უბერე, ანუ დედაკ(ა)ცისა სძითა სცხე მ(ა)სვე, ჟამადმდე და ერგოს. **თ(უა)ლთა, რ(ომელ)სა ცრემლი მოექცეოდის.** აიღე მამილადსა გამოწურვ(ი)ლი, წონა ოთხი დრამისა და ანძარული, წონა მუტყალისა და ქათირა, მისივე ზომი დანაყე, გაცარ და სცხე, სარგებელი არს. **თ(უა)ლთა, რ(ომელ)სა ცრემლი სდიოდეს.** პიტნა გამოწურე და თ(უა)ლთა უწთვე. **თ(უა)ლნი, რ(ომელ)სა დაუბნელდენ და ხედვად დააკლდეს.** მდოგუ მოგალე

³ ტექსტში „ესე თ(უა)ლთა“ გამეორებულია.

და წყლითა უწოვე. **თ(უა)ლთა ტკივილისათჳს.** ესე დაწერე და შუბლსა შეაბი: ფეროთეს, ფინაფს, ხარამან, მახანო, მადინებელი, თ(უა)ლი მან ს(ა)ხ(ე)ლითა მ(ა)მის(ა)თა ძისათა და ს(უ)ლისა წ(მიდი)სთა. **თ(უა)ლთა ბაღლ(ა)მიანისა და ზაფრ(ი)ანისათჳს.** კუჭრცხის გ(უ)ლი ყუითელი და ძირა, და ღუარძლი დასდევ. ⁴ **თ(უა)ლნი თუ დაუბნელდენ.** ქურციკისა კურკლი დანაყე, შეზილე და სცხე. **თ(უა)ლთა სიბრჯსათჳს.** მამლის ქათმისა ნაღველი (3v) წყაროს წყლითა სცხე და ერგების. **თ(უა)ლთა თუ თეთრი იყოს.** ოფოფისა სისხლითა იოლვიდეს შუდსა დღესა, დილასა მწუხრთა. **თ(უა)ლთა, რ(ომელ)თა ღრუბელი მოედებოდის.** წითელისა თხისა ღვძლი შეწე, მისსა წუასა რ(ომელ)ი სისხლი გამოვალს, მით უზიდენ. **თუ თ(უა)ლთა ცრემლი სდიოდეს.** მწუანე ხასრი კუჭსთსა (!) ზ(ე)და გაგლისე და წყლითა თ(უა)ლთა უწოვე.⁵

(4r) **ესე თ(ა)ვისათჳს თუ ვის უნდეს. თავის ტკივილისათ(ჯ)ს.** აფსინდი ღორის პოხილითა შესუარე, შეატვილე და ზ(ედ)ა თხემსა დასდევ. **მისთ(ჯ)სვე.** რ(ომელ) ახალსა ქოთანსა თ(ა)ვი შ(ი)გა შეეცეოდეს მისი ფსკერი გ(ა)კურვე, აფსინდი ნედლი შ(ი)გა და ფურიუს სძე ზ(ედ)ა დაასხი, თ(ა)ვი ჩამოუხურე ზ(ედ)ა, თბილად დაბურე. **ტეხისათჳს.** ფერიძისა ძირი დანაყე, ტვილსა ზ(ედ)ა დასდებდი. **თ(ა)ვის ქავ(ი)ლისათჳს.** ნელტვილითა თაფლითა თ(ა)ვი მობანე. **მისთ(ჯ)სვე.** თელას ძირი, ფოხუჭრისა ძირი შეგებოლე და მით დაბანე. **ვის თ(ა)ვის ნახევარი სტკიოდეს.** პილპილა, გომიზი, ძმრითა გადგინე და სცხე. **თ(ა)ვის ტკიე(ი)ლისათ(ჯ)ს.** კურდღლისა ნაღველი ღვნითა ცხვრთა უწოვე. **ვისცა თავ(ი)სა ბრუე ესხმოდის.** მერცხლის ბუდესა მიწასა ნუ დაახლებ, დანაყე და თეთრითა ღვნითა გადგინე, და შუბლი, და კისერი შეუგოზე ცხელითა, დაცდილი არის. **თავი რ(ომელ)სა სტკიოდეს.** ბაღლ(ა)დ და კამად დამდურე, და შემოსდევ მკურვალედ, და წუწნი მისი ზ(ედ)ა დაასხი თბ(ი)ლად. **თავი რ(ომელ)სა სტკიოდის.** ხავარტისა თესლი და ჯინჯარი დანაყე, და აღუდე, და მკურვალითა იბანდეს. **მისთ(ჯ)სვე.** კურდღელი შეიპყარ უძაღლოდ (4v) და ნაღველი გამოუდე მ(ა)მაო ჩ(უ)ენოსა მეტყუელმ(ა)ნ და ღვნითა ცხურთა ჩაუწუთე, ხახუსა ფურცელსა ჩადინე. **თავი თუ სტკიოდეს.** მდოგუ და თაფლი, და გუნდა მოგალე, დასდევ. **თუ თ(ა)ვი სიცხითა სტკიოდეს.** პილპილი ათი მარცუალი და მდოგუ, და ნიორი სამი კბილი მოგალე, თ(ა)ვსა მოსდევ. **სხუ(ა)დ მისთ(ჯ)სვე.** ყრდელისა თესლი მოგალე, წყლითა

⁴ მთელი ეს წინადადება გამეორებულია 4v გვერდზე.

⁵ 3r, 3v, 4r (3) მოყვანილია თვალის ტკივილის შელოცვები.

აღუღე და თ(ა)ვსა მოსდევ. თავის ტკივილისათ(ვ)ს. ზეთი აღუღე, ცერეცოსა, აფსინდსა და ტეგანსა თ(თუეს)ა თ(ა)ვსა სცხე. **სხუ(ა)დ.** მღოგუ და ტეგანა ერთგან დანაყე, და თ(ა)ვსა სცხე. თხისა ნეზუისა ტვნი თ(უა)ლთა სცხე და **შ(იგ)ა ტკივ(ი)ლსა დ(ა)ცხრობს. თ(უა)ლთა ბაღღმიან ზაფრანობისათ(ვ)ს.** კუჭრცხის ყუთელი და ძირად, და ღუარძლი ზ(ედ)ა დასდევ და ერგების.⁶ **სხუ(ა)დ.** ვაშლი შეწვ ველური, თ(უა)ლთა დასდევ და ერგების.

ესე ყურთათ(ვ)ს. ყურთა, რ(ომე)ლსა ძნელად ესმოდის. ბერძული ზეთი და ნიორი⁷ აღუღე, გამოუღე ტახისა ნაღველითა შეზიღე და შთაუღეფ ორსა დილასად. **ყურსა რ(ომე)ლსა შალარი ამოსდიოდეს.** ოსპი შეაგბოღე და წყ(ა)ლსა მისსა შეურთე, ღუნისა ანუ კ(ა)ცის ფსელითა ჩაუსხი. **ყურნი, რ(ომე)ლსა სტკივოდან.** ყრმისა ფსელი ჩა(ა)ხი ჭურჭელსა ტყ(ი)ს(ა)სა, სამი გუნდა მწუანე ჩ(ა)აგდე, ტილოთა ზ(ედ)ა მოჰკარ. დაუტყვე ხუთსა დღესა და მერმე აღმოიღე, დანაყე (5r) და საღმობ(ი)თა შეტყუშ(ა)დ.

ღუნისა მოყუარულობისა სახლი და მთხოველი ტვნი არს.

ოსპი გრ(ი)ლი და კმელი აშუნია ქარსა, დაშრეტს სისხლსა, დაცხრობს სიმსივნესა და შეჰკრავს მუცელსა ცხნილსა.

ცერცუ მოიდებს კორცსა, დაუმეტებს ზურგის წყ(ა)ლთა და გ(ა)ნაახუამს სახვაეთა.

მღოგუ შუა დააკლებს თელგამსა და აღძრავს ნაღველსა, და სისხლსა მოანდომებს საჭამადსა, და მოადნობსცა.

ქონდარი გ(ა)ნსწმედს სტომაქსა და გ(ა)ნარებს ქარსა, დასჭრის თაღგამსა, დააამებს პირსა და მოჰკლავს ჭიათა, და კორდსა ფირტეს(ა)სა, და ცუჭლასაცა.

ბოლოკი მჭურვალეა დასჭრის თაღგამსა, და იოტებს ქარსა, და მოადნობს საჭმელსა.

პიტნად იოტებს ქარსა და თაღგამსა, მჭურვალე არს და ...მებს⁸ პირსად.

ს(ა)ქმე თერიისა, რ(ომე)ლსა აქიმნი ჰკურნებენ და არა გამოაცხადებენ ამ(ა)ს ყ(ოველ)სა ერგების⁹ თერიად.

⁶ მთელი ეს წინადადება არის 2v გვერდზე.

⁷ „და ნიორი“ ტექსტში გამეორებულია.

⁸ ერთი სიტყვა არ იკითხება.

⁹ მცენარეები გამეორებულია 44v-ზე.

მოწამლულთა და გრძელთა საღმობ(ა)თა, და რ(ომელ)თა საჭამადი ეჭამოს მოწამლული, და ანუ სასმელი ესუას, და ყ(ოველ)თა ნაკებნათსცა.

იმ(ა)თ შეასუ ქერის მარცულისა წონად, ძუჭლითა ღვნითა ანუ ძუჭლითა ძმრითა, ანუ თაფლისა წყლითა და გ(ა)ნიკურნოს ბრძანებითა ღ(მრთ)ისათა.

სიგონჯე რ(ომელ)სა წაეკიდოს, ეგეოდენი შეასუ ი(თან)ე დღესა.

და რ(ომელ)სა წვად აცხრობდეს (5v) შეასუ ეგეოდენვე.

ჭუჭლასა ძუჭლსა და ახალსა ერგოს, მკერდისა და გუჭრდისა ტკივილსა, და სტომაქის(ა)სა ერგოს.

და ყ(ოველ)სა ქცევასა, და გუჭმასა მუცლის(ა)სა ერგოს, და რ(ომელ)სა საჭამადი არა ეჭმებოდის, და გონჯი იყოს, და რ(ომელ)სა კ(მა)დ დაძხვებოდის ეგეოდენივე შესუას.

და რ(ომელი) სისხლსა და ბაყლსა წარმოჰყრიდეს, და რ(ომელ)სა ტვირბი სტეოდეს, და სისხლსა გავიდოდეს თუთუბითა შეასუ.

და რ(ომელ)მან მრთელმ(ა)ნ აღიღოს არა ევნოს მ(ა)ს კურეუბ(ა)დ, არცა სსუ(ა)დ საღმობ(ა)დ:

და რ(ომელ)სა სტომაქი ექცეოდეს – შეასუას, და რ(ომელ)სა წყლისა ურვისაგ(ა)ნ ეშინოდის, ანუ ყუავილისა გამოსხმასა – არა ევნოს

და წყლით მანკიერსა გ(ა)ნამრთელებს, და კეთროვნებასა, და ნიკრისსა.

და ვინ იყოს ამით ყ(ოველ)ითა სენითა, შესუას წელიწადსა შ(ი)ნა შესმითა სამჯერ, დრამისა ერთისა წონა ღვნითა და თუ ბე(ერ)ი იყოს, დრამისა და ნახევრისა წონა აღიღოს.

და ყ(ოველ)სა ენებასა და ...¹⁰ და შავსა ნაღველსა გ(ა)ნაქარეებს, და ვინცა მრთელი აღიღებს თერი ...¹¹ სხუასა წამალსა გ(ა)ნეკრძალოს ...¹²

და რ(ომელ)სა დღესა აღებდეს, ქოთმ(ა)ნ იაროს და მწუხრი ჯორცი ჭამოს, და წყალსა ნუცა ყ(ოვლ)ად გემოდ იხილავს ი(თან)ე დღესა.

(6r) ...¹³ თხის ნაღველი გუნდრუკსა შეურთე და ჯინჭრის თესლი ერთჯერ წყლითა გადაგინე, და შეასუ.

მჭამელი რ(ომელ)ისა იყოს ძაღლის ფსელი ანუ აფთრისა სცხე.

¹⁰ ორი სიტყვა არ იკითხება.

¹¹ —, —, —, — (ტექსტი დაზიანებულია, ამოფხეკილია).

¹² —, —, —, — (ტექსტი დაზიანებულია, ამოფხეკილია).

¹³ ერთი სიტყვა არ იკითხება (ტექსტი დაზიანებულია, ამოფხეკილია).

რ(ომე)ლსა ეწყურებოდის ნეგო თეთრითა ღვნითა შეგბოლჳე და სამჯერ ასუი.¹⁴

ბირკწურლისა თესლი შეგბოლჳე და ასუ ერ(თ)ჯერ.

მუცელ გულთათუს. მჭნავისა ქერქი შეგბოლჳე და სამჯერ ასუ.¹⁵

მკრღოვინისათუს. ძირა მჯილი ერთი მოგალჳე, მას აღუღებელისა ერთისა კარაქი, ერთი ფერფლთა შ(ინ)ა ურევი, ვითარცა პერული შეიქმნას გუშრდსა ჩაუღვე, უზმამ(ან) ჭამოს რაოდენი ძ(ა)ლი ეღვას.

ჭურველისათ(უს) და თ(ა)ვის ცემისა. გუარზმანად და იის ფურცელი შეგბოლჳე, დაასხი თ(ა)ვსა.

ყურთა მტკივანთათუს. ბაზრაცუნე წყლითა წუმისათა და(ა)ლბე და ზ(ე)და დასღვე, და დასცხრეს. **ყურის ტკივილისათ(უს) და სიყრუისათ(უს).** ნაღველი ღერღედისა, მისსავე ზომასა ზეთსა თ(თუეს)ა გადგინე და დ(ა)დნევე, ყურსა ჩაუღვე და ერგების. **სხუ(ა)დ.** აყროდსა ფურცელი, ნეღლი გინა ყუავილი მისი, დანაყე, გამოწურე, ყურსა შ(ინ)ა ჩაუწუტე, მატლი მოკლას. **ყურთა, რ(ომე)ლთა ურგაი იყოს.** ნიახურისა ფურცელი გამოწურე და უწოვე.

ესე კბილთათუს. კბილნი **რ(ომე)ლსა სტკიოდინ და ღრძ(ი)ლნი უსივღენ.** ირმის რქად მოქლიბე, ძმრითა (6v) იმღგომე, და ჳალი ქრთილისა ძმრითა შეზილე, და კოჭობსა ჩადვე, დაწუ, და დანაყე, და ღრძილთა აქლისე, რ(ომე)ლ სისხლი გამოეცეს და კბ(ი)ლნი დაუმაგრდეს. **კბილის ტკივილისათ(უს).** სპანძლისა, მდოგუსა, ლემისა თესლი, ცხურისა ცმელითა შეაზავე, აღუღე, თბილი ღრძ(ი)ლსა იღგომე.

კბილის ტკივილისათუს. შაბი დაწუ და დანაყე, პილპილ(ა)დ დანაყე, ერთე(ან) შეზილე, ბამბასა ძუჭლსა შეკარ, კბილსა ზ(ე)და დასღვე და მ(ა)ს გუშრდსა ზ(ე)და მიწვეს, რ(ომე)ლსა სტკიოდეს, ჳ(ი)ასა გამოიყვანს, დაცდილიად. **ვის კბილნი დაეძრნენ.** კოწახურისა ძირი, კაპრისა ძირი და შტო ფურცლიანი, ქოთანსა ჩადვე, წყ(ა)ლი დაასხი, აღუღე, რ(ომე)ლ მეექუსე დილამდი ექუსი ჳიქა დარჩეს წყ(ა)ლი. ირმის რქისა ძირი მოქლიბე და წითელი ბავრუკი, და ცხარი ძმარი ჩაურთე – ნახევარი, და იღგომეზი ხან გრძლად, ხან ხან ყ(ოველ)თა დღეთა.¹⁶ **მისთ(უს)სევე.** თესლი ლენცოფისა თ(თუეს)ა შეზილე, სანთლ(ა)დ შექენ, აღანთე სტჯრითა, კბილსა ზ(ე)და მიუპყარ, მისი ალი ჳიასა გამოიღებს.

¹⁴ მეორდება 19v.

¹⁵ მეორდება 11r და 19v.

¹⁶ 6v, 7r, 7v – კბილის ტკივილის შელოცვა.

მუცლისათვის. ქრთილისა საფუარი გამოწურე კათხისა ნახევარი, მისივე სწორი ზეთი ნიგუზისა ჰყავ და შეასუ. **მისთვისვე.** კუჭრცხი შექენ ყრბეული და გუნდა ურთე, და შეაჭამე. **მისთვისვე.** ძმარსა გუნდა ურთე და შეასუი. **მისთვისვე.** კიოლი მონაყე და ერბოთა შეწუ, თ(ა)ესა მოსდევე საფეთქელთა, თაფლი უმბარი და მარილი თ(ა)ესა დასდევე. სპანძლის თესლი იასმაგითა შუბლსა დასდევე, იასმაგი უცეცხლო თეთრითა (8r) თუ ცხელი იყოს სტომაქი მისი, ალივისა წყლითა, ქრთ(ი)ლის ფქვლისა ზეთი და კუჭრცხის გული, ესე ყ(ოვე)ლი ერთად შექენ და სწორად მოგალე, მწუარსა შ(ი)კა ჩადე და მუცელსა მოსდევე, და ოდეს გატყეს, მეორედ დასდევე. სწორად ქრთ(ი)ლისა დაფქულისა წყ(ა)ლი, ქლიავისა ჩირის წუწნი და თუ დიად ეწყურებოდის ცერცვსა ნაბოლი წყალი, დილეულად თუთო ჭიქად შეასუ და აყრო ძმრითა აჭამე. **მისთვისვე.** ბოლოკისა ქერქი დაჭერ, ძმ(ა)რსა ჩაყარე, გათენებამდე იყოს. ბავრუკი წითელი მოგალე, ალიჭი თესაგ(ან) და აწე, ბოლოკისა ერთ კერძო ძმარსა და ერთ კერძო ბავრუკი ჭამე, ნელთბილი წყალი სუ. **მისთვისვე.** მარილი თაფლითა შეაზავე და მიეცე. თუთუბო და თაფლი პირსა შ(ინ)ა იყარ, და **თელგამი წამოვა.**

ჭია ვისცა ესნას. ორი სახე არს: პ(ირვე)ლი წითელი არს და გრძელი, და მეორე თეთრი და ბრტყელი. აფსინდი და ტენცო, კალნაბისა თესლი, პ(ირვე)ლ(ა)დ იგი დანაყე და თაფლითა გადგინე. სამი კოვზი შეაჭამე უზმასა ზ(ედ)ა, ღვნო შეასუ ტვილი და ძმარი. შეაზავე ვ(იდრ)ე ცხრად უამდამდე უზმად იყავ, ჭიასა გააყრევენებს, მერმე რაც გინდა ჭამე.

ღუძლი და ტყირბი თუ გაუსიედეს. კირი დაწუ, ღორის ცმელითა გადგინე და ზ(ედ)ა მოსდევე. (8v) **ღუძლი და ტყირბი თუ გაუსიედეს.** ტახის ცმელი დ(ა)დნევე, ქრთ(ი)ლისა ფქვლითა მოსდევე. **ტყირბისათვის.** კარის ენა შეგბოლე წყლითა, თუთუ ჭიქად შეასუ სამსა დილასა და მ(ა)ს მკერდსა მიაწინე სადა სტკივოდეს. **მისთვისვე.** კაპ(ა)რის ძირი და ბოლოკი ღვნითა შეაგბე, და ასუი. **უკ(ე)თუ ღუძლი და ტყირბი ერთგ(ან) შედგომით იყვნენ და სტკიოდინ.** მუხისა ქერქი და არდი, ქონდარი წყლითა შეგბოლე, სამივე ერთად მოყარე და შეასუ. **ღუძლის ტკ(ი)ვ(ი)ლისათ(ვის).** კანჯრის ღუძლი გა(ა)კმე, მოგალე ღვნითა ანუ თაფლითა, შეასუ. **ღუძლისა და ტყირბისა ტკივილისათ(ვის).** აფსინდი შეგბოლე, დამე გ(ა)რე დაჰკიდე, რკინითა ზ(ედ)ა დაბეჭდე, დილეულად ასუშმდი. **ღუძლისათვის.** აყიროს თესლისა გ(უ)ლი და კიტრის თესლი დანაყე, წყლითა გამოწურე, თაფლი ურთე, შეასუ, დაცდილი არის. **ვის უპე სტკიოდის.** მწიფისა ნიორისა ფურცელი, ზროხის ცმელი დანაყე ერთგან და უპესა ზ(ედ)ა დასდევე, **ესე ტყირბსაცა ერგების.**

ქარტილისათვის. ტახის ღორისა ნადველი, ბროწეულისა ქერქი, ძმრითა გადგინე, შეგბოლე და მით თ(ა)ვი მოუჭუკებე. **მისთვისვე.** მღირდველი ნატყურსა შ(ინ)ა დაწვ და მოგაღე, და ძმრითა გადგინე, და თ(ა)ვსა შემოსდევე. ქარტილი მოკლას და თმაღ გაეკეთოს. **სხუ(ა)ღ.** კანაფისა (9r) ძირი შეგბოლე და მით თ(ა)ვი შეუკონე. კაპარისა ძირი და ფურცელი ღვრითურთ შეგბოლე, და თ(ა)ვსა მოუჭუკონდი, ჟამადმდე ქარტილი მოსწყვდოს.

კურკუსათვის. თუთუბო ფურისა დიდხან თქეფე და მით მრ(ა)ვ(ა)ლჯერ იღარღაროს. ცხვრთა სისხლი ადინე, შუბლი გაუჭსენ და ზ(ედ)ა ძარღვ კეფალი.

ცოფისა ნაკბენისათ(ვ)ს. ნუში მწარე დანაყე და დასდევე, ესე **მუცლის ქარსცა** ერგების. **მისთ(ვ)სვე.** ლელე მწარე მოსწყვტე და მისსა სძესა სცხებდი, **ღრინაკალისა ნაკბენსა ერგების, კბილის მტკივანსაცა.**

კეთრისათვის. ყაყაჩო დანაყე ძირითურთ, ღვრითა და ყუავილითა, ზ(ედ)ა სცხებდი, **თ(უ)აღსა თეთრსაცა გ(ა)რდაიღებს** იწთობდეს.

სატფურისათვის. გოროხი მარ(ი)ლი, ქერის ფქვლი, შეზიღე, დაწვ, პ(ირვე)ლი პოხილი სცხე, მერმე მოგაღე, ისე სცხე მ(ას) - ზ(ედ)ა აცურევი.

გ(უ)ღმოვიწყისათ(ვ)ს. ღომი მოიღე აპრ(ი)ლისა, ვ(იდრ)ე ყ(ოვლ)ად გაკმეს, მოგაღე წყლითა, შეასუი.

პირდაქცეულისათვის. ხახუი თეთრი, სირისა კუჭრცხი, თხილი, მონაყე, თაფლითა შესუარე, ზ(ედ)ა დასდებდი.

მუცელ(უ)ლთათ(ვ)ს. ნაცრისფერი ტუტად ასუი. მრავ(ა)ლ ძარღუაი ძირით(უ)რ მონაყე, შეასუ. **მისთ(ვ)სვე.** ანანური ეც. **სხუ(ა)ღ.** ღუალოს თესლი, გინა ძირი, თეთრითა ღვნითა ასუ. (9v) ირმის ნუკრისა ღურიტა ასუი.

სამჭედროსათვის. მრ(ა)ვ(ა)ლძარღვ, ბირკისა წითლისა ძირი, ვერხუსა და კიბოსა ფურცელი, ესე ყ(ოვე)ლი ერთგან შეგბოლე, ჩაწვინე, იბანდეს.

ღვბლისათ(ვ)ს. ლილაღ, ამარტაღ მოგაღე ასუი.

მქაენისათვის. კურმუხისა ძირი, სონიჭის ფურცელი, არღის ძირი მოგაღე და სცხე.

ცხენის წილისათვის. ვუნდის ძირი დანაყე, ძმრითა დასდევე.

პირი, რ(ომე)ღსა უყროდეს. ბავრუკი, პილპილი, გუნდა მოგაღე, თაფლი ურთე, პირსა იმღომოს.

ზურგის ტკივილისათვის. სარასა გამოწურე, ვ(ე)ლი ერთი შეასუი.

გუშლისათ(ვ)ს. შუღი სოკო მოგაღე და ღვნითა შეასუ.

ფხად თუ ვისმე თუალთა დაემსჭუალოს. მწეროს წუვი დანითა მოხუშწე, პოსილითა ტფილითა შესუარე და თ(უა)ლთა ჩაუდეგ.

წამალი სტომაქისა და ხორბისა. ნიორის ძირი შეგბოლე, ერბო ურთე, ძუჭლი პური ჩაუდეგ.

ყიად თუ ვისმე სტკიოდის და ვერ ნერწყვდეს. ტრედის სკინტლი წყლითა გადგინე და ყელსა სცხე.

გონჯისათ(ვ)ს. ღუალო ძმრითა შეგბოლე და შეასუ.

მსიენისათს. წყლის ჭაკუტელი, მყურის ბუდე, თელაძს ძირის ქერქი, ნიორი, ესე მოგალე. მყავი, თეთრი საკმელი ურთე თ(თუეს)ა, ანაკუშითა შესსქელე და დასდეგ მ(ა)ს ზ(ედ)ა.¹⁷

წელულისათს. კოკომასა გესლი მოჰჰადე, გუნდრუკი მოგალე და დედაქ(ა)ცსა, რ(ომე)ლსა ქალი სწოვდეს, მისითა სძითა დაზილე, ზ(ედ)ა დასდეგ და ზ(ედ)ა ბარი დაჰკარ.

საჭმელი ვის არა შეენელებოდეს სტომაქსა შ(ინ)ა. პილპ(ი)ლი და ოპანი, და ძირაჲ, ბავრუკი, ყ(ოველი)ვე ძმრითა და თაფლითა შეაზავე, და ხუთჯერ პურსა დაიწე.

საგურკეელი თუ სტკიოდის. ბავრუკი წითელი, თაფლი უმგბარი, ნელტფილი სცხე, კუხი გაურ(ი)ე, ღვნითა უცანდალე და ერთობ შეიკრძალე.

რ(ომელ)სა ძარღვ კუჭთ(ი)ლ იყოს. მრ(ა)ვ(ა)ლ ძარღუი და მღირდველი დასდეგ.

რ(ომელ)სა ყურიმალი ელმოდის. მერცხლის ბუდე ძმრითა გადგინე, ყურიმალსა დაწინე და სცხე.

კურკუსათს. ორი ნაწილი მარ(ი)ლი ჰყავ და ერთი გუნდა, თაფლითა შეზილე, პირსა იპყარ და ნერწყუსა ჩანთქემდი.

სჯამელისათს. არეტის თესლისა თ(ა)ვი, წითელი ბავრუკი, წითელი ჯინჭველი ერთგ(ა)ნ მოგალე, ზ(ედ)ა დასდეგ.

სურსილისათს. წითელი ჭიად, რ(ომე)ლსა არდისა ყუაგ(ი)ლსა ზ(ედ)ა დაჯდეს დანაყე, ნიორითა ზ(ედ)ა დასდეგ, ესე კეთრსაცა ერგების.

რ(ომელ)სა, მსივანი წყლული იყოს. ასლისა პური ღვნოსა ჩაყარე, ზ(ედ)ა დასდეგ.

ვინ სიმჭურვალისაგ(ა)ნ შეკრვით იყოს. შაბი და თაფლი ერთგან შეზილე, უკანით გასავალსა შთაუდეგ (10v) ჭუნდურისა ოდენი და გაჰსნას, დაცდილიაჲ.

¹⁷ 9v – მსიენის ლოცვა.

ვის ბედნიერი გამოესხმოდის.¹⁸ ჯინჯრის ძირი შეგბოლუ და მით გაბანე, და თუ არა გამოჩინებულ იყოს ძმარი ასუ და მ(ა)ნ გამოსცეს, და რ(ა)ჟ(ამ)ს ახნდეს სძე და თაფლი აჭამე, და ვერ ავნოს და ერგოს.

მუკლთა, რ(ომე)ლთა სტეხდეს.¹⁹ ნავთი და ნადველი ერთად სცხე და ასტ(ამ)ითა დიდად უცხუნე და ერგოს ჭ(ე)შმარიტ(ა)დ.

ვინცა სოკო მკლველი ჭამოს.²⁰ პიტნა ველური დანაყე გამოწურე შეასუ და ერგოს.

წამალი, რ(ომე)ლი ერგების მუცელსა ქარსა, ჯერკუალსა ტეხასა და ყ(ოველ)სა ჟინებ(ა)სა მუცლის(ა)სა.²¹ ნიახურისა თესლი და ²² ძირი, ბროწეულისა გურკა, ქონდარი და თეთრი ძირად ესე დანაყე და წუნითა აჭამე.

ბაილსირისათუს.²³ ღორ ბირკი მოთხარე რად ოდენიცა გინდეს დანაყე დაწურე და კუჭრცხისა ხეჭბითა სამსა დიდადსა უზმასა ასუცმდი თუთოსა. და მრ(ა)ვ(ა)ლძარღუსა თესლი მონაყე და ხავიწად იქმოდეს და მ(ა)ს ჭამდეს და ერგოს.

გ(უ)ლისტეივ(ი)ლისათუს. თეთრი მდოგუ კოვზი ერთი დანაყე და თაფლითა შეაზავე და სამად გაყავი და სამსა დილ(ა)სა ჩანთქას უზმომ(ა)ნ.

ჭიათათუს.²⁴ ვისცა სჭირდეს კულიავი კოვზი ერთი მონაყე და თაფლითა შეაზავე სამად გაყავ ზროხისა ძარღუითა და ნადვე(ე)ლითა უპესა დასდევ და(ა)ყრევენებს.

ხორბისათუს ²⁵ (!) ქერის (11r) ... ²⁶ ფქვლი წყლითა დარაციმდეს (!) უზმამან იგი სუი დაცდილი(ა)დ.

¹⁸ იხ. 45r.

¹⁹ იხ. 45r.

²⁰ იხ. 45r.

²¹ იხ. 45r.

²² სიტყვა „თესლი და“ ტექსტში გამეორებულია.

²³ იხ. 45v.

²⁴ იხ. 45v.

²⁵ იხ. 45v.

²⁶ ერთი სიტყვა არ იკითხება (ტექსტი დაზიანებულია, ამოფხეკილია).

მუცელ გუშლთათ(ვ)ს.²⁷ მგნავისა ქერქი შეგბოლე წყლითა უზამ(ან) სუას. იოდასალები მარტიოგ(ან) მოთხარე დანაყე და წყლითა შეზილე და მრ(ა)გ(ა)ლსა სენსა და ჭირსა ერგების.

მუავესა და მლაშესა ერგების. აკრძალვბდი და ვისცა ანუ ყელსა, ანუ²⁸ მკლაგსა ებას, გრძნებისა და მტერისგ(ან) ნუ ეშინიან; და თუ მთვრალმ(ან) სჭამო გაგაფხიზლებს; და თუ გ(უ)ლმტკივანმ(ან) ჭამოს ერგების; და რ(ომელ)სა დღესა სჭამო მოწამლვისგ(ან) ნუ გეშინიან; და თუ ნიადაგ სჭამდეს უგრძნულ(ა)დ არა მოკუდეს; და სადაცა აკმით აოტებს ეშმ(ა)კთა; და თუ მომაკუდავსა აჭამო, ენა ჩაუჭრას ამოადგმევს; და ვისცა ებას საცთური ვერ მიახლოს მ(ა)ს; და თუ თესლი მისი ღუნითა ანუ თაფლითა აჭამო, ეშმ(ა)კეულსა გ(ა)ნჰკურნებს.²⁹

მჯღომისათუს.³⁰ ტრედისა სკინტლი, სელის თესლი, ქერის ფქვ(ი)ლი, წყლითა დამდულრე და ღორის ცმელიცა ურთე, და მ(ა)ს ზ(ედ)ა დასდებდი.

რ(ომელმა)ნ შესუას წუშნი გამოწურვ(ი)ლი შავისა ბოლოკისა ერგოს სიყუითლესა, გონჯის(ა)სა.³¹

ვის(ა)ცა შიში რამე სჭირდეს³² შესუას და ჯერ და დადნეს და ფსელსა გაყვეს და ვინცა შესუას არცა შატმი ევროს ბრძანებითა დ(მ)რთის(ა)თა.

სიყუითლისათ(ვ)ს.³³ (11v) ენდრო დანაყე გამოწურე და შეასვ.

მკერდი რ(ომელ)სა სტკივოდეს, და სისხლსა ნერწყვიდეს, და ჯორკითა ხიოდის. პილპილი და ქონდარი დანაყე გაცერ და თაფლითა აჭამე მრავ(ა)ლ ჯერ დაცდილი არს.³⁴

ჭუელისათუს.³⁵ სონიჭი დანაყე და ღორის პოხილითა მკერდსა და ბეჭთა სცხე.

ვის გუშლმ(ან) უკბინოს.³⁶ ქათამ(ი)სა მრთელ(ი)სა ნაწყლი-საკუშრცხე ზ(ედ)ა დაუდევ ნაკბენსა და აღმოსწუროს მანკი და გესლი, ქათამი

²⁷ იხ. 45v.

²⁸ „ანუ“ გამეორებულია.

²⁹ იხ. 46r.

³⁰ იხ. 46r.

³¹ იხ. 46v.

³² იხ. უნდა იყოს „შირიმი“ 46v.

³³ იხ. 46v.

³⁴ იხ. 46v.

³⁵ იხ. 46v.

მოკუდეს და კ(ა)ცი დარჩეს. ქათამი ერთი ასე ეყოფის ვ(იდრ)ე მოკუდებოდის, მანამდის უყავ ესე და ერგოს. **მისთ(კ)სვე.**³⁷ ნიორი დანაყე და თაფლითა ზ(ედ)ა დასდევ ნაკებენსა მ(ა)ს.

კეთრისათუს.³⁸ ვირის ტერფად ძირითურთ მონაყე და ძმრითა სცხე. **მისთუსვე.**³⁹ ხახუ დანაყე და ძმრითა სცხე მრავ(ა)ლჯერ უყავ.

ჭიაი რ(ომელ)სა ესხას. არღის ძირი მონაყე წყლითა გამოწურე და შეასუ.

რ(ომელ)სა ურელი სჭამდეს.⁴⁰ ნიახური დანაყე და ძმრითა გამოწურე, და დასდევ ზ(ედ)ა, და ჩაუწუშთეცა, და მოკლას ჭიაი. **მისთუსვე.**⁴¹ ლილ(ა)ი და ქონდარი დანაყე და ჩაუწუშთე.

რ(ომელ)სა თ(ა)ვი და კ(ელ)ნი ეძრწოდინ.⁴² ყურდღლის ტუნი აჭამე მრ(ა)ვ(ა)ლჯერ და ერგების.

რ(ომელ)ი კუჭლისაგ(ან) თელგამსა წამოჰყრიდეს.⁴³ წითელი ოსპი დააღბე და ვაშლი ღუნითა შეგბოლე რ(ომელ) დაღნეს, იგი აჭამე დაცდილიად.

რ(ომელ)ი სისხლსა გავიდოდეს.⁴⁴ (12r) დაწუ რქაი ირმისა და თაფლითა აჭამე გაცრილი, უზმასა.

რ(ომელ)სა მუცელი უსივდეს.⁴⁵ არღი ღუნითა შეგბოლე და შემოსდევ, და წუშნი მისი შეასუ უზმასა.

ვისცა ჩხუჭრად სჭირდეს.⁴⁶ სძე და თაფლი აღუღე და შეასუი ტფილი. **მისთ(კ)სვე.**⁴⁷ ძემუს ძირი, რ(ომელ)სა ფარვილი გამოესხმის დაჭერ დანაყე და თუ მარცხენით სხხუჭრდის – წყლითა შეგბოლე, თუ მარჯ(უე)ნით –

36 იხ. 46v.

37 იხ. 47r.

38 იხ. 47r.

39 იხ. 47r.

40 იხ. 47r.

41 იხ. 47r.

42 იხ. 47r.

43 იხ. 47r.

44 იხ. 47r.

45 იხ. 47r.

46 იხ. 47r.

47 იხ. 47r.

ღვნითა შესსუ. ვის ექი აქა სტეხდეს და სჩხუშრდეს.⁴⁸ წყლითა შეგბოლე-
თუ მარცხენით – გონჯი ასკილისა დაგაღე, შეაჭამეცა თაფლითა და
ზ(ედ)ა ზეთითა უცხუნე, და უზ(ი)ლე.

კანაფისა ფურცელი დანაყე, დაწურე და მით აბანდეს, და ერგოს
მძოვარსა თმა-წუშრის(ა)სა.⁴⁹

ჭორფლისათჳს. ხახუი დანაყე და გამოწურე წითელი და წუშნი მისი
სცხე.

სურსუილისათ(ჳ)ს.⁵⁰ სკინტლი ჩიტისა ნერწყუითა გადგინე და სცხე, და
ამოაგლოს ძირით(უ)რთ.

მუცლისა შეკრულისათ(ჳ)ს.⁵¹ ნაღველი მგლისა სცხე და გ(ა)ნკვნას.
თუ შეაზილო ნიახურისა თესლი ცომსა და გამოაცხო ერგოს ტკივ(ი)ლსა
სტომაქის(ა)სა და ღორთელსა მუცლის(ა)სა.⁵²

ვის თმა არა ესხას.⁵³ ღორის ძუალი და მყურის ბუდე, ამილახტი და
კემუხტი, და ბზე, და ბზად ქოთანსა ახ(ა)ლსა ჩადეფ, ვმელად დაწუ, დანაყე
და გაცერ, და ღორის პოხლითა სცხე მგზეფსამდი დაცდილიად.

წითელი ვისცა⁵⁴ (12v) სჭირდეს. თევზის თაგი დაწუ და ძმრითა სცხე.

რ(ომე)ლი კ(ა)ცი ყუითელი იყოს.⁵⁵ დამასტანი და ძირა საფრიანი დანაყე
და ტკბ(ი)ლსა მწუნესა ზ(ედ)ა მოაყარე შეაჭამე მრავალჯერ.

მუცლიანისათჳს. კრკო დანაყე, ხავიწად შექენ, მრ(ა)ვ(ა)ლჯერ აჭამე და
გ(ა)ნმრთელდეს კ(ა)ცი იგი.

ვისცა ყურთა სტეხდეს.⁵⁶ კუშრცხის ცილი და დიაცისა სძე გაღბე და
ჩაუსხი.

თეთრისათ(ჳ)ს.⁵⁷ ვარის ძირა თეთრი და ბავრუკი დანაყე, და ხახუ ურთე
ძირეული, და ძმრითა სცხე და ამოაგლოს.

48 იხ. 47v.

49 იხ. 47v.

50 იხ. 47v.

51 იხ. 47v.

52 იხ. 47v.

53 იხ. 47v.

54 იხ. 47v.

55 იხ. 47v.

56 იხ. 48r.

57 იხ. 48r.

თუ ჩაჰკიდოს ქოთან ახალი ღვინოსა მყრალსა და გამოიდოს სიმყრალე მისი, სამდღე მიუშვი შიგან.⁵⁸

მღერისა ძნელისათ(ჯ)ს.⁵⁹ პილპილი და ბავრუკი დან(ა)ყე, და ძმრითა სცხე, და ერგოს.

ვისცა ზურგი სტკივოდის.⁶⁰ სატაცურისა ძირი მოთხარე, დანაყე და თეთრითა ღვინთა შეგბოლე თხუთმეტი თასი, ხუთ თასად ვ(იდრ)ე არა მოჰყარო მინამდის შეგბოლე და სამსა დიდსა უზმასა შეასჯ, და დახურე თუილ(ა)დ.

ხუასტავი, რ(ომე)ლი არა გ(ან)მრ(ა)ვლდეს და არცა მისი ნაშობი.⁶¹ ჩხიკუი გაკრტენ და დაწჯ, და მარ(ი)ლითა შეალოკე, დაცდილია.

ცხენის წილისათჯს.⁶² ქათმის სკინტლი ღორის პოხითა შემოსდევე აღუღებული.

ვის ცოფ(იან)მ(ან) ძაღლმ(ან) უკბინოს. არს ჭიაფ, მკვიე. ცურიანსა დილასა ჰპოფ გაზაფხულ(ზე), რქიანი და ბოლოთ (13r) ზიბიბი ჩამიჩს ჰქვიან; ზაბდულ ბარ ზღვის ქაფს ჰქვიან; ბაბათიცა გვირილას ჰქვიან; სუმბული ტაბოლენს ჰქვიან; გოგნუ ზირაქიმანს ჰქვიან; ქაფრადიც ზღვის ქაფს ჰქვიან; ავაჯი სტაფილოს ჰქვიან; გაზმაზუ გუნდას გაგს, მაგრამ გუნდა არ არის – იმას ჰქვიან დეჯრი; ყამარლილი ფარას ჰქვიან; არაბულა(დ) ნარვილ ქვიშას ქვიან; თეზარი ძაღლის ყურძენსა ჰქვიან; რუყუსერ ზარდაჩოს ჰქვიან; გარიჰალი ზარდაჩოელს ჰქვიან; ისრია ზეთისხილსა ჰქვიან; ფაროდან მეფელი სუმბულსა ჰქვიან; შალონა კილამურას ჰქვიან; ენძელასა სოლინჯსა ჰქვიან; რუთუბა ხურმას ჰქვიან; ლისონლას ვარი დაფნის თესლს ჰქვიან; ლისან ანდუზს⁶³ (13v) ჰქვიან...⁶⁴ (14r) სხული. იგი გა(ა)კმე, დანაყე, თ(ა)ვი და ფერჯნი ძირსა დასჯრენ, დანაყე და ცხრა წყაროსა წყლითა გ(ა)თქვპე, ქერის ერთისა მარცვლისა წონა შეასჯ და ლეკუთა დააყრვეინებს ბრძანებითა ღ(მრ)თის(ა)თა. ესე ათ

⁵⁸ იხ. 48r.

⁵⁹ იხ. 48r.

⁶⁰ იხ. 48r.

⁶¹ იხ. 48r.

⁶² იხ. 48r.

⁶³ ტექსტის ეს ნაწილი მხედრულია.

⁶⁴ ამ გვერდზე მხედრულად არის მინაწერი: „კარაბადინი ას სამოცდა თორმეტი არის ფურცელი“.

დღემდი ერგების და თუ არა, ლეკუნი გაუდგებიან. არდ(ა)რად ერგების და ესე წამალი ბაგასირს(ა)ცა ერგების, დაცდილი.

ტყირბისათუს.⁶⁵ არჯმანიკის ძირი ერთსა დღესა შეგბოლუ თეთრითა ღვნითა და წელნი მაგრად შეიკრნეს, და სამსა დ(ი)ლ(ა)სა შეასუ, და დაიხუროს კარგად. **ტყირბისათ(უ)სეუ.** ჭ(ი)ლის ძირი თეთრი მონაყე და თეთრითა ღვნითა აღუღე, და შეასუ ტფ(ი)ლი. მარცხენასა გუწრდსა მიაწვინე და ...⁶⁶ მუავესა და მლაშესა ნუ სჭამს ხან ერთ(ს).

ჭუჭლისათუს და თ(ა)ეჭედისა. სანჯობლი და მდოგუ, საკმეველი და პილპილი სწორად დანაყე, და თაფლსა, და ძმარსა და(ა)ლბე კამაქსა და ცისკრად საგებელთა შ(ინ)ა იპარპაროს. და რ(ომე)ლსცა თ(ა)ეჭედმ(ან) ყური დაუყენეს მ(ა)სცა ერგების.⁶⁷

უკ(ე)თუ ღვძლსა ზ(ე)ლა ქარი სჭირდეს.⁶⁸ ბოლოკი შავი და საკმეველი, რ(ომე)ლი ჳ(ე)ლის ნებსა შუა ეტევის ეგეოდენი, ძირად და უმცრო კილამონი ახალსა ქოთანსა შთადეფ. თ(თუეს)ა ჭიქად თეთრი ღვნი შთ(ა)სხი, დაგბოლუ და ორსა ჭიქასა მოყარე, და რად ღამე გაელოს მოსწურე, და სამსა დილ(ა)სა შეასუ, და გრ(ი)ლსა საჭამადსა, (14v) და წყ(ა)ლსა მლაშესა, და მუავესა ეკრძალოს.

წამალი ურელისა. პ(ირვე)ლ თაფლი მოსცხე და ჭიასა გამოიყვანს, მერმე ბავრუკი და პილპ(ი)ლი, და მდოგუ, და ივლისა სოკო დანაყე, გაცარ და ცოტად ლილა, და კ(ა)ცის ყურსა ციდა ესე ყ(ოვე)ლი შეყარე, კუწრცხისა ხეჭეჭსა შ(ინ)ა აღუღე და სცხებდი.

ვისცა მჯდომი გამოუვიდეს.⁶⁹ დაწუ რქად ირმისა, დანაყე და ძმრითა სცხებდი, ვ(ითარც)ა იშრობდეს და გაქარდების.

უფსმადისათუს.⁷⁰ კირჩხიბნი წურ(ი)ლნი დაწუწ მზუარისა ადგილისანი, დანაყე, გაცერ და ღვნითა შეასუ.

რ(ომე)ლი ჳუჭლისგ(ა)ნ აღმოიხოდის.⁷¹ ახლა მოდუღებული კარაქი და ძირა, და კილამონი დანაყე და თაფლი ურთე, და ურევედი დიად, და ვითა პერული შეიქმნას დილა, მწუხრი აჭამე და ერგოს.

65 იხ. 48r.

66 ერთი სიტყვა არ იკითხება.

67 იხ. 48r.

68 იხ. 48v.

69 იხ. 48v.

70 იხ. 48v.

71 იხ. 48v.

თუ თ(უა)ლსა ფრჩხ(ი)ლი იყოს და ესისხლეოდის.⁷² კამაჲ დანაყე, გამოწურე და დედაკ(ა)ცისა სძითა უწობდი და ერგოს.

რ(ომე)ლი ფსელსა ვერ ბღრედეგს და საფსლე ეწეოდის.⁷³ თხის ბუშტი გა(ა)კმე, დაგაღე თაფლწელითა და ძმრითა ასუწმდი.

ვისცა წელი ებერეოდინ.⁷⁴ თელის ფურცელი მოგაღე და ღუნითა შეგბოღე, და შეასუი სამსა დილასა.

ვისცა მუცელგული სჭირდეს.⁷⁵ მრ(ა)ვ(ა)ლ ძარღვსა ძირი მოგაღე, დაწურე და ნაცარტუტითა შეასუ მრ(ა)ვ(ა)ლჯერ.

ვისცა გ(უ)ლისა ეზონი სტეიოდინ.⁷⁶ ნიახური ღუნითა შეგბოღე და თაფლი ჩაურთე, და შეასუ, და გ(უ)ლის ეზოთა შემოსდეგე. მისთსეგე. ზროხის ნადველი (15r) მკერდსა სცხე და ზ(ედ)ა აფსინდი მოასხი, და ზ(ედ)ა უსტარი დააკარ, და სამ დღემდი მიუშვი. და გ(უ)ლის ვნებასა ყ(ოველს)ა ერგების რაჲცა სჭირდეს.

ღორთელნი თუ ყელსა გ(ა)რეთ იყენენ.⁷⁷ კალნაფისა ძირი დაწუ, დანაყე და ვირისა მჩორო ძმრითა გადგინე, და მწურვალე შემოსდეგე მრ(ა)ვ(ა)ლჯერ.

ვისცა კისრის ძარღვნი გაუშუბდენ. კურმუხი მოგაღე და დასდეგე.

უფსმაღისათუს. ბოლოკი შავი დანაყე, გამოწურე და შეასუ, და შირიმცა დაღნოს, და ფსელსა თ(თუეს)ა გაჰყვეს.

თუ სისხლი ცხურთა სდიოდის. ქერქი აყიროსა დანაყე და ცხურთა უბერე.⁷⁸

ღუძღლისათუს.⁷⁹ ძეძუს ძირი დანაყე, წელითა აღუღე, უზმასა ასუ სამსა დილასა.

ვისცა თ(უა)ლთა ჭრატელი ესხმოდის. თევზის ნადველი და წითელი ჯინჭველი დასერო, მდელი დანაყე და თაფლითა დასდეგე.

მუცელტეივ(ი)ლისათუს. გუნდა მოგაღე და ფურის სძითა შეასუ.

რ(ომე)ლი სისხლსა ფსმიდეს. თხილის ფურცელი მოგაღე და ძმრითა შეასუ.

⁷² იხ. 49r.

⁷³ იხ. 49r.

⁷⁴ იხ. 49r.

⁷⁵ იხ. 49r.

⁷⁶ იხ. 49r.

⁷⁷ იხ. 49v.

⁷⁸ 15r, 15v – ცხვირიდან სისხლდენის ლოცვა.

⁷⁹ ღუძღლისათუს – იხ. 45v.

ვისცა ჯერკუალი სჭირდეს მუცელსა შ(ინ)ა. ურთხმელისა წუჭრი ანუ ფურცელი დანაყე და ღუნითა შეასუ ტფილი.

ვისცა თირკმელნი სტკივოდიან. მრ(ა)ვ(ა)ლ ძარღუ მოგაღე და თბილითა წყლითა შეასუი სამსა დილ(ა)სა.

ხოხბისათუს და ბაღმისათ(უს). ტუტის ძირი მოთხ(ა)რე, დაფხიკე, ქერქი აპკადე, დანაყე, წელ(ი)სა შ(ინ)ა ჩაყარე. მწუხრი ცასა ქუჭშე დადგი, დილეულ ასუ. პილპილი „კ“ დრამისა წონა, ვგოდენვე კულიავი, ძირაჲ „დ“ წონა, გომიზი ციგნისა „იე“ დრამისა წონა, კურმუხი „იე“, თაფლითა შეგბოღე, და ოდეს დაგეჭიროს თხილისა ოდენსა თაფლითა და თაფლის წყლითა⁸⁰ (16r) ასუჭმდი.

ქ(ა)ცი თუ შეკრვით იყოს. შაბი დანაყე, კარგად მოიღე, საპონი თან შეაზიღე და უკანას კარსა შესცხე.

თუ რბილად იყოს. ირმის დურიტა აჭამე. **მისთ(უს)ვე.** გუნდა და აჯასპი ერთგ(ან) დანაყე, და კუჭრცხის თეთრი გ(უ)ლი ჩასწურე, ყუითელსა გამოაცხობდი, ზედ მოუყრიდი, უზმას აჭმევედი. თუ მარხვაჲ იყოს, ფუბრუკსა მოადუღებდი, ზედ მოუყრიდი.

მუცლის ტკივილისათუს. დანაყე ბროწეულის ქერქი, შინაური პიგნა, ნიორი და ქალაქური ძირა, ცოტა თაფლიცა მიურთე და ცოტას კოჭობსა შიგ(ან) მოადუღე, და თბილსა უზმასა ასუჭმდი ერგოს.

მჭამელისათუს. მარ(ი)ლი, მდოგუ და შაფი, ესე ერთგ(ან) დანაყე ცხარითა ძმრითა, დაზიღე და ზედა სცხებდი. ვგრევე, შაფის დედლის სკინტლსა თბილით წყლით დაზელდი, ზ(ედ)ა დასდებდი. **მისთ(უს)ვე.** შაფის ვერძის კოჭი დაწუ, დაგაღე და დედ(ა)ქ(ა)ცისა სძითა გ(ა)დგინე, თბილ თბილსა ზედ სცხებდი ერგოს.

სიმსივნისათუს. ტრედის სკინტლი თაფლ წყლითა გადგინე და სცხებდი. კალნაფი მოხარშე, მისითა წყ(ა)ლითა ნელთბილითა იბანდეს, თბილად ტყავსა წახუჭედი. ქერის ქატოსა ნიორის (16v) წყლით მოხარტევედი, ცხელ ცხელსა დადებდი.

თუ ქარი სტეხდეს ასოთა. ღუნო გ(ა)აღბე, ნიორი, ქალაქური ძირა, უცეცხლო თაფლი და თეთრი ნავთი გაურ(ი)ე, სამსა დილასა უზმასა კარგად ასუ. ძეწნის ძირი მოთხარე, დანაყე, თაფლი მიურთე, პიგნა, ნიორი, ცოტას კოჭობსა შ(ინ)ა მოადუღე, ასუ.

⁸⁰ ტექსტში „თაფლის წყლითა“ გამეორებულია.

მჯდომისათვის. ჭიქა და ტრედის სკინტი, სელის თესლი, ქერის ფქვილი ერთგ(ან) შეადუღე და ქონითა ღორის(ი)თა ზ(ედ)ა დასდებდი, თბ(ი)ლად შეიხუიოს.

მიკრისის(ა)თ(ვ)ს. მყუარი ზეთითა მოხარშე, ასრე რომე სრულად დადნეს, მ(ა)ს სცხებდი ყ(ოველ)თა დღეთა.

თუ მუცლად თბილად იყოს. თევზისა ზურგიელისა თ(ა)ვი დაწე, დაგაღე, გუნდა ერთი, ცოტა ფეტვის ფქვილი გაურიე, ყუთლითა კუჭრცხის გულითა აჭმევი უზმასა.

ტყირბის ტყივილისათ(ვ)ს. ლედეს ძირი მოთხარე, დანაყე, ბოლოკი და გვირ(ი)ლა სწორად შეყარე, მრ(ა)ვ(ა)ლძარღუდ ურთე. ესე ერთგ(ან) დანაყე, მისი წუწნი შეასე, ნახარშსა ცხელსა ცოტასა მუცელსა შემოსდებდი.

ღვძლისა და ფირტვსა ტყივილისათ(ვ)სცა კაია.

ესეცა იცოდ: მ(ა)ს კ(ა)ცსა, **რ(ომელ)სა ესე სჭირდეს მუცელზ(ედ)ა**, თაფლისა და ძმარსა ერთგან (17r) გადგენდი და **მრ(ა)ვ(ა)ლსა სენსა კ(ა)ცის(ა)სა ერგების**, დილასა უზმასა შეასუშმდი.

წამ(ა)ლი თელგმისა პ(ირველ)სა იქმ(ი)ან აქიმნი. პ(ირველ)ად სწავლისათეს სინოტიოსა სტომაქის(ა)სა თელგმის(ა)გ(ან) ალაგზნებს, სტომაქისა შ(ინ)ა სიმჭურვალესა გაუკეთებს, გუნებ(ა)სა გაუგრილებს, ცნობასა გ(ა)ნსწმედს, მეცნერებასა, რ(ომელ)სა მიითუალოს ყ(ოველ)ი სწავლად, დაუყენებს მჭეცსა, გ(ა)ნაძლ(ი)ერებს მკუდარსა. სიმჭურვალისა დიდი წამალი არის და უკმს მ(ა)თ კურნებ(ა)დ, რ(ომელ)ნი დიდისა სინოტიოსაგ(ან) სიმჭურვალე არღარად იყოს, და ვინ მჭურვალე იყოს ზამთარსა შეასუას და არა ზაფხულის, **ერგების გონჯთა, კეთროვანთა, ბილანჯარ ...**⁸¹ თა, და რ(ომელ)სა დგმანი მოფოლხუშბულ იყენენ **თრთოლასა და ძრწოლასა**, ამ(ა)ს ყ(ოველ)ნი ფილასოფოსნი იკმარებენ. აღიდე პილპილი, დიდო ფილფილი, სალილაგი ქებული, გურკისგ(ან) გამორჩეული ბალილაჯი, ამალიჯი, თაკუს ყუჭრი, ოთხისა დრამისა წონა მარცუალი ბალადურისა, ქუსტი ბაპრი, შაქარი, ტაბარზატი, აბალდარი, ამისგ(ან) იასაპარი სამსა ექუსისა დრამისა წონა, ასდაოთხი დრამა სუდი გაქურცნილი, ასთარი ორი უწინ, ბალადურისა თაფლი გამოიდე მერმე შერთე წამალთა, დანაყე და გაცერ უწინ, მერმე ახალი მოკდილითა თაფლითა შეპრიე ჭურჭელსა ჩადევე ოდეს გინდოდეს გამოდებდი და იკმარებდი ორის დრამისა წონა ნიახურისა წყ(ა)ლითა გამოცდილიად.

⁸¹ ერთი სიტყვა არ იკითხება (ტექსტი დაზიანებულია, ამოხეულია პატარა ნაწილი).

ესრეთ ჯერ არს რ(ომელ)ი სნეული იყოს, (17v) მისი წყ(ა)ლი ჭიქასად შეიპყარ, მწუხრი და დილეულ ნახე. უკ(ეთუ) იყოს სასიკუდინე – შავი ღრუბელი ნახო ფსკერსა. არა არს კურნებად მისი. უკ(ეთუ) მოწამლული იყოს – ღრუბელი იისფერი იყოს. უკ(ეთუ) სიმჭურვალისგ(ან) იყოს – ღრუბელი ვარდისფერი იყოს. უკ(ეთუ) ჳურვებისგ(ან) იყოს – ღრუბელი ჳუარტლისფერი იყოს. უკ(ეთუ) იყოს ქარი – წყალი ღრუბელი იყოს უფერული. უკ(ეთუ) იყოს ღვძლის ტკიე(ი)ლი – ღრუბელი იყოს მწუანე. უკ(ეთუ) იყოს დედასენისგ(ან) – ღრუბელი ნაცრისფერი იყოს. უკ(ეთუ) იყოს მამაცობ(ა)დ – ღრუბელი იყოს წითელი. უკ(ეთუ) კ(ა)ცსა მ(ა)მაცობ(ა)დ აკლდეს. კბოსყური დახუწვე თეთრ ...⁸²ითა ღვნითა შეასუ.

თავსა ანუ წუშრთა თუ მმოვარი იყოს. შ(ა)კის ცხურის ჳლიკი დაწუ და ზეთითა გადგინე და სცხე.

უფსმადისათვს. შუდისა მერცხლისა ბუდისგ(ან) თიკად გადგინე, წყლითა შეასუ და განიჳსნას.

...⁸³ ყურთა თუ ჳ(ო)რ(ო)ტი რადმე იყოს ანუ მჭამელი. ჳინჭარი სამისა დრამისა წონა, პილპილი სამისა დრამისა წონა და ძმარი ეგეოდენივე ადულე ვ(იდრ)ემდის შესქელდეს, ბანბითა ჩაუდევე.

თუ გრწყ(ი)ლი დიდად იყოს. კვროსთ(ა)ვსა ძირით(უ)რთ ავბოლებდი, სახლსა მოასხემდი.

ვის დათრობ(ა)დ არა უნდეს. უზმამ(ა)ნ ნუში ჳამოს.⁸⁴

იარაყანისათ(ვ)ს. კუშრცხის გული ყუითელი და სპარსის ვ(უ)ლი ყუთელი, და ხურხუნდის ძირი, და ნარისლურჯისა ძირი ერთგ(ან) დანაყე, და წყლითა გამოწურე, სამსა დილასა შეასუ, დაცდილად.

და თუ მონად წაგივიდეს. მისსა სარტყელსა ჳ(ედ)ა დაწერე. და შინავ მოვიდეს, და თუ მოეპაროს რადმე, ვისცა რაოდენთად კ(ა)ცთა სწამებდე დაეჭობდე მ(ა)თსა სარტყელსა ჳ(ედ)ა დაწერე, და ვისცა შინა მოგართუან, და თუ მონისა წასულასა მისსა სარტყელსა ჳ(ედ)ა დაწერეთ, და არა წაგივიდეს, და თუალისგ(ან) და გ(უ)ლის მროვანისგ(ან) 18(v) თუ გეშინოდის

⁸² ერთი სიტყვა არ იკითხება (ტექსტი დაზიანებულია, ამოხეულია პატარა ნაწილი).

⁸³ ორი სიტყვა არ იკითხება (ამოფხეკილია).

⁸⁴ 17v – ფუტკრის გასამრავლებელი ლოცვა; 18r – ვენახის ბოსტნის ჳიის ლოცვა, უკეთუ ყანასა ვნება იყოს, მორიელის ლოცვა, თუ მონა წაგივიდეს (რიტუალი).

თუ თ(უ)ლისგ(ა)ნ გეშინოდის ვერა გავნოს მ(ა)რ(ია)მ და ჭუჭლი და ტადარი ნოეს ცოლი ს(ა)ხელი.

იარაყანისათვის. ფშატისა შეშასა ზ(ედ)ა, ნედლსა გარეთ(ა) ქერქი აფხიკე, ყუითელი იგი შეშად დაჭარ, წყლითა ასუ.⁸⁵

ვის გუჭლი ჩაუძრუეს. სძე ფურისა აღუდე კარგად და ვ(ითარც)ა დუდღეს პირი ზ(ედ)ა დადვას, ორთქლი იორთქლოს დიდხანად და წამოაგდოს გუჭლი, და მერმე აღუდებული სძე ასუი, დარჩეს კ(ა)ცი იგი.

დამზრალისათვის. კუჭრცხი შეწუი მაგრად, „ბ“ ზომი(ს) კუჭრცხისა გ(უ)ლი ყვთელი მაგრად შემწუარი და ერთისა ზომა კავთურიკევი ერთგან შეყარე, დანაყე კარგად, დიად და ძუჭლსა ბამბასა ზ(ედ)ა დააკრევი⁸⁶ ცოტასა (19r) და დასდები ორგზის დღესა შ(ინ)ა დამზრალსა ზ(ედ)ა.

დანაყილისათვის, და გატეხილისა, და მსიენისათვის, რ(ომე)ლ შიგან წყლული დარჩეს. თეთრი საკმეველი და ქონი ზროხისა დანაყე ერთგან კარგად, რ(ომე)ლ შეიქმნას მალამად, ზ(ედ)ა დასდევ.

დაკუჭრლისათვის. კეცის ნატეხი წყ(ა)ლსა ჩაყარე მწუხრი რკინა ზ(ედ)ა დასდევ ცასა ქუჭშე დასდევ დილასა უზმასა ასუემდი.

წამალი წყლით მანკიერისა. თავუკ სკინტლი მისითავე ფსელითა გადგინე, დაწურე, წუწნი მისი შეასუ, თხლე მისი მუცელსა⁸⁷ მოსდევ.

წამალი ფუშისათვის და მამაცისათვის ფუშისათვის. მღირდველი გაკმე, გამოწურე და შეასუ სამსა დილასა. ანუ ნიახურისა თესლი, ანუ კამისა თესლი მოგალე და შეასუ. **მისთვისუ.** გუნდა მოგალე და გუნდრუკი, და ლუქი ძირითა შეაზავე და შეზილე, და ზ(ედ)ა დასდევ, შეხუე. სამსა დილასა იყოს და მერმე გამოუცვალე, და საჭამადს აუკრძალე, რ(ომე)ლ არა გაბეროს. ძაღლის რძე, ნანას ძირი ღვნითა შეაგბე, ერბოთა შეასუ, მისივე ძირი დანაყე წურილად, წებოთა შესუარე და ...⁸⁸ ზ(ედ)ა დასდევ.

უფსმადისათ(ვ)ს. თხის ნაღველი, გუნდრუკი, ჯინჭრის თესლი გადგინე წყ(ა)ლითა შეასუ.

წამალი მამაცისა, რ(ომე)ლსა თირკემელთა ქეად იყოს. ლემის თესლი „იბ“ დრამისა წონა, ნიახურისა თესლი, ანისონი, კულიავი დანაყე, გაცერ, თაფლითა (19v) შესუარე, ტფილითა წყლითა, თხილისა ოდენი. **მამაცისათ(ვ)ს, რ(ომე)ლსა თირკემელთა რევაად იყოს, ჭიად მუცელსა და**

⁸⁵ 18v – ლოცვა საწერელისა.

⁸⁶ ტექსტში „ზ(ედ)ა და(ა)კრევი“ გამეორებულია.

⁸⁷ ტექსტში სიტყვა „მუცელს“ გამეორებულია.

⁸⁸ არ იკითხება.

გულსა აუშლიდის. აფსინდი, ტენცო, კალნაფისა თესლი სწორად დანაყე, თაფლითა და ღვინითა დიღუქულად ასუ. ცხრა ჟამამდი ჭამოს და ტფ(ი)ლი შეწამადი ჭამოს.

დედაქ(ა)ცი თუ უფსმადი იყოს. მკალი სხელი შეიპყარ და მისი ბოლოთ კერძო ფრთად უკუმიე ქუჭში მისსა.

რ(ომე)ლი სთხვედეს. ქურციკისა კორკლი დანაყე და ღვინითა შეასუ.

რ(ომე)ლსა ეწყურბოდის. ნეგოდ ღვინითა თეთრითა შეგბოლე და ასუ.

მუცელ გულთათუს. მგნაეისა ქერქი შეგბოლე და სამჯერ უზმასა ასუ.

ქ(ა)ცი თუ მოვიწყე იყოს. ოფოფისა თ(უა)ლნი და ენად შეაბენ, და რაცა დავიწყებულ იყოს მოეგონოს.

ჭიად ვისცა ესხას მუცელსა. არდის ძირი მონაყე, წყ(ა)ლითა გამოწურე და წყ(ა)ლითა შეასუ.

ღიაცსა ორსულსა უკმე და თ(უა)ლნი უგე: თუ მარცხენა ფერკი წარმოდგეს უწინ შ(ენ) კერძო – ქალი აქუს და თუ მარჯვენა – წული აქუს დაცდილიად.

ვის პირსა გუჭლი ჩაუძურეს. პიტნა ველური ძმრითა შეგბოლე და აჭამე, და დარჩეს ქ(ა)ცი იგი.

თმა და წუჭრი ვისცა დაჰქდეს. ლედუ ღვინითა შეგბოლე და მრ(ა)ე(ა)ლჯერ იბანდეს მით. **უკ(ე)თუ თმისა მოსხმა არ გინდეს.** მლამიობი დაწუ დაიცხე და არა გამოგესხას თმა. (20r) **ვის თმა და წუჭრი ელეწებოდის.**⁸⁹ ფოხუჭრისა ძირი შეგბოლე და მით იბანდეს ნელტფილითა.

გ(უ)ლი თუ ადრითგ(ან) სტკივოდინ და ვერ ეწამლოს. ბოლოკი შავი და ლედუს ძირი, და ასკილისა ძირი, და ნიახურისა თესლი ერთად აღუდე და მ(ა)ს შ(ინ)ა ჩაწვინე მკურვალესა და ზ(ედ)ა თბილად დაჭურე დაცდილიად.

სნეულსა რ(ომე)ლსა არა ეძინებოდის. ხავარტისა თესლი დანაყე, გინა ფურცელი გამოწურე და ზეთითა შებლსა სცხე. კუს ცოცხალს თ(უა)ლი ამოუდე და შეიბი და ვ(იდრ)ე არა შეიკნა არ გაგელუძოს.

სნეულსა ქ(ა)ცსა ცომი ტერფთა ქუჭში შემოსდე და ხან ერთი მიუშუ და წითელსა ძაღლსა მიუგდე თუ შეჭამოს დარჩეს ქ(ა)ცი იგი და თუ არა შეჭამოს მოკუდეს ქ(ა)ცი იგი. ჯინჭარი დანაყე და რამსაცა შიგან შესდვა **კრკილმ(ან) ვერ უკბინოს.**

და თუ გინდეს რ(ომე)ლ სძე არა გაირყუნას. პიტნად ჩაგდე შიგან და არა ეენოს.

⁸⁹ მეორდება 49v.

ვისცა კირკული ჩამოუგრძელდეს. კოვზის ტარსა ზ(ედ)ა მარ(ი)ლი დააყარე და მით აღმართ აღუხილე კარგ(ა)თ, ფიცხლა.

ვის ყელი სტკიფოდის და საჭამადსა აცუნდეს. ტრედის სკინტლი ძმრითა დამდურე და მჭურვალე შემოსდე.

სნეულსა, რ(ომე)ლსა ოფლი აწყენდეს. ცერეცო და ცერცუი სასთუნლად შემოუდე. **მის(კ)სევე.** სადაცა წყ(ა)ლსა შ(ინ)ა ძუალი იღვას კბილითა (20v) აღმოიღოს და თქუა): ვ(ითარცა) შ(ენ) წყ(ა)ლი შეგშრების, ეგრეცა წყალი და ოფლი ეგე შეგშრების, და ზე ნუ უკუიხედავს უკუღმართ, და ზ(ედ)ა კმელსა ადგილსა დაგდოს და დასწყედს ოფლი.

წამალი სარწყეველი. ცერცუს ნაგბოლითა და თაფლითა თესლი ხავარტისა შეასუ და დასთხოს.

ვისცა მუცელსა სტეხდეს. ბროწეულისა ქერქი და პიტნა თეთრითა ღვნითა შეასული აღუღებული.

წამალი, რ(ომე)ლი ერგების ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)თა კოზმან და დამიანესითა. შეიქმნა უსკოფისა, რ(ომე)ლი ერგების ბალდამსა, რ(ომე)ლი იყოს ნაწლეფთა შ(ინ)ა, და რ(ომე)ლსა ფიცარნი სტკიფოდიან, და რ(ომე)ლი შეკრულად იყოს კოლინჯისაგან, კოლინჯსა დაუღობს მუცელსა შ(ინ)ა, ქარსა გ(ან)სწმედს და გაიღებს, რასაცა მუცელსა შ(ინ)ა ტკივ(ი)ლი იყოს ერგების და ფერსა გაუკეთებს, და ჯავარსა მისცემს, და გამოცდილია, და სხუასა მრ(ა)ვ(ა)ლსა გ(ან)რყუნილსა სენსა ერგების. აღილე საკამონეა და თურბითი თეთრი, და ოთხი მუტყალი სანჯაბალი, პილპ(ი)ლი და კაკულა, და სამი მუტყალი კილამონი, ბალილაჯი, ამატალაჯი, კარნიფოლი, ჯაკაზბუვა, ბასბასა. თუთოსგ(ან) მუტყალი და ნახევარი დანაყე ყ(ოვე)ლი კიბისკიბე საკამონა ქაღალდსა შ(ინ)ა, დანაყე ყ(ოვე)ლი წმიდად და ერთად გაურიე. აღილე თეთრი შაქარი, დანაყე წმიდად, თხელითა საცრითა გაცერ და ერთგან (21r) შეყარე შაქარი, და ყ(ოვე)ლი წამალი, და მო(ი)ლე უგბილი თაფლი, ცეცხლთა შედგი და პერული მოჰკადე, და მიუშუ, რ(ომე)ლი გაგრილდეს⁹⁰ და ზ(ედ)ა ასხ(ი), და ყოფოდეს, ურიე, დიდად ჭურჭელსა ჩადე. თუ გასაკნეულად მისცემდე ძლ(იე)რსა კ(ა)ცსა ექუსისა დრამისა წონა შეაჭამე, და უსუსურსა ოთხისა დრამისა, ცოტათ ღვნითა ჩარღუნას, ხ(ოლო) თუ გუარიშად შესჭამდეს საჭამადსა, ორისა დრამისა წონა ერგოს მ(ა)ს ძ(ა)ლითა ღ(მრ)თის(ა)თა.⁹¹

კეთრისათუის. ასკილი მოგალე, ღვნითა შეასუ.

⁹⁰ ტექსტში „რომელი გაგრილდეს“ გამეორებულია.

⁹¹ 21r – ლოცვა ბედნიერისა.

თუ ღვძლი და ტყირბი სტკივოდის. მუხის ქერქი და არდი, და ქონდარი შეგბოლე, სამი ერთად მოყარე და შეასუ. **ღვძლისათუს.** არდი ბოსტინსა დანაყე, გამოწურე, მ(ა)ს გუწრდსა ზ(ედ)ა დაწინე და შეასუ, და თუ არა ერგოს ბზის ფურცელი დანაყე, თეთრითა ღვნითა შეასუ სამსა დილასა. **ტყირბისათუს და ღვძლისა.** იფქლის ფქელი გამტკიცე და გამოაცხევე, ტვილი გ(უ)ლსა დასდე. **ღვძლისათ(უს).** ლილა და ამარტა ღვნითა შეასუ. **ღვძლი რ(ომელ)სა სტკივოდის სიმჭურვალისგ(ან).** ძაღლის ყურძენი, კამის ძირი და ფურცელი (21v) დანაყე, მოწურე, ჭიქად ერთი დიდი ააგე და ოცის დრამის წონა შაქარი შიგან ჩაყარე და შუდსა დღესა ასუ ჭიქად ერთი. **მისთ(უს)ე.** თაფლი უმგბარი შუდსა დღესა აჭამე. რაგდენი ძ(ა)ლ ედვას, მარჯუწნესა მკარსა და(ა)წინე. **ტყირბისათ(უს).** ვისცა გაუხიგდეს კორცსა გბოლელსა ნუ სჭამს, ყ(ოველი)ვე მცირედ ჭამოს და ნუ გაძღვბის.

ქედის ტკივილისათუს. ახალსა დუმასა იღებდი.

რ(ომელ)სა ნაჭამი არა დადგრებოდის. თავცეცხლას ძირი შეასუ სამსა დილასა

ნაკებნსა გუწლის(ა)სა და ყ(ოველ)სავე მვეცის(ა)სა. მური დანაყე და დასდე. ქათამი გა(ა)პე და დასდე რ(ა)იცა დახუდეს. **გუწლცემულსა.** ძერის ნაღველი დასდე და ასოცა დასდე. **გუწლისა და ცოფისა ნაკებნსა.** ხაჭო ზროხთა ძმარსა ჩაყარე, ნაკებნსა ზ(ედ)ა დასდე და ცხურნიცა შეუგოზენ. **სხუ(ა)დ.** ჭრელი ჭიად ზის არდის ფურცელსა, ლურჯი თ(ა)ე ფერჯი დაჭარ და გაგდე, და სხუ(ა)დ დანაყე, და ზეთითა შეასუ.

რ(ომელ)სა სოკო ეჭამოს და მოკუდებოდის. ტეგანა გამოწურე და შეასუ. **სხუ(ა)დ.** ჩ(ი)ტის სკინტლი თაფლითა შეასუ.

წამალი გასახსნელი, რ(ომელი) გამოიღებს სტომაქისგ(ან) თელგამსა და მისთანა სნებათა. დრამისა წონა სპანძლის თესლი და ოთხის დრამის წონა პერული მოჰკადე, და თაფლითა შეხილე, და „გ“ დრამის წონა ღვნითა შეასუ.

რ(ომელ)სა მვეცისგ(ან) ნაკებნისა ეშინოდის. ოპანი ღვნითა (22r) შეასუ, კორცთა ყ(ოველ)თა სცხე.⁹²

ჭიისათ(უს). ირმის რქად დაწუ, მოგალე, წურ(ი)ლად თაფლითა შესუარე. თუ დიდი კ(ა)ცი იყოს სამი კოვზი შეჭამოს და თუ ცოტა ერთი.

ვის აკუწლებდეს. ფიჭუ ფითრი ღვნითა ტკბილითა შეგბოლე, სამსა დილასა ასუ.

⁹² 22r – რიტუალი ეშმაკეულისათვის.

თუ კ(ა)ცი უშეილო იყოს. ქურციკისა ყუჭრი ირმის ტყავსა შ(ინ)ა გამოჰკარ და შეაბი.

თუ ურელი იყოს. წირნისა გურკასა, რ(ომე)ლ გ(უ)ლ არს შ(ინ)ა დაწუ და კარაქითა შეხიდე, ზ(ედ)ა დასდე.

კ(ა)ცი თუ მხურინავი იყოს. რკინის ნაქლიბი შეასუ.⁹³

თუ კ(ა)ცსა ისრის პირი ანუ ჩონდლი ვერ გამოიღოს. თავუ გა(ა)პე და დასდე.

თმისა არ გამოსლვისათვის. ჯინჭველისა კუჭრცხი დაგალ და სცხე და არა გამოვიდეს.

მჭამელისათუს. მდოგუ თაფლითა უბილითა შეახავე და მჭამელსა ზ(ედ)ა სცხებდი.

რ(ომე)ლი სისხლსა დაჯდებოდის. დო ნახევერ დუღებული შეასდე.

ვის მჯდომი ძნელი იყოს ანუ ურელი მჭამელი. ვირის თ(უა)ლი დაწუ, დედაკ(ა)ცისა სძითა შესუარე და წ(მიდ)ა მხუარსა შეხუე, და ღამე წყ(ა)ლსა ჩადგი, და მ(ა)ს ზ(ედ)ა დასდე.

რ(ომე)ლსა მამაცობ(ა)დ არა ჰქონდეს. ირმის ყუჭრისა კუჭრები გა(ა)კმე და მოხუჭყე, და ღუნითა შეასმიდი.

კრდონისათუს. სიქაროზი (24რ) დანაყე ნიგოზითა, წებოთა და ლოფორთქინის ბუდე – სამი წურილად მოგალე, თეთრითა ღუნითა შეასუ სამსა დილ(ა)სა უზმა.

სისხლი რ(ომე)ლსა ცხურთა სდიოდის. სისხლითა მისითა, სახელი მისი, უკუღმართ დაწეროს შუბლსა მისსა ზ(ედ)ა და ესე ლოცვაჲ ცხურთა ზ(ედ)ა: ღაფო, პატროტად, ერგოს ნებითა ღ(მრ)თის(ა)თა.

რ(ომე)ლი ჯერკ(უა)ლი იყოს: ბირკის თესლი სამი კოვზი შეურთე და შუღჯერ, ერთის კოვზითა თაფლითა აჭამე.

სისხლსა რ(ომე)ლი ფსამ(ენ)ნ. იგივე თაფლითა შეასუ.

ბაგენი რ(ომე)ლსა დაეპნენ. ღორის ღართი ანუ სხუსა პირუტყუსა, ხახუს ქერქი დანაყე, ქათმის ცმელითა შეახავე და დასდე.

წამალი თუ დაჯდეს. თხის კორკლი და თავუს სკინტლი მოგალე, და გადგინე, და მოსცხე, და ნედლად იყარ თაფლითა.

ძუძუთ ტკივილისათ(კ)ს. ქარტა ახალი დაასოვლე და ზ(ედ)ა დააკ(ა)რ, და თბილ(ა)დ შეუხვიე.

მოვიწყესა. თხის თმ(ა)დ უკმიე.

⁹³ 22რ, 22ვ, 23რ – ლოცვები.

გულისტკივილისათვის. ნიახური შეგბოლვე, ჰამოთა ღვნითა მატყლი ამოსვარე და დასდევ გულსა, და უპესა. ესე გ(უ)ლის ტეხ(ა)სცა ერგების.

პირსა, რ(ომე)ლსა მცერცნელი იყოს. ქალბანა, პაგიუატი, ცხ(ა)რითა ძმ(ა)რითა გადგინე და სცხე.

ჭორფლისა. ტახის (24v) ცმელი და ვარდის წყ(ა)ლი შეაზავე, და სცხე.

გუშლი თუ გინდეს გ(ა)ნძებად ს(ა)ხლით. თხის თმა და ირმის რქა, და ღვ(ი)ის შეშა, და ქრთილი, წ(მიდათ)ა კეცსა შ(ინ)ა დაწვ და აკუმე ს(ა)ხლსა შ(ინ)ა. **სხუ(ა)დ.** ოსპის ფქუილი და ბროწეულის ყუაე(ი)ლი, ერთი კოვზი თაფლი, წყლითა შეგბოლვე და სცხე თ(ა)ვსა.

ხელი თუ გაისივდეს. ირმის თ(ა)ვისა ტკნი და ვარდის ზეთი აცხე. დივისა ფქუილი და თხლე ძმრისა შეგბოლვე, და მაგრად მოსდევ.⁹⁴

მძოვარისა და მღერისათვის. თივისა ფისი, ცვლი და ღუმბაროთანი, ესე სამნ(ი)ვე სწორ ჰყავ, კარგითა ძმრითა აადუღე, მ(ა)ს სცხებდი. მესამესა დილასა დილასა ტყემლისა მუავითა დაბანდი.⁹⁵

გუშლცემულისათვის. რ(ომე)ლი ძეწნ(ი)სა ზ(ედ)ა დამპალსა მორჩ ამოვიდეს, დანაყე და კ(ა)ცის ფსელითა ზ(ედ)ა დასდევ. **სხუ(ა)დ.** ძირხუნის ძირი მოთხარე ღამესა და გააკმე, და წურილად მოგაღე, და დაეც ვ(ითა)რ ორისა დრამისა სსწორი ღვნითა ანუ წყლითა შეასუ.

სხუ(ა)დ ცოფიანისა ნაკებინსა. ხაჭო ძმ(ა)რსა ჩაყარე და დასდევ. **ცოფ(იან)მ(ა)ნ ძ(ა)ლლმ(ა)ნ თუ უკბინოს.** ისივე ძაღლის თხეში მოგაღე, ზ(ედ)ა დასხი.

გუშლცემულსა. ვრანდელისა ფურცელი გამოწურე, ყრმისა ფსელითა ასუ.

გუშრდსა დაცემისა. ძიროსა ძირი შეგბოლვე, ღვნითა ანუ წყლითა ასუ და მ(ა)ს გუშრდსა მიაწვინე.

მღერისათვის, (26r) ქარტილსა და სიოდორგსა. კეცი დაწვ და მოგაღე, და ძმ(ა)რითა გადგინე, და ჯორცთა მისდევ.

მსივანი, რ(ომე)ლ წითელი იყოს. ასლისპური თბილი, ღვნოსა ტვილსა ჩაყარე და მოსდევ.⁹⁶

წყლულისათვის. სონიჭის თესლი და შაბი, და ბროწეულისა ქერქი, და მარ(ი)ლი ერთგ(ა)ნ დანაყე, და ზ(ედ)ა აყრიდი, და წყლულსა მ(ა)ს

⁹⁴ 24v, 25r – ლოცვები.

⁹⁵ 25r, 25v – ლოცვა გველისა.

⁹⁶ 26r – ლოცვა ალისა.

პირველ მოპბანდი. წყლული რ(ომე)ლსა სიცივე ეცეს. ხახუ მოგაღე, თეთრი ერბოთა დასდეგ.

ვის ეკალი ანუ ისრის პირი ედვას. თეთრი ხახუ და ღორის (26v) ცმელი დანაყე, და დასდეგ, და ირმის ძუალ-ტკნი დასდეგ, და თუ იგი არა იყოს გუნდა დანაყე და დასდეგ.

წამალი, რ(ომე)ლ ერგების ყ(ოველს)ა ქარსა. ბავასირსა შეულობს; მუცელსა შ(ინ)ა გაჰკაზმავს; დაუშუშნებს ფერსა სიბერისგან; ბუნებ(ა)სა კ(ა)ცთსა შეუქცევს; ესე გუარიშნი სიჭაბუკისა ბ(უ)ნ(ე)ბ(ა)სა დადგინებს და ერგების ყრმაწურ(ი)ლთა; რ(ომე)ლთა ფერი მ(ი)ღებულ იყოს შეაქცევს ფერსა, კ(ითა)რ პირველ სიმრთელესა შ(ინ)ა ყოფილიყოს და აშუშნებს კორცთა ნებითა დ(მრ)თისთაჲ შეზაგებ(ა)ჲ ამისი: აღიღე ხალილაგი, კუწრცხის გული, ბალინაჯი, ამ(ა)თგ(ა)ნი სწორი წონა დანაყე და გაცერ, ნუში ზეთითა შეზიღე, ამათგ(ა)ნი საწამლისა წონი იყოს, ნუში თუ არა იყოს ერბო ურთე, პერულ მოკდილითა თაფლითა შეზიღე, ჭურჭელსა ჩადეგ, ოდეს გინდოდეს იკმარებდი, თხილის ოდენსა შეასუმდი და ერგოს. ს(ა)ხ(ე)ლითა დ(მრ)თის(ა)თა ერგების ყ(ოველს)ა ქარსა და ბავასირსა,⁹⁷ და მამაცის(ა)სა. მოიღე კურმუხი და აფსინდი, და პრასა, და ქონდარი, და კოთხოჯი, და ც(ე)რეცოს თესლი, შეგბოლე ღვინითა ძუვლითა და დაწურე, და შეურთე სძე ფურისა, და ურთე (27r) თ(თუეს)ა თაჯუის ყუჭრი, აბაგი და ქაღონა, ზეთი ბერძული და ზეთი მკოსაჲ, დაფნისა დანავთი მცირე, და სელის ზეთი. ესე ყ(ოვე)ლი ერთგ(ა)ნ შეზ(ი)ღე და ვითა კ(ე)ლსა არა სწუშვდეს აღიღე უკანა, ანუ აბანოსა შ(ინ)ა უცანდალე სამჯერ, ანუ შუღჯერ საწნეხელსა შ(ინ)ა წყ(ა)ლსა ტფ(ი)ლსა და ერგოს. წამალი, რ(ომე)ლი ერგოს სტომაქსა. სიგრილისათუც ოდეს შესუას ერგების ცხროდსა ნადვლიანსა შავის(ა)სა, და ბაღლამიანსა, და კუჭლასა, და ოდეს დაიმჭიროს ენასა ქუჭმე და ჭიათა, რ(ომე)ლნი იშვებიან მუცელსა შ(ინ)ა. აღიღე უპანი ერთი ნაწილი, ორი ნაწილი ზანჯაბალი, ოთხი ნაწილი მარ(ი)ლი პინდური, ხუთი ნაწილი ძირ ქირმანი, შეტრაჯი შუდი ნაწილი, დანაყე და გაცერ, და შეზიღენ თაფლითა, შეასუ ს(ა)ხმელი მისგ(ა)ნ გუნდისა ოდენი გრ(ი)ლითა წყ(ა)ლითა, ერგოს.⁹⁸

სურავადისათ(ვ)ს. მხორო ვირისა მაწონსა აურიე და დასდეგ. მისთუსვე. კარაქი დასდეგ. მისთუსვე. ჭაპალუკი დანაყე დასდეგ.

⁹⁷ ტექსტშია „ბაღასირსა“.

⁹⁸ 27r, 27v – გველის ლოცვა, ლოცვა სენცეცხლის და საწერელის.

ლ(ო)ცვა გუშლცემულისათჳს. სტაგნის ფურცელი და ლელჳს ფურცელი, და ნიგოზის ფურცელი დანაჲე, გამოწურე და შეასჳ. (28r) და სცხე. **უქეთუ გუშლი პირსა ჩაუძურეს.** წყალი გ(ა)ტფე და დიდსა საწნესელსა შ(ინ)ა ჩასხი, და კ(ა)ცი შ(ინ)ა ჩასუი ცხელსა. ტაშტი აჳსე ცივითა წყლითა, პირსა მოსდგი და ნუ ასუამ, და რაჲ სიცივე წყლისა ეცეს მაშინდა მომართოს, და წამოაგდოს პირით გუშლი ტაშტსა შ(ინ)ა.

ბაღლაძისათჳს. ქორაფის თესლი დანაჲე და თაფლითა შეაჭამე ერთი კოჲზი.⁹⁹

(29r) **პირს სიმსიენისათ(ჳ)ს:** გომიზი, იოდასაღების თესლი, მორი, ერთად მოგაღე, წყლითა ადუღე და საღბუნად შექქენ, და ზ(ედ)ა დასდევ. სიმსიენე პირისა დაუცხროს და თუ ესე არა ერგოს მკლავსა სისხლი აღინე. **მისთვისჲე.** წამალი ნედლი ლეში და გუნდრუკი, და გუნდა ერთგან მოგაღე, და წყლითა გადგინე, და მ(ა)ს გ(ა)ნსა სცხებდი.

რ(ომე)ლი ფსელსა ვერ იჭირედეჲს. თხის ბუშტი მოგაღე და ტფილითა წყლითა შეასჳ იზმ(ა)სა. ანუ ქათმის მამლის ჯინჯაჲა დაწჳ, მოგაღე, ყ(ოვლ)ად მისსა კუჭრცხის ქერქი, რ(ომე)ლისგ(ა)ნ მართუწნი გამოსრულ იყვენენ მოგაღე და თბილითა წყ(ა)ლითა შეასჳ. **ქჳად, რ(ომე)ლსა იყოს და უფსმაღიცა იყოს.** კირჩხიბი (29v) მონაჲე და ტუტის წყ(ა)ლი ურთე კოჲზი ერთი, მანდილითა გამოწურე და შეასჳ მრ(ა)ვ(ა)ლჯერ. ქჳად და(ა)დნოს, საფსმურსაცა ჩამოძურეს. და რჳად თ(ა)ვი სხუ(ა)დ ჳარის ძირად, სამი ძირი ცერცჳ. მჯიღი ერთი ნესჳ ველური, მჯიღი ერთი ბავრუკი, ორი კოჲზი თაფლი და ზეთი ბერძული ურთე, ესე ყ(ოვე)ლი შეგბოღე, თასი ერთი მ(ა)თ მხალთა ნაგბული ბავრუკი და თაფლი უკანის ურთე. პატრუქითა დაწურე ზეთი ბერძული, ურთე სამსა დილასა. ძირი, თაფლი, გუირ(ი)ლად წურ(ი)ლი, რ(ომე)ლი წყლიანსა ადგილსა მოჳდების და ეკალსა, რ(ომე)ლსა გომიზი გამოვაღს, ესე შეასჳ. **და თუ ვერ ფსას.** სკინტლი მოგაღე და თეთრითა ღუნითა შეასჳ. **მამაცისათჳს და ზურგის ტკივილისათ(ჳ)ს.** ეკლის წურის ძირი თხარე, გარეცხე¹⁰⁰, თეთრითა ღუნითა შეგბოღე, სამი საწყაული ერთად თხუთმეტისა თასისა ერთ თასად მოყარე, ხუთს დილასა შეასჳ. **უფსმაღისათ(ჳ)ს.** ასრონი შეგბოღე წყ(ა)ლითა, სამი ერთად მოყარე და შეასჳ. **თუ საფსმურსა ქჳ(ა)დ იყოს.** თავი ჩაღმა უქციე და შეხარე.

⁹⁹ 28r, 28v, 29r – გაძნელებული მშობიარობის ლოცვა და რიტუალი, ლოცვები გველცემულისა, ბედნიერისა, მჯდომისა.

¹⁰⁰ ტექსტშია „გარეცხი“.

მამაცი, რ(ომე)ლი ყურსა და თ(უა)ლთა ატკივნებდეს. მოიღე შხამი კოვზი ერთი, იის ზეთითა სამსა დილაუსა ცხურთა უწოვე.

მუცლისათ(უ)ს და ტყირბისა. ვერხუის ძირის ქერქი თეთრის ღვინთა შეგბოლე, ნახევრად მოყარე და სამსა დილასა ასუ.¹⁰¹

(40r) **ბალღამ ზაფრიანობისათ(უ)ს.** მოიღე კუჭრცხის გული ყუთელი და ძირა ყუთელი, და ღუარძლი მოგაღე და ზ(ედ)ა დასდევ და ერგების.

რ(ომე)ლიცა სისხლისა დაჯღებოდის. ვაშლი დანაყე და გამოწურე, და მისსა ზომასა ძმარსა თ(თუ)ესა შეაზავე, და შეასუ, და ერგოს.

რ(ომე)ლსა გუამი სტკიოვდეს. ბაერუკი წითელი მოგაღე, თაფლითა შეაზავე, გ(ა)ათბე და ნელტფილი სცხე. ქჟად გა(ა)ჭურვე და ღვინთა უცანდალე, თუ სცხო სძე ლედუსა პირსა ზ(ედ)ა ქერის ფქვილითა და ძმრითა, ამოაგდოს მკუჭვრი და ერგოს წითელსა მჭამელსა და ჭორფლსა.

ვინ სისხლსა დაჯღებოდის. მოიღე გუნდა და ბროწეულის ქერქი, და ზოლი სარისა, სოკოე ანუ ვენაჰისა თეთრისა სოკო და მის თ(თუ)ესა ჯაოზი¹⁰², და ძირა თეთრი, და პილპილი, ესე ყ(ოვე)ლი გა(ა)ცმე და წმიდად მოგაღე, და თაფლითა აჭამე. და თუ თაფლი არ იყოს მოიღე ბრინჯი და შეგბოლე მაგრად, და კარგად, სქლად, და მ(ა)ს ზ(ედ)ა მოაყრიდი, და ანუ კუჭრცხითა აჭამე თოთოთა. და მის თ(თუ)ესა მოიღე მრ(ა)ე(ა)ლძარღუსა თესლი, გაკმე, მოგაღე წმიდად, იგიცა მოაყარე. **სხუ(ა)ე მისთუსვე.** მოიღე ქერი წ(მიდა)ე გარჩეული, წმიდად დაფქვე და თაფლითა მოზიღე, და მზითა ცოტ(ა)დ გამოაცხევე და აჭამე. თუ აკმიო ს(ა)ხლსა (40v) შ(ინ)ა რქად და სისუისა ძირი, ძელვისა ფურცელი – **მეოტ იქმნას გველი ჭადნი.** თუ ფურცელი იუდადს ძირითურთ აკმიო – **ს(ა)ხლად ბორ(ო)ტი ეშმ(ა)კი არა მოეახლოს.** თუ ნაყოფი მისი ღვინთა ანუ თაფლითა აჭამო – **ეშმ(ა)კეულთა გ(ა)ნჰკურნებს.** მართუწნი მერცხლისანი მოიხუწნ წინასა ბუდისანი, მთუარისა მატებ(ა)მსა შუა გაპენ და ჰპოვნენ ორნი ქვანი, თუთო ფერნი შეკირენ ირმისა და ანუ ვბოძსა ტყავსა შ(ინ)ა – **ვის ტვნი ქვეული დაშავებული იყოს, ერგოს.**

ვინ უფსმად იქმნას. თიჯად მერცხლისა ბუდისა გადგინე და სცხე. მოიღე შავისა მამლისა ფრჩხილი, მარჯ(უე)ნისა ფერკისა, შ(ენ)თ(თუ)ისა იპყარ ანუ ჰ(ე)ლსა დაიჭირე და – **მტ(ე)რთა შ(ენ)თა ზ(ედ)ა იყო.**

ვისცა ბრუე ესხმოდის. თავკუს ყუჭრი და ნიახურისა ძირი, და ძირა, ფურისა ერბოთა ტფლი ცხურთა უწოვე.

¹⁰¹ 30r-დან 40r-მდე – სხვადასხვა დაავადებების ლოცვები.

¹⁰² ტექსტშია „ჯაომი“.

ფერკნი თუ სტიკივოდიან. წყალსა ჩაუდგინე.

რ(ომე)ლსა დაწვითა სტეხდეს. ბერძული ზეთი სცხე და ქუსტი მოგაღე მაგრად, და ზ(ედ)ა სცხებდი, და ცეცხლი უცხუნე, და შეხვე.

მოვიწყისათუს და თელემისა. ქონდარი ძმრითა შეგბოლე და შეასუ. **სხუ(ა)ე.** თხის ბალანი უკმე ცხურთა.

რ(ომე)ლსა არა ეძინებოდის. თხის ქრად უცნობელ(ა)დ სასთუნალსა (41r) დაუდევ.

დამძრალსა. სკორესა ტფილსა სდებდი.

წელულისათუს. ბაბბად ბერძულსა ზეთსა ამოსუარე და ზ(ედ)ა დასდევ. ხაეიწი¹⁰³ დიკისა ერბოთა დასდევ.

მომწუარსა. ნიგუხის ფურცელი დაწუ და ერბოთა შესუარე, დასდევ. **სხუ(ა)ე.** ზღმარტლის შეშა დაწუ და ნაკშირი მისი მოგაღე, პ(ირვე)ლ(ა)დ ერბოსად სცხებდი და ზ(ედ)ა აყრიდი. **სხუ(ა)ე.** გერმა, პური, ღუნოსა პამოსა ჩაყარე და ზ(ედ)ა დასდევ.

ნაწლენი თუ ანასდა შესტიენენ. ძირა ანუ კულიაეი მოგაღე, ურწუელითა ღუნითა შეასუ. **სხუ(ა)ე.** ნიორი სამი თ(ა)ვი შეწუ, ჭიქად ერთი ღუნითა დაწურე და შეასუ.

მუცლით, რ(ომე)ლსა სიმყრალე აღმოდიოდეს. პილაპილა, ძირად და უპანი უგბლითა თაფლითა, სამის კუწრცხის გ(უ)ლითა ეც.

წუთ წუთ, რ(ომე)ლი დაჯდებოდის კმელ(ა)დ. თხის სძე და ღუნოდ შეაზავე, და ასუ კათხა ერთი.

მძოვარისათუს. ღერწმის ქერქი დაწუ, თესლი სპანძლისა და მდოგუსა, ბაგრუკი ნახევრად შეურიე და ზეთი სცხე მ(ა)ს ადგ(ი)ლსა, და ესე ზ(ედ)ა დასდევ.

ს(უ)რსუილისათუს და კეთრისა. წითელი ჭიად, რ(ომე)ლი არღისა ყუავ(ი)ლსა ზ(ედ)ა დაჯდეს დანაყე და ზ(ედ)ა დასდევ.

სისხლისა დაპყრობისათუს. მდოგუ მოგაღე და გადგინე, ზროხისა ქანთელსა (41v) ჩადევ და ზ(ედ)ა დასდევ ტყირბსა.

მღერისათუს. არღი ბოსტნისა დაწუ და ძმრითა სცხე.

კბილთა ტყივილისათუს. მკუარი პოხლი დაჭერ რვაღისა ჭურჭელსა შ(ინ)ა, ღუნითა შეგბოლე და წუწნი მისი პირსა იმდგომე. **სხუ(ა)ე.** გაგლის თესლი და მარილი შეაზავე, დასდევ. **(კ)ბილის ტენისათუს.** ფოხუწრის ძირი ძმრითა შეგბოლე, პირსა იყარ. **სხუ(ა)ე მანგალაფიკის ძირი აღუღე, პირსა იმდგუმე.** ხუდკელის ძირი და სომხური მარილი დანაყე, დასდევ. **სხუ(ა)ე.**

¹⁰³ ტექსტში „ხაეიწი“ გამეორებულია.

კაპრის ძირი აღუღე ძმრითა და გუნდა მოგაღე, და გუნდის ოდენი მარლი შეაზავე, და პირსა იპყარ. ჭიაჲ მოკალი და ღრძილნი დაუმავრდენ. სხუ(ა)ჲ, კბილის ტკივილისათ(ჯ)ს, თუ მატლი იყოს. მკუჭთსა, რ(ომელ)სა სუწლსა ჩასხმენ იგი პირსა ისხას და იმა(ს) კერძოსა სიდ სტკივოდეს მიწვეს, და მატლი კბილისგ(ან) გამოიყვანოს. უკ(ეთუ) ნაზლითა სტკივოდეს. მირთნი იცხოს და ერგების.

თ(უა)ლთა ტკივილისათჯს. ძუწლი ღუნო, ტფილი კუჭრცხის გული, ნიგუზის ზეთი, ნელტბილი დასდევ. ესე თ(უა)ლთა მზრალსა ერგების.¹⁰⁴

თუ გინდეს რ(ა)თა კ(ა)ცთა თ(თუეს)ა შუწნერად სწნდე. ოფოფისა ნადველი თ(თუეს)ა იპყარ და ესრეთ იკმაროს: ქრთილისა ერთისა წონა ზამბაკისა და მკუახისა, და ზეთისხილისა ზეთითა შეხილოს, და წარბთა იცხოს.

თუ ცხვრთა მღერი შეეკმნას. ოფოფისა ვ(ო)რცი გა(ა)კმე, სპანძლის თესლი დანაყე, ქერის ღერი დანაყე, მარლისა თ(თუეს)ა გარიე და ცხოვართა აჭამე.

თუ თ(უა)ლსა თეთრი იყოს. ოფოფისა სისხლითა იოღეგდეს, დილ(ა)ჲ, მწ(უ)ხრი, შუა დღესა. თუ ოფოფისა ნადველი ერთისა წრთილისა წონად მუშქსა თ(თუეს)ა თითითა შეხილე, წარბთა იცხე, კ(ა)ცთა თ(თუეს)ა შუწნერად სწნდე.¹⁰⁵

(44r) **ღუძლი არის ესე.** შეაგობოს საჭამადსა სტომაქთა შიგან და მისი ნაწერი სახლად სისხლად შექნების, და ძარღუთა შუა გაყვების, და რ(ომელი) დარჩების, და წელთა განუვალად შექნების, და მისცემს, და რ(ომელი) ნესტუმ(ან) ვერ წაიღოს – ფაწალასა მისცემს.

თელგმისა ს(ა)ხლი ფირტჯ არის, და კუჭრცხის ნადვლისა ყოლა ცნობისა და გონებისა გ(უ)ლი არის, და შავის ნადვლისა, ურვისა და სიცოფისა, ტყირბი არის. და სიმკურვალისა¹⁰⁶ ს(ა)ხლი თირკმელი არის, უკ(ეთუმცა) ბუშტი არ იყოს – თირკმელთამცა წინა კერძოდ, და თ(უა)ლთა, და გუგათა სიწითლე, და თ(უა)ლთა დახრეჭა, და კორძთა შექნა, და ტანთა ფხანა, და კბილისა შეძრვად, და ფრჩხილთა ტკივ(ი)ლი, გ(უ)ლის ტკივ(ი)ლი, გ(უ)ლის სიბნელე, ბრუს სხმად, სისხლის ამოყრა, ცხვირთა სისხლისა დენა, და ოდეს ესე ყ(ოველ)ნი აღიდრენ – ესე სცან. რ(ამეთუ) სისხლი მეტი არის შავის ნადვლისგ(ან), და მისი. რადმე ძარღუთა, და

¹⁰⁴ 41v – რიტუალი.

¹⁰⁵ 42r, 42v, – რიტუალი. 42v–43v – სახარება მათესი და მარკოზის.

¹⁰⁶ ტექსტში „და სიმკურვალისა“ გამეორებულია.

ფსელი ნახე, რ(ადთ)ა შეიტყუა ამა ყ(ოველ)თა სენთა საღმობ(ა)დ. ტყირბის ტკივილი, თ(უა)ლთა სიბრმე, გ(უ)ლის ძგერა, ბაფასირი ჳმელი, ჳველა, ძრწოლა, ფსელი შავი, თ(უა)ლთა მარცხენთა, თავის ტკივილი, მუცლისა და უბისა ტკივ(ი)ლი, და სიშფოთე, და მარცხენისა ფერდისა ტკივ(ი)ლი, ესე ყველა შავის თელგმისგ(ან) არის. **რ(ომელ)ნი აღიძრნენ (44v) თელგმისგ(ან).** გ(ან)ჳმობ(ა)დ კ(ა)ცისა, სიმჳურვალე, კ(ა)ცისა დაწვად და თირკმელთა სიმჳურვალე, უკ(ე)თუმცა არა იყო, ბუშტი(ს) სიმჳურვალემ(ან) კ(ა)ცი მოკლაჲ.

კ(ა)ცისა საღმობ(ა)თა შემძრეელი ქარი არის. სტომ(ა)ქთა შიგან აღიზრდების, შეექნების ცარ(ი)ელობისგ(ან). **მუცელსა და სტომაქსა სიმყრალე** აბორტებს და ნათლ(ა)დ გამოვალს, ვ(ითარცა) ყრმად დედისგ(ან). ნებად სენთა და მანკანად შეიქნების. ესე არის ნიშანი ფერად ფერადი ყ(ოველ)თა კ(ა)ცისა სენთა და საღმობ(ა)თა.

ღვინის მოყურობისა სახლი და მთხეველი ტუნთა არის. **ოსპნი** გრილი და ჳმელი აბუნია ქარსა, დაშრეტს სისხლსა, და(ა)ცხრობს სიმსივნესა და შეაკრობს მუცელსა გ(ან)ჳსნ(ი)ლსა. **ცერცვის** ჳამად უმატებს ჳორცსა და თ(უა)ლთა სახედოთა. **მღოგჳ** შუა და(ა)კლებს თელგამსა, ნაღველსა და სისხლსა, მონადომებს საჳამადსა. **ქონდარი** გ(ან)სწმედს გ(უ)ლსა და სტომაქსა, და გ(ა)ნარებს ქარსა, დასჭრის თელგამსა, და(ა)ამებს პირსა და მოჳკლავს ჳიასა, და კორძსა ფირტვის(ა)სა და ჳველ(ა)სცა. **ბოლოკი** მჳურვალე არს, დასჭრის თელგამსა, ამოჳყრის ქარსა სტომ(ა)ქისგ(ან) და მონადომებს საჳმელსა. **პიტნის** ჳამად სტომაქისგ(ან) ქარსა და თელგამსა გამოდებს, მჳურვალე არს და ჳმელი, და პირს(ა)ც დაუამებს.

უკ(ე)თუ ტყირბი და (45r) ღვიძლი ერთგ(ან) შეყრ(ი)ლი იყოს მუცელსა შ(ინ)ა. მუხის ქერქი და ველური არდი და ქონდარი ერთგან შეყარე, აღუღე ერთად, მოყარე და ასჳ.

ვისცა მჳდომი გამოესხმოდეს.¹⁰⁷ ჳინჭრის ძირი შეგბოლე, დაბანე და თუ არა გამოჩენილ იყოს გამოღმა ძმარი ასუი და მ(ან) გამოუჩინოს, და არა ევნოს, და ერგოს იმა მჳდომსა, ბედნ(ი)ერსაცა იტჳჳან.

მუჳლთ, რ(ომე)ლთა სტესდეს.¹⁰⁸ ნავთი და ნაღველი, რ(ომელ)ისა გინდ იყოს ერთად სცხე და ასტამი გა(ა)ჳურვე კარგად და მით უცხუნე, ჳ(ე)შმარიტად ერგების.

¹⁰⁷ იხ. 10v.

¹⁰⁸ იხ. 10v.

თ(უა)ლნი, რ(ომელ)ს(ა)ცა დაუბნელდენ და თ(უა)ლთაც და(ა)კლდეს. მდოგუ მოგაღე და წყლითა უწოვე.

ვისცა სოკო მაწყენარი ჭამოს.¹⁰⁹ პიტნა ველური დანაყე, გამოწურე და შეასუ.

რ(ომე)ლსა მუცელი შეკრვით ჰქონდეს. ყურძენი შავი დუღილითა დადნე, გამოწურე, შეასუ ერგოს.

წამალი, რ(ომე)ლი ერგების მუცელსა, ქარსა, ჯერკუალსა, ტეხასა და ვნებასა მუცლის(ა)სა.¹¹⁰ ნიახურის თესლი და ძირი, და ბროწეულის გურკა, ქონდარი და თეთრი ძირად, ესე ერთგან შეყარე, დანაყე და გამოწურე, და მით წვენითა აჭამე საჭმელი რას(ა)ც ჭამდეს.

ბავასირისა.¹¹¹ ღორის ბირკა, პიტნა – ბალახსა ჰქვიან. და იგი მოთხარე, რად ერთიცა გინდეს დანაყე და გამოწურე, და კვერცხის ხეჭბითა, სამსა დილ(ა)სა თუთოს (45v) სმოდეს და მრ(ა)ვ(ა)ლძარღვსა თესლსა მონაყდეს, და ნუ გა(ა)თხელებს, და მ(ა)ს ჭამდეს და ერგოს.

თვ(ა)ლთა ტკ(ი)ვ(ი)ლისათ(ვ)ს. თეთრი მდოგუ კოვზი ერთი დანაყე და თაფლითა შეაზავე, და სამად გაყავ, და სამსა დილასა ჩანთქას უზმამ(ა)ნ და ერგოს.

ჭიათათუს.¹¹² ვისცა სჭირდეს კულიავი კოვზი ერთი დანაყე და ზროხისა ნადველითა შეხილე, და უპესა და ჭიასა სწორად დასდევ, და(ა)ყრევიებს ჭიასა.¹¹³

ხორბისათუს.¹¹⁴ ქერის ფქვილი გაქნას წყლითა და რად დაწმდეს, უზმამ(ა)ნ იგი სუას დასტურიად.

ღვძლისათუს.¹¹⁵ ძეძუს ეკლის ძირი დანაყე და წყლითა ადუღე, და უზმასა სუას სამსა დილასა.

თ(ა)ვის ტკ(ი)ვ(ი)ლისათუს. ყურდღლის ნადველი ღვინითა ცხურთა უწოვე და ერგოს.

მუცელ გულისათ(ვ)ს.¹¹⁶ მჭნავის ქერქი შეგბოლე წყ(ა)ლითა, უზმამ(ა)ნ სუას.

¹⁰⁹ იხ. 10v.

¹¹⁰ იხ. 10v.

¹¹¹ იხ. 10v.

¹¹² იხ. 10v.

¹¹³ 45v – თვალის ტკივილის ლოცვა.

¹¹⁴ იხ. 10v.

¹¹⁵ იხ. 15v.

თელგმისათვის. ბოლოკი შავი თაფლითა და ძმრითა აჭამე, და ზ(ედ)ა თაფლი წყალი ასე, არწყოს ერგოს.

ტყირბისათვის. ანაკვეთი ქერისა ანუ იფქელისა თეთრითა ღვნითა დამღურე და ზ(ედ)ა შემოსდეგ, ერგოს. იოდასალები (46r) მარტშიდა მოთხარე, დანაყე და წყლითა შეხილე, და მრ(ა)ვ(ა)ლსა სენსა და საღმობასა ერგების. მჟავესა, მლაშესა ვრიდოს კ(ა)ცი და ვისცა მკლავსა ებას გრძნებისა და მტ(ე)რისგ(ა)ნ ნუ ეშინიან. ვინცა გ(უ)ლ მტკივანმ(ა)ნ ჭამოს ერგების, დღესა რ(ომელ)სა ჭამოს მოწამლვისგ(ა)ნ ნუ ეშინიან. და თუ მთრვალმ(ა)ნ ჭამოს მოაფხიზლებს. თუ ნიადგ ჭამდეს უცნაურად სიკ(უ)დ(ი)ლისგ(ა)ნ ნუ ეშინიან. სადაცა ეშმ(ა)კსა იფქობდე იქი აკმე და გ(ა)ნიდეგნოს. და ანასდათ ენა ჩაჭრილსა უკმე მ(ა)სცა მოუღხენს გ(უ)ლსა. და ვისცა მკლავსა ებას საცთურებ(ა)დ ეშმ(ა)კთა არა წაეკიდოს. თუ თესლი მისი ანუ თაფლითა ანუ ღვნითა აჭამო ეშმ(ა)კთგ(ა)ნ შეპყრობილსა გ(ა)ნკურნებს.¹¹⁷ **ესე იოდასალების(ა)გ(ა)ნ გამოვა.**

მჯდომისათვის.¹¹⁸ ტრედის სკინტლი, სელის თესლი, ქერის ფქვილითა და მღულარე ღორის ცმელიცა მიურთე, მჯდომსა ერგების.

ღვიძლი რ(ომელ)სა სტკივოდეს. ელეერი დანაყე დრამისა ერთისა წონა და თეთრითა ღვნითა შეასე ოთხსა დილასა, უზმამ(ა)ნ სუას, მტკივნეულისა გვერდისაკენ დაწვეს. **მისთ(ვ)სვე.** ბზის ფურცელი გა(ა)კმე, დანაყე და წყლითა გამოწურე, და თაფლი ურთე, და ცოტა შესვას, და მარჯვენესა გუჭრდსა მიწვეს. **მისთ(ვ)სვე.** (46v) არდის ფურცელი დანაყე და წყლითა შეასე, მ(ა)სვე გუჭრდსა მიწვეს.

ტყირბისათ(ვ)ს. ხავარტის თესლი მოხრაკე, დანაყე და თაფლითა აჭამე.

ვისცა თ(ა)ვსა და თ(უა)ლთა ბრუ ესხმოდეს. მერცხლის ბუდის მიწად დანაყე და თეთრითა ღვნითა გადგინე, გა(ა)თბე და მით შუბლი და კისერი შეუგოხე, და ერგოს.

რ(ომელ)მან შესუას წუწნი ბოლოკისა შავისა ერგოს **სიგონჯესა, სიყუთლის(ა)სა.**¹¹⁹

ვისცა იშრიმის ქვისგ(ა)ნ ყვერსა სჭირდეს ანუ მუცელსა.¹²⁰ ბოლოკსა დანაყდეს და სუას ოთხსა დილასა უზმამ(ა)ნ, ქვასა დაუღნობს და ფსელსა

¹¹⁶ იხ. 11r.

¹¹⁷ იხ. 11r.

¹¹⁸ იხ. 11r.

¹¹⁹ იხ. 11r.

¹²⁰ იხ. 11r.

გაპყვების, ვინცა სუას – მისგ(ა)ნ არა რ(ა)ე ვენოს ბრძანებითა
დ(მერ)თის(ა)თა.

ქ(ა)ცისა სიყვითლისათ(უ)ს.¹²¹ ენდრო დანაყე გამოწურე და შეასუ.

**მკერდი რ(ომელ)სა სტკიფოდეს, და სისხლსა ნერწყვიდეს, და კორკი
უხიოდეს.** პილპილა და ქონდარი დანაყე და გაცერი, თაფლითა აჭამე
მრავ(ა)ლჯერ, ერგოს.¹²²

კუელისათუს. სონიჭი დანაყე და ღორის პოხლითა მკერდსა და ბეჭსა
სცხე, კარგა ცეცხლი მოუცხუნე.¹²³

ვისცა გუჭლმ(ა)ნ უბინოს. ქათმის ტრაკი, საკვერცხე-ცოცხლისა,
ნაკბენსა ზ(ედ)ა დასდე და ამოსწოოს გესლი და ნაკი, და ქათამი
მოკუდეს, კ(ა)ცი დარჩეს, ერთი არა ეყოფის, სიღამდის მოკუდებოდეს,
სხუ(ა)ე მიაწარ ერგოს.¹²⁴ **მისთ(უ)სვე. ...**¹²⁵ (47r) ნიორი დანაყე და
თაფლითა შეზიდუ, ნაკბენსა ზ(ედ)ა დასდე, ერგოს.

კეთრისათუს.¹²⁶ ვირისტერფა ჰრქ(ა)ნ, ბალახია, ძირით(უ)რთ მოთხარე,
დანაყე და ძმრითა სცხე. **მისთუსვე.**¹²⁷ ხახუ დანაყე და ძმრითა სცხე
მრ(ა)ვ(ა)ლჯერ.

რ(ომელ)სა ურელი მჭამელი სჭირდეს. ნიახური დანაყე, ძმრითა
გამოწურე, მისი წუჭნი ნაკბენშიდა ჩაუსხი, ნაწური ზ(ედ)ა დასდე, იგი
შიგან მსხდომნი მატლნი დაიპოცებინ. **მისთუსვე.**¹²⁸ პილპ(ი)ლა და
ქონდარი დანაყე და ძმრითა გამოწურე, ჩაუწოვე ერგოს.

ვისცა ყურთა სმენა აკლდეს. მდოგუ მოგალე, თაფლი მიურთე,
პატრუკითა ყურსა უწოვე.

ვისცა თ(ა)ვი და კ(ე)ლნი უძრწოდეს.¹²⁹ ყურდლის ტუნი შემწუარი
აჭამე მრ(ა)ვ(ა)ლჯერ, უშეკლის.

რ(ომელ)ი კველისგ(ა)ნ თელგ(ა)მსა წამონერწყვიდეს.¹³⁰ წითელი ოსპი
და ვაშლი ღვნითა გააგბე, დადნეს, იგი აჭამე და ასუ, ერგოს.

121 ოხ. 11r.

122 ოხ. 11v.

123 ოხ. 11v.

124 ოხ. 11v.

125 ერთი სიტყვა არ იკითხება.

126 ოხ. 11v.

127 ოხ. 11v.

128 ოხ. 11v.

129 ოხ. 11v.

რ(ომე)ლი სისხლსა გავიდოდეს.¹³¹ ირმის რქად დაწვ, გაცარ, თაფლზე მოაყარე, უზმასა აჭამე.

ვისცა მუცელი უსიფდეს.¹³² არდი ღვინითა შეაგბე, მუცელსა ზ(ედ)ა დასდე, წვენი მისი კიდეცა ასუ, ერგების.

ვისცა ჩხვერა სჭირდეს.¹³³ სძე და თაფლი ერთგან ადუდე, და ნელთბილი ასუ. **მისთ(ვ)სვე.**¹³⁴ ძეძუს ძირი, რ(ომე)ლსა ფურცელი მისი ფარ(ა)ვითა მგრგუალი გამოსხმის, მისი ძირი (47v) დანაყე, თუ მ(ა)რჯუწნთა სჭირდეს წყლითა შეგბოლე და მით ასუ, თუ მ(ა)რცხენ(ა)სა ღვინითა ასუ.

ვისცა ტანშიგ(ა)ნ იქი და აქა სწერტდეს და კიდეცა სჩხვერდეს.¹³⁵ ასკილის გონჯის ფერად რადმე მოესხმის, იგი დაწვ, დაგალე და თაფლითა აჭამე, და ზეთითა უზილე, და ც(ე)ცხლსა უცხუნე.

კალნაბის ფურცელი დანაყე და გამოწურე და მით იბანდეს **თმაღ წვერსა, მმოვარისათ(ვ)სცა კარგია.**¹³⁶ **მისთ(ვ)სვე.** წუწნი ჭანკუტლისა ერთობ კარგია, მით იბანდეს.

სრსუილისათ(ვ)ს.¹³⁷ ჩიტის სკინტლი სცხე და აღმოაგდოს ძმრითა, გინა ნერწყვითა.

მუცლისა შეკრულისათ(ვ)ს.¹³⁸ ნალველი მგლისა მუცელს სცხე ერგების.

თუ ნიახურის თესლი ცომით შეზილე, გამოაცხე, **სტომაქისათ(ვ)ს** დასდე, თბილი **ღორთელს(ა)ცა ერგების.**¹³⁹

ვისცა თმაღ არა ესხას.¹⁴⁰ ღორის ძვალი და მყურის ბუდე, ამაღახტი და კემუხტი, ქერის ბზე და ბზის ფურცელი – გამჭმარი. ახალსა ქოთანსა ჩაყარე კმელადრე დაწვ, დანაყე, გაცერ და ღორის პოხლითა სცხებდი, მსგებსამდი ერგოს.

¹³⁰ იხ. 11v.

¹³¹ იხ. 11v.

¹³² იხ. 12r.

¹³³ იხ. 12r.

¹³⁴ იხ. 12r.

¹³⁵ იხ. 12r.

¹³⁶ იხ. 12r.

¹³⁷ იხ. 12r.

¹³⁸ იხ. 12r.

¹³⁹ იხ. 12r.

¹⁴⁰ იხ. 12r.

ყვავილი ვისცა ესხას.¹⁴¹ თევზის თ(ა)ვი დაწვი, დანაყე და ძმრითა სცხე.

რ(ომელი კ(ა)ცი ყვითელი იყოს.¹⁴² და ძმსტანი და ზაფრანიცა, იმისთვის ძირა დანაყე და ტკბილსა მაწონსა ზ(ეღ)ა (48r) მოყარე, აჭამე მრ(ა)ვ(ა)ლჯერ, ერგოს.

ვისცა ყურთა სტეხდეს.¹⁴³ კუმრცხის ცილი, დედ(ა)კ(ა)ცის სძე, ერთგ(ა)ნ გა(ა)თბე, ყურსა ჩაუწოვე ერგოს.

კეთრისათ(უ)ს.¹⁴⁴ ჯარის ძირა ფესვანად დანაყე და ბავრუკი ერთგან სცხე, ერგოს.

თუ ღუნოსა მყრალსა ახალი ქოთანი ჩაჰკიდო, **სიმყრალესა გამოართუამს.**¹⁴⁵

მღიერისა ძნელისათ(უ)ს.¹⁴⁶ პილპილა და ბავრუკი ერთგ(ა)ნ დანაყე, და ძმრითა სცხე, ერგოს.

ვისცა ზურგი დია სტეხდეს.¹⁴⁷ სატაცურის ძირი მოთხარე, თეთრი ღუნო თხუთმეტი თასი ჩა(ა)სხი ზ(ეღ)ა, აგბე ხუთ თასად, მოყარე ხუთსა დილასა, უზმასა ასუ, თბილ(ა)დ და(ა)ხურე.

ხვასტაგი, რ(ომელი გამოღერიანდეს.¹⁴⁸ ჩხიკვი გაკრტენ, დაწვი და მარ(ი)ლითა გა(ა)ლოკინე, ერგების.

ცხენის წილისათ(უ)ს.¹⁴⁹ ქათმის სკინტლი, ღორის პოხილი, ძმრითა აღუღე და სცხე.

თავი რ(ომელი)სა სტეიოდეს. ბამბალით დამდურე და მკურვალე შემოსდევე, და მისი ნაგბოლი თ(ა)ვსა ასხი, თბილად შეუხვე, ერგოს.

ტვირბისათ(უ)ს.¹⁵⁰ კვარწარეზის ძირი თეთრით ღუნით ერთსა დღესა აგბე წყ(ა)ლითა, მაგრა შეუხვევდი, სამსა დილ(ა)სა უზმამან სუას, თბილად დაიბუროს.

¹⁴¹ იხ. 12r.

¹⁴² იხ. 12r.

¹⁴³ იხ. 12v.

¹⁴⁴ იხ. 12v.

¹⁴⁵ იხ. 12v.

¹⁴⁶ იხ. 12v.

¹⁴⁷ იხ. 12v.

¹⁴⁸ იხ. 12v.

¹⁴⁹ იხ. 12v.

¹⁵⁰ იხ. 14r.

კველისათ(ვ)ს და თ(ა)ვექედისათ(ვ)ის.¹⁵¹ სანჯაბილი და სანანებელი, მდოგუ და საკმეველი თეთრი, და (48v) პილპილაჲ, სწორად დანაყე, თაფლსა, შაქარსა და შეკმაქასა შეაყაროს, ერთგ(ან) არიოს, საგებელსა შიგან აღარღაროს.

ვისცა თ(ა)ვექედმ(ან) ყური დაუგუბოს.¹⁵² მ(ა)სცა ერგების.

ტყირბისათ(ვ)ს.¹⁵³ ჭლი ჰქვიან, საწუიმრის ძირსა იგი თეთრი მონაყე და თეთრითა აღუღე ღვინითა, შეასუ თბილი და მ(ა)რცხენასა გვერდსა ზ(ედ)ა მიწვეს, მჟავესა, მლაშესა ერიდოს.

უკ(ეთ)უ ღვიძლის ტკივილსა ზ(ედ)ა ქარი დართოდეს და ძნელად აუბნებდეს.¹⁵⁴ ბოლოკი შავი, კველის ნებზედა საკმეველი რომ დაეტკვის იგი, ერთგ(ან) შეკარე და ღუნო ჩა(ა)სხი ეგზომი, რომე კარგად იდუღოს, ორ ჭიქად მოიყაროს, ღამე გავღე, მეორესა დღესა გამოწურე, სამსა დილასა უზმასა ასუშმდი, გრილსა და მლაშესა, მჟავესა ერიდოს, ერგების.

ვისცა მჯღომი გამოესხმოდეს.¹⁵⁵ ირმის რქად დაწუ, დანაყე და ძმრითა სცხე, ვ(ითარც)ა იშნობდეს, ერგების.

უფსმელობისათ(ვ)ს.¹⁵⁶ კირჩხიბი ცხრაფეკასა ჰქვიან, იგი მზის პირსა მრ(ა)ე(ა)ლი მოყარე, დაწუ, დანაყე, გაცერ და ღუნითა შეასუ.

ყურთა შიე(ი)ლისათ(ვ)ს და არა სმენისათ(ვ)ს. აბზინდი ჰქვიან, ბალახსა, იგი დანაყე და გამოწურე, და ძმარი ურთე, და თბილსა ყურსა უწთვედი.

რ(ომე)ლსა კველისგ(ან) ვ(მა)ჲ წასულ(ო)დეს¹⁵⁷ (49r) და ამოხიოდეს. ახლად ამოღებული კარაქი და თაფლი ერთად შეყარე, და ძირა, და კალამონი დანაყე, და ჩაურთე კარაქსა და თაფლშიდა, და ურევი და პერულად შექენ, და დილა მწუხრ აჭმევი.

თუ თ(უა)ლსა ფრჩხილი შეექნას და ესისხლოდეს.¹⁵⁸ კამა დანაყე და გამოწურე, დედაკ(ა)ცისა რძე ურთე და თ(უა)ლთა უწუეთებდი.

რ(ომე)ლი ფსელსა ვერ იჭირევედეს და საფს(ე)ლეცა ეწვოდეს.¹⁵⁹ თხის ბუშტი გა(ა)ტმე და ღაგაღე, და თაფლწყლითა და ძმრითა ასუშმდი.

151 იხ. 14r.

152 იხ. 14r.

153 იხ. 14r.

154 იხ. 14v.

155 იხ. 14v.

156 იხ. 14v.

157 იხ. 14v.

158 იხ. 14v.

მისტ(კ)ს. ქათმის წვილთათ(კ)ს გამონატეხი ხეჭებნი დანაყე, გაცერ და ღვნითა ასუ.

ვისცა წელი მოცელთა ებერებოდეს და უჭყვიროდეს.¹⁶⁰ თელის ფურცელი ღვნითა შეაგბე და სამსა დილასა ასუ. **ვისცა მუცელ გული სჭირდეს.**¹⁶¹ მრ(ა)ვ(ა)ლძარღუსა ძირი დანაყე, გამოწურე და ნაცარტუტა დაწ(უ)მ, ერთგ(ან) შეყარე და შეასუ მრ(ა)ვ(ა)ლჯერ. **ვისცა მუცელ გ(უ)ლისა ეზონი სტკივოდეს.**¹⁶² ნიახური ღვნითა შეგბოლე და გამოწურე, და თაფლიცა მიურთე და შეასუ, და ნახარში გ(უ)ლის ეზონსა შემოსდე. **მისთვისე.** ზროხის ნაღველი მკერდსა სცხე, ზ(ედ)ა აბზინდის წყალიცა მოასხი, მ(ა)ს ზ(ედ)ა უსტარი დააკარ, სამ დღე მიუში და **გ(უ)ლის ენებასა შ(ინ)ა ერგოს რაცად სჭირდეს.**

ღორთელისათუს.¹⁶³ თუ ყელსა გ(ა)რეთ იყოს კაღნაფის (49v) ძირი დაწუ, დანაყე და ვირის მხორთ და იგი სწორად გადგინე, და მრ(ა)ვ(ა)ლჯერ შემოსდე, ვ(ითარც)ა იშნოს და ერგების.

ჭიად ვისცა ესხას. არდის ძირი დანაყე, წყლითა გამოწურე და შეასუ. დიაცსა ორსულსა უკმე და თ(უ)ალი უგე, თუ მარცხენა ფერკი წარმოდგას შ(ენ) კერძო იცოდი ქალი ჰყავს, თუ მარჯ(უ)ენა ყმაწუ(ე)ლი.

ვისცა პირსა გუჭლი ჩაუძრეს. პიტნა ველური ძმრითა შეაგბე, შეასუ და კიდეცა აჭამე.

თმაჲ, წუჭრი ვისცა ჰკლებოდეს. ლელუს ფურცელი შეაგბე და მით იბანდეს.

უკ(ე)თუ თმის გამოსხმა არა გეპრიანებოდეს. მდამიობი თეთრი დაწუ, დანაყე და არა გამოგესხას ამ(ა)ს იცხებდი.

თმაჲ და წუჭრი რ(ომე)ლსა ელეწებოდეს.¹⁶⁴ ფოხვერის ძირი მოხარშე და მით ნელფილად იბანდეს.

თ(უ)ალი თუ აღრიდგან სტკიოდეს კ(ა)ცსა და ვერ ეწამლოს კ(ა)ცსა. შავი ბოლოკი და ლელუს ძირი, და ასკილის ძირი, და ნიახურის თესლი, ერთგ(ან) აღუდე და მ(ა)ს შ(ინ)ა ჩა(ა)წვინე მჭურვალესა და თბილ(ა)დ და(ა)ხურე.

¹⁵⁹ იხ. 14v.

¹⁶⁰ იხ. 14v.

¹⁶¹ იხ. 14v.

¹⁶² იხ. 14v.

¹⁶³ იხ. 15r.

¹⁶⁴ იხ. 20r.

სნეულსა, რ(ომე)ლსა არა დაეძინებოდეს. მოიღე თესლი ხავარტისა, გინა ფურცელი მისი, დანაყე, გამოწურე და ზეთი მიურთე, შუბლსა სცხე, დაეძინოს.

თ(ა)ვი რ(ომელ)სა სტკიოდეს. ხავარტის თესლი და ჯუნჯურიკ ერთად დანაყე, ადუღე და მკურვალითა იბანდეს, და ეშველოს. (50r) **მისთუსვე.** კურდღელი შეიპყარ უძაღლოდ და ნაღველი გამოართუ. მ(ა)მ(ა)ო ჩ(უ)ენოს მცოდნემ(ა)ნ მ(ა)ს(ა)ცა იტყოდეს, მერმე ღვინთა ცხურთა ჩაუწუეთე და ერგების ნებითა ღ(მერ)თის(ა)თა.

წამალი, რ(ომელი) ერგების ტყირბსა და კველასა, ჯურვებასა და ცხროსა, თელგამსა და ჯირკუალსა სტომაშიგ(ა)ნ. პილაპილა ოცის დრამისა წონა, გომიზი საციგნე თექუსმეტის დრამის წონა ეგღენი ურთვე,¹⁶⁵ ძირა და კულიავი ერთის დრამის წონაჲ, ესე ყ(ოვე)ლა თაფლითა შვაგბე და ვისთ(უ)სცა სააქიმოდ გინდოდეს თხილის ოდენსა თაფლითა და თბილითა წყლითა გადგენდი, დილ(ა)სა უზმაჲ ასუემდი და ერგოს ნებითა ღ(მრთ)ისთა.¹⁶⁶

ჯინჯარი დანაყე და რადსაცა (50v) შიგ(ა)ნ შესდვა, **ვერცა გუშლმ(ა)ნ და ვერცა სხუამ(ა)ნ მკებნარმ(ა)ნ და ვერცა სხუამ(ა)ნ მკებნარმ(ა)ნ ვერ უკბინოს,** ნებითა ღ(მერ)თის(ი)თა.

თუ გინდეს ესე, რომე, რძე არა შემკუჭოდებოდეს. პიტნა ასი ძირი ჩააგდე, სამკუჭთები და შეკუჭთოს, დასტურია იცოდი.

ვისცა ვაჟსა კუკუ დაუგრძელდეს. კოვხსა ზ(ედ)ა მარილი დაყარე და დანაყე, და ჩაუყარე, და აღარ დაუგრძელდების.

ვისცა თ(უა)ლთა ცრემლი სდიოდეს. ველური პიტნა დანაყე და გამოწურე, და წუწნი მისი თ(უა)ლთა ჩაუწოვე მრ(ა)ვ(ა)ლჯერ და ერგოს.

ყელი რ(ომე)ლსა სტკიოდეს. ცოტა ღვინო და ცოტას ვაჟის ფსელი ერთგ(ა)ნ გ(ა)თბე, ყელიცა მოიბანოს და კიდეცა ს(უა)ს, უშველის. **მისთ(უ)სვე.** ტრედის სკინტლი ძმრითა ადუღე და ყელსა შემოსდე.

სნეულსა, რ(ომელ)სა ოფლი არა მისწყდეს. ცერეცო სასთუმალსა მისდე და მოსწყდების.

წამალი რწყევისა. ცერეცო მოხარშე, მისითა წვენითა და ხავარტის თესლი დანაყილი, თაფლითა, თბილი შეასუ და არწყოს.¹⁶⁷

¹⁶⁵ ტექსტშია „ერთვე“.

¹⁶⁶ 50r, 50v – რიტუალი.

¹⁶⁷ 50v–51r – მშობიარობის რიტუალი.

უკ(ე)თუ მშობიარეს ჩვლი მუცელსა შიგან მოუკუდეს და ვერ დაეხსნას. თხის სძე და ღვწო შეასუ, უშეფლის.¹⁶⁸

ცხროს გარდაწერად კაკლა, სოფლად, ყთიალა, ალმანა, ჩოჩალა, გასწედი ცხროო და ჳურეებო, თუ სპარსი ხ(ა)რ მაჰმადის მადლსა, თუ ურია ხ(ა)რ პეტროზის მ(ა)დლსა, არნიცა სჯ(უ)ლნი ციგებანი ხ(ა)რთ მ(ა)დლსა თქ(უე)ნისა სალოც(ა)ვის(ა)სა ა(მი)ნ, კ(ურ)ნ(ე)ბს (?).

ყურსა, რ(ომე)ლსა წყალი სდიოდეს ანუ თხამლი. ვაჟისა, ანუ თხის ნადველი ჩაუწოვე, ერგოს.

თავისა ტკივილისათ(უ)ს. ყრდელის თესლი და ჯუნჯურიკი დანაყე, გამოწურე და თ(ა)ვისა სცხე.

სნეული, რ(ომე)ლი ხურიწვიდეს. ცხე(ა)რისა ანუ ზრხოსის ნადველი ყურსა სცხე, ერგების.

რ(ომე)ლი ძნელად ფხმიდეს. კრავისკუდაი ჰქვან ბალახსა, იგი შეაგბე, მისი წვენი სიმნის კოპის თ(ა)ვითა შეასუ და ერგების.

რ(ომე)ლი სისხლსა დაჯდებოდეს. ღო ნახევარ დუღებული შეასუ და ერგების.

მუცლის კსნილობისათუს. ფურის სძე და ვაჟის ფხელი, და გუნდა მონაყილი ერთგან ასუ, ერგების. **მისთვისე.** კიტრის ნაქურცენი გა(ა)კმე, მოგაღე და თაფლითა (51v) უმგბართა აჭამე, და ერგოს. **მისთვისე.** ქათმის კოჭხ(ედ)ა ქერქივითა ჰკრავს, იგი აჰკადე, გ(ა)კმე, დანაყე, თაფლითა აჭამე და ერგოს.

მუცელსა, ვისცა ტკივილი შეედვას. ფხელი მისი, კეცისა ჳურჭლითა დადგი, თუ მწერი ჰკრებოდეს – ზედ ძველი ყველი და ორმოცი მარცუალი პილპილა ერთგ(ან) შეყარე, დანაყე და წყლითა ხავიწად შექენ, და აჭამე. თუ ფხელსა მ(ა)ს ზ(ედ)ა მწერი არა ჰკრებოდის – მოკუდების, ცუდია, ნუ ჰკურნებ.

თირკმელთა ტკივილისათუს. წუნწუბ(ა)დ თაფლითა აჭამე.

გ(უ)ლის წრეტისათუს. ბროწეულისა ქერქი და ფისი ხუთ ხუთის დრამისა წონა დანაყე, ფურის სძითა ადუღე, შეასუ, ერგოს.

შეკრულობისათ(უ)ს. ქატოს წვენითა ჳაკუნტელი¹⁶⁹ შეაგბე, მისითა წუწნითა პატრუკი, ზეთი, თაფლი, ერბოდ ერთგან მოყარე, ძმარი ურთე, შეასუ ერგოს.

¹⁶⁸ 51r – ცხროს რიტუალი.

¹⁶⁹ ტექსტშია „ჭანკუტელი“.

მჯდომი ვისცა ესხას. კალნაფის თესლი მოგალე, ზ(ედ)ა მოასხი, ერგოს.

კუეიკურისათ(ეს). კულიაეი დაგალე, გამოწურე, სამსა დილასა სამსამი თასი შესუას, ერგების.

სრსუილისათ(ეს). კურმუხი მოგალე დედ(ა)კ(ა)ცისა სძითა სცხე და ერგების.

კ(ა)ცსა, რ(ომელ)სა კორცსა ძუალი დაეჩაროს. მისივე ძუალი თ(ა)ვისა დაიდვას და ერგოს.

გუშლცემულისათ(ეს). ვარდის ფურცელი (52r) დანაყე და ერმის ვაყის ფსლითა შეასუ.

სახლსა, რ(ომელ)სა გუშლი ანუ სხუ(ა) აენებდეს. დედაკ(ა)ცისა თმად და ღვის შეშად, ქრთილი, ქალბანა და კ(ა)ცის თმა, ირმის რქად ერბოთა აკმიე.

ხორბისათვის. ქრთილის ფქვლი წყ(ა)ლით გადგინე, უზმასა ასუ და ერგოს.

ტყირბისათ(ეს). ვისცა გაუსივდეს ესე სწამლე: კორცსა წყ(ა)ლითა მოხარშულსა ნუ სჭამს, ნუცა ყო(ე)ლ რასაცა ჭამდეს – თბილს ჭამდეს. კაპრის ძირი და ძეძუს ეკლის ფურცელი ერთგ(ა)ნ ძმრითა შეაგბე და შეასუ, დაცლილი არის, ერგოს. **მისთუსვე.** იფქვლის ქატომ მოჭალე და მსივანსა ზ(ედ)ა დასდევ, და ერგების ნებითა ღ(მერ)თის(ი)თა. **მისთუსვე.** მდოვკ ჯმელი მოგალე, უმებართა თაფლითა მოზილე, კურდღლის კორკლის ზომა ცხრა შექენ და სამსა დილასა უზმასა, სამ სამი შეაჭამე და მ(ა)ს მტკივანსა ზ(ედ)ა მიაწვი(ი)ნე, ერგოს ნებითა ღ(მერ)თის(ი)თა, სამხრამდი იმა მჭარსა იწვეს. **მისთუსვე.** არდი ბოსტნისა დაწუ და ძმრითა გაქენ, მტკივანსა ზ(ედ)ა სცხე, ერგოს, დასტურია, ნებითა ღ(მერ)თისათა.

კეთრისათუს. მლამიობი შეიპყარ, თეთრითა დაკალი, სისხლი მისი ჭიქასა შიგ(ა)ნ დაიჭირე, სისხლი და კორცი ორივე გა(ა)ვმე, დაგალე და თაფლითა გადგინე, კეთრსა შემოსდევ, ხუთ დღემდი ნუ შეიხსნის და ერგოს.

თავის ტკივი(ი)ლისათუს. კ(უ)რდღლის (52v) ნაღველი ცხურითა უწოვე.

ვის ფერჯთა სტეხდეს ერთსა ადგილსა. იფქვლის ქატომ გა(ა)კურვე ტაფასა შიგან თხლითა ანუ ღვინითა, ფერჯსამცა არა დასწვიდეს ცხელსა დასდებდი ხშირად, კიდემცა არა გაუცივდა. **მისთ(ეს)სვე.** საროს ძირი დანაყე, კეცსა ზ(ედ)ა დასდევ და მ(ა)ნ მოკლას საღმობ(ა)დ იგი.

ვის ფერჯი გაუსივდეს. ასლის ფქვ(ი)ლი სძითა მოზილე, ჩიტის სკინტლი ურთე, მსივანსა ზ(ედ)ა დასდევ.

უკ(ე)თუ რწყევისა დაყენებ(ა)დ გინდოდეს. კურდღლის გული შეგბოლვე, ნიგოზის ზეთითა შეასუ და შეაჭამე, და ერგოს. **მისთ(ვ)სევე.** ბოლოკის თესლი დანაყე, გაცერ და ვაშლის ქერქი დანაყე, გაცარ და ბოლოკი მით შეზილვე, მკერდსა დასდევ და შეისუვე.

უკ(ე)თუ ჯორცთა კეთრისა მასმური გამოეცეს. იგი წითლისა ნადვლისაგ(ა)ნ არის. მხალი კაღნაფისა კარგად შეაგბე, იგი კ(ა)ცი თბილად დასუ. **ოფლმ(ა)ნ** რად დაუწყოს დივლი, ფრჩხილსა ნახარშითა იბანდეს და ერგოს. **მისთ(ვ)სევე.** გარაკის ფურცელსა ზ(ედ)ა ნამი დადგების, ჭურჭელსა შიგ(ა)ნ მოყარე, რვას დღეს თუთო ჭიქა შეასუ, სამსა დილასა თეთრსა ფსმიდეს¹⁷⁰, მით სცან რომე ერგების.

(53r) **გარე რ(ომელ)სა აინდეს.** ლედეს ფურცელს სძე რომ სდიოდეს მ(ა)ს სცხებდი, სამსა დღესა ცხელსა მზესა იცხუნებდეს – სადამდი ტყავი არ აქლთდეს, სცხებდი, ერგოს.

კ(ა)ცი თუ ვერ ფსმიდეს. ტრედის სკინტილი, დრამის წონა, შეასუ.

ქარისთ(ვ)ს. თეთრი ნავთი სუი კურას დღესა. სამხარი ჭამე და **ორშ(ა)ბ(ა)თსა** იმარხე – ნუცა ვახშამსა სჭამ; **რ(ა)ყ(ამ)ს** ყოველი კ(ა)ცი დაწვეს, შუალამე შეიქნას, კ(მა)დ არა იხმოდეს, კვერცხის ხეჭები ნავთითა და ღვინითა ასუ, ღვინო უფროდ ქენ, ჭიქითა შეასუ, თბილად დაიბუროს, დაიძინოს, დილეულ საგებელთა ნუ აღგების პაშტას ხანს, პაჭიჭს ნუ გაიჭდის, სარტყელს ნუ შეირტყამს, ფერჯი მ(ა)ლლ(ა)დრე დაიდგი. **სამშ(ა)ბ(ა)თს** – შუადღე პური ჭამე, ვახშამსა ნუ სჭამ; **ოთხშაფათს** – იმ(ა)რხე; **ხუთშ(ა)ბ(ა)თს** – ამავე წესითა ჭამე; **პარასკევიცა** – იმარხე; **შ(ა)ბ(ა)თსა** – სამსა კურასა იმავე წესითა იქმოდე, **შ(ა)ბ(ა)თსა სამხ(ა)რსა** ჭამდი; **კურამდი** – იმ(ა)ს იქმოდე. ამ(ი)ს წამლობაშიგ(ა)ნ ღვინოს თბილსა ასუჭმდი, მეორეს კუირასა მუშკი – თუ ეშოებოდეს, მითვე წესითა ქალბანაცა ერგების, ნებითა ღ(მერ)თის(ი)თა.

სოკო, რ(ომელ)სა ესხას. დელისა სოკო, პილპილა, მდოგუ, თაფლითა უმბარითა გადგინე, სცხე, ანუ ძუ(ა)დ, ანუ ყაჭის საბელი, (53v) მოუჭირე და მოჰკვეთე, ერგების.

მამაცსა, რ(ომელ)სა ცერი შეებეჭდოს. ქონდარსა დანაყილსა ასმიდი, ერგების ნებითა ღ(მერ)თის(ი)თა.

სისხლი, რ(ომელ)სა ედინოს და სიცივე შეუვარდეს. ქინძი ჳმელი, დანაყილი მის(ა)დ და თ(ა)ვის თმად ერთგან შეზილვე წყლითა, ზ(ედ)ა დასდევ და შეუხვ(ი)ე, სიმსივნე დაუცხრეს. ერთხელ ვაჟის გ(ა)ნავალი

¹⁷⁰ ტექსტშია „ფმიდეს“.

სცხე, ქრთილის ფქე(ი)ლითა ზ(ედ)ა მოუგოზე, სკორე ზროხისა ჩულის კ(ა)ცის ფსელითა მოუგოზე და სცხე.¹⁷¹

სოკო რ(ომელ)სა შიგნით ესხას. თუ გინდეს შეგებ(ა)დ მისი ზროხის გორცი მჭლე შეწუ, თუ სჭირდეს – ვერ დაცოხნის და ჟამ ჟამცა გამოაგდებს.

რ(ომელ)სა სადრეკელსა ესხას ღვძლი, ანუ ნაწლეეთა, ანუ სტომაქსა. ღვიძლი ცხურისა ანუ თხისა გა(ა)პე და მუცელსა ზ(ედ)ა მოსდევ.

უკ(ეთ)უ შავათა შეიქნას ჭურვებ(ა)დ, თუ გათეთრდეს სოკოდ. გ(ა)ნავალსა წვეთ წვეთად ჰყვებოდე და პერული თხილის ფერი. მისთ(უ)სვე. გუნდა შუდი აღუღოს, ერთი კასპური ღუნო ერთგ(ან) (54r) შეზილე და შეასუ, ქრთილის ფქელი დაწუ კოვზის ნახევარი, თ(თუეს)ა შეურიე იმ სასმელსა, განავალსა დასდებდეს და ერგოს.

მამაცისა ქარისა. პრასისა წუწნი და ნიგეზის¹⁷² ზეთი ერთგ(ან) შეყარე, ახურეტიზე, ერგების.

ფერკი, რ(ომელ)სა გზისა სლეითა სტკ(ი)ოდეს. ტენცო და ტეგანა დანაყე, ზეთითა ბერძულითა ზ(ედ)ა დასდევ და მითვე დაუზილევე.

წელნი რ(ომელ)სა ანასდათ შესტკიოდენ. ძირა და ანუ კულიაგი გა(ა)კმე, კარგად დაგალი, ღუნითა ურწყულითა შეასუ.

თ(უა)ლთა, რ(ომელ)სა ბლიტა მიეღებოდის. ხეჭეჭი, რ(ომელი არის ტბასა შ(ინ)ა ლოფორთქინი, იგი ანუ ქარქაში ძველი დაწუ, წურილად დანაყე, გაცერ, ჟამადმდე დედ(ა)კ(ა)ცისა სძე სცხე და ერგოს.

მუცლითა, რ(ომელ)სა სიმყრალე ამოუვიდოდეს. პილპილა და ძირა, და ოსპნი, უმგბარი თაფლი, სამი კუჭრცხის გული, ერთგ(ან) შეყარე და ასუ.

რ(ომელი ხშირად გავიდოდეს. თხის სძე და ღუნო შეყარე და შეასუ.

რ(ომელი სისხლსა დაჯღებოდეს. ირმის რქად დაწუ წურილ(ა)დ, მოგალე, შუდჯერ აჭამე ფუბრუკითა. პილპილა ათისა დრამისა წონა, ათის კუჭრცხის გ(უ)ლი, მუავედ ბროწეული, ესე ერთგ(ან) გაღვინე, სამი კოვზი შეასუ დილეულ და ერგოს, ნებითა ღ(მერ)თის(ი)თა.

(54v) **რ(ომელ)სა ტება სჭირდეს.** კარგის ღუნის თხლე ქრთილის ფქელითა ერთგ(ან) შეყარე კეცსა ზ(ედ)ა, გათბე, ქალსა, რ(ომელ)სა ვაჟი სწოვდეს მისითა რძითა გუნდა უკურელო ნათესსა ზ(ედ)ა დასდევ, ნათესი აიღე, აგეთი თ(უა)ლთა დასდევ და ერგოს. მისთ(უ)სვე. უკურელო გუნდა

¹⁷¹ 53v – მშობიარობის რიტუალი.

¹⁷² ტექსტშია „ნიგზის“.

მოგალე, წურ(ი)ლ(ა)დ გაცერ და ზროხისა ცმელითა მაგრად შეზილე, კუჭრად შექენ და თ(უა)ლთა დასდევ და მიაძინე.

თ(ა)ვი, რ(ომე)ლსა ჰქაოდეს. ნელთბ(ი)ლითა თაფლითა დაბანე, კარგად შეუხვუე, იყოს ხანამდი, მერმე თელის ძირი და ფოხვეურის ძირი დანაყე და შეაგბე წყლითა, და მით დაბანე.

თუ თ(ა)ვსა ქერტლი იყოს. ტახის ნაღველი და ბროწეულის ყუავ(ი)ლი, კოვზი ერთი თაფლი, ერთგ(ან) შეყარე წყ(ა)ლითა, თ(ა)ვსა სცხე ქარტლი მოკლას და ქავილიცა და(ა)წყნაროს. **მისთ(ვ)სევე.** მღრიალ ტველაჲ წყალსა ზის, იგი დაწუ და მოგალე, წყ(ა)ლითა, უფრო ძმრითა გადგინე, თ(ა)ვსა სცხე, ქარტლი მოკლას და თმ(ა)ჲ გაუკეთდეს. ერთხელ კანაფის ძირი მოხარშე, თ(ა)ვსა სცხე, ერგოს. **მისთ(ვ)სევე.** კაპრის ფურცელი თურთუ სძითა შეაგბე და მით ნაგბოლითა ჟამ ჟამ თ(ა)ვსა დაიბანდეს, და ქ(ე)რტლი და ქავილი ორვე დაუწყნაროს. (55r) ი(ი)ს თესლი და გუნდრუკი მოგალე, და შუბლსა სცხე. **მისთ(ვ)სევე.** მოლოქი და ქინძი, და შამბალი შეაგბე, და მისითა წყლითა თ(ა)ვი დაბანე, ნაგბოლი თ(ა)ვსა დასდევე, ერგების.

რ(ომე)ლსა თ(ა)ვი სტიოდეს. გომიზი და პილპილა მოგალე, თ(ა)ვის ნახეგარსა სცხე, ორბის ნაღველი ცხურთა უწოვე და ერგოს. იის ძირი, დათუს ნაღველი და ოსანი ერთგ(ან) შეყარე, და ცხურთა უწოვე. **მისთ(ვ)სევე.** აბზინდი და ნიორი ღორის პოხილითა, ანუ ერბოთა შეაგბე, თ(ა)ვსა დასდევე ერგების.

ზურგის ტკ(ი)ვ(ი)ლისათ(ვ)ს. აბზინდი და ქიმეტრა, და კოწახურის ძირი, კამი(ს) სამი თ(ა)ვი, ძირით(ურ)თ, იფნის ქერქი, ცოტა ქონდარი, ესე ყ(ოვე)ლი ერთგ(ან) შეაგბე ღვნითა, სამი საწყავი ერთგ(ან) მოყარე, გამოწურე, ცოტა თაფლი მიურთე, სიღამდი თბილი იყოს, ერთგ(ან) მოთქუიპე, შუადღემდი ასუჭმდი.

რ(ომე)ლი სისხლსა ფსმიდეს. მერცხლის კუჭრცხი მოგალე და ქრთილის ფქვლი ურთე, და ძმრითა გადგინე, და ასუ. **მისთ(ვ)სევე.** ირმის რქაჲ პ(ირვე)ლი ამოსრული ჭობოშნითა მოქლიბე და გადგინე, და ძმრითა შეასუ, ეგრევე მისი ღართი გა(ა)კმე, მოგალე და ძმრითა ასუ.

რ(ომე)ლსა მატლი ყურსა ესხას ანუ სხუასა ადგ(ი)ლსა. ატმის გურკის (55v) ზეთი მოგალე, ძმრითა შეასუ, ზ(ედ)აც მოსდევე, მზესა მიუწვინე.

მცერცნელისათუს. გუნდა უკურეტი და ბავრუკი, წითელი ოსპი, ურწყო ქონდარი, დიადი ესე ყ(ოვე)ლი კუპრით მოგალე, ნაცარტუტითა ბანდი, იმ წამალსა ზ(ედ)ა ზდებდი. ქათმის სკინტლი გადგინე წყლითა, ბამბაშიგ(ან) ამოსუარე და წყლულსა ზ(ედ)ა დასდებდი.

გულ მოვიწყისათჳს. ქურციანი სუადი შეიპყარ, ყუწრნი გამოუყარენ და ცხვრსა მიუპყარ, ისუნოს და ყელსაცა შეიბას. **მისტ(ვ)სვე.** ბალანი თხისა ცხვრთა უკმიე, ისუნოს და ყელსა შეიბას.

თელგმისათ(ვ)ს. ქონდარი ძმრითა შეაგბოს, შეასუას, თელგამსა წამოყრის და ერგების.

ზურგის ტ(ი)ვ(ი)ლისათ(ვ)ს. წყლის პირსა, სათიბსა შიგან დგას ტენცო და იგი დაკრიფოს, და სძითა და(ა)ლბოს, ერბო ურთოს და უზმამ(ა)ნ სუას, ქარს(ა)ცა ერგების.

სიცივისა გატეხისათ(ვ)ს. ძირა თაფლითა მონაყე, ასუ და ერგების.

სისხლი რ(ომე)ლსა არა დაეყენოს და არა მისწყდეს. აჯასპი დაყარე, ანუ ჯინჭარი მოგალე, დასდევე და მიუწყდეს, ნებითა ღ(მერ)თის(ა)თა.

გ(უ)ლის შლისათ(ვ)ს. პიტნა სამი ძირი და ბროწეულის ტკბილის წუწნი ძმრითა აღუღე და ახურიტოს, დაცდილია.

(56r) **რ(ომე)ლი ვერა ფსმიდეს და წყლადცა დაჯდებოდეს, ცოტად მუცელიცა სტკიოდეს.** ქელი უჭრან და ნაღველი ამოუღონ, პოხილითა უხელდენ ვ(იდრ)ე ბუშტისა პირი არა გაენსნას და ერგოს.

რ(ომე)ლსა ეკველებოდეს და სისხლსა ამოყრიდეს. ბიად და ვაშლი, და ოსპი წითელი შეაგბოს, ვ(იდრ)ე დაღწუშს, ცერეცოცა მიურთე¹⁷³, აჭამე, ერგების.¹⁷⁴

(58r) **გასაგალი თუ გაუსივდეს.** წითელი ბაერუკი და თაფლი ერთგ(ა)ნ გადგინე, გა(ა)თბე, ნელთბილი სცხე. ქვა გა(ა)ჭურვე, ღუნოსა ჩა(ა)გდე, ქვეშე უყრხოლე, ერგოს.

ღუძლი და ტყირბი თუ ერთგ(ა)ნ შეყრილ იყოს. მოხის ქერქი და ველური არდი, ქონდარი ერთგ(ა)ნ შეყარე და შეაგბე, ერგოს ნებითა ღ(მერთ)ისთა. **ღუძლი და ტყირბი თუ გაუსივდეს.** კირი დაწუ და ღორის ცმელითა გადგინე, ზ(ედ)ა დასდევე, ერგოს ნებითა ღ(მერთ)ის(ი)თაჲ.

ღუძლისათ(ვ)სვე. ღვის ნახშირი და მგლის მხორო ერთგ(ა)ნ მოგალე, კარგითა ღუნითა ერთი კოეზი შეასუ. **მისტ(ვ)სვე არის.** და მთაშიგ(ა)ნ დგას, ფურცელი მისი ნიორსა გაგს და მის ძირსა ჭლონივით ჰკიდავს იგი, ძირით(ურთ) მოგალე და გა(ა)ჭმე, და ღუნითა სამსა დილ(ა)სა შეასუ, ერგოს. **ტყირბი და ღუძლი რ(ომე)ლსა გაუსივდეს.** იფქულის ფქული გერმად

¹⁷³ ტექსტშია „მიურთე“.

¹⁷⁴ 56r, 56v, 57r, 57v – ლოცვა ღვიძლის, ქარცემულის, ცხროს, გველცემულის; რიტუალი მშობიარობის; ლოცვა კბილისტკივილის, უფსმადობის.

გაცერ, პურად შექენ გამოუცხოებელ(ა)დ, უგბოლველითა თაფლითა ხავიწად შექენ და ტილოსა ზ(ედ)ა გ(ა)ფ(ი)ნე, ზ(ედ)ა დასდევე, საღმობ(ა)დ გამოიდოს და სიმსიენე და(ა)ცხროს ნებითა ღ(მერ)თის(ა)თა.

შეკრვით ვინცა იყოს. ყურძენი შავი აღუდე, შეასუ.

სისხლი¹⁷⁵ **ვის ცხურთა სდიოდეს.** რქად დამწუარი და მელანი, და გომიზი ერთგან მოგალე და ცხურთა უბერე.

თვალთა თეთრისათ(კ)ს. (58v) კამად მოგალე, უწოვე.

ყურსა, რ(ომელ)სა ბარავი სდიოდეს და სტეხდეს. ყმის ვაჟის ფსელი ჩაუსხი ჭურჭელსა, საში გუნდა ჩა(ა)გდე, ტილოთ ზემოჰკარ, ხუთის დღეს დაეხსენ, ამოიდე, დანაყე და ყურსა უწოვე, ერთხელ ვაცისა ფსელი ჩაუსხი, ნაღველი რადს გინდ იყოს შეურიე და ეშველოს.

ვის მძოვარი სჭირდეს. ღერწმის ქერქი დაწუ და სპანძლის თესლი, მდოგუ, წითელი ბავრუკი ნახევრად შეურთე, მძოვარსა ზ(ედ)ა ზეთი სცხე და ისი წამალი ზ(ედ)ა დასდევე და ერგოს.

საშობოს უკანით თუ მუცელსა სტეხდეს. ოსპი და ვარდი მოგალე, ძველითა ღვინთა გა(ა)თბე, შეასუ. პილპილა ქვითა მოგ(ა)ლე, წყლითა შეასუ და ღვნო შეაგბე. რეო ცოტად შექენ, აჭამე, კიდეცა ასუ. მატყლი ტაფასა შიგ(ან) გა(ა)თბე ღვინთა, მუცელსა ზ(ედ)ა დასდევე.

ქავილისა და მღერისა. ახალი კეცი დაწუ და მოგალე სცხე, სპოდოგორსაცა ერგების. დიდუსა ახალი კეცი დაწუ, მოგალე, ძმრითა სცხე და ცვლი და ფისი დასდევე, და შეუხუე, და დადნოს.

კეთრისათუს. კურდღლის სისხლი შეასუ, ერთი თავი ღომი დაწუ, მოგალე, სცხე. ამ(ან) მძოვარ(ი)ცა მოკლას.

ძუძუ, რ(ომელ)სა სტკიოდეს. ქარტა (59r) ახალი დაასოვლე, შეუხუე თბილ(ა)დ, ერგების.

ზუგი რ(ომელ)სა სტკიოდეს. ნიახური შეაგბე ტკბილითა ღვინთა, მატყლი დასოვლე დასდევე, ერგების.

სნეული, რ(ომელი) უსუსურად იყოს. კედლის ნაგოზი კუამლიანი მოგალე და ტკბილითა ღვინთა გადგინე, მკერდსა და ბეჭსა სცხე, და დასდევე, და შეუხუე, და თხისა მისგ(ან) ცხურისა პირსა თ(თუეს)ა უპყარ და ძალი შედვას, საჭმელსა ნუ აჭმევ, პურწყალითა აჭამე ერგოს.

სპაონდოვარსა. მყურის ბუდე, რ(ომელი) წყ(ა)ლსა შ(ინ)ა მღრიალტყველი იგი, ნიგუზის ზეთითა თაფლსა შ(ინ)ა შეუწუ, ვ(იდრ)ე დადნეს დაწურე და სცხე.

¹⁷⁵ ტექსტში „სისხლი“ გამეორებულია.

უფსმელობისათვის. თხის ნაღველი მიურთე გუნდრუკსა, ჯინჭარის თესლი წყლითა გადვინე და შეასუ.

სნეულსა, რ(ომე)ლსა სწეუროდეს. სამის კვერცხის გულსა ბერძული ზეთი ურთე და აჭამე, ზეთისხილიცა მიურთე. **მისტ(უ)სვე.** ღუნო და წყალი, და ყველი, და ყუაე(ი)ლი, რ(ომელ)ი სათიბსა შიგან იქნების იგი ყუაე(ი)ლი ჩრდილსა შიგან გა(ა)კმე, წყლითა შეაგბე, მისითა ნაგბოლითა პირსა ითქუიფდეს, კიდეცა ასუ.

თუალბლიტი ვისცა სჭირდეს. ირმის ლართი კმელი მონაყე, დასდვეი, ერგოს. **თ(უა)ლთა მოკლებისათვის.** (59v) დედ(ა)კ(ა)ცსა ახალი ყრმა რომ ედვას პ(ირვე)ლი მისი სძე მოწველე, ნიორი ოთხად გაკუჭთე, შიგან გაუდე-ერგების.

კველისათვის. რუად თავი ნიორი ტაფასა შიგან შეწუ, სამსა დილასა უზმასა ასუ, ერგების. **მისტ(უ)სვე.** ზეთი ვარდისა და თაფლი სწორად ყავე, ქაღბანა და ძირა, და სანანებელი დანაყე, მიურთე, ასუ.

კბ(ი)ლთა მდილისათ(უ)ს. ვარის ძირად, რ(ომელ)სა ძირსა ზ(ედ)ა სამი ფურცელი ესხნეს, ძირი მისი და ფურცელი ფურისსულასი, ორივე ერთგ(ან) შეაგბე და წვენი მისი პირსა ამდგომე, ნუ ჩანთქამს, ერგების. **მისტ(უ)სვე.** შხამის ძირი და იელის თესლი, და ბავრუკი წითელი, ერთგ(ან) მოგალე, პირსა უყრხოლე.

ღრძილნი, რ(ომე)ლსა უყროდენ. ბავრუკი წითელი და პილპილა დანაყე, ძმრითა გადვინე, პირსა იმდგომე, ერგოს.

პირის სიმყრალისათ(უ)ს. ბავრუკი და პილპილა, და გუნდა მოგალე, და ძმრითა იმდგომე.

თელგმისათვის. ქონდარი და მარ(ი)ლი ერთგ(ან) დანაყე და ძმრითა გათქუიპე, და შეასუ. **მისტ(უ)სვე.** მდოგუ მოგალე და თაფლი მიურთე, პირსა იმდგომოს, ნუ ჩანთქამს, საპანძლი შეაგბე, იგი აჭამე.

თ(ა)ვის ტკივილისათვის. ყრდელვად (60r) გ(ო)ნ(ე)ბ(ა)დ აჩქარებულ იყოს, ავი არის. და თუ ჟანგრის ფერად არწყვედეს ავი არის. თუ ცივი ჭუჭლა დაერთოს ავი არის. ცივი ჭუჭლ(ა)დ ამ(ა)ს ჰქუ(ან) – უჭკუოდ გაკადოს. თუ კ(ა)ცის ნახვა არ უნდოდეს და პირსა კედლისკენ იქმოდეს, ჭველსა იშუჭრდეს და ეჭედებოდეს რასმე, ავი ნიშანი არის. თუ ტანისამოსსა იკვდიდეს ავი ნიშანი არის. თუ ანაზდა შუბლზე ცივი ოფლი გამოუვიდეს ავი ნიშანი არის. თუ ამ დროს აქიმი მოიყვანონ, სნეული ნახოს, პ(ირადა)დ ჰკითხოს: პირშიგ(ან) გემოდ როგორი გიც. თუ თქ(უე)ს პირში თბილ(ა)დ მაქუსო – იცოდი სისხლისაგ(ან) არის. თუ ძალი ჰქონდეს – ჰ(ე)ლი გაუხსენ, ასეთი შარბათები შეუწყვე, რომ სისხლი და(ა)წყნაროს.

თუ თქ(უ)ეს პირში მწარედ მაქუსო – იცოდი ზაფრის(ა)გ(ა)ნ არის, ზაფრა სჭარბობს, გრილი და გასასხნელი შარბათები შეუწყევ, რომე გახსნას. თუ ასრე თქ(უ)ეს პირი მიმჟავდებისო – იცოდი სევდისაგ(ა)ნ არის და სევდა სჭარბობს, მ(ა)ს ასეთი შარბათები შეუწყევ, რომე რბილი და მკურვალე იყოს. თუ ასრე თქ(უ)ეს პირი მიმლაშდებისო – ბალღამი არის, შარბათი მკურვალე და კმელი შეუწყევ. თუ საჭმელი უნდოდეს – სიმრთელისა ნიშანი არის. (60v) თუ სიცხე სჭარბობდეს – სასმელი საჭმელი შარბათები ყ(ოვე)ლ გრილი შეუწყევ, თუ ზაფრა სჭარბობდეს – მომჟავო შეუწყევ. თუ ბალღმიანად იყოს ან გრილად მკურვალე და გრ(ი)ლი გეუწყევ.

ნიშანი წურილის წამლებისა და გასასხნელისა. ესე წურილი წამლები გამოიდებს სქელსა¹⁷⁶ **ბალღამსა რომე უგუბდებოდეს.** აიღე ზანჯაფალი, თარბუთი და შაქარი ერთმანერთისა ოდენი, დანაყე, გაცერ და რად მოუნდეს, ორი დრამი მიეც თბილით წყლითა. **სხუ(ა)დ წამალი, რომე გამოიდოს ბალღამი და სევდა.** აიღე საკმუნი ნახევარი დრამი, აფთიმონი ერთი დრამი, თეთრი ხარიკონი ნახევარ დრამი, ბასკიჯი ორი დრამი, ყუელა დანაყე, გაცერ და მიეც თბილითა წყ(ა)ლითა, რომე შესუას, თუ შეძლოს სრულად მიეც, თუ არა ნახევარი. **სხ(უ)ა)დ წამალი.** აიღე თარბუთი ერთი დრამი და ნახევარი, დანაყე და შეხილე, ბაზარყატუნის წყ(ა)ლითა ანუ ბიის გ(უ)ლის წყ(ა)ლითა ჰაბები შექენ ბრტყელი და რ(ა)დ მოუნდეს მიეც ენასა ქუშშე და უშველოს. **სხ(უ)ა)დ ჰაბი მუცლის ტკივილისა რომელი დია მიდიოდეს და არ დადგეს.** აიღე აღტორი და გუნდა, და ბროწეულის ქერქი, (61r) თუთოსაგ(ა)ნ ნახევარ ნახევარ დრამი დანაყე, გაცერ და ღვნითა შეხილე, და ჩრდილოშიგ(ა)ნ გა(ა)კმე, და მიეც, უშველის.

თ(ა)ვის ტკივილისათვის. აიღე ყუავის ტვნი მარჯუწნისა, გაქენ და გარცხი, მ(ა)მლის ჩიტის ტვნი შესცხე. **თ(ა)ვის ტკ(ი)ვილისათ(უ)ს.** აიღე ცერეცო და წყლითა აღუღე, მერმე წყ(ა)ლი თ(ა)ვზ(ე)და და(ა)სხი და ცერეცო ზ(ედ)ა დასდევ, მერმე ზეთითა და ძმრითა შეხილე, შემოსდევ, თფილ(ა)დ დაბურე. **სხუ(ა)დ წამ(ა)ლი რომე მუდამ სტკ(ი)ვოდეს.** აიღე ფურის ერბო და ბერძული ზეთი ორი კოვზი, და კულიაგი, დანაყე ერთად და თ(ა)ვსა შემოსდევ. **სხ(უ)ა)დ თ(ა)ვის ტკივილისა, რომე ჭკუასა ძალი მისცეს და თ(ა)ვსა უშველოს.** აიღე წმიდა ფქული, სამი კუწრცხი და კუწრცხის ქერქითა სამი წყ(ა)ლი და(ა)სხი, ფურის ერბო, თაფლი, აღუღე და აჭამე, რაც ამისგ(ა)ნ დარჩეს ცხურშიგ(ა)ნ ჩაუწუთოს, სადამომდი მიუშუ და უშველის. **სხ(უ)ა)დ წამალი.** აიღე ფურის ერბო, თაფლითა ანუ

¹⁷⁶ ტექსტშია „სქელი“.

ზეითითა შეხავებული, აჭამე, უშველის. **სხ(უა)დ, რომე სიგრილისაგ(ან) სტეივოდეს.** სამი პირი თეთრი ღვინო შეასუი, პური აჭამე, ღამით ტკბ(ი)ლი ბრეწული აჭამე, დიღეულ ფერვი თბილითა (61v) წყლითა დაბანე და რ(ა)დ თ(ა)ემ(ან) ტკივილი დაუწყოს – იის ზეთი თ(ა)ესა სცხე და ცხურთა ჩაუწყთე, ანუ ერბო, ანუ ქალის რძე სცხე, ქერის წუწნი ასუ, სუბუქი საჭმელი აჭამე, თეთრი ღვინო ასუ. **სხ(უა)დ წამალი.** აიღე ჭაკუტლის ძირი, დანაყე და წყლითა გაწურე, ვარდის ზეთი გაურ(ი)ე, ცხურთა უწოვე. **სხ(უა)დ.** აიღე გაუკურეტი გუნდა, გ(უ)ლი ამოართუ და წ(ყ)ლითა გაქენ, ცხურთში ჩაუდევ, თ(ა)ვი დაღმა ქნას, უშველის.

სხ(უა)დ წამ(ა)ლი წამწამი სცვოდეს. ნახე ქუქუთოშიგ(ან) სიმ(ა)გრე არის თუ არა, თუ სიმ(ა)გრე არ იყოს აიღე¹⁷⁷ კერცხლის წიდა და არჯასპი და წარ(ხ)აქი თუთო დრამი დანაყე და აბრეშუმითა გაცერ, თაფლითა შეზიღე, ყ(ოვე)ლთა ღამეთა ქუქუთოზ(ედ)ა დასდევ.

სხ(უა)დ წამ(ა)ლი, რომე თ(უა)ლნი მრღვედ ჰქონდენ, ამ(ა)ს ჰგვანდეს მიწით სავესე არისო. ისი წამალი დასდევ რომე ზემო დაგვწერია და დამწუარი სპილენძი თ(უა)ლში(ინ)ა გამოავლე ერთი დრამი. სამყი არაბი, აფონი, ზაფრანი, თუთო დრამი დანაყე, შეზიღე, გა(ა)კმე, წყლითა გაქენ, (62r) ჩაუწყთე, უშველის.

სხ(უა)დ წამ(ა)ლი ქუქუთოშიგ(ან) ტილი ჩავარდეს. მისი ნიშანი: შავი და წურილი იყოს, და ტილსა ჰგვანდეს, სენი არის, ტილი არ არის, მისი წამ(ა)ლი: აიღე ფოლიოს ძირი ორი დრამი და ზღაპლი, ჭკპლი, ერთად გარიე, წყლითა დასდევ, ის ტილი გამოიყვანე და წუწუთო მარილ წყლითა გარცხი. **სხ(უა)დ წამალი.** თუ თეთრი იყოს, ანუ ძუწლი, ანუ ახალი, აიღე წულის ყმაწურლის ფსელი, ჭურჭელშიგ(ან) ჩა(ა)სხი, მუნამდი აღუღე გასქედეს, მერმე ა(ი)ღე, გა(ა)კმე და ცოტა მუშკი გაურიე, წმიდად დანაყე, საოქრომჭედლოს ქოთანში ჩაყარე და ამავე ქოთანში ძაფრანის წყლითა გაურიე, ც(ე)ცხლზ(ედ)ა დასდევ რომე დადნეს, მერმე ა(ი)ღე საღის ქვაზ(ედ)ა გაღესე და თ(უა)ლშიგ(ან) გამოავლე, უშველის ბრძენთა და ამა წამალსა უაუვნელი თ(უა)ლი დაურქმევია.

ნიშანი შაკიკისა. ნახევარ თ(ა)ვი რომ სტეივოდეს და პირი, და თ(ა)ვი წითელი იყოს, და რაც ცივი იყოს იამებოდეს – იცოდი სისხლისაგ(ან) არის. საფეთქელი გაუხსენ და ოსპი აჭამე ძმრითა, ზაფრანითა (62v) და ტაპაშირითა, და წყ(ა)ლის მიგიერად ხილის წყ(ა)ლი შეასუ, ნიდაგ ვარდის წყ(ა)ლასა უსუნოს. სამსა დღესა იმა წესითა შეინახე, მერმე ეს წამლები

¹⁷⁷ ტექსტში „აიღე“ გამეორებულია.

მიეც: აიღე ყუთელი ალილა, ოცდაერთი დანგი, ოცი დრაში კმელი ქლიავი, თხუთმეტი მარცვალი უნაპი, ოცდა ათი მარცვალი კმელი ია, ხუთი დრაში წითელი ვარდი, ოთხი დრაში ქინძი, ყუწლ(ა)დ ერთად ქოთანში ჩაყარე, ორი ლიტრა წყ(ა)ლი და(ა)სხი, ერთს დღე ღამეს და(ა)ლბე, მერმე ადუღე სიღამდი ნახევარ ლიტრა დარჩეს და მერმე გაწმიდე წყ(ა)ლისგ(ა)ნ, და ასი დრაში ჭურჭელში ჩა(ა)სხი, მერმე აიღე თურბუნი ერთი დრაში, დანაყე, გაცარ, გაურიე შაქარი თხუთმეტი დრაში, დაწოლის ჟ(ამს)ა შეასუ, ღუნისა და ჯორცისგ(ა)ნ ფარეზად შეინახე სამსა დღესა ამავე წესითა, უშველის.

სხუ(ა)დ ჰაბი გელიანოსისა, რომელი უშველის [თუ] კ(ა)ცი საესე იყოს ბაღღმისაგ(ა)ნ. აიღე საკამონი და მასტაქი, საბრი და შაჰმიჰანდარი, ნახევარ ნახევარ დრაში, დანაყე, გაცარ და წყ(ა)ლითა შეზიღე, და ჰაბები შექენ, ჩრდილში გა(ა)კმე და მიეც ერთი დრაში, (63r) და თბ(ი)ლი წყ(ა)ლი შეასუ.

სხ(უა)დ ჰაბი, რ(ომე)ლი უშველის კ(ა)ცსა, რომე მუკლნი სტკიეოდენ და ნიკრისი სჭირდეს. ამისი სახელი სოლინჯანის ჰაბი არის. აიღე სოლინჯი და ყუთელი ალილა ქერქისაგ(ა)ნ გამოღებული ექუსი დრაში, საკამუნი ერთი დრაში, დანაყე, გაცარ, თბილითა წყ(ა)ლითა შეზიღე და ჰაბები შექენ, და მიეც ორი დრაში.

სხუ(ა)დ ჰაბი, რ(ომე)ლი უშველის სტომაქი რომე გასუსტებული იყოს და საჭმელი ვერ მოიღნოს. აიღე იარაჯიფეკრა და თარბუთი ათ ათი დრაში, ყუთელი ალილა ქერქისგ(ა)ნ გამოღებული, აფთიმონი, ვრეტაცი, ხარკონი, ინდოური მარილი და შაჰმიანდალი, საკამონი, თუთო დრაში, ქვად საკმელი, რ(ომე)ლსა მუკლი ჰქვან, და(ა)ლბე და სხ(უა)დ წამლები დანაყე, გაცარ, ღუნითა შეზიღე, ჰაბები შექენ, ჩრდილში გა(ა)კმე და მიეც ორი და ნახევარ დრაში.

სხ(უა)დ ჰაბი, რ(ომე)ლი უშველის კველასა და მუცელსა, რ(ომე)ლი გახსნით იყოს. აიღე ნიშასტაქი და გაზინეუი, და ტაჭკერეზი, გაქურცნილი ნუში, დანაყე, გაცერ და კუწრები შექენ, გა(ა)კმე ჩრდილშიგ(ა)ნ, ჰაბალასის წყ(ა)ლითა ორი დრაში მიეც.

სხუ(ა)დ ჰაბი, რ(ომე)ლი უშველის თ(ა)ვის ტკივილსა და სტომაქსა ძალსა (63v) მისცემს და ღუძლისა გზად მისცეს. აიღე საბრი ათი დრაში და წითელი ვარდი, კმელი მაზდაქი და ყუთელი ალილ(ა)დ ქერქისაგ(ა)ნ გამოღებული, დანაყე, გაცარ და ერთმანეთში გაურიე, ჩრდილში გა(ა)კმე, სამი დრაში მიეც.

სხ(უა)დ ჰაბი, რ(ომე)ლი უშველის ბავასირსა და რ(ომე)ლსა საჯდომი სტკიეოდეს. აიღე ქვ(ა)დ საკმელი ღურჯი ექუსი დრაში, ქაბული ალილად

და ამლაჯი, და ბილილაჯი ქერქისგ(ან) გამოღებული თუთო დრამი, დანაყე, გაცერ და პრასის წყლითა გაურიე, და ჰაბი შექენ, და რად მოუნდებოდეს, მიეც მისითა წყ(ა)ლითა.

სხუ(ა)დ ჰაბი მიკრისისა და ყ(ოვე)ლი ასო რომე სტკიოდეს და ფილენჯსა და სიგრ(ი)ლისა სენსა. აღიდე ზანჯაფილი, პილპილა და რაბთელი, მალჭი და ბალჯი ქერქისგ(ან) გამოღებული, ნურტაკი და შავი ალილა, ნანახივა თუთო დრამი, საბრი ათი დრამი, ესე წამლები წურ(ი)ლ(ა)დ დანაყე, გაცერ და ძალდი ყურძენათა წყ(ა)ლითა აურიე, ჰაბები შექენ, ჩრდილში გა(ა)კმე და რ(ა)დ მოუნდეს მიეც.

სხუ(ა)დ ჰაბი ნაწლევისაგ(ან) სისხლი სდიოდეს. აიდე მჟავისა ბრეწეულისა ქერქი¹⁷⁸ და გუნდა (64r) მოგალე და დასდე.

სხუ(ა)დ ჰაბი. ამის ზნე დავწეროთ თუ სნეულს მისცე ვრგოს თუ თ(ა)ვის ტკივილსა, თ(უა)ლთა ტკივ(ი)ლსა. აიდე თარბუთი ნახევარ დრამი, ხარკონი ნახევარ მუტყალი, ქაბული ალილა ერთი დრამი და ნახევარი ლაჟურდის ქვა, თუ ესე არა იყოს ამის მაგიერად შავი ალილა უნდა, მაზდაქი და რაზანის თესლი, თუთოსგ(ან) ორთხი დანგი, სოლინჯანი ერთი მუტყალი, ყ(ოვე)ლა დანაყე და გაცერ, და ც(ი)ვითა წყ(ა)ლითა გაურ(ი)ე, პილპილის ოდენი ნაბები შექენ. თუ კ(ა)ცი შეკრვით იყოს ნახევ(ა)რ დანგი საკამუნი გაურიე, კ(ა)ცი ფრთხ(ი)ლად შეინახე და სადამოდ მიეც, რომ პირშიგ(ან) ჩაიგდოს, მერმე ცივი წყალი შეასუი და ჰაბი ერთხელ შემოდგომ(ა)ს უნდა, ერთხელ გაზაფ(ხ)ულ(ზე)¹⁷⁹.

სხუ(ა)დ მაჯუნი, რ(ომელ)ი უშეელის ღუძლსა, რ(ომელ)ი გაცხელებული იყოს. აიდე კოწახური ოთხი მუტყალი და ჰინდიპის თესლი, ქიშუთრის თესლი, შავი ხაშხაში და სიმლარაბი, თუთოსგ(ან) ერთი მუტყალი, ტაპბირილოქი თუთოსგ(ან) ნახევარ დრამი, ყუჭლა დანაყე და გაცერ, შაშარი კიტრი და აყიროს თესლი ერთი დანგი წ(მიდ)ითა ქუაბითა კარგად ადუღე, რომე გასქელდეს ჯულაბსავითა, (64v) მერმე აიდე და მიეც ერთი მუტყალი, რომე ჭამოს, ზ(ედ)ა თბილი წყალი შეასუ და თუ სტომაქი გასუსტებული იყოს, ერთი მუტყალი წნაღელები გაურიე.

სხუ(ა)დ მაჯუნი, რ(ომელ)ი უშეელის კოლინჯსა და მამაცი თირკმელი რომე სტკიოდეს, და სიყუთლესა რომე პირზედ იყოს, და გ(უ)ლის სიგრილესა. ა(ი)დე ხურმა, რ(ომელ)ი მოშავო იყოს ორმოცდა ათი მარცვალი ქერქის(ა)გ(ა)ნ გამოღებული, ქოთანშიგ(ან) ჩაყარე, ძმარი

¹⁷⁸ ტექსტშია „ქერი“.

¹⁷⁹ ტექსტშია „გაზაფული“.

და(ა)სხი, პირი დაუმაგრე და გაუშუ შუდს დღესა, და აიღე საკამუნი და სადაპირის ფურცელი, ხარტუტი, თუთოსგ(ა)ნ ერთი დრამი, ზანჯაფალი ექუსი მუტყალი, ქერი ბორაკი ოთხი მუტყალი, პილპილა ათი მარცუალი, ნუში ოცდა ათი, ცალკე ცალკე დანაყე, გაცარ და აიღე კარგი თაფლი ორი ნუკი, ცეცხლზ(ედ)ა დადევე, ნელთბილად აღუღე, ქაფი მოჰკადე, ვირემდის ქაფი გაწმ(ი)დეს, მერმე ძმარი და ხურმა ჩააყ(ა)რე, ცოტად აღუღე და გააცივე, მერმე დანაყილი წამლები ცოცოტა გაურე და კარგად შეზიდე, და რად მოგინდეს მიეც ოთხი მუტყალი, ზ(ედ)ა თბილი წყ(ა)ლი შეასუ. **სხუ(ა)დ სასმელი ობინდრისა, რ(ომელ)ი უშველის ზმასტსა და სტომაქის ტკივილსა, და ღუძლის გზად.**

(65r) **ნიშანი ყ(ოველ)ის ხისა და ბალახისა ხასიათი, გუბრძანებს ჩ(უ)ენ ბრძენი აქმი.** რ(ომელ)იცა კარგი არის და მარგე, გუჩვენეს. პ(ირველ)ად ტირიფი ვახსენოთ და რ(ომელ)იცა მისი ხასიათი. მისი ფურცელი წყ(ა)ლითა მოხარშე და ის წყ(ა)ლი დადევე, რ(ომელ)ი გაწმდეს, მერმე გუნდა დანაყე წმიდა, შიგან გაურე და წელს ქუით რადცა სენი იყოს შემწენ და უშველის. **ყმაწურილი, რ(ომელ)ი ძუძუს წოდეს და გაცხელოს.** მისითა ფურცლითა დახური ვ(იდრემ)დის ოფლი მოვიდოდეს, უშველის; და მისი ძირი და ყუავ(ი)ლი დანაყე, დაწვ და წყლითა შეასუ, ვინცა გაცხნით იყოს შეკრას; და თუ უკანა შეექნას უშველის, დედ(ა)კ(ა)ცსა, რომე წესი სჭირდეს უშველის – სისხლი დააყენოს; სადაცა სისხლი სდიოდეს კ(ა)ცსა ყ(ოველ)სა უშველოს.

მარფეტ მარხუ ქართულ(ა)დ მეუარსა ქჰუ(ა)ნ. აღიღე და დანაყე და მღიერზ(ედ)ა დასდევე, უშველოს და ტყავსა მოიყვანს; თუ თაფლით აღუღო და მისცე – ღუძლსა უშველის; თუ ჩამიჩითა აღუღო – სენსა უშველის.

მაყუალსა თათრულ(ა)დ შოქურდლანა ჰქჰ(ა)ნ.

იმისი შტო და ქერქი წყლითა აღუღო და შეასუა ვისცა მუცელი სტკიოდეს უშველის; ვისცა პირი სტკიოდეს უშველის; თუ თ(ა)ვზე და(ა)სხა მღერი იყოს; თუ სხუ(ა)დ სენი – უშველის; თუ სტომაქი სტკიოდეს შეასუ უშველის.

ამა ბალახს სკილევი ჰქჰ(ა)ნ. სანატრელ (65v) არს, რ(ომელ)მან კ(ა)ცმ(ა)ნ იპოვოს ამა ნიშანთა მონახე მთასა აღვილსა, ქვიანსა, უყუავ(ი)ლო და უთესლო, ერთი ადლი სიმაღლე აქუს და სისხო ცერისა, თხლად შტოები ასხია და აქით აქათ შტოებსა დაიფანჩავს, მისი ფურცელი ენასა ანუ ცერსა ჰგავს, რაცა ფურცელი ასხია წუწრ დაღმა არის და რაცა ზეით ასხია თ(უა)ლივით ელავს, მისი უფროსი ნიშანი ეს არის: გარეთ მოწითანო და ოქროს ფერი. მერმე აიღე თუ იშოვო, მისითა ძირითა ჩრდილში

გა(ა)კმე, წმიდად დანაყე და გაურიე თეთრითა თაფლითა, ჭ(ი)ქის ჭურჭელში ჩადევ, შეინახე და საქმე თერიაყისა ქნას, და ვისთ(უ)სცა სიკუდილისა წამალი იყოს მოცემული უზმასა ნახევარის კრკოს ოდენი მიეც, უშველის. სხუასა სენსა უშველის: **თ(ა)ვის ტკივილსა, თ(უ)ლის სინათლესა უშველის; ვინცა სისხლსა ამოიღებდეს თბილითა წყ(ა)ლითა მიეც; ღუძლის ტკივილსა, ფერიას ტკივილსა და გ(ა)ნრღუჭულსა უშველის.**

ანანახი პიტნასა ჰქვან. მისი ხასიათი მკურვალი არის და კმელი; სისხლი დაყენოს; ძმრითა მიეც და გურგალი ჭია მოკლას და გაწმიდოს კ(ა)ცი ბაღდმისაგ(ა)ნ; და თუ მჟაყის ბროწეულის წყ(ა)ლში გაურიო, **მღერსა (66r)** დასდვა – ეშველოს; **ვისცა ძუძუ¹⁸⁰ სტკიოდეს** – დანაყე, მარ(ი)ლი გაურიე, ზ(ე)ღა დასდევ, უშველის; **ძაღლის ნაკბენსა უშველის;** თუ თაფლში გაურიო – **ყურის ტკივილსა უშველის; ენის ტკივილსა უშველის;** **კ(ა)ცი რომ ქშინეოდეს უშველის.**

პრასისა ხასიათი. კმელია და მკურვალი. მისი თესლი დანაყე, გაცარ, შეასუ, **ტყირბის ტკივ(ი)ლსა უშველის;** **ზურგის ტკივ(ი)ლსა და კ(ა)ცი გახსნით იყოს უშველის;** ძმრითა აღუღე – **კბილის ტკივილსა უშველის;** თუ გა(ა)ლბო(ბ)¹⁸¹ **მღერსა უშველის.**

სამითი სომხურ(ა)დ ცერეცოსა ჰქვან. მისი ხასიათი. მისი წყალი შეასუ, ძუძუს რქე მოვიდეს; მუცელი რომე სტკიოდეს და გაუსივდეს მისი წყ(ა)ლი უშველის; **დედაკ(ა)ცსა, რომე ყმაწურლის ბუღე სტკ(ი)ოდეს უშველის;** თუ **ტყირბსა ძმრითა და თაფლითა მისცე უშველის;** **სტომაქის ტკივ(ი)ლსა უშველის;** **გუჭლის, მორიალის, ღრიანკალის ნაკბენს უშველოს.**

ქინძის ხასიათი. გრილია, ცივი. თუ დანაყო ცეცხლითა დამწუარსა უშველის; კრკილის ენას **თავსა სენსა იტყვან უშველის;** მისი თესლი, ღვნითა ანუ ძმრითა აღუღე, ჭიასა უშველის.

აველეუი ღუალოსა ჰქვან. მისი ბუნებ(ა)დ ცივი არის მისი ხასიათი. აღუღე და (66v) მწითურსა **ბაღლამსა უშველის;** თუ დანაყო, დასდვა **ბედნ(ი)ერსა უშველის;** თუ ასეა გესლმ(ა)ნ ვერ აწყინოს; თუ მისი თესლი აღუღო და ღვნითა შეასუა **მუცლის ტკივილსა უშველოს;** ღვნითა იმდგუბო **კბილის ტკივ(ი)ლსა უშველის;** თუ ძმრითა აღუღო, **ტყირბზე დასდვა უშველოს;** **წელში და ბუმტში ქვა სჭირდეს – დაფშინიტოს.**

ქონდრის ხასიათი. შეასუი ღვნითა და თაფლითა, მალასი ღრმად ჩაგდოს; თაფლით აჭამე და ჭია მოკლას; თუ ძმრითა აღუღო **წითელსა**

¹⁸⁰ ტექსტშია „ძუძო“.

¹⁸¹ ტექსტშია „გალბო“.

უშველის; თუ მეჭეჭზედა დასდვა უშველის; თუ შეასუა ჭკუისაგ(ან) გადგომილსა უშველის.

ტულტის ხასიათი. ღვნითა აღუღე ანუ თაფლითა და შეასუ, მუცელი გახსნას; და რაცა ასო სტკიოდეს; ანუ ძარღუშბი დამოკლებულ იყოს; ანუ მღერის ბაყლი სდიოდეს დადევ, უშველოს; თუ მღერზედა დასდვა გარბილოს; თუ ბატის ქონითა ანუ ბევეკის გომიზზედ გაუროთ უკანას კარზე დასდევ გახსნას; და მაგისი ძირი აღულო და ღვნითა შეასუა ზურგის ტიე(ი)ლსა უშველის; ვისცა ბუშტში ქე(ა)დ ჰქონდეს უშველის; ბრუსა უშველის; ძმრითა აღუღე, პირში იმღეუმე კბ(ი)ლის ტკ(ი)ე(ი)ლს უშველის; ჩრდილში გა(ა)კმე, (67r) წმიდად დანაყე, ვისცა შაყი სჭირდეს შემწენ, უშველის; ზეთითა და ღვნითა შემწენ გესლიანსა ნაკებნსა უშველის; მისი თესლი შეასუ ამოზიდვასა და უკანას კარის ტიე(ი)ლსა უშველოს; თუ ფურცელი ზეთით დანაყო მღერსა უშველის.

მრავალძარღუას ხასიათი. ყ(ოველს)ა მღერსა უშველის; სისხლი დაყენოს; და დამწუარსა უშველოს; მუნსა და ძაღლის ნაკებნსა; ანუ თიასა დასდვა უშველოს; თუ თ(უა)ლის ძარღვს მღერი გამოვიდეს მარ(ი)ლით დანაყე, უშველის; თუ თაფლითა აჭამო უკანას კარის ტიე(ი)ლსა და ლუსნოტსა და თრანჩსა უშველოს; თუ ფურცელი დანაყე და წყ(ა)ლი გამოსწურო და პირში აღებინო რაც მღერი პირში იყოს, უშველოს; ღრძ(ი)ლსა სისხლი სდიოდეს უშველოს; მისი წყ(ა)ლი თ(უა)ლის ტიე(ი)ლსა უშველის; მისი ძირი აძოვ აცოხნინე, კბ(ი)ლის ტიე(ი)ლსა უშველის; თუ თირკმელში ანუ ბუშტსა სენი იყოს ძირი მისი დანაყე, თაფლითა აჭამე, უშველის; მისი ძირი ღვნითა შეასუ, ცხროს უშველის.

ადიჭი ჯინჯარსა ჰქ(ე)ან. ფურცელი თუ მარ(ი)ლი დანაყო მღერზე დასდვა, უშველის; ქერქი რომ დანაყო დიდის ხნის მღერსა უშველის; თუ ბავასირი იყოს და ბაღლაში გამოიღოს; თუ ზეთითა (67v) და ცვლითა გაუროთ, ტყირბზე დასდვა, უშველოს; ვისცა სისხლი სდიოდეს მისი ფურცელი ცხურთა ჩაუდევ უშველოს; გუშრდის ტიე(ი)ლსა და მუცლის ტიე(ი)ლსა უშველოს.

ნიშანი თესლისა, ჰ(ირვე)ლ(ა)დ ხუარბალი ვახსენოთ. რ(ომე)ლი უმაღლე და მეფე არს ყ(ოველს) ფერის თესლისა. მისი ბუნ(ე)ბ(ა)დ და სიკმელე, და სინედლე, ერთმანეთისა სწორი არს. ამისი ნიშანი: გამოაცხო და დასდვა მღერზედა პირი გამოიღოს; პური მჭურვალე არის, ფიცხლა ჩავიდეს სტომაქში და ლბილ(ა)დ დაიჭიროს; თუ ხუარბალი ჭამოს მუცელში ჭია შექნას; და ყ(ოველს)ა უფრო მარგებელი რომე ხორბ(ა)ლი შექნან თაფლითა, პილაპილითა და ერბოთა, ასრე ჭამონ, თუ რძითა შექნა

მკურე(ა)ლი არის; და კარგი ნიშასტაკი რომე ხორბლისაგ(ა)ნ შექნა კმელია და ნედლი; რ(ა)დ წყ(ა)ლში და(ა)ლბო, მისცე, **ვუმლასა** უშველის; პური კარგად აფუნდე, მარ(ი)ლი წესით ურთე, თორნეში გამოაცხე, თუ ნუშის ზეთი ანუ ბერძული ზეთი გაურიო კარგი არის, თუ კ(ა)ცი ცხელის ბუნებისა იყოს, მკლე პური თხის რძითა აჭამე; თუ გრ(ი)ლისა იყოს თავლითა აჭამე; თუ ზაფრიანი (68r) იყოს, ანუ გრ(ი)ლის ბუნებისა – ისრიმლი ჭამოს, ანუ ბროწეულისა წყ(ა)ლითა გომიჯი სტომაქში ავა.

ქერი გრ(ი)ლი(ა)დ და კმელი. ადვ(ი)ლ მოსადნობელი, გონებ(ა)დ გაწმიდოს ბაყლისაგ(ა)ნ; ქერის წყალი კარგი არის; აიღე თხუთმეტი წონა წყ(ა)ლი, ერთი ქერი, მუნამდი ადუღე ც(ე)ცხლზ(ე)და რომე ერთი დარჩეს, თუ კ(ა)ცის გონებ(ა)დ გრ(ი)ლი იყოს ცოტა მარილი ურთე, მიეცე, ბაგრატს ბრძენსა უთქუამს: აქიმსა ასრე უქნია და უბრძანებია. **წყურვილი გაწყვდოს და ცხელებ(ა)დ გასუბუქოს,** და კარგია და მარგებელი სნეულისათ(უ)ს; ქერის პურმ(ა)ნ და ქერის წყ(ა)ლმ(ა)ნ სუბუქად ამყოფოს და ვერ გასუქოს.

ბრინჯი მკურვალე და კმელია. მოწამე არს მისისა სიმკურვალისა; მისი სიტკბილე ტანსა არგოს და თუ სენი სიმკურვალის(ა)გ(ა)ნ იყოს აწყინოს; თუ ნუშის ზეთითა შექნას **მუცელი გარბილოს;** თუ გინდა რომე მისი სიკმელე დააკლოს ერთს დღესა რძეში დალბოს და აგრე აჭამოს, და მაგისი წყ(ა)ლი **სტომაქსა გაამაგრებს და შეკურავს;** მოკალული მკურვალი არის და გასხნის; მისი ბუნებ(ა)დ სევდა და მაწყენარი. თუ **თ(ა)ვი სტკიოდეს** უშველის; სჯობს რომე არა ჭამონ და (68v) თუ ჭამონ, მსუქნის კორციითა მართებს ჭამ(ა)დ.

ბაკლ(ა)დ ახალი ნედლია და გრ(ი)ლი, ტანსა ცოტა ერგოს და ქარსა მოუმატოს, სჯობს რომე პილაპილითა და ქონდრითა ჭამდეს.

ცერცუ მკურვალი არის, ტანი გაძრას. ცერცუის წყ(ა)ლი უშველის წყ(ლუ)ლსა.

პულბო მკურვალე არის და საჭმელად ტანსა კარგად არგებს. მაგისი წყალი ნაწლევიშინით **მღერსა** უშველის, თუ უზმა აჭამო, ანუ თავლითა, ანუ ხურმითა **ბალღამი გაწმიდოს,** თუ ძმრითა აჭამო **ჭია მოკლას,** მაგრა თ(ა)ვისა ატკენს.

მუშმა ქუნჯითსა ჰქ(უ)ან, სტომაქსა და პირსა ავსა სულსა მისცემს.

ხაშხაში ერთია და კმელი, თეთრი კარგი არის, შავი ავი არის.

კანაფის შეშა მკურვალე არის. თუ კ(ა)ცმ(ა)ნ ბევრი ჭამოს **თ(ა)ვი ატკიუნოს და ძნელად წავა სტომაქით;** მისი ზეთი ყურის ტკივ(ი)ლსა უშველის, სჯობს რომე მოკალული ჭამოს.

ნიშანი ყ(ოველ)ის შარბათისა, რ(ომელი) ესე აქიმსა ნუსხაში მართლ(ა)დ უწერია. პ(ირველ)ად ბიის შარბათი დაეწეროთ, რ(ომელი) უშველის სტომაქსა რომ გასუსტებული იყოს, ძ(ა)ლი მისცეს და ბაჰუანი გალოს. ა(ი)ღე, შეემწიფე, გაწმიდე და მისით ქერქითა, შეშის დანით დაჭარ, გურკა კარგ(ა)დ გაწმიდე და ვ(ე)ლითა დაწურე, (69r) ჩაყარე, სანაყელშიგ(ან) დანაყე, დაწურე, სხუას წყალს ნუ დასხამ, მერმე ჭურჭელში ჩა(ა)სხი რომე გაწმდეს, მერმე აიღე გაწმდილი და მოკალულს ქუაბში ჩა(ა)სხი, ანუ წმიდას ქოთანში, და გაურიე შაქარი ხუთი ლიტრა და ძმარი სამოცი დრამი, ცეცხლზე დადევ, ნელთბილად აღუღე ასრე რომე ჯულაბისგ(ან) უფრო სქელი იყოს, შეშის ციცხუთა ურიე, ქაფი აიღე და ვარდის წყალი და(ა)სხი ნახევარი ლიტრა, ცოტა და ცოტა და(ა)სხი და რად დუღებ(ა)დ გათავდეს აიღე, გა(ა)ცივე, ჭიქაში ჩა(ა)სხი და მიეც თხუთმეტი დრამი, გინა ოცი, ორი ზომა წყალი გაურიე. **სხ(უ)ა დ ნიშანი ბიისა.** სუ(ლ) ბი(ი)სა. აიღე ბია¹⁸² კარგი, მწიფე, რ(ა)დ ნივთი გინდოდეს შეშის დანითა დაჭარ, ქერქი განრიდე, ქვის სანაყელში დანაყე, ვ(ე)ლით დაწურე, ც(ე)ცხლზე დადევ ვ(იდრემ)დის მეოთხედი დარჩეს, რ(ა)დ გაცივდეს სამოსლით დაწურე, მერმე მუნამდი აღუღე რომე ნახევარი დარჩეს, აიღე ქ(ე)აბი¹⁸³, ჩა(ა)სხი და მიეც რ(ა)დც შეძლოს, **ვისცა სტომაქი სიმკურვალისგ(ან) სტკიოდეს და ვინცა გახსნით იყოს უშველის. სხ(უ)ა დ შაბი ბიისა.** აიღე მწიფე ბია,¹⁸⁴ დაჭარ შეშის დანითა, ქერქი კარგად გაწმიდე, წ(მიდა) ჭურჭელში ჩაყარე, ზ(ედა) წყ(ა)ლი და(ა)სხი, აღუღე მუნამდი კარგ(ა)დ დადნეს, მერმე დაწურე და (69v) კიდევ აღუღე, ქაფი აიღე, თუ გინდოდეს რომე სქინონი შეკქნა ზ(ედა) შაქარი მოაყარე, ასრე რომ წყალი დაფაროს და ცოტა ძმარი გაურ(ი)ე, მანამდი აღუღე კარგად გასქელდეს, აიღე, შეინახე, თუ გინდოდეს რომ შარბათი შეკქნა ძმარს ნუ გაურევ და უშველოს სტომაქსა რომე ფუქი ჰქონდეს.

ნიშანი ვაშლისა, უშველოს სტომაქსა რომე სუსტად იყოს და გ(უ)ლი სტკიოდეს. აიღე ვაშლი, კარგი ქერქი გამოიღე, მერმე დანაყე და გაწურე, აიღე მაგა წყლისგ(ან) ორი ლიტრა გაურიე, რომე კარგ(ა)დ გაერთდეს, მერმე აიღე რე(ა)დ ლიტრად წუიმის წყალი, და(ა)სხი და კარგად გაურ(ი)ე, ჭიქაში ჩა(ა)სხი, პირი დაუმავრე და „ლ“ დღეს მზეში დადევ რომე გაიზარდოს და მიეც თხუთმეტი დრამი. **სხ(უ)ა დ ნიშანი ვაშლისა. რ(ომელი)**

¹⁸² ტექსტშია „ბე“.

¹⁸³ ტექსტშია „ქაბი“.

¹⁸⁴ ტექსტშია „ბე“.

უშველის კ(ა)ცსა რომე გ(უ)ლი უბნდებოდეს და რ(ომელი) მაღლის ადგილიდაღმა ჩამოვარდეს, დაგლილი იყოს. აილე ვაშლი მწუანე და შეშის დანითა დაჭარ, სანაყელში დანაყე, კ(ე)ლით დაწურე, დადეე რომ დაწმდეს, მერმე აილე მაგისის წყლისგ(ან) ორასი დრამი, წ(მიდ)ა ქუაბში ჩა(ა)სხი, ერთი ლიტრა შაქარი გაურ(ი)ე და ვარდის წყალი „ლ“ დრამი ნელად აღუღე, ქაფი მოჰკადე, (70r) ქაფის მოკლაში ცოცოტას ვარდის წყ(ა)ლს და(ა)სხემდი, მუნამდი აღუღე გასქელდეს, ჭურჭელში ჩა(ა)სხი და მიეც ათი დრამი, და თუ შეძლოს „კ“ დრამი, ორი წილი ყ(ოვე)ლი წყალი გაურ(ი)ე.

სხუ(ა)დ ნიშანი ვაშლისა, რ(ომელი) უშველის გ(უ)ლის სიმკურავლესა. აილე ვაშლი, დაჭარ, დანაყე, წყ(ა)ლი გამოწურე, მანამდი აღუღე, ოთხი წილი ერთი დადგეს, მერმე სამოსლითა დაწურე, გაუშუ, რომ გაცივდეს მერმე კიდევ ჭურჭელში ჩა(ა)სხი, აღუღე, ორი წილი ერთი დადგეს, შეინახე და რ(ა)დ მოგინდეს მ(ი)ეც.

სხუ(ა)დ მათბუხი, რ(ომელი) უშველის სევდასა და ტანი დაღმა გამო(ი)ღებს სენსა. აილე ყუთელი ალილა ქერქისგ(ან) გამოღებული „კ“ დრამი და წითელი ჩამიჩი, თურბუთი ორი დრამი, ერთგ(ან) შეყარე, ქოთანში ჩაყარე, ორი ლიტრა წყალი დაასხი, აღუღე, ასრე რომ ასი დრამი დარჩეს, მერმე ორი დრამი ხაღარიკონი წმიდად დანაყილი, თაფლი აურიე და მათბუხში გაურიე, ცისკრის მიეც, როგორაც წამლის წესია.

სხუ(ა)დ მათბუხი, რ(ომელი) უშველის ზაფრასა, სევდასა და ბალღამსა. აილე ყუთელი ალილა და თაბრინდი ქერქისაგ(ან) გამოღებული თუთოსაგ(ან) ოც ოცი დრამი, უნაპის მარცუალი და გავალო „კ“ მარცუალი, ხორასნული ჩამიჩი (70v) „კ“ მარცუალი, ერთად შეყარე, აღუღე, ვ(იდრემ)დის ნახევარი დარჩეს და მერმე გაურიე ხიარშაბარი ათი დრამი, შაქარი თხუთმეტი დრამი, თურბუთი და ხაღარ(ი)კონი დანაყილი და გაცრილი თუთო დრამი, ერთად გაურიე, ნელთბილად ასუ და საჭმელიცა ასევე მიეც.

თელემისა ამოგდებისათ(ჯ)ს, ქონდარი ძმრითა შეაგბე და ასუ.

კურეებისათ(ჯ)ს, ქერის ქატო მჟავითა დოფთა მოხილე და ფ(ე)რჯთა შემოსდევე.

მჯღომისათ(ჯ)ს, ძროხის ფუნა დასდევე.

სტომაქის ტკივილისათ(ჯ)ს, ზეთი, ცვლი და მდოგ(ვი) მოგალე და სტომაქსა დასდევე, ვ(ე)ლ-ფ(ე)რჯთა სცხე.

ტყირპისათ(ჯ)ს, ქატო ძმრით შეაგბე და შემოსდევე.

სტომაქისათ(ჯ)ს, არდი ძნელით ღვნითა შეასუ.

შაკიისა ქარისათ(ჯ)ს, რ(ომე)ლი (ა)რს თ(ა)ვის ტკივილი, ორი წილი კალამბის თესლი, მესამედი მდოგვსა, დანაყე და სძითა გაადგინე და საფეთქელსა, თხემსა და კისერსა სცხე.

ფხანად, ვის სჭირდეს, დივი მოგალე და სცხე.

(25v) **სტომაქისათ(ჯ)ს**, არდი ძუჭლით ღვნითა ასუ.

დედაკ(ა)ცსა თუ რძე აკლდეს, შროშანი კორკოტითა აჭამე.

ვის სისხლი არა დასწუდებოდეს, ქინძი დანაყე და ზ(ედ)ა დასდევე.²³⁴

მუცლისა და სტომაქისა ტკივილისათ(ჯ)ს, სელის თესლი და ძირა მოგალე, დანაყე და ასუ.

ტყირპისათ(ჯ)ს, ენდრო დანაყე და ღვნითა სცხე.

ღვძლი რ(ომე)ლსა სტკიოდეს ბზის ფურცელი დანაყე, წყლით გამოწურე, თაფლი თ(თუეს)ა ურთე და უზმა მ(ა)ნ შესუას.

²³⁴ 25v – რიტუალი

მგამელისათ(ვ)ს, უცვცხლო თაფლი დაზილე და ზ(ედ)ა დასდეგ.

ჩხუერისათ(ვ)ს, ფიცხელისა ღუნისა თხლე, ქერის ფქულითა შეზილე და (26r) მუცელსა შემოსდეგ.²³⁵

თმისა გამოსულისა და გაგრძელებისათ(ვ)ს, მოილე ძღა(რ)ბი, გააჭმე, ტქ(ა)ვი მისი და კეალი მისი დაწუ, მერმე მისი ნაცარი ზეთითა დაზილე და ღამით თაფლითა თ(ა)ვსა იცხე მრავალჯერ, და დილასა დაიბანდე.

გათ(ა)ვდა კარაბადინი, **ამის მწერელსა მოძღუა(რ)ს აბრამს**, შეუნდნეს ა(მ)ინ ღ(მერთმა)ნ. ვინცა მამივს(ე)ნოთ, თქ(უე)ნცა შეგინდნეს, ღ(მერთმა)ნ, ა(მ)ინ.

(26v) ამ წიგნის ფურცლები ოთხმოცდაათი არის, ესე წიგნი ციქურის ნაობ (!) ღიაკუნისა არის, ვინაცა, რამაც კაცმან მოიპაროს ანუ წა(ა)რთოს, ისიმც შაიშლება თავის რჯულიდამ მასამც დაემართება რისხვა მღთისა, ნურათმცა ნუ იხსნება მისი სული ჯოჯოხეთიდამ²³⁶, ნემცა იხსნება მისი საბოლო(ო). ძვირფასად მიყიდნია.²³⁷

²³⁵ 26r – რიტუალები.

²³⁶ ტექსტშია „ჯოჯოხეთიდამე“.

²³⁷ 26v – წარმოდგენილი მინაწერი მხედრულითაა შესრულებული.

(9r) სატკივარი იყოს მას წამალი უნდა იყო ...²³⁸ნი წერილისა წამლებისა გასაკნელი ...²³⁹ გასაკნელი წამლები გამოიღებს სველსა ...²⁴⁰ რომე სული უეუბდებოდეს. აიღე ზანჯაფილი ...²⁴¹ ბუთი და შაქარი ერთმანერთის ოდენი დანაყე და გაცერ და რად მოუნდეს მიეც ორი დრამი თაფლწყლითა.

სხვა წამალი რომე გამოიღებს ბაღლამსა და სველასა. აიღე საყმუნია ნახევარი დრამი და აფთიმონი ან მისი სანაცვლო ერთი დრამი, თეთრი ხარიყონი ნახევარი დრამი, ...²⁴² ინჯი ორი დრამი და ნახევარი ყველა დანაყე, გაცერ და მიეც თბილითა წყლითა რომე შესვას, თუ შეძლოს სრულად მიეცი, თვარამ ნახევარი.

სხვა წამალი, რომელი ყვითელსა და დამწვარსა ბაღლამსა და სიყვითელსა ტანისაგან გასწმენდს. აიღე შაქარი და საყმუნია თვითოსგან ოროლი დანგი, დანაყე და გასცერი და ცივითა წყლითა შეასვი. **მისთვისვე:** აიღე ია ორი დრამი, დანამასტაკი ერთი დრამი, თურბუთი ერთი დრამი²⁴³ და ნახევარი, საყმუნია ერთი დანგი და ნახევარი, ყველა დანაყე და სამი დრამი შაქარი გაურიე, დაასხი წყალი ერთი უნკია²⁴⁴ გაურიე და შეასვი. რად ჩამოსწას აიღე ბაზრაყატუნი ხუთი დრამი გარ(ე)ცხილი ცივითა წყლითა ასვი.

(9v) **სხვა წამ(ალი) ...**²⁴⁵ ალი მახარიონისა რომე გამოიღოს შავი ...²⁴⁶ აიღე მახარიონი, ძმარშიან დაალ(ბე) ...²⁴⁷ ერთსა დღესა და ერთსა ღამესა

²³⁸ პირველი ოთხი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

²³⁹ პირველი ოთხი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

²⁴⁰ პირველი ოთხი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

²⁴¹ პირველი ოთხი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

²⁴² არ იკითხება.

²⁴³ ტექსტშია „დარმი“.

²⁴⁴ ტექსტშია „უნკია“.

²⁴⁵ პირველი სამი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

²⁴⁶ პირველი სამი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

²⁴⁷ პირველი სამი სტრიქონი სრულად არ იკითხება, რადგან ფურცლის კიდე მოხეულია.

და მერმე ჩრდილსა გააჰმე და აილე მისგან ერთი დრამი აფიონი ან მისად ნაცვლად თეთრი თურბუთი თითო დრამი ყვითელი ალილა კურკა გამოღებული და ქირმინი და კულიავი, ინდოური მარილი თითოსგან ნახევარი დრამი, ყველა ნაყე, გაცერი, ერთმანეთში გაურიე და რად გინდოდეს მიეც ...²⁴⁸ დრამი.

სხვა წამალი, რომე სქელი და შავი ბაღლაში გამოიღოს: აილე საბრი ერთი დრამი და საყმუნი ნახევარი დრამი, აფთიმონი და ხარიყონი თვითო დრა...²⁴⁹ ყველა დანაყე და გასცერ და თბელისა წყლითა შე...²⁵⁰

სხვა გასახსნელი წამალი: წიწმატი ოთხი დრამი ...²⁵¹ ილითა წყლითა შეასვი მუცელსა გასხნის და წელშიდა ქარსა ყველასა გამოსწმედს, კოლინჯსა არგებს. მისი თესლი რომ მოჭალო და აჭამო მუცელი შეჰკრავს და დანაყეა არ უნდა, ოსპი ქერქმეკდილი უწუნოდ აჭამო **გახსნილსა მუცელსა ისიცა შეჰკრავს.** თუ შემოდგომანი იყვნეს საყმუნსა ნუ მისცემ თვარემ ნაწლეუსა გაკვრეტს (10r) და ეგების. **კოლინჯი სჭირდეს, ზაფრისა სენსაც გამოაჩენს და ყვანასა დაუწყებს** და შემოდგომასა თუ მისცემდე ასრე უნდა: საყმუნია დანაყე და გაღესე და გაღესულების შარბათით ანუ ვაშლის შარბათითა მიეც. თუ ესე არა ქნა ასრე ჰქენ: გააპე ვაშლი, გული ამოართვი, მერმე რადც საყმუნია უნდოდეს შიგან ჩასდევი, მერმე თავზედა მოაწყვე, ცომითა მოგლისე და ცეცხლშიგან ჩაფალ, იმღონ ერთ ხანს რომ ცომი გამოცხვეს. მერმე ვისთვისაც გინდოდეს აჭამე და საქმობას დააწყებინებს და უზიანო იყოს.

აწე ესე მოგახსენოთ ყმაწვილსა და ბერსა კაცსა და ორსულს დედაკაცსა. ამათ საყმუნისა ნუ მიანდობ, თუ გინდოდეს შეტყობა ასრე შეიტყვევი ერთი ანტიოქურია, ერთი ჯურმულანულია. ის რომ ანტიოქური არის მისი ნიშანი ეს არის: ფერად მომანხსო არის და ფიცხლად დაიფშენების და ყვითელად და ჯურმულანული შავი არის და მაგარი ავი იქნების.

აწე ესე მოგახსენოთ ბერის კაცის საჭმელი, მომსუქნო რადც ფერი ტკბილი იყოს ყველა კარგი და უზიანოა თაფლითა შექნილი, მაგრამ ტკბილი და თაფლიანი კაუს კაცსა არ უნდა რომე ჭამდეს, რადსაცა

²⁴⁸ არ იკითხება.

²⁴⁹ არ იკითხება.

²⁵⁰ არ იკითხება.

²⁵¹ არ იკითხება.

მისცემდე სუბუქი და სწორი (10v) და ორსულსა დედაკაცსა ვაჟისა კაცისა საჭმელი შეუწყვიტო.

კარი ბათმუჯისა გასახსნელი. ვისაც ამა ბათმუჯსა მისცემდე ასრე აფარეზე, სამსა დღესა პურსა ნუ აჭმევ, საღამოსა თვითოსა ჯამსა ხარშოსა აჭმევდი, ორსა და სამსა დღესა წყალ ღვინოს სვემდეს, წყალი რასდენჯერცა უნდოდეს ხვას, რაჟამს წამალი ხვას ორნი მკლავნი შეუკართ, რაჟამს ქვეშეთ საქმობა დაუწყოს მაშინ მკლავი შეუხსენით, რაჟამს წამლისაგან გამოვიდეს ბაზრაცუნის თესლი თბილის წყლით დააღბევი და შაქარი გაურივე და გამოწურე და შეასვი, ზირაქიმანითა ვარია შექენით და აჭამეთ და იმ დღეს ღვინოს ნუ ასომთ, წყალი ასვით, თუ წამალმან ერთობ ძალი იყოს და მწვედ გახსნას ასრე რომე ერთობ შეაწინოს, მისი წამალი ეს ქენი, რომე ფეკები ცივის წყლით დაჰბანე, თუ არ ემველოს ჭიპსა ქვეშეთ დაბანეთ ცივის წყლით. მერმე ბაზრაცუნნი მოკალე და ანუ სიქანგუბინითა, ანუ ბიის შარბათითა გალესე და გაურივე და აჭამე, თუ ამით არ შეჰკრას კვერცხის გული ძმრით მოადულე რომ კარგათ მოიხარშოს, პურითა ის აჭამე, ძალსაც მისცემს და კიდევ შეჰკრავს. თუ არ შეჰკრას შემკვრელი ყურსი მიეც, თუ არც იმან უმველოს ერთი მიტყალი გილიერმნი ბიის (11r) შარბათითა შეასვი. თუ ის რომ იყვანდეს ის განავალი ასეთი იყოს, რომე ბაღლამსა გვანდეს. სოიჯი მოკალე და სიქანგუბინითა შეასვი. ესეცა იცოდეთ ერთსა დღესა ორჯელ წამალი არ აიღების, საფათურაკო არის ესე.

მათუჯი არგებს ზაფრასა, სევდასა, ბაღლამსა, მრავალსა ავსა სისხლსა ტანისასა. ტანშივა რომე სატკივარი იყოს და ღვიძლზედა რაღცა გამოესხას, ტყირაშიდა რაღცა სენი იყოს გამოსწმედს სტომაქს, ძალს მისცემს და გულს გასწმედს. ავი წყალი შიგ რაღც იყოს გამოიდებს და კაცი რომე მწვედ ქმინვიდეს უშველის. გულის ძვერასა არგებს. აიღე ალილაჲ შავი და ყვითელი, ალილა ორივე ტყავ გაკვდილი, ამათგან შვიდშვიდი დრამი ბასვიაჯი, აფთიმონი და ან მისი სანაცვლო ანისონი ან შასთარა, ამათგან ხუთ ხუთი დრამი, რვა დრამი სენემქები, თხუთმეტი დრამი ჩამიჩი და ყვითელი ლეღვი, ათი მარცვალი დამწყავი, ათი დრამი ია და ვარდი, ასლასური, ამათგან თვითოსგან ხუთ ხუთი დრამი და ხუთი დრამი მრავალძარღვას თესლი და თურბუთი და გულნარი თვითოსგან სამ სამი დრამი. ესე წამლები სამით ლიტრითა წყლითა ადულე ასრე რომე სამოცი დრამი დარჩეს, მაშინ თაფლი და ინდო- (11v) ური ტყემალი და თუ არ იყოს ინდოური ტყემალი შავი ქლიავი, ხიარშამბარი ამათგან სამთავესგან ათათი დრამი, ესე სამივე თბილის წყლითა გამოსწურეთ. ესე

წყალი ამა ნადულებსა წამლებს შიგან აღუღე და გაურივე და თბილის წყლითა შეასვი.

სხვა გასაჯსნელი წამალი. ცოტა მათბუკი, ხიარშამბარი, არგებს რადც სიმსივნე შიგნით არის ყველას უშველის მეტად ყველშიგან რომე იყოს სიმსივნე და ნიკრისსა უშველის, რომე სიმსივნისაგან იყოს კაჯჯაღფარასა უშველის სტომაქსა და წელსა, ყველასა ზაფრასა და ბაღდამსა გამოიღებს და კაცსა რომე მუცელი კოლინჯისაგან შეჰკროდეს მას გახსნის და უშველის, რომე თურბუთითა შესვას, თუ ინდოური ტყემალი ანუ შავი ქლიავი გაურივე ზაფრას გამოიღებს. თურბუთი ბაღდამსა და სევედასა უშველის, ფილენჯსა უშველის რომე კაცი გამრუდებული იყოს მასცა უშველის და სტომაქისა სისუსტესა უშველის, ქარისაგან და ბაღდამისაგან თეძო და ფეკი სტკიოდეს, ორსავე უშველის და საყმუნია ზაფრასა სტომაქისაგან ერთობ გამოიღებს ბაღდამსა ცოტასა გამოიღებს, იარაყნსა უშველის. აიღე ათი დრამი ხიარშამბარი, ეს მათბუხი არის და დააღბე თბილითა წყლითა, გამოწურე ორი დრამი საყმუნია (12r) და ნახევარი მიტყალი რევანდი. სამივე დანაყე სწორად, შიგან გაურიეთ და თბილი შეასვით. ესე მათბუხი არგებს მჯდომსა ცხელსა, ცხელებსა და ჭურვებასა. მისი წამალი სემენეკი ხუთი დრამი, ბანაყსაჯი ხუთი დრამი, ლულუფარის ფურცელი ოთხი დრამი, ურნაბი ოცი მარცვალი, კამის თესლი სამი დრამი, მოლოქის თესლი ესე წამლებითა სამართა მიტყალითა წყალითა აღუღე ას მიტყლად მოიყაროს, მერმე შირხიშტი თხუთმეტი დრამი, თხუთმეტი დრამი თარანგუბინი ამ წვენშიგან მანდილითა დაწურეთ, დატყლისეთ და შეასვით ერთი სასმელი.

მათბუხი მუფსა არგებს ფერად ფერად ქარსა, მკურვალესაც და გრილსაცა არგებს, სახსარი რომე სტკიოდეს მასაც არგებს, ქშენასა უშველის, ბოყინსა დააწყნარებს, თირიკმელი რომ სტკიოდეს მას უშველის, ბუასირს უშველის, ზაფრას დააწყნარებს. აიღე ყვითელი ალილა, შავი ალილა, ნახევარი უნკია²⁵² გულ გამორთმეული, აბზინდა, ბაზრაყატუნას ფურცელი, ძირტკბილა, ანისონი, აფთიმონი, თვითოსგან ოთხოთხი დრამი, სვინტრი, ჩამიხი ათი დრამის კმელი ლედვი ათი მარცვალი. ეს წამლები რადც (12v) გვითქვამს ერთპირად ორს ლიტრას წყალშიგან დააღბე ერთს ღამეს და დილასა აღუღე. ეს წამლები და ეს წყალი სანამდის სამოც დრამად მოიყრებოდეს მას უკან შვიდი დრამი შირხიშტი, შვიდი დრამი თარანგუბინი, ეს ორივე თბილის წყლითა ცოტათ დააღბონ და გასწურონ.

²⁵² ტექსტშია „უნკია“.

იმას სამოცისა დრამისაგან გაურიონ თეთრი თურბუთი და მარილი, თვითოსგან ნახევარ ნახევარ დრამი, დანგ ნახევარი საყმუნია, დანგ ნახევარი მასტაქი ეს წამლები დანაყეთ და ამ სამს დრამს წყალშიან გაურიეთ. ცოტა ნელ თბილი ვისცა უნდოდეს შეასვი და ორივე მკლავი შეუკარ. ეს არის რომე გული უფრო არა აეშლების. მერმე კიდევ გაუსხენით.

მათუხი ალილა არგებს მღერსა, ქავილსა და სისხლის კორძი რომე ტანზედა გამოვიდეს არგებს და რააც ტყირაშიან სიმსივნე არის მას არგებს და დამწვარი სისხლი რომე ტანზედა წითელწითელი გამოვა მას არგებს და დაიჭირე. წითელი ალილა და შავი ალილა და სემენეჟი, თუთოსგან ათ ათი დრამი და დანაყე და ორსა ლიტრასა წყალშიგა ჩაყარე და ერთსა ღამესა დააღბე და მეორესა ღამესა ადუღე მანამდის, სანამდის სამოცსა დრამზედა მოიყაროს, მერმე ოცი დრამი შირხიშტი თუ არ იყოს იმდონი თაფლი ამა ნადუღებსა სამოცსა დრამსა გაურიეთ და (13r) ის წამლები ნუშის ზეთსა გაურიეთ და შეასვით.

ნიშანი ლოყოსი, ხივილისა და კველისა, რომელ არს ნაუვისა და ერგების ყოველსა ფირტვის კველასა, რომელი იკველდენ და ამოჭყრიდენ მერალსა ნერწყვსა და ყოველსა კველასა ძველსა სარგებლისა არის თუ ღ(მერ)თსა უნდეს. აიღე ქათისა და ნაჟე გაქურცნილი და ღვალო, ამათგან სწორი წონა და სელის თესლი და გომიზი არაბი და ბიის კურკის ღბი(ლობი). ამათგან წონა ოცდაათ ოცდაათის ძირი, თაფლისა რუბი, ყურძნისა წონა ოცისა დრამისა. შეჰკრიბე ესე წამალნი და დანაყენ და გაცერ ყურძნის რუბითა შესკვდებულთა შეზილენ თაფლითა პერულ მოკვდილითა და ერგების ეს ლოყო. ვის მკერდი შევიწრებოდეს დიდსა კველასა და ფირტვის დიდსა ხივილსა რომე ვერა ერგებოდეს დათმობა აიღოს ამისგან დილა საღამოსა კარგი და გამოცდილი თუ ღ(მერ)თს უნდეს. **სხვა ლოყო სელის თესლისა, რომელი იკველდენ და არა ამოყრიდენ კველასა კმელსა** ნებთა ღ(მერ)თისათა. აიღე სელის თესლი, მოკალული და ქათისა და გომიზი არაბი და ძირტკბილა, ამათგან სწორი წონა დანაყე და გაცერ, ძირტკბილითა შეზილე და დილა საღამოს იხმარდი კარგი (13v) და გამოცდილია, თუ ღ(მერ)თს უნდეს.

თარანგუბინი ლოყოთა შექნისა უნდა რომე დანაყო წამალნი კმელნი და დააღბე, რომელთა ღაბის გამოღება ჯამს ვითა ბიასა ბურკა და ბაბაყუელისა თესლი, შამბალითისა თესლი და სხვანი. ერთითა დლითა უწინ და ცვილი და ზეთი ორივე ცეცხლითა ზედან ერთად შერივნე, კარგა რომე არ შეიყენნე წამალნი.

აბი საბრისა არგებს ტანსა მქაფანსა. დაიჭირე საბრი და ალილა ყვითელი, თვითოსგან თვითო დრამი სემენეკი, შასთრის თესლი, ქასნის თესლი თვითოსგან თვითო დანგი საყმუნია, მასთაქი არ იყოს თეთრი საკმეველი და ინდოური მარილი თვითოსგან თვითო დანგი. ეს ყველა ერთად დანაყე კამის წვენითა დაამრგვალე და შესჭამოს ფარეხითა.

აბი მარმაქი არგებს რომე ესხას და სისხლი კორძსა. ესე წამალი ბახტი შუა ნასრანისაგან შეყრილი არის ბარამ მეფის შვილისათვის შექნილი ეს წამლები ამა მეფისა შვილისა სახელი ფაზილ მას მწვე ქავილი სჭირვებია. დაიჭირე ყვითელი ალილა, შავი ალილა თვითოსგან თვითო მიტყალი თურბითი თეთრი ნახევარი დრამი, ერთი დრამი საბრი საყმუნია ალიქუმუსი ორისგანვე დანგ ნახევარი ეს ჩაადგნე წყლითა და ასვი.

აბი ზარა უშველის რომე ჭიპსა გარეშემო სატკივარი (14r) იყოს და სისხლზე იყვანდეს, აზიდვებდეს, რადცა შიგნიე სატკივარი იყოს. დაიჭირე აფიონი ერთი დანგი და ნახევარი კამის თესლი დანაყე სადაფის წყლითა, აბი შექენ და პილპილის ოდენი მიეც და შესჭამოს ხუთი დრამი და თუ არ უშველოს ხუთი დრამი სხვა მიეც და უშველის ღ(მერ)თითა.

აბი მუცლის ტკივილის ყვანისა. აიღე გუნდა უკურეტიკლი კრკოს ხეჭეჭო და თრიაქი სამივე ერთგან ერთის წონა რკოს ხეჭეჭი და გუნდა დანაყე, გაცერ თრიაქი გალესე მრავალს ძარღვას წვენითა და ერთმანერთში გაურივე და თვითო დრამი შექენ და ჩრდილსა გაახმე, მრავალძარღვას წვენითა გაულესე და შეასვი თუ ძნელად სჭირდეს ერთი დრამი, თვარემ ნახევარი დრამი, სანამდი არ ეშველოს ყოველ დღე აძლევი და ასვემდი და ყოველთვის უკლოს აბსა.

კარი ყურსებისა. ალილას ყურსი არგებს კაცსა რომე ბაღდმინად იყოს, სტომაქს ძალას მისცემს, ჭიპის ჩხვერას არგებს, რომე ქარი ჭიპსა გრეხდეს მასაც არგებს ბუშტის ტკივილს, თირკმელთა ტკივილს. დაიჭირე ალილა და დანამასტაკი, თვითოსგან ოროლი დრამი და ამ წამლებშივა ხუთი დრამი შაქარი გაუ- (15v) რიე სამს დღეს აჭამე.

ყურსი ქაფური არგებს ცხელებასა, ღვიძლისა ცხელებასა, სტომაქისა სიმსივნესა, თავის ტკივილსა, აიღე თოხმანქი, წითელი ვარდი, ქასნის თესლი, შაქარი და სამყი არაბი, თვითოსგან თვითო მიტყალი ნახევარი ნახევარი დანგი, ქაფური თუ არ იყოს თეთრი სანდალი ეს ყველა დანაყე, გაცერ, ვარდის წყლითა დაზილე, ყურსად შექენ და სამსა დღესა ჯულაბშიგან იყოს, როდესაც უნდოდეს სჭამდეს.

ყურსი სუმბული არგებს რადცა სტომაქშია ბაღლაძი იყოს, ცხელებასა რომე ბაღლაძისგან იყოს, დღე გამოდებით რომე აცივებდეს და აცხელებდეს და გულის შეკრვით იყოს. აიღე სუმბული ან მისად ნაცვლად ზაფრანა, ყარაფილი, სამყი არაბი თვითოსგან თვითო დრამი, ესე ჯუმლად დანაყე და ძირი პირდაპირისი თაფლითა ერთმანერთში გაურივე, გამოწურე და მას აჭმევდი.

ყურსი იისა არგებს ზაფრასათვის ტკივილსა, კაცსა რომე აცხელებდეს, გულის ცხელებასა, კაცსა რომე კელ ფეკი უსუსტდებოდეს, დაიჭირე ია ერთი დრამი, ერთი დრამი თურბუთი თეთრი, თვითოსგან დანგ ნახევარი და თეთრი შაქარი თხმაზარათი ხუთ ხუთი დრამი ეს ყველას ჯუმლად დანაყე ჯულაბშიგან ყურსად შექენ (15r) და ჯულაბშიგან ამყოფეთ და მერმე შეასვით.

ყურსი რევანდისა არგებს კაცსა რომე სიყვითლე სჭირდეს, რომე მწვედ წყურვილი სჭირდეს, დღე გამოშვებით აცხელებდეს ანუ მესამეს დღეს მოუვიდოდეს მას არგებს. აიღე რევანდი ერთი დრამი, ყვითელი ალილა, თურბითი, ამათგან ნახევარი დრამი თუხმაქანი, რაზიანის თესლი, ქასნის თესლი, საყმუნია თვითოსგან თვითო დრამ ნახევარი, ესე ყველა ჯუმლად დანაყე და ჯულაბითა შეასვი.

თარგმანი ყურსებისა. ასრე უნდა შექნა – დააღებეთ წამალი კარგად და შემოდგომად შეხელისა დაეკსენ ერთსა ორსა ჟამსა რომე გაფუკდეს, გაადენე მათი წონა არაბული გომიზი დაიყენენ მას შინა გარეული ერთად და ვინცა შეხელდეს წინა ერთის ჟამითა უწინ კელსა ზეთი შეიცხოს და მერმე შექნას კვერი კარგი ნებითა ღ(მერ)თისათა.

ნიშანი წელიწადთა ცნობისა თვეთა და დღეთა, ჟამთა. იცოდი რომე წელიწადი კაცის ბუნებასა ზედა დაბადებული არის. ესე მოგახსენოთ მარტსა, აპრილსა, მაისსა სისხლი აღუდღების და ყმაწვილისა ბუნება არის და როგორცა ამ წელისა ბუნება მჭურვალე და ნედლი არის, აგრევე სამისა მის თვის ბუნება მჭუ- (15v) რვალე ნედლი არის. სისხლი დუღს და საჭმელი ყოველი ტკბილი მიეცით და კელი გაუხსნა უნდა, თვის თავსა საჭამადი ოსპისა და ტკბილისა ბროწეულისა შეუწყევით და ურნაბისა შარაბა შეუწყევით და ურნაბს ისეც სჭამდეს. ესეცა იცოდით მარცვალი ურნაბი ერთსა ლიტრსა სისხლსა დააწყნარებს. და რად ივნისი დადგების და აგვისტო ყვითელი ბაღლაძი აღუდღების, რომელ არს ზაფრა, ახალ მოწიფულობისა ბუნება არის მჭურვალი და კმელი ამას საჭამელი მჟავე ძმრიანი და გრილი შეუწყევით. მუზაფარი ძმრიანი და ცოტა წყალგარეული და ზაფრის წამალი აიღოს, რომე ზაფრა დააწყნაროს.

როგორაც **სეკნებერი** და **ოკნობერი** და **ნოემბერი** დადგების შავი ბალღამი დაიდრვის და შუა კაცობისა ბუნება იქნების და სიკმე და სიგრილე დამართებს კაცსა რომე საჭმელი მჭურვალი და მოწვე სჭამოს და ღვინო კარგათ სვას და წამალი აიღოს, რომე შავი ბალღამი დააკლდეს დედაკაცისაგან იფარეზოს.

როდესაც **დეკემბერი**, **იანვარი** და **თებერვალი** ...²⁵³ ბალღამი დაიდრვის და ბერის კაცისა ბუნება იქნების გრილი და ნელლი მართებს კაცსა საჭმელი] ...²⁵⁴ (16r) ყოველი მჭურვალი და კმელი შეიწყოს, კარგი (ღვინო) სვას, ბალღამი გამოიღოს, ბალღამის წამ(აღ)ი აიღოს, რომე ბალღამი დაკარგოს და ზედა არწყევდეს წამლებითა. და დედაკაცისაგან (იფ)არეზოს. თუ ამას იქს კაცი და საჭმლით ჰელს (ი)წყობს და ასრე გაფრთხილდების კაცი მრთლად ... (პირ წითლად იქნების, თუ არ გაფრთხილდების და საჭამადს არ შეიწყობს მაშინ ავად და სენიანად იქნების. **იანვარსა** დილეულად წყალსა ნუ სვამთ; **თებერვალსა** ჭაკუნტელსა ნუ სჭამთ; **მ(ა)რტსა** ტბილსა საჭმელსა ნუ სჭამთ; **აპრილსა** ბოლოკსა ნუ სჭამთ; **მაისსა** თავ ფეკსა ნუ სჭამთ; **ივნისსა**, დილეულად წყალსა შესმიდით; **ივლისსა** დიაცთან ნუ დაწეებით; **აგვისტოს** მოლოქასა ნუ სჭამთ; **სეკნებერსა** რძე სჭამეთ; **ოკნობერსა** მწვანვილსა ნუ სჭამთ; **ნოემბერსა** ტანსა ნუ დაიბანთ; **დეკემბერსა** კალამბასა ნუ სჭამთ; აპრილსა, მაისსა ესე სჯობს: ფურის ძროხის ჯორცი, ბატკანი, კოკობი, ქათამი ესენი შეიწყოთ, კვერცი თოხლო, კარაქი, ერბო, სამარხოთ ბრინჯი, წითელი ლიბო, მუხუდო, ჭარხალი (16v) სელის ზეთი, ჭაკუნტელი, ნუში. აწ ეს საჭმელები კ(არგის) (მმ)რითა და ზოგი თაფლითა მოატკბე და შევიწყევით, რომე სიტკოპ ჰქონდეს. ხელთაგან: ტბილი ბროწეული, ტბილი ვაშლი და სხალი, მბალი და ჟოლა და ურნაბი, ყურძენი, ბოსტნეულთაგან სტაფილო და სატაცური. ივანობისთვეს, კვირიკობისთვეს, მარიამობისთვესა ყოვლის ფერი ჯორცი და სამარხო ძრმიანი და გრილი და მუზაფარი ღვინო წყალ გარეული. ენკენისთვესა, მწიფობისთვესა, გიორგობისთვესა ჯორცი, რომელიც იყოს მჭურვალე პილპილითა და ძირითა გაკეთებული. ფრინველი, რომელიც იყოს შემწვარი. სამარხოთ: მუხუდო, ჭარხალი, წითელი ლობიო, ბრინჯი, ნიგუზისა და სელისა ზეთი. ბოსტნეულთაგან

²⁵³ ერთი სიტყვა არ იკითხება.

²⁵⁴ სიტყვა „საჭმელი“ აღდგენილია ჩვენს მიერ, შემდეგ კი აზრი წყდება, შინაარსიდან ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

ხახვი, ბოლოკი, პრასი, მდოგვი, ტარხუნა, წიწმატი. ხელთაგან: ყურძენი, ლელვი, ხურმა, ნესვი. მჭურვალე არ არის მაგრამ ვერ დავსთმობთ და ბევრს ნუ სჭამთ. ქრისტეშობისთვის, იანვარსა, თებერვალსა კორცი ძირათ გაკეთებული და ჩამიჩითა ჭამეთ. მჭურვალე უფრო მფრინველსა შემწვარსა სჭამდეთ. თუ დამარილებული კორცია კმელი, მაგრამ ბევრსა ნუ სჭამთ. სამარხო, რომელიცა მჭურვალი მწვავე იყოს და ხილი- (17r) ცა ის აჭამეთ და ღვინო ძალზედ სვას. პური და ღვინო ყოველთათვის საჭმელია. აწ რომელსა ერთად არ უნდა ჭამა. და რომელსა უნდა ვინცა ნედლსა თევზსა და კვერცხსა ერთად სჭამდეს მისგან **ბარასი და ფილენჯი დაიბადების.** ვინცა კელი გაიხსნას და მერმე ბევრი მლაშე ჭამოს, მისგან **ბაყი დაიბადების,** ვინც კელი გაიჭსნას, მერმე ბევრი წყალი სვას, მისგან **ყოლინჯი დაიბადების.** ვინც მაძრად სჭამოს და მერმე იბანოს მისგანცა **ყოლინჯი დაიბადების.** ვინცა მარცხენასა გვერდზედა ქალთან დაწვეს მისგან **ნიკრისი დაიბადების.** ვინცა რძე და ღვინო ერთად ჭამოს მისგანცა **ნიკრისი დაიბადების და ბარასი.** ვინცა რძე და კვერცხი – მისგან **ვარამი და ქშინვა დაიბადების.** ვინცა აბანოს შიგან ქალთან დაწვეს მისგან **დიყა და იარაყანი დაიბადების.** ვინცა ქალთან დაწვეს და მერმე ფსმა მოუნდეს და არ მოფსას ფიცხლა, მისგან **ქვა დაიბადების.** ვინცა ფსმას იჭირებდეს არ მოფსემდეს **შირიმისგან** საშიში არის.

კარი და ნიშანი ცნობისათვის და შეტყობისათვის ღ(მერ)თითა შეხედვით პირისათა კაცისათა. როდესუ პირსა კაცისათა შეხედო და შავად ძლიერი იყოს და ფერი (17v) უვლიდეს და სქელი გუამითა ესე კაცი სისხლისა ბუნებაზედა დანერგული არის და როდეს კაცი, შავი კაცი ფიცხლად მძრახი იყოს. მჭლე და ქერქ სველი და მჭლე ეს კაცი კვერცხის გულის ნავლელსა ზედა დანერგული არის. ოდეს შეხედო კაცსა მწვაზარსა და უსუსურად მზრახი იყოს და ქერქი თხელი სხვილი ესე თელგამსა ზედა დანერგული არის ესე ბუნებანი თავად არიან უკეთუ ორთა ბუნებათგან იყოს განზოგებული ყოფადი, რომელსაცა მიემსგავსებოდეს, მასცა ამსგავსოს ცნობითა.

აწ რადც ღ(მერ)თისა დაბადებული არის, რომლისაგან იზრდების ის მოვახსენოთ ბაბილოვნელთა ბრძენთ და ფილასოფოსთა ასრე უთქვამს ვითა მაღალი ბუნება ოთხი არის: მჭურვალი, კმელი, ნედლი და გრილი. და ყოველი ფერი დაბადებული რადც არის კაცი ან პირუტყვი ან რადც მიწით ამოვა ხე ანა ბალახი ეს თუ ნერგი, ყოველსა ესე ოთხნი ბუნებანი ზრდიან, რომელი არს ქარი, სიცხე, და მიწა, და წყალი. ამათგან იზრდებიან ოთხნი კუთხენი ქვეყანისანი.

აწე სისხლისა ვთქვათ, ბაღდმისა და ზაფრისა და შავის ბაღდმისა ამათითა გარევეითა და გასწორებითა გაიზარდოს ტანი კაცისა და ყოველისა დაბადებულისა.

(18r) აწე მოგახსენოთ ქარი მკურვალი და ნედლი და სისხლი მისგან იქნების და სული მისგან იბრძვის. ცეცხლი მკურვალი არის და ზაფრა არის მიწა გრილი და კმელი და შავი ბაღდაში მისგან არის. კიდევ ბრძანებს დიდი განილი: ვითა მაშა ჰკურნებდე მას, რომელსა დაემართოს შერეენა ... სენი²⁵⁵ მკურვალსა გრილითა წამლებითა და გრილსა მკურვალითა, რომელ იყოს სიკმისაგან, ჰკურნო ნედლითა და ნედლსა კმელითა. ჰკურნე მას რომელსა წყლულებისაგან ანუ გაპოზა ძარღვისა წამლებითა შემკვრელითა რომე დააყენოს სისხლი, გაახმოს წყურვილი და რომელი იყოს სენი და სატკივარი, და ანუ სიმსივნე, და სიმსივნისა და სიგრილისა გზითა რომე იყოს, მას ცერეცოსა ზეთი სცხე, აჭამე საჭმელთაგან მკურვალითა, რომელ არს მართვე ტრედისა, წითელისა თხისა კორცი შემწვარი და წამალთაგან გუარიშინი ამბრისა და გვარიშინი მუშკისა და ღვინო ასვი კარგი შეწყობით სვინტრი და სტაფილო და ჰკურნე სენსა მკურვალესა წამლებითა გრილითა იისა ზეთითა, ვარდის ზეთსა გარეთ სცხებდი და შავისა ტაბაშირი და მრავალძარ- (18v) დვა წყლითა გრილითა ყოველით და აჭამე ბია გამოზრდილი და ამაღაჯი შეასვი, ბროწეულისა აემარჯვი ყოველს მჟავესა სუემდით მარგე არის. ბაგრატ აქიმი იტყვის: ქერის წყალმან გაასუბუქოს განწმიდოს და წყურვილი დააწყნაროს. თუ თეთრი ქერის კორკოტი არც ძველი იყოს და არც ახალი აიღე თხუთმეტი ზომა წყალი და ერთი ქერი. მანამდის აღუდე თხუთმეტისაგან ერთი დარჩეს, კაცის გუნება ნედლი და ბაღდაშიანი იყოს, მოუკდების რომე სჭამოს. კაცი დიდს ხანს ავადმყოფი იყოს და მწვედ დასუსტებული იყოს და სტომაქი სუსტად ჰქონდეს, ჭამა მართლად არ უნდოდეს, კიდევ აცხელებდეს, მისი საჭმელი ეს არის: მომცრო ვარია ბრინჯით მოხარშეთ, ცოტად დარიჩინი ურთე შიდ გამოსარშე, მოიტანე ნედლი კვერცხი გასტეხე, ცილი ჯამშიგა ჩააგდე, გაქენ, გამომცხვარი პურის გული ერთად აურივე, დაფშვენ ქათამი ბრინჯითურთ, კვერცხის გული, პურის გული ერთად აურიე და აჭამე, სწორი არის სტომაქს ძალს მისცემს.

აწე ეს მოგახსენოთ რომე ანუ სახსნილო და ანუ სამარხო, რომელი გრილი არის და რომელი მკურვალი. ეს ასრე იცოდი, რომელიც საჭმელი

²⁵⁵ არ იკითხება.

მწვავე არის, რადც ფერი ყველა მჭურვალ არის სამარხო ხვარბლის კორკოტი, ზანჯაფილითა (19r) და ქონდრითა შენელებული მჭურვალ არის. თაფლი ქაფ მოვდილი მოდულებული თაფლწყალი კამაში და მოდულებული იყოს მჭურვალე არის.

სახსნილოდ მსუქანი ცხერის ჯორცი მუხუდოთა, დარიჩინითა ანუ ძირათა ანუ ზანჯაფილითა შექნილი²⁵⁶ მეტად მჭურვალ არის. ჩიტი კაკაბი მუხუდოთა შექნილი მჭურვალ არის. ვისიცა სტომაქი გრილი და სუსტი იყოს იმისთვის კარგი არის ლალისფერი ღვინო ტკბილი კარგია, ხილი ლეღვი კარგია და ნაკიდები ყურძენი და ტკბილი ბროწეული და ხურმა და ნესვი კარგია.

აწ გრილისა საჭმლისა მოგახსენოთ: პური ისრიმის შარბათითა გრილი სარის ანუ ყივნულიანისა წყლითა დამბალი ქერის კორკოტი გრილი არის რადც მწვავე არის ყველა გრილი არის, ვარია, ქერის კორკოტი, თიკნის ჯორცი, ქერის კორკოტითა შექნილი, გრილი არის გოჭის ჯორცი გრილი არის, ქსნიცა გრილია, მრავალძარღვას წყალი თუხმაქნითა გრილი არის, მაწონი და ძმარი ყველა გრილი არის და მჭურვალესა სტომაქსა არგებს. თევზი ყველა გრილია ერთ სახედ.

აწ ვინცა ...²⁵⁷ ამას უყურებდეს (19v) და იცოდეს წესი საჭმლისა, თვეთა და ჟამთა, თუ რომელი საჭმელი სჯობდეს ამა თვესა და ამა ჟამსა, მას ზედა საჭამადი შეუწყევით და შეირგოს. კარგსა სურნელსა ისუნებდეს, ქვეითად იარებოდეს სუბუქად და ხან ხან მხიარულად ცხენსა შეჯდებოდეს. და მართებს კაცსა რომე უზმა აბანოსა შევიდოდეს და თაფლითა გაზრდილსა ალილასა და ზანჯაფილსა სჭამდეს ანუ კარგსა მაჯუნსა. მერმე მოისვენოს და დაიძინოს. ცოტად დაადგეს ძილისაგან თავი, ტანი და ფეკები შეიმწნას ვარდისა ზეთითა, ანუ სხვითა კარგითა ზეთითა, ანუ კარგითა კარაქითა დაიზილოს ტანი, თავი და ფეკები და ასოები, მერმე დაუღბეს ყოველი ასო და ტანი დაიზილოს, არგებს. ესეცა მოგახსენოთ მეტი შეზელა დაასუსტებს ასოებსა და ტანსა წესიერად უნდა შეზელა და საჭმელი რად მოუნდეს მაშინ ჭამოს, ზედაც კარგი ღვინო სვას და მართებს კაცსა, რომე ზამთრის გრილი და ცივი საჭმელი სჭამოს და ზაფხულის ცხელი და მჭურვალ საჭმელი სჭამოს. ვინცა ამას ასრე შეიტყობს და შეიწყობს იქნების კაცი მთლად და კარგა წამოსადეგად და შესახედავად პირ წითლად იქნების.

²⁵⁶ არ იკითხება.

²⁵⁷ არ იკითხება.

აწ ესე მოგახსენოთ ზამთრის გუნება გრილი (20r) და ნედლი არის და კაცსა დაემართების სენი ჳუელა და მუცლის ტკივილი, ყურის ტკივილი და სხვა რადც სიგრილისა სენი არის ყველა ზამთარ გამოანდების. იცოდით აწ ზაფხულის გუნება ვსთქვათ ზაფხულსა მჳურვალე და ჳმელი არის და კაცსა დაემართების. სენი მჳურვალე და ჳმელი წყურვილი და ღვიძლის ტკივილი და ტყირპი და ცხვირთა გაჳმობა.

ხასიათი ღვინის. ღვინო მრავალფერი არის ყოველსა ფერსა ყურძნის ღვინო სჯობს ყურძნის ღვინო რომ დაძველდეს უკეთესი და უსუ ... ბუქქე²⁵⁸ იქნების სტომაქი დაღმა მოდნობის ქარსა გასტეხს, სტომაქისა ძარღვებსა მოაფართოებს და რადცა ასო არის ყველაშიგა არის შეკრვით იყოს, გასხნის ზაფრასა და ბალღამსა უშველის ქარისგან კოლინჯი იყოს გასტეხს, მიღახულასა უშველის გული გაამხიარულოს და სხვას მრავალსა სენსა არგებს.

აწ რადცა ღვინისგან სენი შეიქნების ამასაც მოგახსენებ: ერთი რომე ყელი გაუსივდების და მოუჭაირებს, მეორე ნიკრისი, მესამე ფილენჯი, ჳელფეკი აუთროლოდების და თავი, მაჯაში წააჳდინოს, ღვიძლის სნება შეუქნას, მეოთხე იარაყანი, ისთისიყა, თავის ტკივილი, კბილებისა მჳურვალე სიმსივნე, ფერად (20v) ფერადი ცივნება და ჳურვება, ესეცა ეგების რომე ერთის თვალის წუთს გახეთქოს, იცოდი რომე ღვინო, რომე მჳურვალე და ნედლი. კაცი ღვინოს დაჩეუული იყოს და არა სვას, რადცა კარგი სწერია ისდონი ერთი სენი შეექნების, კაცსა გაუმძლავრდების და მოკლავს. კაცსა რადცა ღვინისაგან ძალი ჳქონებია და სენი გაყრია კიდევ გაუძალიანდების, და კაცი აღარ დარჩების. რასაც კაცსა ანდაზითა ღვინო ესვას და თ(ა)ვი შეენახოს მისგან და სიმრთელე ჳქონდეს. თუ მერმე დაიწყოს ჳარბობა ღვინისა იმათ ანდაზა ზედა რადცა წინეთ სიმრთელე ყოფილ იყოს ის ყველა სენად შეიქნების. ბევრის ღვინისა მთაგული აივსების და ძარღვებშიდან სენად შეიქს და კაცი არა რათი ღარიზი ...²⁵⁹ მოარჩოს. ასრე რომე ცეცხლი ენთებოდეს, კაცმან ბევრი შეშა დააყაროს ნედლი დაივსოს, ისრე ბევრი ღვინო სტომაქსა და გულის სინათლესა დაავსებს. კაცი მოკვდების რად ბევრი ღვინო ჩავა, სტომაქი დამძიმდების და ღვიძლი წაჳდების. ის ავი ხილთი კაცსა კიდევ მოუმატებს შიგავე, შერჩების სნება და სიშმავე დაემა- (21r) რთების გულმწყრალი შეიქნების, თვალშიგა მღერი დაუწყოს და ძილშიგან შეშინება შეაქნას და ძილი არა

²⁵⁸ არ იკითხება.

²⁵⁹ არ იკითხება.

დია მოეკიდოს, დიდ ღვინოსა სვამს, ტვინშიგან შევარდების და იქი დაღმა შეიქნების ყველად და სხვადა მრავალსა სენსა შეიქს. **მაგრამ არ დაგვიწერია, რომე სიცოცხლე სულისგან არის.** ის სული აქიმთა თქვეს როგორცა ქარი ასრე არის ...²⁶⁰ გულშიგან და როგორცა ბევრს ღვინოს სვამსო ის ყელში გაერევის და მერმე ის სისხლი წავა, ღვიძლსა და ძარღვებსა ყველასა აავსებს და აღარა ჩავა რა, მერმე წამოვა გულისაკენ, და ის სული გულშიგან არის და რად ღვინო მიმართებს სულსა გზა აღარა ექნების, მერმე გამოვა ის სული მისსა ადგილსა ღვინო ჩადგების და კაცი მოკვდების და ღვინისაგან სიკვდილი ამას ჰქვიან. ასრე ღვინისაგან მეუდარი კაცი ბევრი ნახულა. სული ფირტვისაგან გამოვა და რად კაცი აივსების ღვინითა იმა სულისა სახლსა მოიჭირავს და ფირტვი ჯენეშასა დაიწყებს, ასრე გონია ვითა მოვისვენებო დაწყების და დაიჭირავს ღვინო სულისა გზასა და კაცი მოკუდების. სტომაქი თუ გრილად იყოს და საჭმელი ვერ მოიდნოს (21v) და სული ნიადგ მუავე აბოყინოს თუ ვერა მოიდნოს ამისთანა სატკივარი სჭირდეს, წყალი სვას, ქარსა შეუქს და მისი ისე სჯობს, ცოცოტა ღვინო სვას. სხვა ღვინო რაც ფერის არის ღვინო მხე და მომუაო იყოს და კაცი სუემდეს სტომაქიდამა ფიცხლა დაცალოს, მერმე ტვინში გაუჯდების და ფიცხლა სიმრთელეხედა მიაგდოს და რად მოიმხიზლოს ღვინო თეთრი, ღვინო ერთობ მჭურვალი არის და თუ კაციცა მჭურვალი იყოს მისგან მისი სმა არგებების და კაცისა შარდისა აღაგსა გასწმედს. ღვინო წითელი უფრო მჭურვალი არის თეთრისაგან. ღვინო ლალისფერი უფრო მჭურვალეა ყვითლისაგან და ლალის ფერისაგან უფრო წითელი იყოს, ეს უმჭურვალეა ესე ამისთანა ღვინო მან სვას ვისცა ბაღლაძი სჭირდეს. ღვინო ცეცხლისფერი, რადც ღვინოა ყველას უმჭურვალეა. ღვინო მყრალი მისი სული კარგი არ იყოს და თხელი ღვინო იყოს გვიან გავა სტომაქიდაღმა, ამისი სმა მჭურვალეს კაცს არგებს. ღვინოს რომე კარგი სული უდიოდეს, თუ კაცსა ხაფანაყი სჭირდეს მას არგებს და კაცი რომე ბნდებოდეს მასცა (22r) არგებს, კაცი რომე სტომაქიხედა ავად იყოს მასცა არგებეს. ღვინო რომე კარგი სული არა უდიოდეს, ისი ტვინსა აწყენს და რადცა ტანშიგან მისგან დაემართოს, სტომაქსა ავად მოუკდების. ღვინო რომე გემოდ მოთხე იყოს და გემოდ მორჩილი მჭურვალესა კაცსა არგებს. ღვინო ტკბილი კაცსა გააჭურვებს და სტომაქით გვიან გავა, მუცელს შეჭკრავს და ტყირპსა გაადიდებს, გულსა და გულის პირსა დააღობოს, კაცსა გაასუქებს. ღვინო მწარე,

²⁶⁰ არ იკითხება.

მჭურვალი და სტომაქისა მარგე საჭმელს მოადნობს, თუ შეკრვით იყოს კაცსა გახსნის და მსუქანსა კაცსა უკედ მოუჭდების. ღვინო, რომ პირსა ეჭვდებოდეს ის უფრო ძნელი და მძიმე არის. ღვინო, რომე აუღუღებელად დადგომიდ იყოს ისი მაშენა და ფიცხლა მოიდნობის, კაცსა ფიცხლად დაათრობს, მახმურობა ცოტა იყოს და გული გაუმხიარულოს და სისხლი დაწიდოს და გულსა და ტანსა ძალი მისცეს. ღვინო მოღუღებული ორფერი არის, ერთი მწარე და ერთი ტკბილი და უღუღებელისაგან უფრო მჭურვალი და ჯმელი და კაცი გვიან დაითრობის, გულს გაამხიარულებს (22v) და ბევრსა კაცსა არგებს, მსუქანი გრილი რომ იყოს, სტომაქით გვიან გავა კაცსა გააჭურვებს, გულისათვის კარგია, მუცელსა გახსნის, გულისა და ღვიძლისა გზასა გახსნის, ბუშტსა და თირკმელსა შიგან ქვა გამოაჩინოს. ღვინო ახალი სტომაქსედა ქარიანი არის, გვიან გავა, ფერად ფერადსა სიზმარსა აჩვენებს, ტვინსა დააღობს, ტანსა და მუცელსა დააღობს. ღვინო ძველი, მჭურვალი და ჯმელია, სტომაქსა არგებს, ქარსა გასტეხს ამისი სმა მსუქანსა კაცსა არგებს. ღვინო ჩამიჩისა მის სიმჭურვალე და სინედლე ყურძენსა ცოტად ჩამოუჭდების. კაცი რომე სიმჭურვალისა და სიჭმისაგან იყოს კაცსა მოაწყურვებს და შეკრავს და სევდასა გაერევის და სისხლსა გააშავებს და სტომაქსა ძალსა მისცემს და გაასუქებს და ყოლინჯსა არგებს და ტილსა დაასხამს. ღვინო ბარისა უფრო მჭურვალე და უმაძრესია ვირე მთისა. ღვინო ჭაობისა უფრო თხელი იქნების და კაცისა ტანშიგან უფრო რბილია და კაცისა გუნება და სტომაქი მჭურვალი და ჯმელი იყოს, მას არგებს. ღვინო რომე კლდიანისა და ქვიანისა ალაგისა იყოს უფრო მძიმეა, მისი სისველე უფრო ცოტა არისო.

ხასიათი წყლისა. წყალი (23r) მრავალგვარი არის. მისი ხასიათი დიდსა კარაბადინშიდან სწერიან. აქიმთა და ბრძენთა ასრე უთქვამს: წყალი თეთრი და წმიდა სჯობს ტკბილი ასრე რომე ან ჭია არა სხდეს სასწორშიგან სუბუქი იყოს, სტომაქიდაღმან ადრე გავა. ასეთის ადგილი დაღმა მოდიოდეს, რომ მზე ამოვიდოდეს და შუქი მისი პირველი მას შეადგებოდეს, ან წითელსა მიწასა ზედან დიოდეს და ანუ ქვიშასა ზედა თუ გაათბო ფიცხლად გათბეს და თუ გააციო, ფიცხლა გაცივდეს. კაცმან უღონობით მლაშისა და მღვრისა წყლისაგან წყალი სვას, ზედა კარგი ღვინო შესვას, რომე მისი ზიანი მან წაიდოს. წყალი კაცისა გუნებასა გააგრილებს და გაანედლებს, მუცელსა გაარბილებს. და ყოველს გრილსა და ბალ(დ)მიანსა კაცსა მართებს, რომ ცივს წყალსა ერიდოს სასმელად, თუ უღონობა იყოს – მოადულოს. რომ მოადულოს. ნახევარი რომ მოიყაროს

გააციოს და ისე სვას. წყალი წვიმისა სხვა წყლისაგან უფრო ნედლია და რბილია, ზაფხულის წვიმისაგან, შემოდგომისა და ზამთრისა უფრო რბილი და ნედლია და ამისთვის რომ ავა ზაფხულის წვიმის წყალი, რომე ზაფხულის მიწა მტვერიანია და ქარი (23v) მტვერსა ღრუბელშიგან გაიღებს და წვიმა მღვრია მოვა. თუ ერთსა წამსა ჭურჭელშიდ შეინახო მასვე წამსა აყროლდების, თუ მოადულო და ისრე შეინახო არა აყროლდების. წყალი თბილი საჭმელსა სტომოქიდადმა მოაქცევს, ერთობ თბილი იყოს, ქარსა და ყოლინჯსა გასტეხს, რწყევას მოუმატებს, ნაზლასა და ბილასულასა და თვალის სინათლესა არგებს, შარდსა გახსნის. ცივი წყალი, რაც მართებული კაცი იყოს ყველას ერგების, ძარღვებშიან სისხლსა კარგათ ამყოფებს, არ წახდენს. წყალი უზმამან ან აბანოდადმან გამოსრულმან ანუ მაშვრალმან სვას აზიანებს. საჭმელზედა წყალი ცივი თუ სვას, ისიც ზიანია. ვისაც ბუშტშიან ჰქვა ეღვას, ხანდახან წყალსა სვემდეს უზმად. კამის წყალი წყურვილს მოჰკლავს.

ქარი ტლევებისა. ესე ტლე არგებს კაცისა კორცი რომე რბილად სივდეს ანუ სისხსა სჭირდეს. აიღე ძაღლის ყურძენი და საბრი, ორივე დანაყე, კვერცხშიან გახილოს და ვარდის წყლითა და ვარდის ზეთითა და ძმრითა და ნაცხითა ყველა ერთად აურიე და ტლედ შექენ, სადაც სტკიოდეს დასდევით. ტლე გრილი არგებს **მკურვალსა ვარამსა, რომე კაცსა ჳელსა სწვევდეს.** (24r) თეთრი სანდალი, წითელი ვარდი, სამი წითელი წამალი, თვითოსგან სამ სამი დრაში და ნახევარი დანგი ქაფური. ყველა დანაყე, ტირიფისა წყალშიგა გაურიე, მისი ტლე ჰქენით კარგი არის. ტლე ხათმისა. სიცხისათვის კარგი არის. სიცხე რომ იყოს, გულსა და ღვიძლსა კარგად არგებს. გული რომ სტკიოდეს და ღვიძლის სიმკურვალისაგან მას უშველის. წამლები მისი: ხათმი ერთი პეშვი, და ერთი პეშვი ქერის ფქვილი, სამივე ერთად გაურიე, ტირიფის ფურცელი დანაყე, ცოტა წყალი გაურიე, ძაღლის ყურძენა გაურიე, სამოსელზედა გასცხე და გულზედა გააკარი. ტლე გრილი არგებს მკურვალესა ვარამსა, რომე კაცსა ჳელსა სწვიდეს. დაიჭირე აღისარჩული, თეთრი სანდალი და წითელი სანდალი, ვარდი, ტუხტი და წითელი წამალი. თვითოსაგან სამ სამი დრაში და ნახევარი დანგი. ესე ყველა დანაყო და ტირიფის წყალშია გაურიეთ და მისი ტლე უყავით კარგი არის.

ქარი მაჯუნებისა. მაჯუნი ჩოფიჩინისა მკურვალი არის, კაცსა ტანში დაუვლიდეს უშველის. აიღე ჩოფიჩინი რაზომიცა გინდეს წონა. ორი წონა ჩოფიჩინი დაქლიბე, ორი წონა ჩოფიჩინი ქენი. რა ერთიც გინდოდეს წონა. ერთი (24v) წონა ჯაოზი, ერთი წონა დარიჩინი ერთი წონა ზანჯაფილი,

კოჭი ერთი წონა, ზაფრანა თუ იშოებოდეს, დარიფიფილი ერთი წონა, ესენი ყველა ცალკე ცალკე დაფხიკე და გასცერი, მერმე უგბილი თაფლი აღუდე ბევრს ხანს და ქაფი კარგათ ართვი. მერმე ესე წამლები ყველა ჩაყარე, აღუდე და ურიე რომ გაწმდეს გარდმოიდე და გააცივე და რად მოგინდეს იკმარე დილასა და საღამოსა ჭამდე. ფალასუფა მაჯუნი. მათადულად ჰრქვიან სიცოცხლისა მაჯუნი არის კაცსა სიკუდილამდის მრთლად ამყოფებს, რადც ბაღმისა სენი არის ყველასა უშველის, საჭმელს მონადროებს, აზიმსა ძალსა მისცემს, ბოყინსა ამოადებინებს, სლოკინსა დააწყნარებს, ჭკუა გონებასა ძალსა მისცემს, ბერსა კაცსა ყმაწვილობისა გუნებასა და ძალსა მოიყვანს. კაცსა შეუგებელად ფსელი სდიოდეს მას უშველის, მამაცობასაც მოუმატებს, კბილები რომ ეძროდეს იმას დაამაგრებს, წელის ტკივილს უშველის, სახსართა ტკივილსა უშველის. ამისი წამალი: აიდე პირპილა, დარიფიფილი, ზანჯაფილი, დარიჩინი, ამილა, სვინტრი, ძიმწარე ინდოური, ნიგუზის გული, ბაბუნაჯის ძირი, ხასიათი სალ- (25r) იბა, ამათგან თვითოსგან თვითო უნკია ასრე ქნან, რომე ჩამიხი კურკა გამოდებული დააღბონ, როგორაცა დაღბეს ეს წამლები გაცრილი, დანაყილი, ჩამიხითა დამბალი შეხილე და მერმე ყველასა პერულ მოკლილი თაფლი გაურიე, შეხილონ და ორი დრამი აჭამონ. ხასიათი სალიბა სუროსა ჰქვიან. თრეყილათ (!), რომელ არს ყოველისა სენისა წამალი თავითგან ვიდრე ფერკამდის რადცა სენი შეეკნების ყველას უშველის დ(მრ)თითა. წამალი მისი: აიდე აფიონი ოთხისა დრამისა წონა, სუმბული და ყაყულა და თეთრი პილაპილა, თეთრი კარის ძირა, თეთლი აყირყარა, ლემის თესლი, ამათგან წონა ოროლისა დრამისა, ზაფრანა წონა ერთისა დრამისა, დანაყენ ესე წამალნი ცალკე ცალკე და მერმე გასცერ, ერთად შეურივე, ოთხი დრამი სამყი გაურივე და ან ქათისა გაურიე, მერმე მოიდე ამ წამლების წონა პერულ მოკლილი თაფლი და იმაშიდა ჩაყარე და შეხილე და ვისაც თავი სტკიოდეს ...²⁶¹ შესმა მისგან მიტყელისა ნახევარი და არის ესე ...²⁶² ნეთა ღვიძლისათა და ამათიანისა ტკივილისათვის, (25v) კველისათვის და სტომაქისა ტკივილისათვის, კველა სურდოსა, ფაწლისა და გუერდისა ტკივილისა და ღვიძლის ტკივილისა და შემოკლებისა სულისასა. ცნობისა იმის სულისა ზისხისა და დიდისა წიდოვნებისა და კაცი მუცელშიდ ავად იყოს და ბუასირისათვის.

²⁶¹ არ იკითხება.

²⁶² არ იკითხება.

ვის თავი სტკიოდეს უწვეთე მისგან ცხვირთა ქერის ნახვერის ზომა შემგებარი ქონდრის წყლითა.

ვისცა სტომაქი სტკიოდეს, თავი, კბილი, ღრჯილი. რევანდისა ზომა ღრჯილთა საცოხნელთა დაიჭიროს და წვენსა მისსა ჩანთქმიდეს.

კველასა²⁶³ **ახალსა და ძველსა** ქერის ზომა კამის წყლითა და ჰვრეტითა ერთითა.

ტივილსა გულისასა და სტომაქისასა და პირისასა ქერის ზომა ძირას წყლითა.

ტივილი ფაწალისა ქერის ზომა ცივის წყლითა და ძმრითა და კერძალოს შვიდსა დღესა სასმელსაჰმელსა, აიღებდეს მას შვიდსა დღესა.

მარჯუენისა გვერდის ტკივილისათვის ქერის ზომა ცივის წყლითა, მარცხენა გვერდის ტკივილისათვის მარცვლისა ზომა ნიახურისა წყლითა ხვრეტითა ერთითა.

ტივილსა ღვიძლისასა. მარცვალი ერთი თეთრი ვარ- (26r) დის წყლითა და თეთრის თაფლითა.

ვისთვის გველსა ეკბინოს ანუ ღრიანკელსა, მარცვალი ერთი თეთრი ოსპის წუნითა თბილითა.

ღელაკაცსა ოდეს ეშობოს და წელნი მა...²⁶⁴ **ჭირემდინ და სისხლი** გაგიდოდიან მარცვალი შემგებარისა შაბალითისა წყლითა ჰვრეტითა ერთითა.

ვის ბუასირი სჭირდეს. მარცვალი პრასის წყლითა შვიდსა დღესა ასვით.

ვის ენაშიგან სიმძიმე იყოს – მარცვალი თუთუბოს წყლითა.

კველა, სურდოსათვის – მარცვალი ძირას წყლითა.

ცხროსათვის – მარცვალი ქინძის წყლითა ჰვრეტითა ერთითა ანუ ძირას წყლითა.

თუ ამათ წყალთაგან ვერ იშოვნოთ ვინც სვას თბილის წყლითა და ვინც ვინ სვას ამა წამალთაგანი დაიდვას თავსა ის ზეთი და შეხვრიტოს ცივი წყალი. სამი ჰვრეტა სარგებლიანია ნებთა დ(მერ)თისათა. ეს წამალი როდისაც შეჰქნათ უწინ ბალახინის ზეთითა უნდა შესვარო, მერმე ასწონე და მისი წონა თაფლი ჰქენ პერულ მოჭდილი და იმით შეხილე და ესე რაზომსაცა დაძველდების ისი სჯობს.

²⁶³ ტექსტში „კველასა“ ორჯერაა გამეორებული.

²⁶⁴ არ იკითხება.

სტაფილოს მაჯუნი არგებს კაცსა, სტომაქის ტკივილსა რომე სიგრილისაგან იყოს, ბლოყინს დააწყნარებს, საჭმელი ვერ მოიქაროს მოაქარებს, მუცელშიდან ქარი იყოს მოაქარებს და უშველის ბუშტსა რომე (26v) სიგრილე მორეოდეს მას გააჭურვებს, თირკმელთა რომე სიგრილე მორეოდეს მას გაანჭურვებს ...²⁶⁵ მამაცობასა მატებს და ნამეტნავად ძალს მისცემს და ბაღდმისაგან რომე პირსა წყალი მოადგებოდეს მას უშველის, თესლი რომე უნდომად სდიოდეს მას უშველოს. თუ გინდეს წამლობა მისი აიღე თაფლი ერთი ლიტრა იყოს, ერთი ლიტრა სტაფილო, დაფხიკე და შიგა ჩაყარე ნახევარი ჩარეკი და ნიშასტაგი გაურიე, თუ ის არ იყოს იმდონერთი ფქვილი გაურიე და აღუღონ სანამდის შესკვლდებოდეს. მერმე მისი წამლები, ყარფილი, დარინინი თვითოსგან ხუთ ხუთი დრამი, ინდოური ნიგუზის გული ერთი უნკია, ჯავაზი სამი მიტყალი, დარიფირფილი ორი მიტყალი, შავი პილპილა ორი მიტყალი, სტაფილოს თესლი ათი მიტყალი. ეს ყველა დანაყე და გაცერ. როგორცა მაჯუნი შეიქნას უკომდგი და გააცივე და ესე წამლები შიგა გაურიე და დაზილე რომე გასწორდეს, მისგან შეჭამა ყოველთა დღეთა თითო ნიგუზისა ოდენსა ჭამდეს უმათა.

მაჯუნი ქამუნია. არგებს სტომაქისა ტკივილსა სიგრილისაგან ქარი რომე ჩავარდნოდეს, ძველსა ცხროსა მეტი სიგრილე რომ მორეოდეს. აიღე ძირაქიმანი (27r) ათი დრამი, კარგითა ძმრითა დააღბე ...²⁶⁶ ერთს დღესა და დამესა, ძმარი გაწურე, ძირაქიმანი გაახმე და მოჭალე. აიღე ზაჯაფილი ოცი დრამი, პირპილი ხუთი დრამი ...²⁶⁷ ლულუფარის ფურცელი ათი დრამი, კმელი დარინინი ესე ყველა დანაყე, გაცერ და ერთმანერთშიგა გაურიე და ამა წამლებისა წონა სამი თაფლი ქენი, წმიდის ჭურჭლითა აღუღე, ქაფი მოჭადე ვიდრემდის დაწმდეს, მერმე ეს წამლები გაურიე და შეზილე კარგათ წმიდით ჭურჭლითა შეინახე და რად მოგინდეს რად ერთიცა უნდოდეს და მერმე ერთი კვანჩხი ღვინო შეასვი.

მაჯუნი სეინტრისა მკურვალი არის და ნედლი, სტომაქსა და ღვიძლსა მკურვლად ამყოფებს რადცა ბაღდაშია ყველასა გააქარებს, კაცი გასივდეს და ზისსა შეექნას მას უშველის, შარდი რომე შეკვრით იყოს მას გახსნის, რადც შხამიანი კაცს უკბენს მას არგებს შვიდს წელიწადს ხასიათი აქეს. მოიტანე სეინტრი რაზომიცა გინდეს მარილ წყალშიდან

²⁶⁵ არ იკითხება.

²⁶⁶ არ იკითხება.

²⁶⁷ არ იკითხება.

დააღბე ერთსა დღესა და ღამესა და მერმე ამოიღე და ცივითა წყლითა გარეცხე და უმარილო წყალში მოხარშე, ამოიღე და გარეთ ქერქი დანითა (27v) შეფხიკე. მოიღე ნახევარი თაფლი და ნახევარი წყალი და დაფხეკილი სვინტრი შინ ჩაყარე და ხარშე, სანამდის წყალი შეაშრეს, კელი რომ ჩაყოს ეწებოდეს და მერმე შეინახე და აჭამე.

მაჯუნი კამისა მკურნალე არის და კმელად მუცლის ტკივილსა უშველის. აიღე კამა ძირი გამკმარი, რად ერთი გინდეს წვრილად დასჭერი, მოიღე შავი ბოლოკი, დაფხიკე კამის ოდენი, სანელებელი ამათი მესამედი დანაყე წმიდად, ამა წამლები სამი ზომა თაფლი ქენი, აღუღე, მაჯუნად შექენი და როს მოგინდეს იკმარე. სამ სამს დილასა უზმოს შეაჭმევედი და სამს დაწოლის ჟამსა.

მაჯუნი სიქანგუბინისა არგებს სიკამისაგან ტყირპისა ტკივილსა, ქარსა და სტომაქისა ტკივილსა, გულზედა რომ დამყავებული იყოს მას უშველის, სტომაქზედა მაძღრად იყოს, სტომაქს საჭმელს მოაქარებს; თუ უზომან ჭამოს საჭმელს მოანდომებს. აიღე ხახვი, ოცდაათი თავი, ნახევარი ლიტრა ძმარშიდა მოადუღე, მერმე გაწურე, მოიღე კამის ძირი, ანისურის თესლი, მთის ტარხუნა არ იყოს შინაური, მინდორული ქონდარი არ იყოს შინაური, თვითოსაგან ხუთ ხუთი მიტყალი პილპილა, ნიახურის თესლი, ზირაქიძანი, თვითოსაგან რვა რვა მიტყალი, სტაფილოს თესლი, ცერეცოს თესლი, თვითოსაგან სამ სამი მიტყალი, (28r) ეს ყველა დანაყე, გასცერ, ნახევარი ლიტრა ძმარი სხვა დაასხი, სამი ლიტრა თაფლი და ის ძმარი ერთად აღუღე მანამდის, სანამდის ნახევრად მოიყრებოდეს, პერული მოკადე, მერმე ის წამლები შიგან გაურიე და დაწურე, სინამდის შესკედლებოდეს აღუღე, მერმე კოლოფითა შეინახე, შეიღსა დღესა ქერში ჩადგი, მერმე რად მოგინდეს უზმად ჭამდი, საჭმელს მოანდომებს, ჭამას უკან თუ ჭამოს საჭმელეულს მოაქარებს, სტომაქს ძალას მისცემს. ეს სიქანგუბინი შ(ა)რბათად ეწერა, მაგრამ მაჯუნად დაგვიწერია ჩვენ, სქელი არის და ურწყულად უნდა ჭამა.

მაჯუნი თვალმარგალიტისა. ხასიათი მისი მკურნალე არის. კაცი სტომაქში გრილად იყოს მას არგებს, საჭმელი არ შეერგებოდეს მას არგებს, ბაღლამსა და ზაფრასა არგებს, თიაქარსა და წელის ტკივილსა არგებს, კაცობას ძალს მოუმატებს. აიღე შაქრის ყინული ნუთი ნუკია, დოლბანდში გაახვიე, წყალში ჩასდევ, რომ გინდეს ორი უნკია და ნახევარი წყალი, იმდონი ვარდის წყალი ჩაასხი, წმიდას ...²⁶⁸ თანგირასა

²⁶⁸ არ იკითხება.

აღუღე მანამდის, სანამდის ნახევრად მოიყრებოდეს, მერმე გასწურე. მოიტანე ერთი (28v) მიტყალი იაგუნდი, მიტყალი და ნახევარი ლალი, ერთი მიტყალი ფეროზა, ორი მიტყალი ქარვა, ორი მიტყალი მარგალიტი, ყველა ერთად დანაყე, ასრე წმიდათა, რომ მეტი არ იყოს და გაცარი წმიდითა საცრითა. იმ გამოწურვილსა შარბათში ჩაჰყარე, აღუღე რომ შესქელდეს, მაჯუნად შეიქნას, ორი უნკია რევანდის წყალი გაურიე და სკლად მოადუღე, შესკვლებამდი ჯოხით ურევდი რომე გასწორდეს და შესკვლდეს, სამი ჯაოზი, ორი მიტყალი მიხაკი, ათი მიტყალი დარინინი, ხუთი მიტყალი ჩოფინინი. ეს წამლები დანაყე, გასცერი, იმ თვალმარგალიტში გაურიე, ერთი მიტყალი ზაფრანა დააღბე, იმისი წყალი ორი მიტყალი ვარდის წყალი ამა წამლებს უკან ჩაასხი.

მაჯუნი ნარინჯისა მკურნალე არის, კაცს მუცელი გაებეროს რამესა წამსა სჭამს გააქარვებს, ცუდათ კაცს სიგრილე ეცეს, მუცელი ასტივდეს იმისთვის კარგია, მავლის მუცლის ტკივილისათვის გახსნით იყოს და იყვანდეს იმისთვის კარგია. მოიღე ნარინჯი რამ ერთიც გინდეს ოთხად გასჭერი, გული სრულ გამოართვი და ტყავი წყალშია ჩასდევ, მესამე მეორე ²⁶⁹ დღეს წყალს უცვლიდი, მანამდის წყალში იდვას, სანამდის თეთრი ჯორცი (29r) ტყავს არ გაეყაროს, მერმე ამოიღე ის ტყავი, გაფხიკე, ასრე რომე თეთრი გული ყველა გააცალე, ყვითელზე დააყენე, მერმე მოიღე ის ქერქი, წერილად დასჭერ, ჩაჰყარე ერთს ტილოს ტომარაში და ასრე გასწურე, რომე წყალი აღარა ჰქონდეს ქერქსა, მერმე მოიტანე ტაფა ორი წონა ნარინჯი, უწყლო თაფლი ერთი წონა შედგი ცეცხლზედა და აღუღე ბევრის ცეცხლითა ნელითა, რომ არ დაიწვას და ნარინჯი და თაფლი გახინჯე, რა ერთიცა იყოს და სანელებელი ამდენი ერთი ჩაურთე, რომ შეეტყობოდეს შიგ მოადუღე სანელებელი, რახან გასველდეს გარდმოდგი და თბილზედა ცოტა შაქარი მოაყარე და ჭურჭელშია შეინახე, ეს მაჯუნი წლამდის გასძლებს.

მაჯუნი აფილონია. მაჯუნი ბედნიერი, მაჯუნი არის უშველის სურდოსა თავისასა და ყოველსა სატკივარსა ნებითა დ(მერ)თისათა. რამც ფერი კოლინჯი არის უშველის პირიდადმა, რომე სისხლსა ამოიღებდეს, სისხლზედ რომ იყვანდეს მასაც უშველის, დედაკაცსა მეტად წესი დაემართოს მასაც უშველის და ბევრის ჭამისაგან ნამყენად იყოს და იყვანდეს მასცა უშველის, ბუასირის ქარსა უშველის, კელი უთრთოდეს უშველის, სარასამცა უშველის, რომელი (29v) არს თავქედი. ტყირპის

²⁶⁹ ტექსტში სიტყვა „მეორე“ გამეორებულია 2-ჯერ.

ქარსა და ღვიძლი, რომ სივრცისაგან სტკიოდეს უშველის, ჭიპზედა რომე მეტად სწვერდეს გარდუგდებს, მარტვილს ყვერი უსივდეს, თიაქარსა უშველის. წამლები მისი: აიღე ბაზრუნბანჯი, რომელ არს მეღცოფის თესლი და თეთრი პირპილა, თითოსგან ოცი მიტყალი, აფიონი ათი მიტყალი, ზაფრანა ხუთი მიტყალი, ნიახურის თესლი სამი მიტყალი, სუბული ოთხი მიტყალი, სადაჯინდი აბულბალასინი და აყირუა, თვითოსგან თვითო მიტყალი, ფარფიონი ერთი მიტყალი, ეს წამლები ყველა დანაყე, ცალცაქე გასცერი და თაფლი მოადუღე. ამ წამლების სამი წონა პერული მოჭდილი და გაანელეთ და გაურიეთ. ეს წამლები დაზილეთ, ექესსა თვესა ქერში ჩადგით, მერმე ჭამსმისგან დიდმან კაცმან ერთი მიტყალი, ცოტამან ნახევარი მისგან, უმროსმან ერთი დანგი, მარტილმა ნახევარი დანგი, ყოლინჯისათვის კამის თესლი მოადუღე და მით შეასვი. ტყირპისათვის სიქანგუბინითა, ღვიძლისათვის ანისულითა, თირკმლის ტყივილისათვის, ბუშტის ტყივილისათვის კამის თესლითა, პირდაღმა, რომ სისხლს ამოიდებდ- (30r) ეს თუთუბოთი შეასვი. ვისაც მუცელი სტკიოდეს მარჯვენით ალაგსა იცვლიდეს. ტყივილისაგან თხილისაგან უმცროსი შეაჭამონ და ზედან სამი ყლანტი ცივი წყალი დალიოს.

სხვა მაჯუნი გასაკუნელი თურბითისა, რომელი ყოლინჯსა გახსნის, ტიბრსა სევდასა გაიღებს, რააც გარდა ხახსარი ასო სტკიოდეს მას არგებს, ფერდის ტყივილსა და ტყირპის ტყივილსა არგებს, რასაც ძარღვი სტკიოდეს მას არგებს. წამალი მისი: აიღე საყმუნია სამი მიტლი და ჯავზაბოა ყაყულა, ძირა, სანელეპელი, დარიჩინი, ყულფა ყარაფილი, შავი პილპილა ამათგან თვითო მიტყალი და ნახევარი თურბითი ოცი მიტყალი დანაყეთ, გაცარით და მეოთხედი თაფლი მოადუღე, პერული მოჭკადე და ეს წამლები გაცრილი შიგან გაურიეთ და დაზილეთ. ამისგან შეაჭამე სამ სამი მიტყალი და ორი დანგი, ასრე რომ ერთს დღეს იფარეზოს, მერმე დილეულად უზმად სჭამოს.

მაჯუნი იტრფიალისა. ესე მაჯუნი სადღეგრძელო მაჯუნი არის. არგებს თირღკემელთა ტყივილსა და ბუშტისასა, გააჭურვებს ტანსა კაც- (30v) ისასა და დააშვენებს ფერსა გაასწორებს შეზავებულობასა კაცისასა და შემატებს ზურგის წყალსა და მონაღომებს საჭამადსა და გასწმედს სტომოქსა და გაიღებს ქარსა და გა(ა)ქარვებს თუხმასა და უჟამოდ თმა წვეერსა არა გაათეთრებს. უთქვამს ძველთა მკურნალთა ვითა რად ვინ იხმაროს იტრფალი უმფროსი ესე ზამთრის უმცროსი ზაფხულისა და ამაზედ აბანოში შევიდოდეს და სიქანგუბინსა სვემდეს რად მოსწყურდეს,

რომე არ მო(ე)მატოს სხვა გუნება გუნებასა ზედა კარგა შეიქნას ყოვლისა საღმობისაგან და გაუგრძელდების მზე სიმრთელეზე და დარჩების მშვიდობით, ვიდრე სიკვდილამდე. მისი წამლები ეს არის: აიღე ყვითელი ალილა და შავი ალილა და ბალილა კურკისაგან გამოწმედილი და პილილა შავი ამათგან წონა ოცდაათისა დრამისა დარიფირფილი წონა ოცდახუთისა ზანჯაფილი და აბუზადანი და ჯავაზი, სიტრაჯი თუ არ იყოს ზირაქიანი სვინტრის ძირი ეს ყველა წონა ათ ათისა დრამისა ლეღვი და მუავე ბროწულისა გამკმარი მარცვალი, ქუჯინთი გაფცქენილი. ესენი ყველა წონა დრამისა ორმოც ორმოცისა ბამიანი თეთრი და ბამიანი წითელი (31r) ხუთის დრამის წონა შეკრიბენ. ესე წამალი დანაყენ და გაცერ წმიდად. ერთობით შესვარე ნუშის ზეთითა და ანუ ერბოთა პერულ მოხდილის თაფლითა შეზიღე, თაფლი რომ სჭარბობდეს და იკმარე, როდისაც გინდეს წონა დრამისა ორისა ნელთბილისა წყლითა გაღესე შეასვი სარგებელი ყოველთათვის, რომელიცა გვიკვსენებია ნებითა ღ(მერ)თისათა.

მაჯუნი გუარიშნისა შაქრისა, რომელი ერგების ქარსა წაკიდებულსა სტომაქსაშიან მონაღლებს, საჭმელსა და სასმელსა ზედან ჭამოს სარგებელი არის, მოადნობს და თრობასა არა მიუშეგებს თუ ღ(მერ)თსა უნდეს. აიღე სუმბული, ყარაფილი, დარიჩინი, ზაფრანა, სელის თესლი, ჯავაზი ამათგან წონა ოროლისა დრამისა პირპილა შავი, დარიფილფილი წონა ორისა დრამისა და ნახევრისა ზანჯაფილი წონა დრამისა ოთხისა, სუქთი მუშკისა წონა ნახევარ დრამისა ესე წამლები დანაყენ და გაცერ და შაქარი თეთრი ბაღდაღურისა ნიტრითა ორი ლიტრა, თავი რასა ჩასდევნი და დაასხი ზედან ვარდის წყალი და ადუღე. ცეცხლი თავი რემდის შესკვლდებოდეს მერმე უკმოდგი ცეცხლთაგან. ესე წამლები შიგან ჩაჰყარე და კარგათ ურიე რომე გაიქნას. მერმე საინზედა გაფინე და გაფინე და (31v) დაესენ სანამდისი გაკმებოდეს, მერმე უწინ საინსაცა და დანასაცა ზეთი სცხე, რომე არ დაეკრას და დანითა დასჭარი და ჭიქისა ჭურჭელშიდა ჩასდევნი და სინოტიესა აკრძალე ერგების ნებითა ღ(მერ)თისათა.

ნიშანი იტფალისა უმცროსისა ბუასირისა ქარისა, რომელ ერგების ქარსა ბუასირისასა და შეუღობს მუცელსა და გაჰკაზმავს სტომაქსა და დააშვენებს ფერსა და მოწამე არიან, რომელთა გამოუცდიან პირველთა მამათა რად სიბერისა ბუნებისაგან კაცსა გარე შეაქვს. ესე იტრფიალი სიჭაბუკისა ბუნებასა დაადგენს ეგების დედათა ყრმათა წერილთა, რომელთაგან ფერი მისრულ იყოს და შეაქცევს ფერსა ვითა პირველ

სიმრთელესა ყოფილა და შვენებასა ჳორცთა ნებითა ღ(მერ)თისათა. აიღე ალილა, კვერცხის გული და ბალილაჯი და ამლაჯი, ამათგანი სწორი სწორი წონით დანაყე და გაცარ, ნუშის ჳეთითა შესვარე და ამათგანისა ერთისა წამლისა წონა ჳქენ ნუშის ჳეთი და პერულ მოკდილი თაფლი შეზილე და ჳურჳელსა ჩასდვეი, როდესაცა გაჳმეს იჳმარე შეს ...²⁷⁰ მისგან თხილის ჳომა წყლითა თბილითა.

ნიშანი სუბულისა მაჯუნისა, რომელ ერგების ყოველსა ტკივი- (32r) ღსა, ტყირპისასა და ქართა, რომელი შეიძერიან მისგან ვინცა შეიტყობს ტკივილსა, რომელი შეექნას მარცხენით კერძო ყოველსა საღმობასა, რომელ დაეწყების ტყირპისაგან და გააძებს ქარსა სტომაქისაგან და ვის გასივებოდეს ტყირპი და ავსებოდეს მუცელი და დასწერილებოდეს ასოები და დამჳლობილ იყოს ტანი ერგების კარგათ. აიღე ჳაფრანა ხალასი ორი დრამის წონა და ნახევრისა და თესლი ნიახურისა და ჳარეუნდი მრგვალი, ამათგან წონა დრამისა ორისა და ნახევრისა და ვაშაქი წონა დრამისა სამისა და ნახევრისა ქუშტიბარი წონა დრამისა თოთხმეტისა და აკარკარა წონა დრამისა ათისა და სალიბა²⁷¹ წონა დრამისა ორისა და ნახევრისა სუმბული ტიბი წონა დრამისა სამისა შეკრიბენ ესე წამალნი დანაყე და გასცარ, ვარაყისა გარეშე ვაშაყი დააღბე ძმრითა პერულ მოკდილი თაფლისა ჩაურთე და მერმე ჩაურიენ ყოველნი წამალნი მას თაფლსა და ჳურჳელსა ჩასდვე, ჳმარებისა ჳამამდი და შესმა ამისგან წონა ორისა დანგისა და დიდის კაცისა ერთი მიტყალი.

სხვა მაჯუნი გასახსნელი, წამალი შექნა უსკუფისა, რომელი ერგების ბაღღამსა, რომელი წელთა შინა დამკვიდრებულ (32v) იყოს და ბუასირისა ქარსა და რომელ ფიცარნი სტკიოდენ, რომე შეკრვით ყოლინჯსა და სტომაქსა გასწმედს, ქარსა გაიღებს მუცლისაგან და ცოტას მუცელსა რაღცა სჭირდეს ყველას ერგების, ფერსა გაუკეთებს და რაღც სიხაშმე სჭირდეს მუცელშიგა ყველას ერგების ღ(მერ)თითა. აიღე საყმუნია და თურბითი ოთხ ოთხი მიტყალი პილპილა და კაკულა სამ სამი მიტყალი ჳანჯაფილი და კილამონი თითო მიტყალი და ნახევარი ბალილაჯი, ამილაჯი ორივე კურკისაგან დარჩეული ყარაფილი ჳავჳა ბორა ბაბასა ყოველასაგან თვითო მიტყალი და ნახევარი ყველა ცალცალკე დანაყე და გასცარი და ყველა ერთგან შეურიე, ნახევარი ღიტრა შაქარი დანაყე თხელთა საცარითა გასცერ და ყველა ერთად შეურიე და დასცრიმე

²⁷⁰ არ იკითხება.

²⁷¹ ტექსტშია „სალიბა“.

ველითა რომე შეერთდენ, მერმე თაფლი პერულ მოკლილი წმიდა დაასხი და ურივე და იგულე და თუ გასახსნელად აიღებდე ხუთის დრამის წონა აჭამე, ცოტა ღვინითა ირღვენ თუ სხვა გინდოდეს პურის ჭამისაგან წინადანა უკანა შეაჭამე. თვითოსა დრამისა წონა.

სხვა მაჯუნი ბისა, რომე უშველის კოლინჯსა. აიღე მასტაქი, ყარაფილი, ზანჯაფილი, პილპილა და ჯაოზი თითოსაგან ათი დრამი მჟავის ბროწეულის წყალი და მის (33r) ოდენი თაფლი, ორივე გაურივე ადულე მანამდის ნახევარი დარჩეს, მერმე ეს წამლები დანაყე გაცარ ...²⁷² მაგ თაფლშიგან გაურივე და კარგად შეხილე და მიეც რადც შეეძლოს და თუ გინდოდეს რომე გახსნას ყოლინჯი მაგ წამლებისაგან ათი დრამი საყმუნია გაურივე და ეგრე მიეც.

სხვა მაჯუნი რომე გახსნილი მუცელი შეპკრას და უშველოს სტომაქსა, რომე გასუსტებული იყოს და საჭმელი არწყოს და საჭმელი ვერ მოიღნოს, კაცსა ფერიცა მოუმატოს. აიღე გაფცქუნილი კურკა გამოდებული ქოთანშიგან ჩაყარე ზედ ძალიანი ღვინო დაასხი ადულე ვირემდის დადნეს და მერმე აიღე შეწურე, მერმე ბია სანელებელშიგა წმიდად დანაყე და მაგისოდენი თაფლი გაურივე და ცეცხლზე დადევ. და ცოტა ადულე და მერმე აიღე პილპილა, დარიფილფილი და ზანჯაფილი თითოსგან ხუთი დრამი ბარამბო რვა დრამი, ყაყულა და ყარაფილი, დარიჩინი და ზაფრანა თვითოსგან ორი დრამი, ყველა დანაყე გაცერ და მაგ თაფლიანს ბიაშიან გაურივე და შეხილე ნახევარი დრამი მუშკი დანაყე და ამოყარე, ჭურჭელში შეინახე რად მოგინდეს მიეც სამი დრამი, ზედ თბილი წყალი შეასვი.

(33v) **ესე მაჯუნი შაქრისა არგებს სტომაქში უნდომად და სუსტად რომ იყოს კარგად მოუხდების, სტომაქს ძალს მისცემს, სიცხეს მოუკდების, წყურვილს დააწყნარებს, კაცი რომე ოფლისაგან დასუსტებული იყოს იმას მოუკდების.** აიღე კმელი ვარდის ფურცელი თორმეტი დრამი, ძირტკბილა თორმეტი დრამი, დარიჩინი სამი დრამი, ყარაფილი, ზანჯაფი, სულინჯალი, სუმბული, ჯაოზი, კაკულა, ნიახურის თესლი, ამათგან თვითოსგან ნახევარი დრამი ესენი დანაყე და გაცერ ოცდათხუთმეტი დრამი შაქარი მოადულე რომ წყალში შემრეს და კოვხითა ამოიღე და წვეთე აურივე რომ შესკელდეს, კოლოფშიან შეინახე, რად მოგინდეს იკმარე.

²⁷² არ იკითხება.

სხვა ნიშანი ვარდის ჯუღაბისა, რომე რქვია ვარდ მარაბა. აილე წითელი ვარდი, გაწმიდე და რადც ფურცელი ვარდის წვერსა თეთრი იყოს მოსწვევითე და აილე მაგ ვარდისაგან ერთი ლიტრა და აილე წმიდა თაფლი ერთი ლიტრა და ვარდი ჩაყარე წმიდა ჭურჭელშიგა კელითა კარგა შეხილე და გაერთდეს მერმე შეინახე ორმოც დღეს ქერში ჩასდგი და მას უკან (34r) მეოთხეს დღეს ასვემდი. სიგრილისაგან კმელად კველა კაცს შეეყაროს დასჭირდეს, ანაზად შეეყაროს ზანჯაფილი ფარვანა და მაჯუნი ჭამოს და არგებს. **გულყანდისა გაკეთება ასრე უნდა:** მოიტანე ვარდი რაზომიცა გინდა, დანაყე, დამწე და მოიდე შაქარი. თუ მაგდონი შაქარი არ იყოს ორი წილი ქენი, შაქარს ცოტა წყალი დაასხი და ცეცხლზედ დადგი და აღუდე, ქაფი მოკადე და მერმე დანაყილი ვარდი იმავე აღუდებულსა შაქარში ჩაყარე და კარგათ გატყლიასე და აურივე, პირფართოს თვეშიდა დასდე. თუ გასძლებლად გინდოდეს ორმოცს დღეში მზეში გადგი და თუ მაშინვე სახმარებლად გინდოდეს იხმარე, რად მოგინდეს აჭამე და თუ შაქარი ვერ იშოვნო და თაფლითა გინდოდეს რა რიგათაც შაქრით სწერია, ისევე თაფლითა ქენით, ბაღლამსა არგებს. **ავი სისხლი კაცსა ტანშიდა ჰქონდეს იმას დაფანტავს. კაცი რომ გაყვითლდეს თვალიპირი და ტანი იმას არგებს, კაცს გული უძგერდეს იმას არგებს, კველა სურდოსათვისცა კარგია, დილაობას ჭამა სჯობს და როდისაც მოგინდეს, მომცრო სჭამო თუ ბეერი (34v) არა იცის რა თეთრი ვარდისას იქ გახსნის.** ეს იცოდი პირველი მკურნალნი შაქრის ალაგს თაფლს კმარობდენ, ესრეთი გვარი იქნების ქვეყანას ნოტიოთა ერგების გვამთა, ესე დიდსა კარაბადინშიდა სწერია ვარდისა შარბათშიდან. თაფლი შაქრისაგან უფრო მკურნალია უკმე არის. მისი ხასიათი ეს არის, რომე კაცი დანაყილი იყოს ანუ ცხენიდაღმა ჩამოვარდნილი, ანუ მალღიღამა ჩამოვარდნილი იყოს ანუ ცემისაგან კიდეც სჭამოს და კიდეც შეიცხოს მას უშველის. **კაცი რომ ბერი იყოს და მსუქანი ჭამოს, კარგა მოუხდების, მაგრამ ღვიძლს აწყენს, ზედან თურინჯისა ანუ ბროწეულისა წვენი შესვას არსაწყენს.**

აქიმბაშას მაჯუნი ეს არის: მოიტანე წითელი სანდალი, წმინდად დანაყე ყვითელი ზაფრანა ამათგან უმცროსი, კმელი ია და დარიჩინი. ესენი წმინდად დანაყე, გაცერი, შაქარი და ცოტა ვარდის წყალი გაურივე და მოადუდე, მერმე ეს წამლები შიგ ჩაყარე, კარგად აურიე და რად შესველდეს უკმოიდე. წამლები რაზომიცა გინდეს შეასწორე და ისრე ქენი, კაცი რომ მაძღრად იყოს, საჭმელი ვერ მოინელოს დილას ჭამოს, საჭმელი მოანელოს, კიდეც მოანდომებს.

კარი შარბათებისა. შარბათი იისა გრილი და რბილი არგებს ვარამი ღვიძლშიან იყოს მას გაიდებს. ავე- (35r) ლებდეს, აცხელებდეს, აქშენდეს მას უშველის, გულის პირი სტკიოდეს მას უშველის, ღვიძლსა სატკივირდადმა გამოიყვანს, მუცელს შეუღობს. აილე ია, ნედლი იყოს თუ კმელი, ღერისაგან დარჩეული და ბიის გული ათი დრამი ან ხუთი, სამეი არაბი ხუთი დრამი, ტუხტის თესლი ათი დრამი. ეს წამლები ნახევარზედა დააყენე, სამს ლიტრას წყალშივა დაალბე ერთსა დღესა და ღამესა უძრავად, მერმე მოადუღე ასრე, რომე ნახევრად მოიყაროს შეწურე და წ(ა)მლები შეტყლიჟე და გარდაყარე. მას უკან ნახევარი ლიტრა შაქარი გაურიეთ, აღუღეთ წყნარად და შესქელებამდი ჩაასხი ჭიქასა რად მოგინდეს შესმა თხუთმეტისა დრამისა წონა ქერის წყლითა იის შარბათისა უწამლოდ ამავე შარბათისა ხასიათი ამა შარბათსა აქეს როგორაც იმას აქეს ისრე ამას აილე ერთი ლიტრა ია დარჩეული მისის ღერისაგან და ჩასდევნი ჭურჭელსა, დაასხი წყალი მდუღარე, დაბურე სარქველი, იყოს ერთსა დღესა და ღამესა უძრავად, მერმე აილე ხუთი ლიტრა ბაღდადურითა და თუ გინდოდეს ათი, რაზომიცა უმცრო იყოს შაქარი და ეგდენიცა და უძლიერე იყოს. (35v) თეთრი შაქარი ვითა ნიშანი მიგვიცემია და²⁷³ ჩასდვით ჭურჭელთა წმიდათ.

ვარდის შარბათისა ხასიათი. არგებს სიმკურვალესა ღვიძლისასა, სტომაქის, თავის ტკივილსა, რომე ზაფრისაგან და სისხლისაგან იყოს ორსავე უშველის. აილე ვარდი წითელი, გამორჩეული, მისის კურკისაგან, თესლისაგან ოთხი ლიტრა და ახალსა ქოთანსა ჩასდევნი, დაასხი ზედა მდუღარე წყალი რომ დაფაროს და იყოს ერთსა დღესა და ღამესა, მერმე წასწურე. მ(ა)ისის ვარდისაგან აილე შაქარი ხუთი ლიტრა და თანგირასა ჩასდევ, რომე ვარდისაგან წაგეწუროს, შეუგზე წყნარად ცეცხლი და აღუღე ვიდრემდის შესკელდებოდეს და იკმარე.

შარბათი ლულუფარისა გრილია და რბილი ხასიათი მისი, რომე კაცსა თავი სტკიოდეს მას უშველის ღ(მერ)თითა. ღვინო ნაწყენსა კაცსა უშველის და კველისათვის კარგია, შიგნით რომ მჯდომი აჯდეს მას არგებს, რადც სტომაქსა შინა მანკი არის ყველას გამოიღებს. ზაფრისა და კურგებისათვისაც კარგია. და ფირტვის ტკი(ვი)ლსა არგებს და წყურ(ვი)ლსა დააწყნარებს. აილე ლულუფარისა ფურცელი და შუაშიგან რომ ყვითელი გული აქეს ის არ ვარგა, გამოსჭერი, გადააგდე ასი მიტყალი, ოთხასითა მიტყლითა წყალითა აღუღე სანამდის (36r) ნახევრად

²⁷³ ტექსტში „და“ ორჯერაა გამეორებული.

მოიყვებოდეს მერმე წასწურე, იმ წვენის ნახევრის ოდენი შაქარი გაურიე და ადუღე ვირემდის შესკედებოდეს ვითა თხელი თაფლი შეინახე ჭურჭელშიდა და ანუ ქაშანურშიდა. თუ მარტო ლულუფარისა შესვემდე შეიდი მიტყალი და თუ სხვა შარბათიანი წაურიო ორი მიტყალი ქენი, ლულუფარის ხასიათი ეს არის რადც შარბათია ტკბილია ზაფრად შეიქნების და ლულუფარი ზაფრას არ გაუშვებს და არც ზაფრად შეიქნების ეს ლულუფარი.

ისრიმის შარბათის ხასიათი. მოიღე ისრიმი, გამოწურე, დადგი სანამდის დაწმდეს, აიღე მისგან ათი ლიტრა შაქარი, ხუთი ჩაურთე თანა ცოტა ზაფრანა და ცოტა ყარაფილი, შეჰკარ თხელითა მწურითა და შიან ჩასდევ და ვირემ შესკედებოდეს ადუღე ვითა ჯულაბი და ჭურჭელსა ჩაასხი და იკმარე სნებისათვის სარგებელ არის ღ(მერ)თითა. ეს შარბათი გრილია და კმელი, ხასიათი მისი არგებს რწყევასა, ყვანასა და ზაფრასა, ვის არ ადგებოდეს არც სასმელი და არც საჭმელი, კსნილობა იყოსა მის მუცელშიგა და გარდაწყვედს წყურვილსა ...²⁷⁴ ღ(მერ)თითა.

შარბათი ბროწეულისა. კასიათი ესე შარბათი სწორი არის, ესე ერგების ცხროთა, თავის ტკივილთა, ფიცხელთა შემთხუეულსა, კვერცხის გულისა, ნაფლისასა (36v) სისხლისაგან და გარდასწყვედს წყურვილსა და დაალობს მუცელსა ნებითა ღ(მერ)თისათა. აიღე ბროწეული ტკბილი, დარჩეული, მისის გამოწურვილი ქერქისაგან გამოწურე მისი წვენი ხუთი ლიტრა და მჟავე ბროწეულისა წვენი ორი ლიტრა, აიღე შაქარი ხუთი ლიტრა, ქოთანსა ჩასდევი ახალსა, დაასხი ბროწეულისა წყალი, რომე ნიშანი მოგვიცემია და ადუღე, პერული მოკადე ვირე შესკედ(ე)ს ვითა ჯულაბი, უკმოდგი და ურიე, რომე გასწორდეს და შეინახე და იკმარე.

შარბათი ვაშლისა, რადგანა ხასიათი მისი, ვინ მუცელსა შიგან აგზნებულისა მსგავს იყოს და რწყევასა დიდსა დაამებს, სტომაქსა ერგების. ყმაწვილსა რომე სტომაქი გარყვნოდეს, სტომაქი და კსნილობა იყოს და წყურვილი სარგებელი არის ნებითა ღ(მერ)თისათა. აიღე ვაშლი მჟავე და მწიფე და ვაშლი ტკბილი, გული გამოართვი და დანაყე, გამოწურე და დადგი, რომე დაწმდეს, მერმე გაწურე, აიღე მისი წყსლი, რად ერთიც გინდეს, ადუღე, რომე შესკედდეს ვითა ყურძნისა რუბი და ზოგი ჩაურთვენ შაქარსა იმ წვენის ოდენსა და შეინახე ჭიქისა ჭურჭელს შიდა, რად მოგინდეს იკმარე, ერგების.

²⁷⁴ არ იკითხება.

შარბათი ბიისა ხასიათი მისი ერგების სტომაქსა დაფოლკუებულსა, სტომაქისა სიმზურგაღესა ვინცა ჩიოდეს, მამანი ყრმანი, შუკრაეს მუცელსა, დაა(ა)მებს სტომაქსა. (37r) აიღე ბია, რაზომიცა გინდა გული გამოარჩიე და მერმე დაჭარ წერილად დანაყე და გამოწურე და აღუღე სანამდის შესკელდებოდეს, ამისი საყოფი შაქარი ჩაყარე.

თეთრი სანდლისა შარბათი და ხასიათი მისი გრილი არის და რბილი ღვიძლისათვის კარგია, გულის ძვერისათვის კარგია. მოიღე სამოცი დრამი სანდალი დაფხიკე, დაქლიბე და პარკში ჩაყარე, ორი წილი წყალი ქენი და ერთი წილი ძმარი. დაალბე ერთსა დღესა და ერთსა ღამესა, მერმე აღუღე, რომე ნახევრად მოიყაროს, მერმე ისი სანდალი დაჭკლიტე, მერმე რაზომიცა წყალი იყოს იმოდენი შაქარი ჩაყარე, მოადუღე და უკმოღვი შესვი.

შარბათი ურნაბისა. ხასიათი მისი ერგების ტკივილსა ფირტვისასა და ჭველასა არგებს სისხლი სჭარბობდეს, მას არგებს გვერდის ტკივილსა. აიღე ურნაბი სამოცი მიტყალი კურკა გამოღებული ოცდათხუთმეტი მიტყალი იის ძირი ნახევარზედა მოიყაროს, მერმე წამლები გამოჭკლიტე და დააყარე წამლის წონა შაქარი და შესკელეზამდის აღუღე და რად მოგინდეს იკმარე.

მუშკის შარბათის ხასიათი არგებს სტომაქისა ტკივილსა და რადც ასო სტკიოდეს, გარდა სახსარი, ძარღვებისა ტკივილსა დაამრთელებს და არგებს. აიღე (37v) ერთი ლიტრა შაქარი, ორი ლიტრა წყალი დაასხი, აღუღე სანამდის შესკელდებოდეს, პერული მოჭადე და რად შესკელდეს უკმოღვი ერთი დანგი მუშკი და ერთის დანგის ნახევარი ამბარი და ორი დანგი ზაფრანა ეს დანაყე წმიდად და ამა შესკელეზულსა შარბათსა შინ გაურივე და ორივე რომ გასწორდეს ორს მუტყალს ცივს წყალშიდა გაღესევედი და უზმად შეასმითთ ამა შარბათსა.

შარბათი შავისი დიდისა მსხვილისა მჟოლისა და ხასიათი მისი.

ხასიათი მისი ერგების ტკივილსა ყიისასა, სიმსიენესა მისსა და ხუნაგსა მარჩობელსა, სარგებელი არის ნებთა ღ(მერ)თისათა. აიღე მჟოლა შავი მსხვილი და მწიფე, გამოწურე და მისგან ათი ლიტრა და წმინდის ქოთანში ჩაასხი, ჩაურივე სამი ლიტრა თაფლი პერულ მოკდილი და ჩაურთე სამის დრამის წონა ნიშადური, ხუთი დრამი თუთუბო, დანაყე ეს ყველანი, გასცერ და შეურივე, დაგბე ცეცხლითა წყნარად რომ შესკელდეს და ჭურჭელშიდ ჩაასხი და ოდეს მოგინდეს იკმარე. აიღე მისგან ხუთ ხუთისა დრამისა წონა და დარღარა ჰქენითა, მრავალჯერ გამოცდილია ღ(მერ)თითა.

(38r) შარბათი მჟავანასი გრილია და კმელი. ხასიათი მისი: საფრისაგან კაცი რომ არწყევდეს მას უშველის, სტომაქსა ძალსა მისცემს, ზაფრასა და სისხლსა დააწყნარებს, გულის ძალსა მისცემს. თავსა ბრუ ესმოდეს უშველის, სისუსტეს უშველის. აიღე ნედლი მჟავანას ფურცელი, წვრილად დასჭერ და ნახევარზედა დანაყე რასდენიცა იყოს მისი ორი ზომა წყალი ...²⁷⁵ და აღუღე, რომე ნახევრად მოიყაროს, მერმე გამოწურე, მისი წონა შაქარი გაურიე, აღუღე, პერული მოკადე, სანამდი თაფლივითა შესკელდეს და მისგან შესმა ცივითა წყლითა ერთითა მიტყალითა.

ხაშხაშისა შარაბისა ხასიათი. არგებს კაცსა, რომე აკველებდეს და ნახლსა, და სურდოსა უშველის თავისასა, რომე თავიდადმა ფირტვსა შინა ჩამოვიდოდეს და აკველებდეს და სისხლს ამოიღებდეს. მისი წამალი დაიჭირე, ასი თავი ხაშხაში რომე ხეხედანვე ესხას და ნახევარი ზედა გამხმარი იყოს ის მოკრიფე, ნახევარზედა დააყენე მერმე ის ორს დღესა და ორს ღამესა წვიმის წყალში დააღბე ანუ წყაროს წყალში დააღბე და თუ არ (38v) დაღბეს ერთს დღეს და ღამეს კიდევ ალბე და აღუღე რად ნახევრად მოიყაროს მერმე გაწურე, ორის ლიტრისა წყლის თავზედა ოცდაათი უნკია თაფლი და ისე ბადაგი გაურიე, აღუღე ასრე რომე შესკელდეს და აიღე ზაფრანა, ფარფარად თითო დრამი ამის წვენშიგა გაურიე, ამისგან უზომან სვას თაფლის წყლითა ბადაგი ასრე უნდა სამი ლიტრა ერთ ლიტრად უნდა მოიყაროს.

ამუ შარბათებს მათი თარგმანი ყველას თან უწერია, გაჩენით თავ თავისა და გუნება მახვილთა გონიერთა და ბრძენთა კაცთაგან აღვილი მისახთიშია თუ ღ(მერ)თსა უნდეს.

შარბათი, რომე წყურვილი დააწყნაროს. აიღე მჟავისა ბროწეულისა წვენი, ტყემლისა, საზამთროსა წვენი, ნარინჯისა და ისრიმის, ყველა სწორ სწორი, ამდენი შაქარი გაურიე, რომ სიმჟავე გასტეხოს, ამისგან აღუღე რომე შესკელდეს ამისგან სმა ხუთი მიტ(ყ)ალი.

შარბათი ბროწეულისა სიქანგუბინისა, რომელ არს და უშველის ერთობ ცხელებასა, პირის სიმკურვალესა, ზაფრასა და სისხლსა დააწყნარებს და ყოველსა სენსა არგებს, რომე სიმკურვალით სჭირდეს ყველას უშველის. აიღე ბროწეული მჟავე, გასტეხე, მარცვალი შეაყრევინე, დანასა ნუ მიახლებ, მერმე კვლითა კარგათ შეხილე, სამოსლითა წმიდათ გაწურე (39r) კარგად მერმე აიღე მავ ბროწეულისა წყლისაგან ორას ორმოცდაათი დრამი ჭურჭელშიდა ჩაასხი, ერთი ლიტრა შაქარი გაურიე და ძმარი

²⁷⁵ არ იკითხება.

ოცდაათი დრამი და აღუღე ნელად, მერმე აღუღებაში და ვარდის წყალი დაასხი ექვსი დრამი, ქაფი მოჰკადე რად შესკელდეს გააცივე, ჭიქაშიდ შეინახე რად მოგინდეს იკმარე ათი დრამი თუ შეეძლოს ოცი დრამი, ცივითა წყლითა.

შარბათი კოწახურისა, რომელი უშველის ღვიძლსა, რომე სიმკურვალისგან სტკიოდეს და კველასა, რომე ღვიძლისგან იყოს ტკივილი და ყოველსა ფერსა სენსა რომე ღვიძლისგან იყოს, და სტომაქი რომე გაცხელებული იყოს წყურვილსა უშველის. აიღე კოწახური, კელითა დაწურე, მერმე სამოსელსა გაწურე და დასდგი, რომე დაწმდეს. მერმე კოწახურისა წყლისაგან ორასი დრამი და გაურიე კარგი ძმარი ოცდაათი დრამი და ერთი ლიტრა შაქარი და წმიდასა ტაფასა აღუღე, ქაფი კადე და ცოტა ვარდის წყალი დაასხი ექვსი დრამი და მანამდი აღუღე, გასკელდეს და რად მოგინდეს მიეც ათი დრამი, თუ შეეძლოს ოცი დრამი, ორი წილი წყალი გაურიე და შეასვი.

შარბათი ქლიავისა უშველის ერთობ ცხელებასა, გუნებასა შეარბილებს, წყურვილსა დააწყნარებს. აიღე შავი აყიროს თესლი თუ თე- (39v) ორი მწიფე ქლიავი რადზომიცა გინდეს კურკა გამოღებული და წმიდასა ქოთანშიდა ჩაყარე წყალი დაასხი, რომე ქლიავი აღარა ჩანდეს ცეცხლზედა მიაღგი ერთი აღუღე, მერმე უკმოდგი და კარგათ გაწურე სამოსლითა და ეგ წყალი ჭურჭელშიდა ჩაასხი და აღუღე რომე ოთხის წილისაგან ერთი დარჩეს, კიდევ გაწურე, ჭურჭელშიდა ჩაასხი, რად მოგინდეს სნეულსა მიეც მისითა წესითა.

შარბათი თეთრის ხაშხაშისა უშველის სევდასა, მილახულასა, ვარამისასა, ნამეტნავად კველასა რომე სისხლსა ამოატანდეს, სუსტად იყოს ძალსა მოუმატებს, სნეულსა უძილობა სჭირდეს ძილსა მოგერის, რწყევას დააწყნარებს, სნეული რომე ფერად ფერადსა სიზმარსა ნახვიდეს მას უშველის, ფერდისა ტკივილსა, რომე სილი ჰქვიან მას უშველის. აიღე თეთრი ხაშხაში ნახევარი ლიტრა, ნახევარი დანაყილი ორითა ლიტრითა წყალითა მოაღუღე, სანამდის მესამედად მოვიდოდეს, მერმე გაწურე და ნახევარი ლიტრა შაქარი გაურიე და აღუღე სანამდის შესკელდებოდეს ქაფი მორათვი, შეინახე რად მოგინდეს იხმარე ათი მიტყალი ცივითა წყლითა მიეც უზმოთ.

შარბათი ქერისა. კველა სიმკურვალისაგან სჭირდეს უშველის, სიმკურვალისა ნაზლასა უშველის, თავი სიმკ- (40r) ურვალითა სტკიოდეს, სურდუს, კველასა, ცხელებასა და სიცხესა აშფოთებულსა, ზაფრასა დააწყნარებს, ნამეტნავი წყურვილი იყოს მას დააწყნარებს და პირი რომ

უშრებოდეს მას უშველის. აიღე დანაყილი ქერქი შემშრალი ქერის ათი უნკია და ზედა ორი ლიტრა წყალი დაასხი და ადუღე, რომე ის წყალი შეაშრეს, მერმე გამოწურე ლიტრა ნახევარი წყალი სხვა დაასხი იმ ქერსა ერთი უნკია მწყაუი ნახევარი უნკია ასლის სუსუ, ნახევარი უნკია კმელი ია, ორმოცი მარცვალი ფშატი, ავშნარსა რქვიან პურს გამოერევის, ერთი მიტყალი მრავალდარღვა ჩაყარე იმა წყალში და მანამდის ადუღე, სანამდის დადნეს ის წამლები მერმე გამოწურე და წმინდის ჭურჭელშია ჩაასხი ოცი დრამი შაქარი გაურიე და რად მოგინდეს ყოველთა დღეთა ცივითა წყლითა გააღესევი და სვემდი.

ტყემლის შარბათის ხასიათი. არგებს ზაფრასა ნამეტნავსა სიმჭურვალესა და ცხელებასა, დვიძლისასა, ნაველისასა, მეტსა სისხლსა დააწყნარებს. აიღე ტყემალი მწიფე, შვიდი ლიტრა, ათსა ლიტრასა წყალსა შიდა მოადუღე, ასრე რომე ტყემალი დადნეს და მერმე წყალი გამოწურე და ათი უნკია შაქარი გაურიე, (40v) ადუღე, რომ შესკელდეს თვითო სმა შვიდ შვიდი მიტყალი ცივითა წყლითა.

შარბათი (სიქ)ანგუბინისა თაფლისა არის, არგებს ღოყვასა, ფილენჯსა, რაბასა შიხუნსა, რომე ათროლებდეს, აცივებდეს, ზამთრის სიცივესა დია ეწყინოს. აიღე თაფლი ერთი ლიტრა სამითა ლიტრითა წყლითა ადუღე ქაფი მოკადე ამღონი ადუღე, რომე ერთ ლიტრად მოიყაროს, მერმე ერთი დრამი ზაფრანა და ერთი დრამი ყარაფილი მიტყალ ნახევარი სუმბული ნახევარზედა დააყენე და შიგან გაურიე ეს დანაყილი წამლები. კიდევ ადუღე რომე შესკელდეს თვითოსაგან ოროლი უნკია.

ნიშანი ხაშხაშისა შარბათისა, არგებს სურდოსა. აიღე ხაშხაშისა თესლი სამოცი დრამი ოთხსა ლიტრასა წყალსა შიგან დააღბე, ერთსა დღესა და ღამესა და მერმე ამოიღე ხაშხაშისა თესლი, ნახევარზედა დააყენე, ამასვე წყალშიდან მოადუღე სადამდისი რომე ნახევარზედა მოიყაროს და მერმე კელითა დატყელიე, და დაწურე, მერმე ერთი ლიტრა შაქარი გაურიე მანამდის, რომე გასკელდეს, კოლოფშიგან შეინახე, რად მოგინდეს იკმარე, მარგე არის ნებითა ღ(მერ)თისათა.

ნიშანი ზუფის შარბათისა სურდოსათვის, მკერდსა (41r) კველისაგან გამოსწმედს. აიღე ურნაბი მარცვალი, მწყავი ორმოცდაათი მარცვალი უკურკო, ჩამიჩი ათი დრამი, კმელი. ლეღვი ათი მარცვალი, სოსანის ძირი ნახევარზედა დანაყილი, ათი დრამი ქერის კორკოტი, ცალი პეშვი თეთრის ხაშხაშის თესლი, შვიდი დრამი ჯათმის თესლი და ქათირა ხუთი დრამი, კომშის გული ხუთი დრამი გაზრდილი ია ერთი დანგი. ეს ყველა ორს ლიტრას წყალშიგან მოადუღე, რომე ერთს ლიტრაზედან მოიყაროს, მერმე

დაწურე, რად მოგინდეს ამა წყლისაგან ყოველთა დილათა ორმოცსა დრამსა გაათობდი და შესვემდი. ასრე რომე ხუთსა დრამსა გაზრდილსა იასა აურევედი და სამი დრამი ნუშის ზეთი გაურიე და შეასვი, რად მოიხარშოს სენი, მაშინ უნდა შეასვა ხაშხაშის შარბათი.

ურნაბის შარბათისა ხასიათი არგებს კველასა, ტყირპის ტკივილსა, სევდასა გაიღებს, ფირტვის ტკივილსა არგებს და სისხლსა დააწყნარებს. გაზრდილი ია ამას ქვია, რომე შაქრის წყალშია კმელი ია ჩაყარე, ცეცხლისპირსა დასდგი ბევრსა ხანს, მერმე გამოწურე, მერმე გაურიე იმ ზუფის შარბათშიან. აიღე ურნაბი გულგამორთმეული ასი დრამი, ჩამიხი გულ გამორთმე- (41v) ული ორმოცდაათი, იის ძირი ნახევარზედა დანაყილი ოცი დრამი, ხიაშამბრის გული ორმოცი დრამი, ამა წამალსა ზედა სამი ლიტრა წყალი დაასხი და აღუღე, ვირემ ნახევრად მოიყრებოდეს მერმე დატყლიასე და გამოწურე, და ამა წვენისა წონა შაქარი გაურივე და აღუღე, ვირემ შესკელდეს, პერული მოკადე და რაჟამსაც გინდეს მიეც და შეასვი შვიდი მიტყალი უზმოსა ცივითა წყლითა. დიდსა კაცსა შვიდი მიტყალი, უზმათ, ცივითა წყლითა. ცოტასა კაცსა ხუთი მიტყალი, ყმაწვილს სამი, ამა შარბათსა ოთხს წლამდის ხასიათი აქეს იცოდი.

შარბათი ყელის ტკივილისა, ხუნაყისათვის. აიღე მუავე კართუთა, გაქენ, მისი წვენი გამოწურე და აიღე მისგან ნახევარი ლიტრა წვენი, ასი დრამი ღვინო, ორმოცდაათი დრამი თაფლი, მისგან გაურიე, ყველა ერთად აღუღე, ქაფი მოკადე და შეასველე, მერმე აიღე მური და აყაყია ორი დრამი, ზაფრანა, პილპილა თვითო დრამი, გუნდა, მუყელისა თესლი დრამ ნახევარი. ყველა დანაყე წმინდად, გასცარ და ამა შარბათშიან გაურივე, ჭურჭელშიან შეინახე და რად მოგინდეს მიეც და იღარღაროს.

შარბათი სანდლისა. ხასიათი მისი. რადცა სენია მკ- (42r) ურგალე ყველასათვის კარგია. გაფხიკე თეთრი სანდალი სამოცი დრამი, სამს ლიტრას წყალშიდან ჩაყარე, ერთსა დღესა და ღამესა სანდალი ჩაქვიდან ჩაყარე და აგრე დააღბე. მერმე აღუღე, რომე ორი წილი დალიოს და მესამედი დარჩეს, მერმე სანდალი შეტყლიე და ამოიღე და იმ წვენის წონა შაქარი გაურივე, აღუღე ნელად შესკელდებამდის, მერმე უკმოღვი, ურიე უკედ გასწორდების. მისგან შესმა დიდის კაცისაგან შვიდი მიტყალი და ცოტასაგან ხუთი მიტყალი, ყმაწვილისა სამი, უზმად ცივისა წყლითა, ყოველის სიმკურგალისა სენისათვის კარგია.

შარბათი სხლისა, ხასიათი მისი ერგების რომე ზაფრისაგან გული ეშლებოდეს და წყურვილსა გარდაუგდებს. მისი შექნა სხლისა და

ვაშლისა, და მჟავე ბროწეულისა წვენი, ისრიმის წვენი, ლიცვისა წვენი, სწორ სწორი ქენ, აიღე თუთუბო, მოადუღე. ამ ყველას წვენის ოდენი კოწახურის წვენი, ბროწეულის წვენის ოდენი გაურივე და ერთი დღე და ღამე დასდგი. რომე დაწმდეს დილასა დაწურე და ამ ყველას ოდენი შაქარი გაურივე, აღუღე (42v) და ქაფი მოკადე, ვიდრემდის შესკეღებოდეს. მერმე უკმოღვი და ურთე, მისგან შესმა უზმათა ცივითა წყლითა. დიდის კაცისათვის შეიდი მიტყალი და ცოტასა ხუთი, ყმაწვილსა სამი, ქოთანში უნდა შექნა, სპილენძი გაამწარებს, ამა შარბათსა ოთხს წლამდის ხასიათი აქეს.

შარბათი პიტნისა, მისი ხასიათი. სტომაქს ძალს მისცემს გულის რევასა და რწყევასა ორსავე დააწყნარებს, გრილი არის, სნებიანსა ესმის. აიღე ტკბილი ბროწეული და მჟავე ბროწეული, გამოწურე და დადგი ერთს დღესა და ღამესა დაწმდეს. მერმე პიტნა მოადუღე, ბროწეულის წვენის ნახევარი, ქერი შიგ გაურივე, ერთი პირი აღუღე, მერმე პიტნის წვენი ნახევარის ოდენი შაქარი გაურივე, აღუღე ნელად, სანამდის შესკეღებოდეს, პერული მოკადე, უკმოღვი, ურივე, გამოწურე, მისგან უზმად შეიდი მიტყალი დიდსა კაცსა, მომცროს ხუთი, ყმაწვილს სამი, ამა შარბათსა ოთხ წლამდის ხასიათი აქეს, ამას ჯალინოზი იტყვის.

შარბათი ჯულაბისა არგებს ცხელებასა, გული რომე სიმკურავალისაგან უბკერდეს, კველასა უშველის, გულის პირსა დააღბობს. აიღე თეთრი შაქარი ნახევარი ლიტრა, სამი ლიტრა²⁷⁶ წყალი მოადუღე მანამდის (43r) რომე შესკეღდეს, ქაფი მოკადე, მერმე სამი უნკია²⁷⁷ ვარდის წყალი გაურივე, ჭურჭელში ჩაასხი. თვითო სმა ათ ათი დრამი ცივითა წყლითა.

ყურძნის რუბი არგებს ...²⁷⁸ ტკივილსა. სხვას წამალში გაურიოს იღარღაროს, რომელი ერგებიან ყიასა მარტოსაცა იღარღარებდეს, მრთელისათვის იკმარების და თაფლწყალისა ადგილისა შესმისა მისგან დიფთა (!) ცხროთათვის და თელგმის, უფალთა ერგების, ოდეს შეიქნას წყურვილი დაუწყნარებს. აიღე ყურძნის გამოწურვილი ტკბილი რაზომიცა გინდეს, ჩაასხი ქოთანსა, აღუღე, მერმე უკმოღვი, აცალე რომე დაწმდეს, თეფში ჩაასხი, თხლეს ძირში დაიგდებს, მერმე გაწურე, მერმე წამალი ყარაფილი, ზანჯაფი, დარიჩინი, ზაფრანა, სუმბული, ამათგან სწორ სწორი გასინჯე, ამათ ტკბილი, რამდენიცა უნდოდეს, იმდონი ჩაურთე და აღუღე

²⁷⁶ ტექსტშია „ნიტრა“.

²⁷⁷ ტექსტშია „უკნია“.

²⁷⁸ არ იკითხება.

შესკვლევამდის. ეს წამლები გაცრილი ჩააყარე, რად მოგინდეს იხმარე კარგის ღვინის შ(ა)რბათი. **ერგების სტომაქსა, გრილ თავის სტომაქი გაგრილებოდეს და განოტი ჯიკდეს (!) დ ავის სტო- (43v) მაქში საჭამადი დამუავდებოდეს, დაშენდების, ვინ იკმაროს აბანოსა შესლვასა, გინა მას უკან, გაათბობს ტანსა, გაამკურვალეებს, იკმარებს ჭამასა უკან ვითა ღვინო, თუ ღ(მერ)თსა უნდეს.** აიღე ღვინო ძველი და კარგი ათი ლიტრა და წყალი წმიდა სუთი ლიტრა, დარინინი, ყარაფილი და დარიფიფილი, სუმბული, ზანჯაფილი, ზაფრანა, ამოტან წონა სამსამისა დრამისა, დიდი ჯავახი, ამოტან წონა თვითოსა დრამისა, თაფლი პერულ მოჭდილი, დანაყე ეს წამალი, გაცარ, ღვინოსა და წყალსა თაფლსა თანა ჩაურთე და ქოთანსა ჩაასხი, აღუღე ვირემ წავიდეს ორი ნაწილი გასწურე ჭიქაში, ჩაასხი და თუ მზესა დასდგამ სჯობს, იხმარე ჭამამდისაც და სჭამის უკანისაც რად რიგაცა გინდეს იხმარე კარგი არის ღ(მერ)თითა...

კარი სიქანგუბინისა. ნიშანი არგებს ღვიძლისა სისუსტესა, კაცსა რომე არა ემშობდეს, საჭმელსა მონდომებს. აიღე ორი ლიტრა კარგი ძმარი, თაფლი ერთი ლიტრა. მოადუღე სანამ შესკვლდებოდეს, მისგან შესმა ცივითა წყლითა ექვსი მიტყალი უზმათ, თუ კაპრის წვენი დაასხი იგი სჯობს. **სიქანგუბინი უსული არგებს ფერად ფერადსა ცხროსა, უშველის შავი წყალი, რომელ თვალსა შიგან. (44r) ჩამოვა, მისი ნიშანი გამოჩენილი იყოს. მას უშველის იარაყანსა, კაფაყანსა, უშველის ქშინებებსა და სტომაქისა სენსა უშველის.** წამლები მისი: კამის ძირის ქერქი, ნიახურის ძირის ქერქი, თვითოსაგან თვითო უნკია²⁷⁹ გაახმე და დანაყე, ნახევარზედა ესე ყველა სამსა ლიტრასა ძველსა ძმარშიდა დააღბე ერთსა დღესა და ღამესა, მერმე ერთი ჰელი აღუღე კარგათ, მერმე გამოაწურე და ერთი ლიტრითა შაქრითა აღუღე, ქაფი ხადე, ერთი უნკია²⁸⁰ ვარდის წყალიც ჩაურთე, შესკვლევამდის აღუღე, მერმე წმინდას ჭურჭელში ჩაასხი და თვითო ჭამა მისგან ოცდაათი დრამი, ნახევარი დრამი რევანდი ყურსითა შესხვი.

სხვა სიქანგუბინის ხასიათი. ღვიძლისათვის კარგია, ტყირპისათვის კარგია, ზაფრისა და ბალღმისათვის კარგია. აიღე ნახევარ(ი) ლიტრა ძმარი, ორი ლიტრა წყალი, ერთმანერთსა გაურივე, მოიღე ნიახურის ძირის ქერქი და კამის ძირის ქერქი, თვითოსაგან ათი მიტყალი და თესლი, ორსავე ორი მიტყალი და კაპრის ძირის ქერქი, თვითოსაგან ათი მიტყალი,

²⁷⁹ ტექსტშია „უნკია“.

²⁸⁰ ტექსტშია „უნკია“.

ვარდკაჭაჭას თესლი ორსავე ორმ...²⁸¹ ძირის ქერქი სამი მიტყალი, ეს წამლები ამ ძმარსა წყალსა შიგან გაურივე, ერთსა დღესა და ღამესა დააღბე, დილასა აღუღე, ასრე რომ სამი წილი და- (44v) რჩეს და ერთი წილი დაიდუღოს, მას უკან წამლები ამოტყელიტე და გაწურე და ერთი ლიტრა თაფლი გაურივე და დილეულ სანამდის შესკვლდებოდეს პერული მოკადე და ყოველთა დღეთა თითოს კოვზს ასმევედი უწყლოდ.

სიქანგუბინი ბუზურგი არგებს ღვიძლსა, რომე ზაფრისაგან გათხელებული იყოს და ცხლად ედგას, გული რომ ნამტავად სტკიოდეს. ზაფრა რომე სჭარბოდეს და სისხლსა დააწყნარებს, პირი რომ უშრებოდეს მას უშველის. აილე ქანის ძირი ხუთი დრამი, კაპრის ძირის ქერქი სამი დრამი, კამის ძირის ქერქი ხუთი დრამი, ქანის თესლი ხუთი დრამი, ნიახურის თესლი ხუთი დრამი, კაპრის თესლი ორი დრამი, რევანდი სამი დრამი, საყმუნია დრამ ნახევარი, კმელი კოწახური სამი დრამი, მოილე ორი ლიტრა წყალი, ერთი ლიტრა ძმარი, გაურივე და მერმე ამა წყალშიგან დააღბე, ერთსა დღესა და ღამესა. მერმე საყმუნია და რევანდი დანაყე, ეს წამლები და ის წყალი და ის ძმარი მანამდის აღუღე, სანამდის ორი წილი წაგდეს და მესამედი დარჩეს, მერმე (45r) გასწურე და ის წამლები მოაყარე, მერმე ნახევარი ლიტრა შაქარი გაურივე და აღუღე სანამდის შესკვლდებოდეს. ის რევანდი და ის საყმუნია ქათნის ჩაქეშიდა ჩაჰყარე, და იმა დუღილსა შიგან ჩააგდე, და ხანდახან კელითა შეტყელებით. თუ ბაღლაში ჭარბოდეს ოდენი ერთი თაფლი გაურივეთ, გუნებასა გაამჭურვალებს და საჭამასა მოადომებს. ათი დრამი ჭამის ფარაზი ამის მეტი არ უნდა უზმამა ჭამოს. თუ საღამოს ჭამოს დასთმოს, სჯობს და კარგია და ეს სიქანგუბინი ოთხს და ხუთს ჳელს გაიყვანს.

სიქანგუბინი ზაფრისათვის. უშველის ზაფრასა, ცხელებასა, გულისტკივილსა, ხაფაყანსა, სიცხესა და სტომაქსა ძალს მისცემს. აილე თეთრი შაქარი ორი ლიტ(რ)ა, სამს ლიტრას წყალშიდან აღუღე სანამდის შესკვლდებოდეს, პერული მოკადე, ერთი უნკია ძმარი, ორი უნკია ვარდის წყალი შიან გაურივე, ცოტა კიდევ აღუღე, გააცივე და შეინახე თვითო შესმა, ათ ათი დრამი და უშველოს.

სიქანგუბინი შესაკრავი. უშველის ზაფრასა, მეოთხისა ღღისა და ღამისა ცხროსა და რომე გახსნით იყოს გულის ტკივილისაგან მას უშველის. აილე ორი ლიტრა შაქარი, სამი ლიტრა წყალი, (45v) აღუღე,

²⁸¹ არ იკითხება.

ქაფი მოკადე, სამი უნკია²⁸² ისრიმის წვენი და ერთი უნკია და ნახევარი გუნდა დანაყე, გაცარი, სამი უნკია²⁸³ ბროწეულის წვენი, ერთი უნკია²⁸⁴ ვარდი, ერთი მიტყალი წითელი წამალი ცოტა აღუდე რომე შესკედდეს, მერმე შეინახე და მისგან შესმა ხუთი მიტყალი ცივითა წყლითა.

სიქანგუბინი გასაცხნელი უშველის კაცი რომე შეკრვით იყოს. ცხელებასა უშველის, ზაფრისაგან შეკრვით იყოს გახსნის, აგსა წყალსა ეწყინოს და ნავლისა სიცხესა დააწყნარებს, ხაფაყანსა და იარაყანსა უშველის, ტყირასა უშველის. აილე ერთი ლიტრა ტყემალი, ნედლი იყოს თუ კმელი, ტყლაპა და გამკმარი, სამის ლიტრითა წყლითა მოადუდე, მანამდის რომე დაწმდეს, მიტყალ ნახევარი თურბუთი, ისე საყმუნია დანაყე და ქათანსა გამოჰკარ, და ერთსა ლიტრსა შაქარსა შიგან აღუდე, ქაფი მოკადე, რომ შესკედდეს, ჭურჭელსა ჩაასხი და თვითოსა მიცემახედა ხუთ ხუთსა დრამსა მისცემდი.

სიქანგუბინი უსული ერგების ფერად ფერადსა ცხროსა, შავი წყალი, რომ ჩამოსული იყოს იარაყანსა და ლაფაყანსა, ზიყინაფაზსა უშველის, რომე სტომაქი აშლოდეს. აილე კამის (46r) ძირი, ნიახურის ძირი, ასალასური თითოსგან თვითო უნკია, გააკმე, დანაყე სამსა ლიტრასა ძმარშიდა დაალებე, ერთსა დღესა და ღამესა, მერმე გაწურე და ერთსა ლიტრსა წყალშიდა მოადუდე და შაქარი ერთი უნკია ვარდის წყლითა აღუდე, გაურიე რად მოგინდეს იკმარე თითოს სმახედა ათი დრამი.

სიქანგუბინი ბუზურგი. უშველის სეველასა, გულის ძეგრასა, შავსა წყალსა და ცხროსა, ფერად ფერადსა ქარსა. აილე ანისონი, კამის თესლი, ძირაქიმანი, ნიახურის თესლი, ქასნის თესლი, ხაშხაში თითოსგან თვითო უნკია, ნახევარზედა დანაყე და ძველსა ძმარშიდა დაალებე ერთსა დღესა და ღამესა. მერმე გაწურე და მისი წონა თეთრი შაქარი გაურიე, მოადუდე და ორი უნკია ვარდის წყალი ჭურჭელსა შეინახე, მოდულებული და თვითოს შესმახედა ათ ათი დრამი ცივის წყლითა. ამა შარბათსა ყველასა მათი განაჩენი თან გვერდს უწერიან თავის თავისად გუნება მახვილისა და ბრძენისა კაცისაგან ადვილი მისაზღომია თუ ღ(მერ)თსა უნდეს.

შარბათი თესული. არგებს რომე შიგნით გვამშიდან რადც სატკივარი იყოს და ძველსა სატკივარსა და ნამეტნავად რომე (46v) ქმინვიდეს, ზიყინათსა უშველის, დედაკაცი ძნელად შობდეს მას გაადვილებს, რადც

282 ტექსტშია „უკნია“.

283 ტექსტშია „უკნია“.

284 ტექსტშია „უკნია“.

ასოსა შინა სატკივარი იყოს სტომაქისა ტკივილსა, ზაფრასა, სეველასა, ამათ ყველასა უშველის, დააწინარებს. წამლები მისი: ნიახურის ძირის ქერქი, კამის ძირის ქერქი, ორისავე ანისონის თესლი, ძირაქიმანი თვითოსაგან ოთხ ოთხი დრამი, შაიტრა სამი დრამი, ულბო და ფარსიაუშნი თვითოსაგან ოთხ ოთხი დრამი, სინჯიტი ქიშმიში, ჩამიჩი, ლეღვი ჳმელი თითოსგან ოც ოცი დრამი ესე ერთპირად სამითა ლიტრითა წყლითა აღუღე სანამდის ნახევრად მოიყრებოდეს, მაშინ გამოწურე და ერთი უნკია ნუშის ზეთი ჩაახსი, მერმე შეინახე და რად მოგინდეს მიეც მიტყალი ოცი. მისგან შესმა თბილის წყლითა მას უკანით ერთი მიტყალი ზირათა ზეთითა გაღესე და შაქარი გაურივე თბილითა წყლითა შეასვი.

ფრანგნი შარბათსა ასე გააკეთებენ. თხუთმეტის მარჩილის წონა წყალი, თხუთმეტის მარჩილის წონა ია ნელლად აღუღე. როგორცა მოდუღდეს გასწურე, იმ მოდუღებულსა იასა წყალი და შაქარი ასწონე სწორი ქენი ...²⁸⁵ ის შაქარი უწინ (47r) სხვას წყალშიდა ჩაჰყარე, რომ გინდეს და აღუღე ნელად პერულსა მოჰკდიდე, მისი მოდუღების ნიშანი ის არის გასკეღლების, მერმე ის წყალი გაურივე, მერმე კიდევ აღუღე გასკეღლებს.

კარი ცხროსა. ცხრო ყოველის ფერისაგან წაეკიდების კაცსა. ცხრო ნამეტნავის სიცივისაგან და ცივის წყლისაგან რომ წაეკიდოს კაცსა, მისი ნიშანი ეს არის ცხრო მოუვიდეს თბილად დახურონ, რად გაჰყრდეს და ოფლი აღარ გამოუვიდეს და უკუყაროს წამალი მისი: აიღე ალილა შავი და მარცვალი წითელი ჩამიჩი ოცი მიტყალი, ბაბასა ხუთი მიტყალი, წყლითა აღუღე, რად ნახევრად მოიყაროს გამოწურე და წითლის შაქრითა შაქრის წყალსა გაურივედი და ასევედი ცხელ ცხელსა და არწყიოს, თაფლწყალი ასვი მუდამ თბილ თბილი წყლითა. და ტანი დაიბანოს და უშველის ღ(მერ)თითა.

ცხრო მიჭირვებისა შიმშილისაგანაც დაემართოს. მისი ნიშანი ეს იყოს ღამით ყოველნი ტანი სტკიოდეს. წამალი მისი: ნელ თბილისა აბანოსა ჩაჯდებოდეს და ნელ თბილი წყალი ისხას, ტანი წყალსა შინა დაიზილოს, რად გამოვიდეს, იის ზეთი, გარდის წყალი, ცოტა ძმარი გაურიოს, ყოველსა ტანსა შეიცხოს გაცივე- (47v) ბული ჯულაბი სიქანგუბინი შეასვი, საჭმელი შემწვარი ვარია, ახალი თევზი მიეცით.

ცრო ზაფრისა, რომელსა რჰქვიან ლიბი. მისი ნიშანი ეს არის ერთსა ღღესა მოუვა მეორესა არა, მას ფიცხლად გასახსნელი წამლები მიეც

²⁸⁵ არ იკითხება.

ზაფრისა ცხელება ადრე უკუყვაროს ეგების კიდეც არწყევინოს წყურვილი, ნამეტნავად იყოს, თვალის თეთრი გაუყვითლდეს და ნაღვლიანად იყოს ამისი პატრონი, რად ესე ცხრო ზაფრისაგან შეიქნების ამით ნიშნითა შეიტყვეით ესე ზაფრა ანუ დაღებების, მაშინ მოვიდეს, ესე ცხრო ერთობ სიცივით დაბურძღვლით აღტყდეს და თუ შიგნით ძარღვთა დამპალი იყოს, მაშინ მოვიდეს უმიზეზოდ დაბურძღვლი არა აღდტყდეს. ამისგან მეტად რომე ერთსა დღესა მოუვიდეს, მეორეს არა და არს ესე ცხრო, ნამეტნავად მჭურვალი და ჳმელი და დამწველი ჰგავს ცეცხლსა, ოდეს გამოვა გარეთ, ასტენს ბურძღვლასა. ესე ცხრო იქნების რომე კვერცხის გულსა არწყევინებდეს და ჰყოფს ესე ცხრო გვამსა შინა ჟამსა თორმეტსა. კაცისასა მოვა ესე ცხრო შვიდჯერ და იქნების ესეცა რომე თორმეტჯერ მოუვიდეს, და იყოს დიად წყურვილი, და (48r) დიდად ცხლად იყოს, და თავი სტკიოდეს, და საუბარი არას დია მოუნდებოდეს, და არც საჭმელი, არცა დაიძინოს, თავი სუბუქად ედგას და ზოგჯერ ჳელნი და ფერჳნი დაუცივდენ, ამისთვის რამე სიცხე შიგნით მოექცევის და გაშეების ჟამსა ოფლი გამოუვა. დიდი და შარდი იყოს ცეცხლის მსგავსი და მაჯაში მისთვის იყოს მოსლვამდის, ცოტა და რად მოვიდეს მერმე და მერმე გაძლიერდეს და სცემდეს მალედ, და ესე ცხრო უფრო დაემართების ახალ მოწიფულობისა ჟამსა, დღეთა ზაფხულისათა და ვინ იყოს სიმჭურვალისა ბუნებათა, ანუ შეექნების ესე ცხრო. ვის შეწყენით ყოფა გაუგრძელდეს და საჭამადისა მჭურვალისაგან და ესე არის მიზეზი ამისი ცხრო, რომელი გვითქვამს და ესე ცხრო კვერცხის გულის ნაღვლისაგან შეიქნების, და მას ცხროსა შიშით და კრძალვით უკურნოთ, წამალთა გარიგებითა და სასხნელითა, არამცა მჭურვალი რამე გიქნია. თუ წამალი მჭურვალე რამე მიეც სტომაქშიგან სიმსივნე დაემართების და ანასდად მოკვდების. კაცი მოიჭირვეთ რომე არა გაუგრძელდეს ესე ცხრო თვარემ ამას მრავალი სენი მოყვების. წამალი მისი: (48v) ასრე უნდა ჯერეთ მუცელი დაუღბოთ ქლიავის წყლითა და ძმრითა და დოთა და ხიარშამბრითა დაენაყოთ ია ჳმელი, დავასხათ წყალი გამოწურვილი თარანგუბინისა. ცხროსა გაშეებას უკანა ყვითლის ალილას წვენი. ამა წესითა აიღე ყვითელი ალილა კურკისაგან გამოწმენდილი, დამბალი და მოდუღებული, ხუთი დრამი. დიდსა კაცსა ათი დრამი. თუ დანაყილი, გაცრილი მისცე ორი დრამი, დიდსა კაცსა, სამი დრამი, რომელსა დღესა მოუვიდეს ცხროდ, მას დღესა ნუ მისცემ გასაჯსნელსა წამალსა და არა შეუღბოთ მუცელი, რომელსა დღესა მოუვიდეს ცხროდ მას დღესა ვასვემდეთ ქერის წყალსა, და ბროწეულისა წყალსა, და ქლიავის წყალსა. როდისაც ცხრომან გაუშვას,

მაშინ შეეკავათ წამალი გასაკუნელი, ანუ ღამით, ანუ დღისით. და თუ არ უნდოდეს ქერის წყლისა სმა, მაშინ შეეკავათ აყიროსა წყალი, ამავე ქერის ხასიათი აქვს. ცხროსა მოსლვისა ჟამსა კაცი მშურად უნდა იყოს და რად ცხრო გაუშვას მაშინ ვაჭამოთ: ვარია ტყემლით შექნილ ანუ თემრზნდი (!) და სამარხოდ თათმი და აყირო, ესეც მუცელსა შეუღობს დააწყნარებს სიმკურვალესა მოსლვის უკანის მოსლვასა უკან || ვასვათ ...²⁸⁶ (49r) და ღამეს იყოს, და დილას ოცი დრამი შაქარი ჩაურთე და გამოწურე, და ნახევარი დრამი ზაფრანა გაურივე. და შეასვი, და უშველის ღ(მერ)თითა.

გულის ტკივილისათვის. ბრინჯის ფქვილი წითლის ძროხის სისხლთა შეზილე და მზითა გაახმე, მერმე დანაყე თაფლითა და იასამნის ზეთითა შეზილე და მაჯუნად შექენ, და აჭმევდი, ტკივილს არგებს.

თუ კაცსა თავი სიმკურვალითა სტკიოდეს, ანუ ყური. ვარდის ზეთი და ვარდის წყალი, აღისარჩული, სახამებელი, კვერცხის ცილი ესენი ერთად შეურივე, ტლედ შექენ, წმინდა ტილო ან დოღბანდი დაასველებდი და სადაცა სტკიოდეს დასდებდი და არა გაშრებოდეს, ახალ ახალსა უცვლიდი და ტკივილი დააწყნაროს და ერგოს ღ(მერ)თითა. **სხვა წამალი სიმკურვალისაგან თავი ან ყური სტკიოდეს.** ლულუფარი და ხეგარტა მოხარშე და ია კმელი იმასთანა. ამათ წვენში თეთრი (49v) და წითელი სანდალი გალესე ვარდის ძმრითა და იმათ წვენში გაურივე ტლედ ქენი და შემოსდებდი, სადაცა სტკიოდეს ერგების ღ(მერ)თითა. **ქარი რომე კაცსა სტენდეს.** ერთი მუჭი მოლოქი, ერთი მუჭი მარილი, სამი მუჭი იფქლის ქატო, სამი მუჭი სელის თესლი ძმრითა მოხრაკე და დაადევი. **კაცსა რომე ყური სტენდეს.** ცერეცოს თესლი და ქალის რძე ერთად ყურში ჩაუშვი და ერგოს. **ყურის ტკივილისათვის.** ბატის ნავლედი მისი ზომა ზეთი ერთად შექენ და ყურსა ჩაუდევი და სიყრუესაც არგებს ღ(მერ)თითა. **მატლი რომე ყურშიდ უსხდეს.** ხახვის ან ფურცელი და ან ყვავილი ნელდი დანაყე, გამოწურე და ყურსა ჩაასხი და მატლსა მოჰკლავს და სმენასა მოუმატებს. **რომ სტენდეს.** თხის ფსელი და თხისავე ნავლედი ერთათა გაურივე და ყურსა ჩაუსხი და ერგოს ღ(მერ)თის ძალითა. **მისთვისვე.** ნუშის (50r) ზეთი ჩაუწვეთე. **მისთვისვე.** ხახვი შეწვი და ყურთა უწვეთე, თუ წყალი სდიოდეს კაცის ფსელი თბილი ჩაუწვეთე მრავალძარღვა წვიმის წყლითა დააღბე და ყურზედა დაადევი, ტკივილსა დააცხრობს. **შაკიკისა, თავის ტკივილისათვის.** ქინძი დანაყე და ცხვირთა ჩაუსხი, მარჯუწმით სტკიოდეს მარცხენით

²⁸⁶ აზრი წყდება, შინაარსიდან ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

ჩაუსხი და თუ მარცხენა სტკიოდეს, მარჯუშნას ცხვირში ჩაუსხი. **სხვა თავის ტკივილისათვის.** იის ძირი, დათვის ნაველი, ოსპი ერთად დანაყე და ცხვირთა ჩაუწვეთე. **მისთვისვე.** აბზინდა და ნიორი, ღორის პოსილითა ანუ ერბოთა მოადუღე და თავსა შემოსდევე და ერგოს. **მისთვისვე.** ჭაკუნტლის ძირი დანაყე წყლითა, გაურივე და გაწურე ვარდის ზეთით, გაურივე და ცხვირთა ჩაუწვეთე.

კბილის ტკივილისათვის, ანუ ღრჯილი უსივდეს. ირმის რქა (50v) ძრითა პირშიდა იგუბოს. **მისთვისვე.** შაბი დასწვი, პილპილა და შაბი ერთად დანაყე და ძველსა ...²⁸⁷ ბანბასა დაახვივე და მტკივანსა კბილსა დასდევე და მასვე მკარსა მიაწვინე და ერგოს.

ვისაც ქარცეცხლი სჭირდეს ალიზი მიწა დახილვე და ზედან ქასნი კარგად და სველად გასცხე და ზედად დასდევე, სამსა დღესა ზედად ედვას და თუ არ ეშველოს კიდევ ისე ქნას.

ვისცა სული უკეთური დაემართოს ძღაბსა ცოცხალსა გულ ღვიძლი ამოართვი, ფირტვიანად და შეინახე. და როდესაცა დაემართოს, მაშინ ღვინითა გალესე და ასვი, და ტყავი მისი კაცსა რომე სჭვალვიდეს იმით მოუხხვილიტე, სადაცა სტკიოდეს. **სხვა კიდევ მისი წამალი.** ცხრა თავი ფუტკარი დანაყე და კანაფის ტილოში გამოწურე და ასვი.

ანაზღად კაცსა გულსა ქარი რომე ეყრებოდეს. იორდასალები ანუ გალესე და ანუ დანაყე, შაქრის ყინულითა მოადუღე (51r) და ასვი, თბილი ასვი.

კაცსა რომე არწყვეინებდეს და სჩხვერდეს, კიდევ იყვანდეს. მრავალძარღვას ფურცელი ბეგრი ხარშე, დიად წვენი გამოსდივა, იმაში ბრინჯი ფაფად ქენ და უმარილო აჭამე. ნახარში ფურცელი გულის პირზედა დააყარე და ერგების.

კაცსა რომე მუცელი სჩხვერდეს. ძველისა ცხვირისა დუმა ფაფად შექენ რა რიგათაც კორცმან იშნოს, ისრე მუცელზედა შემოსდევი. **მისთვისვე.** სამი ძირი პრასა, სამი ძირი ნიორი, სამი კაკალი, კმელი ნიგოზი, ძიმწარე. ესენი ერთად დანაყე, სადაცა სტკიოდეს სამჯერ შემოსდევი.

თუ ფრხილი წავარდეს. რისაც მიზეზით აიღე ინა და სელის ზეთი გაურივე და შემოსდევი და ერთობ კაის ფრხილსა გამოიყვანს. ასრე უნდა ვეცხრლისა და ანუ სხვისა რამე თითი შექნა და წინათ ცოტა კვრელი უყო და თითი შიგან ჩასდვა, რომე არ გაკურდეს.

²⁸⁷ არ იკითხება.

თუ ისრის პირი ანუ სხვა რამე დაესოს, ვერ გამოიღოს შიგანვე ედვას. თავი (51v) გააპე და შემოსდევ ანუ გრძელი ზრევანდი დაანაყონ თაფლითა, შეზილონ და შემოსდვან ისრის პირსა ამოიღებს. მარტო ლერწმის ძირი დანაყონ და შემოსდვა მარგი არის. **თუ ძვალზედა დამაგრებული იყოს** – გრძელი ზრევანდი, ლერწმის ძირი, ფაზამუნიში დანაყე და გაცერ და თაფლითა შეზილე და დასდევ რა გინდა მაგრად იყოს ამოიღებს ისრის პირსა, გამოცდილია ესე და გაამრთელებს ბრძანებითა ღ(მერ)თისათა.

თუ კაცსა აციეებდეს და აცხელებდეს. ათი, თორმეტი მარწყვის ფურცელი მოათხრევიე, ძირ ფურცლიანად და იმ ღამესა წყალშიგან ჩაჰყარე, დილას დანაყე, გამოწურე, მოიტანე ფაზარი მუხუდოს ოდენი, მარმარილოს ქვაზედა გალესე და იმ გამოწურვილსა წყალშიგან გაურივე, ასვი და ერგების ღ(მერ)თითა.

ვისცა სტომაქი აშლოდეს და რწყევა დაეწყოს, საჭმელი არ დაადებოდეს. წამალი მისი: აიღე მწვანე გუნდა, ქერის პური, სწორ სწორი დაწვი, დანაყე და აჭამე, ზედა ერთი პირი ძმარი შეასვი. თუ იმან არ გა- (52r) უგდოს, კანაფის თესლი წყლითა გალესე დანაყილი, მერმე რომე გაწმდეს შეასვი და თუ არც იმან გარდუგდოს, აიღე ვაშლი ჳმელი იყოს თუ ნელი, რამდენიცა გინდოდეს დანაყე და წყლითა აღუღე, რომე ნახევარზედა მოიყაროს და გამოწურე და შეასვი და გარდაუგდებს ღ(მერ)თითა. ესენი დაცდილი არის.

კაცი რომე ავად იყოს, მესამესა და მეორესა დღესა და ან ღამეს ჳელი და ფეკი უცივდებოდეს, და მერმე გააცხელებდეს, არც მეტად სიცხე იყოს და არც მეტად სიცივე, გუნებაზედა აშლით იყოს და გულს ეყრებოდეს, და ხანდახან არწყევიენებდეს, პირი უგემურად და მწარედ ჳქონდეს, საჭმელი არ მოუნდებოდეს. მისთვის ეს წამალი კარგი არის, გუნებაზედა მოიყვანს, გულსა ძალსა მისცემს, გულის რევასა და რწყევასა დააწყნარებს, საჭმელს მოანდომებს: მოიღე ბია ცეცხლისა ნაკვერცხლითა შეწვი და ერთი დრაბი თრიახფარუხი, ორი დრაბი შაქარი, ერთი მარჩლის წონა ბია ის შემწვარი ერთად (52v) აურიე, შეზილე და შეიღსა დღესა ყოველს დილასა აჭმეველი და კარგათ მოუჭდების, თუ არა ღონე იყოს და ბია ვერ იშოვნო სხალი ჳქენ მისად სანაცვლოდ, ბოლოსა იმავე ბიასა ეცადეთ შოვნასა.

კაცი რომე სიცხისაგან ანუ რისგანაც ავად იყოს ხანდახან სერანს გაგიდოდეს, თვარემ უფროს ხანს შეკრვით იყოს გახსნის, უჯობს. და უკედ მოჭდების. მოიღე სემენექი და ინდოური ტყემალი ერთმანერთის სწორი,

აღუღე, გამოსწურე, რევანდი წმინდად დანაყე, გაცერ და იმ წვენში გაურივე, და სნეულს ასვი, მეექვსე, მეოთხე დღეში ასვემდი. ფრანგნი აქიმნი რევანდსა ასრე ასმევენ – ორსა ან სამსა დრამსა დანაყვენ, და გასცრიან წმინდათ რათიმე და წყალშიგან ჩაყრიან, რა ერთიც წყალი იმას უნდა და ერთს კვირასაც დაყოფენ. არა გაგარა შაქარსა გაურევენ, ვითარცა მოატკობს. მაგისთვის აწე გასინჯეთ კარაბადინში სხვა რიგათ სწერია და როგო- (53r) რადაცა სჯობდეს ისე ქენით. მე ეს მეჯობინების ვითარცა რევანდი კაცის გუნებაშიგა შიგან დარჩების სტომაქსა გახსნის.

ფისცა სტომაქსა სოკო სჭირდეს. ფისი მოადუღე ქათმის ნახარშითა თორმეტის დრამის წონა პილპილა მოგალე და სახერეტად შექენი და შეასვი ამავე ფისისაგან ორი ჭიქა, ორი კოვზი შეაჭამე ჭაკუნტლის ნახარში, სამი კოვზი ფისი პილპილას გაურევი. სამს დილასა ასრე ვირის ტერფი, კაცის თმასაც გაურევი, დასწვი, ზროხის რძითა დაზილე და კვერად შექენ, კიდევ დანაყე და კეცი გააკურე, და ამაზედა დააყარე, და ღვინო დაასხი, და უორთქლე, და კიდევ აჭამე უზმათ, სოკოსა დაადნობს.

კიდევ ბუასირისათვის. ღორის ბირკაი მოთხარე, დანაყე და კარგათ გამოწურე, და კვერცხის ღენჭებითა სამსა დილასა უზმათ ასვი, თვითოს კვერცხის ხეჭებსა, (53v) მრავალდარღვას თესლსა დანაყდი და იმას წყლითა იქმოდ, იმას აჭმევი და ერგოს.

მუცლის ტკივილისათვის. ქატოს წვენითა ჭაკუნტელი მოხარშე, მისითა წვენითა ნიგუზის ზეთი და თაფლი ერთად შეყარე, და შეასვი. ცხერის ტვინი გააკმნე და დანაყე, გინა გალესონ. თვალსა ჩაუწვეთე, ცრემლსა დააყენებს.

პირსა კაცის ავის სულის ამოდენისათვის. ცხერის რძესა თბილსა სვემდეს და ერგოს.

ჭუნაგისათვის. ახლისა მშობიარისა ცხერისა რძე იღარღაროს და ერგოს ღ(მერ)ითითა.

ბუშტის ტკივილისათვის. ბაკლის ფქვილი თხის სისხლით შეზილე და შეაჭამე და ერგოს.

დიყნალის – სულის გუბებსა ჰქვიან. თხის ნაველი ფურის რძითა გაურივე და ასვი, ცოტა თბილი წყალი ურთვე და ასვი.

მკერდისა და ყვის ტკივილისათვის. თხის რძე ტაბრაზისა წვენითა გაადგინე, ნუშის ზეთი ურთვე და შეასვი, და ერგების.

თუ კაცსა უწადინელად შარდი სდიოდეს. თხის ნაწლევი დასწვი და წყლით გაადგინე (54r) ასვი და აღარა წაუვიდეს.

თუ ერთსა მარტსა წითელის თხისა რქე ყველად შექნა და შეინახო და სამსა დილასა ცხროიანსა კაცსა აჭამო, **ცხროსა უშეელის.**

სხვა ყურის ტკივილისათვის. ზროხის ტვინითა ყური შეუსვარე და ყურშიდან კიდევ ჩაუწვეთე, და ზროხის ნაველელი თვალშიგან გამოივლონ და **თვალთა აკლდეს, სინათლე მოუმატოს.**

ზამთრის ცხროსათვის. კურდღლის ქონი, კმელი სუდაბი ზირაქიმანი, გაურივე ერთის კოვხითა თაფლითა შეხილე და აჭამე.

სვინტრის მაჯუნი **ცოფიანისა ნაკბენსა აჭამო მოუკლების.**

ზეთი ბაბუნაჯისა ვინც იცხოს ძველსა **ცხროიანსა უშეელის.**

სიმსივნისათვის. კარგი არის რომ ტლედ შემოიდვას ყოველსა სატკივარსა მოუკლების, მისი გაკეთება ზეთების კარშიგა სწერია.

ნაჭამი კბილი რომ გამოირეცხო და მერმე ვარდის ზეთი კბილსა და ღრძილსა წაისვა, კარგა **მოუხდების კბილსა (54v) და ღრძილსა.**

იცოდი რომე ბუასირი სამყური არის. თითოსა ბუასირისა ნიშანი თვითო არის: ერთი ყურძნის მარცვალსა ჰგავს, ერთი ლეღვივითა არის, იქნების რომე თავივითა ჩამოუკიდოს, ერთი ხვარბლის მარცვალსა. სამსავე წვრილ წვრილი აბია. ის რომ ხვარბლის მარცვალსა ჰგავს ის უფრო სატკივარია, ის უფრო ფსლისა გზასა შესტაცებს, არ გამოუშვებს ასრე რომე გასივდების და ძნელი არის. სხვანიცა ერთობ მოწყინარი არის. წამალი მისი: პირველად ბასალიკი გაუკსენ, მერმე კოტოში მოჰკიდე, ორთავე მენჯთა შუა მოჰკიდე ...²⁸⁸ გახსნის და გამოწმინდოს საჭმელად მუხუდოს წვენი შეუწყვეთ ნიგვზის ზეთითა, თუ ცხლად უსუსურად იყოს ვარია მოხარშე ბიის წვენითა და იმას აჭმევი. **მისთვისე.** ცერეცო დანაყე წყლითა შეხილე და შემოსდევ ზანდუკი ...²⁸⁹ (55r) ვასვათ ქერის წყალი და აყიროს წყალი, და რომელსა დღესა ცხრო მოუვიდეს, მას დღესა ნურას აჭმევ, სტომაქი ცარიელი დაახუდრე, საჭამადისაგან²⁹⁰ ქმინვა დაემართოს. მაშინ დაუფშვენ პურის კალივითა და მოვაყაროთ შაქარი, დავასხათ ცივი წყალი, ზედა დავასვათ და ვაჭამოთ. იცოდე რომე გულის ძგერა, ქმინვა ავსებულობისაგან იქნების, რომე სტომაქი ავსებული იყოს სიმკურვალისაგან და ორთქლისაგან ამოვა, გულისა შემოადგების და ამისგან დაემართების, ანუ მეტის ცარიელობისაგან, რომე სტომაქი დაცარიელდეს,

²⁸⁸ აკლია რამდენიმე სტრიქონი.

²⁸⁹ აზრი წყდება, შინაარსიდან ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

²⁹⁰ ტექსტში „საჭამადისაგან“ ორჯერაა გამეორებული.

ანუ დიდის სისხლისა დენისაგან, ანუ ნამეტნავად კსნილობისაგან, ანუ დედის ოფლისაგან, ანუ დიდის ტკივილისაგან, ანუ ანასდად ტანისა შეზავებულობისაგან და ცვალებებისაგან, ანუ აბანო დაღმა სიცივესა გამოიკიდეს, ანუ აბანოდ სიცივეშიდ შევიდეს. ამისი ძგერის და ქშინვის წამალი ეს არის, რომე უწინ გასინჯეთ, თუ რისგან არის და ცარიელობისაგან იყოს, ავაესოთ სტომაქი და დავენდოთ გულის ძგერად ქშენას. თუ რწვევისაგან იყოს ანუ გახსნისაგან დაუყენოთ რწვევა და გახსნა. თუ იყოს ავსებულობისაგან ანუ შემოკრებუ- (55v) ლობა ენახოთ, თუ სტომაქისა იყოს ავსებულობა, მაშინ ვკუურნოთ სარწვეველითა წამლითა და თუ წელთა შინა იყოს, მაშინ გასახსნელი წამლითა ვკუურნოთ რბილითა. და თუ ტანსა ყოველთასაგან იყოს მაშინ საშუალისა გასაკსნელისაგან წამლითა უკუურნოთ.

აწ ნიშანი მოგახსენოთ და დავსწეროთ თუ სტომაქი ავსებული იყოს ანუ შემოკრებული იყოს. მისი ნიშანი ეს იყოს: თვალთა წინა საცერივითა მოეშვიროს და მწარესა აბოყინებდეს, არწვევინებდეს და გული უძგერდეს და სტომაქსა შინა ყვითელი გამოჩნდეს და თავი წინ კერძო სტკიოდეს. თუ წვენი წელთა შინაგან იყოს მისი ნიშანი ამა ნიშნითა შეიტყვევი მუცელშიგან ყოველგან ტკივილი და გვრემა იყოს. თუ თელგმა იყოს მუცელსა შიგან და მისგან უძგერდეს გული და მუცელსა შიგან სიმძიმე იყოს უბერავად. თუ შავისა ნავლისაგან იყოს მუცელსა შიგან სიმძიმე იყოს, ქარი გაბერვა და ჭყვირილი მუცლისა. თუ ავსებულობა ტანსა ყოველგან იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს: ასტკიევებოდეს ტანი, ყოველგან ასტკიევებოდეს და ელეწებოდეს წელნი და იყოს ტკივილი სახსართა. წამალი მისი: თუ გულის ძგერა სტომაქისა ავსებულობისგან იყოს ასრე უკუურნოთ: უწინ შეუქნათ სარწვეველი (56r) წამალი, ვასვათ ქერის წყლითა, სიქანგუბინითა, თოხმაქანისა წყლითა და აყიროს წყლითა ცხელითა შევასვათ და ძუმელა ვაჭამოთ და აყირო, ტყემლითა ანუ თოხმაქანისა წყლითა, და ცერეცოსა წყლითა, ცხელი შევასვათ და მცირედი მარილი ჩაურთოთ, და შევასვათ და წავაყრვეინოთ. და თუ იყოს მუცლისა და ტანისა ავსებულობისაგან ესეთ გავწმიდოთ: ავილოთ ხვართქლი ნელდი და დაენაყოთ, და გავსწუროთ ლიტრისა მესამედი, და ჩავყაროთ სამი დრამი ია დანაყილი და გაცრილი, და შევასვათ ანუ ქლიავისა წყალი, და ხიარშამბარი, და თემერინდი თარანგუბინი ესენი ასრე ვქნა.

ვისაც უწინ ცხრო მოუვიდეს და გაუგრძელდეს ესე ცხრო, მას უკან ვასვათ აბზინდის წყალი და თუ გინოდეს განწმედა კვერცხის გულის ნავლისაგან, ანუ წელთა და ღვიძლისაგან, მას უკანის, რომ ცხრო

მ(ო)აკლდეს, ვასვათ ყვითელი ალილა, თარანგუბინისათანა და ქლიავისა წყალსა თანა შევასვათ. და ამათი მზგავსი თუ გინდოდეს ქვემო წელთა გაწმენდა აილე ერთი მჯიდი ქერი ქერქ გაყრილი, გარ(ე)ცხილი, ერთი მჯიდი სიფისტონი და ხუთის დრამის წონა ხათმი, სამის დრამის წონა კმელი ია და ერთი მჯიდი ფშატი. ეს ყველა ქოთანსა ჩაჰყარე (56v) და ოთხი ლიტრა წყალი დაასხით და აღუღეთ, რომე ერთს ლიტრაზედ მოიყაროს, მერმე გასწურეთ და ხუთის დრამის წონა იის ზეთი და ერთის დრამის წონა ბარუკი, ათი დრამი შაქარი გაურიოთ და ოყნად ჩაასხით უკანას კარსა.

თუ ეს გულის ძეგრა დიდის სტომაქის ცარიელობისაგან იყოს რომე ან დიდი რწყევა დამართებოდეს, ან დიდის ოფლის დენისაგან, ან დიდითა გაკსნილობითა, ამაღ რომე ამ ცხროსა შიდან ესე რომ გვითქვამს ამას უფრო დაემართების. აწე აქიმსა ესე მართებს უწინ რწყევის წამალი უყოს, რომე რწყევა დააწყნაროს ვასვათ მარტივისა ფშატის წვენი, ანუ მჟავე ბროწეულისა წყალი დავსცხოთ ტანსა, სტომაქსა, ისრიმისა წვენი, ანუ თურინჯისა გული, ანუ ფუსტუკისა ტყავი, რომე ქერისა გარეგნით არის და ვასვათ ალვა, მასთაქი, ვაშლის წვენი და თრუნჯის წყალი ვასვათ აღარ დენისა კალი, ვაშლისა კალი ტლედ შემოვსდვათ სტომაქსა. ამით წამლითა აილე მურტი კმელი და ვაშლი, დავნაყოთ, გავცრნეთ, თვითო მჯიდი ვარდის წყლითა, ანუ ღვინითა შევზილოთ (57r) და სტომაქსა შემოვსდვათ. სხვა ტლე. ავილოთ ვარდი დაფქვილი, ხუთისა დრამისა წონა, ზაფრანა, ქაფური, ვარდის წყლითა შევზილოთ და სტომაქსა შემოვსდვათ. თუ იყოს გულის ძეგრა დიდის ოფლისაგან ასე უკურნოთ, ასრე რომე ვიტყვი. აწ ესე მოგახსენოთ, რომელი წამალი უკუაყენებს ოფლსა, რომე სდიოდეს ამა ცხროსა შინა, ესე ვქნათ: პირველად რბილითა მანდილითა ტანი გაუწმინდოთ, მერმე ანუ მურტის ზეთი, ანუ ვარდის ზეთი ვსცხოთ ტანსა და ეს უკუაყრევენებს ოფლსა ბრძანებითა ღ(მერ)თისათა. სხვავე საცხებელი, რომელ სცხო ტანსა და უკუაყენოს ოფლი: აილე ბია და ვაშლი თვითოსაგან ლიტრა ნახევარი, კმელი ვარდი ლიტრის მესამედი და დავასხათ ზედ წყალი ხუთი ლიტრა და შევადგათ ცეცხლზედა, და ვადულოთ სანამდის ორს ლიტრაზედა მოიყაროს, მერმე გავსწუროთ და ვარდის ზეთი ზედ დავასხათ ნახევარი, ვადულოთ წყნარად, ვირემდის წყალი წავიდეს და ზეთი დარჩეს, მერმე გავსწუროთ და ჭიქაშიდ შევინახოთ, და როდისაც (57v) გვინდოდეს ტანსა ვსცხოთ ყოველგან და ოფლსა უკუაყენებს ღ(მერ)თით. დავაწვინოთ სნეული გრილსა ალაგსა და წინ წყალი დაუღვათ გობებითა, გარეშემო ძეწნისა ფურცელი მოვაყაროთ,

ვარდისა და სხლისა, და ვაშლისა ფურცელი გარშემო ვაყაროთ, ქვეშაგებელსა ზედა მოვაყაროთ. და თუ ყვანა დაემართოს, მაშინ ერთი დრამი ტაბაშირი ვარდის წყლითა, ტაბაშირის ყურსითა, აიღე ბანკამა ერთი დრამი, იასა ჰქვიან, თურბუთი თეთრი, დანგ ნახევარი, შაქარი და თახხაზარითი თითოსაგან ხუთხუთი დრამი. ეს ყველა დანაყე ჯუშლად და ჯუღაბშიგან ყურსად შექენ და ჯუღაბშიგან ამყოფეთ. მერმე შეასვით დვალოს ძმარსა, თესლიან შექნილ ისრიმისა წვენითა შევასვათ, ანუ ბიის წვენითა შევასვათ და ვაჭამოთ ქერის ჯალი, და რკო ჩაურთოთ დანაყილი და ვაჭამოთ. დვალი და ჭაკუნტელი, მოხარშული კუპატი და ცომი გამომცხვარი, ანუ ბროწეულისა მჟავისა თანა მოხარშული. თუ ამას ცხროსა თანა იარაყანი დაემართოს ავი არის. ბოლოდ გასინჯვა უნდა, თუ შვიდსა დღეს უწინ დაემართების საშიში არის და შვიდსა დღესა უკან დაემართების სიყვითლე უზიანო არის. ამისი ნიშანი (58r) ეს არის. ეს ცხრო ნამეტნავედ მჭურვალი არის. თუ ამ ცხროსა შიგან გაყვითლდეს მას შევასვათ კამის და ვარდის კაჭაჭას წყალი გაწურვილი შაქრითა მარგი არის ესეცა. საჭმელი სამარხოდ: კავარტა და ან არდის ფურცელი, ნუშის ზეთითა ქერის კორკოტი. კორცთაგან: თიკანი, კოკობი. ძმრით აჭამე წყალი ღვინო ასვი. დაიჭირე ფსელი, დაღვი, ნახე, თუ ყვაილი იყოს და სველი, იცოდი რომე სიმჭურვალე და ზაფრა სჭარბებია. ამას ასრე უნდა აიღე ნიახურის თესლი, კამის და ცერეცოს თესლი, სამივე სწორ სწორი ქენ და მოადღე, და გამოწურე, და ყოველთა დილათა შეასვი. თუ იყოს მწარის ნუშის ზეთი გაურიე. იმა სენს ეს დაალობს. სადამოს ეს სარწყვი მიეც, ერთი მიტყალი ბოლოკის თესლი, ერთი მიტყალი ნესვის თესლის გული, ნახევარი მიტყალი ნიახურის თესლი. ეს ყველა სიქანგუბინსა შიგა ჩაუყარე და შეასვი, და მერმე არწიოს, მარგე ასრის. ერთი მუტყალი ჭაკუნტლის ფურცელი დანაყილი სიქანგუბინითა მისცემდი, დილასა მარგე არის, შეერულსა გულსა გახსნის. თუ ცხროსა გაშვებას უკან სიყვითლე დარჩეს უწინ ბასალიკისა ძარღვი გაუხსენით (58v) მარჯვენისა ველისა და ესე მათბუხი ვასვათ: აიღე ყვითელი პილ(პი)ლა კურკისაგან განწმედილი, ათისა დრამისა წონა და ალილა შავი, თითოსა დრამისა წონა, და შაშთარა წონა დრამისა თთხისა, და ხიაშამბარი გამოწმენდილი, წონა დრამისა სამისა, ნიახურისა და კამისა ძირისა ქერქი შვიდისა დრამისა წონა, ანისონი ორისა დრამისა წონა, ჩამიჩი, კურკისაგან გამორჩეული ათისა დრამისა წონა და აბაჯარა, სამისა დრამისა წონა, დავასხათ ზედან სამი ლიტრა წყალი და ვადულოთ მანამდის, სანამდის რომე ერთს ლიტრად მოიყაროს, გაუწუროთ და ერთისა დრამისა წონა და ნახევარისა თარაჯი

ფიყარა გაურიოთ და შევასვათ თბილი, ფარეზსა ერთსა დღესა წინათ და მეორეს უკანით. თუ არ წავიდეს სიყვითლე, ესე გასახსნელი მიეც. აიღე ყვითელი ალილა ათი მიტყალი და საყმუნია დანგნახევარი, ათი მიტყალი თარანგუბინი, ოთხი დრამი ნიახურის თესლი, კამის თესლი ერთი მჯიდი, სემენეჟი ხუთი მიტყალი, ხიაშამბარი ასი მიტყალი, წყალი დაასხი და დააღბე, მერმე აღუღე, რომე მესამედი მოიყაროს, ალილა დანაყილი და გაცრილი გაურიე (59r) და საყმუნია სხვილად დანაყე და დანის ტართა ასრე გაურიე და შეასვი, ასრე რომე ფარეზი ექნას. თუ სიყვითლე თვალსა ანუ ტანსა დარჩეს მისი წამალი ეს არის. აიღე ერთი მიტყალი ბორა, ბოლოკისა წვენსა და კარგსა ღვინოსა შიგა გაურიე და კაცი აბანოსა შიგა ჩასვით და შეასვით და ოფლს ადენს და სიყვითლესა გაიღებს.

ყურსი რევანდისა. სიქანგუბინი ბუზურგითა მიეცი, დაიჭირე რევანდი ჩინი ერთი დრამი, თახბაში, ალილა, ყვითელი თურბუთი, სამისაგანვე ნახევარი დრამი, თუხმაქანი და რაზიანის თესლი, და ქანის თესლი, და ქუშუმი, ანისონი, საყმუნიას გარეთ თითოსაგან დრამ ნახევარი და საყმუნია ნახევარი დრამი, ეს ჯუმლად დანაყეთ და ჯულაბითა შეასვით. თუ წყურვილი მოუვიდეს წყალი ქასანისა სიქანგუბინითა ბუზურგითა მისცენ, მარგე არის. თესლი ქასანისა და წყალი თოხმაქანისა, და ბოლოკისა ფურცლისა, და წყალი ნარინჯისა სიქანგუბინითა, შეასვი, მარგი არის. **ცხრო შავისა ნაღვლისა, რომელი არს სევდა.** ამა ცხროსა სპარსულად თაბინარუმ ჰქვიან. მისი ნიშანი ეს იყოს. ერთსა დღესა მიეც და ორსა გაუშვებს, მეოთხესა (59v) კიდევე მოვა ამა ნიშნითა, ამა ცხროებასა შიგან ამისი უარესი ცხრო არ არის. თუ ძარღვთა შიგან დამაგრდეს და დაძველდეს ძნელად გამოიღების, ეს ცხრო ეგების ორს წელიწადსა არ გაეყაროს, იქნების ერთსა წელიწადსა გაგრძელდეს და თუ ერთობ კარგათ უწამლონ ნახევარ წლამდის მიყვების.

აფთიმონის მათბუხი ეს არის: აიღე აფთიმონი ათი დრამი, ალილა ხუთი დრამი, ჩამინი სიფისტონი მწყავი არის, ამათგან თხუთმეტ თხუთმეტი დრამი, სემენეჟი შვიდი დრამი, ასლასუსუ და ია თვითოსაგან ოთხოთხი დრამი, ესენი ორსა ლიტრსა წყალშიგა ჩაჰყარეთ და ერთსა დამესა დააღბეთ. მერმე აღუღეთ, ვირემ სამოცსა დრამზედა მოიყაროს, ცოტა თაფლი გაურიეთ, რომე მოატკბოს ხიაშამბარი და ინდოური ტყემალი, თუ არ იყოს შავი ქლიავე თვითოსაგან ათათი დრამი. ამა ნაღულარსა წყალშიგან გაურიე. თუ შირხიშტი არ იყოს ოცდახუთი დრამი თაფლი გაურიე. დანგნახევარი საყმუნია შიგან გაურიეთ და შეასვით, და ჳშირად აბანოს ებანებოდეს, და მაჭარსა სვემდეს, ანუ ღვინოსა. დღისით ფარეზი

უნდა, სადამოს მომსუქნოს საჭმელს აჭმევდით. **თუ ზაფრა იყოს მკურვალე** მაჯუ- (60r) ნი მიეც. თუ ზაფხული იყოს, ანუ შემოდგომა ეს მიეც. ამა ნიშნითა იცოდი კიბორჩხალი ცხრაფეკას ჰქვიან.. ერთი დედალი და ერთი მამალი. დედლის ნიშანი ეს არის, რომე ზურგი ნემსით მოუნხვლიტე, რომელსა რძე ამოუა დედალი არის და რომელსა სისხლი გამოუვა მამალი არის. დედალი ასრე უნდა მისი ფეკები დასჭრა, მერმე შუა შუა დასჭერ, მარილწყლითა გააცხელე, მერმე მარილწყლისაგან ამოიღე, ჩაჰყარე, ზედ ღვინო დაასხი ან ისევე მარილწყალი და პირი მოუგლისე, ამდონი აღუღე, რომე დადნეს, მერმე უკმოიღე, პირი მოკადეთ და გაანელეთ, ნახე და რადც სიმსუქნე ზეით მოეგდოს ის მოკადე და სხვა დაასხი, და ის სიმსუქნე ქონიანი ღვინით შეასვით. მისითა წესითა შვიდსა დღესა დიდუელად შეასვით. ვარდის ზეთი და ვარდის წყალი, და ძმარი ერთმანერთშიგან გაურიეთ, და გულის პირსა სცხებდით და უშველის. ესე ცხრო მუდამ ერთსა ჟამსა მოვა, დაიქციოს ის ჟამი და სხვასა ჟამსა მოვიდეს, იცოდი გაშვების ნიშანი არის. **ესე ცხრო შავის ნაველისაგან (60v)** ოდეს სისხლი და ყვითელი ნაღველი, და ბაღდაში დაიწვნეს, და შავად ნაველად შეიქნეს, მისგან შეიქნების, ესე ცხრო სცან. შემლილი ცხრონი მოვლენ ოთხისა დღისა ცხრო გამონდების, დიად სტანჯავს ტანსა, სანამდის არ გააკურვებს დაჰყოფს ტანსა. ესე ცხრო ოცდაათსა ჟამსა თუ შექნილ იყოს დამწვრისა, მისგან უმცროსსა დაჰყოფს. თუ იყოს მარტო შავის ნაველისაგან, შარდი თეთრი და წმინდა, თუ იყოს ყვითლისა დამწვრისაგან, შარდი ყვითელი, რად გაგრძელდეს ცხრო, შარდი გაუწითლდეს და ცხრო გაშვებასა ლამოდეს, შარდი გაუშავდეს. რად გაგრძელდეს, გასხვილდეს ძარღვის ცემა, ღვიძლი გაუდიდდეს და ფერი გაუშავდეს, ვითა ტყვია, განავალი გაუშავდეს, ოფლი არა დასდიოდეს, უფრო დაემართების ვაჟაკობისა ჟამსა. ვინც ჭამდეს ზროხისა ხორცსა, თევზსა და კალნაბსა, მუდამ ამათგან შეიქნების ესე ცხრო, სისხლისა, სევდისა, დამწვრისა ბაღდამისაგან შეიქნების, ნიშანი ცალცალკე გვითქვამს. თუ იყო კაცი მოყრილი და შემოდგომანი ბაღდამისა დამწვრისაგან შეიქნების, უწამლოდ მას. უწინ ვასვათ ქერის წყალი, სიქანგუბინი, (61r) კამის წყალი, ვარდკაჭაჭის წყალი, ანუ ნიახურის წყალი ვასვათ, მარცხენა კელის ბასალიკი გაუხსენ მკლავისა ქვეშე, ნაპირსა არის. მას უკან ესე მათბუხი შეასვით: აიღე ყვითელი ალილა და შავი. ორივე ცხრა დრამი, კურკისაგან გაწმენდილი, ინდოური ტყემალი, თუ არ იყოს შავი ქლიაგი წონა ათისა დრამისა, ხიშამბარი შვიდი დრამი, ნიახურისა და კამისა ძირის ქერქი ოც ოცი დრამი. ყველა მოვადულოთ და

შეასვი ერთი ლიტრა ბაღდაღური. **თუ ზაფრისგან იყოს**, უწინ შეასვით ქერის წყალი და მუავისა და ტკბილის ბროწეულისა წყალი და წყალი ინდაურისა ტყემლისა და კამისა, სიქანგუბინითა, ბუზურგითა: საჭმელი მაში შეუწყონ, ფარეზი სჯობს, რომ ცხრო არ გაგრძელდეს, ჭამდეს ხილსა, ტკბილსა ბროწეულსა, ნესესა. **თუ წაეკიდოს თავის ტკივილი**, ვასხმოდეთ თავსა ბაბუნაჯისა წყალსა და იასა და ქერის წყალსა. **თუ უძილობა დაემართოს** ცხვირთა ჩაუწვეთთ იის ზეთი და ვასვით სიქანგუბინი, შაქრით შექნილი. **თუ წაეკიდოს რწყევა**, უკუყენების წამალი სწერია, ის უყავით. **თუ ძალიანად იყოს** სნეული, რაოდენსაცა იმარხავს, მოაკლდების ცხროსა, სამსა კვირასა უკანით ვაჭამოთ ვარია, ქათამი, ჯოჯობი, (61v) მოხარშული თუ შემწვარი, რომელიც შეირგოს. ასრე იყოს და ორმოცსა დღესა უკან სხვა კორციცა ჭამოს, რომელიც შეერგოს. **თუ იყოს ესე ცხრო ბაღდამისა დამწვრისაგან**, ასრე უკურნოთ: ავიდოთ ნიახურისა და კამის წყალი, ნახევარი ლიტრისა წონა და უწინ ვაჭამოთ ათის დრამისა წონა ვარდის მწნილი და მერმე შევასვით ესე წამალი, და მუცელი ამით გაუხსნათ: ავიდოთ ნახევარი ლიტრა ხუართქლის წყალი და ხუთის დრამისა ქერქენოფისა თესლისა გული, და ათის დრამისა წონა შაქარი, ესე შევასვით და ვაჭამოთ ხვართქლა შექნილი და ჩამიჩი კურკისაგან გამორჩეული, ჭაკუნტლის ფურცელი და მისი ძირი, ბროწეულის ზეთითა. ცხროსა მოსღვისა უამსა შევასვით თბილი წყალი, შიგ ცერეცო მოდუღებული იყოს, თაფლი გაურიოთ და არწყიოს. რომელსა დღესა ცხრო მოუვიდეს ნურასა სჭამს, თუ გაუგრძელდეს და მწიფდეს ესე ცხრო, აიღე ათი დრამი სოინჯი, ნიახურის თესლი შვიდი დრამი, პირპილა ორი დრამი, ოთხი დრამი ზანჯაფილი, ათი დრამი წყლის ტენცო, (62r) ათი დრამი სალიხა, შვიდი დრამი ანისონი, შვიდი დრამი სუმბული, ამათითა ზომითა თაფლითა, პერულ მოჭდილითა, ესე წამალი ერთად დავნაყოთ და იმ თაფლითა შევზილოთ, დაცრილი ვასმ ყოველთა დღეთა ნიახურისა, კამისა ძირითა წყლითა, თვითოსა დრამსა. **სხვა წამალი ცხროსა**, რომელი ერგების ბრძანებითა ღ(მერ)თისათა: ავიდოთ ძვალი ღორისა, გამოკრათ მწვარსა და ცხროიანსა ყელსა შევაბათ, ერგების ღ(მერ)თითა. **სხვა**: კაცისა თხის წვერისა თმა, რომე ჯერე საძოვარსა არა გამოსრულ იყოს მწვარსა გამოჰკარ და ცხროიანსა სათაგვესა შეაბი. და უთქვამს ვისმე მკურნალთა, ვითა კაცმან ცხროიანმან მისი ტანისამოსი დედაკაცსა მშობიარესა ტანსა ჩააცვას და რაჟამს შობოს დედაკაცმა, ის ტანისამოსი მანვე კაცმა ჩაიცვას ტანსა, გაუშვას ცხრომან.

ცხრო ბალღამისა, რომელსა პრქვიან ანაფელოეს, მისი ნიშანი ეს არის: რად პირველად გააცხროს, ერთობ ცხლად არ იყოს და ხელ ფეკი სტიოდეს. და ტანზედა მუღმისად ცივად იყოს. და მიმედ და სიცხე, ჳურება და ცხრო სწორად იყოს, არა სწურდებოდეს, ქშინიდეს და მაჯაში (62v) სავსედ და გვიან გვიან სცემდეს. ესე ცხრო ზოგჯერ შეიპყრობს მეშვიდესა დღესა, ხან მეექვსესა, ხან მეათესა დღესა და თეთრსა არწყვინებდეს. მას სარწყვეი ვასვათ, ჳამის უკანით ბოლოკის წყალი, წითლის ლობიოს წყალი, ცერეცოთა და ტენცოთა მოდუღებული და არწყოს. ვასვათ საბრი დამბალი ერთი დრამი დღეთა მრავალთა და სამსა დღესა ჳულაბი ვასვათ. საჭმელი: ერთი წლის ცხვარი და ერთი წლის ქათამი, მოხარშული თუ შემწვარი, რომელიცა შეირგოს და წყალღვინო. სამარხოლ: ბრინჯი, მუსულო, ესენი. ესე ცხრო გრძელია, შემოდგომათა შეიპყრობს და გაზაფხულ გაუმეგებს. თუ გაგრძელდეს ესე ცხრო შეუღბეთ მუცელი ამითა: მიესცეთ ჳაკუნტელის ძირი და ვასვათ, ნიახურისა და კამისა წყალი გულანგუბინითა და ბალღმის გასადები გასაკსნელი ვასვათ. **ცხრო უხარშავისა ბალღმისაგან წაეკიდოს.** მისი ნიშანი იყოს: ღამით იყოს, თუ დღისით მოვა, არ მიანდეს წამალი მისი, ყოველი ტანი მისი იისა ჳეთითა დაიხილოს და სიქანგუბინი გასაკსნელი ჳულაბითა, წყლითა ოთხი მიტყალი გაღესე, ცოტა ქერის წყალი გაურივე და (63r) შეასვი. თუ არ უშველოს, ნიახურის თესლი წყლითა ადუღე, ნახევრად მოიყაროს, სიქანგუბინშიგან ექვსი დრამი გაღესე და შეასვი.

ცხრო დიყისა პირველთა აქიმთა გრძლად თქვეს და ჩვენ დაგვიმოკლებია ესეცა და სხვა ცხროცა. **დიყისა ნიშანი** ეს იყოს, არცა ღია ცივი ტანზედა, ტანი უმჭლდებოდეს, თმა სცვიოდეს, ფერი ზოგჯერ და ზოგჯერ ყვითლად იყოს, ფეკები და მკლავები, ცხვირის წვერი და ყელი დაუწვრილდენ, თვალნი ღრმად უკუცვივდენ, თმა, წვერი, ორად გაყოფილი იყოს, მუცელშიგა რბილად იქნების. წამალი შემკერელი საჭმლისაგან, მუღამ ქერის კორკოტი, ვარიათა, წყალღვინო, ფრინგელის კორცი ვაშლის წვერითა შეუწყონ და სხვა წამალი მისი: აიღე ალილა ყვითელი და შავი შვიდი დრამი, სენემქემი და ჩამიხი თუთხმეტი დრამი, ყვითელი ღედვი და მწყავი ათი დრამი, ია და ვარდი, მრავალძარღვას თესლი ხუთხუთი დრამი, თურბუთი, გულნარი სამსამი დრამი. ესე წამლები სამსა ღიტრასა წყალთა ასრე ადუღე სამოცი დრამი დარჩეს. მოიღე ხიარშამბარი, ინდოური ტყემალი და თაფლი, (63v) ამათგან ათათი დრამი თბილის წყლით დააღბე, გამოწურე და ეს წყალი იმ ნადუღებს წყალშიდა გაურივე. მასტაქი და მარილი ნახევარნახევარი მიტყალი, საყმუნია დანგ

ნახევარი და გაცერ და ერთმანერთშივა ურიე, თბილ თბილის წყლითა შეასვი და ბროწეულის შარბათითა ასვემდით. ხუთ ხუთი მიტყალი გაურიე სიქანგუბინი, რად გასწორდეს ისრე ასვემდე. კიდევ საჭმელი: ქერის კორკოტი მოხალული, ისრიმის წვენიტა, ანუ თუთუბოთა, ანუ კოწახურის წყლითა, წვენიტა კორცსა, კოვობსა და ქათამსა აჭმევდით. თუ შარდი წითელი იყოს, ბროწეულის შარბათს ასვემდით. კოწახურის წვენსაცა ასვემდით. შარდი ფერთეთრი იყოს, სიგრილე მორვეია, ყოველთა მესამესა დღესა ზანჯაფილისა მაჯუნსა აჭმევდე, ყოველთა დღეთა უზმათ მასტაგითა, ანისონითა, გულანგუბინითა სჭამოს, ჯურეება და ცხელება დასწენარდეს, თუ რიგი იქციოს, შემწვარი ქათამი აჭამე.

ცხრო – მუტბიდ პრქვიან. მისი ნიშანი ეს იყოს: მუდამ აცხროვებდეს, დღივ და დღივ დნებოდეს. ესე ცხრო სხვის ცხროსაგან უარესი ცხრო არის, ამისი სიყვითლე იარაყანსა ჰგავს, თვალეები უკუსცივი (64r) ვდეს, თმა წვერი სცვიოდეს, კელ-ფევი გაუწვრილდენ. წამალი მისი: მუდამ ბროწეულისა შარბათსა ასვემდეს, ამისთვის რომე შეკრვით ამყოფოს. თუ გახსნას, ავი ნიშანი არის. საჭმელი მისი: კოვობი, ქათამი შემწვარი. სამარხო: ქერის წვენი, მოკალული ქერისაგან, ისრიმი, ტყემალი, კოწახური მიეცი. **ეს მ(უ)ტბიდი ცხროდ თუ ზაფრისგან იყოს,** მისი ნიშანი: ჭკუა შესცლოდეს, პირის სახე გაუყვითლდეს, დიდი ხნის ნა(ა)ვადმყოფესა ჰგავდეს. წამალი მისი: მუავე ბროწეულის წვენი ჯულაბშია გაურიეთ და ქერი წყლითა სამივე ერთად შეასვი და მის ადგილსა თავისთვის იყოს. თეთრი სანდალი, ვარდის წყალი, ძმარი სამივე ერთად გალესე და შუბლსა შესცხე. საჭმელი მისი: დანაყილი ოსპი, ბროწეულისა და ტყემლის წვენი, აყირო და ქინძი, ჭაკუნტლის ფურცელი. ესენი საჭამადად მოხარშე, დანაყილი გაურიე და სჭამდეს. ცხრო, რომე ყვითლისაგან იქნების, მისი ნიშანი: ერთბილი ტანი ცეცხლივითა, თვალნი გაუწითლდენ, თავი ასტკივდენ, ტანმა ქაილი დაუწყოს, ჭკუაც შეეცვალოს, გულში შიში ჩავარდნოდეს, წყურვილიცა დააწყებინოს, სამსა დღესა (64v) უკლებლად ზურგი და წელი სტკიოდეს და ასრე იყოს, იცოდი ყვავილია. რად ესე შეიტყო კელი გაუტყუნ, ანუ კვატუში მოჰკიდე, ღიმო შ(ა)რბათი ასვი, ქაფური და ყურსი ასვი, ეს არის აიღე თუხმაქანი, წითელი ვარდი, ქასნის თესლი, სამყიარაბი, შაქარი, თვითოსგან თვითო მიტყალი და ქაფური, თუ არ იყოს თეთრი სანდალი ნახევარი დანგი. ეს ყველა დანაყე და გაცერ, ვარდის წყლითა დაზიდე, ყურსად შექენ, სამსა დღესა ჯულაბშიგან იყოს, როდესაც უნდეს სჭამდეს, ბროწეულისა წვენიცა ვასვათ. მანამდის ყვაილი გამოვიდოდეს ხილთა წყალი შესვან, შირხიშტი თაბრინდითა, ჩამიხი

აჭამონ. ოსპი მოადუღონ და შეასვან. თუ სიცივე იყოს ხურმა აჭამონ, ყვაილისა ყველაჲ გამოიყვანს.

ჯალინოზ ბრძანებს: ვითა ყვაილისა მიზეზი სისხლისგან იქნების. ყმაწვილი დედის მუცელშიგან სჭამს, ღამით იზრდების, ის სისხლი არის, რომე დედაკ(ა)კს წესი წაეკიდების, ტანი მით გაიწმიდოს. **სხვა ბრძენთ უბრძანებია:** როგორცა ყურძენი დასწურო და ქვევრში ჩაასხა, ადუღდეს და დაწმდეს, და ქაფი ზედ მოიგდოს, და თხლე ძირს წავიდეს, ამა წესითა ყვაილი იქნების, ადუღების (65r) სისხლი და დაწმარდების, და ყვაილი გარე გამოვა. ზოგს ახალ მოწიფულობაშიგან, ზოგს ბერობაშიგან, ზოგს ყმაწვილსა. **რაჟამს შეიტყო ყვაილი გამოესხას,** ფიცხლა კელი გაუკსენ, ყიფალი მკლავისა სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის, ანუ ბასალიკი ქუეშე ნაპირსა არის, რადც შეეძლოს სისხლი ადინე, გამოსვლამდისი გაუკსენ, გამოიჩინას უკან ქერის წყალი მიეც, ურნაბითა და ოსპითა მოდუღებული სიქანგუბინი მიეც, კიტრის თესლი და ცერეცოს თესლი შაქრითა, ანუ თაფლითა შექენ და აჭამე. თუ ბევრი სისხლი ადინო ქერის წყალსა, დიად საგრილოსა ნულარ აჭმევე, ტირიფის ფურცელსა ზედა დაწვინე, მერმე ეს წამალი მიეც, სრულად გამოჰყაროს. დანაყილი ოსპი ათი დრამი, ქათირა არ იყოს, მისად სანაცვლოდ და ღაბღაბისა თესლი სამი დრამი. ესენი ქოთანშია ჩაყარე, წყლითა ადუღე, რომ სამისა წილისაგან ერთი დარჩეს. გასწურე წმინდად, შიგან ცოტა ერბო გაურივე და შეასვი. მაგრამ ყვაილისაგან უწინ ამას მოიჭირევე, რომე თვალშიგან არა მოუვიდეს. წამალი მისი ეს ქენ: აიღე თუთუბო, ვარდის წყლითა და ძმრითა დააღბე და ცოტა მჟავე ბროწ- (65v) ეულის წვენი გაურივე და თვალშიგან ჩაუწვეთე. მერმე ყვაილი აღარა გამოუვიდეს. სხვა წამალი მისსივე: აიღე გარ(ე)ცხილი თუთა, წმიდად დანაყილი და გარ(ე)ცხილი ნედლისა ქინძისა წუენი გაურივე და ცოტა მოადუღე, და თვალშიგან ამოაგლე და თვალი შეინახოს, რომე თვალშიდა ყვაილი აღარა ამოუვიდეს. **თუ თვალშიგა ყვაილი** ამოვიდეს, მერმე ეს წამალი ჰქენ: აიღე ასპანუჯი, კურმისა ქვად და სალესავზედა დაფშვნიტე, მერმე აიღე კმელისა ქინძისა თესლი და სხვილად დანაყე, თბილითა წყლითა დააღბე და გამოწურე, ცოტა ქაფური გაურივე და ან თეთრი სანდალი, და ამა სალესავზედა დააწუტოე და კარგად გალესე და თვალშიგან უწუეთე და მუცელი გაუკსენი თარანგუბინითა, ანუ ხიაშამბარითა და ურნაბითა და შავი ქლიავითა შეიდსა დღესა უკანით მუცელი ასრე შეუნახე, რომე არ გაუხსნა, თვარემ მოკვდების და რად ესე სნეულობა გათავდეს, თვითან გაიხსნის მუცელსა, თვალისა ყვაილი არა გამოვიდეს და შიგნით დარჩეს, ბოლოსა ის

გაკნის გონებასა. თუ გახსნას მიეც ბია და ვაშლი და ბროწეული, თუ გამაგრდეს, მიეც ტაბაშირისა ყურსი, მჟავიანასა თესლისა (66r) თანა, ამა წესითა: აიღე ტაბაშირი და თეთრი აბალარი, კმელი ვარდი და კოწახური, სამყი არაბი და მოხალული და წაბლი, თვითოსაგან სამსამი დრამი, სომხური თიკა და ბერძული თიკა, თვითოსაგან ხუთი დრამი, მჟავანას თესლი ექვსი დრამი და დანაყე, გაცერ, ბიისა წვენითა ყურსები შექენ და ჩრდილსა გააკმე, რად მოგინდეს მიეც ერთი დრამი, ანუ ერთი მიტყალი, რადცა სნეულსა შეეძლოს სხლისა, ანუ მჟავისა ვაშლისა წვენითა. სატმელად ოსპი და წირანი, აყირო საჭამადად ჰქნან და აჭამე, ყოვლის ფერის კორცისგან ფარეზი ქნას, ნურას ფერსა კორცსა ნუ სჭამს, სანამდის ტანი არ გაწმდეს ცხროსაგან. **რად ყვაილი გაკმეს.** ეს ტლე შექენ და დასდევ: კუარბლის ფქვილი, ქერის ფქვილი, ფეტვის ფქვილი, ზაფრანა და ნიშასტაგი ერთად დანაყე, გაცერ და ვარდის წყლითა ტლედ შექენ და ნელთბილი სადაც გინდოდეს დასდევ.

თუ პირში გამოაყაროს ან ცხვირის წვერშიგან, პირშიგან ბიის გულის ლაბი დააჭირვინე, ანუ მრავალძარღვასი, ანუ ცხვირი შიგნით ვარდის ზეთითა გამოუწმინდე და არამც ყვაილიანისა ტანისათვის ზეთი მოვიხვედრებია არა პირველ, არცა უკანის, თვარამ ზიანი არის. თუ ზამთრის (66v) იყოს ყვაილი და ერთობ სიცივე იყოს, წინა ცეცხლი დაუგზენით მაყულისა შეშისა, ანუ ტირიფის შეშისა, ანუ მუხის შეშისა. **იცოდით რომე ყვაილი ფერად ფერადი არის:** იისა ფერი, შავი, წითელი და მაგარი, ბრტყელი ერთმან ერთისა მოკიდებული და ყვითელი და კალის ფერი და თეთრი. რომელი იისფერი იყოს და ან შავი, ავი არის და საფათერაკო. თუ წვრილი იყოს და მაგარი, იისფერსა და შავსა ესე კიდევ უარესი არის, მისი წამალი ზემო დაგვიწერია, ის უყავით. თუ ერთობ კშირად ერთმანერთისა მოკიდებით გამოესხას პირშიგანც და ყოველგან, ერთობ ზიანი არის. თუ პირსა ნაყვაილვეი დაანდეს აიღე ქალბანა და წითელი წამალი, დანაყე, ძმრითა გაქენ და პირზედა შემოსდევ და გაწმიდოს. **მისთვისვე სენისათვის:** აიღე ტახისა ღორისა მძღნერი, დაწვი და დანაყე, ვარდის ზეთითა გაქენ და პირსა შესცხე და უშველის ღ(მერ)თითა. **თუ პირზედა შავი იყოს ოსპის ოდენი** ყვითელი საკმეველი და ზურმა დანაყე, ერთმანერთში გაურთვე და პირზედა შემოსდევ. ზოგსა სიბერისა ჟამსა, ზოგსა ვაჟკაცობისა ჟამსა და ზოგსა ყმაწვილობისა, რომ გამოესხმის, ეს ამისთვის, რომე თუ ყმაწვილსა გუნება ძალიან იყოს და სისხლი სველი, გვიან აღუდღების და არ გამოესხმის სიბერისა დრომდის, თუ ყმაწვილისა გუნე- (67r) ბა და სისხლი თხელი იყოს ფიცხლად

აღუღდების, ყმაწვილობასავე გამოეხმის. აწე ვისაცა არა სხმოდეს, ამას კაცი უნდა ერიდებოდეს, გ(ა)რდამდებია.

ცხრომ რომე დიდის ღვინისაგან დაემართების, წამალი მისი: აიღე ბროწეულის წვენი და სიქანგუბინი გაურივე და ხუთხუთი დრამი ასვი და ვარდის წყლითა ქაფური ან თეთრი სანდალი და ძმარი გაურივე, გაღესე და გულისპირსა და შუბლზედა სცხე და აბანოსა იბანოს, თვარამ კელი გაუკნას და ერგოს ღ(მერ)თითა. **ცხრომ რომე სხმისა და ავის ქარისაგან** დაემართების. წამალი მისი ეს არის: გასახსნელი წამალი ააღებინე რადც სენი იყოს გამიღოს ალილას წვენითა და სემენეჭი, ინდოური ტყემალი ან შავი ქლიავი და ხიარშამბრის გული, თარანგუბინი. ეს წამლები გასაგსნელი თვითოსგან ხუთხუთი დრამი ალილას წყლითა შეასვი და ნუშის ზეთითა ტანი დაიზილოს, კელიც გაიხსნას. **ცხრომ კუელისა და სურდოსა**, ისი რომე მოლურჯო მოშაო ცოტად კალის ფერად იყოს ისი ავი და მკლველი არის. მისი ნიშანი. წამალი ეს არის გასახსნელი მიეც ყვითლისა ალილასა წვენი, თარანგუბინი, ხიარშამბრისა გული, თვითოსგან ხუთხუთი დრამი გაღესე, გამოწურე, ერთი დანგი საყმენია გაურივე (67v) და შეასვი, რად საქმობა დაიწყოს მისგან გამოვიდეს. მესამესა დღესა კელი გაუკნეს რადც ტკბილი იყოს ყველასგან იფარეზოს, ღვინისაგან იფარეზოს, გახსნას უკან ქერის კორკოტითა ჯულაბი სესვას. კურგება უკუაყენოს, აბანოსა ებანოს და რად გამოვიდეს აბანოდამა კელი და ფეჭი კიტრის წყლითა დაიზილოს, ტირიფის ფურცელი და ხათმის მუდამ საგებელთა დაიყაროს და ვარდის ზეთითა და ნიახურის წვენითა ერთობილ ტანი დაიზილოს და საჭმელი მაში და ახალი აყირო საჭამად შექნან ანუ ახალი ისპანახი და მაშასა კვერცხის გული შიგან გაურიონ. თუ ემწარებოდეს შაქარი გაურიონ ეშველების ღ(მერ)თითა. **ცხრომ რომე შიმშილისა და წყურვილისაგან შეექნას**, მისი წამალი: ქერის წვენი შექნან მჭურვალისა ჯულაბითა შეასვან სამსა დღესა ცხელი, სამსა დღესა გულბა შაქარი შეასვან ჯულაბითა მოღუღებული იის წყალითა გაათბონ და შეასვან კოვობისა და ქათმისაგან კორცითა საჭამედ შეუწყობდენ. ძირა, ქარვა, კამა და თეთრი შაქარი და სანდალი ქანის წყლითა გაღესული შიგან გაურივე, კიდევ შეასვი და კიდევ შესცხეთ, მისი ნიშანი იყოს: თუ ზაფხული იყოს წისქვილისა რუმიგან იბანოს და თუ ზამთარი იყოს აბანოშიგან იბანოს. **ცხრომ რომე მეთერთმეტე დღესა მოვიდოდეს** მისი ნიშანი და მი- (68r) იზეზი: სევდისა ნავლისა სისკისაგან იქნების: მისი ნივთი სხვის ცხროსაგან უფრო სველი, მაგარი, ზომისაგან მისთვის გრძლად იზიდვის და გვიან მოვა მისი დამწიფება. **თუ ცხრო მღიერი იყოს**,

მისი ნივთი გვიან მოვა და ცოტა წამალი მისი: სნეულობასა წინათ მუცელი გაურბილთ ამ წესითა: აიღე აფთიმონი ანუ მისი სანაცვლო, რომელიც იყოს ორი დრამი, მოადუღე ოთხის დრამის წყლითა ნუშის ზეთი, ქათირა ანუ მისი სანაცვლო გაურიე და შეასვი ორჯერ სამჯერ. **თუ ცხროდ ძლიერი იყოს**, იმისი თრთოლა სიცივე ცოტა იყოს. პილპილას მაჯუნი რადც ამათ შეეფერებოდეს აჭამეთ და მესამეს და მეოთხესა დღესა აბანოს იქმოდეს. **ისაკ ბრძანებს**: თუ ამა ცხროსა თანა ძრწოლა არა იყოს და ცხროდ ერთობ იყოს ბასალიკი გაუხსენ მკლავსა ქვეშე ნაპირსა არის. თუ ამა ცხროდსათანა ტანშიგა ცხელება იყოს და მოსლეისა დროსა პირსა ქაფი მოვიდოდეს, ქაღბანის მაჯუნი მიეც. თუ ეგე ნიშნები არ იყოს რომე ვთქვით, ესე ცხრო ცხელისა სნეულობისა ბოლოსა შეექნას. მისი თათბირი ეს არის, რომე გუნება ნიადაგ გახსნით შეინახოს. ამა წამლითა რომე სევედა გაწმიდოს და ფრთხილად შეინახოს ყოველისა ფერისა საჭმლისაგან, რომელიცა შეერგოს.

(68v) **კარი ძნელად შობისა. დედაკაცსა რომე ძნელად შობდეს**, თუ აბანო იყოს იბანოს, თუ არა თბილსა წყალსა შიგან ტანისა ზელითა დაიხილოს. საზრდელი მისი ეს არის: ქათმის ქონითა ცვილი სწორსწორი ერთმანერთსა გაურივე, ორი თავი კაკვი შეწვას და შიგან გაურიოს, ესე თბილად უნდა შეიხილოს. ულბო და ხურმა მოხარშე და მიეც, რომ სჭამოს. თუ არ უშველოს ალთირი, ჯავშირი და ზირა ორ ორი დრამი დანაყე და მაჯუნად შექენ, და თაფლითა აჭამე, და რადც რბილი საჭმელი იყოს ზირათა აჭამე. ვარიათა და მსუქნისა თოხლისა ჯორცითა ხარშო, ქერის კორკოტისა წვენი და ჯუღაბი ნუშის ზეთითა გაურივე, და აჭამე. ძნელად შობისა მიზეზი ერთი მისგან იქნების, რომე დიდი ავადყოფნა გარდეკადოს და სუსტად იყოს, და ერთი მისგან, რომ სხვა მის მეტი არ ეშობოს და დედაკაცი ცოტა იყოს, მისგან საშიშარი არის. ერთი მისგან იქნების, რომე ყმაწვილი დიდი იყოს ან თავი გასდიდებოდეს. ერთი მის- (69r) ითა რომე ყმაწვილი ცოტა იყოს სუბუქი და მისითა ბედითა ძალი ვერ მისცეს და ძნელად ჩამოვიდეს, ერთი მისგან რომე ყმაწვილი უძლურად იყოს და ან მკვდარი და მისი გამოსლევისა ღონე არ ეყოს, ერთი მისგან, რომე ყმაწვილი უკუღმა მოვიდოდეს ფერჯისაკენ ანუ მუკლისაკენ, ანუ გუერდით. წამალი ძნელად შობისა, რადსაც მიზეზისაგან იყოს ესე არის: აიღე ულბოსა და მოლოქისა ნადუღები და სელის ლაბი და შირბახტის ზეთი ერთმან ერთშიგა გაურივე და ზურგსა და საპარსავსა და ბარკალსა

გარე შემოსდევე და²⁹¹ ბაბუნაჯის ზეთითა და ცერეცოსა ზეთითა ისრე დაუზილვე და უღბოსა და სელი ნაღუღებსა შიგან ჩასვი, ასრე რომე ჭიპამდი შიგ ჩაჯდეს. უბრძანე რომე ცოტა ისე(ი)რნოს, მერმე მუკლზედა უკუჯდეს და ერთა ფერკსა ზედა აღდგეს ბერჯელ, წესითა იქცეოდეს და შობდეს, დაჯდებოდეს და თავისი სულთქმა შეიზიდოს, გაღმა აჭირვებდეს და ცხვირთა დაცემის წამალი აკმარე. პილპილა და აბუტარატი დანაყუთ და ისუნოს, რომე ცხვირთა დასცეს და ოთხი მიტყალი კიტრის ტყავი დანაყილი და გაცრილი მიეც და მასვე წამსა გამოვა ყმაწვილი. (69v) **სხვა წამალი:** დარიჩინი, თახვის ყვერი, ტყიური, რომელიცა ამა დედაკაცისა გუნებასა უკედ დაშვენდებოდეს მიეც და ადვილად შობს. **სხვა აბი,** რომე ამა საქმისათვის გამოცდილი არის, აიღე დარიჩინი და ფუფული ათ ათი დრამი და სალიხა შვიდი დრამი, ყურფა და მური და მრგუალი ზარავანდი და ყუსტი, ამათგან ხუთ ხუთი დრამი, შავი საკმეველი, აფიონი, მუშვი დანგნახევიარი, ყველა დანაყე და აბი შექენ როგორც წესი არის, მისი შარბათი სამი მიტყალი თექვსმეტი მიტყალი ღვინითა, თუ ამ აბშიგა ერთი დრამი აფიონი გაურიოს უკეთესი იქნების. **მაჯუნი ძნელად შობისა.** აქიმნი ამაზედა გამონახულან, რომე ამის სწორი არა წამალი არის, დედათა ძნელად შობისათვის. მური, თახვის ყვერი, შავი საკმეველი თვითო მიტყალი, დარიჩინი ნახევიარი მიტყალი, (ფ)უფული ნახევიარი მიტყალი, ყველა დანაყე და თაფლითა შეზილვე, შარბათი ორი მიტყალი ძველის ღვინითა მიეც. **სხვა ძნელად შობისათვის.** დაფის წვენი, შამინდალის ნაღუღართ მატყლის ჭოთი დაასოლე და აღებინე, და უშველოს. **სხვა** გრძელი ზარვანდი დანაყილი მატყლის ჭოთითა ააღებინე. **სხვა** აიღე შავი საბრაყი, ჯავშირი, ძროხის ნავლ- (70r) ელი სწორ სწორი ქენ და შავად შექენ და აღებინე, მკუღარიც და ცოცხალიც ადვილად გამოიყვანოს. ყმაწვილი ქუეშე შეუკმიო. **მისი წამალი** ქოთანშიდა ცეცხლი ჩაყარე, შიდ ტრედის სკინტლი ჩაყარე და შეუკმიე და ყმაწვილს გამოიყვანს. გოგირდიც და გუელის პერანგიც უკმიე, ყმაწვილს არ მოკლავს ისრე გამოიყვანს, ძოწი მარჯვენასა მკლავსა, ანუ ბარკ(ა)ლსა ისიც კარგია, ვირის ქაჩაჩი დაწვი და საპარსველზედა ტლედ, ისიც კარგია. ცხენისა და ვირის ქაჩაჩი და მლაშის თევზისა შეუკმოვლე ყმაწვილს გამოიყვანს, ყოველის ფერი უკეთესი ის არის, რომე დედას ძალი მისცეს კარგითა შარბათებითა, ჯორცის წვენითა და თორხლოს კვერცხის გულითა და მსუქნის ქათმის წვენითა. **მისთვისვე.** ხვადის დათვის ნაღველი ცერცვის ზომა შეზილვე

²⁹¹ ტექსტში „და“ გამეორებულია.

წყლითა, უფრო ღვინით გაღვსული სვას და შობს. **მისთვისვე**, შობა გაუგრძელდეს. სოინჯი მოხარშე და მისი წვენი ასვი და ვერცხლის წყალიც ასვი ცოტა. ორსული, ქინძი, ნესვის თესლი, საზამთროს თესლი, ხვარბალი მოხარშე, გაახმე, მერმე დაფქვი და ხაფიად შექენ და თაფლითა აჭამე. (70v) თუ საშო გაუმავრდეს ნახევარი ლადანა დანაყე და თაფლითა აჭამე, საშო დაუღბოს. თუ შვილი მუცელსა შინა მომკუდარი იყოს, მასაც დააგდებინოს, თმასაც დაამავრებს.

სხვა ერთი ბალდმის წამალი ეს არის. აბუსალათინი ხუთი იყოს თუ ექესი და აფთიმონი კაკალი დანაყე, თევზის წამალი, დანაყილი გუნდა, უმარილო თათრული ცოტა აზავი, ირმის რქა, ხელის საღებავი გამკმარი, გაცრილი, ირმის ტყავი დამწვარი, გაცრილი, ცოტა თეთრი საკმეველი, ჯაოზი, ორი კოჭი სანელებელი, ეს ყველა დანაყილი გაცრილი სიონა, შკამუნია, თუ იშოვნო ისინიც გაცრილი, დანაყილი, შკამუნია რკინა წილდას ჰგავს, ტაფაზედ უნდა გაახმო ისრე დანაყვა უნდა. თუ ეს ორი ვერ იშოვნო ეს ქენით, სხვად ზეით ამ ორს გარეთ რომ სწერია. მოიღე ბია, გასთაღე, მოხარშე და დანაყე და ეს გაცრილი წამლები შიგ ჩაყარე, დაშუშე, ამოიღე და კოლოფში შეინახე. თუ ვისმე ბალდმის წამალი უნდოდეს ოთხს დანის პირს მიართმიდე. თუ შაქარი არ იყოს ბია არ უნდა. (71r) ეს წამლები თაფლითა დაზილე და ისრე აჭამე, წინა დამეს დაათმინე ხინკილა ბრინჯის წყალი მოახრურეტინე. თუ ბრინჯიც სჭამოს ხარისძირა მოუყარე ზედა ოთხი კოვზი ის მოახრურეტინე ოთხი, მერმე კარის ძირას ნუღარ ურევე, ისრე ცარიელი მოახრურეტინე. მეორე დღეს ეს წამალი მიეც, მზე რომ მოეფინოს ისაქმებს, რად რომ შუა საქმობაზედა მივიდეს ძველის ქათმისა მსუქნისა ნახარში დააღვეინე თბილი უმარილო, თუ ბერი იყოს, თბილი სველი დააღვეინე, რომ საქმობა გაათაოს, ძველი ქათამი ბრინჯით გაკეთებული ორი კაკალი ნიგუზითა, მაკიდონის ფურცლითა, კამის ძირითა აჭამე, ან კარვის ღომითა, თვარამ კარვის პურისაგან შიგ ჩაუტეხე, წყალღვინო ასვით, მესამესა დღესა მკლავი გაუკსენ, მეექვსესა დღესა აბანო ქნას.

კარი წყლით ორსულობისა. წყლით ორსულობა თუ დაემართოს დედაკაცსა, ბევრსა დედაკაცსა ჰგონია მართალი ორსულობა არის. მაგრამ არ არის მართალი ორსულობა ასრე ბრძანეს ბრძენთა და ფილასოფოსთა (71v) ვითა რაჯამს გაუსუსურდეს ღვიძლი სივრილითა და ტყირპი შეეკრვიან, მათნი სავალნი ძარღვნი და მერმე სისხლი დაშავდების, სივრილეძან და სიმყრალეძან ბალდმისაგან გარყუნას, და როგორაცა რძედ გარდაიქცედ, და წყლად, და ყოველმან ასომან ესე არს რომე ძარღუძან

წყალი შობოს და მაშინ გაასივებს ბუმტსა და მერმე შემოვალს მუცელსა. მისი ნიშანი ეს არის: გაუსივდენ ფერჭნი და წვივნი და მუცელნი, როგორცა სისხლისა უფალსა. იცოდი წყლითმაკობა ხუთგვარი არის, სახელი მათი: ერთისა ახტიცე, მეორისა სახელი ტიბანიცა, მესამისა სახელი კაწარსარკე, მეოთხისა სახელი კულეგამატოს, მეხუთისა სახელი დეუეფონოს. ეს არს სახელები წყალთ მაკობისა. **ნიშანი ახტიცესი**, თითები დაუწვრილდენ, მკლავნი და ნიდაყენი და ბარკალნი და მკერდნი გამკმარ იყოს, ასრე რომე ძვლები და სახსარი ჩნდეს და მუცელი დიდისა ორსულობისაგან უფროსი იყოს და მუცელზედან ძარღვები, სიმსივნისაგან გაშავებულნი. **ნიშანი ტიბანიცესი** ესე იყოს, რომე დიდად გაბერილი იყოს თავით ფერჭამდისინ და ტკივილი ერთობ იყოს წყლის ნოტიობისაგან. **ნიშანი დიოფენესი** ფერჭნი და წვივნი გასივებულ იყვნეს, (72r) სული უგუბდებოდეს. **ნიშანი კაწარსარკესი ის არის**, რომე ნახევრობამდის ავსებულ იყოს. ესე არიან ნიშანი წყლით მაკეთა უწინ შეტყობა უნდა და მერმე წამლობა. **სხვა ნიშანი**. ჳელ ფერჭნი დაუსივდენ და ტუტა წოთბილი ასვი და ერგოს ბრძანებითა ღ(მერ)თისათა და რადც სისხლსა წამალი ერგების, ისეე ამას ერგების. წამალი მისი აიღე აქლემის რძე ერთი ლიტრა და ქოთანსა ჩაასხი და იმდონი წყალი გაურივე და აღუღე ვირემ წყალი წავედეს და რძე დარჩეს და თაფლი პერულმოჯდილი ოცდაათისა დრამისა წონა და პილპილა სამისა დრამისა წონა, დარიფორფილი ექვისისა დრამისა წონა ესე ჩაურთე. ურიე დიდად და შეასმიდი, ვითარც უშვებდი ყოველთა დღეთა თვითოს ლიტრას ასვემდით ამით სახავებლითა საჭამადს მკურვალსა მისცემდით პურსა მკურვალსა მფუანსა, კვერცხსა შეგორებულსა და შვიდ დღემდისი მოსჯობდეს თუ ღ(მერ)თსა უნდეს. **წყლით მაკობისათვის**. აიღე საქბინაჯი, ქალბანასა ჰქვიან და გომიზი არაბი, საბრი, ღარიყონი, ესენი სწორნი, სწორითა დანაყე და წყლითა შეზიღე და მარცვლად შექენ და შეასვი ორის დრამისა წონა ღვინითა. (72v) წყლით მაკობისათვის. აიღე ქალბანა და საბრი თვითოსა დრამისა წონა, საყმუნია ორისა დანგისა წონა, ჯინჭრის თესლი ორის დრამის წონა. ეს ყველა ასრე მარცვლად შექენ, მისგან შესმა ორის დრამისა წონა წყლითა თბილითა. **მისთვისეე**. აიღე ბოსტანთა შროშნის ძირი საშუარსა ჰქვიან, წვრილად დანაყე და თაფლითა უგბოლველითა აჭამე სამსა დღესა სამ სამი კოვზი. **მისთვისეე**. თხის კურკლი თხისავე ფსელითა ანუ ყმაწვილის ფსელითა შეაგბე და მუცელსა ერთსა ჟამსა შემოსდევ და უცვლიდი მრავალჯერ. და ვაცი წალისა ფსელი ასვი. **მისთვისეე**. სათხეგარი წამალი ასვი, ბოლოკი მწუხრსა ძმარსა ჩაჰყარე ცხარსა და

დილეულ თაფლითა შეაგბოლე და აჭამე და რად გაათაოს თბილი წყალი სვას და ანთხიოს. **წყალთ მაკობისათვის.** ველური ნიორი ჩასჭერ ერბოსა ზროხისასა და კარგათ შეგბოლე, რომე დაჩვილდეს ერთ ჟამ ასვი ხუთი ჭაშაგი და მწუხრსა ორი ჭაშაგი დამარხე თუ უსუსურად იყოს და დილეულად ასვი და მწუხრამდე ამარხე და აჭამე სპეტაგი ჯორცი, ნიორი (73r) და ბოლოკი და ერგოს თუ ღ(მერ)თსა უნდეს.

სხვა ნიშანი ორსულობისა. თუ ღია საგონებელსა შიგან იყოს და თუ არა დედაკაცსა კეითხე, მაშინ რომ ქმარი დაგიწვების ბარკალსა შინა და საშვილესა გარეშემო სინედლეს თუ არაო, თუ ასე თქვას იცოდი ორსულია. **სხვა ნიშანი:** თუ პირისა სახე შესცვალეობდეს იცოდი ორსულია და თუ შებლსა შინა ნიშანი რადმე გამოჩნდეს იცოდი რომე ორსულია. ნიშანი ორსულისა დედაკაცისა ქალსა შობს თუ ვაჟსა დედაკაცსა პირსა დახედე. თუ პირის სახე წმინდა იყოს ქაღალდივითა და დაწვი წითელი, იცოდი ვაჟი არის. აგრევე სიარულშიდა. თუ მარჯვენა ფეკი უწინ წასდგას იცოდი ვაჟია, და თუ მარცხენა უწინ წასდგას და ქალია. ნახე და თუ ძუძუ მარჯვენა ძუძუ ნათლად იყოს და ძვრა სუბუქად იყოს ვაჟია.

კარი ყმაწვილის გაზღისა. ძიძა ასეთი გამოარჩიონ, რომე კარგის ზნისა იყოს, ბერი არ იყოს და ტანშიდა მიზეზი არა იყოს, ჭკუიანი იყოს, სიარულზედა მძიმე არ იყოს, ყოვლის ტანისაგან უმიზეზო იყოს, (73v) რომე არას ასოშიდა მიზეზი არ იყოს, არც მსუქანი იყოს და არც მჭლე ისრე სწორი იყოს, რად ესეთი იშოვნო და ისი ფარეზად დაყოს. არც ავი საჭმელი და არც მწვავე არა სჭამოს, თვარემ რძე დააკლდების. **თუ რძე დააკლდეს** ზროხის რძითა შაქარი გალესე და ასვი ხუთს დღეს. **თუ რძე მოსკე და ნადგომი** იყოს და ავი სული უდიოდეს სიქანგუბინი აჭამონ ნიადაგ, რომ რძე გაწმინდოს. **მუდამ რძესა ნახევდი ძიძისასა,** არამც ფერად ავი არ იყოს და მოღურჯო. თუ **მოღურჯო იყოს, სული უდიოდეს** და **მლაშე იყოს,** ეს ყველა ყმაწვილს აწყენს. დედასა და ძიძას ჳელი უნდა გაუკუნა, ყიფალი და ბასალიკი. **თუ რძე მძიმე იყოს** კორკოტსა აჭმევდი ძიძასა, ცხერის რძე შაქრითა მოატკბონ და იმასაც ასვემდენ. რძე თეთრი უნდა იყოს, წმინდა, კარგი სული უდიოდეს. **დედაკაცსა თუ რძე დააკლდეს.** მისი ნიშანი ეს არის: ან გუნება მჭურვალე იქნების ან ნამეტნავად გუნება გრილი. ნიშანი ეს არის: თუ სიმჭურვალისაგან იყოს, ძუძუს ფერი წითელი იყოს, ანუ ყვითელი, ჳელი დასდვა ცხელი იყოს. თუ ესე ნახო წამალი მისი: მუდამ იისა ზეთსა სცხებდი, ძუძუ- (74r) სა ზედა და ნელთბილსა წყალსა ძუძუსა და მკერდსა ასხემდი, მუმარლანი რომე წმინდასა ცივისა

წყლითა და იის ზეთითა შექნილი იყოს ნედლისა ქინძის წვენითა დაასხი ზედან ავანსა შიდ კარგათ დაზიდე, რომ მალამავეთა შეიქნას და ტლედ ძუძუსა შემოსდევ. ქინძის ფურცელი და თუხმაქანის ფურცელი დანაყე და ტლედ შემოსდევ, მარგია. **სხვა.** ძმარი და ვარდის ზეთი ერთმანერთში გაურიე და ძუძუსა ტლედ შემოსდევ. **თუ სიგრილისაგან იყოს ან სტკიოდეს** მისი ნიშანი ეს იყოს: ძუძუს ფერი თეთრი იყოს და კელი დასდვა ცივი იყოს და ტკივილი უფრო რბილი იყოს. წამალი მისი: მუმრღვანი, ყვითლისაგან ცვილისა ხათმის ზეთითა მუმრღვანი შექენ და შემოსდევი. **სხვა.** აილე კმელი, დანაყილი პიტნა, მერმე ღვინითა კარგათ მოადლე და იმა მუმრღვანსა შიგან გაურიე, კარგათ დაზიდე და ძუძუსა ზედა შემოსდევ.

კარი ნიშანი ყოვლის ფერის თავის ტკივილისა, ბრუსა, თავექედისა, შაკიკისა და უძილობისა, რომე ავადყოფასა და სიბერეშია დაემა || რთების
...²⁹²

(74v) **ვის თავი სისხლისაგან სტკიოდეს** მისი ნიშანი ეს არის: თვალები, შუბლი, ყურები გასწითლებოდეს და პირზედან წამოჭეხებით იყოს. კელი, რომ დასდვა ძარღვები ჩქარად და სავსედ სცემდეს. რად ეს ნიშანი ნახო იცოდი სისხლისაგან არის. ამას ფიცხლა კელი გაუკსენ ანუ საფეთქელი, ანუ შუბლი, ანუ თავსა კვატუში მოჰკიდე. **სხვა წამალი მისი.** თუ შეკვრითაც იყოს გახსნა უნდა სუბუქითა და გრილითა შარბათითა. მერმე ყიფალიც გაუხსენი. ვარდის წყლითა და ვარდის ზეთითა სანდალი გალესე და ცივად თავსა, შუბლსა და გულის პირსა სცხე. თუ ვარდის წყალი არ იყოს ძეწნის არაყი ანუ მისი წვენი ჰქენი, საჭმელი ყველა გრილი შეუწყევით, ოსპის საჭამადი კარგია. **თუ თავი სიმკურვალისაგან სტკიოდეს** მისი ნიშანი ეს იყოს, წალმა უკულმა უბნობდეს და კუნესოდეს, თვალი ან წითლად და ან ყვითლად ჰქონდეს, სინათლის ნახვა ეწყინებოდეს. ამასაც კელის გაჯსნა და კვატუში მოუჯდების. ღვინო ცოტა სვას და ნურცა რასა მკურვალსა სჭამს. საჭმელი და ტლევები გრილი შეუწყევით და შემოსდებდით. მართებს რომე ფრთხილად იყოს, ტკბილის საჭმლისა- (75r) გან და მჟავის ძალიანის ღვინისაგან და საჭმელი ზუბუქი ჭამოს. მარხვაშიდა ჭამოს აყრო და ჭაკუნტელის. და ხსნილშიდა ვარია, ქათამი, კრავი, თიკნის ჯორცი და წყლიანი ღვინო სვას. **ვის თავი თუ ზაფრისაგან სტკიოდეს** მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ნამეტნავად თავი

²⁹² აზრი წყდება, შინაარსიდან ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

სტკიოდეს და შუბლი ცხლად ჰქონდეს, და დამჭლდეს და გაუყვიოდდეს, პირი გაუმწარდეს და უშრებოდეს და სწყურდებოდეს და ძარღვები წვრილად და ჩქარად სცემდეს. რად ეს ნიშანი ნახო ზაფრისაგან არის. **წამალი მისი:** თუ ძალი ჰქონდეს გასახსნელი წამალი მიეცე, გრილი ასეთი შ(ა)რბათი მიეცე, რომ გული და სტომაქი მოუღბოს. **სხვა წამალი მისივე:** ტყემლის ლავაში წყლით დააღბე, ზედა მარილი მოაყარე და შუბლსა შემოსდევი. **სხვა ქერის ფქვილი,** ზროხის მაწონი, კვერცხის ცილი, ცოტა ძმარში ერთად გაურიონ და შემოსდვან და ერგოს. **თავის ტკივილისათვის თუ სვედისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს არის, თავის ნახევარი სტკიოდეს მარცხენით, პირის ფერი მოშაოდ სცემდეს და ძილი არ მოუვიდეს და ჭკუა შესცვლოდეს, თვალსა შიგან წყალი უკმებოდეს, ცხვირი შიგნით კმელად ჰქონდეს, ესეც იქნების, რომე პირი ცეცხლი- (75v) ვითა შეეკნებოდეს, თვალშიცა ცრემლი უგუბდებოდეს, შუბლისა ძარღვები აღდგომილი იყოს, მუცელში შეკრვით იყოს, თავი ხან სტკიოდეს, ხან არა. **წამალი მისი:** მუდამ დედაკაცისა რძესა თავსა ზედა იწველდეს, თბილითა წყლითა ფეკებსა იბანდეს. **სხვა აიღე:** ჭაკუნტლისა ძირი დანაყე, წყლითა გაწურე, მერმე ვარდის ზეთი გაურიე და ცხვირშიგან ჩაუშვი. **სხვა მისთავე:** აიღე გახვრეტილი გუნდა, დაღეწე, გული გამოართვი, წყლითა გაქენ და ცხვირშიგან ჩაუშვი. თავდაღმა ქნას და რადც სენი იყოს. ამა კეფასა შიგან მოგროვდეს, მერმე კოტოში მოჰკიდოს. **თავი სიგრილისაგან სტკიოდეს,** მისი ნიშანი ეს არის: პირისა სახე თეთრად იყოს, თავი ძარღვი, რომე ყურს წინათ არის, რბილად სცემდეს და სუსტად, და სწყურდებოდეს. **წამალი მისი:** აიღე ასი მარცვალი პიპილი, ასი მარცვალი მლოგვი, ათი კბილი ნიორი დანაყე და თაფლითა შეზიღე და თავსა შემოსდევი. **მისთვისვე:** ოსპის ფქვილი და ბროწეულის ქერქის ფქვილი თავსა შემოსდევი, ვარდის წყლითა. (76r) **თავის ტკივილისათვის.** რომე მგზავრსა მისჭირვებოდეს, სიცხისა და მზისაგან. მისი წამალი ეს არის, მუდამ ტირიფის ფურცელსა დაწვებოდეს, ტირიფის ჩრდილსა. და ტირიფის ფურცლისა წვენი, ძმარი და ვარდის წყალი, ქაფური, თეთრი სანდალი ერთად გაურიოს და შუბლსა სცხოს და ყიფალიცა გაუხსნას. მკლავისა სადრეკისა ზედათ არის ნაპირს და შუბლიცა გაუხსენ. **თუ კაცი წაიქცეს ანუ ან მაღლიღამა ჩამოვარდეს, ანუ ცხენი წაექცეს და მისგან თავი სტკიოდეს,** მისი წამალი: ვარდის ზეთი ტლედ შუბლსა შემოსდევი, ყიფალი გაუკსენ, მკლავის ზედა ნაპირს არის, თავს კოტოში მოჰკიდე და ხილი ჭამოს, რომ მუცელი დაუღბოს.

თუ კაცსა ბრუ ესხმოდეს. ბრუს სხმა ეს არის, რომე ასრე ეჩვენოს, ვითა მთა ბარი ყველა ბრუნავს. და რად აღვებოდეს, რეტად იყოს, წაქცევისაგან ეშინოდეს. თვალთა სინათლე არა ქონდეს, საჭამადი არა ღია მოუნდებოდეს. ესე სამის ფერისაგან არის: ერთი სისხლისაგან, (76v) ერთი ზაფრისაგან, ერთი სევდისაგან. **თუ სისხლისგან იყოს** მისი ნიშანი ეს არის: თვალის პირისა სახე ყველა წითელი იყოს და ყურსა წინა საფეთქლის ძარღვი სავსე იყოს და ჩქარად იყოს. რად ესე ნიშანი ნახო, იცოდი სისხლისაგან არის. მისი წამალი: ყურის წინათ ძარღვი არის, თუ ის ფეთქდეს, ის გაუხსენ, თუ არა ფეთქდეს ნუ გაუხსნი, თავზედა კოტოში მოჰკიდე, ყიფალი გაუხსენ მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის, ურნაბის შარბათსა ასვემდი, მრთელს ურნაბსაც აჭმევდით, რომ სისხლი დააწენაროს, ბროწეულისა შ(ა)რბათსაც ასვემდით. **თუ ზაფრისგან არის,** თავი და შუბლი მეტად ცხლად ჰქონდეს და პირი უმწარდებოდეს და სწყურდებოდეს. რად ეს ნიშანი ნახო ზაფრისაგან არის. წამალი მისი: უწინ ხილთა წყალი ასვი, რომე მუცელი შეუღბოს, მერმე აიღე ბროწეულის წყალი და შიგან ცოტა საემუნია გაურივე და შეასვი, რომე გახსნას. თუ ამაზედა კიდევ არწიოს, სჯობს მას უკანით რბილი საჭმელი აჭამონ, რომე მუცელი რბილად (77r) ჰქონდეს და საჭმელი კოწახურითა, თუთუბოთა და ბროწეულითა შეუწყევით. ცორცთაგან ვარია, ქათამი, ცოცობი, თიკნის ცორცი შეუწყევით. **თუ სევდისგან იყოს,** მისი ნიშანი იყოს: უძილობა იყოს, ფერი მოშაოდ ტყის ფერად იყოს, თავი ცხლად არა ჰქონდეს, არცა სწყურდებოდეს. რად ეს ნიშანი ნახო იცოდი ბაღლამისაგან არის. აიღე მუში ერთი ქერის ოდენი, კალის თესლი, მარიამ საკმეველი არის ქერის ოდენი და ზაფრანა ერთი დანგი. ეს ყველა ჭურჭელსა ჩაყარე, ზედა გემრიელი ღვინო დაასხი, ცოტათ ადუღე და მერმე სნეულმა ცხვირთა წინა დაიჭიროს, რომე მისი სული ეცესა ცხვირსა და თავსა, მისი სული შევიდეს, მერმე შესვას და უშველის ღ(მერ)თითა.

ნიშანი თავქედისა: რაჟამს კაცსა თავქედი შეექნას მისი ნიშანი ეს არის, რომე პირველად ძრწოლა მოუა და კბილის ღრჭენა, მერმე დასუხტდეს და ცეცხლივითა გაცხელდეს, თავი, წელი და ზურგი სტკიოდეს და ენაზედა შავი რამე გამოაჩნდეს და რეგენად უბნობდეს. რად ეს ნი- (77v) შანი ნახო იცოდი თავქედი არის. **ერთი თავქედის ნიშანი ეს არის:** მრთელმა კაცმა ანაზდად ზახილი, და კივილი დაიწყო. ეს სენი სიმკურვალისაგანც იქნების და სიგრილისგანც. თუ შეკრვით იყოს პატრუკით გახსნას და თუ შეკრვით არ იყოს პირველად ძარღვი გაუხსენ და ქერის წყალი შეასვი და შიგან დანაყილსა ხაშხაშსა გაურევდი, დღივ

ორორჯელ ასვემდი, დილას სადამოს. თუ გუნება შეკრვით იყოს ქერის წყალს ათი დრამი ჯუღაბი, ორი დრამი ნუშის ზეთი გაურიეთ და შეასვით. თუ შეკრვით არ იყოს სიქანგუბინი შეასვან და ნურას გაურევ. რად სამი დღე გამოვიდეს, მერმე შუბლი გაუკსენ. **მისთვისვე:** აიღე ძმარი სამი ლიტრა და ვარდის წყლითა ...²⁹³ ათი ლიტრა და ერთმანერთშიდა გაურიე და ყოველთა დღეთა თავს დაბანდი და ენასაც გაუწმენდი წამლითა აიღე მრავალძარღვა და ბიის გული და სამოსელშიგან გამოჰკარ, დააღბე, მით ენასა გამოუწმენდი.

ნიშანი შაკიკისა, თავისა ნახევარი სტკიოდეს, იცოდი სიმჭურვალისაგან არის და სიგრილისაგანაცა. **თუ სიმჭურვალისაგან იყოს** მისი ნიშანი ეს იყოს: რომელიც კერძი (78r) სტკიოდეს, ის კერძი, თავ შუბლი, პირი თვალი, ყველა წითლად იყოს. რასა ცივსა დაიდებდეს იამებოდეს. ყურსა წინათ საფოტქელთა ძარღვები სავსედ და ჩქარად სცემდეს. წამალი მისი: ქაფური, სანდალი, ვარდის წყალი, ძმრითა გაღესე და თავზედა შემოსდევ და მითვე ტლედაც გარდაფენდი. და დიღეულად მრავალძარღვა ჯუღაბსა შიგა გაურიე და ასვი. საჭმელსა კოწახურითა, თუთუბოთა და ტყემლის მჟავითა აჭმევდით. ღვინისა და კორცისაგან იფარეზოს. **თუ სიგრილისგან იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს: ამა ზემოსა არ გვანდეს, სიწითლე არ იყოს, თავსა და პირსა ტკივილი ცოტა იყოს. ამა სიმჭურვალისა სენსა არა გვანდეს, პირი და შუბლი თეთრი იყოს. რად ეს ნიშანი ნახო, იცოდი სიგრილისაგან არის. წამალი მისი: აიღე იის ზეთი, კვერცხის ცილი, შაქარი სწორი გაურიოს და სადაც სტკიოდეს, იმ კერძოს ცხვირშიდა ჩაუშვი. სხვა წურბელი მოკიდოს, თვითთ დღე შუა გამოუშვი და კიდევ მოკიდე, მისივე კერძისა ყიფალი გაუხსენ მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის, მერმე კულიავის (78v) ზეთი შესცხე თითითა და უშველოს ღ(მერ)თითა. **ვის თავი ცხლად ებას** აიღე მოლოქი და კამა, წყლით მოხარშე და თავი დაბანე და ...²⁹⁴ თავზედა დაადევ. თავი თუ სიმჭურვალისაგან იყოს, წამალი მისი ეს იყოს: წყლითა ბოლოკისა და ცერეცოს თესლი მოადუღოს და გაწუროს, და სიქანგუბინისა წყალი გაურიეთ და სვას თბილათ, პირსა წააგდებინოს. მერმე ტკბილის ბროწეულის წყალი შეასვი, რომე მუცელი რბილად დაიჭიროს, თუ საემუნია გაურიო მუცელი გახსნას უწინ და თუ ერთობ შეაშინოს გახსნამან. ბაბუნაჯი მოხარშოს და ძილის ჟამსა ფეკსა დაბანდეს და ახელინებდეს. სხვა წამალი მახმურისა: ქანის თესლი,

²⁹³ არ იკითხება.

²⁹⁴ არ იკითხება.

კოწახური გამოწურვილი და სამყე და ოსპის ქერქი გამძვრალი, ვარდი წითელი, ეს ყველა სწორ სწორი დანაყე, გაცარ და სამი მიტყალი მუავის ბროწეულისა წვენითა შესვას და ვარდის წყალსა ანუ ქაფურსა ანუ თეთრსა სანდალსა ისუნებდეს, კარგია. **კაცი თუ ღვიძლისაგან წყენასა მანძურსა, თავის ტკივილსა მოელოდეს,** მწარე ნუში ღვინის სმაშიდა ცოტა ცოტა სჭამოს, არც ღვინოსა მოჰკიდებს და არც თავის ტკივილი მოუვა. თუ ზროხის ერბო ჭამოს, მერმე ღვინო სვას, ღვინო აღარ მო- (79r) ეკიდებს. ერბო თუ იყოს ახალი სჯობს ძველსა. **სიგრილისაგან რომელსა თავი სტკიოდეს:** აიღე ბარუკი, დაწვი და წყლით მოგაღე და ძალიანის ღვინით შეზიდე, აბანოსა შიგა თავსა სცხე. **მისთვისევე:** ოსპის ფურცელი და ბროწეულის ქერქი ორივე თავსა სცხე, დანაყე და თაფლითა შეზიდე. **მისთვისევე:** ჭაკუნტელი დანაყე და გამოწურე, ცხვირთა უწვეთე. **სხვა:** ვენაჯის მორჩი და ფურცელი დანაყე და შუბლს შემოსდე. **სხვა:** ალილა ცივითა წყლითა გაღესე და ცხვირთა უწვეთე. **მისთვისევე:** ცოტა ძმარი, ერბო და თაფლი ერთმანერთსა გაურიე და თავსა შემოსდე. **სხვა:** ცერეცო მოხარშე ძმრითა და ერთი მჯილი მარილი გაურიე და მით დაბანე. **მისთვისევე:** ბოლოკი დანაყე, ძმრითა გამოწურე და შუბლსა სცხე.

კარი უძილობისა. ვისაც უძილობა სჭირდეს, ორჯელ დაემართების: ერთხელ სიბერის დროსა და ერთი ავადყოფისაგან. თუ სიბერისაგან წაეკიდოს, რომე ძილი არა მოუვიდეს საჭმელი შეუწყვი, მსუქანი ქათმის კორცი ხარშო და ჭიჭიჭის ხარშო, წვრილსა თევზსა (79v) ძმრითა შექნილსა აჭმევდით, ბატკანსა აჭმევდით, ცოტა ჩამინსა ურევი და მლაშისა და მჟავისაგან იფარეზოს. **უძილობისათვის წამალი:** თეთრის ხაშხაშის შარბათი ასვით. თუ უმფრო ძილი უნდოდეს ნახევარი დანგი ავიონი გაურივეთ და შეასვით. თუ კიდევ უფრო ძილი უნდოდეს ერთი დანგი გაურიონ და შეასვი. თუ საძილოს წამალსა მისცემდე და შეიქმოდე, ნიახურისა თესლი ორის დრამისა წონა, თეთრისა ხაშხაშისა თესლი ერთის დრამისა წონა, ლემისა თესლი ხუთის დრამისა – ესე დანაყე და თაფლითა შეზიდე და როდისაც გინდოდეს ერთის დრამისა წონა შეასვი წყლითა. და თუ გაღვიძება გინდოდეს ცხარი ძმარი თავსა დაასხი და გაიღვიძებს. თუ კაცსა ავადყოფისაგან უძილობა დაემართოს, მისგან იქნების რომე ტანშიგან სენი რამე შერჩომოდეს ანუ ტვინშიგან ბუხარი (!) რადმე შერჩომოდეს, პირველად წამალი აჭამოს, რომე ისი სენი გაიღოს, მერმე რადც ამის ზემოთ სიგრილისა საჭმელი სწერიან ის შეუწყონ და ძილის დროსა ბარკალი შეუკარით, მერმე ულო- (80r) ცონ და ეუბნონ, რომე არ დაიძინოს, მოლაღონ კარგათ, ლაპარაკი გაახში(ი)როს, რად ხანი

გამოვიდეს და მოიწინონ ბარკალი გაუსხენ და დაესხენი, რომ მოისვენოს და დაიძინოს.

თუ კაცსა თავიდაღმა სენი დაემართოს, მისი ნიშანი ეს იყოს: წარბი მიიმედ იყოს, უფეთქდენ და თავი სტკიოდეს, ყურთა ჳმა გამოსდიოდენ, დილეულად თვალთა ცრემლი სდიოდეს, ვერ ფერსა სულსა ვერ შეეტყობდეს, ეს ნიშნები იცოდი მალის ქარისაგან არის, რომელ არს **თელგამი და სურდო**. განა ასე სწერია დიდსა კარაბადინსა შიგან. სურდუ ნაზლისგვარი არის, ნაზლა მალის ქარისაგან არის. აწე მეცა ამისთვის დაესწერე ნაზლა სურავანდად, რომე ესე ყველა ერთგვარი არის, მართებს რომე მალისა წამალი უყო. კაცმა მუდამ დარღარი ქნას, რომე თავისაგან მალასი გამოსწმინდოს. მისი დარღარა: მდოგვი, ქონდარი დანაყე სწორ სწორი, ერთმანეთშიდა გაურიონ თავლ წყლითა, ცოტა ძმარი გაურივე და ამას იღარღარებდეს, თავი გაწმინდოს (80v) უშველის მალასსა, მაგრამ თავსა ნამეტნავად თბილად შენახვა უნდა. აწე ვისიცა, ვისაც ამისთანა სენი დაემართოს და ამისთანა ნიშანი ნახო, წამალი თავშიდან არა ქნას და თავი არ გაიწმინდოს ჟამხედა მას **თვალში მღიერი დაემართოს, ყურთა დაუყენებს, თუ ყელზედა გამოუვიდეს, ტვინი გარდმოზებუნდეს, ჳკა ჳკმებოდეს და კბილის ტკივილი წაეკიდოს, თმა გასცვივდეს**. და როდეს კაცი ავად გახდეს მალას ქარმან **ღვიძლი გაუგრილოს და ღვიძლის ცეცხლი დაუვსოს** და სტომაქსა საჭმელი ვერა მოიდნოს, უნდომი დარჩეს, **მუცელი განსნას**, ყველა ბალღმად შეიქნას ახლად, იგი ძარღვთა და ყოველთა ასოთა დაიფანტოს და იგი **ფილენჯი, ლაყვა და ყოლინჯი** შეიქნას, **პირსა წაადგებინებს**.

თუ ღვიძლის ავად ყოფნა სიმჯურვალისა და სისხლისგან იყოს, იგი ზაფრისა ნაღვლისაგან იყოს. თუ სატკივარი ღვიძლთანა დარჩეს, ნაღველი გასივდეს და სტომაქი დაუძღურდეს, დასნეულდეს, ფერი ყვითლად და მოწითანოთ და უცემდეს და პირსა წაადგებინებდეს, და თუ ტყირპი ზაფრასა თანა მოვიდეს, გადიდდეს და კაცი გასივდეს (81r) და დამჭლდეს და მუცელი გაუსივდეს.

ღვიძლისაგან შვიდი ძარღვი გამოვიდეს, ყოველსა ასოშიგან დაიფანტოს შვიდივე ერთად და შტოდ. შეიქნას ისი ძარღვები არც იძვრის, არცა კუნესის, მას ძარღვებსა შუა ღვიძლის ძარღვები არის, რომე ბასალიკი გაუსხნას მას ზედა ძარღვსა კათოლიკე ჰქვიან, ზემოს კეფალი ჰრქვიან, ქვემოსა ბასალიკე ჰრქვიან. ღვიძლი სისხლისა ბუდუ, ღვიძლისა პატრონი მუშარათი არის, ექვსჯერ სამთა უფროსი ვარსკვლავი არის.

ლ(მერ)თ(მან) ტყირპი დაბადა ყოველის გონჯისა დამწერისა სისხლისა უნდომისა, მისი გუნება გრილი და ჳმელი არის. ღვიძლისაგან ერთი ძარღვი მოვა ტყირპსათანა, ყოველი სისხლი რადც არის დამწვარი და უნდომი ტყირპსა შეეყაროს, რომე გულმა სიგრილე აიღოს, რომე ღვიძლისა სისხლი გულსა არა გაუმრავლდეს და არა შეაწყინოს, როდისაც სისხლი დაწვას, დამწვაეი სისხლი და ბაღდაში ტყირპსა შეეყაროს, ტყირპი გადიდდეს, მას სეველა ჰრქვიან. თუ ქარი იმასთანა შეამხანაგდეს ყველაში და ისი დაიფანტოს მისგან გამოესხას მუნი, თაგვისა ყვაელი (81v) არის, ქავილი, ქაწიპარი, მღერი, ყვაელი, ქუთუბო. მღერი რომე გასკედდეს და გასხვილდეს და ჩაუიდეს მისი სახელი დაუფალა ჰრქვიან, რომე გამოესხმის ფერკთა. თუ ქარი გაუმრავლდეს და სეველა კელი დაუკვანჩხოს და გული უფეთქდეს. თუ დამწვარი სისხლი შეამხანაგოს უცნობოთ შეიქნას და ჳკუა წაუვიდეს, თუ ტვინშიგა გავიდეს, ქვეშეთსა წაეკიდოს და ავი სიზმარი ეზმანებოდეს. თუ ქარი და სისხლი ერთგან შეიყაროს, ღვიძლსა თანა მივიდეს, ღვიძლი და ტყისარ გასიფდენ, სტომაქი გაგრილდენ და ყოველნი ტანი გაუსიფდენ. თუ ზაფრა და დამწვარი სისხლი ერთად შეიყაროს, გვერდსა და წიბოსა ტკივილი წაეკიდოს და გუერდი დაუსუსტდენ. ღ(მერ)თ(მან) ტყირპი დაბადა გრილი და ჳმელი.

ღ(მერ)თ(მან) გული დაბადა ტანისა მეფედ და ყოველი ტანისა ძალი გუნებათა და შეძლება გულშიგან ჩადვა, მართლად სიმწურვალე. ყმაწვილი მაგ გუნებითა დაიბადოს, მაგ გუნებასა ბარათხაზი რქვიან, მიემსგავსა კანდელსა, რომე ყოველსა ტანსა ანათლობს, მისგან ოთხი ძარღვი გამოვა. ყოველი ძარღვი ოცდათორმეტი შტო შეიქნების და ყოველთა ასოთა შიგან დაიფანტვის. იგი ძარღვნი არიან მძ- (82r) ვრელნი ძარღვნი, რომელნი ტანსა სძრავს ყოველი გულისაგან გამოვა. მაგ ოთხისა ძარღვისაგან ორი ქუემოთ ტანშიდან ჩავა და ორი ზედათ ტანშიდა გავა, რომე ტანი მწურვლად და ძალზედან ამყოფოს. როდესაც გული თამამად და მოსვენებით იყოს, ყოველი ძარღვი თამამად და მოსვენებით იყოს და რაჟამს გული შეჭირვებით იყოს, ყოველი ძარღვი შეჭირვებით იყოს და სარჯელშიდან. აქიმმან მაჯა დაიჭიროს და მით შეიტყოს კაცის სიმრთელე და ავადყოფნა. გული მეფე არის კაცისა, ტანისა და მისითა ბრძანებითა არის ერთი ძარღვი ტვინსა თანა მივა, რომე გულისა სიმწურვალემან ტვინსა უშველოს, ერთი ძარღვი ტვინიდაღმა გულსათანა, რომე ტვინისა სიგრილემან გულსა უშველოს. გულისა ძალი ღ(მერ)თ(მან) დაბადა ზემოთ ნათლად.

დ(მერ)თ(მა)ნ დაბადა თირკმელი საძირკველად ტანისა, თესლისა. თესლი ყოველი მისგან გამოვა. თირკმელი შუაზედა მისთვის ჩაუჯდებიან, რომე არც ერთობ მკურვალი არის, რომე ძალი მისჭირდეს. არცა ერთობ გრილნი, თესლნი ერთობ ჩვილნი არიან. თუ ტყირპისა სიკმე, სიგრ- (82v) იღე ტყირპისა თირკმელთა მოურიოს თესლი გაუკმეს, რომე ფსელი უწავდინელად წავიდეს. და თუ ნავლის სიმკურვალემან და სიკმემან აჯობოს, თირკმელთა ქონი დაადნოს და გააკმოს და თირკმელი დასნეულდეს და მუცელშიგან ყვითლად გავიდოდეს. ეს იყოს თირკმელთა ქონი დამდნარა დედაკაცთანა წოლასა სისხლი არ ჰყვებოდეს. ყოვლისა ძარღვისა თავი ტვინსა სახვევი არის, ძარღვები ტვინსათანა არის, გრილი და რბილი არის და რაჟამს ტვინსა სიგრილე მისჭირდეს იგი ტვინშიგან გავიდეს და მალასა ქარი შექნას. და თუ თვალისა სინათლესა მისუდეს თვალი დაუყენოს, ამას შავი წყალი რქვიან. და ყურშიგან ჩავიდეს და უმდერდეს და დაუყენოს. და თუ კბილისა ძარღვსა მალასი პირი ატკინოს, კბილები დააყრვეინოს და ანუ უჟამით გაათეთროს. თუ ჯორცსა და ტყავს შუა შიგა ჩავიდეს თმა დააყრვეინოს. თუ საფეთქლის მაჯასა მისუდეს და ფეთქდეს და ფირტი გამდერდეს მისგან ფშვინვა და ჯვანეშა წაეკიდოს. თუ გულსა მიხვდეს, გული დაუსუსტოს, ქაშვეთისა სლოკინი წაეკიდოს. (83r) თუ ტყირპსა მიხვდეს, სევდა გაერიოს, თავში და სისხლში გამოწოოს და კაცი შფოთად ამყოფოს. თუ ღვიძლსა მიხვდეს ძარღვებშიდა ჩავიდეს. და თუ გარეთ ტყავსა მიხუდეს ქერტილი წაეკიდოს. და თუ ძარღვებშიგან გავიდეს და სისხლისაგან გაერიოს გონჯი წაეკიდოს, მღერი გამოესხას. თუ სტომაქსა მიხუდეს ძალი წაუვიდეს და ღამით თავი წყალშიგან ნახოს და ტალახსა და წვიმაშიგან მისი ენა დაუძიმდეს, მიკრისი ჯვლსა და ფერჯსა წაეკიდოს. იმა სატკივრისა პატრონი ჭამათ დაჯდეს და ვერ ჭამოს, თვალსა შიგა თმა გამოუვიდეს, თვალი გაუთეთრდეს და ხამი ქარი ტანშიდა ჩაუვიდეს.

კარი სურავანდისა. ნახლა და სურავანდი ერთმანერთსა მოგავს. ვისცა სურავანდი სჭირდეს კბილი, თავი, ანუ ლოყა სტკიოდეს. წამალი მისი: ხებალასა ბევრი ცოტა წყალშიდა მოხარშე კარგათ და მის წვენშიდა ღორის ქონი ჩააგდე, შიგ ქერის ფქვილი ჩაჰყარე, ფაფად შექენი და ჯვლის საჯოცსა (83v) გააკარი და ცოტა ღორის ქონი პირზედა მოსცხე თბილი, სადაც სტკიოდეს იქ შემოსდე. თუ სიმკურვალისგან სტკიოდეს და გრილი იამებოდეს დამწვარი ირმის რქა, ლილა, ძაღლის ყურძენა ფოთოლი დანაყე და იმის წვენშიდა გალესე და სადაც სტკიოდეს შემოსცხებდი, რასდენსა გაშრებოდეს, ახალსა უცვლიდი.

თუ სურავანდისაგან კბილი სტკიოდეს ბროწეულის ქერქი და ყვავილი დანაყეთ და ძმარშიდა ჩაყარეთ და პირში იგუბებდეს მრავალჯერ.

თუ კბილის ტკივილი ჭიისაგან იყოს პირშიდან ჩახედენ, თუ ნაკბენი იყოს, ოსპის ოდენი დაცდილი ჯადვარი სანთელზედა მიაკარ და იმ ნაკბენს კბილზედა დასდევ. სანთელი მთელის კბილისაკენ ქენით და ჯადვარისა წვესნა ნუ ჩანთქამს, გაუფრთხილდი, ჭიას მოჰკლავს, ერგების ტკივილსა.

თუ სურავანდისაგან თავის ტკივილი იყოს ხებალახა წყლითა მოხარშეთ და მისის წვენითა თავსა ბევრჯელ შეისვას და იბანდეს და ისხას. **სხვა წამალი სურავანდისა:** ენდრო, კერეზი, ძაღლის ყურძენა, ძირამო, ლილა (84r) დანაყე, ერთმანერთსა აურიოს, წყლითა გახსნას და შესცხოს. **მისთვისვე:** ვირის მჩორო მაწონშიდა ჩაყაროს და კელის საჯოცითა დაიდვას. **სხვა:** მშალა მოხარშოს და თბილთბილი შემოიკრას. შებალახა კეერცხის ცილაშიდა ტაფითა მოკალოს და ჯერთ იხრჩოლოს და მერმე შემოიდვას. კამის წვენშიდა შაქრის ყინული და ლილა გალესოს, თბილი შეიცხოს, სელის ზეთითა ქერის ხავიწი შექნას და თბილი შემოიდვას. თუ უსივდეს, შავი უნიშნო ქათამი დააკვლევინე და თბილი სისხლი შეიცხოს, მერმე გააპოს და ზედა შემოიდვას. ცერცვი დააფქვევინე და თაფლითა მოზილოს და შემოიდვას.

კარი სურდოსა. იცოდი, რომე სურდოსა და ნაზლასა გვარი ერთი არის. ორივე სასითა გზითა ჩავა. აქიმთა და ბრძენთა რადცა სასითა ჩაუა ყველასთვის ნაზლა დაურქმევია. რად ცხვირთა გამოვა სურდო დაურქმევია. სურდო მრავლისაგან დაიბადების: ერთი სიმჭურვალისაგან, მეორე სიგრილისაგან. **თუ სიმჭურვალისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს: თვალი და პირი გაუწითლდეს და ...²⁹⁵ (84v) ცხვირიდაღმა გამოსდიოდეს, ცხელი იყოს და მწვავე, ყვითელი და თხელი იყოს, ცხვირთა სწვეთდეს და შეწყენით ამყოფოს. თუ ამა საქმესა შიგა ცხელება მოუვიდეს, სურდო, თავის ტკივილი მოემატოს, ამისთვის რომე ცხელება სასასა გაამჭურვალებს და მჭურვალესა სენსა შემოზიდავს და თავის ტკივილი სასისგან იქნების. წამალი მისი: სურდო მჭურვალი მოხარშოს. სენის მომხარშავი ის არის, რომე ფერი და გუნება იქციოს, ასრე რომე თუ ცხელი და თხელი იყოს გასკელდეს. თუ თეთრი და სკელი იყოს გათხელდეს. მისსავე წესსა ზედა მჭურვალესა სურდოსა მწიფობა ქერის კორკოტითა უნდა, ასრე რომე შიგან ურნაბი, ხაშხაში და ყიფისტონი უნდა

²⁹⁵ არ იკითხება.

მოდულებული იყოს. ხაშხაშისა შარბათსა უნდა სმა. თუ ერთობ მჭურვალე სურდო იყოს ფიცხლა ჳელი გაუხსენ მესამე დღესა, უნდა რომე სენის გვარი მოხარშული იყოს. სურდო მჭურვალე იყოს თუ გრილი ორსავე სურდოსა შინა პირადმა წოლა არ ვარგა. ამისთვის რომე სენის გვარი მკერდშიგან არ ჩავიდეს. პირდადმა უნდა წოლა, რომე სენი ცხვირ- (85r) თა წამოედინოს მჭურვალისა სურდოსა უფალმან პირველით დლით მესამემდის კორცი იფარეზოს და დვინოც. სხვა საჭმელისაგან ეს უფრო სჭამოს ქერის კორკოტი, დიდის ცერცვის, ნუშის ზეთითა. კიტრის თესლი ამათ ფქვილითა ტყავახილითა მაშათა, ასპანახითა, ნუშის ზეთითა, კარაქითა სჭამდეს. რად გინდარა სურდო მჭურვალე იყოს თავსა თბილად უნდა დახურვა, ციგსა წყალსა ნუ სვამს, დღისით ნუ დაიძინებს. **თუ სურდო სიგრილისაგან იყოს.** მოკალული ფეტვი მანდილითა კეფასა ზედა შემოიკარ მანამდის, რომე, სანამდის სითბოსა შიგან მიხვდეს. მანამდის შეეძლოს იდებდეს. საჭმელი და დვინო იფარეზოს. წყურვილი მოიჭირვოს, წყალსა ნუ სვამს, დღისით ნუ დაიძინებს. თუ ამას იქს, სამს დღეში გამრთელდების. წისქვილის ქვა გააჭურვე, დვინოში ჩააგდე, თავი ზედ წაუშვირე და ორთქლი ცხვირშიდა შევიდეს. და მუშეისა, და თავისა ყვერსა უსუნე, და ამასვე წამსა უშველის, საჭმელად ქატოს წვენი და თაფლი და მოკალული დანაყილი სელი (85v) ცოტა პილპილა გაურივე სახერტელი შექნან სეარბლისაგან თუ იშოვონ ტრედის ჳუნდი და ჳივჭავი მარგე არის.

თუ ჳველისაგან ჳმა ჩავარდეს მისი გასაღსნელი შეუწყევით. შირხიშტი, ხიაშამბრის გული, თარანგუბინი, ესენი გალესე და შეასვი და ყიფალიც გაუხსენი, ყოვლის მუავიანისაგან იფარეზოს, აბანოსა მუდამ ებანოს. მერმე აიღე სხვილი ცერცვის წვენი ცხელი შეასვი თაფლ წყლითა დაზელითა გულისპირი დაიზილოს, უკურკო ჩამიჩი ადუღონ და ნუშის ზეთი გაურიონ, და უზმათ აჭამონ საჭმელი. ფუშრუკი (!) შექნან, რძის ჳულაბიც გაურიონ და კვერცხის ყვითელი გული შაქრითა აჭამონ. **თუ ჳახილისაგან ანუ სიმღერისაგან ჳმა ჩავარდნილი იყოს** აიღე ტკბილის ბროწეულის ქერქი და ყვითელი ალილა, ორივე დანაყე და ფუშრუკად შექენ და შიგან გაურიონ და აჭამონ, ქასნის წყლითა დარდარა აქნევიონ.

თავი ვისაც ცხლად ჳქონდეს აიღე მოლოქი და კამა წყლით მოხარშე, თავი მისის წვენითა დაბანე და მისი ფონი თავზედ დაადევი. **ვისცა სიმჭურვალისაგან თავი სტკიოდეს** აიღე ჳველის საღებავი და ქინძის თესლი სწორ სწორი ძმრითა გა- (86r) ადვინე, თავსა სცხე და ერგების. **მისთვისვე:** ინა ძმრითა მოზილე და თავი მოპარსე და ყურსა ჳეთი თავსა

იცხოს და ერგოს ღ(მერ)თითა. **თუ სიგრილისაგან თავი სტკიოდეს** ოსპის ფურცელი ბროწეულის ქერქი ორივე თაფლითა შეზიღე, თავსა შემოსცხე თაფლითა. **მისთვისვე:** ჭაკუნტელი დანაყე, გამოწურე და ცხვირთა უწვეთე და ვენაჯის²⁹⁶ მორჩი და ფურცელი დანაყე და შუბლსა შემოსდე. ალილა ცივის წყლითა გაღესე და ცხვირთა უწვეთე. ცერეცო მოხარშე ძმრითა, ერთი მჯიღი მარილი გაურივე და იმით დაბანე, ბოლოკი დანაყე, ძმრით გამოწურე და შუბლსა სცხე და ერგოს.

კაცსა ქარი აუარდეს, ხან კელს შემოეჭედებოდეს, ხან ფეკსა იქით აქეთ სტეხდეს, მოიღე საკმეველი რაზომიცა გინდეს, წმიდად დანაყე რახი რასაც ალაგსა სტკიოდეს საკმელი დააყარე, მერმე რახი შესცხე, კარგათ დაუზიღე და ერგების ღ(მერ)თის ძალითა. თუ მკლავი სტკიოდეს უწინ მკლავი გაუხსენ, მერმე ეს წამალი უყავ. თუ ის (86v) არ იყოს ან სამეი არაბი, ან ტყემლის წებო ერთად გამდნარი სცხე და გუნდა ძმრითა სცხე.

სხვა მაგრისა რკუსა ნიშანი, მაგარი და სიმსივნე სდეუს ბაღდამის გუარი იყოს. მისი წამალი გრილი ნიკრისის სწორი არის, თუ სარტარი იყოს რკუსა რქვიან. მას ასრე შენახვა უნდა. რომე არ დაიფანტოს, თვარემ მოჰკლავს, თუ გაუგრძელდეს კაცი მაშინ უფრო მშვიდობით მორჩეს, გასახსნელი წამალი ჟამსა უნდა საჭმელი შეუწყონ, ქერის კორკოტი ნუშის ზეთითა, თორხლო კვერცხითა და ოსპი, ნიგოზი, ასპანახი თუ ღიად ცხელი იყოს ახალი დო ასვით რომე ჯერეთ არ დამუავებულ იყოს. უკეთესი ამ სენის წამალი ეს არის წისქვილის ქვა გაღესე საღესის ქვითა და ამა ნაღესავსა შიგა თუთია უმარილო წყალშიგა გაურივე და შესცხოს პირველსავე გამოსღვა ზედა.

სხვა გამომავალი მჯდომისაგან იქნების, ღუღო ღუღი რქვიან. ნიშანი ეს არის, რომე რად გამოვა რბილი იქნების, მერმე რად დაზიღონ, დაიფანტოს და კიდევ შეიყაროს. წამალი მისი ეს არის, რომე ყვითელი ნურა და უკურკო ჩამინი ვორცითა დანაყე და (87r) სამსა დღესა ედვას ძირითურთ და ამოაგდებს, თუ კიდევ დარჩომილ იყოს ამავე წესითა კიდევ დასდევი.

კარი და ხასიათი თეთრისა მაღამოსა უშველის მღერსა და დამწვარსა, დამღუღვრილსა, დაკოდილსა, ყველას ადრე მოსდის. ხორესა აიღე უმარული ათი დრამი, თეთრი საკმეველი სამი დრამი, მურდასავი ერთი დრამი დანაყე, გასცერ, მოიღე თეთრი სანდალი და ქათმის ქონი შვიდ შვიდი დრამი და ბერძული ზეთი, ესენი ყველა ერთ პირად დაადნე.

²⁹⁶ ტექსტშია „ვენასკის“.

მაღამად შექენ და რა მოგინდეს დასდევ და უშველის ღ(მერ)თითა. **მაღამა უნგრისა.** აიღე უნგრა და ფიჭვის ფისი, თეთრი საკმეველი და სანთელი ამათგან სწორ სწორი ქენი, ჯანგარა ძმრითა დააღბე და სხვანი წამალი ცალკე დანაყე, ბერძული ზეთითა გააღნე რაზომიცა ეყოფოდეს და ეს ყველა ავანშიდა ერთად შეურიე, კარგად გასწურე და შეინახე, რად მოგინდეს იხმარე, უშველის ღ(მერ)თითა. ძველსა და ახალსა წყლულსა მოსჭამს და გაამრთელებს და ყურსა რომე ბაყლი სდიოდეს და პატრუკით შეუდვა, მასაცა უშველის. (87v) **სხვა შავი მაღამა რომე ჩაუქად გაამრთელებს.** აიღე საკმეველი და ანძრუთი, ჯანგარა და მური, შავი კევი და შავი ფისი თვითოსაგან სამსამი დრამი, ძიმწარე და ძიმწარე გრძელი და სოინჯი თვითოსგან ნახევარი მიტყალი რადც სანაყელი იყოს დანაყე, რადც საღნობელი იყოს დააღნე, ზროხის ქონით მოაღუღე, რად მოგინდეს იკმარე მარგე არის. ეს მაღამა გაამრთელებს ყოვლის ფერსა წყლულსა და ნაკბენსაცა ღ(მერ)თითა. **ესე მაღამა თეთრი უშველის რომე ყოველსა ფერსა ახალსა წყლულსა, მღერსა.** აიღე უმარული, ანძრუთი, შაბი, ცვილი, თვითოსაგან სამ სამი დრამი, ბერძული ზეთი, ზროხის ჭლიკის ტვინი, ყველა ერთმანერთსა შეაღუღე და იხმარე. **მაღამა სინგურისა, წითელი.** ერგების ყოველსა მჯღომსა გარეგნით რომე იყოს, წყლულისა გარეშემო, რომ სიმსივნე იყოს წითლად, კბილის ტკივილსა, რომე პირი გასივებოდეს, მას უშველის, ნებითა ღ(მერ)თისათა. აიღე მურდასანგი ათი დრამი სინგური და სპეტი ტყვიის წონა ოცისა დრამისა, ცვილი ექვსი დრამი და იის ზეთი ოცისა დრამისა წონა, ესე წამალნი კმელნი ავანშიგან დანაყენ და ძმრითა, ცვილითა და იის ზეთითა გააღნე, ზედ დაასხი და ურიგე კარგათ, გასწურე, შეინახე და რად (88r) მოგინდეს, იხმარე გამოცდილია ღ(მერ)თითა. **ძველის წყლულის მოსაჭმელი წამალი.** აიღე საბრი, ჟანგარა და მურდასანგი სწორ სწორი დანაყე, გასცერი თაფლითა, დაზილე და იხმარე.

ბასალიყონისა მაღამომან უშველოს, რადც ძველი და ავი დაკოდილი წყლული იყოს. აიღე ზროხის ჭლიკის ტვინი, ზროხისა ქონსა და ცვილსა გაურიგე, და იის ზეთი, და ვარდის ზეთი სწორი და მერმე ათი დრამი ზარდაჩუბი დანაყე, შიგან გაურიე. ხილონისა მაღამამან უშველოს დაკოდილსა და დაგლეჯილსა და ძველსა სიმსივნესა. აიღე მურდასანგი შვიდი დრამი, ხათმი ხუთმი ქათანა, კვერცხისა ცილი ყველა ერთად გაურიე და მზესა ქვეშე ...²⁹⁷ მერმე მოილე ოცდაათი დრამი ზეთისა ხილისა

²⁹⁷ არ იკითხება.

ზეთი და თაფლშიდა ჩაყარე და ერთობ აღუდე, მურდასანგი დანაყე და ის და წამლები გაცერ და შიგან გაურიე ყველა და იხმარე. **ხოშქარდანი – მოსაშრობელი მალამა**, რომე **წყლული მოაშროს**. ამისი შექნა: აიღე ანძრუთნი, ხენი სიაუშნი, დანამასტაქი, საბრი, ყველა მოყარე, დანაყე, სწორ სწორი, მოაყარე ზედან და მოაშრობს. (88v) **თუ კაცის თავი დაკოდილი, გახეთქილი იყოს**, ჩააყარო, გაამრთელებს. რადც **გაკუეთილი იყოს შიგან ჩააყარო**, გაამრთელოს, გააშროს. **მალამათა შექნა ასრე უნდა**: რადც კმელია დანაყე, ცალკე გაცერ და ცვილი, ზეთი და ფისი ერთმანერთსა გაურიე. მერმე დამბალი, დანაყილი წამალი ერთად გაურიე კარგად და აღუდე, რად გასწორდეს შეინახე, რად მოგინდეს იკმარე, მარგია ნებითა ღ(მერ)თისათა. **კაცსა რომე ჰყრიდეს და ქაოდეს, აფხანინებდეს** ეს მალამა მოუკდების: აიღე თხუთმეტი მიტყალი ღორის ქონი, ხუთი მიტყალი სანთელი, ხუთი მიტყალი ბერძული ზეთი, თუ არ იყოს ნიგუზის ზეთი ქენ, ხუთი მიტყალი ძმარი. ესენი აღუდე, მერმე რომ დაწყნარდეს მოიღე ხუთი მიტყალი მურდასანგი, ხუთი მიტყალი გოგირდი, დანაყილი, გაცრილი, ამ მოდულებულსა მალამაშიდა ჩაჰყარე, კარგად გაურიე, შეინახე და რად მოგინდეს იხმარე, ბევრჯელ იქმოდეს. ესე მალამა არგებს კაცსა, რომე ყრიდეს კაცსა, დიად ქაოდეს. ეს მუწუკი რომე დაწყლულ- (89r) დეს და არ გამრთელდეს იმაზედ დააგდე, მოიღე დარიშხანა ხუთი დრამი, თორმეტი დრამი მურდასაგი, ექვსი დრამი ვერცხლის წყალი, ექვსი დრამი გოგირდი, ოცი დრამი ბერძული ზეთი, ათი დრამი ძმარი, და სანაყელი წმინდად დანაყე, ზეთსა და ძმარშიდა აურიე, გასწურე კარგა და იკმარე, ბევრს ხანს კელს უსმიდი. რად მუწუკი გაძნელდეს და არ გამრთელდეს მალამა დოლბანდსა გასცხე და გარდააკარი, დილითგან საღამომდისი ეღვას და გამოუცვლიდი ახალსა და ახალსა და რადც წყლული და ავია ბაყლს მოსჭამს და მოსწმენდს და გაამრთელებს.

კარი და ნიშანი სარა სქედასი. სარა ამას რქვიან არა სჭირდეს რა ანაზდად წაიქცეს, დაეცეს, დაბნდეს და პირსა წყალი და ლოშკი წაედინოს, თუ ფსელიც წაუვიდეს ვერ შეიტყოს. რად ეს ნიშანი ნახო იცოდი სარა არის. ვისაც ეს სენი დაემართოს ყოვლის ტკბილის საჭმლისაგან იფარეზოს, რძისა და მაწონისაგან, რადც საჭმე- (89v) ლი შეიქნებოდეს ყველასგან იფარეზოს და ბევრის ჭამისგანც. წისქვილსა ნუ ნახავს თვარამ მოგერის რადც ბრუნვედეს, ყველას ერიდოს, მაღალზედა ნუ გარდიხედავს, ბევრჯელ აბანოსა ნუ შევა, ქარიანსა ადგილსა ნუ დასჯდების და ნურც ბევრჯელ ქალთან დაწეების. ცხელის წყლით თავს ნუ იბანს, მეტი სიცივეც ავია, მაღალი ზახილიც ავია, ღვინის სმა ძველისა

და ახლისა ყველა ზიანი არის. საჭმელი ღორის ჯორცი, ქალამი, ოსპი, თალგამი, ბოლოკი, ხახვი, ნიორი, ბაკილა. რადც მწვანელი იყოს, უფრო ნიასური, ეს ყველა მაზიანებელი არის, რადც სოველი და ნედლი ხელი იყოს ყველასგან იფარეზოს და რად დღისით დაიძინებდეს, თავს ქვეშ მდოგვსა დაიყრიდეს და ისუნებდეს. და ვისაც არა სჭირდეს თხის ჯორცის ჭმას ერიდებოდეს, რომე ეს სენი არ დაემართოს. ბევრი თბილი წყალი ტვინდა აწყენს და დაასუსტებს. ბევრი ცივი წყალი სტომაქს აწყენს და რადც წამალი ბრუსა თავისა და გვიწერია, იგივე ამას ერგების და პიტნის შ(ა)რბათსა ასმევდით, ეძინოს თუ ეღვიძოს ნიდაგ სადაფსა ისუნებდეს, თუ (90r) ნიდაგ არწყევდეს ისი სჯობს და იორდასალებსა შეიბემდეს, კარგია.

ნიშანი სქელასი. სქელა ამას ჰქვია მრთელი კაცი წაიქცეს სამისაგან იქნების და დაემართების სისხლისაგან, ზაფრისაგან და სევდისაგან. ამ სენისა ნიშანი პირველ ეს არის: კაცი მრთელი იყოს და არად სჭირდეს რა ძილშიდა კბილის სრტენა მოუვიდეს და ტანსა თრთოლა მოუვიდეს, თავი და ტანი დაუძიმდეს, ყური შემოყიოდეს. ეს ნიშანი როდისაც ნახო და გამოჩნდეს იცოდი, რომე სევდისაგან არის. ნიშანი სქელასი. ამა სნეულობასა შიგან თუ პირი გაუწითლდეს და მერმე იის ფერად გარდაქცეს იცოდი რომე სისხლისაგან არის, თუ ესე ნიშანი გამოჩნდეს, ფერჯის ჩონჩხი გაუსხნან და კოტოში მოჰკიდონ და მარჯვენა და მარცხენა ყიფალი ორივე გაუსხნან კარგია. თუ პირი მოყვითლოდ დაუცემდეს და მერმე ზაფრანის ფერად გარდაიქცეს **ზაფრისაგან არის** და ჳელსა შუა ძარღვი გაუკსენ და ყოველთა თვეთა კვატუმსა მოიკიდებდეს და თავსა ზედა გრილსა ტლესა შემოიდებდეს. (90v) თუ ფერსა ზედა მოშაოდ იყოს და მომწვანოდ დასცემდეს, ის **სევდისაგან იყოს. თუ სისხლისაგან იყოს** იმავე წამს ჳელი გაუსხენი ყიფალი მარჯვენა და მარცხენა ორივე, თავსა კვატუმში მოკიდე და გრილი წამლები შემოსდევ. **თუ ზაფრისაგან იყოს** შუა ძარღვი გაუსხენი, კვატუმში მოკიდე და შუბლზედა ესე წამლები შემოსდევ. აილე ჳმელი ვარდი სამი მიტყალი დანაყილი, ერთსა კოვზშიგან ვარდის ზეთშიგან გაურიონ და შუბლსა შემოსცხონ და გულის პირი იმით დაუხილონ. **თუ პირის სახე დაუცემდეს ისი სევდის ნიშანია.** ეს სენი მიყრილთა, ბერთა და სევდიანთა უფრო დაემართების. თუ სევდის ნიშანი გამოჩნდეს მეტის სიგრილისგან და სიჳმისაგან იქნების. წამალი მისი: აილე ჳარის ძირა და აპუტრატი ჳმელი, დანაყე, გაცერ ერთმანერთის სწორი და ცხვირშიდა სტვირითა შეაყარე და თავსა ქვეშა მუშესა, სადაფსა და ბზის ფურცელსა მოყრიდეს რომე მისი სული ეცემის, უკედ მოიყვანს. თუ პირისა სახე ისევე მისსავე სახესა ზედა იყოს ღვივის კაკალი დანაყე,

ძმარშიდა გაურივე და თავზედა შემოსდევით. თუ ასეთი სატიკივარი მოუვიდეს, რომე იღრჭე (91r) ნდეს პირი გაუღე, ვაშლის შარბათი გაქენ, ნუშის ზეთის ზეთითა გაურივე და პირსა ჩაუსხი. ჳელი ანუ ფევი გაუსსენ. თუ სასიცოცხლო არის და იძერის თვარა წასული არის და აღარა მოეგერების რა, ამას გარეთ, ამა სენსა შიგან, თუ არა სხვა ნიშანი გამონდეს მკუღარი იქნების, ესე სენი დაემართოს. თუ არ ეშველოს, მკუღარსა გვანდეს მისად შესატყობლად რადც ძარღვები არის კაცის ყველაზედა დაიჭირეთ ჳელი, თუ ცოცხალი არის და იძერის, და თუ არ დაიძერის, მომკუღარი არის. სხვა შეტყობა კაცისა. პირდარმა გარდაიქცე, თუ ორნივე მჯილი გაიხსნას და პირი ზურგისაკე ქნას იცოლი მკუღარია. სხვა შეტყობა ეს არის: რომე წამსა კაცი წაიქცეს, თუ ხრინვა დააწყებინოს იცოლი მოკუდა, თვარამ თუ ხრინვა არ დაიწყო, წამლითაც განიკურნების ღ(მერ)თითა. თუ ვერ შეიტყოთ მკუღარია, თუ ცოცხალი, რკინა გააჭურვე, თავსა დაადევი, ჳორცი არ მოსწვას ისრე და თუ სასიცოცხლო არის და თმა მოსწვას (91v) შეიტყობს. თვარამ მკუღარი იქნების თუ არ დაიძერის. ჳშირად თავს იპარსვიდეს, თეთრის ჳარდლნითა და ძმრითა ტლე ქნას და თავსა შემოიდვას. ჳარდალი მდოგვი არის, თავსა თბილად შეინახვიდეს. დიდი თერიაყი პირსა ჩაასხან თაფლით გაღესილი, როგორც ჳკუაზედან მოვიდეს, გასახსნელი შ(ა)რბათი მიეც. **სხვა სევედა კიდევ არის.** მისი ნიშანი, მისი სიკუდილი და სიცოცხლე შეიტყობის და ბოლოდ ამით შეიტყობის. პატარა მდოგვი დანაყონ, თაფლსა შიგან გაყრიონ და თავზედან შემოსდევით.

სხვა სენი არის – ასუბასარ პრქვიან, სქედასა ახლოს ახლავს. ამისი ნიშანი ეს იყოს: ამა სნეულსა არ დაეძინებოდეს. წამალი მისი: ბაბუნაჯი ვარდის წყლითა და ძმრითა ტლედ შექენი და ყოველთა დღეთა თავზედა შემოსდევით და რაზომიცა უნდოდეს იისა და ლულუფარისა შარბათსა ასევედით. საჭმელად ქერისა კორკოტი შეუწყევით.

ერთი სხვა სენი არის სქედასა ახლოს ახლავს, სახელად ასაფრაყი რქვიან. მისი ნიშანი ეს იყოს: მუდამ ძილშიდან იყოს და არ გაიღვიძებდეს, წასაუბრობდეს, წაღმა უკუღმა უბნობდეს. წამალი მისი: (92r) პიტნა ძმრითა მოადუღე, ამღონი ერთი ტლის მაგიერად ქნას, ჳედ მოსდვან ტანსა და სიქანგუბინი აჭამეთ მისსა ფერჳსა თბილითა წყლითა დაბანდით.

ერთი სხვა არის, სახელად შიხური ჳქვიან: მრთელი კაცი ანასდად წაიქცეს, დაბნდეს და დიდხანს მკუღარივითა იღვეს და რად წამოდგეს ვითამ ძილისაგან მოუმხიზლებია ისრე ადგების და ისრე ჳკუიანსა საუბარსა დაიწყებს, ვითამც არა სჭირებია რა, ესეც იქნების რომე

გაშმაგდეს და თავი მოიკლას ან კლდეს გარდავარდეს, ან ცეცხლში, ან წყალში ჩავარდეს და ამას შენახვა უნდა. წამალი მისი: ვარდის ზეთი ძმრითა გააცხელებ, სწორი თავსა შემოსცხე, მერმე როგორცა ცნობას მოვიდეს, ავიროს თესლისა ზეთი, შაქრის ჯუღაბითა. ქერის კორკოტისა წყლითა შეასველებ. კელი გაუსხენით, რომე ყიფალის ქვეშეთ ძარღვი არის და ასეთს რასმე აჭმევდით და ასმევდით, რომე გულს ძალი მოუმატოს.

კარი და ნიშანი ლაყვასი, პირის გამრუდებასა ჰქვიან. მისი ნიშანი ეს არის, რომე ღუჟვა და შებერვა ეწყინებოდეს. პირველი (92v) ნიშანი ეს არის: რომე პირისა ძვალი ასტკივდეს და პირის ტყავი ბრუშად ჰქონდეს და ემღერდეს, ესეცა იცოდი თუ პირი მარჯუენით გაუმრუდდეს და თვალეებმან დაიზიდნეს, ისი სევდისაგან იქნების. წამალი მისი: მუდამ ბნელსა სახლსა დასვემდით, სარკე მიეცით ჰელთა, ჰელთ ქონდეს და შიდ იმზერდეს და მუდამ თბილად ამყოფეთ, ზამთარი იყოს, თუ ზაფხული დაწეროს. ნავდელი ჭაკუნტლის წყლითა გალესეთ და ცხვირშიგან ჩაუშეით, მერმე მასტაქი და თეთრი საკმეველი, ვაშლი და ბია ცეცხლშიგან დაწვი, თავი ზედ წააშვირე და თავზედა გარდმოიბურე და იხრჩოლე, რომე იმისი სული ცხვირშიდა შევიდეს. მუცელიც გაუჭსენი აფთიმონის მათბუხითა და აფთიმონის მაჯუნსაც აჭმევდით. აილე მაშა და გარეული პიტნა, ქონდარი, ესენი ძმრითა მოადლე და ყბასა და პირსა შემოსდევით სითვე სტკიოდეს. სხვა. მელი(ი)სა და ირმის ჯორცი ასრე მოხარშონ²⁹⁸, რომე ძვალისაგან დაიყაროს და ისი²⁹⁹ ზეთის ხილის ზეთითა მალამავითა შექნან და თავსა შემოსდვან, მარგე არის. **მამად ზაქარიას შეიღმა (93r) ასრე თქვან:** ვისაც სენი სჭირდეს, საჭმელს ცოტას მისცემდით, რომე ტანი გაუხურდეს, მისი ძვალეები გახალვათდეს. **სხვა წამალი:** ბაბუნაჯი და გარეული პიტნა კარგად მოხარშონ, მერმე თავი ზედა წააშვირონ, იხრჩოლონ, რომე ცხვირში შევიდეს. საჭმელი: მუხულოს წყალი, ანუ ნუშის ზეთითა, ანუ ბერძულის ზეთითა, ანუ ნიგუზის ზეთითა, ტრედის ჯუნდი, ჭივჭავი³⁰⁰ ხარშით კარგია, თაფლწყალს ასვემდით, ჯაოზსა პირშიდა იდებდეს, ასეთი საჭმელი მიეცით რომე რადც სენი იყოს გაიდოს ისი, თაფლი არის, რომე უზმათ ჭამოს. მერმე მოილე ეს წამლები: დარჩინი, ზანჯაფილი, ზარამბანდი, ნიახური, ზირაქიმანი, ყველაე სწორი ქენი და სხვა ფერი ლაყვას წამალი აილე: ლილა, გარეული ტარხუნა თითოსაგან ოროლი

²⁹⁸ ტექსტშია „მოხარშონ“.

²⁹⁹ ტექსტში „და ისი“ გამეორებულია.

³⁰⁰ ტექსტშია „ჭავჭავი“.

დანგი, თაყვის ყვერი ორი დრამი, ყველა დანაყე და ხათმისა ზეთსა გაურიყე და თაფლითა მაჯუნათ გააკეთე და იხმარე.

რაშა - კელის თრთოლ(ა)სა ჰქვიან. (93v) მას შიმშილი, წყურვილი და უქმობა კარგათ არგებს, თრთოლას არგებს, მოუკლებს, მლაშეს წყალსა და გოგირდსა შიგან ჩაჯდებოდეს. ეს სენი უფრო დიდის ღვინის სმისაგან წაეკიდების, ღვინისაგანაც ფარეზი ქნას და ვარდის ზეთი, ცოტათა ძმართა თავსა მოიდვას. მისი საჭმელი: შემწვარი ჯორცი და ჩიტი იყოს, თუ ჩიტის ხარშო, და ოსპი, და ქალამი ერთად შექნილი და შემწვარი კურდღელი და მისი ტვინი კარგია.

ნიშანი აღვიკაფაჯი. ესე სენი ბევრის სმისა და ჭამისაგანც შეიქნების, რომე ვერა იდნობდეს. მისი ნიშანი ეს იყოს: რომე ცოტა წაიროს დაშვრეს და პირის სახე გაუწითლდეს და მხიარულად იყოს, ფიცხლად ანუ კელი გაუხსნას, და ანუ წამალი ააღებინოს, რომე ზაფრა მოაკლდეს. თუ კაცი ესე მხურვალე იყოს, მისი მოსვენება კმელითა ქინძითა და ცივითა წყლითა იქნების და შაქრითა იყოს და სივრილისაგან იხლათი (!) ვეღარ ისაქმებს.

კარი, ნიშანი ფილენჯისა ეს არის, რომე კაცსა ნახევარი ტანი დაუბრულებს, დაუსუსტდეს და დაუმკლდეს (94r) ესე სენი ლაყუასა, რაბასა, თასუჯნსა მიგავს. ესეც იქნების ჭკუა წასვლოდეს ესე მისგან იქნების რომე ზაფრა ტვინისა სავალსა ძარღვასა შიგან ჩაჯდების და ტვინისა გზა შეჰკრას მამად ზაქარიას შვილი ამას იტყვის ვითა უფროსიც, ესე სენი ბაღმისაგან და სინედლისაგან იქნების. რად ესე სენი დამართოს კაცსა ნახე თუ ნახევარი დასუსტებოდეს ეშველების დ(მერ)თითა. თუ ორსავე მკარსა დამართებოდეს და ასოები მოებანდებოდეს არღარა ეშველების რა და მოკულების კაცი იგი. წამალი მისი: თუ ნახევარი მკარი მობანდებოდეს ასრე სწამლე შვიდსა დღესა წამალსა ნურას ფერსა ნურას მისცემ. საჭმელად მუხუდოსა და მდოგვის საჭმელი შეუწყვეით ზეთის ხილისა ზეთითა ანუ ნიგოზის ზეთითა შვიდსა დღესა უკანის ღარღარასა იქმოდეს, მდოგვითა და ქონდრითა, თაფლითა და თბი- (94v) ლის წყლითა, ამას უკანით თუ საჭმელი მოუნდეს ტრედის ჯუნდი ან ჩიტი შემწვარი ერბოთა წყლისა მაგიერად თაფლწყალსა ასვემდით. თუ ზამთარი იყოს, თუ ზაფხული ნიადაგ თბილად უნდა შენახვა, სასმელად თაფლწყალი.

თუ ფილენჯი ნაკრავითა წაეკიდოს ანუ ცხენიდაღმა ჩამოვარდეს ანუ მაღლისა ადგილითა, ანუ ჯრმლითა, ანუ არგნითა, ანუ ისრითა, ესე წამალი ჰქენ და იმა ადგილსა ზედა დასდევ. აიღე ბატის ქონი ორმოცდაათი დრამი, დაადუნე და გაურიყე შვიდი დრამი ბერძული ზეთი,

აიღე ლულუფარის ძირი დანაყილი და გაცრილი ათი დრამი და ბალის ხილი დანაყილი და გაცრილი თითოსგან ათ ათი დრამი გაურთვე. ბატის ქონსა და ზეთსა შიგან იმა ადგილსა, რომე დაკრული იყოს შესცხე და უშველის ღ(მერ)თითა. სხვა წამალი, რომე ცხვირსა შიგან ჩაუბერვენ: აიღე ერთი დრამი ქალბანა, მური, ნახევარი დრამი მუშკი, ბორა და ზაფრანა, თვითოსგან თვითო დანგი, თახვის ყვერი, წეროს ნავლელი და ყორნის ნავლელი თვითო (95r) დანგი, შაქარი ერთი დრამი ან ორორი დრამი და დანგი დანაყე კარგათ, რომ ფქვილივითა შეიქნას, აიღე ქალის რძე და იმით გაურთვე და ცხვირშიდა ჩაუშვი და უშველოს ღ(მერ)თითა. **მისთვისვე.** აიღე კარის ნავლელი, შაქარი, ზაფრანა, მუშკი ერთმანერთის სწორი ყველა დანაყე და გ(ა)სცერი და ძველითა ერბოთა ცხვირშიდა ჩაუშვი.

კარი და ნიშანი ყოვლის ფერისა თვალის ტკივილისა. რაღც იყოს აქმთა უთქვამს თვალის ტკივილი უფროსი სისხლისაგან იქნების. მისი ნიშანი ის არის: თვალშიდა ძარღვები დაუსხვილდეს და კიდეც დაუწითლდეს, თავის ტკივილი გამოუჩნდეს და თავქედინივითა უბნობდეს. მისი წამალი: უწინ გასახსნელი წამალი მიეც რაღც ფერი იყოს, მერმე კელი გაუკსენი, ყიფალი ზეით მკლავისა სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის, ვარდის ზეთი თავზედა შესცხე, და გრილი ტლევები ფერკის ტერფსა და გულსა ზედა (95v) შემოსდევ, თავზედაც ქალის რძითა და ვარდის წყლითა გალესონ და თვალშიგან ამოიფლონ. იცოდით რაღსაც კაცსა თვალის ტკივილი დაემართების ოთხისაგან იქნების: სისხლისაგან, ზაფრისაგან, სევდისაგან და ბაღდმისაგან. **თუ სისხლისგან იყოს,** ნიშანი ეს იყოს, თვალი წითლად ჰქონდეს და ცხლად. წამალი მისი: კელი გაუკსენ პირველსა დღესა და მესამესა დღესა კვატუში მოჰკიდე, თავსა სისხლი გამოიღოს, საჭმელსა ზუბუქად სჭამდეს კორცისა ღვინისაგან და ყოვლის მკურვალის საჭმლისაგან იფარეზოს, რასაც სჭამდეს ქინძსა გაურევედეს და ბნელსა სახლსა შიგა და ჯდებოდეს, მეტად ნუ დაიძინებს, ბროწეულისა და იისა შარაბსა მისცემდი.

თუ თვალი მოსისხლოდ და ცრემლი სდიოდეს მას უშველის: აიღე სპილენძი დამწვარი სამი დრამი, კარგი ³⁰¹ მურდასანგი ერთი დრამი, გაცრილი სამყიარაბი, აფიონი, ზაფრანა თვითო დრამი ეს ყველაღ შეაჯუმლე და დანაყე და გაცერი წმინდ[ად] ³⁰² ... (96r) ...ღმა სისხლმან დივილი დაუწყოს, ნუ შეუკრავთ, დაეხსენ. რომე ერთსა კვირასა სდიოდეს,

³⁰¹ ტექსტშია „კარაგი“.

³⁰² აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

მას უკან დაყენების წამალი უყავი. წამალი მისი: მრავალძარღვას წვენითა აყიყა გაღვსოს და ყურშიგან ჩაუშვას და ერგების.

თუ სისხლი ყურშიგან გამჟმარი იყოს, პრასის წვენი ნელთბილი ძმრითა ჩაუწვეთონ, მოაღობოს და გამოაყრევინებს.

ნიშანი რომე ყურთა ბაყლი სდიოდეს. წამალი მისი: აიღე მწარის ნუშის ზეთი ცოტად გაათბე და ყურშიდა ჩაუშვი, მერმე აბანე ბა...³⁰³ (96v) **გულს ყერებოდეს** იორდასაღები ან დანაყე და ან გაღვსე შაქრის წყლით მოადუღე თბილით ასვი, ბრეწოული გამოწურე შაქარი ჩაყარე და წყლით მოადუღე. ასვი ძალს მისცემს გუნებაზე და(ა)ყენებს. ნარიჯიც ისე ქენი გულს ყერებოდეს საკმეველი დანაყე კვერცხის ცილში გაღვსე და ქალაღზე სასცხებელის კობზე და(ა)კარი, გულს რომ ყერებოდეს ნიშოს ქვეშ ფუნჩხათ იმის ძირი მწვანე გუნდა სანენებელი მოადუღე და ასვი ძმარი შაქრით გატეხილზედა ასვი ხუთ ფერი ძირიან ფურცლიანა დანაყე, ღვინით ასვი გულს ყერებოდეს საჭმელი გადევდოს, დუჟს აყრიებდეს გაღვას (!) ფურცელი დაკრეფე და ღერი მოხარჩე კობით უმარილი ნუშის ზეთი და(ა)სხი, მარილის მაგიერათ დარიჩინი, ყარაფილი აჭამე.

სურავანდის წამალი: გუნდრუკი, დანამასაიქი, თეთრი საკმეველი, კოწახურის ცილი, ბრეწეულის ქერქი, ქონდარი, შავი პიტნა ძირიან ფურცლიანა³⁰⁴ (97r) ძმრით მოხარჩე და პირში იგუბე.

ტყლიბის წამალი ურთხელის ფურცელი დანაყე და კარგა მო(ხა)რჩე ღვინით შემოსდევით ორ ღღეს ნუ შემ...³⁰⁵ ბანბასა ღვინით მოხარჩე და ქონდარი წა(ა)ყარე, შემოსდევით კუნა, პურის ქატო სამი კობზე მოხიღე და გამოაცხვე, შემოსდევით ტყლიპზე ...³⁰⁶ ქერის მქვილი, პურის მქვილი ღვინით ...³⁰⁷ შემოსდევით. ხმელი ნიორის ღერი ...³⁰⁸ მოხარჩე და თაფლი გაურთე, ხშირათ შემოს[დოს] თბილათ ინჩხლას ძირი დანაყე პურის ...³⁰⁹

³⁰³ აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

³⁰⁴ ამ გვერდზე ტექსტი განსხვავებული კალიგრაფიით არის დაწერილი.

³⁰⁵ არ იკითხება.

³⁰⁶ არ იკითხება.

³⁰⁷ არ იკითხება.

³⁰⁸ არ იკითხება.

³⁰⁹ არ იკითხება.

თხელი მოხრაკე და შამოსდვეი, კარგი ...³¹⁰ თიხმარეხი გაყლეს(ე), ხშირათ ასეი.³¹¹

...რიშამდის (!) ძილისაგან დავარდეს, ვეღარ გასძლებს და მოკუდების კაცი.

ამა ყურისა სიმსივნე ზოგჯერ ბურანშიგან გამონდების და ზოგჯერ სიმრთელეშიგან. თუ კშირსა ბურანშიგა გამონდეს კარგის ნიშანი არის. ესე ოთხისაგან იქნების: სისხლისაგან, ბაღმისაგან, სევდისა და ზაფრისაგან. (97v) **თუ სისხლისაგან იყოს** მისი ნიშანი ეს არის: ფერი წითლად იყოს, ძარღვები სავედ სცემდეს და ძალიანად ამადლებულ იყოს და ტანზედა ახლად და მძიმედ იყოს. **თუ ზაფრისაგან იყოს** მისი ნიშანი ეს არის ტანი მისი სისხლისაგან უფრო ცხლად იყოს და ტანშიდა სიმძიმე არა ჰქონდეს და მწვე სტკიოდეს. **თუ ბაღმისაგან იყოს** ის ადგილი რბილი იყოს და მოთეთრო იყოს ფერზედა და ტკივილი წყნარად იყოს. **თუ სევდისაგან იყოს** ფერზედან მოშაოდ იყოს და ის ადგილი მაგარი იყოს და სავედ და ტკივილი წყნარი. ამისი წამალი ეს არის, რომე ნურას ფერსა წამალსა ასეთსა ნუ შემოსდებ, რომე ის სიმსივნე დასძრას და დაფანტოს, თუ სიმსივნე ბურანშიდა გამონდეს ძნელი არის, მაგრამ ასრე უწამლოდ რომე არ დაფანტოს, რადც ღონე იყოს ასეთი ტლეები შემოსდვეი რომე სენი იქავე მოხარშოს და სიმსივნე გააქარვოს. და თუ ბურანშიგან იყოს და გაუგრძელდეს, მაშინ კელი გაუჭსენი, რომ ტკივილი აუსუბუქდეს. (98r) და თუ ტკივილი წყნარი იყოს, წყნარად უწამლებდი გამორჩეულითა წამლითა ამისთვის რომე სატკივარისა სიმწვავისაგან ცხროდ არ გარდაექცეს. თუ სიმსივნე ერთობ ტკივილითა იყოს რბილი ტლეები შემოსდვეით, როგორაცა ია და ტუხტი დაუღბოსა მაგიერი მულასალითა. პირველად რომე სიმსივნე გამონდეს და მწვედ სტკიოდეს მხვარი თბილითა წყლითა დაასოლე და შემოსდვე და თუ ერთობ სტკიოდეს მარილი გააცხელოს ტაფაშიგან და შემოსდვეით. თუ ტკივილი საშუალო იყოს, იცოდი რომე თავსა გამოიდებს სელის თესლი დანაყე მულასალითა შემოსდვე, სხვა ტუხტი. და ბაბუნაჯი უღბოსა წვენითა დაზილე და შემოსდვეი. სიწყნარითა დაუღბოს. თუ შეიტყო დაბაყლებოდეს, მას დასაღბობელი წამალები შემოსდვე, რომე ჟამზედ დააღბოს. აილე სხვილის ცერცვის ფქვილი, ქაღმისა წვენითა, იის ძირის წვენითა, ყველა ერთად აღუღე, მანამდის რომე გასკელდეს, ცოტა

³¹⁰ არ იკითხება.

³¹¹ აქ მთავრდება განსხვავებული კალიგრაფია და იწყება ტექსტისეული კალიგრაფია და შინაარსი გრძელდება.

ვარდის ზეთი (98v) გაურივე და ძველის ბანბითა ზედა დასდევი და რა დაჟამდეს ნუ გააგრძელებ, ფიცხლავ აიღე ცხერის ძველი ნეხვი, დანაყე და ან ბატისა და ან ქათმისა ქონითა დაზილე და შემოსდევი. კიდევ გამოსწმედს, კიდევ გაამთელებს. სხვავე. უოლა მარილი წყლითა მოხარშე და დადნეს, დაზილე და შემოსდევი და დააუამებს. თუ ერთობ გაგრძელებს დამწვარი სადაფი ცოტა თაფლი გაურივე და შემოსდევ. ან თუ სიმსივნე სევდისგან იყოს მისი წამლები შეუწყევით გრილი წამლები, ქაფური მაღამოს მაგიერი, ძაღლის ყურძენას წვენშიდაგ მარილი დაასოლონ და შემოსდევ. ამისთვის რომე სიმსივნე არ იმატებს და ორი თეთრი სალესავი ქინძის წყლითა გალესე და ერთმანერთხედან შესცხე და აფთიმონის მათბუხიცა შეასვან რომე ტანი სევდისაგან გასწმოდოს.

და არაფერი წამალი ყურის ტკივილისა მის უკეთესი არ არის ნელ თბილი ერო ფურისა ყურშიგან ჩაუშვა ერთობ კარგი არის დ(მერ)თითა.

თუ ყურშიგან ჯინჯველი ანუ სხვა რამე ჩასწრომოდეს ანუ მატლი დაბადებული იყოს, მისი წამალი: ტენცო დანაყე, გამო- (99r) წურე და მისი წვენი ყურშიდა ჩაუშვი და უშველოს ატმის ფურცელი დანაყე გამოწურე და მისი წვენიცა ჩაუშვი, ცოტა საყმუნია გალესე და ყურშიდა ჩაუში და მასვე წამსა მოჰკლავს. სხვა. ბოლოკისა და ხახვის წვენი ჩააწურე და ესეც მოჰკლავს ნაველი რისაც არის ისიც მოჰკლავს ან ცოტა საბრი გაადგინე წყლითა და ყურშიდა ჩაუშვი და ფიცხლავ მოჰკლავს.

კარი და ნიშანი ცხვირთა ტკივილისა და სისხლთა დენისა. თუ კაცსა ცხვირშიგან ბუასირი გამოუვიდეს მისი ნიშანი ეს არის რომე ცხვირისა ნახვეარი შეეკრას და ცხვირის სატკივარი დაღმა კორცივითა გამოვა, ხან გამოვა და ხან წავა. წამალი მისი. უწინ ყიფალი გაუხსენ, სიდეთეც სჭირდეს, მერმე ჩქიფითა გამოგლიჯე მერმე წამალი იყავ, აიღე ჯანგარა ორი დრამი, ფიჭვის გომიზი ხუთი დრამი დანაყე გაცერი, მერმე აიღე ბერძული ზეთი და ცვილი თორმეტ თორმეტი დრამი ერთად აღუდე, რომ ცოტად გამოვიდეს, ეს დანაყილი წამლები შიგან გაურივე და დაზილე მაღამოს წესითა, რად მოგინდეს ბანბის პატრუკი შეჰქენ და შესცხე (99v) ყოველთა ღამეთა შეუდეგ სანამდის გამრთელდებოდეს. თუ ცხვირიდაღმა სისხლმა დაუწყოს დივილი უნდა შეიტყოს აქიმმან რომლითა გზითა მოდის და ანუ რამდენი ფერია. ერთი ეს რომე სისხლმან წვეთა დაიწყოს და ფიცხლად დადგეს ის ცხროს სისხლის ბუხრისაგან არის იქნების რომე უწინ წენარად სდიოდეს და მერმე გაჭშირდეს და გუვიან დადგეს ესე სისხლის ბუხრისაგან არის. და იქნების ერთპირად და კშირად წარმოსცეს

სისხლმა ...³¹² ესე ოთხ ფერი არის: ერთი რომე სისხლი დასჭარბდეს ტანის ძარღვებისგან, მეორე რომე ძარღვი გახსნილიყოს, მესამე სისხლი სასასა ძარღვებშიგან გაცხელებულიყოს, მისგან ხშირი სისხლი სდიოდეს და ერთობ თავის ტკივილი გამოჩნდეს ამას ძნელად ეშველებს. **სხვა ნიშანი რომე სისხლი თავისა, ცხვირისა, და სასისა ძარღვებისგან** ედინოს სისხლი, ამის ნიშანი ეს არის: სისხლი თხელი, წითელი და ცხელი იყოს, იქნების პირველად ჩქარად სდიოდეს და მერმე იკლოს და დადგეს, კარგის ნიშანი იქნების რომე ავიც იყოს. კარგის ნიშანი ეს არის (100r) რად სისხლის დენა გათავდების დასწყედეს კაცი ზუბუქად და ფერ წმიდად იყოს, თუ ტანზედა დამძიმდეს და ფერ ყვითლად იყოს ავის ნიშანი არის. რომე კიდევ უწამლო მაშინც ავია.

აწუ ცხვირის სისხლის დენისა სარგებელი მოგახსენოთ ახლად სნებიანს რომე სიმკურვალით იყოს და ყვაილისა ქუშუთოსა იმისთვის კარგი არის და ბედნიერი და სისხლისა დაყენება არ უნდა თუ არ ნამეტნავად მისჭირდეს და თუ ამა საქმესა შინა სნეული დამჭლდეს და დასუსტდეს და გაყვითლდეს ავის ნიშანია. ბურანშიგან რომე სისხლმან დაუწეოს დენა არ უნდა დაყენება. ამისთვის რომე სენსა გასწმედს და თუ ერთობ დაუწეო დენა და დასუსტდეს, მაშინ უნდა დააყენოს ისი, რომე სისხლის დაჭირვებისგან სდიოდეს არცა მას უნდა დაყენება. ამისათვის რომე სენსა გამოსწმედს და მაშინა კვლისა გახსნა არის უკეთესი წამალი, მაგრამ ძარღვსა წვრილად უნდა გახსნა. ამა ცხვირისავე უნდა გახსნა ცოტა იდინოს. კაცსა რომე ცხვირთა სისხლი სდიოდეს მისი წამალი: ფიცხლად კელი გაუკსენ (100v) თუ მარჯუენას ნესტესა სდიოდეს მარცხენა კელი გაუკსენ, თუ მარცხენასა სდიოდეს მარჯუენა გაუკსენ და სისხლი ცოტა გამოუშვი და ღვიძლის ანუ ტყირპისასა კვატოში მოპიკიდოს. **მისთვისვე:** შუბლსა ქაფური, ვარდის წყალი და სანდალი სცხე და ცხვირთაცა ჩაუწვეთე. ცოტა ქაფური. **მისთვისვე:** მოიდე ოსპი, ქერის ფქვილი, გუნდა, ისრიმი, მურტი, მაცელის ფურცელი, ამათგან სწორსწორი დანაყე და გასცერ და ან ძმრითა და ან ვარდის წყლითა მოზილე და შუბლსა შემოსდევი და შევასვათ მჟავის ბროწეულისა წყლითა, ან ნარინჯითა ან ძმრითა და წყლითა გაზავებული. **მისთვისვე:** პატრუკი დაიჭირე და გუნდა და ქერითა ბაგი დანაყე და ძმრითა შეზილე³¹³ და პატრუკსა შესცხე. და ცხვირშიგან შეუდევე ანუ ჩაუწვეთე ცოტა ქაფური

³¹² არ იკითხება.

³¹³ ტექსტშია „შეძილე“.

საზამთროს წყლითა და შეუხეიეთ ჰელი და ფეკი მხვრითა თუ ეს ცხვირთა სისხლისა დენა სნებისა ოფლისა დენისა ჟამსა დაემართოს კარგის ნიშანი არის, თუ ერთობ სდიოდეს ეს წამლები უყავ რომე დაგვიწერია.

ცხვირთა დაცემისაწამალი, რომე ცხვი- (101r) რთა დაცემა უკუაყენოს. ვარდის ზეთი დაწნიორის ფურცლისა ზეთი ცხვირშიგან ჩაუშვი და უკუაგდებს. ნელ თბილი ერბო ორთავე ყურთა ჩაუშვი და თბილი სახერეტილიც უკუაგდებს, თბილი რამე თავზედა შემოსდვა, რომე სითბო ტვინშიდა შევიდეს მარგე არის. თავშუბლი, ჰელი ერბოთა დაიზილოს, მერმე უფრო კარგა ყურის ძირი დაიზილოს ერბოთა და ცხვირთა დაცემა უკუაყენოს.

კაცსა თუ ბაგე გაუსქდეს მისი ის არის, რომე ყოველთა დამეთა ჭიასა უკანასა კარსა იისა და ლულუფარისა ზეთითა იზელდეს. მერმე კიტრი შუა გაჰკუეთე, ერთმანერთსა შეუსვი. რადც ორგნითვე წყალი გამოვიდეს აიღე ის წყალი და შესცხე გახეთქილზედა. **მისთვისვე:** აიღე დანაყილი გუნდა სახამებელი და უმარული და ქათირა ერთმანერთისა სწორად. სწორი ქენ და ჯუმლად დანაყე, მოიღე ქათმის ქონი, ვარდის ზეთი, წმინდა ცვილი, ცოტა ერბო, ესენი ყველა მალამად შექენ და ზედა დასდევ კვერცხისა ხეჭეპცა შიგნით რომე თხელი (101v) აპკი აკრავს ისი გახეთქილზედან დაიდვას. დაიკრას და ქაფურისა მალამოც კარგია და ყოველთა დამეთა ჯუღაბსა სვემდეს მრავალძარღვითა. **მისთვისვე.** ბატის ქონი, ჰბოს ქონი, ქათმის ქონი ერთად დაზილე და ტლედ შემოსდევ მარგე არის. საჭმელად მოხარშული ჭაკუნტელი და თოხლო კვერცხი და ისპანახი ქერის წყლითა შექნილი აჭამე.

კარი კბილთა ტკივილისა. თუ კბილის ძირი გასქდეს მისი წამალი უწინ ჰელი გაუსხენი მერმე კვატუში მოჰკიდე კისერზედ და ოსპი და სამყი პირშიდა დაიჭიროს და მერცხალი დანაყილი ძმრითა მოადულოს და პირშიგან იგუბებდეს.

კაცსა ღრჯილი ჰქონდეს გახეთქილი თუთუბო ან კაწახური ძმრითა მოზილე სამჯერ ოთხჯერ ზედა დასდევი და უშეველის ღ(მერ)თითა.

კაცსა პირი უყარდეს. მისი წამალი ტკბილის საჭმლისაგან და ნიგუზისაგან იფარეზოს. თუ ტკბილი რამე სჭამოს ჯუღაბითა პირი გამოიბანოს. თუ ნიორი სჭამოს კბილის ძირი ან თაფლითა ან ქათირითა დაიბანოს. პირსა მუდამ (102r) ვარდის წყლითა და ძმრითა გამოიბანდეს. კბილებსა ზეთის ხილის ზეთითა გამოიკაზმიდეს, ასეთი წამალი ჰქენით, რომ კბილები გათეთრდეს და სული გამოიღოს ეს არის რომ აიღე ზღვის

პერული, ჩინურის ნატეხი მარლი თვითოსგან სამსამი მიტყალი დამწვარი ქერი, დამწვარი სუმბული და მოცხარი და შაბიამანი. ეს ყველა დამწვარი და ძმრითა დამბალი თვითოსგან ოროროლი მიტყალი და სანდალი ორი მიტყალი. ეს ყველა ერთად დანაყე და იმითა კბილის ძირსა დაიზელდეს. და ტყემალი მოხარშული, მოხარშული ატამი, ნესესა უზმა სჭამდეს მარგე არის, ქერის ანაკვეთიც ცივის წელითა და შაქრითა რომე კბილსა ძირსა და პირსა იმითა იზელდეს კარგია და კბილისა გახეთქისა ძირისათვის ისევე ამას შეუწყევით.

თუ მრთელსა კაცსა ანუ სნეულსა ანასდად ენა დაუსუსტდეს მისი წამალი ესე ქენ: აიღე კმელი სონიჯი და კმელი საშურ ...³¹⁴

(102v) **(მ)ჯღომისაგან ხველა შჭირდეს** იელესამეაი, ია, კოსტაი, შარვალი, მარიამ სხალაი, ოსოპინტრო, ღორის ჩაიმელა, მრავა ძარღვაი, ტაბელა, მატატელა, ცოტა თეთრი საკმოველი, ტაბელაი ძირი, ოხატვევის ძირი, მთელი ოხატვეა თუ სიცხე³¹⁵ ქ(ო)ნდეს წყალით ასვი, თვარა ღვინით მოადუღე და ასვი.

(მ)ჯღომის ღვიძლის წამალი: დანერგილი ვარდის ძირი, ეკალის ძირი წითელი წამალი დანაყე და წელით მოხარხე, ასვი **გულს უხთებოდეს** ვარდის წყალში ნიშადური დადნე და ასვი.

ტყლიპისათვის – ხიზალარალი წელით მოტაფე, შემოსდვი.

ყვერისათვის – დამწვარი ირმის რქა ...³¹⁶ დანაყედ, თაფლში გაზილე და შამოსდვი. (103r) წითელი ვარდი, ბროწეულის ყვაელი, გუნდა, შიგან რომე შიგნით სხვა გუნდა იქნების და თეთრი სანდალი, გაქლიბული თუთუბო ყველა სწორსწორი წმინდად დანაყე, ვარდის წელითა ადუღე, გამოწურე და იმით ღარღარა აქნევენე. **მისთვისვე** აიღე თეთრი შაბი ოთხი დრამი, ბროწეულის ყვაელი, ქაფური და ნიშადური. თვითო დრამი ყველა დანაყე და გაცერ და რკინისა კოვზი დაასველე და ესე წამალი ზედა დააფარე და პირიშიგან შეყარე და აზიდენ მითა. **თუ ზანდიკისა სიმსიენე თუ ზაფრისგან იყოს** მისი ნიშანი ეს არის: პირი რომე მწარე ებას და ენა ყვითელი და ცხელი იყოს და სწყურდებოდეს. მისი წამალი ეს არის: აიღე ყვითელი ალილა ხუთი დრამი და ერთს ღამესა დააღბე და დილას მოადუღე ასრე რომე ნახევრად მოიყაროს და გამოწურე და შეასვი. თუ დანაყილი და გაცრილი მისცე თბილითა წელითა ორი დრამი ანუ სამი

³¹⁴ აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

³¹⁵ ტექსტში „თუ სიცხე“ გამეორებულია.

³¹⁶ არ იკითხება.

დრამი მიეცი. **მისთვისე**, აიღე ინდიოური ტყემ- (103v) ალი, თუ არ იყოს შავი ქლიავი, ხოშამბრის გული, ძაღლის ყურძენას წვენი, ქერის წვენი, ამათითა გაქენ და გამოწურე, და ღარღარა აქნევინე მარგე არის. **თუ ბალღმისაგან**, მისი ნიშანი ეს არის რომე ზანდიკი გაუგრძელდეს, როგორაცა თაგვის კული გრძელი იყოს, მოთეთრო და რბილი, სიმწვავე და სიცხე არა ჰქონდეს, მაგარი და მძიმე იყოს. წამალი მისი: აიღე მღოგვი და გუნდა და დანაყე და ძმრითა ტლედ შემოსდე. **თუ ზანდიკისა სიმსივნე სვედისაგან** იყოს მისი ნიშანი ეს იყოს, სიმსივნე მაგარი იყოს და პირი და ენა მოშავო იყოს, და ესეც იყოს პირის გემო მოშავო იყოს, რომე სენისა სიმსივნესა ჰგუნდეს. წამალი მისი, ესე უყავ რომე პირში დაიგუბოს და კიდევ იღარღაროს, ქინძის წვენი ქარფქინის წვენი პირშიდა დაიგუბოს, კიდევ იღარღაროს, რომე სიმსივნემან არ იმატოს და სარტანად არ გადაიქცეს.

ნიშანი ხუნაყისა ხუნაყი ამას რქვიან, რომე ჯაკა სტკიოდეს და საჭმელსა ვერ ჩანთქმიდეს, ყელიც გაუსივდეს, ესე ავი სენი არის, ყელიდადმა რომე სისხლი მოსდიოდეს მასაც ხუნაყი ჰქვია. (104r) თუ ხუნაყი დაემართოს ყელი სტკივდეს სულსა ვერა ირქუემდეს ორისაგან იქნების: ერთი სისხლისაგან, ერთი ზაფრისაგან. **თუ სისხლისაგან იყოს** მისი ნიშანი ეს არის წითელი იყოს და რად კელი დასდვა შიგნი იძროდეს რად ეს ნიშანი ნახო ფიცხლა კელი გაუქსენ და სისხლი მეტად ბევრი აღინე. **თუ ზაფრისაგან იყოს** ფერზედან ყვითელი იყოს და ნამეტნავად ცხელი იყოს და მაჯა წვრილად და ჩქარად სცემდეს. **თუ ცხვირშიგან ჩაუვიდეს და ცხვირი გაუსივდეს** იმასაც კელი გაუხსენ. ასეთი შარბათები და საჭმელი მიეც რომე სისხლი დააწყნაროს. თუ ზაფრისაგან იყოს წამალი მისი: აიღე შირხიშტი ანუ მჟავითა ანუ ტკბილითა ბროწეულისა წყლითა ანუ ქასნისა წვენითა ხიაშამბარი დაადნოს და იმისგან სვას, რომე მუცელი დაუღბოს და გამოწმინდოს და მერე ღარღალა ქნას. ამა წესითა აიღე მური წმინდა ორი მიტყალი და ზაფრანა ერთი მიტყალი ეს ორივე ტუხტისა წვენითა ჩაადნონ ამისგან იღარღაროს რომე მუც- (104v) (ყილი დაუღბოს და ხიაშამბარი ახლითა რძითა დაადნონ და ბორა ტუხტისა შარბათითა არაადნონ და ისი იღარღაროს და ყელი დაუღბო. ორივე ორი სწორად მოადუღონ და ამ წყლითა ხიაშამბარი გაქნან, და იღარღაროს, და ზროხის ერბოთა და ღვინითა მოდუღებულთა, ხათმის წყლითა, იღარღაროს და მისი საჭმელი ქერის წყალითა იყოს, და ანაკუჭთის წუენითა საჭმლად შეუწყონ. და თუ სუსტად იყოს, ყიფალი გაუხსენი, ამისთვის რომე სისხლის დაჭარბებისაგან არის და მისგან დაემართებია.

თუ ხუნაყისა უფალმან პირიდადმან პერული ამოიღოს სიმრთელის ნიშანი არის ამისთვის რომე ძალი და მამაცობა მისავე ადგილსა არის. **თუ ხუნაყისა უფალსა** ფერი გაუმწვანდეს და თვალისა გარეშემო გაუშავდეს მასვე წამსა მოკვდების. **პირველად რომ ხუნაყი გამოჩნდეს** ყიფალი გაუსხენ და ამდონი სისხლი ადინე რომე შესუსტდეს და მასვე წამსა უშველის. და თუ სუსტად იყოს მაშინ ერთპირად ნუ ადენ, სამ დღესა ათათი, ანუ ხუთი დრამი, ან ამისათვის რომე არ (105r) დასუსტდეს, და თუ დასუსტდების სულის გუბება დაერთვის და სისუსტისაგან სულის გუბება ავი არის, ავის ნიშანია და ენის ძარღვი ძირსა თუ სავსე და გაზიდული იყოს ფიცხლა გაუსხენ, ყოვნება არ უნდა ერთობ მარგი არის და თავზე და კვატუშის მოკიდებაც კარგი არის. **თუ ყელი ასრე შეკრვით იყოს** რომე არას ჩაუშვებდეს მუმრღვანი შექენ, პირშიგან იგუბოს და ცოტას ჩანთქმოდეს, და აგრევე ქაფურის მალამა კვერცხის გულშიგან გაურიეთ და ისიც პირშიდან იქონიოს და ჩანთქმოდეს, თრიაყი სჭამოს, ისიც კარგი არის, ნებთა ღ(მერ)თისათა და ჟოლის შარბათსა იღარღარებდეს. **თუ ამაზედა თუ აჭველებდეს და ჭველა სისხლსა ამილებდეს** ავი სენი არის. წელთა შუა კვატუშსა მოიპკიდებდეს, მერმე ეს წამალი შეუწყევით. აიღე წითელი წამალი, სამყიარაბი, ალისარჩული, თეთრი საკმეველი, თვითოსაგან თვითო დრამი წვრილად დანაყე, მერმე ბიის შარბათი გაურიედე, ოროროლი მიტყალი მიეც, რომე სჭამდეს. თუ მან არ უშვე- (105v) ლოს, ზუფის შარბათი რძითა შეუწყევით. აიღე რევანდი და აფიონი თვითო დრამი, ბროწეულის ყვავილი ერთი დრამი და ნახევარი ბერძნული თისა, და კანაფის თესლი ხუთხუთი დრამი, საკმეველი ნახევარი დრამი დანაყე და გაცერი, და ქათირისა წყლითა გაურიე. კვერები შექენ და ჩრდილსა გაახმე. რად მოგინდეს მიეც ცივითა წყლითა სამი დრამი საჭმელი, ფუმრუკი. მიეც ნუშის ზეთითა. **თუ მოვიდეს სლოკინითა, დუჟითა,** ფარეზად შეინახე და წამალი ეს უყავ. პირველად ღარღარა აქნევინე, ამითა რომე ხახისა ტკივილსა სწერია. **თუ ზედასა ხახასა სდიოდეს ანუ დუჟსა ჰყვებოდეს** იგი ავია და საჭმელს ნუ აჭმე, და თუ სლოკინითი ამოვიდეს იგი სჯობს და ნუ გემინიან. წამალი ეს ქენ. პირველ ძარღვი გაუსხენ, მერმე აიღე თეთრი საკმეველი, ბროწეულის ყვავილი, თეთრი ხაშხაში, სამყიარაბი, თვითოსაგან სამსამი დრამი, ხაშხაში ორი დრამი დანაყე, გაცერ და რად მოგინდეს მიეც სამი დრამი, ზედა ბიის სასმელი შეასვი (106r) ცივითა წყლითა, ათი დრამი და საჭმელი ისრიმითა, ანუ თუთუბოთა, ან კოწახურითა შეუწყევით.

ნიშანი კმის ჩავარდნისა ორის ფერისაგან იქნების ერთი სინედლისაგან, ერთი სიკმისაგან. თუ სინედლისაგან იყოს მისი ნიშანი ეს იყოს რამე რაჲ კმის ამოღება უნდოდეს წერილად ამოიღოს, ასრე როგორც პატარა ლეკვისა. ესე ბალღმისაგან იქნების იცოდი თუ სიკმისაგან იყოს, კმა წეროს კმისა უგვანდეს. წამალი მისი კმის ჩავარდნისა ეს არის. ფიცხლა უწამლო თუ ხანი გამოვა ძნელად გაწმდების და ეწამლების. თუ სენი სიკმისაგან იყოს მისი წამალი. მრავალძარღვის ლაბი შექენი დააჭმევი, ნელთბილი ქათმის ხარშო, მსუქნის ცხერის გული, შაქრით, მარგე არის. კიტრის და ასპანახის ხარშო, ცხელი რძე, შაქრითა, კარაქი შაქრითა, სახამებელი შაქრითა, აბანო ბანა კშირად, ნელთბილის წყლის სმა მარგე არის, და ტკბილი ბროწეული ცხელსა მხვარშიგან გახვივეთ და ცხელსა ნაცარშიდა ჩასდევ, რომე შეიწვას მერმე თავი (106v) მოკადონ და მისი გული შეშითა დატყლიჟონ. მერმე იის ზეთი ცოტა ანუ ნუშის ზეთი იმა ბროწეულზედან დაასხან, მერმე ჯულაბი შექნან, და ამა ბროწეულის წვენიდან გაურიონ და გაათბონ ნელად, და შეაჭამონ ერთობ მარგია. თუ სინედლე და ბალღამი სჭარბობდეს ქალმისა ლოყია არგებს, წამალი მისი. აიღე ქალმის შტო და ფურცელი, წყლით მოხარშე, მერმე დატყლიჟე და გამოწურე, და თაფლი გაურივე, და მანამდის აღუღე რომე შესკვლდეს, აჭამე მარგი არის. **მისთვისევე.** აიღე ანგუჟატი ათი დრამი, ზაფრანა ოცი დრამი, თაფლი ერთმანერთშიდა გაურიე და ერთად გაღესე, და აღუღე მანამდის, რომე გასკვლდეს, მერმე პირშიდა დაიჭირებდეს და წოვდეს, ამას ანგუჟატსა ლოყია ჰქეია. **მისთვისევე.** აიღე კმელი ლეღვი და პიტნა კმელი იყოს, თუ ნედლი, ესე სწორი წყლითა აღუღონ მანამდის, რომე დადნეს, ლეღვი თაფლივითა შეიქნას და გამოწურე, მერმე დანაყილი სამყი გაურივე და ცოტა კიდევ აღუღე, სანამდის გასკვლდებოდეს, და პირშიდა ჩა- (107r) იღებდეს. **თუ სიმჭურვალისაგან იყოს** კმის ჩავარდნა ქერის კორკოტის წვენი ნუშის ზეთით ერთობ მარგე არის. **თუ ბალღმისაგან და მიჭირებებისაგან იყოს** მისი წამალი ქათმის ხარშო, ცხელი რძე, თორხლო კეერცხის გული, სხვილის ცერცვის ფქვილის სახერეტელი, ყველა შაქრითა და ღვინო იფარეზოს და ჯულაბს სვემდეს. **თუ კმა უთროდეს მისი ნიშანი** და წამალი დიდსა კარაბადინშიდა სწერია.

თუ კისერი და ყელი ცხენის წაქცევისაგან ან მალღიდან ჩამოვარდნისაგან სტკიოდეს უწინ მუშია შეასვან ერთი დრამი თბილის წყლითა და შაქრითა, და მას უკან ცხელი ცხერის რძე შეასვან, და მას უკან ეს ტლე შემოსდვან. აიღე მრავალძარღვის ფურცელი და ცოტა ქერის

ფქვილი, ძმარი და კვერცხის ყვითელი გული. ეს წამლები ამაშიგან გაურივე და შემოსდევნი მარგე არის ნებითა ღ(მერ)თისათა.

თუ კაცსა ყელშიდა რაიმე დაეჩაროს ფხა ანუ ძვალი მისი წამალი ეს არის რომე კორცსა აბრეშუმი მოაბი მაგარი მახვი (!) მიეც რომ ჩანთქას და წყნარად ამოზილე, და კიდევ (107v) ჩანთქმევინე, და კიდევ ამოზიდე, მანამდის ქენ რომე ამოილოს ან ჩაილოს წმინდა იაკობ, წმინდა ვლასი მოიხსენიე.

კარი ჳველისა ზიყინაფასი იყოს თუ რადე ფერი ჳველა რასდენ რიგი იმ ბრძენთა აქიმთა ყველა შეუტყვიან, კარგად უნდა შეტყობა. **თუ ახველებდეს და ბაღლამს** ამოიღებდეს დაიჭირე მწარე ვაშლის მწარე წვენი მარილშიდა გაურივე და მით ღარღარა აქნევინე, რომ სტომაქის თავი გამოწმინდოს. **თუ მუღმად გაუწყვეტლად აჳველებდეს** დაიჭირე ჩამიჩი, თეთრი საკმეველი, რა ერთიც გინდოდეს წყალშიდა მოადუღე, გამოწურე, ცოტა ნუშის ზეთი გაურივე და შეასვი ცხელცხელი და ერგების ღ(მერ)თითა. **თუ აჳწმლოს და ცოტა სისხლი ამოტანოს** დაიჭირე ბამბის კურკის გული ხუთი დრამი, ერთი დრამი ძირა, სანელებელი, დანაყე და ნესვის თესლისაგან სახვერეტელი ფუშრუკი შექენ, და ერთმანეთშიდა გაურივე და შეასვი. **თუ ჳველაშიდა სისხლი და ბაღლამი ერთად ამოტანოს, გული ეშლებოდეს, არწყვეინებდეს, კმა ჩავარდნოდეს, კიდევ აჳველებდეს, თავი სტკიოდეს და ქშინეოდეს, მაგრა ცხელება არა სჭირდეს,** (108r) **თუ სახე ფერზედაც თეთრად იყოს. თუ ჳმელად აჳველებდეს ქერი გამოსწურე,** ამდენი ქაფური, ან თეთრი სანდალი ცხვირშიდან ჩააწვეთე. **თუ სწყურდებოდეს მჟავანას წვენი** შაქრითა გაატკბე და ვარდის წყალი გაურივე, და შეასვი. მისი წამალი. **თუ შეეძლოს გასახსნელი მიეც,** თუ არ შეეძლოს ეს ზუფის შარბათი მიეც, რომ სხვას წამლებშიდა სწერია, კიდევ არწყვეინე და საჭმელად ასპანახი შეუწყვი, ნუშის ზეთითა და თბილი წყ(ა)ლი მუღამ იღარღაროს. **ერთი ჳველა სხვა აქეს, სვედისაგან,** მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ხან გრძლად აჳწმლებდეს და ქშინვა სჭირდეს, და უძილობაც. მისი წამალი ეს იყოს, მუღამ ცხელცხელსა ჯულაბსა სვემდეს და ნურაფერსა მჟავესა ნუ ატმეოთ, საჭმელი მაშა შეუწყვიით. ნუშის ზეთითა იმასჭამდეს. **ჳველა თუ სიმჳურვალისა და სიჳმისაგან** იყოს, მისგან რამე უშველოს გამოცდილი ეს მაჯუნი ბროწეულისა უშველის, მკერდის სიმავრესაც და სისხლსაც დააწყნარებს, უზმასაც მიეცემის და ნაჭამსაც. (108v) აიღე ტკბილი და მწიფე ბროწეული და ქერქისაგან გამოიღე, მერმე ჳვლითა გამოწურე, წმინდასა ჳურტელსა შეინახე, მერმე სამოსლითა გამოწურე და ქვაბშიდა ჩაასხი, და ორი ზომა შაქარი გაურივე,

და ნელ თბილად აღუღე, და ქაფი მოკადე, და რად გასკელდეს, აიღე სამეი არაბი და ქათისა, თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი და მერმე წამალშიდა ოცი დრამი თაფლ წყალი გაურივე. გაქენ, რომე დადნეს და ბროწეულის წყალი ზედ დაასხი, ცეცხლზედ მიდგი და აღუღე, რომე გასკელდეს აიღე და გააცივე, და წმინდასა ჭურჭელშიდა ჩაასხი, და რად მოგინდეს მიეც ერთი დრამი. თუ შეძლოს ამაზე და ნურას აჭმევ, ესე გამოცდილია და უშველის ღ(მერ)თითა. **სხვა იმისივე სენისა წამალი, კველა ერთობ რომე კაცსა აწყენდეს.** აიღე თეთრი საკმეველი, ქართისა და სამეი არაბი, რუბი, სური, ყველა სწორ სწორი დანაყე და ამისგან მიეც ერთი მიტყალი. (109r) თუ ამან არ უშველოს აიღე ანდუზი, სონჯი, სწორ სწორი დანაყე, თაფლი გაურივე და მიეც ეს გამოცდილია. **კმელის კველისათვის.** ანაკუჭთის წყალი შეასვი, ნუშის ზეთი ერთი დრამი, შაქარი ოთხი დრამი, თბილი შეასვი უზმათ. **მისთვისვე. წამალი რომე ნაკველი ამოიღოს, და თირკმელისა და გუერდის ტკივილისა, და ბუშტის ტკივილისა, მკერდისა და მუცლისა, და სტომაქისა ტკივილისა, რადც ფერი სენი რომე სტომაქშიან იყოს ყველას უშველის.** აიღე პილპილი ოცი დრამი, სამეი არაბი თექვსმეტი დრამი³¹⁷, ნიახური, ანდუზი თხუთმეტი დრამი, ესენი დანაყე და გაცერ, თაფლითა გაურივე, მერმე გაერთდეს, მიეც ერთი გუნდის ოდენი, ზედა ცოტა თბილი წყალი შეასვი და უშველის. **მისთვისვე.** წამალი კარგი და გამოცდილი. აიღე მური და სადაფი, შავი საკმეველი, თაფლი, გაურივე და ცოტა პირშიდა დაიჭირე. (109v) **ნიშანი ნედლის, გრილისა კველასა რომე უშველის.** მისი მაჯუნი. რომე მკერდი გამოიწმინდოს და სველი სენი დაამწიფოს. აიღე კმელი ზუფა, იის ძირი, მლოგვის თესლი, ანისონი, სწორ სწორი დანაყე და გაცერ, თაფლი ააღუღე, როგორც მართებს, მაჯუნი შექენ და ახმარე, თვითოს ჭამაზედა თითო კოვზი უნდა. **სხვა კველა რომე ფერდი დაწყლულებული იყოს.** მისი ნიშანი ის არის, რომე კველა გაუწყვიტლად იყოს და ცხელებაც სჭირდეს, და მჭლდებოდეს, და დღივ და ღამ ბალღამსა სისხლი ჰყვებოდეს. მისი წამალი: ქერის კორკოტი, კირჩხიბითა მოღუღებული, ხაშხაშისა შარბათითა შეასვას. დაიჭირე თეთრი ხაშხაში ნახევარი მიტყალი, აყიროს თესლის გული, კიტრის თესლი, თვითოსგან ნახევარ ნახევარი მიტყალი, გაცრილი ფქვილი, თეთრი ქათირა, რუბისი, თითოსგან თვითო დრამი (110r) და ნახევარი დრამი, წითელი წამალი და ნიახურის თესლი ერთი დრამი, აფთიმონი, დარიჩინი, ნახევარ ნახევარი დრამი. ეს ყველა დანაყე და სამს

³¹⁷ „თექვსმეტი დრამი“ ტექსტში გამეორებულია.

დღე ქლიავის წყალშიდა გაურივე, და შეასვი აწ ხაშხაშის შარბათითა. **თუ ეს სენი ძველი იყოს** მისი ნიშანი: დუჟის მაგიერად ბაღლამსა ამოიღებდეს. თუ ამ სენსა სწამლობდე, ასთე უნდა. წყლითა ჯამი თავსა და იმისი ბაყლი წყალშიგან ჩააგდო და ჩავარდეს, ნურაფერს წამალს ნუ მისცემ, სასიკვდილო არის, და თუ წყალმა ზეთ მოიგდოს, სიმრთელის ნიშანი არის, და ასრე უწამდე, ქერის კორკოტი მიეცით. **თუ ეს სენი კველი იყოს მისი ნიშანი:** ბაღლამი იყოს სისხლშიდა იცოდი ფირტვი დადნების. მისი წამალი ახალი რძე არის, შეასვას ცხელცხელი და მაქარიც გაურივე, და ქერის კორკოტიც შეასვას, და საჭმელი ახლითა რძითა, ბრინჯითა, ნუშის ზეთითა (110v) გაურივე და აჭამე. **სხვა გარდამდებსა კველასა წამალი:** აიღე ერთი ჯამი თაფლი, ორი ჯამი წყალი, ცალი პეეში ცერეცოს თესლი, ცოტა მასთაქი, ცოტა თეთრი საკმეველი, ცოტა სანელეზელი დანაყეთ და ესენი ასრე მოაღუღეთ რომე შესკედდეს. სამი ჯამი ერთზედა უნდა მოიყაროს, როდესაც მოუნდეს თბილთბილი სვას და უშეელის. **თუ კველისაგან კმა ჩავარდნოდეს** მას გასასხნელი შეუწყევით. შირხიშტი, ხიაშამბრის გულითა, თარანგუბინი, ესე გაღესე და შეასვი, და ყიფალი გაუხსენი, მკლავის სადრეკს ზედათ ნაპირს არის, ყოვლის მუავიანისაგან იფარეზოს, და აბანო მუდამ იბანოს. მერმე აიღე სხვილის ცერცვის წვენი, ცხელი შეასვი თაფლწყლითა, და საზელითა გულისპირი დაიზილოს, ჩამინი უკურკო აღუღონ და ნუშის ზეთი გაურიონ, და უზმოსა აჭამონ, და საჭმელი ფუშრუკი შექენ და რძის ჯულაბიც გაურიონ, და კვერცხის ყვითელი გული მაქრითა აჭამონ. **თუ ზახილისაგან ან სიმღერისაგან (111r) ხმა ჩავარდნოდეს.** აიღე ტკბილის ბროწეულის ქერქი, ყვითელი ალილა, ორივე დანაყე და ფუშრუკი შექენ, და შიგან გაურივე, და აჭამე, ქასნის წყლითა ღარღარა აქნევინე. **სილის კველა რქვიან, ერთობ ბნელი სენი არის.** ამისი ნიშანი და წამალი ეს არის. და მკერდის ტკივილი ოთხისაგან იქნების. და არის ერთსა სენსა შავასაშავას ჰქვია. ავი სენი არის და მისგან იქნების მკერდის ტკივილი. ამათი ნიშანი და წამალი ყველა დიდსა კარაბადინშიდან სწერიან.

კარი და ნიშანი სტომაქის ტკივილისა. მრავლისაგან იქნების მისი ნიშნები და წამალი ყველა დიდსა კარაბადინსა ჰკითხეთ. **თუ სტომაქის სიმსივნე სისხლისაგან გამოჩნდეს** მისი ნიშანი ეს იყოს რომე სადნობელის ძალი გაუძღურდეს და ცხელი ცხელეზა მოკიდოს, და ენასა პრკე მოკიდოს მისი წამალი. ბასალიკი მკლავისა ქვეშე ნაპირსა არის, იგი გაუხსენი და მერმე არაფერი. გასაკსნელი სარწყეველი წამალი არ უნდა, რწყევა საფათარიკო არის, სტომაქსა ბიის ფურცლისა წვენისა (111v) უნდა

შეცხება და მისივე დანაყილი ფურცელი მასსავე სტომაქსა ზედა დაადევ, და ვაშლის წვენი, და ვარდის წყალი, სანდალი შიგ გაღესული, ამას უნდა შეცხება, და მუმრულანი ვარდის ზეთითა, და ტკივილითა შექნილი იყოს, მხურხედა გააპრტყელე და სტომაქსა ზედა დასდევ. **მისთვისე** აიღე ბია და ვაშლი, შესწვი და დანაყე, და ნედლისა აყიროსა ნათალი შიგან გაურივე, და თუსმაქანისა ფურცელიც შიგან გაურივე, ყველა ერთმან ერთსა გაურივე, და სტომაქსედა შემოსდევ, და სასმელად მუავისა და ტკბილისა ბროწეულისა წვენი, და ბიისა და ვაშლისა წვენი, და საჭმელი იფარეზოს, საჭმელი ქერისა კორკოტისა და წვენი ბროწეულისა, უნდა დაჯერება და წყალი სწყუროდეს, იისა და ლულუფარის შარბათი ასვით წყლითა, და მეოთხეს დღესა ზედა მრავალძარღვას წვენი, ძაღლის ყურძენის წვენი, თვითოსაგან უნდა ოთხისა დრამის, ხიაშამბრის გულითა გაღესული იყოს, და გამოწურვილი, ერთი დანგი ზაფრანა გაურივე, სამსა დღესა ზედას ზედ ასვი და ეს ტლე სტომაქსედა შემოსდევ. **წამალი მისტლისა (!)** აიღე ქერის ფქვილი და სანდა- (112r) ლი, და ნედლის აყიროს ნათალი, ცოტა ზაფრანიითა, ძაღლის ყურძენას წვენითა ტლე შექენ და სტომაქსედა შემოსდევ. **თუ სტომაქისა თავსა გამოჩნდეს, მისი ნიშანი** ეს იყოს, რომე სტომაქისა თავი უსივდეს, და პირი და ენა გაუყვითლდეს, პირი უძწარდებოდეს, და ერთობ ცხლად იყოს, და შეწყენით და ერთობ სწყურდებოდეს. ეს სიმსივნე სისხლის სიმსივნესა ახლოს ახლავს. ეს ტლე შემოსდევ, აყიროს ნათალი, ხათმი და ქერის ფქვილი, კიტრის წვენი, მრავალძარღვას წვენი და ფურცელი, და ხათმი, დანაყე და ტლედ შემოსდევ ერთობ მარგე არის. **თუ სტომაქის სიმსივნე ბაღღმისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს არის, რომ საჭმელი არ უნდოდეს და პირსა დორბლი სდიოდეს, ცხელება წენარი იყოს და სიმსივნე რბილი იყოს, და წყურვილი არა ღია იყოს, რად ამისთანა სიმსივნე გამოჩნდეს, ყოველთა დღეთა კამის წვენი, ნიახურის წვენი, ოროლი უნკია ნუშის ზეთითა გაურივე და მიეც შეიდ დღემდის და მას უკან აქლილ- (112v) მალიქი, კამის თესლი, ათათი დრამი, ოთხითა ლიტრითა წყლითა მოადუდე, ასრე რომე ერთს ლიტრაზედ მოიყაროს, და ყოველთა დღეთა ოთხი უნკია ამისგან და სამი დრამი ნუშის ზეთი გაურივე, და მიეც, მარგი არის. მისი საჭმელი ჭაკუნტლის ფურცელი ნუშის ზეთითა და ზეთის ხილის ზეთითა მიეც, და წყლის მაგიერ მულასალ (!) ასვი. **ერთი სხვა მაგარი სტომაქის სიმსივნე არის,** მისი ნიშანი და წამალი ყველა დიდსა კარაბადინშიდან სწერია. ერთი სხვა სტომაქის ტკივილი არის შიგნით მჯდომი გამოუა, ისიცა დიდსა კარაბადინში სწერია.

კარი ბლოკინისა და სლოკინისა მრავლისაგან იქნების. არის რომე ცხელება და წყურვილი დაემართოს, ეს შეუწყევით, დილეულად თბილსა წყალსა ასვემდით და არწყევინებდით, და ყოველთა დღეთა საჭმლად ქერის კორკოტსა აჭმევდით, და ჯულაბითა ცოტა ნიგუზის (113r) ზეთი გაურივე, და ბაზრაცუნსა შეასვემდი, და ბროწეულის წვესაც ასვემდი შაქრითა. **სლოკინისა ნიშანი და წამალი.** მაჯუნი ზირაქიმანისა და თრიაყი არაბია ერგების, საჭმელი რადც გრილი იყოს ის შეუწყევით. თუ სწყუროდეს და პირი უმწარდებოდეს ნუშის ზეთსა შეხვერეტდეს, და ნახევარი მიტყალი თახვის ყვერი ძმრითა მისცენ მარგე არის. ეგება წამალი აელოს **კმელი სლოკინი** დაერთოს. წამალი მისი ახალი რძე, ქერის წყალი შაქრითა, ნუშის ზეთითა, ტკბილი ბროწეული, ქასნითა, ბაზრაცუნისა ლაბი, ეს ყველა ერთად მისცენ მარგე არის. იის ზეთი ცხვირსა იცხოს, კისერი და ბეჭი ზეთითა დაიზილოს. **სხვა სლოკინში და სტომაქიდაღმა, ბევრი სატიკივარი დაერთვის ან რწყევა, ან სტომაქის თრთოლა.** ამის წამალი დიდსა კარაბადინშიდა სწერიან.

ნიშანი რომე კაცსა კარგა (!) საჭმელსა და სასმელსა ძნელად ჩაუშვებდეს. მისი წამალი ცვილი ერბოთა (113v) და იის ზეთითა შექნილი, მაღაყურისა და მახმურისა, და ლავიწისა ბეჭამდის ამით იხელდეს.

ნიშანი მისი რომე კაცსა საჭმელი არ მოუნდებოდეს, ასრე უნდა, რომე იარებოდეს, ანუ საქმარსა იქმოდეს, მუხუდოს ფურცლითა ტანსა იბანდეს და არგებს. ქაბრი ძმრითა და თალგმითა, და მდოგვითა გაღესული, და ძმრითა შენახული, და ხახვი ძმრითა შენახული, და ქათმი სადაფითა და ნიორითა. ესენი თუ სჭამოს და უსუნოს, მაშინ მოუნდების საჭმელი. მისი ბროწეულითა და ზირაქიმანითა შეუწყევი, და შემწვარსა ბატკანსა და თბილ(ი)სა პურისა სული საჭმელსა მოანდომებს.

ნიშანი მისი რომე ჭამდეს და არ ძღებოდეს და ესეც იქნების გულსა საჭმელი უნდოდეს და სტომაქსა არა ჩაუშვას, მისი ნიშანი წამალი დიდსა კარაბადინსა ჰკითხეთ.

კარი გულის ტკივილისა სიმჭურვალისაგან იყოს. მისი ნიშანი ეს იყოს ცივი ქარი და ცივი წყალი იამებდეს, და თბილი, და მჭურვალი ეწყინებოდეს. წამალი მისი გრილსა სახლშიდან დააწვინე და გარეშემო (114r) მარილი ოთხი დრამი, ზანჩაფილი ორი დრამი, პილპილი ოთხი დრამი. ეს ყველა დანაყე და გაცერი, და ერთმანეთში გაურივე, და პერულ მოკდილითა თაფლითა შეზილე, და მაჯდუნად შექენ, და რად მოგინდეს, ამისაგან მიეც ერთი მიტყალი თბილი წყლითა. ამა წამალსა მიცემასა

უკანის გახინჯეთ, თუ მუცელი დაუცხრეს ეშველების, თვარემ კარგა არ ეშველების იცოდით.

მეორეს ისყისა ტაბლისა ქვიან როგორცა **ზიყისა სისხა** აგრევე ამისი იქნების, ასრე რომე ღვიძლი გაუჭურდების და წყალსა მოანდომებს, დასვამს, ღვიძლსა არა მოუხდების. არაბულად სისხა ამას იტყვის, ვითა წყალი მასვიო, მაგრამ ზიყისაგან ამისი წყალი უფრო იქნების. ამისი ნიშანი ეს არის **მუცელი გაუსივდეს და ჭიბი გარეთ გარმოექცეს**. ასრე გაუმაგრდების, რომე კელი დაკრა ტაბლსავით კმას ამოიღებს, და იბეროდეს. ესე ქარისაგან იქნების და ბლოყინი უნდოდეს, და ვერ აბოყინოს, თუ აბოყინოს, მოისვენოს. ესე სენი სიმკურვალისაგან იქნების და სიგრილისაგანაცა იქნების. თუ სიმხურვალისაგან (114v) იყოს ახლისა კამისა და ნიახურისა წყალი ვასვათ, კარგი არის. ბაბანუჯისა და აქლალ მალიქისა მოხარშევით და იმას ტლედ შემოსდებდით. თუ სიგრილისაგან იყოს მავალი, უსული მისცენ მწარის ნუშისა ზეთითა და თეთრი საკემეელი, ნანა, სხვა კმელი სადაფის ფურცელი დანაყონ, გაცრან და თაფლითა გაურიონ, და ბამბა დაასოლონ, და საჯდომსა დაიდვას, და გულანგუბინი მოსტაგი მიეც, და ფეტვისა ანაკეეთისა მოხალვა და შემოდება მარილითა მარგი არის, და ნახევარი მიტყალი აშაყი გაღესო წყლითა თბილითა, გაადნო და შეასვა სამსაჯერ **ზისხასა** უშველის, და საჭმელი ამასცა **ზიყისა სისხისა** შეუწყევით. მერმე ლამის ზისხისა ეს არის კაცსა მით წაეკიდების **ბუასირი სჭირებოდეს და ბეერი სისხლი სდენოდეს** და **დედაკაცსა მითა რომე წესი შეჭკოდეს**. ამა სენისა ნიშანი ეს არის, რომე სიგრილე მორეოდეს და ღვიძლი გაგრილდეს. პირველად ფერკნი დაუსივდნენ და მერე მუცელი, და ყური, უკანის პირის სახე და კელნი, და სხვა ადგილიცა, სადაცა თითი დააჭირო (115r) შინ დაეფლას და ერთსა წამსა ისევე დარჩეს. მერმე მისსა ალაგსა ამოვიდეს, და ზიყისა, და ტაბლისა სისხთაშიგან პირი და კელნი არა გაუსივდნენ, კელი გაუწვილდენ და ძარღვები მშვილდისა საბელივითა გაზიდულ იყოს, და თვალნი უკუსცივიდნენ ამისა და სხვისა ზიყისა გვარი ერთი არ არის. წამალი მისი ეს არის. თუ ფსელი წითელი იყოს და სკელი ნიშანი სიმკურვალისა არის, და ამას პირველად კელი გაუკსენ, და უპრიანე არის და მარგე. მერმე გასაკსნელი უნდა და რწყევაც კარგია, სამს დღეშიგან ერთხელ. თუ ამ სენშიგან ცივება და ჭურვება იყოს მაშინ არც კელის გახსნა ვარგა და არც წამლის აღება გასაკსნელი. სანამდის ცივება და ჭურვება არა წავა, და რწყევა და ღარღარა ერთობ მარგე არის. **სხვა წამალი მისი**. აბი და რევანდი, აბი მაზარიონი, ერთობ მარგი არის. აბი

რევანდისა მამადის შვილის ზაქარიას ნუსხისა აიღე რევანდი, ღაფიტიწ
წვენი და ქასნის თესლი სამსამი დრამი, ღარიყონი ათი დრამი, შარბათი
ორი (115v) დრამი და ნახევარი, შექნილისა შარბათებშიდა ყოველთ
კვირეთა ერთხელ მისცემდი, მარგი არის. უფრო ძლიერისა აბისა – აიღე
აბი მაზარიონი დანაყილი, ნახევარ ნახევარი დრამი და ტკბილი ნუშის
გული, ერთი დრამი ქათირა, ამა წამლებისა წონა შაქარი გაადნე და ეს
წამლები დანაყილი, და გაცრილი, და გამდნარი, შაქარშიდა დაზილე და
აბები შექენ ესე ყველა, ერთი შარბათი არის, ხან იყოს რომე ამ აბის
ჭამისაგან **სტომაქი გამონდეს**, ნუშის ზეთმა **წვა** დააწენაროს, თუ **გულის
რევა** გამოუხნდეს ბია გამოწოს და ის დააწენარებს, და თუ აბსა უკანით
სიმჭურვალე გამოხნდეს, და რასდენსა დღესა ქასნის წვენსა და
კოწახურის წვენსა ტაბაშირითა მისცემდე, მარგი არის.

წამალი **სისხისა** მოიღე ძერანას ფურცელი და სამსა დღესა ძმარშიგან
დააღბე, და მერმე ამოიღე, ორმოცსა დღესა ჩრდილშიდა გაახმე, მერე
დანაყე და გაცერი, და მისგან შეასვი ყველთა დღეთა თვითო დრამი,
ღვინითა კარგითა და გამოცდილი არის. **მისთვისე**, ორი დანგი ფარფიონი
დანაყე, ყოველთა დღითა თოხლო კვერცხითა აჭამე. გრილსა სისხსა ...³¹⁸
319

(116v) პირწმინდი, მატანტელა, მარწყვის ფურცელი, სამფერი ომბალი,
პაწაი დედალკერაის ძირი, თეთრი ძირი, წითელი ქინძი, კამის დევი, იქი
მელიქი, ასეულ დახეულის ცხრაი თავი ნიორი, ქალის უმარული, ირმის
რქაი, თიხმარუხი, აგინი ყველა ასვი, ხარის ძირაიცი, ლიქორიეის ნაწური
ასვი ნახევარი იქინეი გამზანე და ნახევარი ნაკბენზე დაღვე.

სლოკინისათვის ისდორისათვის. დედალ მამალი ია, კოსტეი მარიამ
მსხალი, ელუსამელი, კურმუხა, თეთრი და შავი პიტნა, სარო, ორფერი,
თეთრი საკმოველი, ჯაოზი, შავი ბულის ცილი, კოპიტის ქერქი,
ტახტოხაი, ქვეშ ნიგირის ძირი, სიქილანჯის ძირი, ეს(ენი) კას ღვინოში
თაფლით მოხარჩე და თბილათ ასვი დილა საღამოს, ჯაოზი საკმოველი
ჩაღვე ...³²⁰ (117r) ... დრამი ეს ყველა დანაყე ერთად, გაურივე, და ყოველთ
კვირეთა ორსა დრამთა ასვამდი, სიქანგუბინი უსული შიგან გაურივე. თუ
ამას ვერა გაუძლოს დაიჭირე ერთი მიტყალი მაზარიონი, ძველის
ძმარშიდან ჩასდევ ერთს კვირასა, მერმე ძმრისაგან გარდმოიღე, ასეთს

³¹⁸ აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

³¹⁹ 116r, 116v – ლოცვები.

³²⁰ აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

ალაგს გაახმე რომე არცა გრილი იყოს და არცა ცხელი. რაჲ გახმეს მას უკანით დაიჭირე ლაფთის წყალი ორი დრამი, კიტრის თესლი მიტყალ ნახევარი, ქასნის თესლი ათი დრამი, ეს ყველა დანაყე, და ქასნის წვენითა ყურსები შექენ, და ერთსა კვირასა, ყოველთა დღეთა, ამა ყურსსა მისცემდი, საქანგუბინითა უსულითა, და საჭმლად, უშობელისა ძროხისა თაჲფერვი ძმრითა მოხარშე, აჭამე, კარგათ მოუკდება. **მისთვისე.** დაიჭირე თუხმაქანი, აყიროს თესლი, და ხიაშამბრის თესლი, წვრილად დანაყე, წყლითა შეზილე და წვენი გამოკადე და პატარა ქერი გაურივე, და მოადლე, და ფუშრუკი შექენ, და შიგან თეთრი (117v) შაქარი გაურივე და აჭმევედი. რადც ქარიანი იყოს ყველასაგან იფარეზოს, თვარამ ტყირპსა აწყენს და საქმესა დაამძიმებს. სატაცურსა, და ნესესა, და კიტრსა სჭამდეს, კარგად მოუკდება, სიქანგუბინსა ბევრსა ნუ აჭმევ, ზიანია, მუავითა შექნილი საჭმელი კარგი არის. ამა სენშიგან საჭმელი – ქათამი და ჯოჯობი ხან შემწვარი და ხან მოხარშული, და სამარხო – ოსპი, ნუშის ზეთითა, მარგი არის, კვაწახურითა, ძმრითა და ტკბილითა ბროწეულითა, კმელი ხილი, წიფლის გული და ნუშის გული, კმელი ლეღვი სჭამოს და ზედა³²¹ სიქანგუბინი შესვას, წყურვილს მოუკლავს. კვაწახურისა ყურსი ერთობ მარგი არის. ამა წესითა რომე ყურსებშიგან სწერიან კვაწახურის ყურსსა ბევრსა ნუ მისცემ, ამისთვის მუცელსა შეკვრა არ უნდა, **შექნა კვაწახურის ყურსისა.** აილე კოწახური, გაწმედილი რუბისუსი, ვარდი, კიტრისა და ნესვის თესლისა გული სამსამი დრამი, მასტაქი და სუმბული, რევანდი და ზაფრანა, ოროლი დრამი ქასნის თესლი სამი დრამი, ტაბაშირი ერთი დრამი და ნახევარი, (118r) გაწმედილი თარანგუბინი. ექვსი დრამი გაადენე, და ეს დანაყილი წამლები შიგან გაურივე, დაზილე და ყურსები შექენ. თვითოს მიტყელის სიქანგუბინითა და ბროწეულის წვენითა მიეც. **მისთვისე** აილე კმელი ძროხის ნესვი და მისის მეოთხედისა წონა ქასნის ფურცელი გაურივე, დანაყე ვაჟის ფსელითა, ანუ თხის ფსელითა და ძმრითა დაზილე და ტლედ შემოსდევე. **ის სხვაჲ ტლე.** აილე თხის ძველი ნესვი და ზროხის ნესვი კმელი, დანაყილი ქერისა და ფეტვის ფქვილი, ამათგან თვითო პევში, ეს ყველა ძმრითა შემოსდევე, მარგი არის.

სხვა წამლები, რომე ღვიძლი სიმრთელისაკენ მოიყვანს სიმჭურვალისა ღვიძლისა ტკივილსა სწერია, ისე იკმარე მუღამ, მუცელზედა ეს ტლე შემოსდევე და შეიწყოს. დაიჭირე სპილენძი დამწვარი და ფარიფონი, წითელი წამალი, ფეტვის ფქვილი, ცხერის ნესვი ძველი და ბორა,

³²¹ სიტყვა გამეორებულია.

თვითოსაგან თვითო მიტყალი დანაყე, ანუ ღვინითა, ანუ თაფლ- (118v) წყლითა დაზილე, ტლედ შემოსდევე.

თუ ესე ზივისა სისხა ღვიძლისა სიგრილისაგან იყოს, მისი ნიშანი. იმავე ღვიძლისა სიგრილისა ნიშანი იყოს და წამალიცა იქ მონახე, სადაცა ღვიძლის სიგრილისა სწერია. ამა წამლებითა ღვიძლი სიმრთელეზედა მოიყვანე, მერმე სისხისა წამლები უყავი ამ წესით, რომე სწერიან წამალი მისი. საჭმელსა არაფერსა არ უნდა ჭმევა, წყალსა ნუ ასმევე, მისი საჭმელი ეს იყოს: პური გამოაცხონ კარგათ, ამ წესითა რომე კამის და ნიახურის, და ანისონისა თესლი, და ზირაქიმანი შიგან ერიოს. ამა პურსა და ყოველთა დღეთა ამა პურისაგან ორმოცდაათი დრამი შეუწვევით საჭმელად, და მუხუდოს წვენიშადა ჩაჰყრიდეს, დაალბობდეს და აგრე სჭამდეს, ნიადაგ ბოლოცა ჭამდეს, მარგი არის. დიდი თრიაყი და არაბა თრიაყი, და რადც ამათ გვანდეს დიდროვანი მაჯუნები ყველა კარგი არის და თბილითა წყლითა იბანდეს და თორნეზედან ოფლსა იდენდეს, მარგი არის. **სხვა სისხისათვის.** წამალი კარგი და მშველელი ღ(მერ)თითა. აილე ყვითელი ალილოფ, თურბუთი, დანაყილი, გაცრილი, ათ ათი დრამი, ბაღილა ოცი დრამი ...³²² (119r) ...სა **სისხასა უშველის.** მერე ტლევები შემოსდევე. **ტლე სისხისა.** აილე ბორა, ზროხის ქონი, თეთრი საკმეველი და ვაშაყი. ყველა დანაყე და კიტრანას წვენითა ტლედ ჰქენ და შემოსდევე, ერგების. **მისთვისვე.** აილე ვაზის ნაცარი და მუხის ნაცარი, და ჳმელი თხის კურკლი, და ჳმელი ზროხის ნეხვი, დანაყე და გაცერი ძმრითა, და სიმსივნეზედა ტლედ შემოსდევე, ყოველთა დღეთა ზღვისა წყალშიდა იბანებოდეს, რბილსა მიწაზედა სიარული, ქვიშაზედა და მზისა პირსა ჯდომა მარგი არის. და საჭმელად საერო პური, ასრე რომე კამისა და ნიახურის თესლი, სონჯი, ზირაქიმანი და ანისონი, ყველა დანაყილი ცომშიდა გაურივე, გამოაცხვე და აჭამე. საჭამადსა მუხუდოსასა შეაქნეინებდეს, შიგან დარიხინი, პილპილი, ზირაქიმანი და ნიახურის თესლი გაურივე, დანაყილი, კორცთაგან ჳოვობი და ქათამი, და მათი მზგავსი რომელიც იყოს. თუ ამა ლამისა **სისხაშიდა კაცი ერთობ დამძიმდეს, და ძილშიგან კრთებოდეს, და უძილობა დაემართოს.** მას არაფერი წამალი არ უშველის. თუ (119v) ესე არა სჭირდეს, მაშინ იმედულად იყავ.

³²² აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

სამივე ფერისა სიცხისა. ორი დრო ერთობ ძნელი არის, ერთი წყალდი-
დობისა და ერთი შემოდგომისა. თუ ამა დროსა წამლობა გინდოდეს, ამისი
წამლობა სამივედ არის.

თუ ღონე არ იყოს ესე სუბუქი და უზიანო, წამლები შეუწყვიტო. აიღე
სიქანგუბინი უსული ბუზრგი და ცოტა რევეანდი, ცოტა შასთარას თესლი,
ცოტა ქასნის თე(ს)ლი, გაურივე და შეასვი, რომე იმა სენსა არ ემატოს.
სასმელი და საჭმელი ის რომ გვითქვამს ისრე შეუწყვიტო.

კარი იარაყანისა, იარაყანი ამას ჰქვიან რომე კაცსა ტანი და თვალის
სითეთრე გაუყვიტლდეს, ოთხისაგან იქნების. ერთი ძნელის ზაფრის
ცხროსაგან. ესე ცხრო მკურვალე არის, ერთსა დღესა მოვა და მეორესა
არა, და აშფოთებს. იმ ცხროზედა თუ მეშვიდესა დღესა სიყვიტლე
გამოჩნდეს, საშიშარი არის. ამისი ნიშანი და წამალი იმა ცხროსა
კარშიგან წერიან. თუ წაეიდოს ესე სამკურვალოსა, საჭამ- (120r) ლისაგან
ანუ ღვინისაგან. მისი ნიშანი ეს არის, რომე ღვიძლსა სიმკურვალე
სჭარბობს, და ადუღდების სისხლი ღვიძლშიგან, და გაყვიტლდების ისი
კაცი, ნაღვლისა და ღვიძლისა სიმკურვალისაგან არის. მისი წამალი.
ყველაღ ღვიძლისა სიმკურვალისა უყავით. შარბათი და ტლე ყველაღ
გრილი შეუწყვიტო და ღვინოსა ნუ ასმევ. გრილი შარბათები ესე არის:
ტკბილისა და მუავისა ბროწეულისა, და ქასნისა, და აყიროსა წყალი,
მუავეს კიტრისა და საზამთროსა წყალი, და თუხმაქნისა წყალი შაქრითა,
და სიქანგუბინი ძმრითა შექნილი, თესლი ქასნისა სიქანგუბინშიგან
გაურივე და მოადუღე, სასმელად ქასნის თესლი ქერის წყლითა
მოდუღებული იყოს, სატკივარს გამოიღებს და გასწმენდს, და ზეთის ხილი
ძმრითა შექნილი სჭამოს, მარგი არის. ახალი ქინძი თარას ფურცლითა
სჭამოს, არგებს და საჭმელად თიქნის ჯორცი ისრიმითა, ანუ ძმრითა
შექნილი სჭამოს. (120v) **თუ ესე სენი ღვიძლის შეკრვისაგან იყოს ის
უფრო ავი და მიიმე არის.** თუ ღვიძლის შეკრვისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს
არის: პირი უმწარდებოდეს და სწყურდებოდეს. რად ეს ნიშანი ნახო
იცოდო, რომე ქვეშე სავალი გზა შეკრული არის, ზედათ იარების და
მისგან არის სიყვიტლეო. თუ ზედა სავალი გზა შეიკრას და იარებოდეს
ქვემოსა გზასა, მისი ნიშანი ეს არის, რომე მისი ფსელი წითელი იყოს
ვითა თიხა და მოშაოდ დასცემდეს, და ნავალი ყვიტელი იყოს. თუ შევიდეს
ნაწლევთა აშფოთებდეს და შექნას ძნელი კოლინჯი, და ესე შეკურა
იქნების ნავალისა. სისქისაგან დაჯდების პირსა სავალისასა და ჩაქრების.
მით იქნების ნასქელობა. აწე დაიჭირე შარდი, დადგი და ნახე, თუ
ყვიტელი იყოს და სველი, იცოდი რომე სიმსურვალე და ზაფრა სჭარბებია.

ამას ასრე უნდა: უწინ წამლები დააღებო, ასრე რომე აიღო ნიასურის თესლი და კამისა, და ცერეცოს თესლი, სამივე სწორ სწორი ჰქენ, მოადუდე და გამოწურე, და სამი მიტყალი მწარის ნუშის (121r) ზეთი გაურივე შიგან, და ყოველთა დილათა ასვემდი, და იმა სენსა დააღებოს. და საღამოს ერთი მიტყალი ბოლოკის თესლი, ერთი მიტყალი ნესვის თესლის გული, ერთი მიტყალი ანისური, ნახევარი მიტყალი ცერეცოს თესლი, ნახევარი მიტყალი ნიასურის თესლი, ეს ყველა სიქანგუბინშიგან ჩაუყარე და შეასვი, და მერმე არწიოს მარგე არის, და შეკრულსა ღვიძლსა გაკსნის და გამოსწმენდს. ერთი მიტყალი ჭაკუნტლის ფურცელი მისცენ სიქანგუბინითა ერთობ მარგე არის და **შეკრულსა ღვიძლსა გასხნის. სხვა გასაკსნელი წამალი:** აილე ყვითელი ალილა ათი მიტყალი, საყმუნია დანგ ნახევარი, ათი მიტყარი თარანგუბინი, ასი მიტყალი წყალი დაასხი და დააღბე, გამოწურე და ალილა დანაყილი, და გაცრილი შიგან გაურივე, და საყმუნია სხვილად დანაყე დანის ტარითა და გაურივე, და შეასვი. **მუცელსა გასწმედს და სიყვითლესა გაიდებს და გასხნის მუცელსა. თუ სიყვითლე დარჩეს ტანსა და თვალთა,** მისი წამალი: აილე ერთი (121v) მიტყალი ბორა და ბოლოკის წვენსა კარგსა ღვინოსა შიგან გაურივე, და კაცი აბანოსა შიგან ჩასვი, და ისრე შეასვი, და ერთობ მარგი არის, ოფლსა ადენს და სიყვითლესა გამოიდებს, და ნასკუსა გასხნის ბრძანებითა ღ(მერ)თისათა. ყურსი რევანდისა, სიქანგუბინი ბუზურგი, ესეცა მარგი არის და მისი საჭმელი ყველაჲ ძმრითა შენახული, ქაბრი და ბოლოკის ფურცელი ვარიითა შექნილი და კომბოსტოს ფურცელი, ზეთის ხილის ზეთითა, მარგი არის. **თუ წყურვილი მოუვიდეს,** წყალი ქასნისა, სიქანგუბინითა ბუზურგი მისცენ, მარგე არის. თესლი ქასნისა და წყალი თოსმაქანისა, და ბოლოკის ფურცლისა წყალი, მუავისა თურინჯისა სიქანგუბინითა შეასვას, ერთობ მარგე არის. თუ ეს სენი წელშიდა ჩაუვიდეს და ყოლინჯი გამოჩნდეს, მას მალედ ოყნა უყონ და გასაკსნელი წამლებიც უყონ, რომე სენი გაიდოს, ყველის წყალი და აქლემის რძე შეასვან, ესეცა მარგი არის. **შავი იარაყანისა ნიშანი ესე არის.** ღვიძლშიგან სევედა დარჩების და (122r) ტყირაჲ ვერ გაზიდნა მისკენ, ნასკვისა ბედითა. ნასკვნილობა ესე არის, რომე ღვიძლსა და ტყირაჲსა შუა გზა არის და გზა შეიკრვის და იმითა გამოჩნდების შავი იარაყანი. **შავი იარაყანი ერთი სხვა არის,** ამისგან წაეკიდების, რომე ღვიძლი რომე ნამეტნავად ცხელდებოდეს და ისრე გაკურდეს ღვიძლი, რომე სევედა იმაშიგან დაიწვას და ისი დამწვარი სისხლშიდა გაურიოს და ყოველსა ასოშიდა მივიდეს. ერთი სხვავე ამისგან წაეკიდოს ისი რომე ღვიძლშიდა

დამწვარი არის, ისი სევდა შეიქნების და მისგანაც შავი იარაყანი გამონდების. თუ ესე სატიკიარი ტყირპშიგან გამონდეს და ტყირპშიგან იყოს სიშაისაგან ყვითლად ექცეს, შარდი წითლადცა შეიქნას. თუ მხესა უხვენო, ყვითლად გარდაიქცეს. თუ ესე სატიკიარი ტყირპისგან სჭირდეს, მარცხენისა კელისა საღვიძლე გაუკსენ. თუ ღვიძლშიგან იყოს, მარჯვენა საღვიძლე გაუკსენ. ყველის წვენშიგან სიქანგუბინი, აფთიმონითა შეკაზმული გაურივე და შეასვი.

თუ ამა სატიკიარ- (122v) შიგან ცივება ანუ ცხელება გამონდეს, წყალი ქასნისა შეასვი, და საჭმელად მისთვის ქასნითა ძმრითა და ნიახურითა, ანუ თიკის კორცი შეუწყონ, ქაბრი ძმრითა გაზრდილი და ფურცელი ბოლოკისა, და წყალი ბზისა ფურცლისა, თვითოსაგან თვითო უნკია³²³, აბუსალაბისა წყალი და ქასნისა წყალი ორი უნკია³²⁴, ქაბრისა ფურცლისა ერთი უნკია³²⁵. ესე წამლები ყველად ერთად აღუღონ და მერმე დასწყონ, და ხიაშამბარი ამითა დაადნოს. ესე გასაჯსნელი წამალი არ იყოს, ყოველისა სენისა წამალი არის.

ნიშანი დიყისა ის არის, კაცს რომ ცხელება მოუვიდეს, არც გრილი იყოს და არც ცხელი და ტანი კაცისა დაამჭლოს, თმა ჩამოსცივიდეს და პირისა სახე ხან გაუწითლდეს და ხან გაუყვითლდეს და ასონი გარბილებოდეს და წვივნი გაუწვირდეს და მკლავნიცა გაუწვირდეს, პირისა სახე გამოეცვალოს და ყურები გაუდიდდეს, ცხვირისა წვერი და ყელი წვირილად ეჩვენოს, თვალნი ღრმად უკუეცივიდეს და თმისა წვერები დაიყოს. მისი წამალი: ალილასი (123r) მათბუხი მიეც. მას უკანით ბროწეულისა შარბათსა უნდა მიცემა, ასე რომე შარბათსა შინა მოგონებული არის და ერთობ მარგი არის. **სხვა:** მარტო სიქანგუბინი თურინჯითა მჟავითა ერთობ მარგი არის. თუ კორცი მოუნდეს კოკობი და ქათამი აჭამეთ. **სხვა ამისი წამლები** ცხროსა რიგშიგან სწერიან და სადაცა დიყი სწერია იქ ნახეთ.

კარი ტყირპის ტკივილისა. იცოდით ტყირპის ტკივილი მრავლისაგან არის. ერთი სიმჭურვალისაგან. მისი ნიშანი ის არის, რომე მარცხენამან გუერდმან ტკივილი დაუწყოს და ენა გაუწითლდეს, და საჭმელზედ უნდომად იყოს, და სწყურდებოდეს. წამალი მისი: ყოველთა დილათა ბუზურგი სიქანგუბინი შეასვი ქასნის წყლითა, და კამის წყლითა, და

³²³ ტექსტშია „უნკია“.

³²⁴ ტექსტშია „უნკია“.

³²⁵ ტექსტშია „უნკია“.

სელიმას ძარღვიც გაუსხენ მარჯვენისა ჳელისა, ღვიძლშიგან გამოიდებს სისხლსა და მარცხენით ტყირპისაგან, სელიმი მას ჳქვიან, მარცხენისა ჳელისა ნეკსა თითსა შუა ცოტა ჳეთ ძარღვი არის და ორიე სანდალი გაღესე და მარჯვენით ღლიაზედა დასცხე და ამა (123v) ტყირპშიგან რადც სენი გამოწნდეს, მისი საჭმელი მჟავე იყოს თუ ტკბილი, ყველა ჳაბრითა ჳამოს, ნიახურითა და სადაფითა ერთობ მარგეა. **სხვაა.** ჳასნისა და ნიახურისა, ბოლოკი და მისი ფურცელი, და ჳაკუნტლის ფურცელი, ეს ყველაჲ ანუ ჳეთის ხილის ჳეთითა და ანუ ნიგუზის ჳეთითა შექნილსა ჳამდეს, მარგი არის. თუ ჳორცი მოუნდეს კარგი და ჩვილი ჳამოს, ჳოცობი და ჳათამი ჳირაქიანიტა ხარშით შექნილი, არგებს. პური ამისთანა ჳამოს: დაიჭირე ფჳკილი ღიტრა ნახევარი და სადაფის თესლი, კარგად დანაყე და ფჳკილშიგან გაურივე და მოზილე და გამოაცხვე რომე გაჳმეს და დილას ჳამდეს. თუ ძმრითა ჳამოს სჯობს. **თუ ტყირპისა ტყივილი სიგრილისაგან იყოს** მისი ნიშანი ეს იყოს: მარცხენით ფერდი და გვერდი სტკიოდეს და პირის ფერი თეთრად იყოს და არა სწურდებოდეს. ამისი წამალი: ჳაბრის ყურისი შეუწყევიტ, რომე ყურსებში- (124r) გან სწერია. ჳმელი სადაფი, ჳმელი პიტნა ერბოშიგან მოადუღე და ტლედ შექენ, და ტყირპზედან შემოსდევე, და კამასა გააცხელებდი, და ტყირპზედა შემოსდებდი, და ჳმელი ღელევი მოადუღე ძმარშიგან და ტყირპზედა შემოსდევე, და კიდეც აჳამე ძმრითა დამბალი ღელევი. მესამე ტყირპის ტყივილისა ნიშანი ეს იყოს, რომე ჳარი ჩაუვარდეს ტყირპშიგან და ტყირპი გადიდდეს, და კიდეცა სტკიოდეს, და ტყირპისა ტყივილისაგან მუცელი გაუდიდდეს, და ტყირპი დაძრას მისა ადგილისაგან მარჯუწნით წამოვიდეს. მისი წამალი ეს იყოს: (ა)ფსინთიმი ჳუნჯითისა ჳეთშიგან მოადუღე და მუდამ ტყირპზედა გარდაკრებდი, და მარცხენა ჳელი გაუსხენ, იგი სადაცა მარჯვენით, სადაცა საღვიძლესა გაუსხნიან და ტკბილისა საჭმლისაგან იფარეზოს, და თაფლისაგან, და ძმრისაგან, და მჟავისა საჭმლისაგან. თუ ამა ტყირპისა უფალსა სიგრილე მორეო- (124v) დეს გოგირდი და ბორა, და იფნისა კაკალი ერთპირად დანაყე, და კავშირი ძმრითა გაადნევე, და ერთად გაურივე, და ამას ჳუნჯითის ჳეთიცა გაურივე, და ტლედ შექენ და ტყირპზედა შემოსდევე. **ერთი ტყირპის ტყივილი სხვაჲ არის.** მისი ნიშანი ეს არის, რომე ჳეავითა გამაგრდეს, რომე ჳელი დასდვა ტყირპზედა ჳეა(სა)ვითა იყოს და ერთობ ნამეტნავად სტკიოდეს და ცხლად იყოს, წყურვილიცა სჭირდეს. მისი წამალი: სოსანი იის ძირშიგან მოადუღე და ტყირპზედა დასდევე, და ნიგუზის ფურცელი და ნიორის ფურცელი ორივე დანაყე, და ძმარშიდან მოადუღე, და ტლედ შექენი, და ტყირპზედა

დასდევნი. მერმე მოიღე სადაფის ფურცელი კმელი ათი დრამი, ბორა და კმელი პიტნა სამ სამი დრამი, და უშაყი შვიდი დრამი. ესე უშაყი ძმარშიგან გაადნევ და ესე წამლები დანაყილი, და გაცრილი, შიგან გაურივე და შემოსდეგ. **თუ ესე ტყირა არა დალბეს და მაგრად იყოს** ამას შავი იარაყანი ერთვის და მისი ნიშანი და წამალი დიდსა კარაბადინშიგან სწერიან.

(125r) **კარი სიჯისა ყვანასა ჰქვიან.** იცოდით ორისაგან იქნების: ერთი მისგან, რომე შიგნით მდიერი იყოს ტანზედა გამოვა. მისი ნიშანი ეს იყოს: მარჯუწნამან გუშრდმან დაუწყოს ტყივილი და ცოტათ კიდევ ახველებდეს. ამას რომე შეიტყვეთ, რომე შიგნით მჯდომი გამოსულია ღვიძლზედა, ანუ ფირტუხედა, ანუ სხვა ასოსა ზედა. მისი ნიშანი ერთი ეს არის, რად გაიყვანოს, სისხლი გაატანოს და საჭმელსაც აუკრებს. მისი წამალი: კელი გაიკსნას – ბასალიკი, სისხლი ცოტა გამოუშვას, მერმე ქერის კორკოტი მოადუღე და აჭამე და რადც გრილი ტლევები იყოს ზედან შემოსდეგ და იის შარბათი, შირხიშტი, თარანგუბინი თვითოსაგან ათ ათი დრამი გაადნევ, გამოწურე და შეასვი ცხელ ცხელი. თუ ენა შავი იყოს, ანუ ყვითელი და გასივებული იყოს, ქათანის ნაკვეთითა და მრავალძარღვითა ენა გამოსწმინდე, და გამორეცხე. თუ ენაზედა ნახლა იყოს, წნორისა ხისა დანა შექენ და ენა გამოფხიკე, მერმე თუთუბო და ბროწ- (125v) ეულისა წვენი მიეც და რად მოიჯობინოს წვერილი თვეზი მიეც ძმრითა. **ჯალინოზ ამას იტყვის, როგორცა ყვანა დაუწყოს და**³²⁶ მოუვიდეს ყვანა, თუ ადრე³²⁷ და ურჯელად იყვანდეს ეს სენი ქვემოს ნაწლევშიგან არის. თუ ცოტად აზიდვებდეს და ჯდომისაგან რჯიდეს, შუა ნაწლევშიგან არის. თუ მწვედ აზიდვებდეს და რჯიდეს, ზემოთ ნაწლევშიდ არის. რად ეს ნიშნები ნახო ნუ აჩქარდები, კარვით გასინჯე, დაუწყნარდი, ნურც მწვავესა წამალსა მისცემ, აშლის და ვედარ შეიტყობ. ასეთი წამალი მიეც, რომ შეწყობილი იყოს. ქერის კორკოტი შექქენ, აიღე მარცვალი, მოკალე და მისი კორკოტი შექქენ. აიღე სამყი არაბი, ქათირა, ვარდი. ესე სწორ სწორი ქენ, მოკალე და დანაყე და იმა ქერის კორკოტითა აჭამე, ანუ ბიის შ(ა)რბათითა. თუ ამითა არ ეშველოს, ამა ქერისა მაგიერი ფეტვი ქენით, მოკალე და მისი კორკოტი შექქენ და აჭამე ფშატი და ია ია შიგან მოადუღე. მერმე ჯულაბი გაურივე და აჭამე. ფურუკი შექქენ (126r) მოხალულისა კიტრისა თესლისა და ბრინჯისა წვენი და ხიაშამბარი შიგან

³²⁶ ტექსტში „და“ გამეორებულია.

³²⁷ ტექსტში „ადრე“ გამეორებულია.

გაურიონ და აჭამონ მუდმად, მრავალძარღვა მოკალული ვაშლისა შარბათითა მისცემდით. **თუ ესე ქვემოსა ნაწლეუსა შიგან იყოს**, ოენა უყავ ამა წამლებითა: აიღე ბრინჯი ერთი ლიტრა და სამსა ლიტრასა წყალშიგან მოხარშე, ასრე რომე ნახევრად მოიყაროს და გამოწურე. მერმე დაიჭირე სამყი არაბი, წითელი წამალი, თეთრი საკმეველი სწორ სწორი და მრავალძარღვას თესლი. ეს ყველა შარბათსა შინა გაურივე და ყოველთა დღეთა ხუთ ხუთი მიტყალისა ოდენი. ამა წამლებშიგან შვიდი მიტყალი წვენი გაურივე, ჩვიდმეტი მიტყალი ბრინჯის წვენი შიგან გაურივე, თუ კეტრი ერთობ იყოს ცოტა, ვარდის ზეთი შიგან გაურივე და მიეც. **თუ ესე ზემოსა და ანუ შუასა ნაწლეუსა** ესე წამალი ქენით ოენად, თუ წმინდასა სისხლსა იყვანდეს აიღე სამოცი დრაჰმი მრავალძარღვას ფურცლის წვენი, ორი დრაჰმი წითელი წამალი, ორი დრაჰმი გაცრილი ფქვილი, ორი დრაჰმი ქერი, ესე ბრინჯის წვენითა მოა- (126v) დუღე და ოენა უყავ. თუ ამან არ არგოს ესე ოენა უყავ: აიღე ბრინჯი, მოადუღე წყლითა, გამოწურე კევრცხის გული და ვარდის ზეთი, და გაცრილი ფქვილი, მისგან ცოტა აიღე და ბრინჯის წყალშიდა გაურივე. ორი დრაჰმი წითელი წამალი და ოენა უყავ **ყოველსა ფერსა ყვანასა არგებს. ყვანა თუ მოწამელისაგან წაეკიდოს, მისი ნიშანი** ეს იყოს, რომე ხშირად იყვანდეს და სისხლზედ არ იყვანდეს, ყვითელზედ იყვანდეს მოწითანოთ და სცემდეს, სტომაქმან დაუწყოს ტკივილი და სრულად ტანში აშლით იყოს, და საჭმელსა არა დია მოინდომებდეს, და გული ეშლებოდეს, და ტანში ცხლად იყოს, და ერთობ იწყურებდეს, დაშენდენა არა ჰქონდეს. მისი წამალი: სამჯერ ოთხჯერ არწყევინე და ღარღარა აქნევინე და გასახსნელიცა აადებინე. აიღე ხიაშამბრისა გული, შირხიშტი, თარანგუბინი შვიდ შვიდი დრაჰმი, ვარდის წყალი, ცხელ ცხელი შეასვი და თუ რამე დარჩომილი იყოს, გამოიღოს. მას უკან კიდევ რამე სჭამოს და მოისვენოს, და როგორც გაიღვიძოს, თუ დაშენდა კარგია, თვარამ კიდევ არწყიოს. **ერთი ყვანა სხვა არის**, რომე საჭმელს (127r) სჭამდეს და ისრვე უდნობსა გაიღებდეს, ნაწლევიცა ეწვებოდეს. ნაჟალი მოყვითანო იყოს, ანუ მომწვანო და სწყურდებოდეს, და ჭიბი ბოქვენამდისი ყველაჲ სტკიოდეს და შიგნით კიდევ ეწვებოდეს. მისი წამალი: ყურსი ტაბაშირი შეუწყევით, აიღე ტაბაშირი, წითელი ვარდი, სამყი არაბი და კოწახური. ეს სამივე სწორ სწორი ქენ, დანაყე და ისრიმისა შარბათითა, ანუ ბროწეულის შარბათითა ანუ ბიის შარბათითა შეასვი, და მისი საჭმელი ვმელი ბროწეული და ისრიმის წვენი საჭამადად შეაქნევინე, და ის აჭამეთ, თუ ამ საჭმელსა ვერ ჭამდეს და სუსტად იყოს, კურდღლის კორცი აჭამეთ, კოცობი, ქათამი,

რომელიც იყოს, ახალი დოც შეასვით, და ოსპის საჭამადი შეუწყვიტო, და მჟავე გაწურვილი მაწონი შიგან გაურივეთ და ისრე აჭამეთ. და თუ მჟავე მონდომოს კმელი ბროწეული აჭამეთ. **თუ მშრალსა სისხლზედა იყვანდეს** ხშირად აიღე თრიაქი, ქათირა, ნურა, საკმეველი, ქარვა, თვითოსაგან სწორ სწორი დანაყე და სამი წონა შაქარი (127v) შიგან გაურივე, და მოაღუდე, რომ შესქელდეს, მისი შარბათი ხუთ ხუთი რომ შესვას. **სხვა ყვანა რომე ხშირად წელთ ნახვეწსა იყვანდეს, ასრე რომე ხშირადაც დაჯდებოდეს და ადგებოდეს, და ისრე ვეონოს ვითა გამოიყვანოს და არ გაიყვანდეს, და თუცა გაიყვანდეს. ცოტასა და ბალღამიანსა, და თხამლი ერის შიგა.** ამა სენსა ყველასა შაფმან უშველოს. შაფი პატრუკსა ჰქვიან, რომ ესე არის. აიღე თეთრი საკმეველი და აღისარჩული, სამყი არაბი, თრიაქი, სწორ სწორი დანაყეთ და კვერცხის გულითა შეზილეთ, და პატრუკად შექენით, გრძელის ხურმისა კურკისა სიმსხო, მერმე ჩრდილსა გააკმეთ და აღებინეთ ესე პატრუკი და უშველის. **თუ ყვანაშიგან ესე წაეკიდოს მოუნდებოდეს და ვერ დაჯდებოდეს.** მისი წამალი ეს იყოს, ხიარშამბრისა გული, ოცი დრამი შირხიშტი. ესენი ყველა ვარდის წყალშიდა დააღბე, გატყლიჟე და გამოწურე დილეულად, უზმოდ შეასვი, რომე ოთხი, ოდენ ხუთი ხელი გაიყვანოს, სენისაგან გამო- (128r) იყვანოს, ჯორცსა ნუ აჭმევ და ღვინოსა ნუ ასმევენ, საჭამადი ბრინჯისა და ოსპისა შეუწყვიტო, თუთუბოთ შექნილი და თხის ქონსაც გაურევდით და ისრე აჭმევდით. **სხვა, თუ ნამეტნავად იყვანდეს** ეს ტლე შეუწყვიტო მუცელზედა გარდა(ა)არით, შემკვერელი არის. აიღე გუნდა, შიგან რომე სხვა გუნდა არის, შიგნით იქნების გუნდაში და ბროწეულის ყვაილი, სანდალი, კმელი ბროწეული, წითელი ვარდი და ბროწეულის ქერქი მჟავისა, ყველად დანაყე კმელი და წნორის ფურცელი, ვაშლის ფურცელი და ბიის ფურცელი, ყველად გაახმე, და დანაყე, და იმაში გაურივე, და ძნელითა ღვინითა ტლედ შექენი, და გულზედა გარდააკარი, და ხილი, ბია შემწვარი აჭამეთ უზმათ, და საჭმელს უკან ხილს ნულარ აჭმევ. ბიის შ(ა)რბათი რადც ყვანა არის ყველას არგებს. **თუ მუცელში სტომაქისა სისუსტისაგან გახსნით იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს, რომ განავალი წყალივითა იყოს, უბალღმოდ თეთრი იყოს დოსავითა. რად ესე სჭირდეს (128v) აიღე კმელი ვარდი, დანაყე, კმელსა და ახალსა სამოსელშიგან გა(ა)ხვივე და კარგსა ღვინოშიდა ჩასდევნი სამს დღესა. მერმე დასწურე ფურცელი, გააგდე და ღვინო შეასვი უზმად, და მარგი არის. **მისთვისევე:** აიღე ბია და წყლითა აღუდე, ვირემ სამისაგან ერთი დარჩეს და მერმე თხის ყველი გაურივე და საღამოს მიეც და ეშველებს. **მისთვისევე:** აიღე კვერცხის ყვითელი გული და ჩააგდე

ერთსა ტაფაშიგან. ზედა ძმარი დაასხი, აღუღე ვირემ ძმარი დაილიოს და მერმე შეაჭამე და მარგი არის. **მისთვისვე:** აიღე თევზის წებო, დააღბე, დაზილე და გააღნე და შეასვი, მუცელსა შეჭკრავს და უშველის ღ(მერ)თითა. **სხვა წამალი მუცლის ტკივილისა:** თუ ზიდევბა წაეკიდოს და წელთა ნახევწსა ატანდეს, დაჯდებოდეს ზედა³²⁸ და ვერასა სჭამდეს, აიღე ხუთი გუნდა, დანაყე და თბილითა წელითა შეასვი უზმად, და უშველოს. **მისთვისვე:** საჭმელი ბრინჯი მიეც წელითა, აღუღე და თაფლი გაურივე, და აჭამე, ანუ თუთუბოთა აღუღებული საჭამადი, ანუ შემწვარი ჩიტნი, ჯოჯობი, ანუ იხვი და ქათამი შემწვარი. ამა (129r) საჭმელმა დაამაგროს. თუ სიმჭურვადე არ იყოს, წყალ გარეული ღვინო ასვით, ან ბროწეულის შარბათი. სხვა პატრუკი რად უშველის ერთობ **ზიდევბასა და ტკივილსა მუცლისასა.** აიღე მური ერთი დრამი, თრიაქი ორი დანგი, საკმეველისა ფქვილი ნახევარი დრამი, ზაფრანა, ყველაჲ ერთად დანაყე, წვრილად წელით გაურივე და შეზილე, რომე ცვილივითა შეიქნას, დაჭარ ბაკილას ოდენი, მკედის პატრუკები შეჭქენი, შეკაზმე და ზედა დასდევ. და ერთი წვერი შორს დაიჭირე, რომე გაკმეს და რად მოგინდეს შემწენ ბერძულითა ზეთითა და შეუღევ, უშველის ნებითა ღ(მერ)თისათა. **ყვანა სხვაც მრავალგვარი არის.**

კარი კოლინჯისა. რად კაცსა კოლინჯი დაემართების მისი ნიშანი ეს არის, რომე მუცელშიდა შეჭკრას, და წელნი სტკიოდეს, ბეჭთა შუა გასწვდეს, და პირი უშრებოდეს, და უმწარდებოდეს, და საჭმელზედა უნდომად იყოს, და იქმნების რომე გულიც ერეოდეს. რად ეს (129v) ნიშანი ნახო იცოდით, რომე ესე სენი რად დაემართოს სამფერი არის. **ესე კოლინჯი ერთი ბალღმისაგან და ქარისაგან, მეორე ზაფრისაგან, მესამე იაღუზ ჰქვიან ისი მისგან იქნების წელშიგან** ანუ საბამი გამოუვიდეს, ანუ წვრილსა ნაწლევიშიგან ჭია დაეჩაროს. ესე ერთობ ავი სენი არის და ძნელი. ერთი სენი სხვაჲ არის, წელშიგან ნავალი გაკმების და მისგანაც დაიბადების კოლინჯი და ეს უფრო უზიანო არის. თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ერთობილმა მუცელმან ტკივილი დაუწყოს, და ტანზედა ერთობ ცხლად იყოს, და სწყურდებოდეს³²⁹, და პირი უმწარდებოდეს, და უშრებოდეს, შეკვრით იყოს და ხანდახან ჭკუვისაგანც გამოვიდეს. რად ეს ნიშანი ნახო, იცოდი, რომე კოლინჯი ზაფრისაგან არის. წამალი მისი: აიღე კამის თესლი ხუთი დრამი, ანისონი ორითა

³²⁸ ტექსტში „ზედა“ გამეორებულია.

³²⁹ ტექსტში „და სწყურდებოდეს“ ფრჩხილებშია ჩასმული.

ლიტრითა წყლითა მოადუღე, მანამდის ადუღე, რომე ორმოცდაათი დარჩეს. მერმე ოცი დრამი იისა, (130r) ერთი დრამი საყმუნია შიგ გაურივე და შეასვი. **თუ ესე სენი დედაკაცი იყოს ორსული ანუ გაუი იყოს** საყმუნია არა მიეცემის, უმისოდ მიეც და ვაშლის შ(ა)რბათი შეუწყვეით. თუ ამან არ უშველოს ამისთანა ოყნა უყავ; აიღე ალილად სამფერი სამ სამი დრამი, კურკისაგან გაწმენდილი და ბორა სამი დრამი, თურბუთი და ღარიყონი სამ სამი დრამი. მწყავი ოცი მარცვალი, სემენეჟი ხუთი დრამი. ესე ყველად მოადუღე და გამოწურე, და ჭაკუნტლის ფურცელი ქატოთა მოადუღე, და გამოწურე. პირველად ის უყავ ოყნად. თუ ამის არ იქნეს, მას უკანით დაიჭირე თუხმი და შამიანდალი ხუთხუთი დრამი, საბრი სამი დრამი, თურბუთი და ღარიყონი სამსამი დრამი, დანგნახეგარი ბორა, სამი დრამი თავის ცურცლა, ათი დრამი ყველად, დანაყე ვაშაყი და ჯავშირი ოროლი დრამი, და ზროხის ნავდელი შიგან გაურივე, შაფები შეკქენ და გაახმე ჩრდილსა, და აღებინე მარგი არის. (130v) თუ სიგრილისაგან იყოს, ბალდმისაგან, ანუ ქარისაგან, მისი ნიშანი ესე იყოს, რომე ტკივილი ერთობ იყოს, ასრე რომე კედელთა და ქვათა ეჭიდებოდეს კბილთა, და ფერზედა თეთრად იყოს, და ტანზედა სიცხე არა პქონდეს, და ფეკები გაუცივდეს. მისი წამალი: ამა წყალი მოადუღოს, ამა წამლებითა და შიგან ჩაჯდეს. დაიჭირე ყაისუმი, ბაბუნაჯი, აქლილ მალუჟი, ხათმის ფურცელი და ძირი, სადაფის ფურცელი, ამდენი ერთი რომე შიგან ჩაჯდებოდეს, ანჯარა ნახეგარი პეშვი გაურივე და მოადუღე, და შიგან ჩასვი წელთამდის. რად წყალი დადმა გამოვიდეს ესე გვარიშინი მიეც. წამალი მისი: აიღე ყარაფილი, ზანჯაფილი ზარინაბადი, ჯავზი ბუა, ძირა ქიმანი, აყირყარა, სოლი, ნიახურისა და სტაფილოს თესლი, ფალფილი, დარიფირფილი, საქმუშვი, თვითოსაგან სწორ სწორი, ყველა დანაყე და მაჯუნი შექენ, და ყოველთა დღეთა ორჯელ, ერთხელ დილასა და ერთხელ საღამოსა აჭამე. თუ კაცი ძალიანად იყოს უფროსი მიეც, თუ უძლურად იყოს უმცროსი მიეც (131r) წამლებსა სხვილად უნდა დანაყეა. თუ ამით არ იქნას, **ესე ოყნა** უყავ; დაიჭირე შამიანდალი ათი დრამი, თურბუთი ხუთ ხუთი დრამი, ღარიყონი ხუთი, ყანტარიონი ათი დრამი, სემენეჟი ათი დრამი, საბრი ხუთი დრამი, სათარი ათი დრამი, სადაფი ათი დრამი, პიტნა, ესენი დანაყე და ერთად შეჯუმდე. მოადუღე, რომე ნახეგარზედა მოიყაროს, გამოწურე და ოყნა უყავ. საჭმელად მუხუდოს წვენი, სტაფილო და თელგამი, ესენი შეუწყვეით. **სხვა ოყნა** დაიჭირე. ყათრანი სამი დრამი, თახვის ყუჭრი, ქალბანა, ჯავშირი, ყველად დანაყე და ჭაკუნტლისა წვენი გაურივე, და ოყნა უყავ. თუ ზამთარი იყოს ფალღამუნი შეუწყვეით, მისი შექნა ასრე

უნდა: აიღე სონჯი, კორდმანაი, ფარფონი, ყაყულა. დანაყე წვრილად და ქაღბანა, აყირყარა, სუმბული, ბროწეულის მარცვალი, თახვის ყვერი, თვითოსაგან თვითო დრამი, ზირაქიმანი, აბულდარი, თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი ესე ცომშიგან გაურივე, მაჯუნი (131v) შექენ და ყოველთა დღეთა აჭამეთ, საყმუნიაც შიგან გაურივეთ, ყველას ოდენი თაფლი გაურივეთ, მაჯუნათ შექენ და აჭამეთ ყოველთა დღეთა. **თუ შეკრული იყოს**, დაიჭირე შირხიშტი, ხიაშამბარი ათი დრამი, გამოწურე, ნუშის ხეთი გაურივე და შეასვი და საჭმელი მუხუდო შეუწყევით, წვენი ისპანახითა და ნუშის ხეთითა და ესე შაფი შეუწყევით. დაიჭირე იის ყურსები, შამიანდალი, ჭერმის კურკის გული, აღქირუმი, ბორა, თაგვის ცურცლა, ყათარნიცა გაურივე, შაფები შექენ და გაახმე, ზროხის ნაღველი შიგან გაურივე და აღებინე. **თუ ესე ხენი დედაკაცსა სჭირდეს**, დაიჭირე ოთხი ტრედის ჭუნდი, დაკალ და გაყვლიფე, და შვიდის ჯამის წყლითა მოადღე, ისრე რომე ნახევარი დარჩეს. მერმე ერთი მალი იშოვე და ფეკები დასჭერ, და გაყულიფე, და გამოშიგნე. ესე წამლები მუცელშიგან ჩაუყარე, ქონდარი, ძირა, სოინჯი, დარინინი, ჯაეზი ბუა, მერმე შეუკერე მუცელი და წყლითა მოხარშე, სანამდის დადნებოდეს, მერმე გარდმოიღე ის წყალი, მისი ნახევარი (132r) თაფლი გაურივე და წყნარად აღუღე, რომ შესკვლდეს ყოველთა დღეთა სამ სამი დრამი მიეც, ესე ვაჟსა კაცსაცა არგია. **სხვა კოლინჯი, რომელ იალუზ რქვიან და იალუზ ამას ქვია ბერძულად** (მერთო მიშველეო. მისი ნიშანი ეს არის: მჯდომივითა გამოვა, ქარისგანაც იყოს, სიმჭურვალისაგანც იქნების და სიგრილისაგანაც. თუ სიგრილისაგან იყოს, რომე ჰელი დასდვა თოვლივითა ცივი იყოს, ყოველი ტანისა ტკივილი მუდმად იყოს, როგორცა იწვეს, რომელსაცა მკარზედა იწვეს, ტკივილი იმა მკარსა იყოს, და ტკივილი ჭიპსა ზემო იყოს. თუ სიმჭურვალისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს: მისი ტანი ცეცხლივითა იყოს, ქმინვიდეს მალლად და პირიდალმან რადცა გამოვიდეს ცეცხლივითა იყოს, პირი უშრებოდეს და უმწარდებოდეს, სწვერდეს. **თუ ესე მჯდომი იყოს ზემოსა ნაწლევი შიგან**, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე არწყიოს, მისი ნავალი და ბოყინი მყრალი იყოს, ამისგან იმედი გარდასწყვიდე. თუ შუა ნაწლევიშიგან იყოს მისი ნიშანი ეს არის რომე ცხელ- (132v) ება, განუწყვეტლად იყოს და კიდეცა არწყევდეს, და მოსვენება არა ჰქონდეს. თუ ქვემოსა ნაწლევისა შიგან იყოს, სიგრილისაგან არის და მისი ნიშანი ეს არის: შარდად არა გავიდოდეს და მუცელიცა გაებეროს და კიდეცა შეჰკრას. რად ესე ნიშანი ნახო, ფიცხლავე უნდა წამალი. თუ ხანი გაუგრძელდეს და ჟანგარის ფერსა არწყევდეს, იმედი გარდასწყვიდე.

წამალი მისი: აიღე ფეტვი, გაახურვე, თავზედა შემოსდე, სადაცა სტკიოდეს იქა შემოსდე. **თუ შეკრამან მიაჭირვოს**, წამალი მისი: დაიჭირე ნიახურის თესლი და კამის თესლი და ქარვა მოადუღე, სამსა დღესა შეასვი შაქრითა ცხელ ცხელი. საჭმელი მუხუდოს წვენი ან სტაფილოს თაღამი, რადც მკურვალე და რბილი იყოს ის შეუწყევით. **რად აშფოთდეს ყოლინჯი და მივარდეს თირკმელთა სიახლესა**, დიადსა აქიმსა თირკმელთა ტკივილი ჰგონია. და თირკმელთა ყოლინჯისა ტკივილი ერთმანერთსა ჰგავს, მაგრამ ჯვალინოზ ასრე ბრძანებს: თირკმელთა ტკივილი მისა ალაგსა იქნების, უძრავად და წყნარად სტკივის და კოლინჯ- (133r) ისა ტკივილი შიგნით მუცელსა და წელთა შიგან ყოველგან იარების. ერთი მისი ნიშანი ეს არის, ოყნა ააღებინო. თუ თირკმელისა ტკივილი არის უმფრო ტკივილსა მოუმატებს, ამისთვის რომე წელსა ავსებს და თირკმელსა მიაწვების, და ატკივნებს, და თუ ყოლინჯი არის ოყნა წელთა დააღბობს, და ტკივილსა დაა(ა)მებს. **თუ ყოლინჯი კმელისა ნაღვლისაგან იყოს**, რომე გაკმების ქვემოსა ნაწლევსა შიგან, მისი ნიშანი ეს არის: ამა ყოლინჯისა უფალსა ასრე ეგონოს, ვითა ნაწლევთა შიგან მძიმე რადმე იარების და ნაწლევთა გახევეს ტკივილი ამას გვანდეს. თუ ოყნა უყოს, განვიდეს განავალი, მაშინდა მოისვენოს ნავალის კმელისაგან, და ამა საჭმლისაგან შეიქნების ყოლინჯი, ფეტვისაგან, ბრინჯისაგან და კმელის პურისაგან, ანაკუშთ ანაკ(უ)შთისაგან. ამითაც იქნების რომე ბევრჯელ შარდად გასრულ იყოს, ან ბევრი ოფლი სდენოდეს, ამათგან წაეკიდების ყოლინჯი. **ნავალისა (133v) ყოლინჯისა წამალი**: აიღე წითელი შაქარი ათი ისტილი, ანუ უფროსი, ანუ უმცროსი, და ერბო შიგან და მიეც რადცა უნდოდეს, რადც შეეძლოს ერბოსა ჭამდეს, ღვინოცა კარგი არის. **სხვა**, დაიჭირე სელისა და წიწმბის თესლი, მოადუღე და ამათი ...³³⁰ დაიჭირე და ორი უნკია ქუნჯუთისა ზეთი გაურივე, და აჭამე, მარგი არის, ყოლინჯსა დასვამს და ისი რადც წელთა შიგან ნავალი დარჩების, ყველასა გამოიდებს. **მისი საჭმელი**: ყველა მსუქანი შაქრითა და ნუშის ზეთითა შეუწყევით, და ხარშო, რომე მამლისა იყოს ისპანახითა და მუხუდოთა ერთობ მარგი არის, ზროხის კორცის ნახარშიცა ერთობ მარგი არის, და მოკაღულისა, ფქვილისაგან პური გამოაცხონ და ღვინოშიგან ჩაუყარონ, და ქუნჯუთისა ზეთშიგან ამოავლოს, და აჭამოს, მარგი არის. **ამასვეს სენისათვის**. ოყნა კარგი და გამოცდილი, ნავალი რომე ნაწლევთა შიგან გამკმარ იყოს. აიღე ლეღვი ხუთი მარცვალი, ღვარბლის ქატო ერთი

³³⁰ არ იკითხება.

ცალი პეშვი³³¹, ჭაკ- (134r) უნტლის ფურცელი ათი მარცვალი, სოსნის ძირი ნახევარზედან დანაყილი ათი დრამი, მწყავი ოცდა(ა)თი მარცვალი, ქერის კორკოტი ერთი ცალი პეშვი³³², ბაბუნაჯი ერთი ცალი პეშვი³³³, ლულუფარი და თრუნჯის ფურცელი, თვითო ცალითა პეშვითა³³⁴, ექვსითა ლიტრისა წყლითა მოადულე, ამდონი ადულე, რომე ორი წილი წავიდეს, მესამედი დარჩეს, მერმე დაწურე და ათი ისტილი ამა წყლისაგან და უნკია ნახევარი. ამას მრავალძარღვას ლაბა გაურივე და ერთი უნკია იის ზეთი, ორი დრამი ბორა, ნახევარი დრამი მარილი, ამას წამლებსა შიგან გაურივე და ნელთბილითა ოენა უყავ.

კარი თირკმელთა ტკივილისა: იცოდით თირკმელთა ტკივილი ორისაგან იქნების სიგრილისაგანცა და სიმჭურვალისაგანც. იცოდით, რომე თირკმელი ორი არის, ერთი მარჯუწმით და ერთი მარცხენით. მარჯუწმით ღვიძლისა სიმჭურვალისაგან ასტკივდების და მარცხენა ტყირპის სიჭმისა და სიგრილისაგან ასტკივდების. (134v) თუ თირკმელი მარჯუწმით სტკიოდეს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ბუშტმან მარჯუწმით დაუწყოს ტკივილი, ბუშტი ბოქვენსა ჰქვიან, და ხან და ხან კიდეცა გააცხელებდეს, შარდი ყვითელი იყოს და ხშირად გავილოდეს შარდად და ტკივილი ამასა გვანდეს, ნემსითა რაჲ მხვლეტსო. წამალი მისი ეს არის, რომე მოხვენებით ამყოფო და ცივსა წყალშიგან ჩასვემდე, და რაჲ გრილი შარბათები იყოს ის შეუწყევით. ქასნის წვენი და ქერის წვენი შაქრითა ამას ასვემდით, და ხილთა წყალსაც ასვემდით, და ბროწეულისა და ისრიმისა შარბათი შეუწყევით, და მარგი არის. ლაბა მრავალძარღვასი შაქრითა მარგი არის და კარგი. საჭმელად კიტრის თესლი და შანგურისა თესლისა გულისა, სახვრეტელი შეუწყევით და იმას ახვრეტებდით, და ცოტა ერბო გაურივეთ, და ისრიმისა, და ქერისა, და ოსპისა საჭამადი შეუწყევით, და ცივსა აჭმევდით. **თუ შეკრვით იყოს და აცხელებდეს.** აილე ქასნის წვენი, ხიარშმარის გული, თარანგუბინი, ქასნის წვენი გამოწურე და შეასვი, (135r) მარგი არის. ამისთვის ყოლინჯშიგა რომე სწერია იის ზეთი და ვარდის ზეთი წყლითა გაურივეთ, და სადაცა სტკიოდეს ტლედ შემოსდე, მარგი არის. **აწე თუ ესე თირკმელთა ტკივილი სიგრილისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს, რომე პატარა მუცელი მარცხენით სტკიოდეს

³³¹ ტექსტშია „პევში“.

³³² ტექსტშია „პევში“.

³³³ ტექსტშია „პევში“.

³³⁴ ტექსტშია „პევში“.

და ზურგიცა სტკიოდეს, შარდი თეთრი იყოს და კიდევ აცხელებდეს. რად ეს ნიშანი ნახო იცოდი, რომე სიგრილისაგან არის და ტყირპისაგან, და კიდევ დამჭლდეს კაცი. **მისი წამალი.** ვარიშინი ძირა არის და მისი საჭმელი მუხუდოთა და ცერცვითა შექნილი, ტრედის ჯუნდი ხარშოდ, ანუ შემწვარი ჭივჭავი იყოს. ნიშანი ძირა ვარიშინისა შექნისა. აილე ძირა ძრძითა დამბალი და გამკმარი, და მოკალული, ასი დრამი, ზანჯაფილი ოცი დრამი, პილპილი ათი დრამი, აფთიმონი ოცი დრამი, ათი დრამი ბორა, ოცი დრამი დანაყე სხვილად და თაფლითა შეხილე, და იკმარე. **თუ თირკმელშიგან სიმსიენე იყოს და ვარ(ა)მად გარ-** (135v) **დაიქცეს,** მისი ნიშანი ეს არის, რომე შეჰკრას მუცელი და რომე გუერდი იქციოს, ასრე ეგონოს ვითა წელზედა მძიმე რადმე მკიდაო და კიდევ გააციოს და გააცხელოს და კორცზედა ცეცხლივითა იყოს და პირზედა წამოჭეხდეს. რად ეს ნიშანი ნახო იცოდი, რომე თირკმელზედა აბია რადმე. მას ასეთი წამალი უყავ, რომე გახსნას და გამოიღოს. აილე წითელი ალილა და ქაბულური ალილა კურკისაგან გაწმედილი ხუთ ხუთი დრამი, შირხიშტი, თარანგუბინი, ხიაშამბრის გული, შვიდ შვიდი დრამი, რევანდი ერთი დრამი, მრავალძარღვა, დამდნარი შარბათი, შვიდ შვიდი დრამი და ალილა. ესენი ნახევარზედა დანაყილი უნდა მოადლე, სანამდის ნახევარზედა მოიყრებოდეს, მერმე ესე წამლები შიგან გაურივე, დაალბე და გამოწურე, და რევანდი ცალკე დანაყე, გაჰმოკარ მწვარშიდა და იმავე წვენშიგან დაალბე და შეასვი, რომე მუცელსა შიგან გამოიღოს. თუ ამა წამალსა არა მიაწრობ (136r) კაცი დაზიანდების, მათბუხიცა³³⁵ კარგი არის, მერმე ბასალიყი გაუხსენ მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირს არის და ესე გრილი იმა ადგილზედა შემოსდევე. **წამალი ტლისა.** აილე ლეღვი ათი მარცვალი, წყლითა მოადლე, მერმე ჯელითა დატყლიყე, მერმე ჯმელის კომბოსტოს ფურცელი და ჯმელი ბაბანუჯი, ჯმელი ტუხტი, თვითოსაგან ათ ათი დრამი, სტაფილო დანაყე, ლეღვიშიგან გაურივე და შემოსდევე, როგორცა ის დასცხრეს, მერმე ყოველთა დღესა ნიახურისა წყალი ასვი შაქრითა.

თუ ფსელი შეეკრას, მისი წამალი უყავი, რომე ფსელისა დაჭირვისათვის სწერია და შირიმისა წამალიცა უყავით, რომე ფსელი გამოვიდეს, თვარამ კაცი მოკვდების. რად ესე ნიშანი ნახო, რომე ავი იყოს, ესე ტლე შექენით და წელთა შემოსდევით. აილე ჯმელი ლეღვი, წყლითა

³³⁵ ტექსტშია „მათბუხი“.

მოადუღეთ და ჰელითა დატყლიუე, მერმე ერთი პეშვი³³⁶ ქერის ფქვილი, ერთი პეშვი³³⁷ ქერის (136v) კორკოტი, ისიც შიგან გაურიეე, მერმე შემოსდევით. თუ ამა წამალთაგან განიხსნას, მისი ნიშანი ესე იყოს. ფსელში თხამლივითა გამოყვეს. როგორცა ესე ნიშანი ნახო კამა და ნიახური მოადუღე და ნელ თბილი ასვი, რომე გამოსწმიდოს. თუ ამა თხამლისა დენასა უკანით ფსელი კარულასა შიგან დაიჭირო. თუ ფსელი ყვითელი იყოს და სველი, ანუ შავი, ანუ მოლურჯო, ამას აღარა წამალი აღარა გაეწვობის რა, სიკუდილის ნიშანი არის. თუ ესე ფსელი და ესე თხამლი ბრინჯის წვენივითა მოთეთრო იყოს, ამას ადრე ეშველების. თუ ამა დროსა თხამლმა გამოდენა დაუწვოს და მაშიან მუცელშიგან განიხსნას, ამაზედან აიშლების და კარულა კიდევინ დაიჭირო და ნავალიცა ნახე, და თუ წითელი იყოს, და მოყვითლოდ სცემდეს, კარგი არის. და თუ შავი იყოს და ჟანგრის ფერი და სული მყრალი უდიოდეს, ავი ნიშანი არის. თუ კარულა დაიჭირო და შიგან ჯორცის ნაკვეთივითა რადმე პყვებოდეს (137r) წვრილ წვრილი და შიგან იარებოდეს. ესე მისი ნიშანი არის, რომე თირკმელი დასწყულულებია და ნამეტნავად წყურვილი სჭირდეს. თუ კარულაშიგან მუხუდო რომე დადერლო, მას რომ ქერქი შესძვრების იმისთანა რადმე გამოჩნდეს, ნიშანი იყოს რომე **ბუშტი დასწყულულებია**. ერთი ნიშანი სხვა არის, რომე თირკმელთა ტკივილი. წყნარად ჭიპსა გარეშემო სტკიოდეს, წელიცა სტკიოდეს, იცოდი რომე თირკმელთა ტკივილი არის. და თუ ერთობ სტკიოდეს ჭიპსა ქვეშე და თესლი წვეთ წვეთად მოსდიოდეს, იცოდი რომე სატკივარი ბუშტშიგან არის. მისი კარულა დაიჭირო და დადგი ცოტასა ხანსა, და თუ ძირშიგან მთხლე დაჯდეს, და ისი მთხლე მყრალი იყოს, ავის ნიშანი არის. თუ ის თხლე მოთეთრო იყოს, ადრე ეშველების. თუ ძნელად მოფსმიდეს, ნედლის კამის წვენსა და ნიახურის წვენსა ასვემდით წითლითა შაქრითა და თეთრითა შაქრითა. მისი საჭმელი ფუშრუკი შექენით ქერის ფქვილითა და თხის რძითა, და (137v) ქათმის ქონითა და კიტრის თესლითაცა, დანაყე და შიგან გაურიეე და აჭამე. თუ გამრთელდეს ფუშრუკი შეუქენ წმინდისა ფქვილისა და აჭამე. **სხვა ამისი წამალი:** წითელი წამალი და გაცრილი ფქვილი, კიტრის თესლის გული და ქათირა დანაყე, ცოტა შაქარი შიგან გაურიეე, გადესე და შეასვი. მას უკანით ღიმოს შარბათით, ანუ ბროწეულის ერთსა კვირასა ესე შეუწყევით. თუ არა არგოს, ესე მიეც: აიღე კამა, ნიახური, ია

³³⁶ ტექსტშია „პევეში“.

³³⁷ ტექსტშია „პევეში“.

და ვარდი, მოადულე და მიეც. **სხვა:** აილე მიტყალ ნახევარი ქათირა, დანაყე, შიგან გაურივე და შეასვი. მერმე როგორცა ესე სენი გამრთელდეს, სამსა და ოთხსა დღესა ესე უყავით, წამალი და საჭმელი შეუწყევით: აილე ქერისა ფქვილი და ქათმისა ქონი, და შაქარი გაურივეთ, და აჭამეთ. აყიროს საჭამადი შეუწყევით ქერის კორკოტითა და აჭამეთ, და თუ იშოვებოდეს, ნესვიცა აჭამეთ ხილად, რომე თირკმელი გამოსწმინდოს. **მერმე თირკმელისა გამრთელდების** ნიშანი ეს არის: მისი კარულა დაიჭირო, დადგან (138r) ერთსა წამსა, მერმენ ახონ თუ სიმღვრიე არა იყოს და წმინდა იყოს ძერამდისი, სრულად გამრთელდების ნიშანი არის. მას უკან გორცისა საჭამადიცა აჭამეთ, და ესე წამალიცა აჭამონ: წითელი წამალი, გაცრილი ფქვილი, კიტრის თესლისა გული და ქათირა, თვითოსაგან თვითო დრამი დანაყე და გაცერ, და თხუთმეტისა დრამითა ქათმის ქონითა მიეც, რომ შესჭამოს, ანუ ვაშლის შ(ა)რბათითა, ანუ ბროწეულის შარბათითა, ერთსა კვირასა ამა წამლითა ამყოფეთ. **ერთი სხვა სენი არის თირკმელთა, ვიდა ნიშატ რქვიან.** მისი ნიშანი ეს არის მწვედ სწყურდებოდეს და როგორცა წყალსა სვემდეს, მასვე წამსა მოფხემდეს ისევე წმიდასა. ესე მისგან იქნების, რომე ნამეტნავი სიცხე შეყრილ იყოს თირკმელშიგან და წყალსა არა დააყენებს სიცხე. **მისი წამალი:** მუდამ ქერის წყალსა ასვემდეს და აყიროს წვენსაც გაურევდეს, შაქრითა შესასვემდენ, საჭმელად მაშა, აყირო და ქერის კორკოტი შეუწყევი, და მწარისა კიტრისა წვენი (138v) შიგან გაურივეთ, შანარისა, ბროწეულისა, ისრიმისა წვენსა გაურევდით, გააცივებდით, შესვემდით დილასა და საღამოსა. თუ ამან არ უშველოს, მრავალდარღვას ლაბი აჭამე, შაქრის ყინულით გაცივებული შეასვით, მარგი არის. თუ არც ამან უშველოს ყურსი ტაბაშირი შეასვით, რომე ყურსებშიგან სწერიან, მით წესითა და ცივსა წყალშიგან ჩასვემდი და უკანით თირკმელთა მართლად ესე ტლე შემოსდევით: აილე მაწონი და ქერის ფქვილი, გაურივეთ თეთრი სანდალი და ცოტა ქაფური, და შემოსდევით.

კარი ბუშტისა, შირიმისა და თიაქარისა, რომე ფიტყი ჰქვიან, ქანთლისა ტკივილისა ამას ჰქვიან, ქანთელი ფსლისა გზა არის, თირკმელთა ჩამოიარს და სარცხვენელსა შიგან მივა, ფსლის გზა არის და ბუშტისა ტკივილისა და შირიმისა. ესე სენი საჭმლისაგან დაიბადების. ამა საჭმლისაგან რომე მუდამ დოსა და ძველსა, და ახალსა ყველსა, და კორკოტსა, კმელსა პურსა და მღვრიასა წყალსა სვემდეს, და სველის ღვინისაგან, ამათ ან დაიბადების შირიმი და ვაჟსა კაცსა (139r) ახალ მოწიფულსა, ბუშტსა შიგან შეექნების, და დიდსა, და ბერსა კაცსა

თირკმელშიგან. ნიშანი მისი ეს არის, რომე წელმა დაუწყოს ტკივილი და ფსელსა უჭირებდეს. რად ესე ნიშანი ნახო, იცოდი რომე შირიმისა ნიშანი არის. ფიცხლად სწამლე, თვარამ ქვად გარდაქცევის და გამწვდების. ამას ასეთი წამალი მიედც, რომე შარდსა უშველოს და სხვა ასეთი ადარა დარჩების რა. რომე კაცი დაზიანდეს რად წამალსა მისცემდეთ, რადც ავი სასმელი საჭმელი დავსწერეთ, იმისაგან იფარეზოს. ეს ასრე იქნების, რომე ავი სასმელი და საჭმელი წავა იმა ფსელისა გზასა შიგან, და დადგების, და იმას თირკმელთა სიმჭურვალე დასწავს, და უწინ ქვიშისა სახედ შეიქნების სისხლიანი, და მერმე გასკედების, ქვათ შეიქნას, ანუ მრგული, და ანუ კუთხიანი. წამალი მისი: აიღე ნესვისა და შანგურისა თესლი, და ბოლოკის თესლი, მწარე ნუშის, ესე სწორ სწორი ერთმანერთს შიგან გაურივე და კამის წყალი დაასხი (139v) ოცი დრამი და შეასვი. და თუ ცალკე აიღო სამი დრამი ყვოფის, ესე გზასა გახსნის და გ(ა)ჰკაზმავს ნებითა ღ(მერ)თისათა. **ნიშანი ქვისა, რომე ბუშტშიგან ქვა დაიბადების.** ოთხი ფერი არის: ერთი დიდი, მეორე უფრო ცოტა, მესამე რბილი – ყველივითა, მეოთხე მაგარია და ღოჯიანი. ამაშიგა რომელიცა უმცროსი არის ის უარესია, ამისთვის რომე ფსელსა გზასა შესტაცებს და ტკივილსა დაუწყებს. თუ უმცროსი იყოს მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ფსელსა ერთობ უჭირევედეს და კაცი დამჭლდეს და ფერი წაუვიდეს და სუსტად იყოს, თუ მარჯუწნით გარდაბრუნდეს, მარცხენა ეტკინებოდეს. ამა სენისა უფალი ერთსა ადგილსა ვერა დადგეს, ვერცა დაჯდეს, იარებოდეს და სტკიოდეს, ნამეტნავად და ფსელი უმფრო შეებად იყოს. თუ დიდი კაცი იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ბუშტი დაეწყლულოს და ტკივილი მისი ადგილიდალმან დაიძრას, ხან უამიერად თვითოსა ასოსა შიგან უვლიდეს. თუ მაგარი ღოჯიანი იყოს, მისი ნიშანი (140r) ეს იყოს, მისის ადგილიდალმა ტკივილი დაიძრას და სხვაგან სტკიოდეს, და ტკივილი მწვედ იყოს ბუშტუგიც გაუსივდეს. ბუშტუგი ბოქვენსა ჰქვიან, ესე ავი ნიშანი არის. მისი წამალი, გამოღების მეტი არა არის და მერმე მალ(ა)მებითა გაამრთელე. გამოღებას უკან ტკბილსა ღვინოსა, ქალისა რძესა ურევდით, იმას ასვემდით, და მაჯუნიცა აჭამეთ. წამლები მაჯუნებისა: აიღე თეთრი საკმეველი ხუთი დრამი, რკო ოცი დრამი, ჩამიჩი კურკა გამოღებული ოცდაათი დრამი. ეს ყველა დანაყე, თაფლითა მაჯუნად შექენ. ამისგან ყოველთა დღეთა ხუთ ხუთსა დრამას მისცემდი. მერმე მანქათელა დაიჭირე და დანგი თურბუთი, ორი მიტ(ყ)ალი გუნდა, ორი მიტყალი შამიანდალი, ორი დანგი ტუხტის ძირი, თვითოსაგან სამსამი მიტყალი ნიშადური, სოინჯი, ალთეთი, ოროლი დრამი ფილფილი,

დარიჩინი ორი დრამი, რადც სანელელები იყოს დანაყე, რადც სადუღებელი იყოს ადუღე და ერთი საყმუნია გაურივე და შაქრით მოატკე, (140v) და შეასვი, და უშველის, და გამოიდებს, ბუდიურთ დ(მერ)თითა, გამოცდილია. თუ შეეძლოს ერთად მიეც, თვარამ ორად გაყავ.

სხვა წვრილისა ჭისა წამალი. აიღე წყლის პიტნა, დანაყე, მისი წვენი დაიჭირე, ნიახურის თესლი დანაყე ხუთი დრამი, იმა წყალშიგან გაურივე და თუ დარი იყოს ორი დრამი გაურივე, დანაყე და ისიცა მაშიგან გაურივე და სამი დრამი ხვარასანი მასვე წყალში გაურივე, დაამრგვალე აბივითა, თვითო სმა ღვინითა მოადუღე და შეასვი. ნიშანი შეტეობა აქიმთაგან, თუ აქიმი ორგუნებათ იყოს, ესე სენი ჭია არის თუ არაო, დამით რომე პირსა თბილი წყალი მოსდიოდეს და გული ეშლებოდეს და კბილსა ერთმანერთზედა დაადგმიდეს, იცოდი რომ დასტურად ჭია არის.

კარი იარაყანისა, მოფასილისა და მიკრისისა. სამივე ამა კარშიგან სწერია. სამისავე წამალი ერთი არის და გვარადაც ერთი არს. **პირველად იარაყანი დაესწეროთ.** ნიშანი იარაყანისა ამას ჰქვიან, რომე თეძონი სტკიოდენ, ეგების მენჯნიცა სტკიოდეს, ჩამოვა მერმე კოჭთამდის და ფეხის ფრჩხილებამდის იყოს (141r) ტკივილი. ესე ორისაგან იქნების, სისხლისაგან და ან ბალღმის სინედლისაგან. **თუ სისხლისაგან იყოს,** მისი ფერი წითელი იყოს და ჰველი რომე დასდვა ცხელი იყოს, და ძარღვები სავსედ იყოს. მას გასახსნელი მიეც შასთარისა მათბუხისა და შიგან თამარიდნი, და ხიარშამბრისა გული, და თარანგუბინი ათ ათი დრამი, შიგან დამბალი, გამოწურვილი, გაურივე და შეასვი ფარეზითა, და შუა ძარღვიცა გაუსუნ და გრილი ტლეებიცა შემოსდევით სადაცა სტკიოდეს. **გრილი ტლეები ეს არის:** აიღე ზროხის მაწონი, ქერის ფქვილი, კვერცხის ცილი, ცოტა ძმარი, ქაფური, სანდალი, მაწონის წვენი ყველა ერთმანერთშიან გაურივე და შემოსევევი ზედა ზედ. **თუ ბალღმისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს: თეთრი იყოს ფერად, სადაცა სტკიოდეს და ისი ადგილი ცივი იყოს, და მისი შარდი საპონისა წყალსა ჰგვანდეს, ყვითლიანი იყოს. მისი წამალი: პირველად აბი სურინჯალონი მიეცით, როგორცა საქმობა დაუწყოს, შარბათი უსული შეასვით (141v) და არწყევინეთ კარგათ. **მისთვისვე** წამალი შამიანდალი და არტანისი, ორივე დანაყე და შაფები შექენ და თბილის წყლითა მისგან ასთონი აადებინე, რომე საჯდომი დაწყლულდეს. მაშინ გამრთელდეს ისიცა და მერმე თეთრითა მალამითა გაამრთელეთ.

ნიშანი მოფასილისა და მიკრისისა. სატკივარი ერთი არის, მაგრამ ამათ შუა ნიშანი ესე არის: მიკრისისა ტკივილი ერთის ადგილიდამ არ დაიძვრის და მუფასილისა ტკივილი სახსარშიგა იარების. იცოდი რომე მუფასილი

სიმკურვალისაგანაც არის და სიგრილისაგანაც. თუ სიმკურვალისაგან იყოს, ის ადგილი, რომელიც სტკიოდეს წითელი იყოს და ცხელი ებას და ტანზედაცა ცხლად იყოს და სწურდებოდეს და რად დაჯდეს უკედ იყოს, ადგეს უარ იყოს. წამალი მისი: პირველად გასახსნელი წამალი მიეც, ქასნისა წვენითა, რომელიცა იყოს, მერმე მას უკანით კელი გაუსხენი, აიღე ია და სემენეჟი, დანაყე ინა, შიგან გაურივე და ზედან შემოსდევი. **მისთვისვე:** აიღე ია და ძად- (142r) ლის ყურძენას წვენი და ქინძის წვენი, ქასნის წვენი, მრავალძარღვას თესლიცა გააჭმე, დანაყე და ზომი ერთი ასვი. **მისთვისვე:** თესლი მისი წონა, ბანას თესლი ამათ ოდენი, ქერის ფქვილი ამა წვენშიდა გაურივე და სამოსლითა მუფასილზედა შემოსდევე, დღივ ოროლჯერ. **მისთვისვე:** აიღე სანდალი, ქინძის წყალშიგან გაღესე, ქაფური, წითელი წამალი, თრიაქი, მრავალძარღვა, ყველად დანაყე, ძმრითა შეზიღე და ზედა შემოსდევე. თუ ამან არ უშველოს – უმარული, ვარდის ზეთი და ცოტა ქაფური ქენ და შემოსდევე და საჭმელად რაღც გრილი და მონედლო იყოს, ის შეუწყვეით. თუ (სიგრილ)ისაგან იყოს, რომე სადაცა სტკიოდეს თავის ფერზედან იყოს და უფრო მთეთრო, და ისი ადგილი ცივი იყოს და არა სწურდებოდეს. რად ეს ნიშანი ნახოთ იცოდი, რომე მუფასილი ბაღდმისაგან არის. პირველად სარწყევისა წამალი შეუწყვეით ყოველთა კვირათა სამჯერ, აბი სურინჯანი ააღებინე. ამისი წამალი: დაიჭირე საბრი, (142v) შავი საკმეველი, აყაყია ტუსტი დანაყე, მერმე ქუნჯითისა ზეთი გაურივე და კიდევ მოაღუღე, ასრე რომე წყალი დაშრეს და ზეთი დარჩეს. თუ არ ეშველოს – აიღე მური და საბრი ყუსტი და გოგირდი და ბზა სწორ სწორი, დანაყე და ზედა შემოსდევე. **მისთვისვე:** ზაფრანა დანაყე, კვერცხის გულშიგა გაურივე და შემოსდევე. თუ ის არ იყოს და სუმბული ზეთითა დაზიღე.

ნიშანი ნიკრისის. იცოდი ნიკრისისა ტკივილი ერთმანერთსა ჰგავს. მათ შუა ნიშანი ეს არის: მუფასილი ადგილს იცვლის და ნიკრისი არ იძრვის მისის ადგილისაგან და რად ესე სენი შექნას კაცსა გასინჯეთ, თუ დამჭლდეს, ძარღვები დაუმოკლდეს, იცოდი აღარ ეშველებს, ცუდად კელსა ნუ მიჰყოფ. იცოდი რომე ერთი სისხლისაგან არის და ერთი ბაღდმისაგან არის, ერთი ზაფრისაგან არის, ერთი სვედისაგან არის. თუ ზაფრისაგან იყოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე შიგნით ძაღლივითა ეჭიდების და რადსაცა გრილსა წამალსა დასდებდე იამებოდეს და ფეკის ძარღვები ჩქარად და წვრილად სცემდეს. წამალი მისი: აიღე სანდალი დაფხეკილი, (143r) მრავალძარღვა კმელი, ვარდი და ქინძი. ეს სწორ სწორი დანაყე, ქასნის წვენითა და ძმრითა შეზიღე, ქერის ფქვილითა შემოსდევე.

მრავალჯერ. **მისთვისე:** აიღე ხიაშამბრის გული, თარანგუბინი და შირხიშტი, შვიდ შვიდი დრამი, რევანდი ორი დრამი ერთსა სასმელსა იის შარბათშიგან გაურივეთ და შეასვით. თუ ვერ გაკვსნას, ერთი დანგი საყმუნია ერთსა სასმელსა ტუხტისა შარბათშიგან გაურივეთ და შეასვით, და გახსნის ღ(მერ)თითა: დედაკაცისა და ღვინისაგან ფარეზი ქნას, წყლის მაგიერად ან ვაშლის შარბათი, ან ისრიმის შარბათი, ან ტუხტის შარბათი ასვით. და თუ ტკივილი არ დასცხრეს და არ დაასწვნარდეს, აიღე კიტრის თესლი, შანგურის თესლი, თუხმაქანი, ქუას თესლი ერთგან დანაყე, ქათანშიგან გამოწურე და შეასვი. მუდმად ცივითა წყლითა ტანსა იბანდეს, როგორცა წყ(ა)ლი დაღმა ამოვიდეს, ლულუფარი დანაყე, იისა ზეთითა დაზედდეს, ამისთვის რომე სტომაქსა დაასუსტებს და საჭმელად კოკობი და ქათამი, და თიკნის კორცი აჭამეთ, და გასახსნელსა ნულარას მისცემ, ვირ- (143v) ემდის არ მოიმატოს. რად მოიმატოს ასეთი გასაკვსნელი მიეც, რომე გრილი იყოს, ნედლი, ტყემლისა შარბათითა და ცხერის კორცი არ ეჭმების, ზიანი არის. თუ დღივ დღივ იმატოს და სისხლი დასჭარბდეს, მას კელი გაუკვსენი – ბასალიკი. თუ ზაფრა დასჭარბდეს, ესე წამალი მიეც, აიღე ყვითელი ალილაჲ კურკისაგან გაწმენდილი, ესე წამალი მიეც. ესე ყვითელი ალილაჲ ოცო დრამი, შავი ქლიავი და ფშატი ორმოცდაათი დრამი, სურინჯანი ორი მიტყალი, ეს ყველაჲ ერთითა ლიტრითა წყლითა მოადუღე. აიღე შირხიშტი, თარანგუბინი, თამარვინდი თვითოსაგან ხუთხუთი მიტყალი შიგან გაურივე, დააღბე, გამოწურე. თუ სუსტად იყოს ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი. **სხვა ტლე.** აიღე თამარინდისა წვენი, ბროწეულისა წვენი, ქაქნაჯი, სანდალი, ქაფური, ერთად გაურივე და ტლედ შემოსდევე, თუ არ დასწვნარდეს – აიღე თრიაქი და ძმრითა გაღესე და შესცხე ვარდის წყლითა, მუდმად დაასოლებდი. თუ ამა სატკივარისა უფალი ვაჟი კაცი იყოს – კიტრის წვენი, შანგურის წვენი, საზამთ- (144r) როს წვენი თხის რძესა შიგან გაურ(ი)ვეთ და შაქრითა შეასვით. თუ აყიროს დრო იყოს, მისი საჭამადი შეუწყვეთ ნუშის გულითა, თუ ის არ იყოს, ქერის კორკოტის საჭამადი შეუწყვეთ და ქერის ფქვილისა ტლე ქანის წვენში გარეული შემოსდევეთ. **მისთვისე:** აიღე სანდალი, უმარული, ქინძის წვენი, ცოტა ინა შიგან გაურივე და შემოსდევეთ ისრიმის წვენი. თუ ამით არ იქნას – აიღე ქერის წვენი, ვარდის წყალი, მრავალძარღვას ლაბა, ცოტა ქაფური ერთმანერთშიგან გაურივე და შემოსდევე, მუდამ ასოლებდი და მუცელსა ნუ შეუკრავ. თუ ერთობ ცხლად იყოს, ქათანის ნაკუჭით სანდალსა და ვარდის წყალშიგან დაასოლე და ქაფურშიგან და შემოსდევე. რად ტკივილმან იკლოს გრილი ტლეები შემოსდევე, სელი დანაყე.

დაუღბოს ლაბშიგან გაურივე და შემოსდევ. მერმე აიღე ბაბანუჯი, ალილმალუქი, წყალშიგან მოადუდე და მტკივანზედა შემოსდევ. თუ გრილისა საჭამადისაგან სიგრილე მორეოდეს, მისი ნიშანი ეს იყოს, რომე კელი დასდვა ისი ადგილი ცივი იყოს. **მისი წამალი:** დღე გამოღებ არწყევინე, (144v) თუ არ უშველოს, კობოსტოს ფურცელი, ალილმალუქი, ბაბუნაჯი, ყველა სწორ სწორი დანაყე და სელის ლაბშიგან გაურივე და შემოსდევ. თუ ვაჟკაცსა სჭირდეს ესე – აიღე ბედანჯარის თესლი, დანაყე თაფლსა და იასამანის ზეთსა შიგან, გაურივე და შემოსდევ, მარგი არის. **ნიკრისი რომე სისუსტისაგან იყოს** და სენიცა შემატებოდეს, ან დედაკაცთან წოლაზედა დამართოდეს და ანუ გვარად მას ტანობდეს, (!) მას წამალს ნუ უზამ, არ ეშველების იცოდე. **თუ კაცსა ახლად დამართებოდეს,** ფარეზი ქნას, დედაკაცთან წოლისაგან და სიმთვრალისაგან, და ნამეტნავის ჭამისაგან, და ბევრის ღვინის სმისაგან ნიკრისი დაიბადების. იქნების ნიკრისი, რომე ერთსა ადგილსა გახშირდეს ტკივილი და გაუსივდეს, და ბევრი ძვალშიგან იქნების, რომე წამალი არ მიხუდების და გაგრძელდების. სხვა შეტყობა ნიკრისისა, რომე ორი რიგი არის: ერთი რომე გასივდების და წყალი და თხამლი დაუწყებს დენასა, ერთი გასივდების და წყალი არა სდის. თუ წითელი იყოს და მოლურჯო და ყვითელად სცემდეს, ესე იქნების, რომე სისხლი და ბაღდაში და სევედა ერთმანერთში იყოს და მისგან იყოს (145r) და ბაღდაში გარეოდეს. მისი ნიშანი ეს იყოს, ეგების გრილმან უშველოს და ეგების მჭურვალემან უშველოს, და არა შეიგების. ამა ნიკრისსა მუდამ უნდა წამლობა, თუ არ უწამლებ გაგრძელდების და გაძნელდების. **სხვა წამალი ნიკრისისა.** თუ სისხლისაგან იყოს, უწინ მუცელი გაუკსენ ყვითლისა ალილისა მათბუხითა. ესე მათბუხი მაშინვე შექენ და მიეც, რომე თამამად და კარგად განხსნას. თუ ამა სატკივარსა შიგა ცხელება დაერთოს, მაშინ ძაღლის ყურძენას წვენიტა და ქაქინაჯის წვენიტა, ხიაშამბრის გული ათი მიტყალი იის წვენიტა მოდულებული და გამოწურვილი მიეც, და თუ არცა მჭურვლად იყოს, და არცა გრილად, და გუნება მშვიდობით იყოს, ესე ფსლისა გამახშირებელი წამალი მიეც, მარგი არის. **ფსელისა გამახშირებელი.** კამისა და ნიახურისა, ნესვისა თესლი იყოს და ალილას მათბუხი. აიღე ყვითელი ალილა და ქაბული ალილა კურკისაგან გამოწმედილი ხუთ ხუთი დრამი, ავსითინი ორი დრამი, შასთარა ათი დრამი, შვიდი დრამი თამარინდი ოცი მარცვალი, შავი ქლიავი ოცი დრამი,

შავი ჩამინი კურკა გამოღებული ...³³⁸ წყლითა მოადუღე (145v) მანამდისი რომე მესამედი დარჩეს, მერმე გარდმოწურე და დანგ ნახევარი საყმუნია გაურივე და შეასვი ფარეხითა.

ნიკრისისათვის შემოსადები ტლე. დაიჭირე საბრი, თაჯვის ყვერი, აყაყია, შავი საკმეველი და ტუსტი. ეს ყველა მოადუღე დანაყილი წყლითა და მერმე ქუნჯითისა ზეთი გაურივე, ზედა დაასხი და დაზილე და გააცხელე და შემოსდევე. **მისთვისვე:** აილე შავი საკმეველი და მარტო წყლითა მოადუღე და შემოსდევე. და თუ ამან არ უშველოს – აილე მური, საბრი, ყუსტი, გოგირდი, ბაზმის ფურცელი, ყველა სწორ სწორი წყლითა გარივე და შემოსდევე, მარგი არის ღ(მერ)ითითა.

კარი და ნიშანი გარეთისა სენისა. ნიშანი რომე დაუსუღაბი, დაუსულასი, რომე თმისა, წარბისა, წვერულვაშისა დაცვევნასა ჰქვიან. ამა სენსა დაუსულაბი მისთვის ჰქვიან, რომე მელსა დაემართების. მისი ნიშანი, რომე თმა, თანგა, თანგა, მრგუალ, მრგუალი სცვიოდეს და ყილადი ამას ჰქვიან, გრძლად სცვივის და ტყავიცა ასძვრების თხლად გველივითა, ესე გუელსა დაემართების. ამა სენსა ქართულად სნება გუელისა და მელისა მისთვის ჰქვია. იცოდი რომე ესე სენი ოთხისგან იქნების: სი- (146r) სხლისაგან, ზაფრისაგან, სევდისა და ბალდმისაგან. სადაცა თამან ცვივილი დაიწყოს, იქ კიდეცა ქაოდეს და კიდეცა უწოდეს. **თუ სისხლისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს: სადაცა თმა სცვიოდეს ის ადგილი წითელი იყოს და ცხელი, და კაციცა გააცხელოს, და თვალები და პირი გაუწითლდეს. წამალი მისი: უწინ კელი გაუკსენ და მერმე შუბლი და მერმე თავისა ძარღვი გაუხსენ, და ამაზედან გაფრთხილდი, რომ სანამდის გამრთელდებოდეს, ამა ძარღვებსა გაუხსნიდით, გასახსნელსა წამლებსა ნუ უშურვებთ, ამად რომე კელის გაკსნა და სისხლის გამოშვება უმფრო მარგი არის და მწარე ნუშის დანაყე და შემოსდევე. **თუ ზაფრისაგან იყოს,** მისი ნიშანი ეს იყოს, რომე ის ალაგი ყვითელი იყოს და ქაოდეს, და სტკიოდეს, და კიდეცა გააცხელოს. რად ესე ნიშანი ნახო იცოდი, რომე ზაფრა არის. წამალი მისი: აილე ათი დრაში შირხიშტი, ათი დრაში თარანგუბინი თბილის წყლითა გამოწურე და ალილასა შარბათშიგან გაურივე, და თუ წამლის აღებასა იყოს დანუწული ორი დანგი შამი- (146v) ანდალი და ერთი დანგი საყმუნია გაურივე და შეასვი წამლის აღებისა წესითა, და ის ადგილი ხამითა მხვრითა შეხვივე. მერმე ის ხამი დაწვი და ხახვის წვენითა ზედან შემოსდევიტ. **მისთვისვე:** ხახვი

³³⁸ არ იკითხება.

დანაყე ძმრითა გაურივე, შემოსდევ და მარგი არის და გასაკუნელად ვარია ქათამსა აჭმევდით ძმრითა შექნილსა. **თუ სვედისაგან იყოს**, მისი ნიშანი ეს იყოს, ის ადგილი იის ფერი იყოს ანუ მოლურჯო იყოს და კიდევცა დამკლდეს და ძილიცა უკუ უკრთეს. რად ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე სვედისაგან არის. წამალი მისი: აფთიმონის მათბუხი შეუწყევით ამა წესითა: აიღე აფთიმონი ოთხი დრამი და ანგიზონისა წყალშიგან დააღბევი ერთსა დღესა და დამესა, მერმე მოადუღე, მანამდი ვირემ სამოცდაათ დრამათ მოიყაროს, მერმე შაქრითა მოატკბე და ერთი დანგი საყმუნია გაურივე, და შეასვი წამლის წესითა, და ტლედ რომე შემოსდვა ისიც მარგი არის, და საჭმელად მომსუქნო საჭმელი შეუწყევით. **თუ ბაღლმისაგან იყოს** და ის ალაგი მოთეთრო კორცისფერად სცემდეს და არა სწყურდებ- (147r) ოდეს. რად ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე ბაღლმისაგან არის. წამალი მისი: აიღე არაჯი ფიყარა ორი მიტყალი, შამიანდალი ორი დანგი, თურბუთი ერთი დრამი გაურივე და შეასვი წამლის წესითა. **მისთვისევე**: აიღე ორი წილი ბორა, ერთი წილი ნიშადური, ორივე დაწვი, დანაყე და ძმრითა გაურივე და შესცხებდი. პირველად ის ადგილი ხამისა მწვრითა შეუსვი, რომე გაწითლდეს, საჭმელი მსუქანი შეუწყევით კორცისა და ღვინისაგან იფარეზოს, ყოველთა დღეთა თავსა მოიპარსევდეს და პირსა ასრე რიგათ იბანდეს, რომე თავზედ წყალი არ დაისხას, თვარამ ზიანი არის.

თუ გინდოდეს რომე კაცი გვიან გათეთრდეს, წამალი მისი ეს არის, რომე ბაღლმისაგან თავი გამოიწმინდოს გასაკუნელითა და სარწყევითა წამლებითა, და სასა იარაჯი ფიყრითა და დარღართა გამოიწმინდოს და მაშინვე მაჯუნსა სჭამდეს, რომე კარგათ მოიდნოს და მოდნობის ძალი მეტი იყოს და ანდაზითა სჭამდეს. კმელი ყველი შემწვარი და კორცი ერბოთა შემწვარი საჭმელად მარგი არის, (147v) მჟავისაგან, ნედლისაგან, გრილის საჭმელისაგან იფარეზოს. თუ კაცი გუნება გრილი იყოს, საჭმელშიგან პილპილასა, მდოგესა, დარიჩინსა და ნიახურისა თესლსა, და ძირასა გაურევდეს, და ცოტა ძველის ღვინისა სმა მაშენე არის, სიმთვრალე ზიანი არის, ნედლისა ხილების ჭამა ზიანი არის, და კვლის გაკუნა და აბანო ზიანი არის, და ქაფურსა და ვარდის წყალსა თმასა ნუ მიახუჭდრებ. ...³³⁹ და გაზრდილი აღილაფ და ქული ყოველთა დილათა სჭამოს მარგი არის.

³³⁹ არ იკითხება.

სხვანი ნიშანი საღებავისა: აიღე ტუხტი ახალი, ორი წილი ინა ახალი, ერთი წილი შეურივე, ერთად განცერ, თუთუბოს წვენითა შეზილე, გააფუე და შეღებავს წითლად, ასრე რომე ვისაც ღებვის გამოცხადება არ უნდოდეს.

თუ გინდოდეს თმა დააყრევიროს წამალი მისი: აიღე დაუწვიმარი კირი და ნურა სწორსწორი და საბრი და ცერეცო, ერთისა წონა წყალშიგან ჩადევ და ერთსა წამსა დადევ და მერმე შემოსდევ, მერმე მობანე. თუ ჯორცის დაწვისაგან გეშინოდეს პირველ ვარდის ზეთი შესცხე, მერმე ის (148r) წამალი დასდევ, მას უკან ცივის წყლით მოიბანოს. თუ ჯორცი დასწვას აიღე ვარდი, ვარდის წყლითა და ძმრითა გაურივე და შესცხე, და უშველის. სხვა წამალი: თუ ეს გინდოდეს, რომ თმა აღარ გამოუვიდეს, სადაც გინდოდეს თმა დაგლიჯე ჩქიფითა და ბანგის წვენი, თრიაქი, ძმრითა შემოსდევ და თმა აღარა ამოუვიდეს.

კარი და ნიშანი თუ გინდეს, რომე პირისა სახე მართლად შეინახო, რომე ქარმა და სიცივემა და მზემა არა აწყინოს. აიღე კვერცხის გული, თეთრი პურის გული გაურივე და პირსა შესცხე, მარგი არის. თუ სამყი არაბი წყლითა გაღესო და შესცხო, ისიცა მარგი არის.

თუ თვალშიგან წითელი ნიშანი გამოჩნდეს, თეთრი მურდასანგი დანაყე ან ბატის, ან ქათმის ქონით შეზილე და შემოსდევ.

თუ თვალი ცრემლისაგან ლურჯი იყოს და ან მწვანე ნიშანი გამოჩნდეს ორი ახალი ნატეხარი ერთმანერთზედა წყლითა გაღესე და შესცხე. **მისთვისვე:** ბოლოკის თესლი დან(ა)ყე და შემოსდევ, მარგი არის.

თუ პირზედა ნაყვავილევი აჩნდეს ანუ სხვა წითელი რამე აჩნდეს. აიღე სოსნის ძირი, ყუსტი და მურ- (148v) დასანგი და ირმის რქა, დამწვარი ბორა და ვაშაყი, ყველაღ დანაყე და მოსაფარისა ყვითლისა წვენითა შეზილე და პირზედა შემოსდევ. რაღცა აჩნდეს, ყველაღ წაიღოს. **სხვა წამალი გამოცდილი:** აიღე ყუსტი და დარიჩინი, დანაყე და მოსაფარისა ყვითლითა წვენითა შეასოვლე და შემოსდევ. ნიშნები ყველაღ წაიღოს.

კარი, რომე კაცსა მუწუკები და ანუ მღიერი გამოესხას, ეს ყველაღ აქიმებისა ესე არის, ეს სენი სიცხისაგან არისო.

კაცსა რომე გამოესხას მუწუკი ან სისხლის კორძი დარწყდეს, ამას გასაწსნელი წამალი მიეც, აღილას მათბუხივითა. თუ წელთა ზეით იყოს ყიფალი გაუკსენ, მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის. თუ წელს ქვეშეთ, ბასალიკი გაუხსენით მკლავსა ქვეშეთ ნაპირსა არის. თუ გინდოდეს რომე ფიცხლად დაუჟამდეს, დელვი დანაყე და ცოტა ქერის

ფქვილი და მრავალძარღვას ლაბა დაიჭირე და ეს ლეღვი შიგან გაურივე, და შემოსდეგ ზედან. თუ გახეთქოს კარგია, თუ ვერ გახეთქოს ტრედის ჯუნდის სკინტი შრეში გაურივე და ცოტა დაადნე, და ესე წამლები იმაშიგა გაურივე და შემოსდეგ. თუ ამან არ გახეთქოს მაზარიონი დანაყე (149r) და შრეში გაურივე, და შემოსდეგ, და გახეთქოს. თუ ამისი გამომრთელება გინდოდეს თეთრი მალამა შემოსდეგ.

სხვა გამომავალი, რომე დაუღმული ჰქვიან ან ტანზედა გამოვა და დლიასა. პირველად ნიგუზისოდენი გამოვა, მერმე დღივ დღივ იმატებს, როგორც გამონდეს ბასალიკი გაუქსენ მკლავსა ქუშშე ნაპირსა არის. თუ ცხელი იყოს და წითელი ის ალაგი ვარდის ზეთითა დაუზიდე წყნარად, თუ დლიაშიგან იყოს კანთოლიკე ძარღვი გაუხსენ და მრავალძარღვას ლაბა ვაშლის შარბათითა შემოსდეგ, რომე დაამწიფოს. როგორცა დამწიფდეს გაუქსენ, თეთრი მალამა შეუწყვი, რომე გაამრთელოს.

სხვა ნიშანი გამომავალისა, რომე ნარიფარისა ჰქვიან. ნარიფარისსა ამისთვის უძახიან, რომე ტანი ცეცხლივითა ენთებოდეს, ქუნთრუშივითა გამოვა და წმინდა წყალი სდის და ისე ცხელი იყოს, როგორცა ცეცხლი და ყვითელი წყალიცა სდიოდეს. როგორცა ესე გამონდეს კელი გაუქსენ და თეთრი მალამა შეუწყვი და შემოსდეგ, რომე გააგრილოს. თუ (159v) ამით არ ეშველოს ყიფალი გაუქსენი და ცოტა სისხლი გამოუშვი, და მუდმად წითელი წამალი ქინძის წყლითა შესცხე, და ზედა ტყემლის შარბათი შეასვი, და საჭმელად ოსპი შეუწყვიტ ძმრითა.

სხვა გამომავალი რომე დულ ბოლოსი ჰქვიან და რად გამოვა ერთოფ ქავილს დაუწყებს, და წყლულად შეიქნების, და ყოველთა დღეთა იმატებს, და კელიცა გაუხსენ, და წურბელიცა მოჰკიდე.

სხვა რომე ფეტვივითა წვრილი წითელი გამოესხას, სადაცა გამოესხმის, კიდეცა ასივდების და წყალიცა დასდიოდეს ყვითელი. მერმე რომე ხანი გამოვიდეს, სული აედინოს. წამალი მისი: პირვალათ ავთიმონის მათბუხი ააღებინე, სადაცა გამოესხას გრილი ტლეები შეუწყვი. აილე სანდალი, ქაფური, ქასნის წვენი, ძაღლის ყურძენას წვენი, ქინძის წვენი, სანდალი და ქაფური შიგან გაღესე, ცოტა ქერის ფქვილი გაურივე, ზედან შემოსდეგ ჯუღაბითა, თარანგუბინითა შიგან გაურივე, აქლი ძარღვიცა გაუქსენ.

თუ ტანზედა მღერები გამოესხას ის ოთხისფერი არის, ერთსა ამარა ჰქვიან, მეორესა ათაშფარის ცხელი არის, მესამესა ნამალი, მეოთხესა გაურასა. (150r) ნიშანი ამათი. თუ ამარა იყოს მისი ნიშანი მღერი არის, ერთობ მკურვალე არის, დაწვითა ამოვა, ერთობ ჰქაოდეს და ტყავიც

მოსჭამოს, და ბაყლიცა სდიოდეს. მღიერი ჳმელი და შავი გამოესხას, კიდევცა უყროდეს, მღიერი მუხუდოს ოდენი იყოს და ანუ უმფროსი, და ესეცა იქნების მღიერი. რომე მღიერი სრულადაც არ გამოხნდეს, მაგრამ ადგილი ჳქაოდეს და ეწოდეს, ესეც იქნების, რომე მწვედ ცხელება გამოუხნდების და კიდევცა მოკუდეს. წამალი მისი: პირველად ჳელი გაუჭსენ და სისხლი ბევრი აღინე, და ოსპი ჳერჳ გამძვრალი, და მრავალძარღვას ფურცელი გამჳმარი დანაყეთ, და ჳერის ფჳვილშიგან გაურიყეთ, და წყლით შეზილეთ, და ტლედ ჳედან შემოსდევით, და საჳმელი გრილი და ნედლი შეუწყევით. და რადეცა ერთისა დღისა ციყების და დიყისა საჳმელი სწერია, ის შეუწყევით.

თუ ათაშფარასი იყოს, ას ახსენი, ცეცხლსა ჳქვიან, მისი ნიშანი ის არის, რომე მღიერივითა გამოვა, თხელი და მოთეთრო ბუშტბუშტივითა და შიგან წყლითა ხავსე იქნების, ჳაოდეს ერთობ და (150v) ნამეტნავად ეწოდეს. მისი მიზეზი სიმჳურვალე და სიმწვავე სისხლისა იყოს. უწინ ჳელი გაუჭსენით, მერმე ალილითა და თამარინდითა მუცელი გაუხსენით, და ყოველთა დღეთა ჳერისა და აყიროს წვენი, საზამთროს წვენი და კიტრის თესლი, და თუხმაჳანი, მრავალძარღვას წვენი შაჳრითა შესასუშმდით და იმა მღერისა წყალსა გამოშვება უნდა. და თუ ამა მღერისა ტყავი ფრხილითა აიღო, სჯობს ამისთვის, რომე წყალი აღარ დადგების შიგან. იმისი გამონაშვები წყალი მხვრითა მოჳჳოცე და გარეშემო წითელი წამალი გალესე და შემოსცხე.

თუ ნალმა იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს, წვრილი მარცვალი ვითა მღერი ამოვა ხშირად ერთადცა შეიყრების, ადგილსაც იცვლის და ამას გევანდეს ვითამ რადმე მჳბენსო, და ფერად ან წითელი იყოს, და ან ყვითელი. მისი წამალი. დახედვა უნდა, თუ ჳაფრა მეტი იყოს, უწინ ყვითლითა ალილითა მუცელი გაუჭსენ, მერმე ჳელი გაუჭსენ. თუ სისხლი სჳარბდეს, უწინ ჳელი გაუჭსენ და მერმე მუცელი გაურბილე. აიღე სანდალი წითელი, წითელი წამალი, უმარული და თრიაჳი, და ვარდის წყლითა შეზილეთ და ყურსები შეჳენ, (151r) ჩრდილსა გააჳმე. რად მოგინდეს იხმარე ძმრითა გალესე და შესცხე, ერთობ მარგი არის.

თუ გაურასა იყოს მისი ნიშანი ეს იყოს, წვრილი და მაგარი იყოს, მღერი ესე სევედის ბაღღმისა გარევისაგან და ჳაფრისაგანცა იყოს. მისი საჳმელი მუხუდო ჳერის წყლითა შეჳნილი სჳამოს და რადც საჳმელი სევედასა მოუჳდებოდეს, მისგან იფარეზოს. **ამისი წამალი:** რადც ნამლსა სწერია იმისი, ამას ერგების. ამისთვის რომე ფერი ნამლასას ფერსა ჳგავს და თრიაჳისა გასაჳსნელი ააღებინე, თურბუთი, თრიაჳი მოუმატე, მარგი

არის ღ(მერ)თითა. **წამალი მისი:** ჳელი გაუკსენ, მერმე ყვითლისა ალილისა მათბუხი, ქაბურვილისა ალილითა, შასთარათა მარგი არის. მათბუკის შექნა: აიღე ალილაჲ უკურკო, ხუთი დრამი, შასთარი ათი დრამი, ესენი და ქაბულური ალილაჲ ხუთი დრამი. ესე ერთსა დღესა და ღამესა წყლითა დაალბე, მერმე მოადღე ასრე რომე მესამედი დარჩეს, მერმე გამოწურე და ხუთი დრამი თამარინდი შიგან დაალბევი, და გამოწურე, და შეასვი. თუ მოუნდეს ერთი დრამი საყმუნიაც გაურიოს ფარეხითა, როგორცა სწერია (151v) და შასთარა ნადუღარის მარგე არის, რომე შემოსცხო.

იცოდით, ნედლსა მუნსა გასაკმობელი წამალი უნდა და კმელსა გასაკმობელი არ უნდა.

წამალი ნედლისა მუნისა: აიღე წითელი და ყვითელი ნურა, მურდასანგი და ვერცხლისა წყალი, თუ არ იყოს მისი ზომა მურთაგივე ქენი, და ზარდაჩუბი და აბუტარატი, ხარზარას ფურცელი და ნიშადური, გრძელი ზარეუვანდი, ამათგან სამსამი უნკია, მომკედარი ვერცხლის წყალი ერთი უნკია, ყველაჲ დანაყე და ზეთის ხილითა ზეთითა შეზიდე და შესცხე აბანოშიგან, ანუ მზისპირსა, როგორცა გაკმეს დაიბანოს.

წამალი კ(მ)ელისა მუნისა: აიღე ვერცხლისა წიდა ან მურდასანგი, აბუტარატი და კმელი სოსანი, მღებვართა კალსა ქეაჲ და ვერცხლისა წყალი, მოკალული ოშნანი, თეთრის ძაღლისა ნაკალი, ყვითელი გოგირდი, წითელი და ყვითელი ნურა, გუნდა, უანგარა, უმარული, ამათგან სწორ სწორი დანაყე და გაცერი, ზეთის ხილისა ზეთითა, ანუ ნიგუზის ზეთითა შესცხე (152r) აბანოშიდა, ანუ მზის პირსა, გაკმობა აცალე, მერმე მობანე. **მისთვისევე:** აიღე შამიანდალი, აბუტარატი, სანდალი, ზაფრანა, თეითოსაგან სამ სამი დრამი, სპანდის თესლი რვა დრამი, ვერცხლის წყალი ორი დრამი დანაყე და გაცერ ბერძულითა ზეთითა სცხე, იმავე ზომასა წესითა.

სხვაჲ რომე ყუბა ჰქვიან – ფარაონიცა ჰქვიან. ამომავალი არის წვრილი, ორფერი არის, თუ მწვაეისა ხილტისაგან იყოს, ამოსლვა მისი წვითა ჩხვლეტითა იყოს. თუ სევდისაგან იყოს, ფარაონისა ამოსლვა ჩხვლეტითა იყოს. **წამალი მისი:** რომლისა სენისაგან იყოს მისი გასაჯსნელი უნდა, მერმე წამალი ესე უყავ გამოცდილი არის: ტყემლისა წებო და ქათირა ძმრითა გამდნარი სცხე, მარგი არის, დანაყელი გუნდა ძმრითა სცხე, მარგი არის.

კარი მაგრისა სიმსივნისა სარტნისა, რომე რკუსა ჰქვია, მას ასრე შენახვა უნდა, რომე არ დაიფანტოს, თვარეიმ კაცს მოჰკლაეს, საჭმელი შეუწყონ, ქერის კორკოტი ნუშის ზეთითა, თორხლო კვერცხი, (152v) ოსპი, ისანახი და ნიგოზი და ამათი მსგავსი. თუ მწვედ ცხელი იყოს ახალი ღო,

რომ ჯერ არ დამკავებულ იყოს, მარგი არის. **წამალი მისი ეს არის:** წისქვილის ქვეა გაღესო ან სასრევითა, ან ხუალეზნა და შესცხო ამა ნალესა შიგან, თუთია, უმარული და საბრი გაურივე, და შესცხე, სატანიასა არა დაფანტავს, არც დააწყლულებს და პირველსა გამოსლვასა შესცხე, კიდევ გაამრთელებს. **სხვა** რომე სიმსივნე ქარისაგან იყოს სახსარშიგან მოგროვებული იყოს, გასივებოდეს. **მისი წამალი:** კოტოში მარგი არის, ასრე რომე სისხლსა ნუ ადენ. **მისთვისვე წამალი:** აიღე აბანოს კედელსა რომე საშურივითა მოეკიდების ისი, ცოტა კირი გაურივე წყალმიუხდომელი და წელითა შემოსდევე. **სხვა:** აიღე მუმრღვანი, რომე ცერეცოს ზეთისაგან შექნილი იყოს, კმელი ზუფა შიგან გაურივე და შემოსდევე. თუ სტკიოდეს, მაშინ ზეთის ხილის ზეთითა მატყლი დაასველე და შემოსდევე. თუ ის ალაგი ცხელი იყოს, მატყლი ვარდის ზეთითა დაასველე და შემოსდევე. თუ (153r) მისი შემოსახვევიც ვარდის ზეთითა დაუსველო მარგე არის. ყველა ნელთბილი შემოსდევე, გაცივდეს, კიდევ გაათბე და შემოსდევე.

ნიშანი სანაზირასი, რომე თიავითა ამოვა, მაგრა კელითა რომ გასინჯო არა იძერის ტყავშიგან და კორცზედან დამაგრებული იქნების, და კორცისა ფერი იქნების. ამას თუ ადრე არ უწამლებ ავი სენი არის და პირსა გამოიღებს, და აღარა გამრთელდების, და იქნების, რომე უტკივრად იყოს, და იქნების რომე სტკიოდეს და კაცი მოწიფული იყოს უფრო ძნელია.

ესე სენი მსუქანსა და ყელმოკლესა კაცსა უფრო დაემართების. მისი წამალი: მიძიმისა და მჟავისა საჭმლისაგან იფარეზოს, სადამოს ნურასა სჭამს, დილას კარგი და მაშენე საჭმელი სჭამოს. და რწყევა უნდა წამლებითა, რომე სენისა გუარი გამოწმიდოს, კელის გაკანა უნდა და კოტოშის მოკიდებაცა მარგი არის, სართაულსა მაღლა დაიდებდეს. პირველად გამრბილებებელი წამლები უნდა, როგორცა ბატისა და ქათმისა ქონი მაღამად ქნას, და შემოსდვას, რომე (153v) დააღბოს და მერმე გაკუეთა უნდა, და ჟანგრის მაღამითა გამრთელება უნდა, და ესე კილიონისა მაღამა ერთობ მარგი არის: აიღე დანაყილი მურდასაგი ერთი უნკია, ზეთის ხილის ზეთი ორი უნკია და ნახევარი, ტაფითა ცეცხლზედა მოადუღე მანამდის, რომე მურდასაგი გადნეს ზეთშიგან. მერმე აიღე უღბოს ლაბი ორი უნკია და სელის ლაბი ორი უნკია, ტუხტის ლაბი ერთი უნკია³⁴⁰. ესე ლაბები ამა შავსა ზეთსა შიგან გაურივე და მოადუღე, მერმე

³⁴⁰ ტექსტშია „უნკია“.

გასკელდეს და იკმარე. **მისთვისვე**, ჟანგრის მალამა: აიღე ჟანგარა ორი დრამი, ელიქი ბუტში ხუთი დრამი, ზეთის ხილის ზეთი სამი ისტილი და ცვილი რაფც მოუნდეს. მალამა ქენ და მით გაამრთელე.

ნიშანი სალისა ის არის, რომ სანაზირასა ჰგავს, მაგრამ სანაზირა არ იძერის და სალა იძერის. თიასა ჰქვიან – ტყავსა და ჯორცსა შუა არის და იქნების. თუ არის ამისი წამალი დასტაქარი – აქიმდა ჰქვიან, არის რომე გაკვეთოს და ბუღითურთ ამოართვას ის ზეთი ჯორცივითა იქნების, ზოგი თაფლივითა, ზოგი წყალივითა, ზოგი ასეთი ფეტვივითა რაფცე გამოცვივის, ამას შიგნით გაკუჭთა უნდა, (154r) ასრე უნდა, რომე მარცხენას ჯვლითა ტყავსა ასწოს ასრე რომე სალასა გაშორდეს, ასრე გაკუჭთოს, რომე ტყავი გაკვეთოს და სალასა ბუღე არა გაკუჭთოს და ამას მოიჭირვე, რომე სალა ბუღითურთ ამოაგდოს, თუ გაიკვეთოს, ბუღე შიგ დარჩეს, მწვრთა ამოართვი და მოსწმინდე, ტყავი ზედ მიუშვი და გაამრთელე, თუ ტყავი მეტი მოვიდეს მოჰკუჭთე, რაფც მეტი იყოს შეაწყონ ტილოსა მალამითა გაამრთელონ.

თუ გინდოდეს, რომე სალა მოამწიფო აიღე წყალში უკვლომელი კირი, ოთხი წონა ღვინო, ორი წონა ბორა, ორი წონა შავი საკმეველი, ყველაფ ნაცრის წვეწმიგან მოადუღე და სპილენძისა ჭურჭელშიგან შეინახე, ასრე რომე არ გაკემეს და შემოსდებდი.

თუ ახლად სალა გამოჩნდეს, მისი წამალი: აშაყი ძმრითა გაადვინე, ზედა დააკარ და ამა სალასა ზომა ტყვია გააბრტყელე, და ზედა დააკარ, და შეუხვივე მაგრად. სამსა დღესა აგრე ჰქონდეს. თუ ვერ გაადნოს, აიღე საბრი და აზუზი, და აყაყია, და თევზის წებო. ესე წამლები წებოსა შიგან გაურივე (154v) და ქაღალდითა შემოსდევ, და ზედან ისივე ტყავი შემოაკარ, სამსა დღესა ჰქონდეს და განქრეს ღ(მერ)თითა.

სხუა მჯდომი არის, ღუღ ღუღი ჰქვიან, სალასა ჰგავს. მისი ნიშანი ეს არის, რომე რაფც გამოვა უწინ რბილი იქნების, ასრე რომე დაზილონ – დაიფანტოს, მერმე კიდევე შეიყაროს. ეს სქელისა ბაღმისაგან იქნების. **ამისი წამალი:** ყვითელი ნურა დანაყილი, უკურკოსა ჩამიჩითა ჯორცი დანაყე, ზედა დასდევ, სამსა დღესა ზედა ეღვას და ძირითურთ ამოაგდებს, და თუ კიდევენ დარჩომილ იყოს, ამავე წესითა შემოსდევ, და სრულა ძირითურთ ამოაგდებს, ბრძანებითა ღ(მერ)თისათა.

კარი კისრის ტკივილისა, რომე კაცსა კისერი სტკიოდეს ოთხისაგან იქნების სისხლისაგან, ბაღმისაგან, ქარისაგან, სასთაული მადლა სდებოდეს და თავი ჩამოვარდნოდეს. ნიშანი მისი ან მადლა სასთაულის დებისაგან, ანუ სისხლისაგან იყოს, სადაცა სტკიოდეს ის ადგილი

წითლად იყოს და ცხლად. **მისი წამალი.** გასაჯსნელი მიეც ამა წესითა: აიღე ხილთა წყალი და თამარინდი, და ხიაშამბარი, თარანგუბინი და შირხიშტი. ამა წამლებითა მუცელი გაუკსენ, მერმე ყიფალი გა- (155r) უკსენ, ტლეები შემოსდეგ, იმა ადგილსა ნედლისა ქინძისა წვენითა და ძმრითა, ქაფური და ქერის ფქვილი სადლისა დაფაჩიღარბანდითა ტლე ქენ და შემოსდეგ.

თუ ბალღმისაგან იყოს მისი ნიშანი ეს არის: სიმსივნე მისი თეთრი არის ანუ კორცის ფერი, ტკივილი ერთის რიგისა არის. **წამალი მისი:** პირველად მუცელი დაურბილე აბი შაბიერთა და აბი ყუყიათა და ფილფილითა, ყაყულითა, ყველად დანაყე ძმრითა და შემოსდეგ, მარგი არის. **სხვა:** ბაბუნაჯი და ხვარბლის ქატო მოადუდე და შიგან ჩასვი, მარგი არის და იმას, რომე სასთაულის მალღობისაგან იყოს, მას პირველად აბანოშიგან უნდა ჩაჯდომა და მერმე თბილითა წყლითა, და რძითა³⁴¹ უნდა ზელა, რად აბანოთგან გამოვიდეს ქალის რძითა და იის ზეთითა უნდა ზელა.

თუ მუცელი შეეკვრით იყოს, მულასალითა უნდა გარბილება, რომე გასაჯსნელსა ჰქვიან, გაუკსენ და გრილი ტლეები შესცხეთ.

კარი მკრის ტკივილისა და ზურგის ტკივილისა და მოღრეკისა და ძარღვების გასივებისა.

თუ მკართა და- (155v) უწყოს ტკივილი, სამისაგან იქნების: სისხლისაგან, ზაფრისაგან და ბალღმისაგან. **თუ სისხლისაგან იყოს მისი ნიშანი:** კელი რომ დასდვა ცხელი იყოს და გაწითლდეს, მას გასაჯსნელი ააღებინე: შირხიშტი, ხიაშამბარი, თარანგუბინი, თითოსაგან ათ ათი დრამი, ყიფალიც გაუხსენ მკლავის საღრეკსა ზედათ ნაპირსა არის და გრილი ტლეებიც შეუწყვიტ, მტკივანზედა დასდევით. **თუ ბალღმისაგან იყოს მისი ნიშანი** ტკივილისათვის ფერზედან ყვითლად ანუ თეთრად იყოს, მისი იარაჯი ფიყრათა ღარღარა აქნევიან, აბანოშიგან გასაჯსნელიცა ააღებინე, იარაჯი ჯალინოხითა მუცელი გაიხსნას და ყუსტისა ზეთითა დაიზილოს თბილად. თუ ესე ტკივილი ან ნაცემრობისაგან, ან მძიმის აღებისაგან იყოს, ისი მტკივანი ვარდის ზეთითა დაიზილოს. **თუ ამითი არ ეშველოს** კვატუშიცა მოიკიდოს, ტუხტი დანაყილი და ქერის ფქვილი, იის ფურცელი დანაყილი, კვერცხის გული და ვარდის ზეთი, ცოტა ძმარი, ყველა (156r) ერთმანერთსა გაურივე და მტკივანსა ზედა შემოსდეგ, ცოტა მუმიაც დანაყონ, შაქრითა გაატკონ, ცოტა ცხვრის რძეც გაურიონ და შეასვან.

³⁴¹ „და რძითა“ გამეორებულია.

თუ გაუსივდეს და ფერადაც წითელი იყოს, კოტოში მოიკიდოს. თუ სიმსივნე თეთრი იყოს მდოგვი და სონიჯი ორივე დანაყე და ზიბიყისა ზეთი გაურივე და მტკივანსა ზედა შემოსდევ.

ნიშანი, რომე კაცი მოდრეკეს და ზურგი სტკიოდეს. ან ქარისაგან იქნების და ან ზაფრისაგან, ან მალღიდაღმა ჩამოვარდნისაგან, ან წიხლის კვრისაგან, ან ცხენის წაქცევისაგან იქნების.

თუ მიზეზი აგრე იყოს ზურგის მოდრეკისა ანუ ცემისაგან, ან ჩამოვარდნისაგან, აიღე ცვილი და შირბახტის ზეთი, და ზურგსა იმითი უხელდი ყოველთა დღეთა ფართოსა სამოსლითა უხუევდით და გაიმართვის. თუ შიგნით იყოს, იცოდით ზაფრისაგან და ქარისაგან არის და ამას ყვითლისა ალილას გასახსნელი ააღებინე და ესე მაჯუნი შეუწყვე; აიღე სუმბული, დანამასტაგი, ასარიონი, დარიჩინი თვითოსაგან ხუთხუთი დრამი, მური (156v) ათი დრამი და წყლის ჭაკუნტლის თესლი, და სპანდიის თესლი სამი დრამი. ესენი ყველაჲ დანაყე და გაცერ, და თაფლითა შეზილე, რად მოუნდეს მიეც ერთი დრამი, თბილითა წყლითა, თხისა რძითა, მისცე ერთობ მარგებელი არის.

თუ ძარღვები გაუსივდეს და სტკიოდეს. აიღე ქერის ფქვილი ორი მჯილი, ერთი მჯილი წმინდა ფქვილი, თბილი წყლითა გაურივე და თხელითა სამოსლითა ზედა შემოსდევ.

თუ კაცსა ძარღვები დაუმოკლდეს ერთსა ასოშიგან ანუ სრულად ტანშიგან. ასრე იქნების, ანაზდად ეცემის და დღივ და დღივ ეცემის და უარ იქნების. თუ ანაზდად ეცეს, ის წამალი უყავ, რომე ფილენჯისათვის სწერიან. მერმე ის ალაგი ყუსტის ზეთითა დაუზილე კარგია. თუ ანაზდად არ ეცეს და დღივ და დღივ ეცეს, ცოტა ცოტა, მაშინ ამ წამალს ნუ იქს. ესე უყავ სიხმისაგან, ან ბევრის ამოღებისაგან, ამათგან დაემართების, რომე დღივ და დღივ იმატებს. **წამალი მისი ადვილი,** ყოველთა დღეთა თბილს (157r) წყალშიგან ჩაჯდებოდეს. მერმე ის წამალი ქენ: აიღე იის ზეთი და აყიროს ზეთი. იის ზეთი ორმოცდაათი დრამი და აყიროს ზეთი ოცდა(ა)თი დრამი, გაურივე ერთმანერთსა და რად აბანოთგან გამოვიდეს ესე შესცხე, და შეზილე, და საჭამადი მიეც: ახალი თევზი, თორხლო კვერცხი ყვითელი, თიკნისა და გოჭის კორცი, და უშველის ღ(მერ)თითა.

თუ დაკოდილობისაგან და ან სხვის მიზეზისაგან დამოკლებოდეს ძარღვები. მისი წამალი: აიღე თელის ხის ქერქი, ტუხტის ძირის ქერქი, წყლით დააღბე და აღუღე მანამდის, რომ გასქელდეს. მერმე აიღე ორი იმღონი ცხვრის დუმბა და ვირის რძე, ერთმანერთში გაურივე და ცოტა ბარამბო გაურივე. აიღე თიკნის ტყავი, იმაზედ გააბრტყელე, თუ ღიდსა

ხანსა გამოუშვებ ზომის, მეტად გაგრძელების ძარღვი ღ(მერ)თითა. **სხვა წამალი რომე ძარღვი უსიედეს და უმოკლდებოდეს**, აილე მუყლი ათი დრამი, ქათმისა და ბატის ქონი და ძროხის წვივისა ტვინი, თვითოსაგან ნახევარი ლიტრა მუყლი დააბღე, თბილი წყალი (157v) და ქონები დაადნევე, და მუყლი, და ქონები, ერთად ავანშიგან გაურივე, და რად მოვინდეს გააცხელე, და გასცხე, და სამოსლითა შემოსდევე, მარგი არის.

კარი, თესლი უნდომად წაუვიდოდეს, წამალი მისი: აილე სელი და ქათირა, და ნესვის თესლი, სწორ სწორი დანაყე, და ერთი კოვზი წმინდა ფქვილი დააყარე, და თბილითა წყლითა შეასვი. **მისთვისვე:** ტენცო მოადუღე და ექვსსა დღესა ზედაზედ შეასვი და უშველის ღ(მერ)თითა.

სხვა მისთვისვე: აილე ლულუფარის ძირი დრამ ნახევარი, სადაფის ფურცელი, ბროწეულის ყვავილი, თვითო დრამი, დანაყე, გაცერ და ნელ თბილი წყლითა შეასვი. **მისთვისვე:** აილე სადაფის ფურცელი, ბროწეულის ყვავილი, თვითოსგან თვითო დრამი, კმელი ვარდი ერთი დრამი, ლულუფარის ძირი, კმელი ქინძი, ნიახურის თესლი, ბროწეულის მარცვალი თვითოსგან ოროლი დრამი დანაყე, გაცერ და მიეც, თუხმაქნის, ანუ ტყემლის წვენითა შეასვი. **სხვა მუცლისა შემოსადებელი:** აილე აყაყია, სომხური თიკა, ბერძელი თიკა, თუთუბო, ბროწეულის ყვავილი და წელის (158r) ჭაკუნტელი. ესენი ყველა დანაყე და გაცერ, ბიასა ანუ ვაშლისა, ანუ თუხმაქნისა წვენითა სამოსელზედა გარდაკარ, მუცელთა და წელთა ზედან შემოსდევით გარეშემო და კიდევ შეასვი. **ამავე სენისათვის:** ნედლი ქინძი, ნედლი ქასნი დანაყე და შეასვი, და მარგი არის.

კარი მოტეხილისა და ამოგდებულისა. თუ მოტეხილი იყოს ანუ ფერკისა, და ანუ კვლისა, კარგათ და კერკიანად დაწყობა უნდა, ფერკსა ასრე უყავ. ფერკის ცერი ცერსა დაუპირისპირე და ერთმანერთსა მიუკარ და წაავლე კელი და დაუწყვე მართლად, აგრეთვე კელსა უყავ და მერმე ესე წამალი უყავ: აილე აყაყია, ქალბანა, კვერცხის გულითა გაურივე, სამოსელსა შესცხე და შემოსდევე ზედან მაგრად არტახი, მოტეხილისაგან უმფრო გრძელი უყავ, ასრე, რომე მოტეხილი დაიჭიროს და მრთელზედა შეკრას, ოთხით თითითა უფრო გრძელი უნდა მოტეხილისაგან, მწვედ არ უნდა მიუკრა. ასრე უნდა რომე სისხლი შიგან იარებოდეს, თვარემ მოვარდების. უწინ ყოველთა დღეთა უნდა გახსნა და ნახვა, ამისთ- (158v) ვის რომე ფერი არ ექცეს. და თუ ექცეს მისსა წამლობასა უნდა შექცევა, მაგრამ გაკსნა ერთსა დღესა უნდა, ერთსა დღესა არა და შვიდი დღე გამოვიდეს, მეხუთესა დღესა უნდა გახსნა წყნარად, რომე არ მოეშალოს და კიდევ შემოაკარ. ასრე გაფრთხილდეს, რომე არ გამრუდდეს.

საჭმელად გიშრაფეთი, და ზროხისა, და ცხვრისა ჭლიკი ძვალსა მოტეხილსა გაამრთელებს.

თუ ძვალი გამოსული იყოს მოტეხილი. თრიაქი ერთი დრაში და ცვილი სამი დრაში, ბერძული ძველი ზეთი ექვსი დრაში, ცვილი, ზეთი ერთად დააღწე, თრიაქი ღვინითა გააღწე და გაურივე ერთმანერთსა და მალამად შექენ, და შემოსდე, მარგი არის.

თუ მოტეხილსა სისხლი სდიოდეს. მას ასრე უნდა, სადაც სისხლი სდიოდეს ის ალაგი მხერისაგანაც და ფიცრისაგანაც ცარიელი ამყოფოს, რომე შიშველი ჩნდეს.

თუ მოტეხილი გაუსივდეს. წამალი მულასი გამოცდილია. მაშა ათათი დრაში, მური, თეთრი ტუხტი, აყაყია, ხუთ ხუთი დრაში, წითელი წამალი, ყველად დანაყე (159r) და კვერცხის გულითა შეზიდე, და შემოსდე, სიმსივნესა უკუაყენებს. **სხვა:** ძეწნისა ფურცელი, ურხულისა და მურტის ფურცელი დანაყე, კვერცხის გულითა შეზიდე და შემოსდე. **სხვა:** სადა ძარღვისა გასივებისა შემოსადები ზემო სწერია ის უყავით.

ნიშანი ამოგდებულისა, რად ასო ამოუარდეს. ნიშანი ის არის, რომელი ასო ღრმა ჩუბუტო ყოფილ იყოს და ამალდეს, და მაღალი დაღრმდეს და დამდაბლდეს, და იმა ასოსა ვერა იკმარდეს. **მისი წამალი:** უწინ ჰელი გაუკსენ და მერმე ჩაუგდე, ამა წესითა მიზიდე და მოზიდე, მარჯუწით და მარცხენით, დასძარ და ეცადე, რომე მისსავე ალაგს მივიდეს. მერმე მაგრად შეკერა უნდა, მაგრამ კმელითა მხვრითა არ ვარგა შეკერვა, ტლე უნდა შექნა გუნდისაგან და გულნარისაგან, და აყაყია ცოტა და ოშნანი, ყუსტი და თახვის ყვერი. ესენი ყველად სწორ სწორი დანაყილი, გაცრილი, შეზიდე წყლითა და შემოსდე, და მუცელი ხიაშამბრითა და თარანგუბინითა, და თემრინდითა, და ლაბ- (159v) ლაბისა წყლითა და ხილითა, და შაქრითა მარგი არის, შეკერვა ხამისა მხვრითა უნდა მაგრა.

კარი დამწერისა, დამღუღრვილისა, მადლიდაღმა ჩამოვარდნილისა და დაკოდილისა.

წამალი მისი რადც ფერი დამწვარი იყოს, რომ ნახო ახლა დამწვარი, მოიღე მწვანე ბოლოკი, დასჭერ, წყლითა ან ძმრითა მოაღუღე, რომე დადნეს, ზედა შესცხე, ამისთვის, რომ არ ატკუაფშავს. მერმე აიღე კირი და უმარული, სწორ სწორი ერთმანერთსა გაურივე და კვერცხის ცილითა შეზიდე, და შემოსდე. **სხვა:** აიღე ოსპის ფქვილი და უმარული სწორ სწორი, ძმარშიდან გაურივე გარეცხილი კირი, ცოტა ქაფური გაურივე დ(ა) იის ზეთითა შიგან გაურივე, შემოსდვან დამწვარზედა.

ახლად დამწერისათვის. კვერცხის ცილი ერბოთა დაზილე და შემოსდევე, მარგი არის. და თეთრი მალამა, და ქაფურისა მალამაცა კარგი არის. **თუ ცხელის წყლითა ანუ მღუღრითა ერთობ დაიმღუღროს,** წამალი მისი: მასვე წამსა სანდალი (160r) და ვარდის წყალი, და ქაფური ტლედ შემოსდევე და არ უნდა გაშვება, რომე გაჭმეს ასრე უნდა, რომე მწვარი ნიდაგ ცივითა წყლითა ასოლო და ზედა დასდებდე. **მისთვის(ვე),** რომე უმფრო არ გაუბუტდების ანუ თუთუბოსა წყლითა, ან ნაცრისა წყალი დაასხი, ან მახონისა წვენი, რომე ერთობ მჟავე არ იყოს და თეთრითა მალამითა უნდა გამრთელება.

თუ მადლითგან ჩამოვარდნილ იყოს, ანუ ცხენი წაქცეოდეს ან ნაცემი იყოს, მისი წამალი: უწინ კელი გაუკსენ – ყიფალი, მკლავისა სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის, მერმე მუმიაც შეასვი და ახალი ცხვრის ტყავი შემოახვივე, რომე აყროლდეს, ახალ ახალი და უწინ ჯორცსა მარილი დააყარე, მერმე შემოსდევე, ცხვრის ტყავი, მერმე ერთი დრამი ახალი რძე შაქრითა შეასვი ქერის კორკოტითა.

თუ ნაცემობისაგან თავი გაუსივდეს და ცოტად აშლით უბნობდეს, პირველად კელი გაუკსენ, მერმე ისევე მუმია შეასვი და ეს წამლები უყავ: აილე მური, სადაფის ფურცელი და (160v) ბროწეულის ქერქი და გუნდა. ესენი ყველად დანაყე და მოადუდე ძმრითა და თავზედა შემოსდევე. თუ ამან არ უშეელოს, აილე გამოუხარშავე აბრეშუმი, მური და ბროწეულის ყვაილი, დანაყე, ღვინო მოადუდე და შემოსდევე ბროწეულის შარბათით, ქათმის ჯორცი მიეც.

თუ ეს საქმე ზურგისაგან იყოს და ან გულის პირისაგან იყოს კელი გაუხსენით: აილე რევანდი და ზრევანდი და მუდამ მუსულოს წვენითა აჭმეველით ამას.

რაჟამს კაცი დაიკოდოს ჯრმლითა, ანუ ისრითა, ანუ შუბითა, ანუ სხვითა. გასინჯეთ, თუ გაკვეთილი ერთი მტკაველი იყოს, ანუ უფრო, ფოლადითა ნეფსითა უნდა შეკერვა აბრეშუმი, ფრთხილად და ეს წამალი ზედა დააყარე: აილე ანბრუთი, ძმათა სისხლი და თეთრი საკმეველი და მურდასანგი. ეს ყველა ოროლი დრამი დანაყე და გაცერ, და შეკერულზედა მოაყარე, და ზედა ძველი ბანბა დასდევე, და შეხვივე, და სამსა დღესა ნუ გაუხსნი, მერმე გაუკსენ და პირი გაუდე, რომე გარე გამოვიდეს და თუ რამე (161r) ბეწვი ან მტვერი იყოს გამოწმინდე კარგათ და მერმე პირი დაუსწორე, და ერთსა დღესა და დამესა კიდევენ შეუკარ, მერმე კიდევენ გაუკსენ, გასინჯე თუ სწორად იყოს პირი კარგი არის, თუ არა და კელითა დაუსწორე, და ნედლსა წამალსა ნურას მიახუედრებ, და

ის წამლები დააყარე, რომე ზემო სწერიან. და თუ ან ეს დააყარე: აიღე კაღის თესლი და ყვითელი მურდასანგი, სწორ სწორი დანაყე, გასცერ და კმელად მოაყარე, მარგი არის. თუ წამალი მზასა არა გქონდეს, ლურჯი მწვარი დასწვი და ზედან მოაყარე, და ძველი ბანბა ზროხის ერბოთა დაზიღე, და ზედან დასდევ, და შეხვიევე სამსა დღესა.

თუ ეს დაკოდილი თავსა იყოს. ზრევანდი ღვინითა მოაღულე, მერმე კიდევ მოღულებული ახლა გაახმე, დანაყე, გაცერ და დააყარე. **თუ ეს დაკოდილი მოგრეხილსა ასოსა ზედან იყოს,** ნიორი და სოსნის ძირი დასწვი და შემოსდევ.

თუ რბილსა კორცზედან იყოს, გუნდა, ნიორი, ბრო- (161v) წველის ქერქი დანაყე და შემოსდევ.

თუ ეს დაკოდილი დამდიერდეს, კვატუში და წურბელი მოიკიდოს სიახლოესა, თეთრი მალამა შეუწყევით და ჟანგრისა მალამა, ესენი გაამრთელებს.

წამალი ძველისა დაკოდილისა და წყლულისა მოსაჭმელი. აიღე საბრი, ჯანგარა, მურდასანგი სწორ სწორი დანაყე და გასცერ, და თაფლითა შეზიღე, რად მოგიინდეს იხმარე.

სხვა ბასალიყონისა მალამა უშველის, **რადც ძველი დაკოდილი და წყლული არის.** სხვა ხილიონისა მალამა უშველის **დაკოდილსა, დაჯერჯილსა ძველსა სიმსივნესა.** ესე მალამები ყველა ზემო მალამებისა კარშიგან სწერიან. სხვა მალამა. ხოშქარდალი **მოსაშრობელი, რომე წყლული მოაშროს.** ამისი შექნა: აიღე ანძრუთი, აღისარჩული, ელიქირუმი, საბრი ყველად სწორ სწორი დანაყე, მოაყარე, მოაშრობს. **თუ კაცისა თავი დაკოდილი იყოს და გაეხეთქოს,** შიგან ჩააყარო, გაამრთელებს, რადც გაკვეთილი იყოს, შიგან ჩააყარე, ამოაშრობს და კიდ- (162r) ეცა გაამრთელებს.

კარი ქარისა, დაკოდილისა, სისხლთა დენისა უკუყენებისა ნიშანი. და წამალი მისი. ამა ნიშანმა გაუწყოს ტანშიგან, რომე ქარი დაიბადოს, უძრავად სამისაგან იქნების: სისხლისაგან, ზაფრისაგან და ბაღდმისაგან. ნიშანი, თუ წითელი ზეთ იყოს ტანზედა, შიგნით იყოს, მაჯა ძალიანად და ჩქარად სცემდეს და ფსელი მოყვითალო იყოს, ან მჭემრის ფერად მოწითალო იყოს, ისი რომე მოყვითალო არის, ისი ზაფრისა და მოწითალო სისხლისა არის. რად ეს ნიშანი ნახო იცოდი, რომე სისხლისა და ზაფრისაგან არის. წამალი მისი: უწინვე კელი გაუხსენ, მერმე გრილი ტლევები შემოსდევ, გრილის ზეთებითა დაუზიღე. თუ ბაღდმისაგან იყოს,

მისი ნიშანი ეს იყოს: თეძოთა ტკივილი დაუწყოს ფეკისა თითებამდის ის იარაყისა არის და რადც მის კარშიგან წამლები სწერია ის იყავით.

თუ ესე აკენისა მარტილსა სჭირდეს სარასა მაგიერად მოუვიდოდეს, აიღე თავის ცურცა და ერბო- (162v) შიგან მოაღუდე, მერმე გამოწურე და შაქარი გაურივე და შეასვი ანუ შემოსდევე.

ნიშანი, რომე დაკოდილსა სისხლი სდიოდეს და ვერაფერით მოუწყვიტო. თუ გინდოდეს რომე მოუწყვიტო აიღე ანძრუთი და მალახუნა, თეთრი საკმეველი, ბროწეულის ყვაველი, ამათგან ხუთ ხუთი დრამი დანაყე, გაცერ და ზედან დააყარე, მერმე ძველი ბანბა დააკარი და ერგოს ღ(მერ)თითა. **სხვა გამოცდილი მისთვისევე,** რომე სისხლი დააყენოს: აიღე არჯასპი, შაბი, მწვანე გუნდა, ბროწეულის ქერქი, თოფალახი თვითოსაგან ხუთ ხუთი დრამი და კიპერსი, თუ არ იყოს, ამის მაგიერად ერთი დრამი გუნდა, ერთი დრამი მური, ესენი დანაყე, გაცერ და რად მოგინდეს ზედ დაყარე და უშველის ღ(მერ)თითა. **მისთვისევე:** აიღე გაურეცხელი მატყლი, კურდღლის ბალანი და შველის ფარდაგის ნაკვეთი, სწორ სწორი ქენ, დასწვი, დანაყე, გაცერ და დააყარე ძველი ბანბა, დასდევი (163r) და შეუხვიე. **სხვა სისხლისა დაყენებისათვის:** სამეი არაბი დანაყე და დაყარე და უშველის.

ნიშანი თუ შხამიანით ისრითა თუ კაცი დაიკოდოს, მისი ნიშანი ეს არის, რომე ტვინსა მიაშურვებს დამართებს ის შხამი. მისი წამალი გამოცდილი ეს არის, სადა კისერი დაილევის იქი ძვალი არის მაღალი ორკაპი, კისერსა და ზურგის ძვალს შუა არის. მისი ნიშანი ეს არის: ამა ძვალსა და ზურგის ძვალს შუა თითი რომ დასდვა შიგან ჩაჯდების, ფრჩხილის ოდენი მოჰკვეთე. ერთი ნიშანი ეს არის, დაკოდილისა პირისა გაბერვა უნდა, ის ალაგი გამოჩნდების და ის ალაგი როგორცა მოჰკვეთო, კვატუშითა გამოსწოვე ამისთვის, რომე ის სენი და შხამი იქით გამოვიდეს. თუ ამას არ უზამ, ის შხამი ტვინშიგან გავა და კაცს მოჰკლავს და ტვინშიგან არ მივა, კაცსა არ მოჰკლავს. რად ნახო ის ალაგი, რომე გათეთრდეს (163v) და შხამი არა მოსდიოდეს, მერმე ეს წამალი თრთის ჰქვიან, ამა დაკოდილზედა დააყარე, აიღე რომე ძმათა სისხლი ჰქვიან, ანძრუთი და თეთრი საკმეველი და ესე წამლები სწორ სწორი ქენი, დანაყე, გაცერ და მოკვეთილსა ადგილსა ზედა დააყარე, ზედა ძველი ბანბა დაადევი, სხვასა ნუ გამოუცვლი, ეს გაამრთელებს და სადაცა ისრისა ნაკრავი იყოს, ეს წამალი დასდევე. ან წყლითა ან ღვინითა დაკოდილი მობანე. მერმე აიღე კაპოეტისა თევზისა ნავდელი, ანუ შავისა ყვავისა ნავდელი და ნადველისა წონა მისი ქონი და ქათმის ქონი ათი დრამი, და

თრიაქი ერთი დრამი, და მერმე გაურივე, ცოტასა ქოთანსა შიდა აღუღე, რომე გასკელდეს, ძველითა ბანბითა ზედა დასდევ, სამსა დღესა დაეკსენ და ან დღივ სამჯერ უცვაღე, მის მეტსა ნუ. და დავეიულისა წყალსა (164r) ამოიღებს და შხამსა ყველასა გამოსწმედს, და იცნის ღ(მერ)თითა. თუ გინდოდეს, რომე წამალი მზასა იყოს, ამისგან აბები შექენ და გააჰმე და ქალად ზედა წახვივე და მზა იქნების. რად მოგინდეს წყლის ჭურჭლისა წყალშიგან მალამად შექენ და ზედა დასდევ, ამას სპილენძისა ჭურჭლითა ნუ შეინახავ, ნუცა დანაყ(აყ)³⁴², ამისი ჟანგი ავი არის. და რად სამი დღე გამოვიდეს, სიცხისა დრო იყოს, მას უკანით თეთრითა მალამითა ამორთელეთ, დღივ ორჯელ დასდებდით. თუ ზამთარი იყოს, ანუ შემოდგომანი, შავი მალამა დასდევით მარგი არის. სხვა წამალი თუ არა გქონდეს, როგორცა ისარი ეცეს ის ალაგი მოჰკუჭთე და გააგდე და კაცისა განავალი დასდევ, თუ ბალღამი გამოსდიოდეს ახალი, ისევე პირველი დასდევ, მარგი არის ღ(მერ)თითა.

კარი რწყევისა, რომე კაცსა სტომაქი აშლოდეს და რწყევა დაუწყოს, რასაცა სჭამდეს არ (164v) დააყენებდეს და არწყევდეს, სარწყეველი წამლები მიეც, რომე სწერია, რომე რაჟამს რწყევა მოუვიდეს მით არწყვიოს და პატრუქებიცა სწერიან შესაკრავიცა და გასაკუნელიცა. წამალი მისი, რომე სტომაქი აშლოდეს და არწყევდეს: აიღე მწვანე გუნდა და ქერის პური, სწორ სწორი დასწვი, დანაყე და აჭამე, და ზედა ერთი პირი ძმარი შეასვი, და უშველის ღ(მერ)თითა. **თუ კიდევინ არწყვიოს:** აიღე კანაფის თესლი და წყლითა გაღესე, დაღვი დანაყილი და მერმე გასწურე, და შეასვი, ღ(მერ)თითა უშველის. **მისთვისევე:** აიღე ვაშლი, ჳმელი აყიროს თუ ნედლი დანაყე და აღუღე წყლითა, რომე ნახევრად მოიყაროს გამოწურე და შეასვი, ღ(მერ)თითა უშველის.

და თუ ცხროსა და ჳურვებისაგან იყოს, და ამოიღებდეს ბალღამსა, ჳალი თბილსა ღვინოშიგან გაურივე და შეასვი, და უშველის ღ(მერ)თითა. **თუ ცხროსა და ცხელ-** (165r) **ეებისაგან ამოიღებდეს ბალღამსა, ამა სენშიგან კიდევცა აბოყინებდეს,** პიტნისა წყალი მჟავესა ბროწეულისა შიგან გაურივე და შეასვი, ღ(მერ)თითა უშველის. **თუ ნამეტნავისა სიცხისაგან აშლოდეს და ბალღამსა ამოიღებდეს,** აიღე ბროწეულისა ღვინო და ჳალი გაურივე, და შეასვი. **მისთვისევე ტლე:** აიღე სოსნისა ფურცელი და ბია, ღვინითა აღუღე, ასრე რომე დადნეს და სტომაქსა, და მკერდსა შემოსდევ.

³⁴² ტექსტშია „დანაყ“.

თუ ამა სენისაგან ასეთი სლოკინი რომე დაემართოს, რომე საჭმელსა არ დააყენებდეს, სლოკინითა ამოიღებდეს, აროდეს არ დასწყნარდეს. აიღე სადაფი, ზეთითა აღუღე და მკერდზედა შესცხე. **ამავე სენისათვის:** პიტნა გამოწურე, წყლითა მოადუღე და თაფლი ამა ნადუღარსა წყალშიდა გაურივე, შეასვი და უშველის ღ(მერ)თითა. **ამავე რიგითა ტენცო უყავით,** მარგი არის. **თუ სლოკინი ერთობ გაუგრძელდეს** ანგური დანაყე (165v) და წმინდად გასცარ ორი დრამი, პირშიდა ჩააყარე და ზედ ცივი წყალი შეასვი, რომ ჩაიღოს და უშველის ღ(მერ)თითა. **მისთვისვე:** აიღე წიფელის ქერქი და მასტაგი სწორ სწორი, აღუღე, გამოწურე და შეასვი, და უშველის ღ(მერ)თითა.

ნიშანი სარწყევლისა წამლისა: რად კაცსა ბაღლმისა და ზაფრის გამოწმენდა გინდოდეს, ესე სარწყევები წამლები ყველა ზემო სწერია.

ნიშანი გასახსნელისა, რომე სნეული შეკრვით იყოს, მისი პატრუკებიცა ზემო სწერია.

კარი და ნიშანი, რომე ტანშიგან სიმსივნე იყოს. თუ სისხლისაგან იყოს, სიმსივნე სველი იყოს კორცშიგანც და ტყავშიგანც, ფერი წითლად იყოს და ძგერდეს. **წამალი მისი:** კელი გაუკსენ და ტლე უყავი, აიღე ცხვრის ტყავის ბარკლის მატყლი, ანუ დუმისა, დასწვი და ზეთის ხილისა ზეთითა გაურივე, და მოადუღე, და ნელთბილი შემოსდევ, ტკივილი დააწყნაროს. **მისთვისვე:** ზაფრანა და (166r) წითელი სანდალი ნედლის ქინძის წვენითა გაღესე და შემოსდევ, და ტკივილი დააწყნაროს. **მისთვისვე:** ქერის ფქვილი ნედლის ქინძის წვენითა შეზიღე და შემოსდევ. **მისთვისვე:** რომე ტკივილი დააწყნაროს და სიმსივნე გაადნოს. აიღე ხვარბლის ანაკუჭით, ტუხტი, ბაბუნაჯი ყველა დანაყე კობოსტოს წვენითა, მოადუღე და შემოსდევ. **თუ სიგრილისა და ბაღლმისგან იყოს** მისი ნიშანი: ფერად თეთრი იყოს და რბილი იყოს. სახელად ავი ვარამი ჰქვიან. მას ყოველისა საჭმელისაგან ფარეზი უნდა, გამაკმობელი და გამადნობელი წამალი უნდა აკმარო, ასრე როგორცა პირველად ხოშრისა სამოსლითა უნდა შეხეღა, მერმე ახლითა სამოსელითა ნაკვეთითა, უწინ წყალშიგან დაასველე, გაწურე და მერმე ძმარშიგან ამოავლე და შემოახვიე, და საჭმელი სწორ სწორი შეუწყევით.

თუ სიმსივნისა გვარი მაგარი იყოს, ძმარი და წყალი (166v) ერთმანერთში გაურივეთ და სამოსელი შიგან დაასველე, ძმარი ერთობ ცხარი არ უნდა იყოს, უკან და უკან ცხარი იყოს, ძმრისა ალაგსა ბორისა წყალი ქნა ისი სჯობს, ანუ ლეღვისა ხისა ნაცარი, ანუ მუხისა ნაცარი, ანუ ვაზისა ნაცარი ასრე უნდა, რომე ისი სიმსივნე მუდამ წახვეული ჰქონდეს, რომე სიმსივნე სხვაგან არ წავიდეს. თუ ძმარმან არ უშველოს,

შაბი გაურივე შიგა ძმარსა და შემოსდევ, და კირის წყალი ერთობ მარგი არის, და ვარდის ზეთი ძმრითა და მარილითა, ერთობ მარგი არის.

თუ სიმსიენე ერთობ მაგარი იყოს სევდისაგან და ბაღდმისაგან იქნების. წამალი მისი: პირველად ტანი მისი სენისაგან გამოსწმინდე სევდის გასაკნეულთაგან და მერმე რაღც გრილი ნიკრისის წამლები არის ის უყავით და ქონებთაგან ბატის, ქათმის, მგლისა და მელი(ი)სა. ეს ყვე...³⁴³ (167r) აქიმობა დასტაქარი არის, რომე გაუკვეთო და ძარღვი ამოართვა და კარგითა მალამითა გაუმრთელოს.

და დულუფისა სენი არის, რომე ფეკი გაუსხვილდეს, როგორცა სილოსაგან. ამისი მიზეზი დაფალისა ანუ ნიკრისისა გვარი იქნების. ბაღდმიანი და სევდიანი სევდისაგან იქნების ამისი მიზეზი. და სპარსულად ფალია სპილო ჰქვიან და ამაღ ჰქვიან ამა სენსა დულუფი. ნიშანი როგორცა ესე სენი დაემართოს უწინ ფეკი წითელი იყოს, მისი ნიშანი ეს იყოს: მოთეთრო იყოს და რბილი იყოს. სევდისა გვარისა და ნიშანი ეს არის, რომე ფეკი მოშაო იყოს და ან მოლურჯოდ დასცემდეს. იქნების რომე გაწითლდეს და გამაგრდეს და დაუსკოდეს. წამალი ამა სენისა: თუ წითელი იყოს უწინ ეწამლების და რაღ ფერი იქციოს გამაგრდეს, და წამალი ძნელად მოეკიდების. ამისი წამალი – რწყევა იყოს მძლავრითა და ძნელითა წამლითა, რომე ძნელი სენია ბაღდმის გვარი და სევდის ადგილიდაღმა ამოაგდოს. თუ მოუნდეს კელის გაკნა ბასალიკისა მარგი (167v) არის და მოსვენებით ყოფა, ფეკი ასრე უნდა სასთაულზედ ედვას. მას უკანით ეს ტლე აკმარეთ: აიღე კომბოსტოს ნაცარი, ზეთის ხილის ზეთი, ავსინთისა წვენი და ახალი ძროხისა ნეხვი და უღბოსა ფქვილი, ბოლოკისა თესლი, პრასისა თესლი. ეს ყველა დაანაყე და ზეთის ხილის ზეთითა შეხელითა შეხილე და შემოსდევ მარგი არის.

სხვა სენი არის, რომე წვივზედა მღერი გამოესხას, ამას ბუშტი ჰქვიან, ვითარცა ხესა კუი გამოესხას. ამა სენსა ადგილი წამალი უნდა, როგორცა სევდისა წელულისა წამალი არის: აიღე ტუხტი, ვარდის წელითა და ძმრითა დამბალი შემოსდევ, და მარგი არის, და ქერის ფქვილი ძაღლის ყურძნას წვენითა, და ნედლის ქინძის წვენითა, ტლედ შექენ და შემოსდევ მარგი არის. სამს დღეს უკანით დასამწიფებელი წამლები უნდა ქნას და ნელთბილი ერბო შესცხე, და ჯერე რომე დამწიფდეს ხვარბლის ფქვილი, თორნეულისა პურითა, ზეთის ხილისა ზეთითა მოდულეებული შემოსდევ და

³⁴³ აზრი წყდება, ჩანს, რომ ტექსტს აკლია გარკვეული ნაწილი.

მოამწიფებს, და დაცოხნილი ხუარბ- (168r) ალი, შემოსდევ და მოამწიფებს, და სელისა თესლი საფუერითა შემოსდევ, და მარგი არის.

კარი ქუსლისა დახეთქისა და კელისა, და ფეკის დახეთქისა, და კელის ფრჩხილის ტკივილისა.

თუ ფრჩხილმა ტკივილი დაუწყოს და აუქუთდეს, სისხლის ნიშანი არის და თრიაქი ძმრითა დაადნევ, და სადაცა სტკიოდეს შემოსცხე, და თუ ამან არ უშეელოს მუყრი და ჯავაშირი დანაყე, და წყლითა გაურივე, და შემოსდევ, დაბრმდეს. **მისი წამალი:** თხის ქონი გაათბონ ცხლად და შემოსდვან, და მუდამ ბატისა, და ქათმის ქონი, მუმრღვანი შემოსდვან ზედან. თუ მისგან მყრალი სული უდიოდეს აიღე ფაიზმიში და ვარდის ზეთი გაურივე, და ფრჩხილზედა შემოსდევ.

თუ ფრჩხილი გაუსქდეს მათბუხი აფთიმონი შეუწყევით და საჭმელი ყველაე მომსუქნო და ტკბილი აჭამეთ, და ურთხულის გომიზი შემოსდევ, რომ ფრჩხილი გაარბილოს. **სხვა:** აიღე (168v) ბიის გული დანაყე, გასცერ და ქათირა, და ის ერთმანერთში გაურივე და შემოსდევ, მარგი არი, არის.

თუ ფრჩხილი წაგარდეს რისთვისმე მიზეზითა აიღე ინა და სელის ზეთი, ერთმანერთში გაურივე და შემოსდევ, და ერთობ კარგს ფრჩხილს ამოიყვანს.

თუ ტერფი ფეკისა გაუსკდეს, პირველად ალილას მათბუხი შეუწყევით და მას უკან ხილთა წყალთა ასვემდით ერთსა კვირასა, და მუდამ ამა სახელით უხელდით: აიღე იის ზეთი და ზროხის ჭლიკის ტეინი, ბატის ქონი, ტირიფის ფურცელი დანაყე და ამაშიგან გაურივე და ინა ვითა ფერკზედა შესცხე მუდამ. ჭაკუნტლის ფურცელი წყლითა მოადუღე და კვერცხის ცილი გაურივე, მაღამად შექენ და შემოსდევ.

ფეკი რომე გაუოფლიანდეს და აყროლდეს. მისი წამალი: აიღე მური და წყლითა მოადუღე, ფერკი იმაშიგან ჩააყოფინე და მუდამად თბილსა ზროხის სისხლშიგან ჩა- (169r) უყავ მუდამ, დუმაცა დანაყე და შიგან გაურივე წყალსა და ფერკზედ შემოსდევ.

კარი და ნიშანი ისრისა, ეკლისა და ნემსის გამოღებისა. ისრის პირი ასეთიე იქნების, რომე კავ(ი)ანი იყოს და რად ამოღმა ამოსწიონ ამოედვას, და სხვა შარანთისა ძარღვი, ანუ სხვა ძარღვი გაუკვეთოს, ის არის, სადაცა ისრის პირი სცემოდეს გაუკვეთონ და მილი შეუყონ ქლიბიანი, და წყნარად მოზიდონ, რომ არ გატყდეს. ისრის პირი, და(ა)ნჯღღისონ იქით და აქათ. თუ ერთობ მაგრად იყოს დაეხსნან, რომე შეღბეს და მაშინდა ამოართვან. და ესეცა იქნების, **რომე ისრის პირი მოწამლული იყოს,** მისი ნიშანი ის არის, რომე ის ადგილი აუსივდეს და ფერი როგორაცა

მკუდარისა ფერი ისრე იყოს, მისი წამალი. და შენახვა უნდა, მისი წამალი ზემო სწერია ის უყავით. **თუ ძვალზედა გამაგრებულის** შალაფითა მისსა გარეშემო შეფხეკა უნდა, რომე ამოაფართოს და აგრე ამოართვას. **თუ საკუდავსა ალაგსა იყოს** ასრე რომე სასასა და სატკინელსა, გული, ფირტივი, ღვიძლი, ბუშტი (169v) და ნაწლევნი, და ავი ნიშანი გამოჩენილი იყოს, მას კელსა ნუ მიჰყოფს აქიმი, ამად რომე საფათარაკო არის და არ შერცხვენდეს. თუ ავი ნიშნები არა იყოს და შეატყო ვითა დარჩებისო, მაშინ მისთა მოყვასთა ეუბენ და მერმე კელი მიჰყავ. ბევრი გვინახავს ერთობ საშიშარი დაკოდილი იყოს, ეწამლოს და დარჩომილი იყოს. თუ ეს წადლები უყავით, რომე წამლითა ამოართვათ: აიღე ვაშაყი და თაფლითა შეზიდე, და რად შეზილო შემოსდევე, რომე ისრის პირი ამოიღოს. და თუ შიგან რამე დარჩომილ იყოს, ისიცა ამოიღოს და თაგვი გააპე და შემოსდევე, მწვანე მსულიკი(ს) თავი და ბოლო მოჰკვეთე, გააპე, და შემოსდევე, და ამოიღოს ისრის პირი. თუ ზრეუანდი გრძელი დანაყო და თაფლითა შეზილო, და შემოსდევა, **ისრის პირი ამოიღოს** და მარტო ღერწმის ძირი დანაყოს და შემოსდევა, მარგე არის. **თუ ისრის პირი ძვალზედა დამაგრებულ იყოს**, აიღე ბახრალბანჯი, რომე ღენცოფას თესლსა ჰქვიან, დამწვრითა შაბითა დანაყე და ცოტა (170r) ხურმა და ფაზმიოში გაურიოს ერთობ მარგე წამალი არის, რომე შემოსდევა, ესე ხასიათი აქეს, კბილსაც გამოავადებინებს.

წამალი მისი ან რომე ან შიშითა, ან მათრავითა ნაცემი იყოს, ან ნატკიენები და ნაღრძობი იყოს. იმის უკეთესი წამალი არ არის, ფიცხლა ცხვარსა ტყავი გაკადო, შემოსდევა ორს დღეს ეღვას და მერმე აიღე ტყავი და სიმსივნე დაწყნარებული იყოს. უკეთესი ის არის, რომე ნატკენზედა მარული დააყარო და მერმე ცხვრის ტყავი შემოახვიო. და თუ ახლის ჭურჭლისა ნაღვენი დანაყო და ნაცარი გაურიო და შემოსდევა, მარგი არის. და საჭმელსა მუხუდოს საჭამადსა და მუკაშარსა სჭამდეს და სასმელად, წყლის მაგიერად თაფლისა და მუხუდოს წვეწასა სვემდეს. თუ ზამთარი იყოს და კაცი მოწიფული იყოს, მკურვალე და კმელი გუნება იყოს. აყიროს და ჭაკუნტლისა ფურცელსა აჭმევდით, და სასმელად ზანჯაფილისა, რევანდი, ჩინსა, ორგნითავე ერთი დრამი ანუ ერთი მიტყალი გალესე და შაქრითა შეასვი. (170v) და ვინცა ნაცემი იყოს ფიცხლა კელი გაუსხენ და კოტოში მოჰკიდე.

თუ შეკრვით იყოს, ხილთა წყლითა და ხიაშამბრითა მუცელი გაუსხენი, უშველის ღ(მერ)თითა.

კარი სიმკლისა და სიმსუქნისა და მისი წამალი, რომე მსუქანი დაამკლოს. ეს არის, რომე ძმრინასა სჭამდეს, და მლაშესა, და მწარესა ესე დაამკლოს, და ნიადაგ ქერის პურსა სჭამდეს, იწყუროს და იმშოს, და ჳმელსა ადგილსა დასწებოდეს და ნიადაგ საქმობდეს, და ოთხი დანგი და ნახევარი სანდაროსი და სიქანგუბინი და თბილითა წყლითა შეასვი.

თუ მკლე იყოს და ტანი გასასუქებლად გინდოდეს ნიადაგ მოსვენებით და გულმხიარულად უნდა იყოს და კარგს საგებელზედა წვებოდეს და კარგი ტანისამოსი ჩაიცვას. მისი საჭმელი გაშრაფეთითა უნდა იყოს და ბრინჯი რძითა შექნილი და შემწვარი ბატკანი, და მსუქანი ქათამი შემწვარი, და მსუქანი ბატი შემწვარი, ნუშის გული და წიფლის გული, თხელი პური შაქრით გამომცხვარი და ნედლი ყველი, და ღო (171r) ახალი, რომე შიგა წმინდა პური ჩაჰყარო, რადც ჳმელი ხორცი იყოს, ყველა იფარეზოს და გასუქდების.

კარი გველის ნაკბენისა, მორიალისა და ბრაზიანისა ძაღლისა.

ნაკბენისა წამალი, რად **გუელმან უკბინოს კაცსა.** თუ რბილსა კორცსა ზედა უკბინოს ფიცხლავ ამოსჭარ და თავი ბოლო შეუკარ, რომე გესლი არ გავიდეს, ტრედის ჳუნდი დაჰკალ და გაყვლიფე და ზედა დასდევ. თუ ის არ იყოს ჳაჭავი ქენ. თუ არც ის იყოს ქათამი დაიჭირე და ქათმის საკვერცხე ტრაკი ნაკბენზედა მიადევ, თხიკის ყვერი – სოღინ ალთისასა ჰქვიან, და ბორა ეს დანაყე, და ჳროხის ნაველსა შიგან გაურივე, და ცოტას ტრედის ჳუნდის სკინტლი დანაყე, და ისიც შიგან გაურივე, ყველა ჳეთის ხილისა ჳეთშიგა გაურივე, რად მოგინდეს მიეც. ერთი გველი სხვა არის, სხვილი და გრძელი, წითელია სხვა გველისა უმფრო იარების. თუ იმან უკბინოს, დიდი თერიაყი შეასვი (171v) ჳამანდრისოსისა წვენითა. თუ ის ვერ იშოვნო აიდე ჳმელი სადაფი, ალთისა მური და ყუსტი, პილპილა, აყილყარა თვითოსაგან ნახევარი მიტყალი და პერულმოწდილითა თაფლითა მოზილე, შეინახე და რად მოგინდეს მიეც მიტყალ ნახევარი. ნიშანი შავისა გველისა, სადაცა ცხელი და უკაცური დიდი მინდორი არის იქ იქნების. ენა სხვისა გველისაგან უფრო გრძელი აქვს. რად კაცი ნახოს უნდა რომე ერიდოს, წყნარად გამოეკიდოს, რა მოეწვეის ერთობ ანჩხლი არის და თუ უკბინოს, რაც ამას ჳემოთ გველის ნაკბენისა წამლები დაგვიწერია ის უყავით. **თუ ძელიანსა ადგილსა უკბინოს,** თავი და ბოლო შეუკართ, რომე გესლი და სიმსივნე არ წაუვიდეს. მერმე ნიორი დანაყე, ავსინთინი და თეთრი ნაფთი გაურივე და ჳედან დასდევ და გესლი გამოიდოს, სხვა თრიაყი მარისტოსი აჭამეთ. **ნიშანი მორიალმა თუ უკბინოს.** მისი წამალი ნაკბ- (172r) ენსა თბილსა წყალშიგან ჩააყოფინებდი,

თვარ ზედან დაასვი. აიღე თახვის ყვერი, ფარფიონი, დანაყე და ზეთისხილისა ზეთითა შეზიღე და შემოსდეგ. **მისთვისვე.** აიღე ნიახურის თესლი, აესინთინი, ზრეუანდი თვითოსაგან ნახევარი მიტყალი დანაყე და ნახევარზედა ორი თასი წყალი დაასხი და ასრე აღუდე, რომე ნახევარზედან მოიყაროს, გამოსწურე და ცოტა თრიაყი ალთისი გაურივე და შეასვი. ამას გარეთ წამალი აიღე, კაპრის ძირის ქერქი, კორდმანა, გრძელი ზრეუანდი, ყველა სწორ სწორი ქენ, დანაყე და მაჯუნი შექენ და მიეც თვითო მიტყალი. **მისთვისვე.** აიღე ანაკეთი, გააცხელე და კვლმანდილითა შემოსდეგ ანუ თორნე გააცხელე და ცხელსა თორნეზედა დასვი.

ნიშანი ღრიანკალისა, რომე კაცსა უკბინოს, ეცადოს რომე მოკლას და ნაკბენზედ შემოიდვას. თუ ის ვერ იშოვნოს დიდი თერიაყი ერთი (172v) მიტყალი ვაშლის შარაბა გაღესე და შეასვი, და ბასალიყისა ძარღვი გაუკსენ, მკლავის სადრეკსა ქვეშე ნაპირსა არის. თუ ამაზედა გულის ძეგრა შეექნას ყურსი ქაფური შეასვი. თუ ამა სატკიერისაგან ენა გაუსივდეს ყიფალი გაუკსენ მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის და ხან ჟამიერად ქანისა წყალსა იღარღარებდეს სიქანგუბინითა. სხვა ამას გარეთისა, სხვა გვარისა გველებისა ნიშანი და წამლები რომ დაგვიწერია, ამ რიგ ქვეყანასა არა ზის და თუ დაგეჭიროს, იმათი წამლები და ნიშნები დიდსა კარაბადინსა კითხეთ.

ნიშანი რომ ფუთკარმან უკბინოს, ანუ ბაზმან, ანუ ბზიკმან, მისი წამალი, მიწა ძმრითა და წყლითა დაზიღონ და ზედან შემოიდვას. თუ ამან არ უშველოს წითელი წამალი, ქაფური, დანაყეთ და ძმარშიდ გაურივე, და ზედა შემოსდეგ. თუ ამან არ უშველოს, ცივსა წყალშიგან ჩასვით, (173r) და რად წყლიდაღმან ამოვიდეს, ვარდის ზეთი და ქაფური ზედან შესცხე. ტილოს ანაკუეთი წყლითა დაასოვლე და გულისპირზედა და თავზედა შემოსდეგ. თუ ტანზედა ცხელი იყოს, წყალში ჩასვი და ან თოვლი, და ანუ ყინული შიგან ჩაუგდონ, რომე გააციოს, მუავისა კიტრისა წვენი, ისრიმის წვენი და ცოტა ვარდის წყალი ერთმანერთშიგან გაურივე, და ცოტა ქაფური დანაყე და იმაშიგან გაურივე, და სიქანგუბინიცა იმაშიგან გაუღესე და მიეც რომე შესვას. სანამდის სიცხე დასწყნარდებოდეს ამას ასვემდი, ერთ კვირას ტკბილსა საჭმელსა ნუ სჭამს.

ნაკბენი ბრაზიანი ძაღლისა და ნიშანი მისი. ესეც საშიშარი არის, ძაღლი გაბრაზიანდების და შეიცვლების, რასაცა იქს, ვერას შეიტყობს, მუღმად იარების თავ დაღუნვით, რად დაწვებ- (173v) ის, კუღს ფეკშიგან

დაიჭირავს და შორით დამოკლებულსა გვანდეს. პირსა პერული სდიოდეს და ავ ჳმად ჰყეფდეს, და არასა სჭამდეს, და რეტად იარებოდეს. რად ქვა შესტყორცნო პირით აიღებდეს. რად ეს ნიშანი ნახო, იცოდი რომე ბრაზიანი არის, ამისთანას ძაღლს ერიდებოდეთ. თუ ვითა მოკლევედეთ მოკაჲლ, თვარემ გაეცალე. და რად ამან ძაღლმან უკბინოს ვაჟსა კაცსა ადვილად ეშველებს და დიდსა კაცსა უფრო ძნელად. თუ შეიტყო ნაკბენი ბრაზიანი იყოს, თუ არა, ეს უნდა: ცოტა პური მიუგდო იმ ძაღლსა და თუ არც უსუნოს და არც სჭამოს, იცოდე, რომე ბრაზიანი არის. ნაკბენისა სისხლი დასცხონ პურსა და მიუგდონ. თუ სჭამა, არ არის ბრაზიანი. **მისი წამალი:** მოკაჲლ ის ძაღლი, მისი ღვიძლი კაცმან სჭამოს, თუ შეეძლოს ნაკბენზედან კოტოში მოიჭიდოს, მოუცრან კარგათ და ზედა თაფლი შესცხონ. მერმე აიღე ჩადანდრი და ისი მოადუღონ, კარგათ და- (174r) დნეს, გამოწურონ ორი თავი ხახვი და ხახვის წონა თხილი, ერთმანერთშიგან დანაყე თხილი და ხახვი, და ცოტა ერბო გაურივე, და მალამავითა შექენ, და ზედა შემოსდევე, მანამდის, რომე ყვითელმა წყალმა დაუწყოს დენა. მერმე მოკაჲლ, გააჭმე, დანაყე და თაფლითა შეხილე, და მაჯუნად შექენ, და მიეც, და აფთიმონისა მათბუხიცა ააღებინე. თუ შეეფეს მათბული ვეღარა შესვას, ავისა ნიშანი არის და მათბული ძაღლის ლეკვებივითა დააყრევინებს, ლეკვებსა გვანდეს. ესე მაჳმად (ზა)ქარიაშვილსა მოუგონიან ჯალინოზის წიგნისაგან. სხვა წამალი ჯალინოზისი: დაიჭირე, კირჩხიბი და ახალსა კოჭობშიგან ჩაჰყარე და წყალი დაასხი ზედა, და თორნეშიგან მოხარშე, და რად მოიხარშოს, წვენი გამოსწურე ათი დრამი და ხუთი დრამი ჯინტიანი დანაყე, დაურივე და ყოველსა დღესა ოროლსა დრამსა მისცემდი. შესვას მუდმად, ვარდის ზეთსა და ვარდის წყალსა მისცემდი, (174v) და მრავალძარღვას თესლისა წვენი, ქერის კორკოტისა წვენი, ცოტა შარბათი ჯულაბისა, ესე ყველა ერთმანეთშიგან გაურივე, ცოტა ვარდის ზეთი მიეც, რომე შესჭამოს და გრილსა ადგილსა დააწვინე. მუდამ ძეწნისა ფურცელი საგებელსა ზედა დაუყარე და საჭმელი მილახულისა გვითქვამს, ის შეუწყევით.

სხვა შეტყობა ბრაზიანისა. სხვათა აქიმთა ასრე უთქვამს: ძაღლსა რომე ეკბინოს, დანაყე ნიგოზი, ნაკბენზედა შემოსდევე ერთსა ღამესა და მეორესა დღესა ნიგოზი ძაღლსა მიუგდონ, ანუ ქათამსა, თუ როგორაცა სჭამოს ძაღლმან, გინა ქათამმან, თუ მოკდეს იცოდი ბრაზიანი არის, თუ არ მოკედეს არ არის ბრაზიანი. **სხვა:** ნიგოზი დანაყე, ორს დღესა შიგან ერთხელ ისი მალამა რომე ბრაზიანისა ნაკბენისა გვითქვამს და შემოსდევე.

დღეულ მუშეითა მიეც, რომე სჭამოს. იცოდი როცა ბრაზიანი არის, მისი კბილი ყველა შხამიანი არის. რაც გვითქვამს ესა არის შხამიანი წამალი.

(175r) **კარი და ნიშანი ძარღვისა გახსნისა, კოტოშისა და წურბლის მოკიდებისა და ხასიათი მათი. თუ ყიფალი გაუხსნა, ყველასა სატკივარსა ზემოთსა უშველის. თავისა, თვალისა, ყურისა და კბილისა, და ხასისა ტკივილსა, ყველასა უშველის, და თუ ენა უსივდეს, გახსნა არ უშველის, ენასა ქვეშეთ, რომ ძარღვი არის, ის უშველის, რომ გაუხსნა. თუ პირი სტკიოდეს და ენაზედა ოსპივითა ესხას, რომე ოთხი ძარღვი არის, ორი ზედასა ბაგესა შიგან და ორი ქუედასა ბაგესა შიგან, ის გაუხსენ. თუ სიმჭურვალისაგან სტკიოდეს პირი და შიგან წითელი რამე ესხას, მასაც ისევე ძარღვი გაუკსენ და თუ ყიფალი არა ჩნდეს, კოტოში მოჰკიდე თავზედა, მისსა სანაცვლოსა სისხლსა ის კოტოში გამოიღებს, ყიფალისა სანაცვლოდ. ჯალინოზ(ს), ორთავე ბეჭთა შუა, უთქვამს კვატუშისა მოჰკიდება. თუ ყელი სტკიოდეს ორთავე მკართა შუა კისრის ბოლოს მოჰკიდე კოტოში.**

ხასიათი და გახსნა აქლისა, რომე (175v) არის ძარღვი კანთოლიკე, მისი გახსნა ყელსა ქვემოთ და წელსა ზემოთ სისხლსა ის გამოსწმედს. თუ არა ჩნდეს ბეჭ(თ)ა შუა კოტოში მოიკიდოს. იმის სანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს.

მის ქვეშეთსა ძარღვსა აბურზისა ჰქვიან და ამის გაკსნა სტომამქს ნაწლევეთა სისხლთა გამოსწმედს. და თუ ის არა ჩნდეს, მუკლისა ქვეშეთ კარდშიგან ძარღვი არის, ის გაუკსენ.

მას ქვეშეთსა ძარღვსა ბასალიყი რქვიან, მისი გახსნა ღვიძლისაგანც გამოიღებს სისხლსა. წელთ ქვემოთ ყოველსა სისხლსა გამოიღებს. თუ ის არა ჩნდეს, კოჭი გაუკსენ იქით და აქათ, ანუ ცერისა ძარღვი გაუკსენ, ანუ ორთავე მენჯთა შუა კოტოში მოჰკიდე და მისსა სანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს.

და ჳელისა ძარღვსა, სელიმი რომე ჰქვიან, ნეკთა თითთა შუა შემართებით, რომე ძარღვი არის, თუ მარჯვენისა ჳელისა ისი გაუკსნა ღვიძლის სისხლსა ისი გამოიღებს. თუ ის არ ჩნდეს, მარჯვენისა გუერდზედა, ნეკზედა კვატუში მოიკიდოს და მისსა სანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს. თუ სისხლისა გამოღება (176r) მარცხენისა ჳელისა სისხლი გამოართვა, სელიმი ჰქვიან ის გაუხსენ, ტყირპის სისხლსა ის გამოიღებს. თუ ის არა ჩნდეს, მარცხენის გუერდისა ნეკზედა კოტოში მოიკიდოს და მისსა სანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს.

თუ სისხლის გამოღება, ან კელის გაჭსნა, ანუ კუატაშისა, ანუ წურბლისა მოკიდება გინდოდეს, უზმათ ნუ გამოიღებ, თვარამ დიდი ზიანი არის, კაცი შესუსტდების ანაზდარისად.

წურბელისა ხასიათი. რამ წურბელსა მოიკიდებდე, მუცელი გახსნით უნდა იყოს, მაშინ მუავიანისა და მლაშისაგან იფარეხოს. თუ ასრე არა იქს არას ფერსა არას არგებს, რადც ფერი მუნი იყოს სისხლისა და ზაფრისა, ყველასა არგებს. რამ წურბელი დავარდეს, ის ადგილი ძმრითა და წყლითა მოიბანოს, თუ ადრე დავარდნა უნდოდეს და არ დავარდეს, ნატყხარი დანაყე და ზედა შესცხე წყლითა და დავარდების, ან კირი შემოსდევ, ან ბროწეულის ყუაველი ძაღლის ყურძენას წვენითა დასდევ. თუ ავი ალაგი (176v) იყოს და წურბელი არა მოეკიდოს სისხლი დასცხე იმა ალაგსა და მოეკიდოს. თუ ერთობ მოეკიდოს მარილწყალი დასცხე და დავარდების. თუ წურბლისა მონაკიდებზედა კოტოში მოიკიდო, ერთობ მარგი არის.

კარი, რომე კაცსა თმა წვერშიგან ტილი დაესხას, დაიბადოს. მისი მიზეზი ის არის, რომე გუნებისა სიმკურვალე მეტი იყოს შიგნით და სენსა გამოაყენებს ტანშიგან, გარეთ ტყავშიგან ამოვა. დაიბადების ტილი. **წამალი მისი:** პირველად გასაკსნელი წამალი მიეც და მერმე ნიადაგ თ(ა)ფლის წყლითა იბანდეს და ჭაკუნტლისა ნახარშითა დაიბანდეს, ან საროსა ფურცელითა ნახარშითა ტანისამოსი, ან ქათანისა, ან აბრეშუმისა ჩააცვას ფიცხლა ფიცხლა გამოიცვლიდეს. ნავლეი ზროხისა და თხისულა, და საბრი, და ვარდი ერთად გაურივეთ და შესცხეთ.

თუ რწყილი იწყინებოდეს, აიღე შამიანდალის ქერქი და წყლითა მოადუღე და სახლშიგან მოასხი და რწყილი დაჯოცოს და გააძოს ძაბისა ქონი, რომე შეშასა შესცხო და სახლშიგან დააყუდო, ყველა რწყილი იმას მი- (177r) ეხვევის და გოგირდის სულისაგან და საზროსაგან გარდიხვეწოს რწყილი. წამალი მისი: რასაცა სახლშიგან მძრომი და ავი იყოს, ესე ახრჩოდე.

თუ მორიალისა ჩნდეს კურელი, ბოლოკი მისდვან და მისთა დღეთა შინა ვედარა გამოვიდეს. ფურცელი ხეშავისა, სადაც კურელსა დასდვა, იქიდალმა დაიკარგოს მურდასან ზარბაყი და ბაზრულბანჯი და წივა, ესენი დანაყე ცაღ ცაღკე და მერმე ერთად გაურივე და **თაგესა ამოსწევტს.**

ზროხის ნავლელსა წყალი გაურივე და სადაცა დაასხა **ჯინჭველი დაპკოცოს** და დაპკარგოს. და თუ ანგაზდი დაადნო, მისივე ხასიათი აქეს.

ნურა რძესა დააყარე დანაყილი და ჯამითა სახლშიგან დადგი, და რაც **ბუზია** შიგან ჩაცვივის, რასაც სახლშიგან ფარშამანგი და თეთრი წყლისა იყოს იმ სახლშითა **მძრომი ვერ დაჯდეს.**

კარი ტანისამოსთა დ(მერ)თ(ით). სელისაგან, რომელ იქნების სწორი არ არის. სივრილითა და მონოტიოთა, სიჭმითა არის. (177v) სიჭმელით კერძო არგებს და მოაშრობს ნოტიოსა, და ოფლსა ტანისაგან, და იჭმარებს წამალთა შიგან, და ერგების რომე ტანზედა წყლული იყოს, ამოაშრობს მისსა წყლულსა, და გამოზრდის მისსა კორცსა.

სამოსელი ბანბისა. მჭურვალე არის და კმელი, ყოველსა სამოსელსა სჯობს.

ნიშანი ახალ დასახლებისა. რად კაცი ახლად დასახლებოდეს ასრე უნდა. სასახლე ასეთს ალაგს გამოარჩიოს, რომე თუ იმა ადგილსა ჰაერი ავი იყოს, ასრე უნდა, რომე სასახლე კარგს ალაგს მოიწყოს. მისი საზიანო უმცრო იყოს, ასრე უნდა რომე სასახლე ასეთს ალაგს ქნა, რომე როგორაცა მზე ამოვიდეს შეადგეს და კედელნი მაღალნი უყავით, და ჭერნი, იყვნენ აღმოსავლეთით და ჩრდილოთა აქა და სარკმელები დიდროვანი იყვნენ, რომე როგორაცა მზე ამოვიდეს, სახლსა შეადგეს და ჰაერი გააშენიეროს. დიდისა მთისა ძირსა თუ სახლი ქნა, რომე თუ მთა აღმოსავლეთით იყოს, სხვისა ალაგისაგან სანუკ- (178r) ვარობა იქი უწინ შეიქნების. და თუ მთა დასავლეთით იყოს არ ვარგა. ქვანი და ქვიშიანი ალაგი ხორშიანი იყოს და უკაცური ალაგი კმელნი და სახორ საშეშენი იყვნენ.

და ზღვისა პირისა ალაგნი ნედლი იყვნენ და შიშველნი მინდორნი ალაგნი კარგი და რბილნი იყოს. მთისა უფრორ მრთელი იყოს და ტყიანისა ალაგისა, და წყლიანისა ჰაერი ამათ შუა ავი, საზიანო იყოს და პირუტყეთათვის ავი და საზიანო არის.

კარი და ხასიათი ძილისა და ღვიძილისა. ძილი სიმრთელისა ძალის მიმცემი არის და სენისა დადნობა ძილშიგან უმფრო თამამად იქნების. სენის გვარი ძილშიგან უფრო თამამად მოიხარშვის და ძილშიგან ტანი გაცივდების და სახურავე უმფრო ბევრი მოუნდების მღვიძრისაგან, და ძილმან ყოველი გახსნა უკუაყენოს. ოფლის მეტი ოფლის დენა სრული დნობა არის. რაუამს ძილ- (178v) შიგან ოფლი გამოვიდეს, ნიშანი იყოს საჭმელი ბევრი უჭამია და მღვიძარესა ველარა მოუდენია, და ძილშიგან ოფლისა მოსვლა თამამია, დადნობა ბერთ კაცთა და ახალთა კაცთათვის სწორია, ძილი მარგი არის. დიდი ძილი მსუქანსა და გრილ გუნება კაცსა აზიანებს. ძილი საჭმელსა მოადნობს, გახსნასა უკუაყენებს და სენისა გუარსა მოხარშავს.

აწ უძილობისა მოგახსენოთ: უძილობამან კაცი მოუსვენებლად ამყოფოს, დნობისა ძალი უკუაყენოს, სენისა გვარი მოუხარშავად ამყოფოს,

მოსარშვისაგან გახსნასა მოუმატებს სნეულობასა სიკმისა და ზაფრისა გამოაჩინებს, და სუსტსა და კმელსა გუნებასა კაცსა უფრო აზიანებს, და როდესაც სნეულმა ძილშიგა ვერა მოსვენოს საშიშარი არის.

და თუ მრთელსა კაცსა ძილი ერთობ მოუვიდეს და ძილშიგან ღრმად ჩავარდეს დასტური იყოს, რომე სნეულობისა სენშიგან არის და თუ სნეუ- (179r) ლსა მოუვიდეს ძილი ასრე რომე სერანი არა ქნას, არცარა ეჭამოს, აგრე დილეულ ეძინოს, ერთობ ზიანი არის, დაასუსტებს და ტანსა გაუგრილებს, მოდალვით ამყოფებს, სიკმეს მოუმატებს და ურგო სიზმრებს უჩვენებს. დღისით ძილი ბაღლამსა და ნაზლას მოუმატებს და კაცსა გააუფერულებს, ტყირპსა გაადიდებს და დააჩოლფოტებს და აწოდინებს და არა რათი ღარიზი გააუძღუროს. ამისთვის რომე ძილშიგან არა რათი ღარიზი შიგნით შეუა, საჭმელსა ვერა იპოვნის, რომე მოიდნოს. მისთვის დასუსტდების და ვინცა დღისით ძილსა დაჩვეულია არ უნდა მოშორებება, ისრევე უნდა იქმოდეს.

რად კაცმა დაიძინოს, პირველად მარცხენასა გვერდზედა დაიძინოს, ამისთვის რომე მარცხენა მკარი გრილი და ნედლი არის და ზედან წოლითა გააცხელოს და გაამკურვალოს, მარჯვენასა მკარსა და გვერდზედა დაიძინოს, რომე მარჯვენა და მარცხენა მკარი გასწორდეს (179v) საჭმელსა უკედ მოიდნობს, და ზურგზედა წოლა კაცისა ასონი უკედ მოსვენებს, მაგრამ რადც სენი ფაშეშიგან არის, ყველა ზურგშიგან ჩავა და ფილენჯად და ლაყვად გარდაიქცევის, და პირი დაღმა წოლა სურდუშიგან მარგი არის.

თუ კაცმა ბევრი იძინოს და ნიადაგ იწვეს, იცოდით დიდს გათარაკს და ზიანს უზამს, ასრე რომე ტანსა და ჯორცსა დააღპობს და დააჩოლპოტებს, დაასენიანებს და თუ კაცსა ნიადაგ ღვიძავს, ისიც ავი არის, ამად რომე კაცსა დაასუსტებს, თავთა ვეღარა აიღებს და საჭმელსა აღარა მონადომებს.

თუ კაცსა სიმრთელე უნდა, რომე ძილი და ღვიძილი გაასწოროს, რამდონი ერთს ჟამს იძინოს, იმდონი ჟამი იღვიძოს. რომე სჯობს, რომე ძილსა სარჯელი და ღვიძილი დაამეტოს, ღვიძილი და სარჯელი ბაღლამსა გასტებს.

აგრევე სმა და ჭამა სწორად (180r) უნდა შეიწყოს, რომე მოქარვება შეიძლოს და მუდამ ძლომას, წესიერი შიმშილი სჯობს. ასე რომე ყოველი ფერი საქმითა ქნას წესითა არცა დააკლოს და არცა დაამეტოს, რომელიცა კაცი ამას იქს იმას არაფერი სენი არ მოეკიდოს და ვერცა მოერიოს, და

მრთლად იყოს ტანშიდა, და პირი წითლად იყოს, და ყოვლის ფერითა მოისვენოს.

თეზი ახალი, რომელიცა ზანჯაფილითა და ანუ დარიჩინითა გააკეთო, და პილპილითა ზედა დააყარო, და კვერცხი ჩააჭალო, და ისრე შეწვი, და აჭამე, და ზედა უმი ხახვი დააჭარ, და ისრე აჭამე. გემრიელი და სარგებელი არიან.

კარი საჭმელისა კორცისა და სხვათა საჭმელთა. მსუქანი ცხვრისა კორცი ანუ მუხუდოთა და ანუ დარიჩინითა შექნილი მკურვალე არის მეტად. ქათმის კორცი მკურვალეა, მისი ხარშო, ამავე წესითა ჩიტი, მკურვალე (180v) არის. კრაფი მკურვალე არის და ნედლი, რად ძუძუს წოვასა გაუშვებს, ნედლი აღარ იქნების, გუნება მკურვალესა და ბაღღმიანსა კაცსა გულსა აუშლის და აწყენს. ფურის ზროკის კორცი მკურვალე არის და ნედლი, კარგსა ძალსა მისცემს მამაცობისათვის. დეაკეულისა სჯობს ცხვრის კორცსა ახლოს ახლოს ახლავს. წითლისა სჯობს. ახლისა ჳბოს კორცი კარგი და მარგებელი, ადვილად მოიღნობს, ისი სჯობს, რომ ბევრი არბენინო და მეორეს დღეს წყალი ასვან და ისრე დაჰკლან, მოხარშონ ძმრითა ანუ მწვანევილითა.

ხასიათი თავ ფერვისა, სხვათა ასოთა. თიკნის თავი კარგი არის, შემწვარი ყურის ძირისა კორცი უმფრო სუბუქი, მისთვის რომე ნიადაგ იძრვის, ყელის კორცი კარგია, ადრე მოიღნობის. გვერდი ზუბუქი არის, ადრე მოიღნობის, ზუბუქია, მსუქანისა მკლე სჯობს და შინაური კორცი სჯობს ველურსა, შინაური ნედლია და ველური ჳმელი.

ფრინველთაგან (181r) კოკობი, კაკაბი, გლონი და დურაჯი, სხვათა გლონი უსუბუქე არის. ქათმის კორცი სწორია ძარღვისა და მაჯისათვის. კარგია მისი ტვინი კაცის ტვინსა ძალსა მისცემს, ვარიის ქათმის წვენი სნეულთათვის კარგია, სტომაქის სიცხესა დაანელებს.

ყვერულის კორცი მოხარშული კარგი არის, ადრე მოიღნობის, სისწორეზედა დაიჭირავს. ნიორითა რომ შეანელო ისი სჯობს, მამალი რომე ყეივლოს ისი ყოლინჯსა გამოაჩენს ვინცა მუდამ სჭამს ახად რომ ყიოდეს იმისთანა მამალი ვინც ჳამოს დოთ შექნილი, მოხარშული, მუცელსა შეაღბობს, შეკრულსა კოლინჯსა გახსნის, ტვინსა და კეფასა არგებს.

ქათამი რომ გააპო ცხელი, ზედა დასდვა გველნაკებენსა უშველის. მისი ტვინიცა კარგი არის, კაცსა თესლსა მატებს, ჳმასა უწმენდს და ბერისა (181v) ქათმისა ავი არის.

იხვისა და ბატის კორცი დიად ბალღმიანი არის, სტომაქშიგან დარჩების. ჯალინოზ იტყვის ბატის ქონი დიად საკმარებელი არისო ასოთა ტკივილისათვის.

წელის ფრინველის კორცი ძნელად მოსადნობელი არის, მკარი მათი უსუბუქე არის, შამბიანისა ალაგისა და ნედლისა ალაგისა ნაჯდომსა, კმელისა ალაგისა ნაჯდომი და ქვიშიანისა ადგილის სჯობს.

ბატის კორცი ცოტად ფერსა დაუმშვენებს, კმას გაუწმენდს, თვალს გაუნათლებს, ქარსა არგებს, მაგრამ მოუნელებელი არის წეროსავითა.

წეროს კორცი კარგი არის, მაგრამ დიად ძარღვიანი არის და მაგარი. ასრე უნდა, რომე თავზედა მკედი მოაბა და მოხარშონ. მანამდისი ადულონ, რომე დაიქნიონ. კორცი, ჩაცვივდნეს კორცი და ძარღვი, ყველა გამოცვივდეს, ძმრითა და ანუ ლულუფრისა ფურცლითა (182r) და ნიახურითა მოხარშო.

კვერცხი ქათმისა ყოველის მფრინველის კვერცხსა სჯობს. ბერის ქათმის კვერცხის თორხლო მჭურვალე არის და ნედლი, კველასა არგებს, კმას გაუკეთებს, შემწვარი სჯობს მოხარშულსა.

კარაქი მჭურვალე არის და ნედლი, გუნებასა კარგათ შეინახავს, ზაფრასა გაიღებს.

მუხულო მჭურვალე და რბილი არის, თეთრსა წითელი სჯობს.

ლობიო წითელი მჭურვალე არის და ნედლი ძმრითა და მდოგვითა უნდა შექნა, ქერქი გამძვრალი სჯობს.

ხახვი მჭურვალე არის და ნედლი, პურსა კარგად აჭმევს და ღვინოსა ასმევს, დანაყო, წვენი გამოსწურო, თაფლი გაურით თვალის სინათლესა მატებს. ბევრის ჭამა ჭკუას დააკლებს და თავსა ატკივნებს, და თუალსა დაუბნელებს, შემწვარი ზეთითა კარგი არის.

სტაფილო მჭურვალე არის და ნედლი, მაგრამ სტომაქშიგან გვიან გავა, საჭმელშიგან გარეული სჯობს.

ბოლოკი მჭურვალე და ნედლი (182v) საჭმელსა უკან უნდა ჭამა, რომელ საჭმელსა მოანელებს და სხვა მრავალი ხასიათი უწერიან.

ჭაკუნტელი მჭურვალე და ნედლი ძმარშიდ მოხარშონ მდოგვის თესლითა, სადაფის ფურცელი მოაყარონ მოხარშულსა, საჭმელზედ კარგი იქნების, ამისი თესლი მჭურვალე არის და რბილი.

ზეთი სელისა მჭურვალე არის და რბილი, კაცსა სტომაქსა დაუღბობს, კოლინჯისათვის კარგი არის.

სატაცურისა სიმჭურვალე ცოტა არის, მაგრამ კაცსა გაასუქებს, ზურგისა და წელისა ტკივილსა არგებს, შეკრულსა მუცელსა გახსნის, თესლსა მატებს.

ხილთაგან ყოველსა ხილსა ყურძენი სჯობს, მწიფე იყოს მარცვალი დიდროვანი, დიდის ხნის შენახული მჭურვალი არის და რბილი, მწიფეს ყურძნისაგან კარგი სისხლი მომატებს, კაცსა გაასუქებს, სტომაქსა დაუღობს, მაგრამ ქარიანია და ერთის კვირის ნაკიდებსა არა აქვს ქარი და კარგი იქნების, და სტომაქსა (183r) და წელშიგან სატკივარი იყოს იფარეზოს, მაგრამ კურკასა და ქერქსა გამოადგებიანებდესუნდა, ამისთვის რომე მძიმე არის და გვიან მოიდნობის.

ვაშლი მრავალფერი არის, რომელიცა ტკბილი არის, ის მჭურვალი არის.

ბალი ცოტად მჭურვალე არის და რბილი, მაგრამ ქარიანი არის, ნაჭამს კარგი ღვინო სვას.

ტკბილი ბროწეული მჭურვალი არის, გუნება გრილის კაცისათვის კარგი არის.

ურნაბი სხვილი სჯობს წვრილსა, მჭურვალი არის და ნედლი, და საჭმელად კარგი მოსადნობელი არის, სტომაქსა დააღობს და მისი წვენი რომე სვას, სისხლი რომე დუღდეს დააწენარებს, ჰველასა და ქმინვას უშველის, უზმად უნდა სმა და ჭამა.

ხეთიზ ხილი შავი მჭურვალი არის, ძმრითა და მარილით შენახული კარგი იქნების სტომაქისათვის, საჭმელს მოადნობს, მისი ფურცელი ისრით მოხარშული კაცსა ჭიისაგან გასწმენდს და უშველის, და კბილი მატლისაგან მოჭმული (183v) ჰქონდეს, მალამით ქნას, ზედ დასდვას და უშველის.

შაქარი მჭურვალია და რბილი, მუცელს დააღობს და სტომაქსა კარგათ მოუკვდების, გასაწმენდს, ზაფრიანსა კაცსა კარგა არ მოუკვდების.

ტხრაზა შაქრის მყინვარი არის, ესე უფრო მჭურვალი არის და ნედლი და უსკე არის და უმძიმე არის, გუნებას მოაღობს და სტომაქისათვის ავია, თაფლითა, ხეთითა, ალვა ქნა კარგი იქნების.

ღვინო მრავალფერი არის, მაგრამ ყურძნისა სჯობს, სხვასა ღვინოსა რომე დაძველდეს უკეთესი და უსუბუქესი იქნების, რომელიც ფერი ღვინო არის ყველას ცეცხლის ფერი ღვინო უმჭურვალე არის. **ღვინო ტკბილი** კაცსა გააჭურვებს, სტომაქად გვიან გავა, მუცელსა შეკრავს და ტყირასა გაადიდებს, და გულის პირსა დააღობს, და კაცსა გაასუქებს. **ღვინო მწარე** მჭურვალია, საჭმელზედა და მარგე, საჭმელს მოადნობს და

შეკრულსა მუცელსა გახსნის. მსუქანსა (184r) კაცსა უკედ მოუკდების. **ღვინო რომე მოუდულებლად** დადგომილ იყოს, ისი მაშენე არის, ფიცხლა მოიდნობის, მაგრამ კაცსა ადრე დაათრობს, მისი მახმურობა ცოტა იყოს, გულსა გაამხიარულებს, სისხლი დაწმინდოს, გულსა და ტანსა ძალსა მისცემს. **ღვინო ახალი სტომაქსედან ქარიანი** არის, სტომაქსედა გვიან გავა ფერად ფერადსა სიზმარსა უჩვენებს, ტვინსა, ტანსა და მუცელსა დააღბობს, ბევრი ღვინის სმა და ყოველთჳთ სიმთვრალე მეტად ავი არის. დაჩეუულსა კაცსა უსმელობაც აწყენს. **სხვა რაღც ღვინოსა რგება აქვს** და ან წყენა შეუძლია ის ყველა დიდსა კარაბადინშიდან სწერიან.

ზეთი, ჯავზი და ინდისა რაღ დაძველდეს მკურვალე არის, წელთა ტკივილსა არგებს, ფსმასა ძალსა მისცემს, მაგრამ სტომაქსა აწყენს, ასრე უნდა დანაყო, წყალშიდან მოხარშო და ზეთი მოჴადო.

(184v) **ზეთი ბაბუნაჯისა** მკურვალე არის კაცისა ტლეთა შიგან იხმარების. მისი შექნა ასრე უნდა. მოიღე ოცი წილი ტკბილი ზეთი და უღბო, ვარდი და ბაბუნაჯი, ექვს ექვსი წილი, ჩრდილი ჩრდილსა გაახმე, ორმოცსა დღესა მზესა შიგან და მერმე იჴმარე.

აწე მკურვალე და ჴმელი მოგახსენოთ რაღც ფერი **ტრედი** არის. ყველა მკურვალე არის და ჴმელი, მისი ჴორცი მოხარშული, მუხუდო და ცერეცო სტომაქსა და მუცელსა დააღბობს, კოლინჯსა და ჴურგის ტკივილსა არგებს, თესლსა მატებს. ხარშო, შექნილი წვენი, უმფრო ჴორცი ჩიტისა მიდვრისა, შინაურისა, კლდისა, მკურვალისა და ჴმელი, კაცისა ტანი გააჴურგოს და თესლი მატოს, და ბარტყი და ტვინი უფრო მატებს. კაცი გრილი იყოს ხარშოდ შექნილი არგებს და სტომაქსა დააღბობს. იყოს ხაწილი და გამჴმარი, მკურვალე და ჴმელი, (185r) და გვიან შეერგოს, თუ გაათბონ, მკურვალე იყოს, ასრე უნდა, ჴორცი ახლიწოთ და ძმარშიგან ჩასდვათ, და მერმე გაახმოთ, ისრე უკედ მოიდნობის, მარილიანი იყოს თუ უმარილო. ვინცა ამა ჴორცსა ბევრსა სჴამს, ბევრსა სენსა გამოაჩენს. ვისცა სისხა დიყისა სჴირს მას არგებს. ჴმელი ჴორცი წყალშიგან ჩასდვა ერთსა დღესა და ღამესა, და მერმე მოხარშონ, ანუ ერბოთა, ანუ ახლითა ქონითა, ანუ ჴაკუნტლისა ფურცლითა წყალშიგან ნადები და აგრე ჴამონ კარგი იქნების.

გველთევზა რომ ჴქვიან ავია, მაგრამ გუნება გრილი, კაცისათვის მკურვალე და ჴმელია.

სამარხო ღობიო მკურვალე არის და ჴმელი ტანსა კარგათ არგებს, ძმრითა აჴამო უზმასა ჴიასა მოჴკლავს მუცელშიგან, მაგრამ თავსა ატკივნებს.

სადანაჯი კანაფის თესლი მჭურვალეა და (185v) და კმელი, კაცმა ბევრი სჭამოს თავს ატკენს, და სტომაქთა გვიან წავა, მოკალული უმფრო არ აწყენს.

ბოსტნეულთაგან ნიახური თესლიანად მჭურვალე და კმელია, უკეთესი ის არის გული ცარიელი იყოს, და ღერი მისი მოთეთრო იყოს, ქარსა გასტეხს და სისხლსა არგებს. უფრო მისი თესლი ბალღამსა, იარაყანსა, კველასა არგებს, პირი რომე ჰქაოდეს გაამრთელებს, სტომაქსა კარგად მოუკდების, კელ ფეკსა დახეთქილსა დააღბობს და არგებს, ორსულსა დედაკაცსა არ ეტყების, ამისთვის რომე რქესა დააკლებს.

რაზიანა კამა არის, მჭურვალეა და კმელი, ადრე მოიდნობის, ღვიძლის შეკრულობასა გატყნის, ზისხასა კარგად მოუკდების, ფუშშიგან ქვა ეღვას იმას დაუმსხვრევს, ბალღამსა და ცხროსა უშველის, უფრო მისი თესლი და მისი წვენი თვალშიგან გამოივლოს, თვალისა სინათლესა უმატებს, დედაკაცსა რქეს მოუ- (186r) მატებს, თესლი უკეთესი არის, რომე ფერად მწვანე იყოს.

ქარასა პრასასა ჰქვია, მჭურვალეა და კმელი, მოხარშვისაგან სინედლე მიეცემის. ნუშის ზეთითა შექნან და კოლინჯსა და ბალღამსა არგებს, სტომაქსა დააღბობს, სისხლსა დააწყნარებს, მისი წვენი და მისი თესლიცა მჭურვალე არის და კმელი.

ნიორი მჭურვალეა და კმელი, უკეთესი ის არის, რომ ახალი იყოს, კაცსა გააჭურვებს და წამოაჭიხებს. ველური უძლიერესი არის შინაურსა, რომ დანაყო, რომ შეასვა სიქანგუბინითა, ერგების ტყირპთა და რომ გატყედით იყოს ცხვირშიდა, მაშინ არას არგებს, თავსა ატკივნებს, ერთობ მსუქანისა კორციითა უნდა ჭამოს.

მლოგვისა თარასა პრქვიან, სტომაქსა გააჭურვებს, მჭურვალე არის და კმელი, საჭმელსა მოაქარვებს და მოადნობს ღვინისა ნასვამსა კაცსა (186v) რომე სული უდიოდეს სამი მარცვალე შესჭამოს, სული აღარ ედინების.

პიტნა სტომაქს გააჭურვებს, საჭმელსა ფიცხლა დააღბობს, მუცელში ჭიას მოჰკლავს, კაცსა კარგს ძალს მისცემს, თაფლის წყალი გაურიო და ყურში ჩაუშვა, ქშინვას უშველის. სხვა მრავალი ხასიათი უწერია. ცოტა სინედლეცა ახლავს. ველური პიტნა მჭურვალეა და კმელი.

ერთი ხასიათი აქვს **წყლისაცა ტარხუნისა**. მწვანე ბოსტნისა იყოს. **აყირყარა მთის ტარხუნას** ჰქვია. მჭურვალეა და კმელი, მეორესა დარაჯაშიგან, მაგრამ დედაკაცთან წოლას აკლებინებს. ამისთვის გრილსა უძახიან, სიკმესა კარგათ მოუკდების, პირსა კარგსა სულსა მისცემს,

მაგრამ სტომაქიდაღმა გვიან გავა, პირის სიმსივნესა არგებს. ბევრის ჭამა კისერსა ატკენს.

წიწმარიტი მკურვალა არის და კმელი, მეორესა დარაჯაშიგან ცოტა სინედლე აქვს, ფიცხლა მოიდნობის და ქარსა გამოაჩენს (187r) და თავსა ატკივნებს, და სტომაქისა ტკივილსა უშველის, და მუცელშიგან მრავალსა ჭიასა მოჰკლავს, მისი ფურცელი ძმრითა სჭამოს, მისი ნაწყენობა გააქაროს.

ჭაკუნტელი მკურვალა, ცოტა სიწმინდე აქვსა, გუნებასა გაავრილებს მისი ფურცელი და **ორფერი** ერთმანერთშიგან გაურივე და შეკრულსა კაცსა გახსნის, ძმრითა და ანუ ხარშოთა შექმნა შეკრულს მუცელსა გახსნის, და ძარღვსა, გულსა და სტომაქსა მოუღობოს, მისი ძირი და ფურცელი ბალღმინი, და ქარიანი არის.

ქონდარი მკურვალა და კმელია, ბალღმინსა, ქარიანსა კაცსა კარგა მოუჭდების, გუნება მკურვალესა კაცსა არ ეჭმების, თირკმელთ ქვიშასა გამოსწმენდს, კმელი თაფლითა შეაჭამო მუცელშიგან ჭიას მოჰკლავს, მუცლის სიმსივნისათვის კარგი არის, საჭმელსა მონადომებს.

სონიჯი (187v) **ღვალოსა** ჰქვიან, მკურვალა და კმელი. თუ მოვალთ ძმრითა და უსუნო, სურდოსა უშველის. თუ დანაყო და აყიროსა თესლიცა შეასვა ჭიასა გაიდებს, თავი თუ სივრილისაგან სტკიოდეს მისი წვენი ცხვირშიგან ჩაუშვა უშველის, და ძმრითა მოადულო პირშიგან ჩაუშვა კბილის ტკივილსა უშველის. მისი ზეთი ცხვირშიგან ჩაუშვა ფილენჯსა უშველის.

ხილი **ხურმა ასრაუთო** ჰქვიან, მკურვალა არის და კმელი, ახალი და კმელი ერთი არის და ერთი ხასიათი აქვს. კაცსა მისგან სველი, შავი სისხლი.

ზეთი **ნიგუზისა** მკურვალა არის და კმელი, თავისა და კისრის ტკივილსა მოუმატებს, პირსა გაუმწარებს, სტომაქშიგან სწორი არის, ბალღმისაგან გახსნით იყოს, შეჰკრავს, მოუმატებს. ღვიძლი ცხლად ჰქონდეს მას აწყენს, ანუ თვალი, ანუ თავი, ანუ ცხვირი სტკიოდეს (188r) ნუ სჭამს, სტომაქი სწორი იყოს, მას გაასუქებს.

ღელვი კმელი და მკურვალე არის, პირველსა დარაჯაშიგან შუასა და ბოლოსა კმელია, ცოტა სინედლეცა ჰყვების.

წაბლი მკურვალეა და პირველსა და შუასა დარაჯაშიგან კმელია, მოწამე მისი სიმკურვალისა მისი სიტკობო არის, ტანსა ცოტად ერგების, თესლსა მატებს, მუცელს შეჰკრავს, ბევრის ჭამა თავს ატკივნებს, ამისთვის რომე სიცხესა თავშიგან გაიდებს. თუ წყალშიგან დააღბოს და აგრე

სჭამოს, უკედ ერგების კაცისა ტანსა მკურვალესა, კაცსა შაქრითა აჭამო და გრილსა თაფლითა.

აწე სწორი საჭმელი მოგახსენოთ: **ხვარბალი**, კორცთაგან **ქათამი** პირველსა დარაჯაშიგან მისი სიკმე და სინედლე სწორია, ამისი მოწამე ის არის, მისი საფუარი შექნა საჯდომსა ზედა დასდვა. პირსა გამოაღებინებს (188v) და სიმსივნესა დასვამს. პურად ბევრად რიგად გამოცხვების. სხვადასხვა ხასიათი აქვს დიდსა კარაბადინსა სწერია. უკეთესი ეს არის, პურად იყოს საფუერთა კარგათ გაფუებული, მარილითა შეზიდუ, თორნესა შიგან გამოაცხვე, სხვასა ესე სჯობს სწორი არის, ლაგაშათ.

ბრინჯი. ჯალინოზის ჟამშიგან საცილებლად შექნილა, რომე ზოგთა თქვეს თუ გრილი არისო³⁴⁴ და ზოგთა თქვეს თუ მკურვალი არისო, და სიცხითა და ის სიგრილითა საჭმელად რბილი, და კარგი არის, სტომაქსა კარგათ მოუკდების, სხვათა მარცვალთაგან ეს უმფრო ძალიანი არის. სტომაქით გვიან გავა, წყლითა ახლითა, ნუშის გულითა და ზეთითა უნდა შექნა, უკეთესი ეს არის, ერთს ღამეს რძითა დააღბო და მერმე მსუქნითა კორცითა შექნა, კარგი იქნების, კაცსა გაასუქებს და მუცელსა გაურბილებს, მისი წყალი სტომაქსა დაამაგრებს. თუ ჩილაგად შექნა უხეთო (189r) და უმარილო, გახსნით რომ კაცი იყოს შეჰკრავს.

ოსპი სწორია, პირი სიგრილისაკენ აქვს. ქერქით მოხარშული მუცელსა დააღბობს და თუ მუდმად სჭამოს კაცისა ძალსა აზიანებს, და თვალთა დაუბნელებს, ფსელსა შეჰკრავს. თუ ქერქამძერალი მოხარშო, უწვენოდ სჭამოს, გახსნილსა მუცელსა შეჰკრავს.

აწე გრილი მოგახსენოთ საჭმელი **ზეთითა ნუშისა** ტკბილისა სწორეა.

თიკნის კორცი უფრო გრილია და ნედლი.

კრავის კორცისაგან გუნება მკურვალის კაცისათვის კარგი არის, კაცსა სისხლსა ჩაუყენებს.

თხის კორცი გრილი არის, მკურვალეს კაცისათვის კარგი არის, მაგრამ აქიმებს და ბრძენთა კაცთა მწვედ ავად უხსენებია. მთვრალმა კაცმა რომ სჭამოს მრავალი სატკივარი დაემართების და თუ სჭამოს მუხუდლთა, თაღვითა და ხახვითა ზედან კარგი (189v) ღვინო სვას.

ბუწის კორცი, ერთის წლის თოხლი, კარგი საჭმელი არის, კარგსა სისხლსა ჩაუყენებს და არც ნედლი არის, არც კმელი. სევდას უშველის, კაცსა ძალსა მისცემს, სტომაქს გააჯურებს, მამაცობას მოუმატებს. გუნება გრილმა კაცმა უნდა სჭამოს, შემოდგომისა პირსა უნდა სჭამოს. თუ კაცი

³⁴⁴ „ზოგთა თქვეს თუ გრილი არისო“ გამეორებულია.

მოწიფული მკურვალე იყოს ანუ კოწახურითა და ანუ ძმრითა, ანუ ტყემლითა, ანუ ისრითა მოხარშული სჭამოს. თეთრს წითელი უფრო მკურვალე არის და წითელსა, შავი უმფრო მკურვალე არის.

ასოთაგან ტვინი ყველა გრილია და ნედლი. სტომაქისათვის ავია, გაასკელოს და საჭმელი არ მოუნდეს. მისგან ბაღდაში გამონდეს.

ძვლებისა ტვინი მსუყე არის, სტომაქსა მოაღბობს, რადც სჭამოს³⁴⁵ პილპილითა და ქონდრითა სჭამოს, კარგათ ერგების გუნება კმელსა კაცსა.

თევზი ყო- (190r) ველი ფერი ახალი, ნედლი და გრილია. მარტოს მკურვალსა კმელსა და ზაფრიანს კაცსა კარგათ მოუჭდების. გრილისა და ბაღდაშიანის კაცისათვის ზიანი არის. ბრძენთა და აქიმთა თქვეს წითელ წითელი რომ აწინა, ის თევზი სჯობს სხვას თევზსა. სხვას ასრე უთქვამს და ჩემის უმეცრებითა კალმახი ზუბუქი და გრილი უნდა იყოს. თევზი წვრილი სჯობს სხვილსა, მდინარისა დიდისა წყლისაკენ, გრძელი ქვიშიანი იყოს. კალამში და ლერწამიანისა ტბაში რომე იჯდეს იმას ისი სჯობს. ლურჯი თევზი კიდევ კარგი არის. თევზი თბილი სჯობს ცივსა, შემწვარი, მლაშე, მარილიანი, რად გინდა ძველი იყოს ისი სჯობს. ზღვის თევზი უმფრო მძიმე არის მდინარე წყლისაგან. შიგნეული უფრო მძიმე არის, გულსა აურევს კაცსა. ძმარი, პიტნა, კულიავი ურთე და ისრე ა- (190v) ჭამეთ. თუ გინდოდეს შეკრას, ძმრითა აჭამე.

ყოველი ფერის რძე შეკრებით გრილი არის და ნედლი, კაცსა შეკრავს, მძიმე არის, სტომაქით ძნელად გაავა. თუ ვინმე მოიდნობს კარგათ ერგების ტანსა. კამბეჩის რძესა ძროხისა სჯობს. მკურვალისა კაცისა სტომაქშიგა რძე ყველად შეიქნების და რჯას დაუწყებს, და არ მოასვენებს. სტომაქსა ბაღდაშიანის კაცისათვის ყოველი რძე ზიანი არის. ვისცა ქვა ეღვას და გული და ფირტივი სტკიოდეს ნუ სჭამს. თუ კაცმა რძე სჭამოს და ზედან ღვინო სვას და საჭმელი სჭამოს, ის სამივე სწორად შეიყრების და რძე საჭმელსა და ღვინოსა ააყროლებს. თუ სჭამოს დილეულად მოიდნოს, რომე სხვა საჭმელი არა გაურიოს ანუ ძმრითა, ანუ თაფლითა, ანუ შაქრითა, რომე ყველად არ შეიქნას. ესეცა უნდა შეიტყოს, ყოველის შხამიანისათვის (191r) რძე კარგი არის. რძე აქლემისა ყველასა სჯობს, ღვიძლსა გასწმენდს და ცხელებასა უშველის.

მაწონი თხისა ზუბუქია და ზროხისა მძიმე არის. უკეთესი ეს არის, ზროხამ რად ვბო შობოს, ორმოცამდის არ მართებს ჭამა მაწონისა, ანუ სადაფის ფურცელი ნიახურითა, ანუ პიტნითა ურთე.

³⁴⁵ „რადც სჭამოს“ გამეორებულია.

დო მუავე ვისცა ღვიძლი სტკიოდეს, სტომაქი და ღვიძლი ცხლად
ჰქონდეს სჭამოს ანუ ნიახურითა ანუ პიტნითა, ანუ სადაფითა.

მაწონი სჯობს რძესა და დო სჯობს მაწონსა.

ახალი ყველი გვიან მოიდნობის. თუ ჩაღხა მოიდნოს გაასუქოს. კაცი,
რომე გუნება მჭურვალე იყოს, თუ კოლინჯი სჭირდეს ზიანი არის. ჳმელი
ყველი საჭმელად მაშენე არის³⁴⁶. თუ მოუნდეს ცოტა საჭმელს უკან
სჭამოს, სტომაქად აწყენს, კოლინჯსა და ქვას გამოაჩენს და მისსა
სატკივარსა არა წამალი მოეკიდების.

ერბო ზროხისა გულსა და სტომაქსა მოაღბობს. გულის (191v)
სატკივარსა არგებს და სტომაქსა აწყენს, და თირკმელსა გააჭურვებს. და
შხამიანის წამალი არის.

ზეთი იისა გრილი არის და ნედლი, სიჭმესა გარაუგდებს ასოებსა
ყველასა დაუმაგრებს მოსავლელად გაიყვანს, ძილსა მოგვრის. აყროზისა
თესლითა და ნუშის ზეთითა იხმარე და ასრე უნდა შექნა: მოიღე ზეთის
ხილის ზეთი, იასა ზედა დაასხი, იიასა ჭიქასა შიგან ურივე, დასკედდეს.
ორმოცსა დღესა მზესა ქვეშე შედგი, მის უკან იჭმარე.

ზეთი ლულუფრისა გრილი და ნედლი არის, როგორცა იის ზეთისა
შექნა, ისრე ამას უნდა და ხასიათიცა ერთი აქვს.

ზეთი ვარდისა გრილია და მეორეს დარაჯასშიგან სისწორეზედან დგას,
ცოტად შეკვრილია, სიმჭურვალისაგან ცხვირი გაჭედით იყოს მას
უშველის, ჭკუას მოუმატებს, სიმჭურვალისა სიმსივნესა არგებს. მისი (192r)
შესმა და შეჭმა. მისი სიგრილე იის ზეთსა ჰგავს, ზაფრას დასვამს. მოიღე
წითელი ვარდი და დაარჩივე ფურცელი, და ერთი ლიტრა ზეთის ხილის
ზეთი დაასხი ზედან, აურივე ერთმანერთშიგან და ჭიქაშიგან ჩაასხი, პირი
მოუკარ და ორმოცსა დღესა მზესა გაუდგი, და მას უკან იჭმარე.

ზეთი ტბილის ნუშისა რბილი და სწორია, ჳველას არგებს და
ბუშტისა, და გულის ტკივილსა არგებს. სტომაქსა კარგათ მოუჭდების,
შეკვრით იყოს გაჯნის. მოიღე ნუში რა ერთიც გინდოდეს და
ცეცხლზედან მოხალე და გაართვი, ქერქი შემოსწმინდე, მერმე დანაყე და
დაზიდე, ზეთი გამოვა. თუ შესაკრავათ გინდოდეს ანუ წაბლისა ანუ
თხილისა გული გაურივე და მუცელსა შეჭკრავს.

ხასიათი ვარდის ზეთისა ცოტად შემკვრელია და გრილი დარაჯასშიგა
(192v) სისწორეზედა დგას, სიმჭურვალისაგან რომე ცხვირში გაჭედით
იყოს მას უშველის და ჭკუასაც უმატებს, და ცხვირსა ძალს მისცემს,

³⁴⁶ „არის“ გამეორებულია.

სიმკურვალისა სიმსივნესა არგებს. მისი შესმა და შეჭმა შიგნით გარეგანსა მდერსა რომე წყლული ეწოდენ მას უშველის. ზაფრასა დასვამს და ტანი რომე ჰქაოდეს და შესცხო მას უშველის, მდერსა გაახმობს მისი სიგრილე იის ზეთისა სიგრილესა ჰგავს. ვარდის ზეთის შექნა ასრე უნდა, მოიღე ვარდის ფურცელი რად ერთიც ზეთი იყოს იმისი წონა ვარდი ქენ ერთმანერთსა გაურივე, დატყლივე და ჭიქაშიგა ჩაასხი და რად მოგინდეს იკმარე.

აყიროს ზეთი გრილი და ნედლი არის. ცხვირში სიმკურვალით იყოს, მისი ძირი ცხვირში გამოივლოს. თავი ძმრით დაიბანოს, თავსა ბრუ ესხმოდეს მილახულიანსა ერ- (193r) გების სრულად ტანისა სიმკურვალესა არგებს: მოიტანე აყირო, ახალი ქერქი შეფხიკე, დანაყე და გამოწურე, და მისი მეოთხედი რძე დაასხი, მოადუღე იმ წვენითა. მანამდის ადუღე რომე წვენი წაუვიდეს და რძე დარჩეს. აყიროს თესლი გასწმიდე ქერქისაგან და მწვედ დანაყე, და ამ თბილს წვენშიგან ჩაჰყარე. მერმე შეტყლივე და შეუსვი ჯელი, რომე ზეთი გამოუვიდეს.

ზეთი ტკბილი ნუშისა კარგი არის და რბილი, და სწორი და კველას უშველის, ბუშტისა და გულის ტკივილსა არგია. შეკრვით იყოს გასხნის, სტომაქსა კარგა მოუკვდების. მოიტანე ნუშის გული, გამკმარი არ იყოს მოაკმე, დანაყე, მანამდის ზიდე, რომე ზეთი გამოუვიდეს.

ზეთი სელისა მკურვალისა და რბილი, კაცსა სტომაქსა დაუღობს და კარგათ მოუკვდების, კოლინჯისათვისცა კარგია არის.

ბაკლა სხვილი ცერცვი არის, გრილი და ნედლი, რბილი და კმე- (193v) ლიც არის, სტომაქათ გვიან გავა. ცოტა ქარი იცის, ქონდრით სჭამო ქარს გასტეხს, ბერძულის ზეთითა ანუ ნუშის ზეთითა, ზედა პილპილა, კულიავი მოაყარო და ისრე სჭამო კარგია, და გასწმენდს. უკეთესი ახალი დაღერდილი ძმრითა შექნილი ანუ ერბოთა, ანუ ზეთითა, ანუ ქონდრითა, ანუ ძირათა აჭამე.

ხილთაგან ვაშლი მრავალფერი არის და ტკბილის მეტი სხვა გრილი და ნედლი არის. მკურვალესა და ზაფრიანსა კაცსა კარგათ მოუკვდების. ტკბილი ვაშლი აწყენს და მუცელსა შეჰკრავს, გულსა კარგათ მოუკვდების და ქარიცა აქვს, ვაშლზედა კარგი ღვინო შესვას და ცივი წყალი აწყენს. კმელი ვაშლი გვიან გავა სტომაქითა.

ატამი გრილია და ნედლი. მჟავესა, სველსა ბალღამსა შეუქნის. ასრე უნდა უზმამან ჭამოს და ზედან წყალი შესვას, ანუ კარგი ღვინო, სხვა კ- (194r) მელი უმფრო მძიმე არის ნედლისაგან.

ქლიავი გრილია და ნედლი, ტანსა კარგათ მოუკდების, სტომაქს გაანედლებს, თუ გახსნის ზაფრა გაილოს და ცხელებასა უშველის. გუნება მკურვალესა კაცსა კარგათ ერგების და გუნება გრილმა კაცმა თუ ბევრი სჭამოს ზედა თაფლწყალი სვას, რომე სინედლე წაილოს. თეთრსა და სხვა ფერსა შავი სჯობს.

ბროწეული მჟავე გრილია და ნედლი, თესლსა მატებს, თვალშიდ გამოსავლებლად კარგია, თვალი რომე იარაყინისაგან გაუყვითლდეს მას უშველის. მისი მარცვალი რომე ზაფრისაგან იყოს, გახსნით იყოს, მას შეჰკრავს. თუ დასწურო მისი კურკითა და შეასვა ზაფრისაგან შეკრვით იყოს მას გახსნის, გუნებასა განაძლიერებს, სტომაქსა და ღვიძლსა დაამაგრებს. თუ ბროწეულის ქერქი ღვინით მოაღულო და შეასვა. ნაწლევიშიგან რადცა ჭია არის (194v) მას გაიღებს.

დიდი ბრძენი ბაგრატ იტყვის, ვითა ერთი დედაკაცი მოვიდა ჩემთანო ზაფრა ჩასვლოდა სტომაქთა შიგან და ნიდაგ ბნდებოდაო. მერმე მჟავისა ბროწეულისა წყალი შევასვიო და ქერისა კალი მივეციო, და ბროწეულისა წყალმან ზაფრა გასწმინდაო, და სტომაქსა ძალი მისცაო, და ქერისა კალმან სტომაქი გასწმინდა.

აწუ ბროწეულის ჭამისაგან წამლად უმფრო მოიკმარების, თუ ბევრითა ჭამითა აწყინოს ზანჯაფილი ფარვადა ჭამოს, რომე მისი ნაწყენი წაილოს.

კართუთა წითელი და დიდრონი მჟავე და გრილი, და ნედლი არის, მუცელსა შეჰკრავს, სტომაქსა დაამაგრებს, გულსა გახსნის, მაგრამ ფსელსა მატებს, სტომაქსა სიცხისაგან და სიმკურვალისაგან რომ სტკიოდეს მას უშველის, თუ მაძღარმან ჭამოს, გუნებასა აშლის.

ნესვი გრილი და ნედლი, მწიფე (195r) მესამესა დარაჯასა სრულად მწიფე მუცელსა შეჰკრავს და ხშირად აფსმევენებს. მისი თესლი სჯობს მუცელთა, თირკმელთა და ბუშტშიგან ქვა იყოს, მას გაიღებს და გასწმენდს.

რად კაცმან ჭამოს ფიცხლა მოიდნობის, მაგრამ ზაფრად გარდექცევის, ყოველის ფერისა სენისა აშშლელი არის. გრძელი ნესვი სჯობს მრგულსა, მწიფე სჯობს. თუ გუნება მკურვალემან კაცმან სჭამოს, ზედან სიქანგუბინი სვას, და თუ გუნება გრილმან კაცმან სჭამოს ზედან კარგი ღვინო სვას. ვისაც ცხრო სჭირდეს ნუ სჭამს ავი არის და გუნება გრილსა კაცსა აწყენს. მისი ქერქი მძიმე არის, სტომაქითა გვიან გავა, მისი ქერქი შუბლზედან დაიკრას თაფიდაღმან, რომე შავი წყალი ჩამოვა, მას უშველის თვალშიგან. ნესვი, რომელსაცა ხილშიგან გაერევის პირსა წააგდებინებს. თუ თირკმელთა და ბუშტშიგან სენი (195v) იყოს ნესვსა პურთანა ნუ

სჭამს, თვარამ სხვას ადგილსა რომ სატკივარი იყოს ბუმტშიგან მიიყვანს, ამის ზიანსა ყველასა სიქანგუბინი გაიდებს ანუ ისრიმის წვენი მას უკანით რადც საჭმელი სჭამოს, ნესეხედა ყველა ისრიმითა სჭამოს.

საზამთრო გრილია და ნედლი, სხვის ნესვისაგან უფრო გრილია ზაფრასა გასტეხს. სტომაქისა სიცხესა და ტანის სიმკურვალესა გაიდებს, კაცისა სტომაქი მკურვალე და კმელი იყოს იმას ერთობ ერგების. თუ ერთობ მისითა ჭამითა ან თავის ტკივილი და ან სხვა რამე ტკივილი გამოჩნდეს, მუავე ბროწეული და ისრიმის წვენი სჭამოს და ის განაქარებს.

კიტრი ორფერი არის, ერთსა შანგური ჰქვიან, გრძელი არის და მოდრეკილი. ორივე გრილი არის და ნედლი, და მესამესა დარაჯასა და ყვანასა დარაჯასა, კიტრი უფრო გრილი შანგურისაგან სტომაქშიგან სველსა და (196r) შავსა ბაღლამსა შეუქს. მართებს, რომე კაცი ფრთხილად იყოს და არ ჭამოს და თუ ჭამოს წვრილი კიტრი ჭამოს. თუ ბევრი ჭამოს ცხელებას შეუქს, მისი გული სნეულის კაცისათვის მკურვალისათვის კარგი არის. გუნება გრილის კაცისათვის ავია და ავად მოუქდების. თუ ჭამოს, ზედ კარგი ღვინო სვას.

აწე გრილი და კმელი მოგახსენოთ: **ქერი** გრილი და კმელი არის, პირველსა დარაჯაშიგან თუ დანაყო და ქერქი შეადრო, და წყლით მოხარშო, გრილი და ნედლი შეიქნების, მაშენე სნეულთათვის მისი პური უმფრო სუსტია. იფქლისაგან კორცთა არას მატებს, მკურვალესა სენსა გასწმენდს, ქერის წყალი სჯობს ხვარბლისასა. ქერისა ახალიცა გრილია და კმელი, მსუქანთა უნდა ჭამონ, რძითა შექნილი სჯობს. ზუბუქი არის და ადრე მოიდ- (196v) ნობის.

ფეტვი ახლისა გუნება ერთი არის, პირველსა დარაჯაშიგან კმელი გვიან დადნების, სტომაქშიგან კაცისა მუცელსა შეჰკრავს, ფსელს მოუმატებს. თუ რძითა და ანუ ნუშისა ზეთითა შექნა ისი სჯობს. გუნებასა არ შეჰკრავს. მისი პური ცოტათ ერგოს, სტომაქი შეჰკრავს, მუცლიდაღმან გვიან გაიღოს.

მაშა რომ ჰქვიან გრილი და კმელია. კაცის რბილი იყოს ძირათ აჭამე, ბაკლას ხასიათი აქვს. მოხარშული თუ დაღერღონ შექნან მუცელსა შეჰკრავს.

ქინძი კმელი და გრილი არის, ძარღვებშიგან ცხელად იყოს მას არგებს. თავსა და ტანშიგან ცხელად იყოს და მძიმედ, მას გამოიღებს. ბევრის ჭამა ჭკუას აკლებს.

ხილთაგან ისრიმი გრილი და კმელი. მისი წვენი ზაფრასა დასვამს და კაცი რომე გუნება გრილი იყოს და კოლინჯიანი მას აწყენს.

სხალი მრავალფეროვანი არის, რომელიცა მუავე არის, ისი გრილი არის და ნეღლი, და ქარიანი, ტკბილი (197r) უკეთესი არის, გვიან გაგა სტომაქითა, კოლინჯიანსა კაცსა აწყენს, მკუხე ერთობ ავი არის.

ბია გრილია და პირველსა დარაჯაშიგა კმელია, ბოლოკის სწორია, სტომაქსა გაამაგრებს, მუცელსა შეჰკრავს. ვინც სჭამოს, ცოხნოს, წვენი ჩანთქას და ჩენხო გამოავდოს, და ანუ სჭამ(სო)ს. ყოველ ხილსა ასრე სჯობს. თუ ვქმოდეთ ბრძენთა აქიმთა ასრე უბრძანებია: ბია, სხალი და ვაშლი მაძღარმან კაცმან უნდა სჭამოს. ბიის ბევრის ჭამა თუნხმს კოლინჯსა შეიქს, შემწვარი უფრო მარგი არის.

სამყი თუთუბოსა ჰქვია, გრილია და კმელი, წყურვილსა დააყენებს, ზაფრასა დასვაგმს, გახსნით რომ იყოს, შეჰკრავს, კბილის ძირსა დაამაგრებს.

კოწახური გრილია და კმელი, რადც თუთუბოსა უწერია ისე მას აქვს.

აწე ნადირის ჯორცი დაესწეროთ რადცა ამ თემსა ზის.

ჯორცი კურდღლისა მჭურვალის არის და სველსა სისხლსა მოუმ- (197v) ატებს. მისსა საჭამადშიგან ცერეცო და დარიჩინი ჩაყარო, ქარსა გასტყეს, თუ შემწვარი ზეთის ხილისა ზეთითა ანუ ნუშისა ზეთითა, ანუ ნიგუზისა ზეთითა გრილად რომ კაცი იყოს და სჭამოს, მას არგებს. თუ ძმრითა ანუ ნიორითა კალია შეჰქნა მჭურვალესა კაცსა მოუჭდების ...³⁴⁷ იცოდ.

ჯორცი ირმისა მძიმე არის და სველი ...³⁴⁸ მისი სატკივარი გამოაჩნდეს ავი არის. ზაფხულსა რომე მოჰკლან წყალი შორს იახლოს. მისი ჯორცი არ იტმების, თუ კაცმან დაიჭიროს შეინახოს, წყალი ასვას და რადც ამას წინათ კარგი ჯორცი გვითქვამს იმასთან იქნების. **ჯორცი შელისა და ირმისა ერთი არის.**

კურდღლის ჯორცი ასრე გააკეთე: უწინ მარლწყლითა მოხარშე წვრილად დაჭრილი, და მერმე ნიორი და ნიგოზი ერთად დანაყე, ძმრითა გახსენ, მოიღე გაწურვილი მაწონი და ესენი ყველა ერთმანერთსა გაურვიე, და ტილოშიგან გასწურე, და ამისი წვენი რაზომიცა იყოს იმ კურდღლის ჯორცსა დაასხი, ხახვი (198r) დააჭარი, ერბო ურთე რაზომიცა უნდეს, ამაებითა ერთი პირი კარგათ აღუღე, ამოიღე და რად მოგინდეს სჭამე. ამას სადაქსარი ჰქვია.

ფარშამანგის ჯორცი სრულად ზიანი არის.

საფათის ჯორცი მძიმე არის და მოუდნობელი, ჭამო ყელი და ჭიდვი.

³⁴⁷ არ იკითხება.

³⁴⁸ არ იკითხება.

ასოთაგან ლაშის თავის ტყავი მძიმე არის, კაცს არ ეჭმების, ყოლინჯსა შეუქს, თუ ზაფხულ ჭამოს ნაფასსა შეუქს. შიგნითი ფაშვი და წელები გვიან მოსადნობელი არის, მისი ბევრი ჭამა ბალღამსა უმატებს, თუ ჭამოს ძმრითა და სადაფის ფურცლითა, ნიახურითა და ძირათა მოხარშე. ტყირპი ავი არის, მისგან სეველა დაიბადების. თირკმელი გვიან მოიდნობის, მწარეცა არის. უწინ ფსელი თირკმელშიგან მივა და მერმე ბუსტშიგან გაიარს, მისთვის არ არის კარგი. გული მაგარი ჯორცი არის, გუიან მოიდნობის და როგორ კარგი საჭმელია ღვიძლი, კარგია მისგან ხელითი დაიბადების და მოემატების, ტყირპშიგან ავი არის. სხვის ღვიძლსა (198v) კრავისა სჯობს და თიკნისა ძვლებისა ტვინი მსუყე არის, სტომაქი მოალბოს, პური არ ეჭმების და თუ სჭამოს პილაპილითა და ქონდრითა, კარგა ერგების გუნება კმელსა კაცსა. ესეცა იცოდით ჯორცი შემწვარი რაგინდარა იყოს, მჭურვალი და კმელი არის, და მაგარი. ვინცა სტომაქზედა ავად იყოს და ყოლინჯი სჭირდეს მისთვის ზიანი არის.

ხილთაგან თხილი გრილია და მძიმე, ახალი უფრო ნეფლი არის, შაქრითა უნდა ჭამა, ქარსა, ბალღამსა და კოლინჯსა მოუმატებს, თუ კმელი არის თავსა და კისერსა ატკივნებს, პირსა გაუმწარებს, ენასა დაუძიმებს, ზაფრაკსა არევეს.

რკო სჯობს ნიგოზსა, უმფრო კმელი და ერგების.

აწ ესე მოგასხენოთ: ბერის კაცისა საჭმელი ტკბილი, მომსუქნო, რადც ფერი ტკბილი არის, ყველა კარგი არის და უზიანო, თაფლითა შექნილი. **ვაჟმა კაცმა** ტკბილი (199r) და თაფლიანი არ უნდა სჭამოს, რადსაცა სჭამდეს ზუმუმსა სწორსა საჭმელსა სჭამდეს. ორსულ დედაკაცსა და ვაჟსა კაცსა საჭმელი შეუწყვიტო.

ასრე ბრძანებს დიდი ბრძენი განილიე: ვითა კაცისა სიმრთელე და მრთლად ყოფნა დ(მერ)თის შეწვევითა კარგისა საჭმელისა შეწყობითა იქნების, რომე სენისაგან უშველოს. რად კაცი მრთლად იყოს, სიმჭურვალე და სიგრილე სწორად იყოს ერთმანერთშიგან გაერთებით, და საჭამადსა შეიწყობდეს კაცი მრთლად და კარგათ იქნების. ვისცა ნამეტნავად სიმჭურვალე და სიცხე მოერიოს მას მისმან მეპირისპირ(რ)ემან სიგრილემან უშველოს. ვისცა ნამეტნავად სიგრილე სჭირდეს, მას მისმან მეპირისპირემან სიმჭურვალემან უშველოს.

თუ კაცისა სტომაქი მჭურვალე იყოს და ძლიერი მას მიეც საჭმელი, მძიმე და სეფლი, და გრილი, ამისთვის რომე როგორაცა დიდი ცეცხლი მოერიოს, დიდსა ნედლსა შეშასა დასწვას, აგრევე მჭურვალი და ძა- (199v) ლიანი სტომაქი მოერევის და დაადნობს, მძიმესა და გრილსა

საჭმელსა. თუ იყოს კაცის სტომაქი გრილი და სუსტი, მას მიეც საჭმელი ზუბუქი და ცოტა, რომე მოერიოს, და მოიდნოს. თუ არა როგორცა დიდსა ნედლსა სოველსა შეშასა ცოტა ცეცხლი ვერ მოერევის, აგრევენ მძიმესა და სველსა საჭმელსა გრილი და სუსტი სტომაქი ვერ მოიდნობს, და დაასენიანებს კაცსა.

კარი საჭმელთა. მჟავისა, ტკბილისა, მწვავისა ზემო სწერია და სხვა.

აქ მოგახსენოთ **ხვარბალი** და **წაბლი** და **კურდღლის კორცი**, სქელი და მძიმეა. სიკმისა ბედითა მოხარშული ღვიძლი და მოხარშული კვერცი და მოდუღებული რქე სველი და მძიმე არის, ზროხის კორცი, ფაში და წელი სველი და მძიმე არის. **თაღვამი** და **კობოსტო** სველი არის, კმიადი პური, ფქვილი ერთობ შეზელილი მძიმე და სველი არის. **რადც ტვინი** არის ყველა სველი და მძიმე არის და ჭლიკი ენა და ბაგე მძიმე და სველი არის, (200r) და ღვინოსა შავისა ყურძნისა ტკბილი მძიმე და სველი არის.

აწე ეს მოგახსენოთ, რადცა უწინ მოიდნობის, ეს არის რომე რადც კაცსა გუნებით მოუდნების, ისი რომ სჭამოს, ის უკედ მოიდნობის, ქათამს, კოკობს ადრე მოიდნობს. **პირუტყვის კორცი**, რომელიცა ახალი არის ისი სჯობს და უწინ მოიდნობის, დიდისაგან ქათამსა და კოკობსა გარეთ თოხლისა, ბატკნისა კორცი უწინ მოიდნობის. სხვა, რადც ადვილად დაიცონების, ის უწინ მოიდნობის, ბერისა პირუტყვისა კორცი მალა უწინ მოიდნობის და მარჯვენა კერძი წინათი ადვილი, ნახევრისა წინათი, უწინ მოიდნობის, მარცხენისაგან და უკანასა კერძისაგან.

ფხალთაგან აყირო, ქოქი და ქასნი უწინ მოიდნობის, ტარხუნა ნიახურისაგან უწინ.

აწე რადცა მაზიანებელი არის ის მოგახსენოთ.

წელის ფრინველი ყველად მაზიანებელი არის, მინდვრის ფრინველი ყველად კარგი არის. წერო და საო- (200v) ვათი მძიმე და ძნელად და გვიან მოსადნობი არის. ნედლი მუხუდო და ნედლი ბაკილა მაზიანებელი არის.

აწე მკურვალე საჭმელი მოგახსენოთ: მუხუდოს წვენი ზეთის ხილისა ზეთითა, ანუ ახლითა ერბოთა, მაშინ რომე უფრო რომე ქონდრითა ჭამოს. ხარშო ჭავჭავისა და კაკბისა კორცითა, და ტრედის კუნდითა ხარშოდ შექნილი. ერთისა წლისა თოხლი ცხვარი, მსუქანი ჯეირნის კორცი ზირაქიმანითა, კულიავითა, სადაფის ფურცლითა, პილპილითა რომე ჭამო, ასპანახითა, ქონდრითა, დარიჩინითა, შაქართა, თაფლითა, ნედლით ხილითა ჭამა. ესე ყველა მკურვალე არის ბრძანებითა ღ(მერ)თისათა.

აწე რადცა საჭმელი ვმელია ის მოგახსენოთ: კორცი შემწვარი ყველად აგია. კამითა, ძმრითა, ნიორითა, სადაფითა, ქონდრითა და კვლიავი,

მუზაფარი რომე ჟამსა და ჭაკუნტლის ფურცლისაგან შექნილი იყოს ზეთის ხილისა ზეთითა. გაზრდილი პიტნა, (201r) ტარხუნა, მინდვრისა მფრინველისა კორცი როგორაცა კაკაბი, გნოლი³⁴⁹, კოკობი, ჭავჭავი. ესე ყველა კმელი იყოს სინედლე არა ემატოს.

აწე ნედლი საჭმელი მოგახსენოთ. ნესვი, საზამთრო, კიტრი, ქლიავი, ნედლი ტუტათ, ნესვი და ასპანახი, ნედლი ბაკილა, ნედლი მუხუდო, ნედლი ნიგოზი, ნედლი ურნაბი, ნედლი ნუში და ქერის წყალი. ეს რადც წყლითა შექნილი იყოს, ყველამან კაცისა ტანსა სინედლე მისცეს. კორცი, რომე ტყავ გაკვდილი მაშითა შექნა, აყიროთა და ასპანახითა, და ნუშის ზეთითა შექნან, და ახალი ყველი, და კორცი თიკინისა უნდა გვერდისაგან, რომე შექნან შინაური კორცი უფრო ნედლია, გარეულისაგან.

აწე გრილი საჭმელი მოგახსენოთ, რად მუავე იყოს და სველი, გრილი, ახალი, თეთრი ღვინო მარგი არის, ამად რომე არა დამუამბულა. ქოქი და ქასნი, და ვაშლი, ბროწეული და ჩინური (201v) სხალი, საზამთრო და კიტრი, ეს ყველა გრილი არის ნებითა ღ(მერ)თისათა.

აწე ეს მოგახსენოთ, რომე საჭმელმან მუცელი გაარბილოს. რადსაცა საჭმელსა სიტკობო ჰქონდეს ანუ სიმწვავე, ანუ სიმლაშე. ამან მუცელი გაარბილოს, ოსპის წყალი და კომბოსტოსა წყალი, და მამლის ქათმისა წვენი, ჭაკუნტლისა ფურცელი, რომე წყალშიგან აღარ იყოს, აყირო და ასპანახი, ნესვი და ლეღვი, და ტუტა ნედლი ნიგოზი, ნედლი ქლიავი, რომე ჯულაბითა აადებინო, ახალი და წითელი, და ულბოსა წვენი თაფლითა, ესე ყველა მუცელსა და გუნებასა გააგრილებს ღ(მერ)თითა.

აწე ესე მოგახსენოთ რომე მუცელი საჭმელმან გააკმოს და გუნება. კომში და სხლისა კვანახი, ხურმა, ფშატი და ნარდანგი, ახლად მოკალული იყოს, კოწახური და თუთუბო, და დო, უფრო მაშინ, რომე დო მოადულო და მოდულებული ყველი, კმელი, მოხარშული ფეტვი, ეს ყველა მუცელსა შეჰკრავს და გააკმობს. მუავე ბროწეული მუცელსა შეჰკრავს. (202r) და ოსპი, რომე სამჯერ მოადულო, წყალი გამოუცვალო, მეოთხედ ახლითა წყლითა მოადულონ, ისი თუთუბოთა და ანუ კოწახურითა აჭამო, მუცელი გააკმოს და შეუკრას, მოხალულიცა ნუში მუცელსა შეჰკრავს. კომბოსტო როგორაცა ოსპი ასრე მოადუდე, აჭამე და ისიც შეჰკრავს მუცელსა, და ნედლი ბაკილა, და ანუ ქასნი, ძმრითა მოადულონ და მუცელსა შეჰკრავს.

³⁴⁹ ტექსტშია „გლონი“.

აწე ქარიანისა საჭმლისა მოგახსენოთ. მუხუდო, მრგვალი ბაკილა, ოსპი, მაში, ქერქითურთ ქარიანი არის, თუ ამათ ტყავი შეადრო და მოვლო, ქარიანი არ არის. რძე და მისი საჭამადი, გაუწმენდელი თაფლი ქარიანი არის, მაგრამ მისი ქარი ფიცხლა წავა. ყურძენი და ვაშლისა, და სხლისა, და ტყემლის ჭამა ყველა ქარიანი არის და ნედლი ლედვი ქარიანი არის და მაწონი, და დო, და მჟავე ისრიმი, ერთგან ჭამო ისიც ქარიანი არის.

აწე ესე მოგახსენო, რომე საჭმელი სტომაქმან ფიცხლა ააყროლოსა. ტყემალი, ნესვი, (202v) ტუტა, აყირო, თუ სტომაქშიგან დარჩეს ავი სენი არის, მისგან რომე გამოჩნდეს ადრე აყროლდეს სტომაქშიგან, ამას ასე უნდა, რომე უხმა ჭამოს, რომე ფიცხლა გაიაროს. ტკბილი ბროწეული მკურვალი არის, სტომაქშიგან ფიცხლად ზაფრად შეიქნების.

აწე ესე მოგახსენოთ რად უმფრო მაზიანებელი არის სტომაქისა. ჭაკუტელი, თალგამი, თუხმაქანისა ფურცელი, ასპანახი, სილბოს ბედითა, ულბო და ქუნჯითი, კარაქი და ზროხისა ერბო, სილბოსა ბედითა და სიმსუქნისა ბედითა, და რძე, ამისთვის რომე გრილსა სტომაქშიგან ზაფრად შეიქნების, ამისთვის მაზიანებელი არის და სრულ ერთად რადც ტვინია ყველა ავი არის, და ახალი ღვინო სტომაქისათვის ავი არის და მაზიანებელი.

აწე კარგისა საჭმლისა მოგახსენოთ, რომელი ფიცხლად სისხლად გარდაიქცევის და ძალი მისცეს კაცსა. ესე არის ქათმის კორცი მო- (203r) ხარშული, თიკის კორცი და გამტკიცული პური, ახლისა ხვარბლისაგან იყოს ახლად გამომცხვარი და ახალი წვრილი თევზი, ქვიანისა წყლისა და ვარიის ქათმის თორხლო კვერცხი, მსუქანის თხის რძე, რომე შობოს უკანით დიდი ხანი გამოსრული იყოს, იმ წამს გამოწველილი იყოს და თხელი და წმინდა ღვინო გემრიელი, და კარგი სული უდიოდეს, და კარგი გემო. ვბოს კორცი და ცხვრის ღვიძლი, ტკბილი ღვინო, კარგი სისხლი ჩაუყენოს ბრძანებითა ღ(მერ)თისათა. კარგი ეს არის რომე როგორცა საჭმელი მოუნდეს, ფიცხლაჲ სჭამოს და ასრე სუფრა აიღოს, რომე კიდევ უნდოდეს, რად პატარა ხანი გამოვა, ასრე იქნების, ვითამცა გამაძღარა ადრე მოიღნობის, რომე მრთლად და სუბუქად იქნების, ბრძანებითა ღ(მერ)თისათა.

აწე საჭმლისა ხასიათი მოგახსენოთ ტკბილისა, მჟავისა, მწარისა და მწვავისა. ყოველი ტკბილი მკურვალი არის და სწორი და რადც ფერი საჭმე- (203v) ლი მწვავე არის, და მწარე, ყოველი მკურვალე არის და კმელი. მისი ჭამა სისხლსა დასწავს და თმასა დააყრევინებს, ტანსა

დაამტკიცებს და ზაფრას მოუმატებს, ბაღლაშა გასტეხს და ცხელებასა მოუმატებს, მუცელსა გააჭმობს, ღვიძლსა დაასუსტებს, წყალსა მონადომებს, საჭმელსა მოაქარებს.

მეაგის ხასიათი მოგახსენოთ. რაღაც მუავე არის, ყველა გრილი არის და კმელი, და ზუბუქი, და ხილი, რაღაც მუავე არის, ცოტა სინედლე აქვს და ინდოური ტყემლისა, და შავის ქლიავის მაგიერად სხვა მუავეც ამა ხასიათისა არის. ყველა ზაფრასა, სისხლსა და სიმკურვალესა დააწყნარებს.

აწე მლაშისა ხასიათი მოგახსენოთ. მლაშე ყველა მკურვალე არის და ჭკუასა, და ცნობასა აკლებს, და თვალის სიბნელესა მოუმატებს. გული რომ ეშვებოდეს მას დააწყნარებს, ღვიძლის სინედლესა მოჰკრებს და ბაღლაშა გაიღებს, და რაღაცა გრილსა სჭამს (204r) ტანის სიგრილესა და ქარსა მოუმატებს, და ყვანასა დაუგდებს. და ამა გრილისა საჭმლისაგან ერთი კვერცხის ცილი, ერთი სხალი, და ცერცვი მოხარშული, წითელი მუხუდო და ლობიო, ამისგან ბევრი ჭამონ, სიგრილედ მიაქცევს და სიგრილესა გამოაჩენს.

ხასიათი ღომისა მოგახსენოთ. გრილი არის, ადრე მოიდნობის და გუნება მკურვალესა კაცსა კარგათ მოუჭდების, ასრე რომე სამჯერ, ოთხჯერ გარეცხონ, ასრე რომე გათეთრდეს კარგათ, შუშება და ზელა უნდა, სამჯერ უნდა დაზელა, მეოთხეზედა დაიზილოს და გარდმოდგას, ასრე უნდა შექნან და არას ავად მყოფსა არ დაეჭირვის. თუ მწვედ აცხელებდეს, ფუშრუკად რომ შექნა და ისრე აჭამო ისი სჯობს. ღომი დიდსა კარაბადიშიგან არა ეწერა, რომე იმ ქვეყანას ღომი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ შეგვიმატებია, თუ შექნა, შიგან ყველი გაურიო და ერთად შექნა უფრო გემ- (204v) რიელი იქნების და გუნება მკურვალესა კაცსა კარგათ მოუჭდების.

ნებითა ღ(მერ)თისათა ბაგრატ ასრე ბრძანებს, რომე ძარღვისა გახსნა უბრძანებია სენისა უფალთათვის. ესე არის, აწ სწერია, თავით ფეკთამდისინ ეს ოცდათერთმეტი ძარღვი არის. პირველად იაფუხი, რომე ზედათ თავსა შუა არის, მეორე შუბლის ძარღვი, მესამე სადალნი, მეოთხე უზნაინ, რომე ორთავე ყურთა უკან არის, მეხუთე მაყაინი, რომე ორთავე თვალთა კილოსა არის, მეექვსე რასულანავ, რომე ცხვირის თავსა არის, მეშვიდე შავდანი, რომე ორთა ბაგეთა არიან, მერვე თათულისან, რომე ენასა ქვეშე არის, მეცხრე კიდევ ორთა ყბათა ქვეშე არის. მეათე ყიფალი, რომე მკლავის სადრეკსა ზედათ ნაპირსა არის, მეათერთმეტი აქალი, რომე ყიფალსა და ბარკალსა შუა არის, მეორმეტე ბასალიყი მკლავის

სადრეკსა ქვეშე ნაპირსა არის, მეაცამეტე აბლეზირა, რომე ცერს უკან არის, მეთოთხმეტე სელიმი, რომე ნეკსა და თითს შუა (205r) შემართებით არის მეათოთხმეტე თათრუქაბა, რომელი მუკლითა ქვეშე არის, მეათექვსმეტე, რომე კოჭა ზეით არის, მეახვიდმეტე ნარაია და არყინსაცა რქვიან, ესე ქუსლისა ზემოთ არის და ეს ყველა თოთხმეტე ჯუფთი არის, რომე ცხადად ჩანს. ამისი ნიშანი კაცის სახეშიგან გამოცხადებული არის, მაგრამ რომელი ძარღვი უფრო მუდამ გასახსნელი არის, ეს არის ყიფალი, აქალი, ბასალიყი, რაფაინ და აბელეზირა, და სელიმი და მბაზი, არყანისა, ამათი სხვა და სხვა სახითა არიან. ყიფალისა გახსნა ყველა ზეითსა თავსა, თვალთა, ცხვირთა, ბაგეთა, ენისა, პირისა ტკივილსა უშველის. და თუ კოტოში მოიკიდო თავსა უკანით, კეფასა ქვეშე მოჰკიდე, რაც უფრო ქვემოთ მოჰკიდებ, ისი სჯობს, ტვინსა უფრო არ დააზიანებს, და აქალისა გახსნა, ყელსა ქვემოთსა, წელსა ზემოთსა, სრულა ტანისაგან სისხლსა გამოიღებს, ტანისა ტკივილსა (205v) უშველის და თუ არა ჩნდეს კოტოში ბეჭთა შუა მოჰკიდეთ, და მისსა სანაცვლოსა სისხლსა ისი გამოიღებს. მას ქვეშეთსა ძარღვსა აბელეზირა ჰქვიან, სასალტესა სიწლოზედა დადებული არის, ცერს ზეით გამოჩნდების, მისი გახსნა სტომაქისა და ნაწლავისა სისხლსა გამოიღებს, და მისსა ტკივილსა უშველის, ყიფალისა სანაცვლო არის და თუ ის არა ჩნდეს, მუკლის ქვეშეთ კართში ძარღვი გამოჩნდების და ის გაუჭსენ. მას ქვეშეთ ძარღვსა ბასალიყი ჰქვიან, მისი გახსნა წელს ქვეშეთსა სატკივარსა ყველას უშველის, უკანასა კარისა ქვილსა და ბუასილსა უშველის, თუ ისი არა ჩნდეს იქით და აქათ კოჭი ორივე გაუხსენ, ანუ ცერისა ძარღვი გაუხსენ, ანუ ორთავე მენჯთა შუა კოტოში მოჰკიდე, მისსა სანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს და ორი ძარღვები სხვა არის ჰელსა მარჯუენით, და მარცხენით, ნეკსა და თითსა შუა შემართებით, რომე ძარღვი არის. თუ მარჯვენისაკენ დაუხსნა, ღვიძლის სისხლსა ის გამოიღებს, (206r) და თუ მარცხენით გაუჭსნა, ტყირპისა სისხლსა ის გამოიღებს. და თუ ის არ ჩნდეს მარცხენისა გვერდისა ნეკზედა კოტოში მოჰკიდე და მისსა სანაცვლოსა სისხლსა ის გამოიღებს. სხვა ძარღვი არის საფინი ჰქვიან, მისი გახსნა ზემო კერძისა ნახევრისაგან სისხლი ჩამოიღოს და დედათა წესი გახსნას, სასირცხოსა და ყურის ტკივილისათვის მარგი არის. მბიზასა რომე ჰქვიან ძარღვსა მუკლის პირს არის და აქითა უთქვამს, რომე მბიზასა ძარღვი ფერკები არის ძარღვთა და უკანასა კართა ერთად შეყრილი არის. მისი გახსნა აშავერსა და ზურგის ტკივილსა უშველის, და თვალთა ტკივილსა დააწყნარებს. და არყანისას გახსნა არყანისა ტკივილსა უშველის და ხასიათი მისი საფანის

გახსნას ახლოს ახლავს, მაგრამ ყიფალისა რიგზედან უნდა გახსნა, შაშარი წმინდა უნდა, შიგან არ დამალოს. და ბასალიყი რომ გაიჭსნა ასრე უნდა: ზურგი კედელზედა უკუაჭირო და აგრე უნდა გაუჭსნა, და ბასალიყისა ძარღვსა ბევრი ზედა არ უნდა, და თბილის წყლით უნდა თავზედა (206v) დასხმა, დიდის მანდილითა უნდა შეკრვა, გახსნისა დროსა დაჯდეს. მაბიზის გახსნასა სად უნდა შეკრვა, ვითამცა წვივი და ბარკალინცა შეუკრან, და ბევრი ბიჯი უნდა წაიაროს, და მრავალჯერ უნდა ადგეს და დაჯდეს, უფრო ძარღვი გამოჩნდების. არყანისა რასა ასრე უნდა გახსნა მოგრძე კელმანდილი და ერთი წვერი სადაცა წესი არის იქ შემოაკარ, და წვივი და ბარკალი შეუკარ მაგრა კოჭთამდისი, მალ მალ ადგებოდეს და ფეკს ქვეშ აგური დაიდგას, და ვინც გაუხსნიდეს ასრე უნდა, ფეკზედა იდგეს და თუ გაუხსნელსა ფათერაკი რამ დაემართოს, ასრე რომე შაშრის წვერი. ძარღვის ლაშისა მიხვდეს. კელი იყოს ანუ ფეკი გაუხსივდეს და გასივდეს სრულად ტანზედა, იის ზეთი უნდა შესცხო და ნედლის ქინძის წყალი, და წითელი სანდალი, და ქინძის წვენიშგან გალესე, სადაცა სტკიოდეს და უსივდეს სკლად ტლედ შემოსდევით, და თუ ამისთანა საზიანო ფეკშიგან მიხვდ- (207r) ეს მარჯვენა კელი იმა მკრისაკენ უნდა გაუჭსნა. თუ ბაყლი დადგომილ იყოს წყლულს უნდა გაფართოვება და მხერები უნდა შემოსდვა, რომე ბაყლი გამოვიდეს და თუ კარგათ გახსნილი ძარღვი გაძნელდეს და ტყავს ქვეშეთ ძარღვის ადგილი გაღურჯდეს, სანამდის არ გამრთელდეს იმ კელითა ან ფეკითა საქმე არა ქნას.

ნებითა ღ(მერ)თისათა ხასიათი კოტოშისა, წურბლისა, ჳურეგება
ტანშიგან დაფანტული იყოს ამას გამოიღებს, თუ ქვეშეთ მოიკიდებს, სულ ტანისა სისხლსა ჩამოიღებს. ამისათვის რადც ჳემო სენი არის ყველას ქვემო ჩამოზიდავს, მერმე რომელსა ასოსა ჳედა კოტოში მოიკიდოს, იხი ასო გამოწმინდოს.

კოტოში ვაჟთა და ბერთა კაცთა კელის გახსნისა სანაცვლო არის და ყმაწვილისა სანამდის ძუძუ დააგდებინო, ნურც კელსა გაუჭსნი და ნურცა კოტოშსა მოჰკიდებ, თუ არ ერთობ დაეჭიროს. თუ მწვედ დაეჭიროს, ასეთი შაშარი ჰკარ (207v) რომე მწე მოკლე და წმინდა იყოს, თვარემ ვერ გასძღებს. ყმაწვილისა ბერისა კაცისა საქმე სწორი არის, რად სამოცისა წლისა შეიქნების, კაცისა სისხლისა გამოღება აღარ ვარგა, ამისთვის რომე სისხლიცა მოიკლებს და კორციცა მჭლობასა დაიწყებს. ასრე უნდა სან(ა)მდის მთვარე ახალი იყოს, კელის გახსნა არ ვარგა, ამისთვის რომე მთვარე თოთხმეტ-თხუთმეტისაგან სავსე იქნების, კაცისა ტანშიგან ავი

სისხლი უკუდგების და კარგი ძარღვშიგან დადგების, და რა მთვარე კლებას დაიწყო, კარგი სისხლი უკუდგების და ავი ძარღვშიგან იქნების. განა ესე სჯობს ავი და სკელი სისხლი გამოვიდეს, და მთვარე თხუთმეტ-თექვსმეტისა და ჩვიდმეტისა შეიქნას, მაშინ კარგია გახსნა და როდესაც მკლავის გახსნა უნდოდეს, უწინ შარდი ქნას, ამისთვის რომე სიმჭურვალე და ბალღამი დაიდრვის და გაადინოს, იმა (207v) სამთვარიოსაცა ჰკითხეთ.

სამთვარიო კელის გახსნისა. ერთსა კარგია, ორსა, სამსა, ოთხსა, ხუთსა, ექვსსა, შვიდსა არ ვარგა, გუნებაზედა კმელად ამყოფებს. რვასა არ ვარგა, ათროლდების, ცხრასა სამჯერ ფერი ექცევის, ათსა საშუალი არის, თერთმეტსა, თორმეტსა, ცამეტსა კარგია, თოთხმეტსა საქაშვეთო წაეკიდოს, თხუთმეტს წლამდის ეყოფის, თექვსმეტს კარგია, ჩვიდმეტს კარგია, თვრამეტს არ ვარგა, ცხრამეტს კარგია, სიმრთელისათვის ოცსა კარგია, სიმრთელისათვის ოცდაერთს კარგია და გულის აშლისათვის. ოცდაორსა კარგია ჭკუის მომატებისათვის, ოცდასამსა, ოცდაოთხსა კარგი არის სიმრთელისათვის, ოცდახუთსა არ ვარგა, ოცდაექვსსა დაბინდების, ოცდაშვიდსა საფათარაკო არის. ანაზდარ სიკუდილისათვის, ოცდარვასა ოცდაცხრასა, ოცდაათსა არ ვარგა, თუ ერთობ დაჭირვებული არ იყოს. **მარტსა** მთვარე ახალი (208v) ანთებულსა ცეცხლზედა ნახე. **აპრილსა** მოხვერსა კარზედა ნახე. **მაისსა** წმინდასა საპატიოსა კაცსა ზედა ნახე. **ივნისსა** წყალზედა მდინარესა ნახე. **ივლისსა** ცასა შეხედე, და სამჯერ ღ(მერ)თო ნუ გამწირავ თქვი და ისრე ნახე. **აგვისტოსა** წმინდასა ქალწულსა ზედა ქალზედა ნახე. სასწორსა სარკესა შიგან ჩახედე, სამჯერ მამო ჩვენო თქვი და ისრე ნახე. **მწიფობისთვისა** კარგსა თეთრ ფეროვანსა კაცსა ზედა ნახე. **გიორგობისთვისა** ოქროსა და თვალმარგალიტზედა ნახე. **დეკემბერსა** მიწასა დახედე სამჯერ ღ(მერ)თი ადიდე და ისრე ნახე. **იანვარსა** სახარება გაშალე და ამას ზედა ნახე. **ფებერვალსა** ფეროვანსა ღალსა და ლაჟვარდზედა ნახე. ესე დიად დაცდილი მრავალთა ფილასოფოსთაგან გამოკრებილი არის და თქმული არის. ყოველს თვეში შვიდი დაცდილი ავი მთვარე არის. გ[☒] მთვარეს არა ვარგა რა, სამადლოს გაცემის მეტი. იგ[☒] ლოცვის მეტი არა ვარგა რა. ივ[☒] მარტო ჯდომისა და ლოცვის მეტი არა ვარგარა³⁵⁰

(209r) თუდარი ერთი ყვითელი და ერთი წითელი, მჭურვალე კაცი რომე დედაკაცთან წვებოდეს თესლს მაპტებს და ძალს მისცემს, ყვითელი გრილი

³⁵⁰ აზრი წყდება, ჩანს, რომ აკლია გარკვეული ნაწილი.

და რბილია, ორივე სწორია ღვიძლის ცხელებასა დააწინარებს, მუცელსა გაჯსნის და ზაფრასა გამოიდებს.

რაზიანა კამა არის მჭურვალი და გამქსნელი, კაცსა რომე აცივებდეს იმას არგებს, თვალში ამოივლოს, სინათლეს მისცემს, გულსა ძალსა მისცემს, მისი წვენი მოხარშო და გასწურო შ(ა)რბათად კარგი არის.

ნიშადური მჭურვალე არის და კმელი, თვალსა რომე თეთრი ჰქონდეს გარეშემო გამოივლოს, არგებს კაცსა რომე ყელი გაუსივდეს, უშველის, მუცელშიგან ჭიას მოჰკლავს.

ცხროსა და ხ(უ)რეგებისთვის. ჯორტელვა (41r) სხვილი ბირკა და ბირკის ძირი დანაყე, ლურჯს სამოსელში გამოხვიე, ყელსა შეაბი წითლის ძაფით, სამჯერ უქენით. კიდევ მოხვერის ნ(ა)ღველი ფურის ფსლით, ერბოს წყლით ასვი, თაღვაში აჭამე.

ცხროში თუ კაცი გაყვითდეს კამა და ვარდკაჭაჭი გამოსწურე და (ა)სვი შაქრით. თუ სიცხე ძნელათ ქონდეს, ქერის წვენი შაქრით ასვი. ნეღლი კვახი გამოსწურე და (ა)სვი შაქრით. თოხმახი გამოსწურე და სვი. ღვინოს ნუ ასმევ, ხვერტა, და არდის ფურცელი მხლათ გაუკეთე და აჭ(ა)მ(ე). კორკოტი ნუშის ზეთით აჭ(ა)მე.³⁷⁶

(41v) **ნაღრძობისათვის.** ძველი შალის ნ(ა)ჭერი ღვინოში და(ა)სოვლე, დ(ა)დარში ჩ(ა)ფალ, თბილი გარ(ა) შემოახვიე, შეუკარ მაგრა. მეორე დღემდე ნუ შეხსნი. თუ ძარღვები დან(ა)სკოდეს ნიგვზით უზილეთ.³⁷⁷ წყალში შიგ ჩ(ა)უღვე თბილათ (42r) მოხ(ა)რშული დედაბრის კონკი, ნიგოზი ურთე და შემოსდე, ღომის თაველი მოხ(ა)რშე, ღვინით შემოსდევით. **ყბა რომ ქონდეს ამოვარდნილი** მასაც არგებს.

მოტეხილისათვის. ცაცხვის ცილი, თელის ცილი რძით მოხარშე, თბილი გა(ა)ბრტყელე, კვერცხის გული ზედ გასცხე, თბილათ შეუხვიე, კარგათ. ორსსამს დღეს ნუ შეხსნი, სანამდი არეშველოს ნუ შესხლეტ, ასე უქენ ყოველთვის.

ავის ჭირისათვის. მჟოლის ფითრი, ცხრაფურცელი ვერხვისა, ცხრა სუროსი, მონ(ა)ყე, და(ა)ლბე ღვინოში და სვი ცივათ, დამართებაზე უნდა სვას. სამს დღეს. ტანში უღვას, მესამეს დღეს ტანისამოსი დამდურეთ (42v). **ავის ჭირისათვის.** კორჩიოტას თავი მოსჭერ, ცეცხლისპირს მიადგი, წყ(ა)ლს ჩაიყენებს, გადმოწურე. იმაში მგლის ნაღველი გაღესე და (ა)სვი. შავბაღახას ძირი, კოთხოჯი დანაყე და ღვინით ასვი. **კიდევ მისთვისვე:** კობიტის ცილი, კერკეტი ნიგვზის ცილი, სუროს ცილი, კ(ა)ტაბარდას ცილი, ცოტა მუხის ცილი, ყველა სწორ(ა)თ ქოთანში ჩაყარე, კაი ღვინო დაასხი, თან ჩაატანე ჯ(ა)ოზი, საკმელი, სანელბეგელი თავი მოუწეპე.

³⁷⁵ 40v – ცხროს ლოცვა.

³⁷⁶ 40r–40v – ცხროს რიტუალი.

³⁷⁷ 41v – ნაღრძობის ლოცვა.

მოადუღე, დილა საღამოს ასვი. **კიდევ მისთვისვე:** სამი ძირი ფურისულასი (43r) დან(ა)ყე, გამოსწურე ღვინით, იმაში თახვის წამალი, ცხენის ყვერი, თიხფარუხი, გიშერი, ღვიჭილა, წითელი სანდალი, თეთრი სანდალი, დაღესე ყველა, ოსურნელას ძირიც იმასთან დანაყეთ, გადმოსწურევედეთ და სმევედეთ დილა საღამოს. კიდევ რომ დაემართოს, დასუსვილი კვერციხე გათქვიფე და სვი, იმავე ხეჭეპოთი თქვიფე. პ(ა)ტ(ა)რ(ა)ს თუ სიცხე ქონდეს წყლით ასვი, თუ არა და ღვინით სჯობს. რომ დაემართოს წუწუბა, ობობის ქსელი, თეთრი საკმეველი, წითელი ღორის ბანალი (43v) უყრხოლეთ.³⁷⁸

ბნელისათვის. ორივე (44r) კელის ძარღვები დაუსხენ, წვითა კოტოში მოკიდე, საჭმელი ცოტა აჭამე. ტანს ბანდე თბილის წყლით. მუავეს საჭმელს აჭმევენ, ძმარსა და ვარდის ზეთსა სცხებდე თავზე, ჯულაბი აღებინონ, შეფუცებულის წიგნი უკითხონ.

ფილენჯის ქარის წამალი არყის ცილი, ობოლი ვერხვის ცილი, უნისონ მამლის ყვერი, ბაიას ძირი, ბზის ცილი, სუროს ფოთოლი, დამწენ ღვინითა და(ა)სვი დილა საღამოს, ბეგრჯელ. **კიდევ ფილენჯის (44v)** ქარისთვის, ღვია, სუროს ფოთოლი, კაცის ძვალი მოხარშოს, იორთქლოს, ოფლი იდინოს, შეტაცებულს ასოს არგებს, ზ(ა)ფრ(ა)ს(ა)ც არგებს. **კიდევ ფილენჯის ქარისათვის,** შავძირას, კილამურს უგაეს ფურცელი, ძირი. შავია, ქვია კატის ძუძუა, კილამურა, ცხრასუროს ღერი, ფურისულას ძირი, ესენი ყველა დანაყე ღვინო დაასხი და სვან. ფურისულას ფოთოლი წითელი ძროხის რქეში მოხარშონ, კიდევ იორთქლონ და შუბლსა და საფეთქლებზე (45r) შემოიდვას.

შირიმისთვის. ნიგვზის ზეთში ძიმწარე გაღესე და დალიოს. ანწლის კაკალი დანაყე, წყლით ასვი, ქვას დაამტვრევს.

წითელის ქარის წამალი. ქვაბის მური, ჟანგარო, შაბიამანი მაწონში მოღესე დააცხე. დამწვარი შაბი აურიე.³⁷⁹

(46r) **ქალს რომ მუცელი** უხდებოდეს, ქათმის კუჭის გადანაძრობი ასვი. ნეფის გვირგვინა (ა)სვი, ირ(ა)გას გავს და სული არ უდის, მისთან გაგაბუაც ასვი, ქვეშ ნიგვზისაც ასვი, ორგულის წებო აჭამე, მარილით და პურით შეულოცეთ.

ვის შობა გაუძნელდეს, და ვერ ეხსნას, გველის პერანგი მარჯვენას ფეხის ცერს, შეიბი (46v) თვით მოსული ღომი და მჭადი ასვი, ცხრა სკა(!)

³⁷⁸ 43v – შეშინებულის ლოცვა.

³⁷⁹ 45v – შაკიკის ლოცვა.

დააჭირვინე და სვი წყლით, კანბუნის რქა და(ა)ფხიკე და ქვეშ უკმე კილამურას ძირი, ნიახურის ძირი, ასვი. წელზე ჯ(ა)ღვარი შეცხე, საკმელი და ფქვილი სწორათ დაზილე და ქვეშოთ მუცელზე ამოსდევნი, თხის რქა კბილში და(ა)ჭირვინე, მერმე მარჯვენას ბარკალს შეაბი, ხ(ა)რის ძირა კოჭსა შეაბი, დანაყილი კალმახი ასვი, ბუკში წყალი გა(ა)ვლე და ასვი. სვიას ძირი და სოროტოკას ძირი ასვი. ერთი გოჯი (47r) ეტრ(ა)ტი ჩა(ა)თქმევინე. **მისთვისვე**.³⁸⁰ ლაღანა უხრხოლე, წიკა უყრხოლე. ქვეშ. თბილ ქვაბზე დააჯდინეთ, ქალაქის ზ(ა)ფრ(ა)ნა ასვით, მასვე ჭამს და სვამს.

თუ ყმაწვილი (47v) უკუღმა მოდიოდეს ირჯებოდეს, იფქლის ბზე ღვინოში მოხ(ა)რშე, მუცელზე შემოაყ(ა)რე და შეუკარ, თუ მკვდარი იყოს და ვერ ეხსნას, თხის რქე ღვინით და თაფლით შეასვი, გა(ა)თბე, დახერიტე, და(ა)გდებს. ქათმის სკინტლი, ქატო ღვინით მოშუშე, ქვეშოთ მუცელზე შემოსდევნი. ომინი ხელთ და(ა)ჭირვინე, ან მაჯაზე შეაბი.

თუ ყმაწვილის აფხ(ა)ნაგი არ დავარდეს, გველის პერანგი ქვეშ უკმე, ნივრის ფურცელი წყლით მოხარშე, (48r) ქვეშ შერხომილი წაბლის ბუძევი ქვეშ უყრხოლე, ფიტა გააცხელე და ჭიპთან შემოხდევნი, კიდევ დანაყე, ღვინით ასვი. ქათმის ნ(ა)კრტენი პირში ჩაუყ(ა)ვ, გულს და(ა)ზიდვებს, ორსავე მუხლზე მჯიხვით სული ჩაბეროს. სამი ძირი ჭიკარტა, სამი ქალშაგა დანაყე და წყლით ასვი, საკმელი უყრხოლე, კირი ძრმით მოზილე, ჭიპსა ქვეშოთ ამოსდევნი.

ფუშ-ფუში ქონდეს, ირმის შარდი სვას, უშველის. თუ ქალსა ჭირდეს ბელურა (48v) გაფცქვენ, მკრები ასტერ, ის მგრგვალი სელის ზეთში მოხრაკე და ქინძისთვით ჩხვლიტე კარგათ რომ მოხრაკოს, რაც ხორცმა იშნოს ალებინე, პირველი ვარიას კვერცხი მოხარშე მგრგულათ, დანხვლიტე, სელის ზეთში მოხრაკე მგრგულათ და ალებინე. ჟივივიც ასე უქენ, ნუ გამოსწლაგ. **მისთვისვე**: ყავა დაფქვი, ფაფათ გააკეთე, სელის ზეთით პირი მოუწეპე და ამოსდევნი თბილი. მწ(ა)რე კვასს თავი მოსტერ, კაკლიანში ღადარი ჩაყ(ა)რე და ქვეშ უყრხოლე. ქათმის (49r) წელეები თბილი დაიდვას. ჯ(ა)ოზი ღვინოში გაღესოს და მაღიმაღ ცხოს. უხმარი დოქის ან ჳელსაფქვის ნ(ა)ტეხები გა(ა)ხუროს³⁸¹, ქვეშ ტ(ა)შტით ღვინო დაიდვას, თითოთითო ჩააგდოს და იორთქლოს, საბანი შემოიხვიოს ოფლს შეიდენდეს ხოლმე, სიოს ნუ იცემს.

³⁸⁰ 47r – ლოცვა ვის შობა გაუჭირდეს.

³⁸¹ ტექსტშია „ლახუროს“.

თიქარი რომ ჩამოუვიდეს და კიდევ ტეოდეს, დათვის ნაღველა კიდევ ასვი და კიდევ შესცხე. მსხვილი ცერცვი მოხარშე, ფაფასაით გაზილე, იმის წვენიში ნაღველი გალესე დათვის, პირი მოუწეპე, შემოსდევი თბილათ. მალოქა, შავბალახა დანაყე (49v) წმინდათ, კვერცხი და(ა)ნ(ა)ლე და შემოსდევი, კიდევ შავბალახა, უტუსუნა, ნიახური ერთათ დანაყე, ღორის ქინით და კვერცხით მოხრაკე და შემოსდევი. კოთხოჯი და დათვის ნაღველი ღვინოში გალესე, მოაღუღე და (ა)სვი, კარგია. **თიქრისათვის. რომ ჩამოუვიდეს ყმაწვილს**, დიყა, ღუ, თავის ისარის ძირი, ბატბატია, თავდარგულა, მაყვალი, დედალ მამალი მრავალძარღვას ძირი, კულმუხოს ეკალას ძირი, ძირწითელა, ნ(ა)წყენის წამალი რომ არი (50r) ვმალას გაგს, იმისი ძირი, კაჭაჭის ძირი, ესენი ყველა მონაყე, ერთათ დამწენ, კაის ღვინით მოათბობდე, დილა საღამოს ასმევედე, ცოცოტას გამონაწურს ყვერზე და(ა)დებდე, კარგია. **სოკო თიქრის წამალი გულს რომ ეჭედებოდეს და მუცელში აღონებდეს**, კეჭეჭოს ძირი, დიყის, ფურისულას, ღუს, კულმუხოსი, ძროხის ენის, გვიმრჭასი, თავის ისარის, ღვალოსი, ამათი ძირი, კორჩიოტა ცოტა ხარისძირა³⁸² ... ყველას (50v) თავი მოუყარე, თავი ცოტათ მოხენქევე, ჩ(ა)ყ(ა)რე ქოთ(ა)ნში, კაი ღვინო დ(ა)ასხი, თავი მოუწეპე, ა(ა)დუღ(ღ), მწვანე გუნდა თან ჩა(ა)ტანე, დილა საღამოს ასვი.³⁸³

(51v) **გველის ნაკბენი**. ირმის რქა დამწვარი ასვი და ზედაც დასცხე ნ(ა)კბენზე, მატიტელა, მრავალძარღვა ასვით, ზედაც და(ა)დევით ნივრის ფონი, ღვინით მოხარშე და(ა)დუ, თბილი მარტორქა და წურილი ხვითოები კიდევ ასვი, და კიდევ შესცხე. ტალხუნა, ტიტა, პიტნა აჭამე და ნ(ა)კბენზედაც და(ა)დუ. ატმის ცილი, ნიგზის ცილი, კვიდოს ფურცელი, თხილის ფურცელი, მატიტელა, მრავალძარღვას ფურცელი, საღდა, ესენი ყველა მონ(ა)ყეთ, მუავით მოშუშეთ კარგად და შემოსდევი. უმაღ თუ ამოჭრა ვერ გაუბედოთ, მალმალ დანერწყეთ, გოგირდლი და თოფის წამალი აყ(ა)რეთ.

ვის გველი (52r) პირშიდ ჩაუძერეს, სულ ძროხის თბილი რძე ასვით, თიხფარუხი ასვი, ტიტა აჭამე სულ მუღმეთ. მატიტელა და გვიმრის ძირი ასვი, ნიორი აჭამე, კიდევ ასვი, გარეული პიტნა ჭამოს, ბევრი თუ ვეღარ ჭამოს, წვენი ყლაპოს, სხვა და სხვა ღეჭოს.

³⁸² ხარისძირა ტექსტში წაშლილია, ხაზგადასმულია. მომდევნო ერთი სიტყვა არ იკითხება.

³⁸³ 50v, 51r, 51v – ლოცვები გველის ნაკბენისა.

ბედნიერისათვის. ბელურა გა(ა)პე და შემოსდევით თბილი გაწყარომილზე. **ბედნიერისათვის** კურდღლის ქონი მოცახვეით გამოიყვანს. **მისთვისვე:** თეთრი ძაღლის პილწს ყინვარე შაქარი მოყარე და შემოსდევით, ორ(ა)გულის ნაღველი კიდევ შეაცხ(ე) და კიდევ ასვი. საჭმელი კვანძის ყვავილი, მალაქის ყვავილი, ვარდის ფურცელი, სამივე, ქალის (52v) რძით ასოვლეთ, შაქარი აყ(ა)რე და ხან ერთი და ხან მეორე ადევით ც(ა)ლც(ა)ლ)კე. ტილიფის ცილი დაფხიკე, კვერცხის გულში გამოზილეთ, დადევით, მწიფობა რომ და(ა)ტყო კვერცხის გულში გამოზილეთ ფქვილი ქალის რძით, პირი მოუწიპე და შემოსდევით. არა ეჭმება რა პურისა და წყლის მეტი, დვალო მოხარშე და(ა)დევით.³⁸⁴

(53r) **წამალი ბედნიერისა,** დიკის ფქვილი, შ(ა)ვი მამლის ღვიძლი, ყინვარე შაქარი, პირიმზე, გოგრის ყვავილი, უცეცხლო თაფლი, ორაგულის ნაღველი, ეს არის ბედნიერის წამალი. რა არის წამალი მისი უგბილი თაფლი, სახლის ფქვილი, კვერცხის გული, ძეწის ჩხირი.³⁸⁵

მუცლის ტკივილის (54v) დედალი მრავალძარღვას ძირი, ხუთყურას ძირი, ყვითელი სურავანდის ბალახი, ქვეშ ნიგვზისა ძირი, დანაყე, ღვინო დაასხი, მგრავალი წ(ა)მალი გალესე და სვი. ვისაც არ შეყრია თვით არ შე(ე)ყრება, თუ შე(ე)ყრება ადვილათ მორჩება. ვისაც სიცხეს აქვს წყალით ასვი. ტურის წელი წელზე შეაბი, ნაღველი ასვი, თხის ნაღველი ასვი, დათვის ენა, ირმის კუდი, ჯ(ა)ოზი, თეთრი სანდალი ასვი. თხის ჯორცი დაუკიდეთ. ვისაც არ სჭირდეს ფეხ ქვეშ ღორის ჩხიკელს მოისვემდეს. თავწითელა ბალახი ღვინოთ მოადუღეთ და (ა)სვი. საჭმელი ბილ³⁸⁶ ... (55r) წველები დასუსტებული აქვს.

თუ მორიალმა უკბინოს ტალხუნა დან(ა)ყე მაწვინო, და(ა)დეთ ქათმის საკვერცხე, და(ა)დეთ თვით მორიელი დაწვი, და(ა)დეთ ჭიჭკვა მსხლის ფურცელი (და)ნაყე, და(ა)ყარე, მისივე ნკალი, დაადევით.

თეთრ(ა)თ შლისათვის. თაფლი და ღვინო, შავკაკლა, შავიკაკალი პიპილა, ქონდარი წმინდათ დანაყე, შიდ ჩ(ა)ყარე. იმაშიდ პურის ფიფინი ამოუკიდეთ, კარგად რომ მოღულდეს ჭამოს სამჯერ ოთხჯერ. იმუდმოს სამარხოსავით უთუობით ...³⁸⁷ ძნელათ სჭირდეს. **მისთვისვე:** ...³⁸⁸ დანაყოს

³⁸⁴ 52v, 53r – ლოცვა ბედნიერისა.

³⁸⁵ 53r, 53v, 54r – ლოცვები ბედნიერისა, მგელცემულისა, მუცელკეთილასი.

³⁸⁶ აქ ერთი სიტყვა აკლია.

³⁸⁷ აქ აკლია ორი სიტყვა.

და იხმაროს მისაკი (55v) დარიჩინი, კოჭი, სანელებელი, მოადუღე თაფლი იმაშიდ, აღვასხათ გააკეთე, მოგძეთ, გამგრგვალე დაიდოს და კიდევ ჭამოს, ვინ იცის მყერისაგან (!) ჭირდეს, ვინ იცის ღვიძლისაგან იყოს. ყვითელი იქნება, ღვიძლის წამალი დალიოს, ჰელი გაიხსნას. თუ თეთრი იყოს ესენი მოუხდება. ვარიას კვერცხი ჯერ რომ არ დაეღვას მრგვლათ მოხარშე, გაფცქვენი, ქინძისთვით დახვლიტე, სელის ზეთში მოხრაკე, გორვებით რაც ჯორცმა იშნოს, აიღოს, მყრისათვისაც კარგია. **მისთვისვე:** ჭივჭ(ა)ვი გაპტყვენ, მხრები დაჭერ და ბარკლები, მგრგვალი, ისიც დახვლიტე ზეთში აგორვე კვერცხსავეთ სელისაში და იღოს.

ჰელი რომ ...³⁸⁹ ექერქებოდეს, ლურჯი ...³⁹⁰ ცეცხლი მოუკიდე რკინაზე დაიჭირე, ზეთი გამოუვა და და(ა)ცხე. ბრინჯი ქვაზე დაყ(არ)ე, გახურვებული სამარგელა და(ი)ჭირე ზეთი გამოვა და და(ა)ცხე. სამჯეროთხჯერ უყავი. გვირილას ფოთოლი წმინდათ დან(ა)ყე, შაბი ურთე და ინსავეთ და(ა)დგე. თუ ქარცეცხლათ გარდაქცეოდეს ძიმწ(ა)რე მქ(ა)ვით მოშუშე, შემოსდვი, თუ იმან არ უქნას კირი და ძმარი სცხე და ერგება.

ქარისათვის. ნიგეზის ზეთში კოჭი, სანელებელი, საბრი წმინდათ დანაყე, ჩაყ(არ)ე, მოადუღე, თბილი წაუსვი, კაის ცეცხლთან უცხუნოს. ნუ შეიცვიებს, ოფლი იღინოს. **მისთვისვე:** ოტკა ან კაი რახი ...³⁹¹ სანელებელი, ჯადგარი, ერთათ გა...³⁹² ცხელ-ცხელი წაუსვი. **მისთვისვე:** ...³⁹³ ძროხის ნაღველი ...³⁹⁴ ერთმანეთში აურიე (56v) თბილათ, კაის ცეცხლთან წაუსვი, ნუ შეიცვიებს. **კიდევ ქარისთვის:** ზეთის ხილის ზეთში თეთრი სანდალი წმინდათ დაფხიკე, კოჭი, სანელებელი და ის სწორად დან(ა)ყე, გ(ა)მტკიცე, ჩაყ(არ)ე, გა(ა)ცხელე და წაუსვი თბილად იზილოს, ნუ შეიცვიებს. **მისთვისვე:** თონე გა(ა)ხურვოს, ზედ ჩელტი წაიდგას, ბევრი ანწლი წა(ა)გოს, ჩაწვეს ზედაც, და იყოს, კ(ა)რგა დაიხუროს, ნუ შეიცვიებს, თუ მოშივდეს, შიდ ჭამოს საჭმელი, მალე ნუ ადგება, იმიდგან რომ ამოვიდეს

388 აკლია ორი სიტყვა.

389 აკლია ორი სიტყვა.

390 აკლია სამი სიტყვა.

391 აქ ორი სიტყვა აკლია.

392 აქ ოთხი სიტყვა არ იკითხება.

393 აქ ოთხი სიტყვა არ იკითხება.

394 აქაც ოთხი სიტყვა არ იკითხება.

ქვეშაგებში ჩაწევს ორსა სამს დღეს კ(ა)რში ნუ გავა, ქარი არ ეცეს ...³⁹⁵
მოარჩენს, ფილენჯის ქარს არგებს ...³⁹⁶ კიდევ ქარისთენ ...³⁹⁷

³⁹⁵ ორი სიტყვა აკლია.

³⁹⁶ შვიდი სიტყვა არ იკითხება.

³⁹⁷ ხელნაწერი აქ წყდება.

ბამოყენებული ლიტერატურის სია

- ბაგრატიონი – დ. ბაგრატიონი, იაღიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბილისი, 1985.
- დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით, წიგნი 1, თბილისი, 1921.
- კაპანაძე – კ. კაპანაძე, ძველი ქართული სავეტერინარო ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა დარგის განვითარებისათვის. მედიცინის ისტორიის საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 1997.
- ლომინაძე – ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVI–XVII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, წიგნში: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1954.
- სააკაშვილი, გელაშვილი – მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. I, თბილისი, 1956.
- სააკაშვილი, გელაშვილი – მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. II, თბილისი, 1958.
- სურმანიძე – რ. სურმანიძე, მცირე კარაბადინი, ბათუმი, 1974.
- სურმანიძე – რ. სურმანიძე, ქართული კარაბადინი XVIII საუკუნე, ბათუმი, 1996.
- ფანასკერტელი – ზ. ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა მ. სააკაშვილმა და ლექსიკონი მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი, 1950.
- ფანასკერტელი-ციციშვილი – ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მიხეილ შენგელიამ, თბილისი, 1959.
- ფანასკერტელი-ციციშვილი – ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, თბილისი, 1978.
- ქანანელი – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, ლექსიკონი საძიებლით იუსტინე აბულაძემ, თბილისი, 1940.
- ქანანელი – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. კუხიანიძემ, ლექსიკონი გადაამუშავა ნ. ხელაიამ, თბილისი, 1997.

- ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI–XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, H ფონდი, ტ. 1, 1946.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, H ფონდი, ტ. 2, 1951.
- ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, H ფონდი, ტ. 6, 1953.
- ყოფილი – ხოჯა ყოფილი, წიგნი სააქიმოე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლადო კოტეტიშვილმა, ლექსიკონი საძიებლით შეადგინა იუსტინე აბულაძემ, თბილისი, 1970.
- შენგელია – მ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1980.
- შენგელია – რ. შენგელია, ზოგიერთი ქირურგიული სნეულება ძველ ქართულ კლასიკურ და ხალხურ მედიცინაში სამკურნალწამლო საშუალებების შეფასების აპრიორული მეთოდები და კრიტერიუმები. ავტორეფერატი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1997.
- წუწუნავა – ნ. წუწუნავა, საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბილისი, 1966.
- ხელაია – ნ. ხელაია, აზრუმელის სამედიცინო ცნობარი, „წიგნის სამყარო“ №19, თბილისი, 1975.
- ხელაია – ნ. ხელაია, ცხენის მოკლე კარაბადინი, „წიგნის სამყარო“ №24, თბილისი, 1976.
- ხელაია – ნ. ხელაია, კარაბადინი კარგი და მარგებელი, ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პრაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. 24, თბილისი, 1978.
- ხელაია – ნ. ხელაია, XVIII ს. ქართული სამედიცინო ხელნაწერი, ჟ. „საბჭოთა მედიცინა“, №3, თბილისი, 1983.
- ხელაია – ნ. ხელაია, ქანანელის X ს. „უსწორო კარაბადინის“ ზოგიერთი ფიტონიმის დაზუსტებისათვის, წიგნში „ტიპოლოგიური ძიებანი“, ტ. 4, თბილისი, 2000.
- ხელაია, შენგელია – ნ. ხელაია, რ. შენგელია, ქართულ ტრადიციულ მედიცინაში გამოყენებულ მცენარეთა შეფასების შესახებ. მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 1997.
- Государственная фармакопея СССР, Россия–Москва, 1968.

- Ибн Сина – Абу Али Ибн Сина, Конон врачебной науки, т. 2, Узбекистан–Ташкент, 1982.
- National Formulary of Unani Medicine, India–New Delli, 1981.
- Хелаиа – Н.А. Хелаиа, Медицинская рукопись Абрама Мцрели XVII в., ж. "Советское здравоохранение", №11, Россия–Москва, 1975.
- Хелаиа – Н.А. Хелаиа, Растения в грузинских рукописях II пол. XVI– XVIII вв., Автореферат на соискание ученой степени кандидата биологических наук, Украина–Киев, 1985.
- Хелаиа – Н.А. Хелаиа, К.Д. Дзадзamia, Древнегрузинские медицинские рукописи, в кн.: Материалы 2-го международного симпозиума СССР–ГДР по истории медицины, Россия–Москва, 1977.
- Khelaia – N. Khelaia, Georgian Medical Manuscript XVIII centuries, Prossedings of the 16th International Congress on the History of Medicine, Bulgaria–Plovdiv, 1978.
- Neubauer, Klimes – S. Neubauer, K. Klimes, Locine rostliny. Chekhoslovenska – Praha, 1986.
- Shengelia, Khelaia – R. Shengelia, N. Khelaia, A Priori Method and Criteria of Remedies Assesement, International Conference "Tradicional Medicine and Dietology – Way to Caucasian Longevity", Likani, 2006.
- Shengelia, Khelaia – R. Shengelia, N. Khelaia, Georgian Medical Manuscript: Typology and Conception, 1st International Conference "Tradicional Medicine and Materia Medica in Medieval Manuscripts, Azerbaidjan–Baku, 2006.
- Shengelia, Wirth – M. Shengelia, W. Wirth, Volk ohne Krankheit, Austria, Wien, 1992.

ლექსიკონის შედგენისას გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

- აბულაძე – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
- ბაგრატიონი – დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლალო კოტეტიშვილმა, თბილისი, 1985.
- ერისთავი – ლ. ერისთავი, ფარმაკოგნოზია, თბილისი. 2005.
- ერისთავი – რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, ტიფლისი, 1884.
- თურმანაული, თურმანაული – გ. თურმანაული, ი. თურმანაული, ფიტო-ფარმაკო-თერაპიული საშუალებები, თბილისი, 1997.
- თუშმალიშვილი – გ. თუშმალიშვილი, თურქული ლექსიკა ზაზა ფანასკერტელისა და დავით ბაგრატიონის სამკურნალო წიგნებში, თბილისი, 1999.
- მაყაშვილი – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991.
- ორბელიანი – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი (ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), თბილისი, 1949.
- რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1983.
- სააკაშვილი, გელაშვილი – მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. I, თბილისი, 1956.
- სააკაშვილი, გელაშვილი – მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, წ. II, თბილისი, 1958.
- სარჯველაძე – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.
- ფანასკერტელი – ზ. ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა მ. სააკაშვილმა და ლექსიკონი მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი, 1950.
- ფანასკერტელი-ციციშვილი – ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო მიხეილ შენგელიამ, თბილისი, 1959.
- ფანასკერტელი-ციციშვილი – ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, თბილისი, 1978.

- ქანანელი – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, ლექსიკონი საძიებლით იუსტინე აბულაძემ, თბილისი, 1940.
- ქანანელი – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დ. კუხიანიძემ, ლექსიკონი გადაამუშავა ნ. ხელაია, თბილისი, 1997.
- ღლონტი – ა. ღლონტი, ქართულ კილოკავთა ლექსიკონი, თბილისი, ტ. 1, 1974.
- ღლონტი – ა. ღლონტი, ქართულ კილოკავთა ლექსიკონი, თბილისი, ტ. 2, 1975.
- ყოფილი – ხოჯა ყოფილი, წიგნი სააქიმოდ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლადო კოტეტიშვილმა, ლექსიკონი საძიებლით შეადგინა იუსტინე აბულაძემ, თბილისი, 1970.
- შენგელია – ზ. შენგელია, სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, თბილისი, 1989.
- შენგელია, ხელაია – რ. შენგელია, ნ. ხელაია, ცხოველური და მინერალური წარმოშობის სამკურნალო საშუალებების გამოყენება ქართულ ტრადიციულ მედიცინაში, წიგნი: „ტრადიციული მედიცინა და საქართველოს სამკურნალო მცენარეები“, თბილისი, 1997.
- ჩუბინაშვილი – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984.
- წუწუნავა – ნ. წუწუნავა, საქართველოს სამკურნალო მცენარეები, თბილისი, 1966.
- ხელაია – ნ. ხელაია, საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები XVI–XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით (ვირისტერფა, ოროვანდი, ქრისტესისხლა), წიგნი: „ბუნების კარი“, თბილისი, 1988.
- ხელაია – ნ. ხელაია, საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები XVI–XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით (წალიკა, ოშოშა, კვრინხი), წიგნი: „ბუნების კარი“, თბილისი, 1989.
- ხელაია – ნ. ხელაია, ქანანელის X ს. „უსწორო კარაბადინის“ ზოგიერთი ფიტონიმის დაზუსტებისათვის, წიგნი „ტიპოლოგიური ძიებანი“, ტ. 4, თბილისი, 2000.
- ხელაია – ნ. ხელაია, საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები XVI–XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით (მატიტელა, ნეგო, უკვდავა), წიგნი: „ბუნების კარი“, თბილისი, 1991–1992.

- ხელაია, შენგელია – ნ. ხელაია, რ. შენგელია, მუმოს ზოგიერთი სამკურნალო თვისებების შესახებ ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლების მიხედვით, მედიცინის ისტორიკოსთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი, 1997.
- ხელაია, შენგელია – ნ. ხელაია, რ. შენგელია, ვაზი და მისი პროდუქტებით მკურნალობის საკითხები ქართულ ტრადიციულ მედიცინაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 35, თბილისი, 1999.
- ხელაია, შენგელია – ნ. ხელაია, რ. შენგელია, ფიტონოთერაპიის საკითხები ქართულ ტრადიციულ მედიცინაში, წიგნში: „ქრისტიანობა და მედიცინა“, თბილისი, 1997.
- ხელაია, შენგელია – ნ. ხელაია, რ. შენგელია, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველ სამკურნალო საშუალებათა გამოყენება ქართულ ტრადიციულ მედიცინაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 36, თბილისი, 2000.
- ხელაია, შენგელია – ნ. ხელაია, რ. შენგელია, კოლხეთის მცენარეულობა და სამკურნალო ფლორა, წიგნში: „ქრისტიანობა და მედიცინა“, თბილისი, 2000.
- Амасиаций – Амирдовлат Амасиаций, Ненужное для неучей, Россия–Москва, 1980.
- Бируни – Аль Бируни, Фармакогнозия в медицине, т. 4, Узбекистан–Ташкент, 1974.
- Гаммерман, Гром – А.Ф. Гаммерман, И.Н. Гром, Дикорастущие лекарственные растения СССР, Россия–Москва, 1976.
- Гаммерман, Кадаев – А.Ф. Гаммерман, Г.Н. Кадаев, Лекарственные растения, Россия–Москва, 1975.
- Государственная фармакопея СССР, Россия–Москва, 1968.
- Гроссгейм – А.А. Гроссгейм, Растительные богатства Кавказа, Россия–Москва, 1952.
- Джарвис – Д.С. Джарвис, Мед и другие естественные продукты, США–Апимондия, 1981.
- Дудченко, Кривенко – Л.Г. Дудченко, В.В. Кривенко, Пищевые растения – целители, Украина–Киев, 1986.
- Дудченко, Кривенко – Л.Г. Дудченко, В.В. Кривенко, Плодовые и ягодные растения, Украина–Киев, 1987.
- Жуковский – П.М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Россия–Ленинград, 1964.

- Ибн Сина – Абу Али Ибн Сина, Конон врачебной науки, т. 2, Узбекистан–Ташкент, 1982.
- Ибрагимов, Ибрагимов – Ф.И. Ибрагимов, В.С. Ибрагимов, Основные лекарственные средства китайской медицины, Россия–Москва, 1960.
- Ковалева – Н.Г. Ковалева, Лечение растениями, Россия–Москва, 1972.
- Корпачев – В.В. Корпачев, Целебная Фауна, Россия–Москва, 1989.
- Муравьева – Д.А. Муравьева, Фармакогнозия, Россия–Москва, 1981.
- Муравьева – Д.А. Муравьева, Тропические и субтропические лекарственные растения, Россия–Москва, 1983.
- Носаль, Носаль – М.А. Носаль, И.М. Носаль, Лекарственные растения и способы их применения в народе, Украина–Киев, 1960.
- Осетров – В.Д. Осетров, Альтернативная фитотерапия, Украина–Киев, 1993.
- Персидско-русский словарь в 2-х томах (под ред. Ю.А. Рубинчика), Россия–Москва, 1970.
- Полная энциклопедия народной медицины, в 2-х томах, Россия–Москва, 1998.
- Редкие и исчезающие виды флоры СССР (под ред. А.Л. Тахтаджяна), Россия–Ленинград, 1981.
- Роллов – А.Х. Роллов, Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применение, Тифлис, 1908.
- Русский словарь в 2-х томах (под редакцией Ю.А. Рубинчика), Россия–Москва, 1970.
- Русско-арабский словарь (сост. В.М. Борисов), Россия–Москва, 1967.
- Русско-турецкий словарь (сост. Э.М. Мустафаев, В.Г. Щербин), Россия–Москва, 1972.
- Современная фитотерапия, Болгария–София, 1988.
- Соколов – С.Я. Соколов, Фитотерапия фитотерапия, Россия–Москва, 2000.
- Турова, Сапожникова – А.Д. Турова, Э.Н. Сапожникова, Лекарственные растения СССР и их применение, Россия–Москва, 1983.
- Хелаиа – Н.А. Хелаиа, Растения в грузинских рукописях II пол. XVI– XVIII вв., Автореферат на соискание ученой степени кандидата биологических наук, Украина–Киев, 1985.
- Хелаиа – Н.А. Хелаиа, Справочник Азрумели – источник изучения фитотерапии в Грузии, в кн.: Развитие теоретических основ медицины, Россия–Москва, 1986.
- Хелаиа – Н.А. Хелаиа, Лекарственные растения грузинской медицинской рукописи XVI– XVII веков "Карабадин полезный", ж. "Растительные ресурсы", вып. IV, Россия–Ленинград, 1987.

- Хелаиа – Н.А. Хелаиа, Сведения о лекарственных растениях Грузии по данным "Врачебной книги" (Медицинская рукопись XVIII в.), Украина–Киев, 1988.
- Шрeтер – А.И. Шрeтер, Поиски и изучение новых лекарственных растений, Россия–Москва, 1980.
- Шрeтер, Муравьева – А.И. Шрeтер, Д.А. Муравьева, Лекарственная флора Кавказа, Россия–Москва, 1979.
- Яшвили – А. Яшвили, Народная медицина в Закавказском крае, Тифлис, 1904.
- Csapody, Csapodyva – I. Csapody, V. Csapodyva, Rastliny Lesov a Lúk, Hungary, Budapest, 1980.
- Czerepanov – S. Czerepanov, Vascular plants of Russia and Adjacent States (the former USSR), U.K. Cambridge, 1981.
- Дымков – П. Дымков, Българская народная медицина, природолечение и природосъобразен живот, Bulgaria–Sofia, 1979.
- Hoppe – Heinz A. Hoppe, Taschenbuch der Drogenkunde, Deutchshland–Berlin, USA–New-York, 1981.
- Gagnidze – R. Gagnidze, Vascular plants of Georgia a Nomenclatural Checklist, Tbilisi, 2005.
- Khelaia, Eristavi – N. Khelaia, L. Eristavi, Ethnoimedicine of High Mountain Regions of Georgia, Prossedings of the 3th National Congress on the History of Medicine, Bulgaria–Sliven, 1990.
- Khelaia, Shengelia – N. Khelaia, R. Shengelia, Turkish Medical Terms in Georgian Medical Manuscripts, Prossedings of the 38th Internationale Congress on the History of Medicine, Turkey–Ankara, 2005.
- Macdonald – Macdonald Ch. Medicines of the Maori New Zealand. 1974
- Mindadze, Chirgadze – N. Mindadze, N. Chirgadze, Georgian folk Medical Tradicions Kakheti, Tbilisi, 2005.
- National Formulary of Unani Medicine, India–New Delli, 1981.
- Neubauer, Klimes – S. Neubauer, K. Klimes, Locine rostliny. Chekhoslovenska – Praha, 1986.
- PDR for Herbal Medicines, USA–Montvale, New Jersey, 1998.
- Shengelia, Wirth – M. Shengelia, W. Wirth, Volk ohne Krankheit, Austria, Wien, 1992.
- Yieke – K. Yieke, Pokojové rostliny, Chekhoslovenska Praha, 1986.

ლექსიკონი

ა

- აბავი – აბაკი – „რომელი არს პიტნა“. იხ. პიტნა
აბავერი – „ორთავე უკანა ფ(ე)რჯთა აბავერი დასწკ“. უცნობია
აბალარი – ჰაბალარი – აბალდარი – აბულდარი. იხ. დაფნა
აბაჯარა – აბჯარა – „აბაჯარა სამისა დრამისა წონა...“ უცნობია
აბზინდა – აბზინდი – აბსინდი – აფსინდი, აფსინთინი – абсент, полынь горькая, п. настоящая Artemisia absinthium L. თბ. კატაკუდა; ფშ. აბზინთა; ხეს. აბზინტა; ზმ. რჭ. სიმჭლის ბალახი; მხვ. ყარტიმყრალი; სბ. აფსინდი; მგრ. აბზინდე, იხ. ელფერი
აბლეზირა – „ძარღვი ... რომე ცერს უკან არის“
აბუზადანი – ბუზადანი – ბუზიდან – უცნობია
აბულასა – აბუსალი – „მოცხარი არის“. იხ. მოცხარი
აბულბალასინი – (არაბ. აბულ – თესლი ან მარცვალი) იხ. ბალზამის ხე
აბურაშტი – აბურშატი – „წიწმანის თესლი“. იხ. წიწმანტი
აბუსალაბი – იხ. ბედანჯარი
აბუსალათინი – клещевина обыкновенная, касторник, Ricinus communis L. ქრთ. ზეთის ლობიო; ქზყ. ტკიპა ლობიო; იმ. გენაგერჩაგი; გურ. ჯულაბი; აჭ. აბუსხველათი. იხ. ბედანჯარი
აბუტარატი – აბუტრატი – იხ. შხამა.
ავანი – ჰავანი – სანაყელი როდინი
ავაჯი – „სტაფილოს ჰქვიან“. იხ. სტაფილო
აველუკი – „ღუალოსა ჰქვიან“. იხ. ღოღო
ავი ვარამი – ავი სიმსივნე
ავჟანდა – ავეო – ავშანა – ავშანდა – полынь похучая – Artemisia phylostachys (Boiss.) G.Wor
ავმარჯი – ავშარჯი – ავშარაჯი – „...ბროწეულისა ავმარჯი ყოველს მუავესა სეუემდით...“ უცნობია
ავშნარი – ავშარი – იხ. ფშატი, იხ. ფარისი, იხ. ლაფთი
აზავი – მხედველი.
აზუზი – აზუა. იხ. საბრი
ათაშფარი – მღიერის ერთ-ერთი სახე. Anthrax
აკაცია – акация Acacia dealbata Link
ალა – სიგრძეზე ამართული
ალაქი – იხ. დანამასტაკი

ალვა – იხ. შირხიშტი
ალვანახი – უცნობია
ალთეთი – **ალთირი** – **ალთისა** – **ალთისი** – **ალთისა** – **ხალთით** – **პოლთი-**
სი. იხ. საკპინაჯი
ალიზი – გამოუწვავი აგური
ალიკის წყალი – იხ. ალაქი
ალილა – **ალიჯი** – იხ. ალილაჯი.
ალილაჯი – სამკურნალო ბარისპირა буквица лекарственная, *Betonica officinalis*
L. იხ. ალილა
ალისარჩული – сафлор, крокос. *Carthamus tinctorius* L. რჭ. ზაფრანა. იხ. ჴენი
სიორშუნი
ალიქირუმი – **ალიქუმური** – იხ. დანამასტაკი
ამალიჯი – **ამალაჯი** – **ამლაიჯი** – **ამლაჯი** – ჩენოშემოცლილი ნაყოფი.
ჩენოშემოცლილი ცერცვის, ან მუხუდოს ღერდილი
ამარა – მღიერის ერთ-ერთი სახე – Anthrax
ამარტა – იასპი, ძვირფასი ქვა თეთრი ან ყვითელი, ან წითელი
ამარტანი აზრიკი – „ბაბუნაჯს ჰქვიან“
იხ. ბაბუნაჯი
ამატალაჯი – „სამი მუტყალი კილამონი, ბალილაჯი, ამატალაჯი...“ უცნობია
ამბარი – **ამბრი** – სურნელოვანი ნივთიერება Ambra, ვეშაპის (კაშალოტის)
ნაწლავებისგან გამონაყოფი.
ამილა – **ამულა** – Terminalia emblica
ამილახტი – **ამალახტი** – „...მყურის ბუდე, ამილახტი და კემუხტი...“ უცნობია
ანაკუჭთი – ფქვილის ანაცარი
ანანური – **ანანუხი** „პიტნასა ჰქვიან“. იხ. პიტნა
ანგაზდი – **ანგუდანი** – **ანგუზდი** – **ანგუჟატი** – „ქალბანა არის“. იხ. ოპანი,
იხ. საკპინაჟი, იხ. ქალბანა
ანგიზონი – უცნობია
ანდუზი – იხ. კულმუხო
ანისონი – **ანისომი** – **ანისული** – анис – Anisum vulgare Gaertn. (=Pimpinella
anisum L.)
ანტიოქური საყმუნია – „ფერად მომანხსო არის და ფიცხლად დაიფშენების
და ყვითლად“. იხ. საკამონეაჟ
ანძარული – **ანძარეტი** – **ანძართი** – **ანძრუთი** – **ანზარეთი** – **ანზართი** –
ხორცის წებო. Jelatinae

ანწლი – бузина вонючая, бузник, зеленик, *Sambucus ebulus* L. გურ. იმ. ანწლიკა; ჭნ. ანწკლი, ინჭირა, ინჭირი; მგრ. ინჭირია, ინჭილია, ინჭირი; სენ. განჭკე, გატნჭკე
ანჯარა – იხ. ჯინჭარი
აპივანი – „ერთი რიგი მუშია კაცისა ასოსაგან არის“. უცნობია
არაბულა ნარვილ – ქვიშას ქვიან
არაბული გომიზი – Gummi arabicum
არდაჯკა – **არდაჯაგა** – **არდაჯგა** – Алкана, Alkanae
არლაშხანი – კარლაშხანი (ძმის სისხლი). დაში ახავეინ-ი (არაბ.). Драконова кровь. Сургуч, *Dracaena cinnaburi* Ralf.
არდი – **არდისა კაჭაჭი** – იხ. ვარდკაჭაჭა
არეტი – „არეტის თესლისა თავი“. უცნობია
არისენი – **არსიმუნი**. იხ. ქუნჯითი
არუასპი – **აჯასპი** – ძალა შაბიამანი медный купароз *Ferrum sulfuricum*
არტანისი – **არტანიტი** – „რომელ არს ჯაბლაი“. უცნობია. იხ. ჯაბლა
არყი – არყის ხე береза *Betula* გურ. ბალი, მთის ბალი; მგრ. ჭყერი, გვალაშიბული, ბულიშცხიმური; სენ. ჟჭვერა, ჟაკვერ, ჯაყვარლა; ლჩხ. არყე
არყნისა – „შხამიანი წამალი“ უცნობია
არჯმანიკი – იხ. შაფჯაგა
არჯაკელი – чина розовая *Lathyrus roseus* Stev. ფშ., ხვს. არჯაკელი; თშ. ცერცვისწვერა, ჭაკუნტელა; რჭ., ლჩხ. ზერხო; ინგ. აჟანკელ, აჟენკარ; სბ. ორჯოიკი. იხ. კაროსი, იხ. ქრეავსი, იხ. წყლის ჭაკუნტელა
ასარონი – **ასარიონი** – **ასრიონი** – **ასარუნი** – იხ. კატაბალახა
ასთაკ – დუმიანი კიბორჩხალი
ასთარი – **ასფარი** – 1. წამალია მხურვალი, რომელიც კეთრს არჩენს, 2. საღებავია
ასისთავა – золототысячник *Centaureum umbellatum* Gilib. (=Erythraea centaurium L.)
 კხ. დედამიწის ნაღველა, ხოროსანი; ფშ. ხოროშანი; გურ. ხინახინა, ქინაქინა; აჭ. ხინა, თავცეცხლა; ჭნ., მგრ. ჩხეში ჭამი, ჭითა პირა; მგრ. ცინტურია
ასკილი – шиповник, роза дикая *Rosa canina* L. და ამ გვარის სხვა ველური სახეობანი. ქრთ. მინდვრის ვარდი; ფშ., ხვს., მთ., თშ. ესკალაი; ლჩხ., ოკრ. ტყის ვარდი; იმ. ქორნიკარტა; გურ. ეშმაკის მათრახი; ინგ. თეთრ ვარდ, ტყი ვარდ, ქაქია; ჭნ. მტკუი გუტლი; მგრ. ეშმაკიში ვარდი, ეშმაკიში მართახი; სენ. მუჭგვარი, კვატრი

ასლასუსი – ასლისუსუ – ძირტებილა лакрица, лакричник, солодка, солодковый
 корень *Glycyrrhiza glabra* L. ქსე. სატკებურა
ასლი – двузернянка, полуполба, эммер *Triticum dicoccum* (schrank) Schübl
ასრაუთბო – „ხურმასა ჰქვიან“. იხ. ხურმა
ასტამი – ცომის მოსაფხეკი.
ასპანუჯი – თურქ. ესფენაჯ. იხ. ისპანახი
ასუს ბასარ – „სქედასა ახლოს ახლავს“. უცნობია
ასტიცე – წყლით ორსულობის ერთ-ერთი სახე
ატამი – персик *Persica vulgaris* Mill. ჭნ. ანტამა, ატამბა; მგრ., სენ. ატამა
ატური – „ცხენის ყორჭი გაუპე, ატურ და გესლი გამოუვიდეს“. უცნობია
აფთიმე ხაზარი – „იფნის კაკალსა ჰქვიან“. იხ. იფანი
აფთიმონი – აბრეშუმა – повилика, повилица, кускута *Cuscuta* კხ. ბეჭედა, გველისდობე, საპონელა; მხვ. საბეჭდიაი; თშ. გველისმძივა; მხს., ჯვხ. გაბლანდულა; ერწო ჭინჭრის ძაფი; რჭ. გველივენახი, ბუწავა; ლჩხ. გველი-ძაფი; ინგ. ჩიტხადათ; სენ. პერწმში ღაჯწმარ, პვიჯში ღაჯწმარ, გიმიშ ღვესე.
აფონი – აფიონი. ოპიუმი, ხაშხაშის წვენი, *Opium*, იხ. ხაშხაში
აფხაზური სიეშა – „აფხაზური სიეშა“. უცნობია
აქლი – 1. ხელის შუა ალაგის არტერია (ვენა) 2. აგრეთვე ვენა ყოფალსა და ბარკალს შუა „აქლი ძარღვიცა გაუსხენ“.
აქლილ მალიქი – *Melilotus officinalis* Lam.
ალიჭი – „ჭინჭარსა ჰქვიან“. იხ. ჯინჭარი.
ალტოლი – იხ. თუთუბო.
აყაყია – *Natrium Boricum*
აყირო, ყელიანი გოგრა – горлянка, кубышка, бутылочная тыква, посудная тыква *Lagenaria vulgaris* Ser. კხ. წყლის გოგრა; გრ. კხ. თათრული გოგრა; თშ. კოკოშა; იმ. კვატურა; რჭ., ლჩხ., ზმ. იმ. მწარე კვახი, სარწყულა კვახი; მთ. რჭ. ხრიკა, ხრიკას კვახი; გურ. მწარე ხაპი; აჭ. კოში; ინგ. კოტოში; ჭნ. კარკალა, კოკონა, ჭურა; მგრ. კოლო ჭურა, ჭურა, ტუტლა, ჭურაში კოპეშია; სენ. ტუტვირ; ერ. ყარყარა კვახი.
აყირყარა – (არაბ. „აყარ“) სამკურნალო ბალახის ძირი ზოგადად. „მთის ტარხუნის ძირსა ჰქვიან“. იხ. ტარხუნა
აღვიკაფაჯი – „ესე სენი ბევრის სმისა და ჭამისაგანც შეიქნების“. უცნობია
აშაყი – გომფისი. *Gummi Ammoni Ocum*.
აჯილლა – „ცხენის კურატი“, ცხენი დაუკოლაგი

ახაფრაცი – „სქედასა ახლოს ახლავს“. უცნობია

ბ

ბაამანი – ბამანი – ბამიანი – ბაჰმანი – იხ. მრავალბარღვა

ბაბათი – „გვირილას ჰქვიან“. იხ. გვირილა

ბაბაყუელი – ხარისკუდა, შუბანა – коровяк представительный *Verbascum spectabile* M. B. კხ. ყვირილა; მსხ. შუბანა; მსხ., ჯვხ. ბაბაყვერა.

ბაბუნაჯი – იხ. გვირილა

ბაერუკი – იხ. ბორა, ბორაკი, *Ворак*

ბაზმი – სანათი – ცეცხლი

ბაზრაცატუნი – ბაზარტუტუნი – ბაზარყატუმი – (სპ. ბაზრ „თესლი“ და აქათან „სელი“, აქედან ბაზრატათან) სელის თესლი, იხ. სელი.

ბაზრუთი – „ფიჭვის თესლი არის“ იხ. ფიჭვი

ბაზრუნ ბანჯი – „რომელ არს მელცოფის თესლი...“ ლენცოფას თესლი იხ. ლენცოფა

ბაია – лютик, куриная слепота *Ranunculus* ქრთ., კხ., მსხ., ჯვხ., ზმ. იმ. ცხვირი-სატეხელა; ქრთ., მხვ., ხვხ., თშ., ქხყ., რჭ., იმ., აჭ. წალიკა; მგრ. ბაიე, ბაია.

ბაილსირი – ბუასილი

ბაკლა ან ბაყლა – (არაბ. „ბაკლა“) ცერცვი, ბოსტნეული. იხ. ცერცვი

ბალადური – ბალაზური იხ. სუმბული

ბალაზინი – იხ. ბალზამის ხე

ბალამწარა – შამბალი черешня дикая *Cerasus silvestris* (Kirschl.) Garsault (=C. *avium* auct p.p.) იმ., ლჩხ. მწარე ბალი; გურ. შავბალა, შამბალა; ინგ. ბალდუნჯი; ჭნ. მტკუი ბული; მგრ. კოლო ბული, ტყარი ბული; სენ. ცხეკიშ ჰებრა.

ბალბა – мальва, просвирник, калачики, зинзивер *Malva* უმთავრესად *M. silvestris* L. და *M. neglecta* Wallr. ქრთ. ჩიტოპურა; მსხ., ჯვხ. კორკოტინა; ხვხ. აბაზა; მხვ. კორკოტაი; ქვ. იმ. დონგის ფხალი; რჭ. მოლოქა ფხალი; რჭ., ლჩხ., იმ., გურ. მოლოქი, მოლოქა, მალოქი; სბ. კორკოტანა; მგრ. ბოდორია, ბოდურია; სენ. მოლექ, მოლოქ. იხ. მოლოქა

ბალბალუკა – мальвочка Жерарда *Malvella sherardiana* Jaub. et Spach. იხ. იასმაგი

ბალზამის ხე – *Balsamodendron myrrha* neos V.E.

ბალი – „მურტი ჰქვიან“. იხ. მურდი

ბალი – черешня *Cerasus avium* (L.) Moench ქრთ., კხ., მთ., რჭ., კხ. მბალი; ჭნ. მგრ. ბულა; სენ. ჰებრა. იხ. მბალი

ბალილა – ბალილასი – ბალილაჯი – ბალინაჯი – ბალჭი – მუსელუხის ბუღე *Convolvulus tricolor* L.
ბალკათა ღმაკი – „თოხაქმანი არის“ იხ. თუხმაქანი
ბალღამი – ფელგმა ანუ ფლეგმა, ერთი ოთხ სითხეთაგანი, რომელიც ჰუმორულ-პათოლოგიის თეორიის მიხედვით შედიოდა ადამიანის სხეულის შემადგენლობაში. იხ. მალასი
ბანა – *Gualandina moringa* L.
ბანაესაჯი – ბანაეშა. იხ. ია.
ბანბა – ბამბა – хлопчатник *Gossypium herbaceum* L. ჭნ. ფამბუღი; მგრ. ბამბე.
ბანგი – ნარკოტიკული ნივთიერება
ბანკამა – „იასა ჰქვიან“ იხ. ია.
ბარათხაზი – ბარართხიზი – „ყმაწვილ(ი)ს... გუნებასა ბარათხაზი რქვიან, მიემსგავსა კანდელსა, რომე ყოველსა ტანსა ანათლობს, მისგან ოთხი ძარღვი გამოვა“. ძალია გულისა
ბარავე – „ყურსა, რ(ომელ)სა ბარავე სდიოდეს და სტეხდეს“. უცნობია
ბარანბო – ბარამბო – Лимонная мята, цитрон, мелисса, *Melissa officinalis* L. იხ. ბალასირი
ბარას – იხ. მუშეკი
ბარასი – არაბ. კეთრი
ბარდა – горох *Pisum* ქვ. აჭ. ცერცვი.
ბარისპირა – буквица *Betonica* რჭ. ფოთოლა ბალასი; მხვ. ბარაი
ბარკალი – „თეძოს ქუშმოთი“
ბასალიკი – ვენა. *Vena basilica*
ბასალიყონი – წამალია რთული შემადგენლობით: ალილაჯი, კოჭა – 5 დრამი; თეთრი პილპილი – 2 დრამი; ნიშადური 1 დრამი
ბასალიყონის მალამო – „უშეგელის რადც ძველი და ავი დაკოდილი წყლული იყოს“. უცნობია
ბასბასა – ბაბასა – „ჯავზის ქერქია“. იხ. ჯავზი
ბასეაიჯი – ბასეიჯი – ბასეიჯი – კილამურა *Polipodium vulgare* L.
ბატბატია – იხ. ლენცოფა
ბალასირი – „ბარნაბოს“ ჰქვან“. იხ. ბარანბო – ბარამბო.
ბალდაღური ნიტრა – 1. წონის ზომა. 2. ღვინის საწყაო ან სასმისი.
ბალის პიტნა – мята перечная, м. английская, м. холодянка *Mentha piperita* L. მგრ. პიტინე. იხ. შინაური პიტნა
ბაყა – ბაყი – ბაყლი – ჩირქი, მწიკელი, თხამლი, ბალღამი.

ბაყაყი – лягушка იხ. მარტვე მარჯ, იხ. მყუარი
ბაპრი – „შავარდენს ჰგავს“ ფრინველია
ბაპუანი – „ბიის შარბათი დავწეროთ, რ(ომელი) უშველის სტომაქსა, რომ გასუსტებული იყოს, ძ(ა)ლი მისცეს და ბაპუანი გაიღოს“. უცნობია
ბედანჯარი – იხ. აბუსალათინი
ბედნიერი – ციმბირის წყლული, ჯილეხი
ბევეკონი, ბელეკონი – ხის წებოა. იხ. ჩათლაყუში
ბერძული ზეთი – Oleum graecum
ბზა – самшит колхидский, кавказская пальма Buxus colchica Pojark ქრთ. უფლის ხე; აჭ. შიმშირი; ჭნ. ჩიმჩირი; მგრ. ბზაკალი, ზაკალი; სვნ. ბაია, ბზაკვლ, ზაკალ.
ბზე – ყანის ნალეწი
ბია – იხ. კომში, იხ. საფარაჯალი
ბიო – „ბიო წურბელი მოკიდე“. უცნობია
ბირკა – репейник ხვს. ღორნიკა; გურ. ხოზიკა; ზმ. რჭ. ბუწალია; ქვ. იმ. ბუწკალია; ლხხ. ბუწალიე; ჭნ. მციგუა; მგრ. მციგუა, ბაძგარია, ბაკარია; სვნ. მებენძლი.
ბირკწურლი – „ბირკწურლისა თესლი შეგბოდე“. უცნობია
ბირტუსკი – „თრანგუბინი ანუ ბირტუსკი ათი დრამი“. უცნობია
ბლიტა – „თ(უა)ლთა რ(ომე)ლსა ბლიტა მიედებოდეს“. უცნობია
ბოლოკი – редька Raphanus sativus L. var. major A. Voss. ქხყ. წყლის ბოლოკი; ხვს. ოსტანი; ჭნ., მგრ. ბულეკი; სვნ. ბოლოკ, ბოლეკ, ბულეკ. იხ. ფაჯალი
ბოჟი – (სომხ.) ახალი ყაჭის პარკი. იხ. ყაჭი
ბორა – ბორაკი – იხ. ბავრუკი.
ბორჯალი – ციების შეტევის დრო ან ოფლის მოსვლის დრო.
ბოსტნის ია – Вероника персидская Veronica persica Poir. (=V. Tournefortii Gmel.) ფშ. ბოსტანთ ია; ზმ. იმ. მარგალიტა, ძიმა; ოკრ. ჟუჟუნა; ქვ. იმ. დედა-ბოსტანა, ჭუჭუნა; გურ. დედალოპერა, მიწის ლოპერა; აჭ. ლოპერა; მგრ. ძუძურიკა.
ბოძალი – ისარი ორპირი
ბრე – მტუერი ბზე ნარევი
ბრინჯი – рис, чалтык, Oryza sativa L. ინგ. ჩალთუქი; მგრ. ორზა; ჭნ. ჩელთილ, ბრინჯი

ბროწეული – гранатник, гранат *Punica granatum* L. ქხყ., აჭ. ბროწოლი; ზმ. იმ. ბრაწოული; იმ. ბერწოული, ბრეწოული; ლჩხ., რჭ. ბროწოული; ინგ. ბროწოლ; ჭნ. ბერწეული, ბრეწეული; მგრ. ბერწული, ბრეწეული

ბრძეული – ბერძული უცნობია

ბუგრი – კანის მუწუკი, გამონაყრები

ბუგრა – белокопытник, подбел *Petasites* ქრთ., კხ. ბორხვენა; ფშ. ბუერას დედა; ხვს. ბუარა; ზმ. იმ. ფურღველა; ბურღველა; გურ. ბურღავაი, ბულღავაი, ლეშხი; ქვ. იმ., ლჩხ., რჭ. ბულღავა, ბულღვა; ზმ. რჭ. დიღმა, დიღელა, ყარდიმელა, მელაკუდა; აჭ. ბულღო, ბარამბო; მგრ. ბული, ბურღი; სენ. ბირღე, ბუურღუ, მუკურთხი. იხ. ბურღვენა, იხ. წყლის ბურღავა.

ბუზურგი – იხ. სიქანგუბინი

ბუნდრუკი – იხ. გუნდრუკი

ბუკი – დიდი საყვირი

ბურანი – არც ძილი, არც ღვიძილი სნეულისა

ბურბუშელა, ბაბუაწვერა – одуванчик, подыйник *Taraxacum* უმთავრესად *T. officinale* Wgg. ქხყ. ყურბანა; თშ. მღვდელისწვერა, საღვიძლა, ღვიძლა; ჯვხ. კაბაკუბა, ქაქაბუა, კაკაბუკა; მხვ. ვარდკაჭაჭა, სადღობელი, ერწო ზაზილაყა, ზაყზაზია; იმ. ბაბუაწვერა; ლჩხ. ქარაფშუტა; გურ. ფუ, ფუბაბუა, ფუსფუსა, ყურისაყსებელა; ჭნ. ხოჯი მოზაი, ხოჯი კოკაი; მგრ. პაპაში ღვინი; სენ. ქორგილ.

ბურღვენა – ბურღველა – ბურღავაი – იხ. ბუერა.

ბუშუგი – ბოქვენსა ჰქვიან

ბუწი – ერთი წლის თოხლი

ბ

გააზბანა, გაგზაბანი – „ზროხის ენა არის“. იხ. პატარძალა

გაგაბუა – გაზაფხულის თავყვითელა. Крестовник весенний *Senecio vernalis* W. et K. კხ. ქიზიყურა; მხვ. ალიერა; ზმ. იმ. ბაძლა, გაგაბუა, კაკილა.

გაგლი – „გაგლის თესლი და მარილი შეაზავე“. უცნობია

გაგალო – „ვმელი ხილი შაქრითა და ნუშით გატენილი; ვმელი ქლიაგი“ .

გაზმაზუ – „გუნდას ჰგავს, მაგრამ გუნდა არ არის. იმას ჰქვიან დეჯრი“. იხ. დაჯირა

გაზმინა – „თახვის ყვერი არის“. იხ. თახვის ყვერი

გაღლა – გალა-მხალი დაწნული გასაჭმობლად.

განდანაჲ – (ირან. „განდნა“) – იხ. პრასა, იხ. სპარსი

განთა – „გოგირდსა ჰქვიან“. იხ. გოგირდი
განოტი ჯივდეს – „...სტომაქი გაგრილდებოდეს და განოტი ჯივდეს...“
 უცნობია
გარგარი – абрикос *Armeniaca vulgaris* სბ. დარანდო. იხ. წირნი.
გარეული პიტნა – ვირი პიტნა. *Mentha Pulegium*, *Mentha arvensis* L. იხ. თოფა-
 ლახი, იხ. სოდი
გარიანის ხორცი – „გარიანის ჯორცი აჭამეთ...“ უცნობია
გარიპალი – „ზარდახოელს ჰქვიან“. იხ. ზარდახო.
გაურასა – მღიერის ერთ-ერთი სახე – Anthrax.
გემლატი – გელმატო – უგემური შეჭამადი
გერმაფ – გერმა – ფრინველის ბუმბული
გველის სურო – нарвинок *Vinca* კხ. მიწაფართხა; ზმ. იმ., აჭ. სუროვანდა,
 სუროვანდი; იმ. მიწის სურო; ლჩხ., ოკრ. სუროწვერილა; მგრ. გვერიში
 ცურუ, მურხვანტალა.
გვიმრა – папоротник კხ. ჩაღუნა; თშ. ჩაღა; ჭნ. ბილონცა; მგრ. გვიმარა; სვნ.
 გვიმორ, გვიმიძა.
გვიმრჭა – გვიმრ(უ)ჭა – костенец черный *Asplenium nigrum* Heuf.
გვირილა – ромашка *Pyrethrum* ქრთ. ზიზილა; მხვ. აბზინდა; მსხ., ჯვხ. ჩინაგი;
 მთ. რჭ. კაკული. იგივე საკორწვილე (სპ. ბაბუნაჯ) იხ. ბაბათი, იხ.
 ბაბუნაჯი, იხ. ირცუკი, იხ. სადარკი, იხ. სანძური, იხ. ხოტი
გილიერმნი – გილიერმანი („გილ“ – თხა, „ერმანი“ – სომხური) *Bolus*
armenica
გიშრაფეთი – გაშრაფეტი – კორკოტი ზელილი
გლერბი – астрагал кавказский *Astragalus caucasicus* Pall ქრთ. დვლერბა; ჯვხ.
 გლერბა; ქზყ. ქათირა; ხვს. ეთეკა; კხ. კუტეკალი; გრ. კხ. გლარჯანა; ჩ.
 ეკალბუნქა. იხ. ქათირა.
გობისცხვირა – черноголовка, чернушка *Brunella vulgaris* L. კხ. გარეული რეპანი;
 ფშ. შაგბალახა; ხვს. შაგთავა; ზმ. იმ. ბუნუჩა; გურ. ღორის ჩაი; აჭ. შავი
 აიშე, პერანგა. იხ. ღორის ჩაი.
გოგირდი – (სპ. „გოგირდი“) Sulfur. იხ. წუწუმა
გოგნუ – „ზირაქიმანს ჰქვიან“. იხ. ზირა, იხ. ზირაქიმანი, იხ. კვლიავი, იხ.
 ძირა, იხ. ძირაკი, იხ. უძრავა, იხ. ქამუნი
გოგრა – тыква *Cucurbita* ინგ. გუგრა; იმ., რჭ., ლჩხ. კვახი; გურ., აჭ. ხაპი; ჭნ.
 კაიში, ყოყორე, ჭელი; მგრ. კოპეშია; სვნ. კვახნეს, კოპეშია. იხ. კვახი.
გომეთი – „თუ ცხენსა გომეთი შეექნას“. უცნობია

გომიზი – ხის წებო
გომიზი არაბი – არაბეთის გომიზი Gummi Arabicum.
გოქშო – ворсянка Dipsacus უპირატესად D. laciniatus L. ერწო გოგჩო; ღჩხ. კაჭაჭო, ფურცხვი; ზმ. იმ. კაჭაჭო, სამაჭრია; ქვ. იმ. დოქსაწური; ღჩხ., მგრ. საკოკია; გურ. ბურძგალა, ბურძგატა; სვნ. ბურბუსალა. იხ. კაჭაჭო
გოჭა – კობრი
გრაკლა – **გრაკი** – **გარაკი** – таволга Spiraea ფშ. ბრაწი; თშ. მაკატი, მახატი; სვს. მაქაცვი; მთ. ჩინჩხი; მგრ. ჩიბარი, ჩიბაბარი
გრწყილი – რწყილი.
გრძღაბი – ზღარბი.
გუამი – ჯორცი, სხეული, ტანი, სული, ბუდე, ქარქაში, მუცელი, ორგანიზმი
გუარზმანა – „გუარსამი სნეულებაა, სიგიჟე, სიცოფე, ჭკუაშეშლილობა“. **გუარიშნი** – „საზოგადო სახელი შიგნით მისაღები რბილი წამლებისა, რომლებიც დამზადებულია სიროფით ან ღვინით“. **გულნარი** – ბროწეულის ყვაილი.
გულყანდი – (სპ. „გულ“ – ვარდი; არაბ. სპ. „ყანდი“ – შაქარი) – ვარდის შაქარი
გუნდა – გუნდი – პირამიდული კვიპაროზი – кипарис пирамидальный Cupressus sempervens L. ქრთ. მირონის ხე, ხეთუფალა; სბ. სარო, ალვის ხე; მგრ. გუნდაში ჯა.
გუნდრუკი – თეთრი საკმეველი, მიიღება Styrax Bension-ისაგან Ladanum Album იხ. ქუნდრუ
გუშმა – ტანჯვა
გუყი – „გარეული სტაფილო არის“. იხ. სტაფილო.

ღ

დაატ – „შავი რქიანი ჭიაფ, რომელი გაზაფხულზე ცურიანს ღილას იარების“. უცნობია
დაბურვა – „ტაფასა შინა დაბურვე, ვიდრე არა გაწითლდეს“
დაგლილი – დანაყილი, დაბეყილი
დაინდუბა – „კამის თესლსა ჰქვიან“. იხ. კამა
დათვის ენა – „დათვის ენა, ირმის კუდი, ჯაოზი...“ უცნობია
დაკკურლი – „დაკკურლისათვის“. უცნობია
დამბლა – (თურქ. "damla", არაბ. „სქედა“), პარაპლეგია, ინსულტი. იხ. სქედა

დანამასტაკი – დამასტანი – мастоковое дерево Pistacia lentiscus L. იხ. ელიქი-რუმი
დანგი – „სამის კერატის წონა“ იხ. კერატი
დანდური – портулак Portulaca oleracea L. ქზყ. კატკატო; ჯვხ., მსხ., რჭ., ლჩხ., ზმ. იმ. მსუქანა; ქვ. იმ. კერატა; გურ. უკვდავა; ჩ., ინგ. დანდრანუკა; მგრ. ვალურია, უღურაღე. იხ. ფარფარაჲ იხ. თუხმაქანი
დარბანდი – უცნობია
დარიფილფილი – (სპ. დარაფილფილ) გრძელი წიწაკის ერთ-ერთი სახეა. Piper longum L.
დარიჩინი – დარიჩინის ხე – коричное дерево Cinnamomum zeylanicum Breyn. ჩ. კინამო, იხ. კილამონი
დაულადასი – „ნიშანი რომე დაუსულაბი, დაულადასი, რომე თმისა, წარბისა, წვერ-ულვაშისა დაცვენასა ჰქვიან...“ უცნობია
დაულმული – „სხვა გამომაგალი... ან ტანზედა გამოვა და ღლიასა...“ უცნობია
დაუსულაბი – „ნიშანი რომე დაუსულაბი, დაულადასი, რომე თმისა, წარბისა, წვერ-ულვაშისა დაცვენასა ჰქვიან...“ უცნობია
დაუფალა – დაუფილა – დაულფილა – დულუფი – (არ. სპ. „დანუფილა“, ან „დანულფილა“: და „სენი“ დაფილ „სპილო“, აქედან სპილოს სენი) – ფეხის ავადმყოფობა, ფეხის ტკივილი, ანუ ფეხის გასივება, სპილოს ფეხის მსგავსად.
დაფაჩი – „ქერის ფქვილი, დაფაჩი, დარბანდითა ტლე ქენ...“ უცნობია
დაფი – დაფლი – იხ. დაფნა
დაფნა – კეთილშობილი დაფნა лавр благородный, бибковое дерево Laurus nobilis L. სპ. დაფნი, რაფინდი; ჭნ. დეფნე; მგრ. დაფი.
დაღი – „ესე არს საბეჭდავი გაკურვებული ცეცხლითა“
დაკდომა – დაჰხდომა – წასვლა, ჩასვლა
დაჯირა – шалфей муточчатый Salvia verticillata L. ქრთ. შაებალახი; კხ. დაჯორა; მსგ. თაჯაი; ერწო ტაჯირა, მთ. ნეხებალახა; მსხ., ჯვხ. შავტრაკა; რჭ. ყვანჩალა; ლჩხ. პურშო, პურშუე; სენ. პიშე. იხ. გაზმაზუ
დებეარდები – „მუშკუშა ჰქვიან“. იხ. მუშკი
დედაბოსტანა – იხ. ბოსტნის ია
დედალპერაი – იხ. ბოსტნის ია
დეუეფინოს – დიოფენესი – წყლით ორსულობის ერთ-ერთი სახე.

დიდგული – бузина черная, бузок Sambucus nigra L. ქრთ., კხ., აჭ. დუდგული; ზმ. იმ. ხეკრო, გულყურუ, გულყურო; ქვ. იმ. (სამტრ. რ.) ანწლი; ლჩხ. ხედრუე; რჭ., ლჩხ. ხეყრუა; ოკრ., ქვ. რჭ. ხრეკოლა, ხრიკოლა; გურ. ხელთოფა, თხიფსელა; აჭ. სართოფელა; ერ. ყრუა ხე; ჩ. თოფჩი; ჭნ. კამპაა, კამპარა; მგრ. თახვანტია, თახვანტიამ ჯა, ხინთობალაში ჯა, ინჭირაია, ჩვანჯაბე, ჩინჯაბი, გეყრუად, თვეფილა, თოფრა; სენ. გეყრუდ, თვეფილა, თოფრა.

დიდი ბურა – იხ. ბურა.

დიდი ეკალი – გლედიჩია – гледичия Gleditschia უმთავრესად G. triacanthos L. კხ. ხეეკალა, ხელურსმანა, ლურსმანა, ჭოტი ხე; ქხყ. დიდეკალა; იმ. ქაჯეკალა, ღობის ეკალი, რუსული ეკალი, ქაცვი-ეკალი, დიდი ეკალი, საწოვარა; ჩ. ქრისტესგვირგვინა; მგრ. რუსულ აკაცი.

დიდი კამა – укроп волошский, фенхель, укроп сладкий Foeniculum vulgare Mill, F. officinale All. კხ. ვირგლა კამა; ქხყ. ცერეცო; დსვლ. კამა. იხ. რაზიანე, იხ. შიფითი

დიდო ფილფილი – იხ. დარიფილფილი

დიკა – дика, пшеница картлийская Triticum carthlicum Nevski

დინდგელა – прополис

დიოფაღა – დედოფაღა – იხ. ყანის ია

დიყა – არაბ. დიყ – ჭლექი, ცხრო, ციება

დიყი – борщевик Heracleum ქრთ. ხელახაში; ქვ. ქრთ. დიყინა; ჯვხ., მსხ., სმხ. თელახარში; გურ., აჭ. თილახარხილა, ჩილახარხილა; იმ. დიყა; რჭ. მდიყი; აჭ. დილყა; ლჩხ. ქოლგანა, ჩინჩელა; ინგ. დტყ, დიყვი; ჭნ. მთუთი ბული; მგრ. დიყე, ფალახარჯი, ღოდე, ღოდელია; სენ. ღახვანში ჩინელა, ჩინელა.

დიენალის – დაავადება „სულის გუბებასა ჰქვიან“

ღო – რძის ან მაწვნის ნათქვეფი

ღრამი – „ექუსის დანგის წონა“ იხ. დანგი

ღრიტა – დვრიტა – მაჭიკი

ღუ – ლაქაში poroz, куга Typha ქრთ. ხმალა; კხ. ეშმაკის მაშხალა, ლელი-ჩალა; ქხყ. ზამბახის ჩალა; თშ. ჩალაბუმბულა, საბუარა; ხვს. კორტიალა; მსხ. უნდი; ერწო კუტარელა; ჯვხ. ეშმაკის-სანთელა, კურტნის ჩალა; იმ. დუ, უინელი; ლჩხ. ბუმბუსა; ზმ. რჭ. კატუნა; გურ. ლეკურა; ინგ. ჩირად-ფანი.

ღუგუნ – „ვორცთა ზედა დასმენ კაცნი წათხისა სადინებლად, რომელსა ქართულად საწათხე ეწოდების. იხ. წათხი

ღუდღუბო – იხ. ონტოფა, იხ. ძირამო

დულ ბოლოსი – „სხვა გამომავალი... რად გამოვა ერთოფ ქაველს დაუწყებს და წყლულად შეიქნების...“ უცნობია
დულუფი – (სპ. სპილოს დაავადება) „სენი არის რომე ფევი გაუმსხვილდეს“. იხ. ფალია სპილო
დუმბაროთანი – „თივისა ფისი, ცკლი და დუმბაროთანი“. უცნობია

ე

ეგირი – იხ. კოთხოჯი, იხ. ვაჩ
ეკალი – **ეკალა** – ნ. ეკალიტი – *сассапариль, павой Smilax excelsa L.* ქრთ. პრუწუნა; კხ. კანკრა; ქრთ., კხ. დიტი; ფშ. დიჭა; იმ., რჭ., ლჩხ. ეკალა, ბურწუმელა, კურწუმელა, ყურწუმელა, კინკარუყა, შაშვიპურა; გურ. ძიგურა, კურკანტელა; სბ. ბრწამლი, ბურწუმელი; ჭნ. დაძი, პურწუმოლი; მგრ. მეგირი, კალია, კალიე, კალიეში ძეგირი, კაკილარი, კორჩხელი.
ელეერი – ელენი – ელევანდი იხ. აზინდა.
ელიქი ბუტში – „ელიქი ბუტში ხუთი დრამი...“ უცნობია
ელიქირუმი – იხ. დანამასტაქი
ემდერდეს – კუნთოვანი სისტემის თრთოლა, კანკალი, უნებლიე მოძრაობა
ენდრო – *марена грузинская, крапп грузинский Rubia iberica (Fisch.) C. Koch* ხვს. ხევსურის ლილა.
ენძელა – *марендера Marendera trigyna (ad.) G. Wor. და M. raddeana Rgl.* ფშ. ხვს., თშ. ანძალა, ენძალა; მხვ. ყორნისპუკალა, ვენძელა; სმხ. დენძელა.
ერდაკნი – უცნობია

ვ

ვაზი – ვენახი *лоза виноградная, виноград Vitis* დხვლ. ვენახი; ჭნ., მგრ. ბინეხი, ბენეხი; სვნ. ვაახ, ღვაზ. იხ. ყურძენი
ვალი – საცერი: „ვალითა გაცარ“. „ვალითა უკუიკრევი“.
ვარამი – სიმსივნე
ვარდი – *роза Rosa*
ვარდკანაფა – *посконник, седаш Eupatorium cannabinum L.* ქვ. იმ თიკა; გურ. კანაფურა; იმ. თავქუჩენა; მგრ. ჭითაქარიში წამალი. იხ. შამბალითი
ვარდკაჭაჭა – *цикорий Cichorium intybus L.* ქრთ., კხ. ულწველა; ერწო ღორთ-კაჭაჭა; რჭ., ლჩხ. ულწვა; ინგ. არდ; მგრ. ტატალი, მწვანე სვიტი; სვნ. ულწუა. იხ. არდი, იხ. არდისაკაჭაჭი, იხ. ქასნი.

ვარიშინი – „ძირა არის“. იხ. ზირა, იხ. ზირაქირმანი, იხ. ძირა, იხ. ძირაკი, იხ. გოგნუ, იხ. კელიავი, იხ. უძრავა, იხ. ქამუნია

ვასვასა – სენია. შეშლილობა, სიგიჟე. „რომელ არს სიცოფე“

ვაშაქი – ვაშაყი – ვაშვი – Gummi Ammoniacum – ერთგვარი წებო

ვაშლი – яблоня обыкновенная Malus domestica Borkh. ჭნ. უშქირო; მგრ. უშქური; სენ. ვისგ, ვისკვ, უსკვ.

ვაშლი ველური – ვაშლი ტყისა – მაჯალო – яблоня дикая восточная, кислица, кислушка Malus orientalis Uglitz. ქვ. რჭ., ქვ. იმ. ჭკუტავაშლი; ზმ. რჭ., ზმ. იმ., გურ. პანტა, პანტა-ვაშლი; ლხხ. ტყის ვაშლი, მწარე ვაშლი; ინგ. ჭირვაშლ, ჭირჭიმა; ჭნ. მტკუი უშქირო; მგრ. პანტე უშქური, ტყარ უშქური, კვეტლე უშქური; სენ. გოწო ვისგ, მაჯალო-ვაშლი.

ვაჩ – „გირასა ჰქვიან“. იხ. ეგირი, იხ. კოთხოჯი

ვაჯლამფასი – სახსრების ტკივილი, ძვლების დაავადება.

ვეგი – კოჭი. იხ. კორნატი

ვერცხლის წიდა – ვერცხლის შენადნობი რკინასა და ილეკროსთან. იხ. ილეკრო

ვერხვი – осина Populus tremula L. ინგ. დარანდი; მგრ. ფრიალე; სენ. ვერხვლა, დერხვლა, ერხ.

ვიდა ნიშატ – „სენი არის თირკმელთა“. უცნობია

ვირისტერფა – мать и мачеха Tussilago farfara L. ქრთ. ჯორისქუსლა, პირბამბა, ხავერდა; მხვ., მთ. თეთრი ბუარა; ფშ. ვირის ბუარა, ტერფაბუერა, თავვეითელა; ხვს. ცხენისტერფა; თშ. დათვობუერა; გრ. კხ. ტირიფი; ერწო დათვისტერფა; სმხ. კრუხის პალო; აჭ. გულბამბა, პირბამბა; ოკრ. ბამბა-ბალახი.

ვირისყუმრა – მთის შროშანა лилия Щовица Lilium szovitsianum F. et Lall ქრთ. ვირისკვერცხა, ვირისყვერა, ქზყ. თარიში; ფშ. კიტრა; მხვ. ჩუკოკიტრა; მთ. კიტრანა; თშ. დათვისკიტრა; ხვს. ბარის კიტრა; რჭ., ლხხ. თიორში, თიოში; ზმ. იმ. თიოშა, ქიორშა; აჭ. შროშანი, ჩირიში; სენ. ლახვშ კენტერ

ენება – ითქმის ენებად ჯორციელიცა, ვითარ იგი სნეულებად და წყლულე-ბად; ითქმის ენებად სულიერიცა, რომელ არს გულის თქმა, გულის წყრომა და ეგე ვითარნი

ვრანდელი – „ვრანდელისა ფურცელი გამოწურე“. უცნობია

ვრეტაცი – „აფთიმონი, ვრეტაცი, ხარკონი“. უცნობია

ზაბაკი – ზამბაკი, სადაფოვანი, სადაფქარი
ზაბდულ ბარ – „ზღვის ქაფს ჰქვია“.
 იხ. ზღვის ქაფი, იხ. ქაფარადი
ზანბური – **ზანდური** – გეაწა-ზანდური, ცალმარცვალა *Triticum monococcum* L.
ზანდიკი – „თუ ზანდიკისა სიმსივნე თუ ზაფრისგან იყოს...“ უცნობია
ზანჯაბალი – ზანჯაბილი – ზანჯაბული – ზანჯაფილი, იხ. კოჭა.
ზარა – „აბი ზარა უშეგლის რომე ჭიპსა გარეშემო სატკივარი იყოს...“
 უცნობია
ზარავენდი – იხ. ძიმწარე, იხ. შათარა
ზარამბანდი – **ზარინაბალი** – **ზრეუანდი** – *Curcuma zerumbal*
ზარდანხო – **ზარდახო** – იხ. ყვითელი კოჭა, იხ. რუყუსერ
ზაფრა – ყვითელი ნაღველი. ერთი ოთხ სითხეთაგანი, რომელიც ჰუმორულ-პათოლოგიის თეორიის მიხედვით შედიოდა ადამიანის სხეულის შემადგენლობაში.
ზაფრანი – **ზაფრანა** – шафран, *Crocus sativus* L. სპ. კროკო
ზეთისხილი – **ზეთის ხე** *маслина, олива, оливковое дерево* *Olea europaea* L. ჭნ. ზეთინი
ზიანა – იხ. რძიანა, იხ. ვარფიონი
ზიბიყი – **ზარბაყი** – **სინდიყი**, *Hydrargirum* „ვერცხლისწყალს ჰქვია“
ზიზალარალა – „ტყელიპისათვის – ზიზალარალი წყლით მოტაფე შემოსდე...“ უცნობია
ზიზიბო – „ჩამიხს ჰქვია“ იხ. ჩამიხი.
ზირა – იხ. კვლიავი, იხ. ძირა, იხ. ძირაკი, იხ. უძრავა, იხ. ქამუნია, იხ. გოგნუ, იხ. ვარიში
ზირა ქიმანი – ზირა ქირმანი (სპ. ზირაი ქირმანი), ქირმანული ზირა. იხ. გოგნუ, იხ. ზირა, იხ. კვლიავი
ზიყინაფაზი – ზიყინათრი – (არაბ. ზიყ „შევიწროება“, ნაფას „სუნთქვა“, აქედან ზიყინაფას) შევიწროებული სუნთქვა, ხრინწი, ასთმა. იხ. ნაფსი
ზმასტი – „სასმელი ობინდრისა, რომელი უშეგლის ზმასტსა“. უცნობია
ზუმუმსა – „ვაჟმა კაცმა ტკბილი და თაფლიანი არ უნდა სჭამოს, რადსაცა სჭამდეს ზუმუმსა სწორსა საჭმელსა სჭამდეს...“ უცნობია
ზუფი – **ზუფა** – **ურცი** – უსუფის ყვავილი – *зизифора* *Ziziphora serpyllacea* Bieb. მსხ. ყარაფილა; ჩ. კარაფილა.
ზღაპლი – **ზაღპლი** – „ადიდე ფოლიოს ძირი ორი დრამი და ზღაპლი“. უცნობია

ზღვის ქაფი – ზღვის პერული (ქაფი). წამალია. *Osis Sopiae. Sepia officinalis.* იხ. ზაბდულ ბარ. იხ. ქაფარადი

ზღმარტლი – мушмула обыкновенная *Mespilus germanica* L. ქვ. ქრთ. კლმარტლი; ქხე. ზიმარტლი; ფშ., ხვს. ხუთყურა, ხუთგულა; თშ. სიმარტლი; რჭ., ლჩხ., გურ., იმ. სხმარტლი; ინგ. სიმარტლ; ჭნ. ცქირმუტური; მგრ. ბაცუ, ცქემუნტური, ცხემუნტური; სვნ. ზუნტი, ზუნქი, ჟუნტუ. იხ. ხუთყურა

თ

თაბინარუმ – (სპ.) – „ცხრო შავისა ნადვლისა, რომელი არს სევდა“. იხ. სევდა

თავის ისარი – თავისარა – *Ruscus ponticus* G. Wor. (=R. aculeatus auct. cauc. p.p.) მგრ. ბარცხვინია, ბარცხი, ბარწკვინია, ქოცხოცხო, მაწკვინტია.

თავის ყვავილი – მუნი ანუ ქეცი, წვრილმუწუკებიანი მსხილი, რომელიც მწვავე ფხანა-ქაფილს იწვევს. იხ. მუნი

თავის ცურცლა – თავის ცერცველა *горошек мышинный Vicia cracca* L.

თავდარგულა – „თავდარგულა, მავვალი, დედალ-მამალი მრავალდარღვას...“ უცნობია

თავის საწვევტელა – „თავის საწვევტელას ძირი...“ უცნობია

თავკოტოშა – „თავკოტოშა ბალახი, კარგა გაახმე, დანაყე...“ – კოტოშა – იხ. აყირო

თავქელი – ტვინის დაავადებაა, მენინგიტი.

თავშავა – душица, душлянка *Origanum vulgare* L. ქრთ. შავბალახა; მხვ. ოსური ჩაი; ლჩხ. თავყვითელა; მსხ. ლეილადა, მარნიჭი, მარმიჭი; ზმ. რჭ. ჩაის პიტნა; აჭ. ისხანი, ჩაიოთი.

თავცეცხლა – пикульник, жабрей, зябра *Galeopsis ladanum* L. და *G. tetrahit* L. ხვს. მკბენარა; ფშ. მჭკემარა; მგრ. მაჭკერია; სვნ. მელქანილ.

თავწითელა ბალახი – **გომფრენა** *гомфрена Gomphrena* კხ. თავმშრალა

თათაბო – лебеда садовая *Atriplex hortensis* L. მხვ. თათამაი; გრ. კხ. რუსული მხალი; რჭ., ლჩხ. ქორაფი; მგრ. ქოროფე, ქეროფე

თათმი – **თათ(ა)მ(ა)ი** – იხ. ნაცარქათამა

თათრუქაბა – „ძარღვი... რომე ნეკსა და თითს შუა შემართებით არის მეთუთხმეტე თათრუქაბა...“

თათულისან – „ძარღვი... მერვე რომე ენასა ქვეშე არის“

თაღამი – репа *Brassica rapa* L. var. *rapifera* Metzg. მსხ., ჯგხ. შალღამი

თაღგამურა – брюква, бруква Brassica napus L. var. rapifera Metzg. რჭ., ზმ. იმ. მიწაფხალა; ქვ. იმ. ჭარხალი; აჭ. ძირა, მხალთაღგამა; მგრ. ჭარხალი, ჭახალი. იხ. თეთრი ძირი

თაღცვა – უცნობია

თამრინდი – თამირინდი – თამრაინდი – თამრალინდი – თამრალპინდი – თამარინდი, თამრიპინდი – ინდოეთის ტყემალი Tamarindus indica L. იხ. ნანასკუდა

თანგა – „მისი ნიშანი, რომე თმა თანგა თანგა მრგუალ მრგუალი სცვიოდეს...“ უცნობია

თანგირა – სპილენძის ქვაბი

თანსური – „თუ მრთელსა კაცსა სრულიად ტანი გემღერდენ თანსური ჰქვიან“, მისი ნიშანი ეს არის – ძარღვები დაეკვანხოს“. უცნობია

თარა – **თარასა** – „მდოგესა ჰრქვიან“
იხ. მდოგევი

თარაჯი ფიყარა – იხ. იარაჯი ფეკრა

თაფათა – იხ. მუშეკი

თაფლუჭი – რადც სამთვრალო შეიმზადების. რთული შემაღგენლობის წამლის სახელი „ნიშანი ხანდიკონისა, რომელ არს თაფლუჭი“. იხ. ხანდიკონი

თახბაზართი – **თახმაზართი** – „დანგ ნახევარი შაქარი და თახბაზართი... სუთი დრამი...“ „შაქარი თახმაზართი სუთ სუთი დრამი...“ დაფქვილი შაქარი

თახბაში – იხ. ტაბაშირი

თაჭვს ყუჭრი – თახვის ყვერი, თახვის სათესლე Sacci castorei

თეზარი – „ძაღლის ყურძენასა ჰქვიან“
იხ. ძაღლყურძენა

თეთრი – დაავადებაა – „თეთრისათ(უ)ს“

თეთრი ბრტყელი ჭია – ღორის სოლიტერი Tenia Solium

თეთრი მდოგევი – горчица белая, горчица английская Sinapis alba L.

თეთრი სანდალი – თეთრი სანდალოზი сандалное дерево белое Santalum album L.

თეთრი სურავანდი – სურავანდის ბალახი, ჭარელა дубровник Teucrium chamaedrys L. კხ. მლივანა, სურავანდის ბალახი; მსხ. ვარდიფერა, ყიზილარი; იმ. ჭარელი; ქსყ. ჭრელი; რჭ. მოპიტნაო; მთ. სიცხის წამალი.

თეთრი ტუხტი – იხ. ტუხტი

თეთრი ძირი – თეთრი ძირა. იხ. თაღგამურა

თეთრი ხაშაში – Papaver Rhocas

თეთრყვავილა ლაშქარა – მხალშავა окопник крупноцветный Symphytum grandiflorum D.C. იმ., რჭ., გურ. შავქალა, ქალშავა, შავბალახა; ზმ. იმ., აჭ. შავფხალა; მგრ. უნა ტყა, უნა ბედნიერი, ქარშავე, უნა ოსური, ლულუბური. იხ. ქალშავა

თელა – берест, вяз, ильм, карагач Ulmus foliacea Gilib. ჭნ. კარაღაჯი, კააღაჯი; მგრ. ცვ; სენ. ცაღრა, ცაღრა.

თელგამი – **თიღგმა** – იხ. ბაღღამი

თერია – რთული წამლის თრიაყის ერთ-ერთი სახე. იხ. თერიაყი

თერიაყი – **თრიაყი** – **თრიაქი** – შხამის ანუ გესლის საწინააღმდეგო რთული შემადგენლობის წამალი, თერიაყი – სამსალის მკურნებელი

თია – თიასა ჰქვიან ტყავსა და კორცსა შუა არს და იქნების... (იკეთებს ბუღეს) ლიპომა

თიახფარუხი – იხ. თრიახფარუხი

თ(ა)ლათინი – იხ. ნატა.

თოფალახი – იხ. გარეული პიტნა

თრანგუბინი – თრანჯაბინი – თარანჯაბინი – მანანა Succus Fraxini Orientalis

თრანჩი – „თუ თაფლითა აჭამო უკანა კარის ტკივილსა და ლუსნოტსა და თრანჩსა უშველის“. უცნობია

თრთის – „მერმე ეს წამალი თრთის ჰრქვიან ამა დაკოდილზედა დააფარე...“ უცნობია

თრიაყი ალთისი – ალთისის თრიაყი. იხ. თერიაყი

თრიაყ არაბ – არაბული თრიაყი. იხ. თერიაყი

თრიაყი მარისტოსი – მარისტოსის თრიაყი. იხ. თერიაყი

თრიახფარუხი – **თიახმარუხი** – **თიახმარეხი** – (არაბ. „ფარუხ“ ბედნიერი; ნეტარი). შემადგენლობა: Rad. Angelicae, Rad. Serpentariae (12,0); Rad. Valerianae, Rad. Scellae, Ledoanie, Corticus Cinamonii, Cassia AA 4,0, fruct. Cardam. Minor, Mussae, Ferri Sulfurici AA 2,0; Mel Depurat 150,0.

თრიმლი – желтинник, кожевенное дерево, скумпия, физетовое дерево, венецианский сумах Cotinus coggygia Scop. (=Rhus cotinus L.) ფშ., ხეს. თრემლი; ქსყ. ნარინჯი ხე; ინგ. სარაღან; ქვ. რჭ. კაპარი.

თუთა, **თუთის ხე** – шелковица, тута, тутовое дерево Morus alba L. ქრთ. ფურცლითუთა; ქრთ., კხ. მჭაღა, ფურცელი; კხ. მრეში; ქსყ. ჯაღლა; იმ., რჭ., ლჩხ. ბჟოლა; ოკრ. ჯორაბჟოლა; გურ., აჭ., ჭნ., მგრ. ბჟოლი; აჭ. ჟოლი; ინგ. მამაღ გაპრაი, ჟაღლა; ჭნ. მჟოლი; მგრ. მჟოლი, ჯამპი, ჯაპი.

თუთუბო – *сумах Rhus coriaria L.* რჭ. თუნთუბო; აჭ. თრიმლი; ინგ. სუმას.
თურბითი – **თურბუთი** – **თარბუთი** – **თურბუნი** – მცენარისაგან *Aristolochia serpentaria* არის თეთრი და ყვითელი თურბითი
თურინჯი – იხ. ნარინჯი
თურქული – სენია ცხოვართა და ზროხათა
თუხმა – **თუხმი** – ძნელად მონელება, კუჭის მოშლილობა (დისპეპსია)
თუხმაქანი – **თუხმაჯანი** – **თოხმაქანი** – **თიხმანქი** – იხ. დანდური, იხ. ფარ-ფარა
თუხმი ქარვასა – „ნიახურის თესლის არის“ იხ. ნიახური
თხამლი – იხ. ბაყა
თხილი – *лешина, лесной орех, мелкий орех, орешник, фундук Corylus* მთ. რჭ. ფთხირი, ფთხილი; ჭნ. მთხირი; მგრ. თხირი; სენ. შდის, შდგ ხენდ, შდხენდ
თხიკის ყვერი – თხის ყვერი

ო

ია – *фиалка Viola odorata L.* იხ. ბანავსაჯი, იხ. ბანკამა
იაღუზ – **იღუეს** – „ისი მისგან იქნების წელშიგან ანუ საბამი გამოუვიდეს, ანუ წერილ ნაწლავში ჭია დაეწაროს...“
იარაყანი – „იარყნი, იერაყენი“ – სიყვითლე
იარაჯი – სამკურნალო ნივთიერებათა შეზავების ერთ-ერთი ფორმა. კეთდება აბებისა და მაღამოების სახით თაფლითა და შაქრით
იარაჯიფუკრა – იხ. იარაჯი
იაზმის წყალი – „იაზმის წყალში გავლევით გაღესეი“. აიაზმა
იარაჯი ჯალინოზისა (გალენოსის) – იხ. იარაჯი
იასამანი – *Сирень обыкновенная Syringa vulgaris L.* მსხ. ლეილადი
იასმაგი – **იასმიგი** – „ბალბალუკის თესლის ზეთი“ იხ. ბაბალუკი
იასპარი – „...იასპარი სამსა ექუსასისა დრამისა წონა...“ უცნობია
იასპი – ეს თვალი მოწითალოა და ჭრელი
იაფუხი – იხ. სადრეკელი.
იელი – *одурь кавказская, о. Желтая, о. понтийская, азалея желтая, а. понтийская, слевотник Rhododendron flavum Don* კხ. იალი; მთ. იალია; მსხ. ლელი; იმ., რჭ., ლჩხ. ელი; ჭნ. ეელი; მგრ. იბლი, ივლი, ელი, ეი, ელიში კოკა, ელიშია; სენ. ადრა, ჰადრა.
იელისა სოკო – ივლისის სოკო

ილეკრო – „ქოდევის ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბაშად“. იხ. რკინის წიდა.

ილი – кардамон *Elettaria cardamomum* Maton et White და *E. major* Smith სხ. კაკულა, პილი. იხ. კაკულად

ინა – ბალის ინა – бальзамин садовый *Balsamina hortensis* Desf. ქსე. ბოსტნის ინა; გურ. ინა-ინა, ხელსაღებავი; ქრთ.; აჭ. ინა; ჭნ. კინა, კეინა, კენია; მგრ. ხერძაფე, ხინჩაფე, ქერძაფე.

ინდური ნარდი – *Nardostachys jatamansi* D.C. იხ. სადაჯინდი

ინხსლა – ინხსლე – ინხსლი – ინჯხლი – ანხსლა – нордманния восточная, трахистемон восточный *Trachystemon orientale* (L.) D.Don (=Nordmannia orientalis Stev.) იმ. ჩინხსორი; ლხხ. ინხსლე, ხოშტარა; გურ. ინხსლა, მისარო; აჭ. ბუღლო, ინხსლი; ჭნ. მტკუი ბუღი, ანხსოლი; მგრ. ანხსილი, თუნთიში კუღელი.

იორდასალები – იორდასალამი – пeон, пион, *Paeconia* ქრთ. ტყის ყაყაჩო; კხ. გუგულისკაბა; ზმ. რჭ. გუგუელი; ქვ. რჭ. ყაყაჩო; სბ. იორდასალები; ნკ. იორდანეს სალამი.

ირმის რქა – панты *Coru cervi* – „ირმის რქა დაფხიკე“

ირმის რქა – лагерштремия индийская, сирень индийская *Lagerstroemia indica* L.

ირცუკი – ირცხეკი – იხ. გვირილა, იხ. ბაბუნაჯი, იხ. ხოტი

ისპანახი – ასპანახი – шпинат огородный *Spinacia oleracea* სხ. სპანძელი. იხ. ასპანჯი

ისრია – „ზეთისხილსა ჰქვია“. იხ. ზეთისხილი

ისრიმი – უმწიფარი მკვასხე ყურძენი. იხ. კუხი

ისყისა ტაბლი – „როგორცა ზიყისა სისხა აგრევე ამისი იქნების“ უცნობია

ისფინაყი – „რძიანა მჭურვალა, ზაფრასა გასწმენდს ისფინაყსა გახსნის...“ უცნობია

იტრფიალი – იხ. სამყურა

იუდაჲ, არდაენი – багряник, Иудино дерево *Cercis siliquastrum* L. კხ. ატმიყვაილა.

ივანი – ясень *Fraxinus excelsior* L. ქრთ., კხ., ფშ., მხვ., აჭ. იფენი, იფნი; ქრთ., რჭ., ლხხ. იფნა; იმ., გურ. კოპიტო; მგრ. ლაჯი, ლანჯი; სენ. იფ, იფნა ლაჯრა.

იფნურა – ясенец *Dictamnus caucasicus* Fisch. სმხ. მერალა-ყვაილი; ლხხ. მოიფნიე, მეიფუნია; ზმ. იმ. ორსუნელა. იხ. ოსურნელა

იფქლი – იფქელი – რბილი ხორბალი – ჩე. ხორბალი – пшеница мягкая, п. обыкновенная *Triticum vulgare Vill*

იყი – არაყი

იჩქითი – მყისი – „იჩქითათ ბრუს დასხმა...“

კ

კადრუკი – „კადრუკი დანაყე და ძველითა ღვნითა აღუღე“. უცნობია

კ(ა)ბეჩი – კამეჩი – კანბეჩი

კავთურიკევი – კევი კავთური

კევი – „ესე არს ხეთაგან გამონადენი ნოტიო რამე, საცოხნელი ფისივითა“.

კათოლიკე – ძარღვი – ვენა სისხლის ძარღვი – ვენუსი

კაკალი – ჩვეულებრივი კაკალი, კაკლის ხე, орех грецкий, орешина *Juglans regia* L. გურ., იმ., რჭ., ლჩხ. ნიგოზი, ნიგეზის ხე; მგრ. ნეძი; სენ. კაკრა, კაკ, გაკ.

კაკბის საკენკელა – კაკბის საკუნტელა – воробейник лекарственный *Lithospermum officinale* L. კხ. ძმრიდელა, მტრედის ბრინჯა; ქრთ. კაკბისაკენტელა; ერწო ჩირადლანი; რჭ. ჩიტაკაკალა; ლჩხ. ჩიტის-კაკალე; ზმ. იმ. ხოხბის-საკენკელა, ჩიტისაკენკელა, ჩიტის-საკენკარა; ჩ. ყაჭყაჭა; სენ. მგეიმბაშოლ; სბ. კაკბის საკუნტელა. იხ. ხოხბის საკენტელა

კაკულად – ყაყულა – ყაყულია. იხ. ილი.

კალამბა – კალანბა. იხ. კალნაბი.

კალია – солянка мясистая, с. содоносная *Salsola crassa* M. B., *S. soda* L.

კალის ქვა – „ბალახთ ნადნობი ქვა საპნისათჳს“. სოდა

კალნაბი – იხ. კეჟერო

კამა – укроп огородный, анит, копер *Anethum graveolens* L. იმ., ქხყ. ცერეცო; გურ. კლიავი, კვლიავი; ინგ. ტარახუტ, ტორახუტ; მგრ. ცეროცო, ცოროცო, ძერო. იხ. დაინდუბა

კამაქი – „ძმარსა და(ა)ლბე კამაქსა და ცისკრად საგებელთა შ(ინ)ა იპარპაროს“. უცნობია

კამის დევი – იხ. დიდი კამა

კანაფი – конопля *Cannabis* სბ. ექუსუნჯი; ინგ. პასრალ; ჭნ. კერფი, კეფი; მგრ. კეფი, კიფი; სენ. გიმბაშ, ქან, ჳერკ, ხერხლა. იხ. ნურტაკი, იხ. შადანჯი, იხ. სადანაჯი

კანჯარი – ველური ვირი

კანდელი – „რომე ყოველსა ტანსა ანათლობს“

კ(ა)პ(ა)რიბაბი – კაპ(ა)რი – იხ. ჯონჯოლი

კაპარი – „ქაფარცხასა ჰქუიან“ каперсы *Capparis spinosa* L. იხ. ქაბრი
კაპოეტი – თევზია
კარნიფოლი – **კარნაფელი** – **კარანფული** *Dianthus caryophyllus* L. ბაღის მიხაკი
კაროსი – „ქრეავის წყალის ჭაკუნტელა“. იხ. არჯაკელი.
კარური – **კარული** – ჭურჭელია შარდის შესაგროვებლად და საკვლევად
კატაბალახა, **ვალერიანა** – *валериана лекарственная, грудовка, мяун Valeriana officinalis* L. რჭ., იმ. კატაპარია; თშ. გულბანდი; ერ. მიწის საკმელა
კატაბარდა – *ломонос Clematis* უმთავრესად *C. vitalba* L. და *C. orientalis* L. კხ., ფშ. უსურვაზი, თეთრი უსურვაზი; ზმ. იმ. კატავენახა; რჭ., ლჩხ., იმ. ციცაბარდა; გურ. ოსურადა, ინგრეხაი; აჭ., გურ. იბრილა; ინგ. თეთრვაზ, მარაზი; მგრ. შხურიში ჭი, შხურიში ჭუ, ჩიქვიში ჭი, წირღუ; სენ. სვიჯ.
კატის ძუძუა – იხ. ფუნთუშა, იხ. ჭიჭუა
კაღმეხა – **კაღმუხა** – „შედის ერთ-ერთი მაჯუნის შემადგენლობაში“. უცნობია
კაღნუტ – უცნობია
კაწარსარკე – წყლით ორსულობის ერთ-ერთი სახე
კაჭაჭო – იხ. გოქმო
კაჯალფარა – უცნობია
კევი – იხ. დანამასტაკი
კეთროვნება – კეთრით დაავადება
კეჟერო – **კეჟერა** – **კოლრაბი**, **ხეიტი** *кольраби, репная капуста Brassica oleracea* L. var. *gongylodes* L. იმ. კანაფო, კანაფო ფხალი, კანაფხალი; ზმ. იმ. კაჭარა; გურ. კეჟერა; მგრ. ხული; სენ. ქართ
კერატი – „ოთხი ქრთილის მარცვალი ერთი კერატი“
კემუხტი – არის ცხენის, ვირის და ჯორის გავის ტყავი, შეღებილი მწვანედ და შავად, ქოშების საპირედ.
კერეზი – „ენდრო, კერეზი...“ უცნობია
კეჭეჭო – **კეჭკეჭო** – იხ. წერწა
კეანჩხი – მცირე სასმისი იყისა
კვარწარეზი – „კვარწარეზის ძირი თეთრით ღუნით ერთსა დღესა აგმე“. უცნობია
კვახი – **კუახი** – იხ. გოგრა
კვიდო – *бирючина обыкновенная Ligustrum vulgare* L. ქრთ. კანკრა, კენკრა; კხ., ქრთ. თხიფსელა; თშ. თხაფსელა; იმ. კუდო; რჭ., ლჩხ. კვიდოლა; ინგ. ჭამჭამა; მგრ. კვინდო; სბ. მკვიდო.

კვიპაროზი – კ(ი)პერისი – кипарис Cupressus fr. კიპრი, კვიპრი. იხ. სოლი
კვლიავი – тмин Sagum Carvi L. ქრთ., ზმ. რჭ. ზირა; მხვ., მთ. მკვლიავი; ფშ., ხვს. კვლია; სბ. ზირაკი; სვნ. გიცრულ. იხ. გოგნუ, იხ. ზირა, იხ. ზირაქიმანი, იხ. ძირა, იხ. ძირაკი, იხ. უძრავა, იხ. ქამუნი
კვრინჩხი – терн, терновник Prunus spinosa L. ქსყ. მურაკი; მსხ. ღოღნაშო, უღმარტლი; ზმ. რჭ. ღორტყემალა; ინგ. ზაღლი ტყიმაღ, მურაკ; სბ. კვინჩხი, კვინჩხი.
კილამურა – კლდის ძირტკბილა многоножка обыкновенная, сладкий корень Polypodium vulgare L. კხ. ჩადკოკო; თშ. ჩაღა, მჩაღა; მხვ., მთ., ფშ., ხვს., ლჩხ., იმ. ძირტკბილა; სვნ. ჳვანშუშ ჟაგრიღ. იხ. შაღონა
კილამონი – კიმო – კალამონი – იხ. დარიჩინი
კიოღი – კიოტი – ცხრამუცელა – ფრინველია
კირიაღესონი – კირიაღესვანი – საღოცავად ასხმულნი მარცუაღნი
კირჩხიბი – კიბორჩხაღი – ასთაკუ და მისთანნი. „ცხრაფეჭასა ჰქუან“. იხ. ასთაკუ.
კიტრი – огурец Cucumis sativus L. იმ. კინტრი; ჳნ. შუკა; მგრ. კენტგრ, კინტრ, კინტერი.
კობჭი – „რაღ არს ყელისა კობჭისა და კორძისა წამაღი“. უცნობია
კოთხოჯი – კოთხოჯი – аир, ир, ирный корень, татарское зелье Acorus calamus L. სბ. ეგირი; მგრ. ჳარკვატანა. იხ. ეგირი, იხ. ვან
კოკობა – კოკონა – „პატარა იხვი“ ან კოკობა – „თეფზია“.
კოღინჯი – მსხვიღი ნაწღავი. სამკურნაღო ძეღღებში ეს სიტყვა ხშირად დაავადების Colitis მნიშვნეღობითაც იხმარება
კოღოქეინტი – колоквинт, колоцинт, дикий огурец, тыква горькая Citrullus colocynthis Schrad. (=Cucumis colocynthis L.) ი. ა. შერანგი. იხ. შაჰმიჰანღარი
კომბოსტო – капуста Brassica. იხ. ქაღაში
კომიღოხო – იხ. კულმუხო
კომში – айва дикая Cydonia oblonga Mill. კხ. ტურის კომში, ბიაკომში. იხ. ბია
კოპის თავი – კოპე საღვინე არის, ათის თუხტის დამტკუნელი.
კოპიტი – იხ. იფანი, იხ. ღისანღისური
კორღი – უნამუშეღარო მიწა
კორღმანაი – ვეღური ძირა, ქარვაი კულიავი. იხ. კვლიავი
კორკოტი – კორკოტაი – იხ. ბაღბა
კორნატი – ზროხის ვეღი. იხ. ვეღი.
კორჩიოტა – იხ. ქართული ყოჩივარღა

კორძი – ღლიათა და საზარდულთ ჯირკული
კოსტი – **კოსტი** – „ქუშტი რომე კისტი ჰქუიან“. „ქუშტი... რომე კოსტ(ა)ინი ჰქუიან“. იხ. ქუშტი, იხ. ყუსტი
კოტუში – კოტოში
კოწახური – нарцарис Berberis ფშ. კაღმძარა; ხვს. ესკაღმძარა; მთ. კოწმა-ხური; რჭ. კვაწახური; ჭნ. კაწახური; მგრ. კორწოხული; სვნ. გვაწხირ, გოწხირ.
კოხი ქვა – რომელი ცეცხლში არ დასქდება
კოჭა – **ჯანჯაფილი** – имбир, инбир Zingiber officinale Rosc. სბ. კოჭი, ლ.კ. ზანჯაბალი.
კოჭი სანელებელი – იხ. კოჭა, იხ. სანელებელი
კოჭობი – პატარა თიხის ქოთანის, მცირე ქოთანის
კრავისკუდაი – კრავიკუდა. იხ. ფარსმანდუკი
კრდონი – უცნობია
კრკილი – კმელი ჯორცი გამრყუნელი ჭუა. იხ. ჭუა
კრკო – რკო. Semina Quercus, მუხის ნაყოფი. იხ. მუხა.
კრკკ – **კირკელი** – **კუვიკური** – **კვიკვირი** – ნუშისებრი ჯირკვალი
კულნი – **კუნლი** – იხ. კუნელი
კუი – **კუ** – **კიბო** – **კირჩხიბი**, Cancer.
კუკუ – „ვისცა ვაჟსა კუკუ დაუგრძელდეს...“
კულეგამატოს – წყლით ორსულობის ერთ-ერთი სახე.
კულია – **ან კუნია** – „კუნიაჲ... არს იგი მდელთ, რომელი ერთვის ძმარს“
კულიავი – **კულიავე** იხ. ზირა, იხ. კულიავი
კულმუხო – **კურმუხო** – девясил лекарственный Inula helenium L. ფშ. ლუხუმა; კხ., ხვს., ლჩხ. კურმუხო; აჭ. ანდუზა; ინგ. ანდუზ; მგრ. კუმუხო, კუმუხა. იხ. კომილოხი
კუნელი – боярышник Crataegus – ქრთ. სკუნელი; ქსყ. კვინელი; მთ., თშ., იმ., რჭ., ლჩხ. კუნელა; იმ. კუმელა; გურ. კურკანტელა; მსხ., გურ., აჭ. ლიცვი; ინგ. კნოლ; მგრ. ქუნცი, ხინჭკი, ეშმაკიმ მართახი; სვნ. ცაანცი, ცანცი. იხ. კულნი
კუროსთავი – სმხ. якорцы Tribulus terrestris L. ტატაშა; ლ.კ. ლურსმანა ეკალი.
კუხი – იხ. ისრიმი.
კჩახი – უცნობია

ლ

ლაბი – ლაბა – წებოვანი
ლაბლაბო – лаблaб, индийский бoб Lablab vulgaris Savi (=Dolichos lablab L.)
ლადანა – ладань, Ladanum, Bosvelia carterii L.
ლაყვარდის ქვა – ლაპის ლაზურის ქვა. Lapis lasuri
ლართი – (ლართი) პირუტყუთ მორი. იხ. მორი.
ლასტი – ლახტი – დაწნული წკეპლი.
ლატარო – „თუთუბოსა ჰქვიან“. იხ. თუთუბო.
ლაყვა – ლაყუა – „პირის გამრუდებას ჰქვიან“ Paresis nervi facialis იხ. პირდაქცეული
ლაში – ქვედა ბაგე, ქვედა ტუჩი
ლაშის წყალი – „ლაშის წყალი სვას, ლასის წყლით მოხელილი პური აჭამე...“ მინერალური წყალი ცაგერის რ-ში, ლაშიჭალაში.
ლ(ა)ხოსტ(ა)კი – წარბთ საღებავი ქვა.
ლემა – дурман Datura stramonium L. კხ. ბანგა, კიტრია, კიტრანა, ნეხვბაღასა, ტელაშუნა; მსხ. ლენცოვა; მსხ., ჯვხ. პატაბა; ერწო მწვანე ლენცოვა; ლჩხ. ასტმოლე, გოდორა; იმ. ბურძგლა ბალახი, ხოკანა, ხოკის ბალახი, ღორიხოკა; რჭ. კომბარა; აჭ. ჯამუშა; მგრ. ჩხოუში ჭირიში წამალი, ყვაპუში წამალი, ბარწკენია; სენ. მეტიშალ, მეხმროლო; სბ. ლემი.
ლენცოვა – белена черная, блекота Hyoscyamus niger L. ქვ.ქრთ. დრიანცოვა; მხვ. ბარის ჩხამაი; მხვ. საქონია; მთ. საბაკნია, საჯამია; ფშ. ლემხურა, ჯამია; თშ. საპინა; ხვს. ძაღლაფსელა; მსხ., ჯვხ. ლორცოფინა, ბატბატა; რჭ. ლემი, ლემცოვა; ლჩხ. ტყის თუთუნი; მგრ. წირკემ წამალი; სენ. მეპრტახ, მეჭშალ. იხ. ბაზრუნ ბანჯი, იხ. ბატბატია
ლერწამი – тростник большой, т. итальянский Arundo donax L. კხ. ყარლო; ინგ. ყავარ.
ლეფშურა – Liliun Martagon იხ. კოსტაი, იხ. ქუმტი, იხ. ყუსტი
ლეღვი – инжир, винная ягода, смоковница, смоква, фиговое дерево Ficus carica L. ინგ. ლრღ; ჭნ., მგრ. ლული
ლეშურა – переступень, жень-шень кавказский Bryonia alba L. და B. dioica Jacq. წ. ლოსტაკო
ლიბი – „ცხრო ზაფრისა“, უცნობია
ლიმო – ლიმონი лимон обыкновенный Citrus limon Burm. სბ. ლიმო იხ. შანგიარი
ლის ლასვარი – „იფნის თესლი არის“. იხ. იფანი
ლისან – „ანდუხს ჰქვიან“. იხ. ანდუხი, იხ. კულმუხო
ლიქორეი – „ლიქორეის ნაწური ასვი...“ უცნობია

ლობიო – фасоль Phaseolus
ლოფოთქინა – **ლოკოკინა** – Conehae ostrearum
ლოშკი – **ლოშქრი** – ბნედიანის დორბლი
ლოყო – „აქა ლოყიათა, რომელნი არიან სალოკელნი თითთა“. თითთ
 სალოკი წამალი
ლულუფარა – იხ. მზესუმზირა
ლუსნოტი – „თუ თაფლითა აჭამო უკანას კარის ტკივილსა და ლუსნოტსა
 და თრანხსა უშველის“. უცნობია
ლუქი – „მგლის კორჭი“ იხ. მგლის ხორხა.

მ

მაბაზი – მამბიზის ძარღვი – მუხლის უკანა ძარღვია
მაზარიონი – იხ. რძიანა
მაზარგუში – **მარზანგუში** – **მარგიმუში** – „შინაურსა ქონდარსა ჰქვიან“. იხ.
 ქონდარი
მათადული – „მათადულად ჰრქვიან სიცოცხლისა მაჯუნი არის“. უცნობია
მათბუხი – მატბუხი – სამკურნალწამლო საშუალებათა ერთ-ერთი სახე,
 დეკოქტი, გამონახარში (მათბუხ – არაბ. – მოხარშული).
მათოთა – **მათუთა** – жминда, марь многолистная Chenopodium foliosum Moench
 ქრთ. ძაღლმარწყვა, კატამარწყვა, ქრთ., რჭ. ძაღლყურძენა; კხ. მათუთელა;
 ქხყ. ძაღლის თუთა; მსხ. ძაღლმარწყვა. ძაღლთჟოლა; მთ. ძაღლის ჟოლო;
 მხვ. ძაღლიხილაი, ძაღლის ხუნწაი; ლჩხ. ძაღლიმაყვალა.
მაკიდონი – იხ. ოხრახუში
მალახუნა – მალახუნი – მილაკუნა – მელახუნა – მალისუნა – მელან-
 ქოლია Melancholia
მალაყური – „ის ზეთითა შექნილი მალაყურისა და მახმურის და ლავიწისა
 ბეჭამდის ამით იზელდეს...“ უცნობია
მალთო – „ფიჭვის ზეთი“, იხ. ფიჭვი
მალჭი – „მალჭი და ბალჯი...“ უცნობია
მამაცი – მამაკაცი
მამილაძსა – „ანზაროთი და მამილაისა გამოწურვილი“. უცნობია
მამუდია – „საყმუნისა ჰქვიან“. იხ. საკამონეაი
მამლის ქრახსი – „მამლის ქრახსი, კვერცხის ღვეჭქი დაწვი და სვი“.
 უცნობია
მანა – „არს პალო და მომცრო მარგილი“. იხ. პალო, იხ. მარგილი
მანათა – „გოგირდსა ჰქვიან“. იხ. გოგირდი

მანგალაფიკი – „მანგალაფიკის ძირი აღუღე, პირსა იმღეუმე...“ უცნობია
მარანდული საპონი – „მარანდულითა საპონითა ველ შეუყავ...“
 „მარანდულითა საპონითა თბილითა წყლითა დაბანე...“ უცნობია
მარგილი – ხე წუწრ წათლილი დასარტობი, იხ. მანა, იხ. პალო
მართუშ – მართვე
მარიამული – მარიამული ხოჭო – *Mylabris armeniaca Fuld* ან *M. quadripunctata L.*
მარიამსაკმელა – მარიამ საკმეველი – гармала, дикая рута, библика, могильник
Peganum harmala L. მსხ. უზალუგი, უზალიკი, გუზალიკი; სმხ. საკმელა-
 ჭაბალუკა. იხ. სპანდი
მარიამსხალი – стынь обыкновенная, снеть-трава *Aegopodium podagraria L.*
მარტა – იხ. ამარტა
მარტორქა – „მარტორქა დააფხიკე და უერხოლე...“ „თბილი მარტორქა და
 წვრილი ხვითოები კიდევ ასვი და კიდევ შესცხე...“ უცნობია
მარტევ მარხვ – „ქართულად მკუარსა ჰქვან“ იხ. მყუარი, იხ. ბაყაყი
მარტული – ყრმა
მარწყვი – земляника *Fragaria vesca L.* იმ. დარდალა; ზმ. რჭ. წიწინდერა, იმ.
 წიაპოლა; სბ. უელი; ჭნ. კანდლუ; მგრ. ცემუა, ცემცუა, წიწიმდერა,
 წიწინდარა, ხვიხვინია; სვნ. ბასყი, ბასყ. იხ. სიფისტონი
მარჩილი – სამი აბაზი
მასლიფარი – „ალისარჩული არის“
 იხ. ალისარჩული
მასმუსი – „უკეთუ ვორცთა კეთრისა მასმუსი გამოეცეს...“ უცნობია
მასრა – ესე არს ლერწამი საზედაოს დასახვეველი, გინა თოფის წამლის
 ჩასაყრელი
მასტაქი – მაზდაქი – იხ. დანამასტაქი
მატატელა – მატანტელა – ხე. მატიტელა – горец птичий, гречиха птичья,
 спорыш *Polygonum aviculare L. s. l.* ქრთ. მამალი მატიტელა, ჩიტიაპურა (ბორ-
 ჯომ. რ.); მხვ. ნაყრაი, ღორის ნაყრაი; თშ. ჭიმჭიკი; რჭ., ლჩხ. თიათერია;
 გურ. მატანტალაი, კერდა; ქვ. იმ., ინგ. მატატელა; მგრ. გვერიში ლაკარტი,
 კამპეტი; სვნ. აღმეკ.
მატუტაქი – მატუქი – მაჭიკი, დვრიტა
მაღასი – იხ. ბაღღამი
მაყაინი – „ძარღვი მესუთე მაყაინი, რომე ორთავე თვალთა კილოსა არის...“
მაყეალი – მაყუალი – ожина, ежевика *Rubus ideaus L.* აჭ., გურ. ბარდი,
 ბარდაყვაილია; ინგ. მაყოლ; ჭნ. მუცი; მგრ. მუცი, მუცია, ღურდენი,

ძვეირში მუცი, ომბოლი ძვეირი, ომბოლი მუცი; სენ. ვიღ, ვიღვ, უღვ
(ნაყოფი), ძიგირ (მცენარე). იხ. შოქურდლანი
მაყუალი – „თათრულად შოქურდლანსა ჰქვან“. იხ. მაყუალი
მაშა – მაშარა – მაშათა – იხ. მაშა-ლობიო
მაშა-ლობიო – маш Phaseolus aureus (Roxb.)
მაჩქათელა – იხ. მღამიობი, იხ. ღამურა
მახმური – „იის ზეთითა შექნილი მაღაყურისა და მახმურისა და ღაეწისა
ბეჭამდის ამით იხელდეს...“ უცნობია
მახონი – ქატოს მჟავე წვენი. ქატოსაგან შემზადებული შეჭამადი
მაჯუნი – სამკურნალწამლო საშუალებათა ერთ-ერთი სახე, შემზადებული
სქელი ფაფების სახით
მბალი – იხ. ბალი
მგლის ტოტა – იხ. ქრისტესბეჭედა, იხ. მგლისტოტა
მგლის ხორხა – бодяк седой Cirsium incanum Fisch. თშ. ყანის ნარი; ზმ. იმ.
ანძლა; ოკრ. კახა; იმ. კახოურა; რჭ. გლისხორხა; სბ. მგლისხორხა; მგრ.
ვირსაკეარა; სენ. ყერიშ ცვგ; ინგ. ყანღალი. იხ. ლუქი
მგრგვალი წამალი – მრგვალი ბალახა леонтица Смирнова Leontice smirnowii
Trautv.
მდოგ – **მდოგვი** – горчица Sinapis ქრთ., კხ., აჭ. ხარღალი; გურ. დოგვი; მგრ.
ღონგი. იხ. თარა, იხ. ხარღალი
მზესუმზირა – подсолнух, подсолнечник Helianthus annuus L. ქრ. ლილიფარა,
მზეჭვერიტა; კხ. მზეუჭვერიტა; მსხ. მისინძირა; აჭ. მზისაქციელა; სენ.
ლუერუსუ შდის.
მთხუნველი – თხუნველა
მელის კუდა – იხ. ფარსმანდუკი
მიკრისი – იხ. ნიკრისი
მისტანაგი – იხ. სახამებელი
მიწალები – იხ. არჯასპი
მიხაკი – гвоздика Dianthus
მისტლი – „წამალი მისტლისა...“ უცნობია
მკალი – **მკალია** – **მხლტომელი მკალი** – კალია აზიური (მძღვეარი)
азиатская (перелетная) саранча Locusta migratowa
მკელი – მომსხო ძაფი
მკოს – უცნობია
მკრდოვანი – მკერდის ტკივილით დაავადებული. მკერდის სატკივარი
მოგლა – დანაყვა

მოლოქა – იხ. ბალბა
მორი – მამაკაცის ასო სარცხუნელი
მომბალინი – უცნობია
მორჩუ – ნორჩი – ახალი მოზარდი „რომელი ძეწისა ზედა დამპალსა მორჩუ ამოვიდეს...“
მოსაფარი – „მოსაფარი – ყვითელისა წვენითა შეხილე...“ უცნობია
მოფასილი – „კარი იარაყანისა, მოფასილისა და მიკრისისა...“ უცნობია
მოცხარი – смородина Ribes თშ., ფშ., ხეს. ალუდა; მხვ. ხუნწი, ხუნწაი; მთ. მოცხარი. იხ. აბულასა
მჟაგანა, მჟაუნა – щавель кислый Rumex acetosa L. ფშ., ხეს., თშ. მჟაგანა, მჟაგია; მხვ., მთ. მასისტარა; თშ. მეცხვარის მჟაგია; ქვ. რჭ. მჟავე ღვალო; ზმ. რჭ. მჟაველა; ინგ. ჟვანა; სენ. მურთხვანლი, ჟაველა.
მჟოლა – იხ. ჟოლო
მრავალძარღვა – подорожник большой, попутник Plantago major L. ქრთ., კხ., მსხ., ჯგბ. ლავაძარღვა; მხვ., მთ., ფშ., ხეს. ლავარძაღა, ცხრაძარღვა; ხეს. მოვზაურა; ქვ. იმ. ბამბაძარღვა; გურ ძარღვა-ძარღვა; აჭ. ბერაძარღვა; ინგ. სპეიზი ფოთოლ; ჭნ. ბალაზადი, შქვითდამაი; მგრ. მაჯარღვია, მაჯარღვლაია, მაჯერღვია; სენ. მძაარღვოლო, მუხვტელ, მაჯარღოლო, შვარწმ ბალე, მუდრუწა. იხ. ყანტარიონი
მსიენი – სიმსიენე
მსხალი – სხალი – груша культурная Pyrus sp. div. cult. გურ. სხალი; ჭნ. მცხული; მგრ. სხული; სენ. ვიცხ, იცხ.
მუზაფარი – ფლავი ზაფრანით. ხორცითა და მწვანლეულით (მხალეულით) დამზადებული შეჭამადი
მუკაშარი – დაღერლილი ცერცვი
მუკლი – „ქვად საკმელი რომელსა მუკლი ჰქვან“. უცნობია
მულასალი – მულასი – თაფლ წყალი
მუმია – ვულკანური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება Mumio
მუმრღვანი – მუმრულანი – (სპ. „მუმ“ ცვილი, „რულან“ ზეთი). საცხი ცვილისა და ზეთისგან
მუმფარავი – (სპ. „მაჰარავინ“). იხ. ჯადვარი
მუსაქი – „ზეთის ხილის ზეთსა ჰქვიან“
 იხ. ზეთის ხილი
მუნი – მღერი და ხორა სამივ მღერია უადვილეს უძნელესი. იხ. ყუბა
მურღასანგი – ტყვიის ქანგი Plumbum oxydatum

მურდი – მური – მურტი – მუელი – სურნელოვანი ფისი ბალზამის ხისგან.
 იხ. ბალზამის ხე
მურთაგივე – „მურთაგივე ქენი და ზარდაჩუბი და აბუტარატი“. უცნობია
მურკი – კომბოსტოთ ძირთ ხეიტი
მუტბილ – „ესე ცხრო სხვის ცხროსგან უარესი ცხრო არის, ამისი სიყვეითლე
 იარაყანსა ჰგავს“. უცნობია
მუტყალი – მიტყალი – დრამ ნახევარი
მ(უ)ყლი აზრაკი – „ფიჭვის გოზასა ჰქვიან“ ლაჟვარდისფერი ან მოწითალო
 ფისი. Gummi Resina Bedellium მცენარისაგან Heudelotia Africana Guillemet
 Perottet
მუცლიერი – მუცელა – „ყვანას სენი“. იხ. ყვანა, იხ. სიჯი
მუშარათი – „ექვსჯერ სამთა უფროსი ვარსკვლავი არის“. (არაბ. „მუშთარი“)
 იუპიტერი – ცთომილი ვარსკვლავი
მუშკი – Moschus muschiferus L., მუშკის სათესლე ჯირკვლებიდან მიღებული
 სურნელოვანი სითხე Muschus – მუსკუსი. იხ. ღებვარდები, იხ. თაფათა, იხ.
 ტუსც, იხ. ყაშაყა
მუშკუშა – იხ. მუშკი
მუშმა – „ქუნჯითსა ჰქვან“. იხ. ქუნჯითი
მუნა – дун Quercus ქვ. იმ., აჭ. რკო; ჭნ. ჭკონი; მგრ. ჭყონი; სენ. ჯნრა, ჯირა,
 ჯიჰრა. იხ. რკო
მუნხლო – нут, бараний горох, нагут, гороховник, турецкий горох Cicer arietinum კხ.
 სისირი; ქუყ. ციცირი; სბ. ერევენდი.
მლაძიობი – ღამურა – Miytis miytis
მღერი – ძნელი მუნი
მღილი – ჭუა უნჯი გამრყუნელი. იხ. ჭუა
მღირღველი – უცნობია
მღრიალტველაჲ – „წყალსა ზის“. „რომელი წყალსა შინა მღრიალტველი...“
 უცნობია.
მეავის კუდა – იხ. ფარსმანდუკი
მეავი – თრითინასა ჰგავს, პატარა ოთხფეხაა. უცნობია
მეუარი – მეუარი. იხ. ბაყაყი
მშალა – მშრალა. იხ. სვია
მჩორე – „ძაღლისა და მჭეცის სკორე“. იხ. სკორე, იხ. ნეხვი
მცერცნელი – მცერცნელისათუს – „პირსა, რომელსა მცერცნელი იყოს“.
 უცნობია
მძოვარი – მძოვრა – მუწუკი თმათ მაცუნებელი

მწიკული – არს ყოველივე შემსვრელი გვამისა. ის. ბაყა
მწყავი – წყავი лавровишня *Laurocerasus officinalis* Roem. ქრთ. ჩქერი; ქვ. რჭ.,
 ღჩხ. შკერი; ზმ. რჭ. ლეშკერი, ლეშკი; სბ. მწყავი, ჭნ. მწკო, მწკოლი, წუ;
 მგრ. წყილი, წყი, წყივი, წყოვი, წყოი; სვნ. წყევ, წყავ.
მწყაზარი – (ფშ., რჭ.) მორთული, მოხდენილი, კოხტა, ცოცხალი, მარდი,
 ფხიანი, მარჯვე
მჭადა – остянка курчаволистная *Oplismenus undulatifolius* (Ard.) P.B. იმ. ტყის
 გლერტა; ზმ. იმ. ეშმაკის ფეხი, ტყის ჭორიკანა; გურ. ჭადა-ჭადა; მგრ.
 მაფატია, მაჭკილია.
მჭამელი – წელული კირჩხიბი. ის. კუი, ის. სჭამელი
მჭნავი – ის. ცირცელი
მჯღომი – შიგანში დიდი მუწუკი. სიმსივნე

6

ნაბი – ნაბტი – ნაბდ – „გულის, გინ მაჯასის ცემა“
ნაზლა – სურდო, კატარი, ანთეზა ზედა სასუნთქი ორგანოების
ნაკი – ნაკლები
ნამალი – ნალმა – მღიერის ერთ-ერთი სახე – Anthrax
ნანასკუნდა – „თამარინდსა ჰქვიან“. ის. თამრინდი
ნანახია – ნანხუა – ის. სოლინჯი
ნაჟი – ნაჟი – ფიჭვის კაკალი. ის. ფიჭვი
ნარდანგი – ნარდანა – ბროწეულის შარბათი
ნარინჯი – апельсин горький, померанец, бигардия *Citrus aurantium* L. ჭნ. არანბი,
 არარანცი; მგრ. ჭვახე ფორთოხალი. ის. თურინჯი
ნარის ლურჯი – ლურჯი ნარი, ლურჯეკალა синеголовник *Eryngium coeruleum*
 M.B. მსხ., ფშ. ნარცეცხლა; ჩ. შავწველა
ნარიფარი – „სხვა ნიშანი გამომავალისა, ...ამისათვის უძახიან, რომე ტანი
 ცეცხლივითა ენთებოდეს...“ უცნობია
ნასაია – ძარღვი ესე ქუსლსა ზემოთ არის
ნატა – მოქნილი ტყავი, ის. თალათინი
ნაფსი – ნაფაზი – „თუ სული უგუბდებოდეს ნაფსისა ნიშანი არის“. ის.
 ზიყინაფაზი
ნაღველა – горечавка *Gentiana* კხ., მსხ. ასისთავა; ჯვხ. მაიასილის ბალახი;
 თშ. მწარია, ბაბლუარა, მამის ყვაილი; ერწო შხამა; ღჩხ. გვრიტა; გურ.

ქარშოტა; აჭ. ასისთავა, ბერძნული ენდრო, შხამა; სვნ. არსთავ. იხ. ჯინტიანი

ნაცარქათამა – ქათამნაცარა – мать Chenopodium უმთავრესად Ch. Album L. ქრთ., კხ. მხალი; თშ. თათაბო; მხვ. თათამაი, ერბოვანა; მსხ. ნაცარბნეგია, ნაცარბნია; ჯვხ. ქათმათო; იმ. ქათანაცარა, ქათამნაცარა; ლჩხ. მოჭარხლუე; გურ. ქორაფა, ნაცარა; მგრ. ჩე ჯუმენე, ქოროფე, ქეროფე; სვნ. მესგელა, მესგელა, მუსკვილა.

ნაცარტუტა – ნაცრისფერი ტუტა – ტუტი ესე არს ნაცრის წვენი კუმბა-სათუს; გინა გვარჯილის მიწის წვენი საგვარჯილედ და მისთანანი.

ნაცი – ნაწელი

ნაწეენის წამალი – იგივე ნაწეენის ბალახი. იხ. შავბალახა

ნაკჭი – ნახჭი – უსულოზე ამოჭრილი

ნეგო – უკვდავა цмин, бессмертник иммортель Helichrysum, მთის ნეგო, სვარნა.

ნეზუი – დედალი

ნერგმანი – „იისა ძირი და ნერგმანისა ძირი“. უცნობია

ნესუ – дыня Melo sativus Sageret. ინგ. ნეტს; ჭნ. კავონი; მგრ., სვნ. შინკა.

ნეხვი – მცოხნელთა განაგალი

ნეფის გვირგვინა – „ნეფის გვირგვინა სვი. ირგას გავს და სული არ უდის“ უცნობია

ნიახურა – лютик ползучий Ranunculus repens L. კხ., გურ. წყლის ნიახურა, ნიახურა-ბალახი; ქვ. რჭ. წყლის ღობით; აჭ. ჭანჭახურაი.

ნიახური – сельдерей Apium groveolens L. მგრ. სონა. იხ. საზლაოზ

ნიგოზი – იხ. კაკალი

ნიკრისი – подагра Podagra. იხ. მიკრისი

ნიორი – чеснок Allium sativum L. მხვ. ნივარი; ინგ. ნიგორ; ჭნ. ლეი, ლერი; სვნ. ნივრა

ნიშასტაკი – ნიშასტაგი – იხ. სახამებელი.

ნიშო – იხ. ნიშასტაკი

ნუკი – წონის ერთეული

ნურა – ბალანთ გასაცუნავი წამალი

ნურტაკი – ნურტკი. იხ. შადანჯი, იხ. კანაფი

ნუში – миндаль Amygdalus

ო

ოზორთ – სუბუქი ხითა

ომიანი – ფრინველია, მიმინოს უმცირესია, ჰაერში მფრინავია, დაჯდება, ბუჩის ჭამით ჰცხონდების,

ომბალო – мята блошная, м. луговая, блоховник, полей-трава *Mentha pulegium* L. გურ. უმბალო; მგრ. ომბალე, ომბალი.

ონტკოფა – можжуха, мохунка, мошнуха, пузырная вишня, песья вишня *Physalis alkekengi* L. ქრთ. ონტკოფა; კხ. დუდღუბო, დუდღუბო დუდღუბელა; ფშ. დუდღუბა, დღუბდღუბა; რჭ., ლჩხ. ბაბუშტელა; გურ. კატაყვერა, ოტყახუა; ინგ. ზადლი, ზივ; აჭ. სატკაჩუნა; ზმ. რჭ. ონტკოფილა, ოტკოფილა; მგრ. ტყვატყვაცია, ყუაში მაპაშქინია; სენ. ჟნტი

ოპანი – უპანი – იხ. საკპინაჭი, იხ. ქაქინაჯი, იხ. დუდღუბო, იხ. ძირამო

ოროგანდი – лопух *Arctium* მხვ. ფათარი; ქრთ., კხ., მხვ., მთ., ფშ., თშ. ძირხვენა; მსხ. ღალაღუნტა; ხვს. დილხვენა; სბ. დელხვინა; ლჩხ., ქვ. რჭ., ზმ. იმ. დელღუნტა, დელაღუნტა; მთ. რჭ. ღორიფუშა; გურ., იმ. ოლაღუა, ოხაკუა, ოხაკუე, ოხოკუა; ინგ. ზურხუნა, ზურხვინა; ჩ. დულაღუნა; მგრ. უზა-ტყა; სენ. ყვალმან. იხ. ძირხვენა

ორფერი – медунца *Pulmonaria mollissima* A. Kerner კხ. ფილტვის ბალახი; ოკრ. კოკონი; ზმ. იმ. ხავერდა.

ორყურა – парнолистник *Zygophyllum fabago* L. სმხ. ჭაპალუკა. იხ. ჭაპალუკი

ოსერო – чернокорень имеретинский *Cynoglossum imeretinum* Kusn. ზმ. იმ. ბიზღაო; ქვ. იმ., გურ. ოხატუა. იხ. ოხატევეი

ოსპი – чечевица *Lens culinaris* Medic. ლ.კ. მურდუმაქი; სენ. ქირს, ქირც.

ოსპოტრი – ოსპინტრო – ოსპენტრე – карпезиум черныбыльниковый *Carpesium abrotanoides* L. გურ. ოსპონტრო; მგრ. ოსურტოფუ.

ოსურნელა – ორსუნელა. იხ. იფურა

ოფა – „ცხენის ქაჩანის სენი“

ოშინდარი – „სხუად სასმელი ოშინდრისა, რომელი უშველის ზმასტსა“. უცნობია

ოშნანი – „მოკალული ოშნანი“, სოდა, *Sulsola, soda* – სოდის შემცველი ყარღანი.

ოშოშა – будра *Glechoma hederacea* L. კხ. ოშოშო; იმ. ოშოშუა; ლჩხ. ვოშოშე; გურ. ოშმეშა; ინგ. ჟინჟირალაი; მგრ. ოშოშია.

ოსრახუში – петрушка *Petroselinum crispus* (Mill.) Nym. (=P. sativum Hoffm.) ქხვ. ოხრახოში; ქრთ. მაღდანოზი; თშ. მაკიდონელი; გურ., აჭ. მაკიდო; სბ. მაკიდონი; ვსშტ. მაკედონი, პეტრუშკა; ჭნ. ღამსო, ღრამსო, ჭიჭამი; მგრ. მაკინდოლი.

პ

- პაგიუატი** – „ქალბანა, პაგიტაჟი ცხართა ძმრითა გადგინე...“ უცნობია
- პალო** – მცირე მანა, იხ. მანა, იხ. მარგილი.
- პანტა** – груша кавказская дикая *Pyrus caucasica* A. Fed. ზმ. რჭ. პანტა-მსხალი; რჭ., ქვ. იმ. ჭკუტა-მსხალი; ლჩხ. ჭკუტა; ზმ. იმ. ჯარჭი; გურ. კვიჭიჭი, კვიჭიჭი-მსხალი; ინგ. ჭირჭიმა; ჭნ. მტკუი მცხული; მგრ. პანტე სხული. კვეტელე სხული, ტყარი სხული, ჭიკუ სხული; სენ. გოწო ვიცხ. იხ. ჭიჭკვა
- პასმაგი** – „სწორად შეაზავე და პასმაგითა ჭველი აუესე...“ უცნობია
- პატარბადა** – воловик *Anchusa italica* Retz. რჭ., ზმ. იმ. ძროხიენა. იხ. გააზბანა
- პატარბლის ყვავილი** – თავქვია ყვავილი, თავდაყირა ფუქსია шаровидная *Fuchsia globosa* Lindl. ქვ. ქრთ. ხეგარდა, საყურა; კხ. ფერია; ქხყ. ზაარის ყვავილი. იხ. ხეგარტა
- პატრუქი** – 1. ფილთა. მოსხოდ შეგრეხილი ბამბის ძაფი სანთელში, ან ჭრაქში, ჩასატანებელი მოსაკიდებლად და ასანთებად. 2. უკანა კარში (გვამში) შესადები სანთელი. 3. იარაში ჩასადები გასანთლული ძაფი. იხ. შაფი
- პაშტა** – ერთი ქრთილი მარცულის წონა
- პაჭიჭი** – ხეესურული წინდა
- პერული** – ქაფი
- პილოს ძუალი** – სპილოს ძვალი
- პილპილი** – перец черный *Piper nigrum* L. სბ. მგორვალა; გურ., იმ. გორვალი; ჭნ. შეული პიპეი.
- პიპილა** – წიწკა перец стручковый, п. красный, паприка *Capsicum annuum* L. იმ., ლჩხ., გურ. პიპილი; მთ. რჭ. პიპილა, პიპილა; აჭ. სურუნჯი, პირპილი; ინგ. პირპილი; ჭნ. პიპეი; მგრ. ზარფანა, ზაფანა; სენ. პიპილა, ძაფანა; ჩ. დარუპილპილი.
- პირიმზე** – фелипея красная, волчек красный *Phelyraea coccinea* (M.B.) Poig. გრ. კხ., სმხ. ჩიბუხა, ჩრდილის ლამაზა.
- პირდაქცეული** – იხ. ლაყვა
- პირწმინდა** – дубница, живучка *Ajuga genevensis* L. და *A. reptans* L. მსხ. ბუხახი; იმ., ლჩხ. ღორიჭაკუნტელი; გურ. ღორიშარაშელა, ღორისახეხელა; მგრ. ჩეიშელე, ცეიშარე, შეეშელა, ცეშალე, თვათვი
- პისპიჭი** – „სპასტაონი ორი მარცუალი, პირპიჭი ექუსი დრამი...“ უცნობია

პიტნა – мята *Mentha* ჯ. პიტნაკი; მგრ. პიტინე; სენ. მინთოორ, მინთუ.
პიტნა ველური – ტყის პიტნა – мята лесная, м. русская *Mentha longifolia* (L.) Huds. (= *M. silvestris* L.) კხ. პიტნურა; ქრთ. ცხენის პიტნა; ქრთ., ზმ. იმ. ვირიპიტნა; ქვ. იმ. ცხენიპიტნა; აჭ. ტენცო; მგრ. შვალმითა, შვალმინთა, სენ. მინთვ, მინთუ, მინთოორ, ტყვრ მინთვ.
პოხლი – **პოხილი** – მსუქანი
პოტოტიკი – თეძოსთავის საბრუნავი ძვალი
პრასა – поррей, лук поррей *Allium porrum* L. იმ. პრასი; ჭნ. პასკია, პრასკია, ჭიჭამი; მგრ. პურასქია.

შ

ჟანგარა, ჟანგარო – სინი სპილენძისაგან. იხ. ჯანგარა
ჟიფივი – ჟიფივა – ბიზბიზელა *парижская красавица Coreopsis tinctoria* Nutt. კხ. ჟიფივა
ჟოლო – **ჟოლა** – **მჟოლო** малина *Rubus idaeus* L. (= *R. idaeus* L. var. *buschii* Rozan). ფშ. ჟოლი; მთ. მჟვალი, მჟოლი; მხვ. ქუბი; ხვს. ღვაფი, ხვაფი; თშ. ღვაფა, ხვაფა; მსხ. ჟვალო; ზმ. რჭ. ჟოლა; ინგ. ქჭრაი; სბ. ხოფა; ჭნ. დაძი კანდღუ; მგრ. იმღვა, ინღვა, ბაღიშ მუცი; სენ. ინდა. იხ. მჟოლა
ჟუნჯრუკი – звездчатка, мокрица, *Stellaria media* (L.) Cyr. ქრთ., კხ. ჯუნჯრუკო, ჯუნჯრუკი; მხვ. წვრილი მხალი, ჩიტის თოლაი, წვრილმხალი, ოსურმხალი; მთ. ოსური მხალი; მსხ. ნაცარა; ქვ. იმ. ბოწვა; ზმ. იმ. ბოწოწია; გურ. ბოწოწო, ბოწოწუა, სირისუა; ოკრ. კინკა; აჭ. ჟრიჭა.

რ

რაბასა შიხუსა – „რომე ათროლეგბდეს, აცივებდეს, ზამთრის სიცივესა ღია ეწყინოს“. უცნობია
რაზიანე – **რაზიანი** – **რაზიანა** – იხ. დიდი კამა, იხ. შიფითი
რამანგი – „სანაგითა, რამანგითა... შეიქმენ... უცნობია
რაპთელი – **რაპთელი** – „პილპილა და რაპთელი...“ უცნობია
რასულანავ – ძარღვი „რომე ცხვირის თავსა არის“
რაშა – „კელის თრთოლასა ჰქვიან“. пляска св. Витта
რახი – ერთნახალი არაყი
რევანდი – ревень *Rheum*

რვალისა ჭურჭელი – რვალი ესე არს: სპილენძთა და კალათა შერევენ და მას შთამოასხამენ სარეკელ ზარად, ლინად და ეჟუნად ოხრისა და კმა უღერისათუს.

რთხმელი – იხ. ჩეულებრივი მურყანი

რკინაწიდა – რკინისა და ილეკროს ნადნობი, იხ. ილეკრო

რკო – მუხის ხის ნაყოფი Glandes Quercus მცენარისაგან Quercus robur et Quercus Pedunculata Willd.

რკუ – „მაგარი და სიმსივნე სდეუს ბალდამის გუარი იყოს“. იხ. კუი

რუბი – სიროფი, ტკბილი ნახარში წვენი, მურაბის წვენი, ჯულაბი

რუბისუსი – წამლებში შესარევი ფქვილი სამკურნალო მცენარის მარცვლეუ-
ბისა და სიროფისაგან

რუთუბა – „ხურმას ჰქვიან“. იხ. ხურმა.

რუყუსერ – „ზარდაჩოს ჰქვიან“. იხ. ზარდანხო.

რძიანა – молочай Euphorbia თშ. ბალდამის ბალახი, ბალდამა; მსვ., მთ. რძე-
ვანა, ერძევანა; რჭ. მერძევალა; ლჩხ. მერძეულე; რჭ., ლჩხ., იმ., გურ. რძია-
რძია; ინგ. ზიანა; მგრ. მახუალია, მავკალია, მებუალიე; სენ. მელგჯოოდ. იხ.
ფარფიონი, იხ. ზიანა

რცნი შაშფარანა – „შროშანასა ჰქვიან“

იხ. შროშანა

ს

საბრი – **სასრი** – **ალოე** – алоэ, столетник Aloë სბ. საბრი, აზუა.

საგრწყილე – **საკრწყილე** – **სარწყილია** – იხ. წითელი გვირილა

საგურკველი – სწორი ნაწლაევი Rectum

სადარკი – იხ. გვირილა

სადათ – „დამწვარი გრილი და ჰმელია, კბილსა გაათეთრებს და ძირსა
დაუმაგრებს“. უცნობია

სადალნი – „ყურის უკანა ძარღვი“

სადანაჯი – კანაფის თესლი. იხ. კანაფი, იხ. ნურტაკი, იხ. შადანჯი

სადაქსარი – შეჭამადი კურდღლის ხორციდან დამზადებული, შეზავებული
ნივრით, ნივგზით, ძმრით, მაწვნით და ხახვით.

სადაჯინდი – იხ. ინდური ნარდი.

სადაპი – **სადაფი** – **სადაფა** – **სუდაბი**. იხ. ტეგანი

სადლი – „ქერის ფქვილი, სადლისა, დაფაჩი დარბანდითა ტლე ქენ...“
უცნობია

სადრეკელი – ყიფლიბანდი. იხ. იაფუხ

სავათი – სავათი дрожа Otis tarta L.
საზამთრო – ჩვეულებრივი საზამთრო – арбуз съедобный, кавун Citrullus vulgaris Schrad. კხ. ყარფუზი; დსვლ. ხაბურზაკი, ხარბუზაკი, ხაბურზაკი; სბ. მელსაპეონი; ჭნ. კარპუზი; მგრ. ხაბურზაკი; სვნ. ხარბუზ.
საზღაოზ – „ველურისა ნიხსურისა თესლსა ჰქვიან“. იხ. ნიხსური
სათარი – იხ. თავშავა
სათრიჭი – **სათარეჭი** – „სოლინჯანი და ბასბასი და სათრიჭი დანაყე“. უცნობია
საკამონეი – **საკამონია** – **საკამუნია** – **საყამუნია** – საკამუნი (გომფისი, რომელიც მცენარე Convolvulus Scamonia-საგან მიიღება. იხ. მამულია, იხ. შკამუნია
საკემეელი – ფისი საკმლის ხისაგან მიღებული. იხ. საკმელი, იხ. ქუნდარი
საკმელი – **საკმეველი** – ладанник Cistus Creticum L. აჭ. ოკლაკუნცხა, თიკინე-ყურა.
საკბინაჭი – საკბინაჯი ქაღბანასა ჰქვიან. იხ. ქაღბანა, იხ. ჯაროტი
სალა – მოძრავი სიმსივნე. „ხანაზირსა ჰგავს, მაგრამ ხანაზირა არ იძვრის და სალა იძვრის...“ ლიპომა, ათერომა, ცისტადენომა. იხ. ხანაზირა
სალათა – салат, латук Lactuca sativa L. იხ. ყრდელი, იხ. ხავარტი
სალბუნი – მალამო
სალდა – იხ. წალიკა
სალიბა – „სალიბა სუროსა ჰქვიან“. იხ. სურო
სალიხა – იხ. დარიჩინი
სალმოზა – სატკივარი
სამთლის თიხა – „თბილი სამთლის თიხა შემოსდვეი ხშირათ...“ უცნობია
სამითი – „სომხურად ცერეცოსა ჰქვიან“. იხ. დიდი კამა
სამეურნალო ძიძო – донник лекарственный, буркун Melilotus officinalis (L.) Desr. ქრთ., ჯვხ. ვირის იონჯა; ერწო იონჯა; რჭ. სამითია; იმ., ლხხ. ცხენისოფა; ინგ. ბარინჯ. იხ. ცხენის ოფლა. იხ. ყვითელი ძიძო
სამნის ქვა – „სამნის ქვა დანაყე...“ უცნობია
სამყე – **სამყი** – წებო, ფისი, გომფისი, გუმმი. იხ. სამყი არაბი
სამყი არაბი – (არ. სამლი არაბი) Gummi Arabicum – გამხმარი ფისი მცენარისაგან Acacia tortilis Hayne იხ. ტაჭიკრეზი
სამყი – „თუთუბოსა ჰქვიან“. იხ. თუთუბო
სამყურა – клевер, трилистник, дятлина, Trifolium ინგ. ვენჯაი, ძრნუა; ჭნ., მგრ. სუმსუჯა, სუმსუჯაში, ტყა, ტოფური; სვნ. სამყურ, პირპილ. იხ. იტრფიალი

სამკვედრო – სამხვედრო – უკანა ნაწლავი, სამხვედროს ავადმყოფობა – ბუასილი
სანაგი – **სანგი** – დიდი კვერი რკინისა
სანდალი – სანდლის ხე. Santalum L.
სანდაროსი – „საკმელი“ Sandarcha ფისია, რომელიც Callitris Guadrivalvis ანუ Thuja atriculate ხისაგან მიიღება
სანელბეგელი – **სანანებელი** – ესე არს რაღცა სუნელი საჭმელს შეანელებს: კოჭა, პილპილი და მისთანანი
სანფელი – „მაზლაქი კარნაფელი და სანფელი და ასარონი“. უცნობია
სანწორავი – **სამწორავი** – მცოხნელთა უკანა ტანი. იხ. მწორე
სანძური – იხ. გვირილა
სანჯაბალი – **სანჯაფილი** – იხ. კოჭა
საოლაგი – „ცხენის ქაჩაჩის ზეით“
საპანიძილი – „მარიამა საკმეველი არის“. იხ. მარიამსაკმელა
სარა – ეპილეფსია
სარასა – „სარასა გამოწურე, ჳელი ერთი შეასუი“ უცნობია
სარასამი – დაავადებაა „რომელი არს თავქედი“. იხ. თავქედი
სარდან – „ბროწეულის მარცვალი“. იხ. ბროწეული
სარვანი – „თუ ცხენსა სარვანი წაეკიდოს და თუაღთა ცრემლი სდიოდეს“
სარო – პირამიდული კვიპაროზი, გუნდის ხე. кипарис пирамидальный Cupressus sempervirens L. var. pyramidalis Targ.-Tozz. ქრთ. მირონის ხე, ხეთუფალა; სბ. სარო, აღვის ხე; მგრ. გუნდაში ჯა.
სარტარი – **სარტანი** – „რკუსა რქვიან“. „მაგარი სიმსივნე, რომე რკუსა ჰქენ“. იხ. რკუ, იხ. კუი
სარჩელი – „მოსამართლესთან ჩივილი“. საჩივარი
სასრევი – „არს ქვა კრმადა, მანგალთა და ცვლთა აღმლესელი“
სატაცური – спаржа Asparagus officinalis L.
სატკეცელა – ჳეიპანტა – хлопышка Silene wallichiana Klotzsch (=S. commutata auct.) მხვ. სატყეშებელა; მხვ., ფშ., ხეს., თშ. მჭივანა, ჳივანა; ერწო ჳეაპინტა; აჭ. ტკაცუნა; სენ. ლატესგენზრ, სატკეცელა.
სატფური – სათბუნებელი
საფანი – **საფინი** – ვენა „კოჭის სიხლეს არს შიგნით კერძოით“
საფარაჯალი – „კომშსა ჰქვიან“. იხ. კომში, იხ. ბია
საქმუში – „საქმუში... თვითოსგან სწორ სწორი დანაყე...“ იხ. მუში
საქცევი – სახსარი

საწერელი – პანარიციუმი
სახამებელი – ნახშირწყალი – პოლისაქარიდი
სახვავი – „ცერცუ მოიღებს კორცსა, დაუმეტებს ზურგის წყალით და განაახუამს სახვავთა...“ უცნობია
სეღა – შავი ნაღველი, ერთი ოთხ სითხეთაგანი, რომელიც ჰუმორულ-პათოლოგიის თეორიის მიხედვით შედიოდა ადამიანის სხეულის შემადგენლობაში. იხ. თაბიხარუმ
სელი – лен Linum. იხ. ქათანი
სელიმა – **სელიმი** – ძარღვი მარცხენა ხელის ნეკსა და არა თითსა შუა ძარღვი
სენამიქი – **სენემქები** – სემენეჟი, იხ. სინამაქის ხე
სერან – **სერანი** – სეერანი ანუ სეირანი (სპ. „სეირან“, ან „სეერან“) გასეირნება, გარება, გარეთ ეზოში, ან ბაღ-ბოსტანში.
სეია – хмель Humulus lupulus L. ფშ., ხეს. სეე; მსხ. გარმაშო; ზმ. იმ. ფშალა, მშრალა; იმ., გურ. ფშალო; აჭ. შრალაი; ინგ. სრო; ჭნ. ბარდი ბინეხი; მგრ. მაფშალია, ფშალე; სენ. ფშალად, სეიჯ. იხ. მშალა – მშრალა
სეინტრი – **სუინტრა** – купена, соломонова печать Polygonatum უმთავრესად P. glaberrimum C. Koch., თშ. დათეთუოლაი; მგრ. მარიალე; სენ. ქისლად. იხ. შიტრაჯი
სიღბოს ბედიოთა – „ისპანახი სიღბოს ბედიოთა, უღბო და ქუნჯითი...“ უცნობია
სილი – (არაბ. „ჭლეჟი“) „ფერდისა ტკივილსა, რომე სილი პქვიან, მას უშველის“. ფილტვის ტუბერკულოზი
სიმლარაბი – „შავი ხაშხაში და სიმლარაბი“, იხ. სამყიარაბი
სინამაქის ხე – кассия остролистная сена Cassua acutifolia Deb. ფუთფუთა, იხ. სენამიქი, სინი
სინგური – ძალიან წითელი სამხატვრო წამალი, – წარმოადგენს ცეცხლით შეზავებულ ვერცხლის წყალს ანუ სინდიეს, და გოგირდს. იგივე კინოვარი. Sinnabaris. აქედანვე მოჭირებული წითელი ფერის სამხატვრო მელანი
სინი – იხ. სინამაქის ხე
სინჯიტი – იხ. უნაბი
სიოდორგი – „მღერისათუს, ქარტილსა და სიოდორგისა...“ უცნობია
სიონა – სონა. იხ. ნიახური
სირის კვერცი – სირაქლემას კვერცი

სირვაშლი – სირის ვაშლი, ჩიტავაშლა – *пираканта, кизильник красный Ruta-cantha coccinea* Roem. ქრთ., კხ., მხვ., მთ. ხშირვაშლა; მსხ. ჩიტაწკეპლა; რჭ., ლჩხ., იმ. სიღვაშლა, სირვაშლა, სირის ვაშლი; ზმ. რჭ. რტყემლი; მგრ. მეღიეურძენე; სენ. ლახვა ვისგ, ხაპრა ვისგ, ლახვა უსკვ.
სისუი – სისვი – თეთრშავ არეული ცხოველის ბაღანი
სისხა – ზისხა – ზისყა, მუცელა, სისხლით ფაღარათი, დიზენტერია.
სიფისტონი – ყიფისტონი – იხ. მარწვეი
სიტრაჯი – სეტრაჯი – იხ. შიტრაჯი – შიტარაჯ
სიქანგუბინი – სიქანჯაბ – სიქანჯაბინი – სამკურნალწამლო საშუალებათა ერთ-ერთი სახე. თაფლით ან შაქრით ძმარში შემზადებული სასმელი, რომელშიც სხვადასხვა სახის წამლებს ურევდნენ
სიქაროზი – „სიქაროზი დანაყე ნიგოზითა“ უცნობია
სიქილანჯი – სიქილონჯა – იხ. ფერისცვალა
სიჯი – „ყვანასა ჰქვიან“. იხ. ყვანა
სელატი – შალი – იმერნი მაუდს უწოდებენ
სეორე – „განავალი“. იხ. მხორე
სოლი – სოთი „ქართულად თოფალხა“. „სოლი რომე კიპერისი ჰქვიან“. იხ. თოფალახი, იხ. კვიპაროზი
სონიჯი – чернушка Nigella sativa L. გურ. შავკაკალი; აჭ. სისამი, ცისამი; მგრ. უჩა კაკალი; სბ., ჩ. იკელივი; ერ. სურიჯა; ჩ. ჩორაქოთი; ჯ. ჩიტისთვალა, სონიჯი, სოლინჯი. იხ. შავკაკალი
სოლინჯანი – სორინჯანი – (სპ. „სურუნჯ“). იხ. სონიჯი
სოლინჯი – სონიჭი – იხ. სონიჯი
სოროტოფა – „სოროტოფას ძირი“. უცნობია
სოსანი – სოსანი ველის *сокирки растопыренные Consolida divaricata* (Ldb.) Schröding (=Delphinium divaricatum Ldb.) სოსანი ყანის *сокирки восточные Consolida orientalis* (J. Gay) Schrödg (=Delphinium orientale J. Gay)
სოლინ – „ალთისასა ჰქვიან“ (არაბ. (პალთით). იხ. პალთითი
სპანდი – იხ. მარიამსაკმელა
სპანძლი – **სპანძელი**. იხ. ისპანახი.
სპასტაონი – „სპასტაონი ორი მარცვალი“. უცნობია
სპეტი – უმარულიო, მინერალური სითხე, *Spathium Fusibulae, Fluor mineralis*
სპარსი – იხ. განდანად, იხ. პრასა
სპაონდოგორი – სპოდოგორი – სპოდაგარი – „და სპოდაგარი, შავი ნალველი, რომელი თუალთა დაუდგენს“. უცნობია
სტაგნი – „სტაგნის ფურცელი და ლელვის ფურცელი...“ უცნობია

სტაფილო – морковь посевная, м. культурная *Daucus sativus* (Hoffm.) Roehl. ინგ. აბაჟურ; მგრ. სტამფილო.

სული – იხ. შერია

სუმბული – „ტაბოლენს ჰჰეიან“
 гиацинт *Hyacinthus* იხ. ტაბოლენი, იხ. ფაროდან მეფელი

სუნში – „სონიჯსა ჰჰეიან“. იხ. სონიჯი

სურავანდის ბალახი – გველის სურო – барвинок *Vinca* კხ. მიწაფართხა; ზმ. იმ., აჭ. სუროვანდა, სუროვანდი; იმ. მიწის სურო; ლჩხ., ოკრ. სუროწვრილა; მგრ. გვერიში ცურუ, მურხვანტალა.

სურინჯალონი – სორინჯანი (სპ. სორინჯ) სურიკი. იხ. სონიჯი

სურო – მამულა – черныбыльник, бобыльник, забудьки, полынь обыкновенная *Artemisia vulgaris* L. მხვ. სურო; მთ. სერნა, საფცქენელა, სურო-ბალახი; თშ. ჯოროთკუდა, ფურთკუდა; ხვს., ერწო ავშანი; გურ. მყრალა-ბალახი, აბზინდა; აჭ. გიაუროთი; მგრ. ოშაშურია, აბზინდა; სვნ. ვოქსოლზ, მგქსანი. იხ. სალიბა

სურსილი – სრსუილი – სირსველი

სუქთი – „სუქთი მუშკისა წონა ნახევარ დრამისა“. მუშკის არომატული სითხე. იხ. მუშკი

სქედა – იხ. დამბლა

სქინონი – „აიდე ბია მწიფე, დაჭარ, წყალი დაასხი... ქაფი აიდე, თუ გინდოდეს რომე სქინონი შეჰქნა ზ(ე)და შაქარი მოაყარე...“ უცნობია

სჭამელი – წყლული კირჩხიბი. იხ. მჭამელი, იხ. კუი

სხლის კვანისი – მსხლის კვანისი კვანისი უცნობია

სხლის ფუთრი – მსხლის ფუთრი იხ. ფუთრი

ტ

ტაბარზატი – ტ(ა)ბ(ა)რაზა – ტაბარზადი – ტაბარზი – „შაქრის მყინვარი არის“, შაქარყინული, леденец, იხ. ქალშაქარი

ტაბელა – птерис критский *Pteris cretica* L. აჭ. კარასტანი; მგრ. ამერაშ გვიმარა.

ტაბლაყურა – ფართოფოთლიანი ჭანჭყაცა ბერესკლეთი широколистный *Evonymus latifolia* Mill. ქრთ. ძალღტაბლა; ფშ. კიდობანა; ლჩხ. ოგნარი; რჭ., ლჩხ. ჭეჭკეტა; მსხ. შიშმირი; რჭ., იმ. ბონიუნა, ხაჭაპურა. იხ. ჭეჭკეტა

ტაბტი – „თუ ცხენსა ტაბტი შეექნას და მუცელი სრულიად უსივდეს...“ უცნობია

ტაბაშირი – **ტავაშირი** – **ტაპაშირი** – **ტაფშირი** – ბამბუკის მუხლებში
 მღვარი წვენი, რომელსაც ხმარობენ სამკურნალო მიზნით. იხ. თახბაში
ტაბოლენი – იხ. სუმბული, იხ. ფაროდან მეფელი
ტარხუნა – тархун, эстрагон Artemisia dracunculus L. რჭ., ლჩხ. ტალხუნა.
ტაჭიკრეზი – „ტაჭიკრესი სამეი არაბსა პქუიან“. იხ. სამეი არაბი
ტახტოსაი – ტახტახა, იხ. ქათმისკუჭა
ტაპბირილოქი – „ტაპბირილოქი თუთოსაგან ნახევარ დრამი...“ უცნობია
ტეგანი – рута, зимозель Ruta graveolens L. იმ. ჭინტურია; გურ. ტაგანი; აჭ. ტა-
 განა; ლ.კ. მარიამსაკმელა; ჩ. სადაფა. იხ. სადაპი
ტენცო – წყლის პიტნა водная мята Mentha aquatica L. მგრ. ლეჯიში ჭვალმითა;
 სენ. მინთოორ, მინთუ, მენთოორ.
ტერფი ვირისა – იხ. ვირისტერფა.
ტერფი ცხენისა – იხ. ვირისტერფა
ტერფი ჯორისა – იხ. ვირისტერფა
ტიბანიცა – წყლით ორსულობის ერთ-ერთი სახე.
ტიბრი – „...მაჯუნი ... თურბითისა, რომელი ყოლინჯსა გასსნის, ტიბრსა
 სევდასა გაიდებს...“ უცნობია
ტირიფი – ива, верба Salix ქრთ. ნერგი; კხ. წნორი; ჯვხ. ტილიფი; მსხ. ძეწნა;
 ჭნ. სოუთი; მგრ. ზიჭონი, ჭიჭონი, ძერწა; სენ. გენწიშ, გუნწიშ, ჩიჭენდ,
 ჩიჯინ.
ტიტა – тюльпан Tulipa
ტლე – დასადებელი ან წასასმელი წამალი
ტუსც – იხ. მუშკი
ტუტა – იხ. ხართუთა
ტუხტი – **ტულტი** – алтей, проскурняк Althaea Officinalis L. მსხ., ჯვხ. თუხტი;
 ლჩხ. ლუხტი; რჭ. ვირიმოლოქა; აჭ. ფოხვერი. იხ. თეთრი ტუხტი, იხ. ხათმი
ტყმალი – алыча дикая, ткамели Prunus divaricata Ldb. ქზყ. ტყმალი; ინგ.
 ტყმალი; ჭნ. ცომური; მგრ. ცომური, ომური; სენ. ბრყვენ, ბრყვენ.
ტყიური – Laserpitium latifolium L. Laser trilobum (=Siler trilobum)

უ

უდი – **უდო** – იხ. არჯმანიკი, იხ. შავჯაგა
უნანინ – „ყურის უკანა ძარღვი“
უკაჲ – **უკია** – **უნცია** სააფთიაქო წონის ზომა

უკუდავა – უკვდავა – დანდური – портулак *Portulaca oleracea* L. ქზყ. კატკატო; ჯვხ., მსხ., რჭ., ლჩხ., ზმ. იმ. მსუქანა; ქვ. იმ. კერატა; გურ. უკვდავა; ჩ., ინგ. დანდრანუკა; მგრ. ვადურია, უღურალე.

ულბო – იხ. ულბო, იხ. შამბალილა

უმარული – პირისახის გასასპეტაკებელი და გასალამაზებელი კოსმეტიკური საშუალება

უნაბი – უნაბი – ююба, китайский финик, чайлан, унаби, грудная ягода *Ziziphus sativa* Gaertn. იმ, გურ. ურნაბი, ორნაბი; მგრ. ურნაბი, ბურნაბი.

უნგრა – „აიღე უნგრა და ფიჭვის ფისი...“ უცნობია

უნჯი – საქონელი

უპე – ჭიპი

ურეება – „ცხენის დაფხანა“

ურელი – **ურელი** – „რომელსა ურელი სჭამდეს“ შეჭირვებული, შეწუხებული, გუემული

ურელის თესლი – „ურელისა თესლსა ზედა ყრმის ფსელი დაასხი“ უცნობია

ურთხმელი – ურთხელი – тисс, негной-дерево *Taxus* უმთავრესად *T. baccata* L. კხ., ფშ., ხვს. უთხოვარი; რჭ., ლჩხ., იმ., გურ. ურთხმელა, ურთხველა; აჭ. მაღა, ურთხმელა, სატილია; ქვ. რჭ. წუთული; ქრთ. ურთხლი; სბ. საჯი; მგრ. ურთხელი; სვ. ურთხელ, შანრა.

უსკუფი – „შექნა უსკუფისა, რომელი ერგების ბაღლამსა“ უცნობია

უსული შარბათი – თაფლნარევი შარბათი

უშაყი – (დანაი ჩადირ ირან.) უმი კევი

ურუხი – „მუცლის ჭიდება დიდი“

უცვეთელა – чубушник, кавказский жасмин *Philadelphus caucasicus* Koehne მსხ. დიდგულა; კხ. ხეყავილა; ქრთ., ზმ. იმ. ჭეჭკეცა; მგრ. თახვანტელა

უცუსუნა – უცუნა – безвременник великолепный *Colchicum speciosum* Stev. თშ. უცანა; ზმ. რჭ. უცუნი; ლჩხ. შანშველა; გურ. თავნიორა; გურ., აჭ. სათოვლია; მგრ. დგრჩე, ჯირჩე, ლაპა გვაჯა; სვ. შანშელი

უძრვა – უძრ(ა)ვა – იხ. ძირაკი, იხ. ძირა, იხ. ზირა, იხ. ზირაქირმანი, იხ. კელიავი

ფ

ფაზამუნიში – „ლერწმის ძირი, ფაზამუნიში დანაყე...“ უცნობია

